კარლ კაუცკი

კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება

თარგ. ფ. მახარაძის-მიერ

ავტორის და ვ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით, მთარგმნელის წინასიტყვაობით და განმარტებებით.

ამხანაგ. «ალიონის» გამოც. № 13

თ ფ ი ლ ი ს ი
მსწრაფლმბეჭდავი თფილისის მეტეხის ციხეში
1911

კარლ კაუცკი

გერმანიის სოციალდემოკრატიის დიდებული მეცნიერი, კარლ კაუცკი, დღემდის—მთელი თავისი ძალ-ღონით ენერგიულათ ემსახურება მთელი ქვეყნის პროლეტარიატის კლასობრივ გათვითცნობიერებას, მის ეკონომიურ განვითარებას. კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის შემდეგ იგი შეუდარებელი თეორეტიკოსია, მთავარი იდეიური ხელმძღვანელია თანამედროვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის. მისი სახელგანოებრივი მოღვაწეობა მჭიდროთ შეკავშირებულია ინტერნაციონალურ სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის ისტორიასთან. თავისი მრავალ-მხროვან კამოკვლევებით უფრო შეურეველათ განამტკიცა ის მეცნიერული საძირკველი, რაზედაც დამყარებულია მეცნიერული სოციალიზმი; ეკონომიურ განვითარა მარქს-ენგელსის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ—ორტოდოქსალური მარქსიზმის ოვალსაზრისი და. მით ერთხელ და სამუდამოთ სასიკვდილოთ დაჭკოდა სოციალდემოკრატიულ პარტიაში შემოტანილი—ეგრეთწოდებული—რევიზიონიზმ-ოპორტუნიზმი. კ. კაუცკი ორსავ მხრივ მედგარ ბრძოლას აწარმოებს: იგი ცალმხრივ ებრძვის და იგერებს ბურჟუაზიული მეცნიერების-მიერ მოტანილ იერიშს და მეორე მხრივ, მარქსიზმს თავიდან აცილებს შინაურ ცალმხრივ გაუგებრობას. მარქსიზმი მის ხელში ერთგვარი სოპერაციო ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ბურჟუაზიულ და ბერნშტეინულ შეხედულებას იგი კამაცოცხლებელ ოპერაციას უკეთებს. თანამედროვე მარქსისტებში ყველაზე უკეთესათ კაუცკიმ შესძლო მარქსის ისტორიული მეთოდის ნაოფიერათ კამოყენება და სოციალურ მეცნიერების ყოველ დარგში დიალექტიკის მოხმარება. ერთი სიტყვით,

კარლ კაუცკიმ, როგორც კელეს კრაუცი ამბობს, მარქსის ისტორიული მატერიალიზმის მეთოდით საუცხოოთ ისარგებლა და მის საშუალებით უტუუვრათ ახსნა საზოგადოებრივი მოვლენები.

ბუნებას უანგაროთ დაუჯილდოვებია კარლ კაუცკი. უოველმხრივი, საფუძვლიანი განათლება ამკობს მის თეორიულ აზროვნებას; არ არის ისეთი დარგი მეცნიერების, რომელსაც იგი დახლოვებით არ იცნობდეს. უოველგვარი ცალმხრივობა არ ეგუების მის უნივერსალურ (უოველმხრივ) განათლებას, მის უნივერსალურ ცოდნას; დაულალავ მუყაითობით იკვლევს მატერიალურ ძალთა განვითარებას, რომელიც აბრუნებს ადამიანთა საზოგადოებრივ მოძრაობას, ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამავე დროს იგი ეხება ფილოსოფიის უმაღლეს საკითხებს; სწერს პოლიტიკურ წიგნაკებს, უშვებს სქელ ტომიან მეცნიერულ გამოკვლევებს საზოგადოებრივი მეცნიერების სხვა და სხვა დარგებიდან. სპეციალურათ სწავლობს ისტორიას, ფილოსოფიას, სარწმუნოების ისტორიას, ბუნებისმეტყველებას და სხვა სოციალურ მეცნიერებას. ერთსა და იგივე დროს, იგი იკვლევს კაპიტალისტური წარმოების პროცესს და არკვევს სხვა და სხვა პრაქტიკულს საკითხებს, არა მარტო გერმანიისას, არამედ სხვა ქვეყნებისასაც. მან თავის ცნობილ ბროშურაში „რუსეთის მამოძრავებელი ძალები“ უველაზე სისწორით დაგვისურათხატა რუსეთის რევოლიუციის პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები, უოველმხრივ გაგვიშუქა მისი მამოძრავებელი მიზეზები. ისე აწონდაწონილათ გაჩხრიკა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის მიზეზ-შედეგები, კაცს ეგონება, იგი რუსეთში აღზრდილა და ადგილობრივათ შეუსწავლია მთელი ეს რთული მოვლენებიო. ვიმეორებთ, კაუცკის უნივერსალური აზროვნება არ ჩაულაპა თეორიული პრობლემების გარკვევა-განმარტებამ, იგი მუდამ და უოველთვის პრაქტიკულ საკითხებსაც დიდის უურადღებით ეპურობა და ღირსეულადაც ითვალწინებს მას. უველა მისი ნაწერები, არის ის თეორიული თუ პრაქტიკული, რევოლიუციონური სულით არის გაჟღენთილი, უველას ბრძოლის ბეჭედი აზის.

ჯერაც არავის დაუწერია კარლ კაუცკის ცხოვრება და მოღვაწეობა, არავის არ აღუნიშნავს მისი დიადი დვაწლი სოციალისტურ

მოძრაობის წინაშე და არავის არ განუმარტავს მისი ნაწერების მნიშვნელობა სოციალური მეცნიერებისათვის. ამ დიდ რთულ მოვალეობის შესრულებას, რასაკვირველია, მეტათ მცოდნე და გამოცდილი კალამი ესაჭიროება. უბრალო მომაკვდავი ამას თავს ვერ იდებს და ვერც პირნათლათ შეასრულებს. ამისთვის, ჩვენც, აქ მხოლოდ, მეცნიერის მოკლე ბიოგრაფიული აღწერით დაკმაყოფილდებით და გვერდს ავუვლით მის ცხოვრების და ნაწერების დიად მნიშვნელობას. ამას მოითხოვს, ვიმეორებთ, კითხვის სირთულე და თვით ბიოგრაფიული წერილის პირდაპირ დანიშნულება. მაშ, გადვიდეთ კ. კაუცკის ცხოვრების მოკლეთ აღწერაზე. აქ ჩვენ უმთავრესათ კაუცკის ავტობიოგრაფიით ვისარგებლებთ.

კარლ კაუცკი დაიბადა 1854 წელს, 16 ოქტომბერს—ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოში, ქ. პრაგაში. როგორც თვით კაუცკი თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს, იგი დაბადებულა ერთ ინტერნაციონალურ ოჯახში. მამა მისი ტომით ჩეხი ყოფილა, დედა კი გერმანელი. თვით კაუცკის დედ-მამაც ასეთ შერეულ ოჯახის შვილები ყოფილან.

თუმცა შერეულ ოჯახიდან წარმოობა ნიადაგს უმზადებდა კაუცკის გაინტერნაციონალებას, მაგრამ იგი სხვა და სხვა პირობების გამო, პირველათ ვიწრო ნაციონალისტურ გრძნობით იყულენთება; გარეგნულმა მდგომარეობამ იგი ნაციონალისტათ გადააქცია. 1863 წ. კაუცკის მშობლები ავსტრო-უნგრეთის დედაქალაქ ვენაში გადასახლდენ, სადაც იმ დროს ჩეხელთა დევნა-სიძულვილი სისასტიკით სწარმოებდა. მშობლებმა ვენაში გადასვლისთანვე ცხრა წლის კარლი გიმნაზიაში შეიყვანეს. სასწავლებელში ჩეხელებს ძალიან სდევნიდენ. კაუცკიც, როგორც ჩეხი, იძულებული შეიქნა, სასწავლებლის ნაციონალური პოლიტიკისთვის ნაციონალური სიძულვილი დაეპირდაპირებინა და თვისა-უნებურათ გერმანელთა სიძულვილით აღეკურვიდიო. ჩვეულებრივ ჩეხელები იმ დროს ებრაელებზედაც მეტათ დევნილ ერათ ითვლებოდა. თითოეულ ჩეხში ძლიერათ ღვიოდა გერმანელთა და გერმანიის სახელმწიფოს სიძულვილი. რასაკვირველია ასეთ პოლიტიკურ-ნაციონალურ პირობებში ახალგაზდა კ. კაუცკის იდეა-

ლათ დაესახა ავსტრიის სახელმწიფოს დანგრევა და ჩეხიის რეს-პუბლიკის დამყარება.

1870 საფრანგეთსა და გერმანიას შორის ომი იწყება. კაუ-ცკის და საერთოთ ყველა ჩეხელების სიმპატია ფრანგებისაკენ იხრება. მაგრამ მალე კაუცკი ნაციონალურ ბურუსს თავს ახწევს და მის ყურადღებას უფრო ძლიერი და დიდს-შესანიშნავი სოციალური მოვლენა იპყრობს. მარტის რიცხვებში პარიზში იფეთქა კომუნის ამბოხებამ. გაღვიძებულმა რევოლიუციონურმა ინსტიქტმა იგი ახლა აქეთკენ გაიტაცა. კომუნის გმირულმა დამარცხებამ მეტათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კაუცკიზე. მან განიცადა ძლიერი სულიერი კრიზისი. ამის შერე იგი გატაცებით ეტანება სოციალისტურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ზედმიწევნით სწავლობს საფრანგეთის სოციალიზმის და საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიას. ამავე დროს იგი გატაცებულია: ბერნეთი, ჰეინეთი, მიდლით, ბოკლით, დარვინით და გერმანელ დარვინისტებით—ჰეკელით და ბიუხნერით.

1874 წლებში კაუცკიმ უკვე გარკვეული შეხედულება შეიმუ-შავა. იგი ამ წლიდან შედის ავსტრიის სოციალდემოკრატიულ პარ-ტიაში და მხურვალეთ ემსახურება. სტუდენტობის დროსვე მან გერმანიისა და ავსტრიის პარტიულ პრესაში „სიმახოს“ ფსევდო-ნიმით რამდენიმე ღირს-შესანიშნავი წერილი მოათავსა.

ავსტრიის სოციალდემოკრატიული პარტია მაშინ კრიტიკულ მომენტს განიცდიდა. სამრეწველო კრიზისმა მეტათ დაასუსტა მუშათა ორგანიზაციები. თვით პარტიაშიაც გაჩეთრებული ბრძოლა სწარმოებდა. ასე რომ ოპორტუნისტული მიმდინარეობა პარტიაში ახალი საქმე არ ეოფილა. ობერვინდერის ფრაქცია ჯიუტათ თხოულობდა ლიბერალურ-ბურუაზულ პარტიებთან კეთილ-განწყობილებას და ურჩევდა პარტიას წამოეუენებინა ისეთი პრობლემები, რომელიც უზრუნველეოფდა მის დროებითი მოთხოვნებს. სამაგიეროთ, პარტიის მეორე ფრაქცია შეიის მეთაურობით სრულიათ უარეოფდა ობერვინდერის კომპრომისულ მიმდინარეობას და მაღლა ეჭირა პარტიის სარევოლიუციო დროშა. შეიი ამტკიცებდა, სამართლიანათაც, რომ სოციალისტური იდეიების გავრცელება, მასის

სოციალისტურათ გამოფხიზლება მუშათა კლასს მეტ პრაქტიკულ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ლიბერალურ-ბურჟუაზულ პარტიებთან პრაქტიკულ ნიადაგზე შეკავშირება. კუტეკი, როგორც თითონ თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს, შეიის ფრაქციას შეუერთდა, ვინაიდან შეიის ფრაქციის მიმართულება უფრო შეეფერებოდა მის რევოლიუციონურ მისწრაფებას.

დადგა სოციალდემოკრატიული ფრაქციების გაერთიანების ხანა. გერმანიაში, ლიბკნეხტ-ბებელის მეოხებით 1875 წელს ლასალიანები შეუერთდენ ეიზერნახტებს. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია ავსტრიის სოციალდემოკრატიულ პარტიის ფრაქციათა განწყობილებაზე. პარტიიდან ოპორტუნისტების დიდერები სრულიათ გავიდნენ. მათ კომპრომისტულ მოქმედებას ახლა პარტიაში ალაგი ადარა ჰქონდა. მიუხედავათ ამისა, მაინც პარტიაში ოპორტუნისტული მიმდინარეობა სრულიათ არ გამქრალა; იგინი; როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, უმალვე თავს წამოუობდენ ხოლმე და თავიანთ პრაქტიკულ მოთხოვნებს წინ წამოაყენებდენ.

გერმანიაში გამოცემულმა განსაკუთრებულმა კანონებმა სოციალისტების წინააღმდეგ გასწყვიტა მჯიდრო კავშირი გერმანიის და ავსტრიის სოციალდემოკრატიულ პარტიის შორის. 1878 წ. ოქტომბრამდის გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია ავსტრიელ სოციალდემოკრატებისთვის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავათ ითვლებოდა, მას მეტი ნდობით ეპყრობოდენ, ვიდრე თავიანთ თავს. ასე ეჩვენებოდათ მათ იგი. მაგრამ მალე გერმანიის სოციალდემოკრატების ავტორიტეტი დაეცა ავსტრიელ სოციალდემოკრატების თვალში. ავსტრიელ სოციალდემოკრატებმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღეს, თითქოს გერმანიაში სოციალისტების წინააღმდეგ გამოცემულმა კანონმა ისინი სრულიათ მოსპო და მიწასთან გაასწორა; თითქოს პარტია ვერ იმეოფებოდა თავის უმაღლეს დანიშნულებაზე. ერთი სიტყვით ავსტრიის ს.-დ. მეტის-მეტათ უკმაყოფილები იყვენ გერმანიის ს.-დ. პარტიის მოუმზადებლობით, ვინაიდან მათ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ბისმარკის ვერაგულ პოლიტიკას. ავსტრიელი ამხანაგები სიხარულით მიეგებენ მოსტის მიერ ლონდონში გამოცემულ ჟურნალ „თავისუფლებას“, ს

განოს ხელმძღვანელი დაუნდობლათ კიცხავდა პრუსიის მთავრობის ძალმომრეობას და საქვეყნოთ ამხელდა ზოგიერთა პარტიის წევრების დაუდეგრობას. მთელი ავსტრიელი ამხ. სულით და გულით თანაუგრძნობდენ ჟურნალის მიმართულებას. კაუცკიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ორგანოში და განუწყვეტლივ თანამშრომლობდა.

გერმანიაში სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებულ კანონების გამოტემამდის კ. კაუცკიმ გამოსცა თავისი პირველი, შედარებით კაპიტალური შრომა შემდეგი სათაურით: „ხალხთა გამრავლების ზედგავლენა საზოგადოებრივ წინმსვლელობაზე“.

თხზულების შინაარსი უმთავრესათ მარქსის წინააღმდეგ იყო მიმართული. როგორც კაუცკი მოგვითხრობს, იგი შეერთებია ს.-დ. პარტიას არა როგორც შეგნებული მარქსისტი, არამედ როგორც ნახევრათ შეგნებული რევოლიუციონერი, და იგი ნამეტანი ფრთხილობდა ამა თუ იმ ავტორიტეტის, ამა თუ იმ შკოლის დამორჩილებას, დაქვემდებარებას. უნდობლათ შევუდექიო, ამბობს იქვე კაუცკი, მარქსსა და ენგელსის ნაწარმოების შესწავლასო და რამდენათაც ნაკლებათ მესმოდა მათი ნაწერების შინაარსი, იმდენათ „ცალმხრივი“ მეჩვენებოდა მათი შეხედულება და ჩემში ძლიერი სურვილი იღვიძებდა მარქს-ენგელსის კარიტიკებისადმი. ასე ემართება ეველა ახალგაზდა სტუდენტ სოციალისტებს, რომლებიც ზერელათ ეცნობიან მარქს-ენგელსის ღრმა თეორიასო. მარქსიზმის უარეოფა გაცილებით ადვილი საქმეა, ვიდრე მისი გაგება-შეთვისებაო. მეც ასეთი სუმბუქის ხელით მოვეკიდე მარქსიზმსაო, ამბობს კაუცკი.

იმ დროს პარტიის განკარგულების ქვეშ ორი სამეცნიერო ორგანო იმეოფებოდა: „ახალი საზოგადოება“ და „მომავალი“. უკანასკნელი თითქმის პარტიის პირდაპირ ორგანოთ ითვლებოდა, მაგრამ ორთავ ორგანოების რედაქციებს ბევრი რამ საერთო არ ქონია მარქსიზმთან.

დასახელებულ ორგანოებში კაუცკი არ თანამშრომლობდა. მას იმ დროს უფრო სერიოზული კითხვები აინტერესებდა, ვიდრე დღიური საგაზეთო ტემები. კაუცკის მეტათ საეურადღებოთ მიაჩნდა მარქსიზმის მადტუსის თეორიასთან დაკავშირება. ცდილობდა

მარქსიზმის შემსებას მალტუსის შეხედულებით. მან, როგორც ვსთქვით, ამ საკითხს შესწირა თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომი. უნდა აქვე აღვნიშნოთ, რომ კაუცკიმ თავისი პირველნდელი შეხედულება არსებითათ შეიცვალა. ამ ერთი წლის წინათ ხელახლათ გამოსცა დასახელებული წიგნი და სრულიათ გაისწორა წინანდელი მრუდე შეხედულებანი.

მიუხედავათ მარქსის „ავტორიტეტის“ ანტიპატიისა, ამბობს კაუცკი, მაინც ორ უმთავრეს მუხლში ვეთანხმებოდი მასო: 1) ღრმათ დარწმუნებული ვიყავი, რომ პროლეტარიატის საბოლოო განთავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოთ მაშინ, როცა იგი დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებდა ყველა კაპიტალისტურ კლასებსო და მათთან შეურიგებელ პოლიტიკას აწარმოებსო; 2) შეურეველათ ერწამდა მისი მატერიალური შეხედულება ისტორიაზეო. ეს ორივე შეხედულება სრულიათ შეესაბამებოდა კარლ კაუცკის რევოლიუციონურ სულის კვეთებას. გატაცებული ისტორიული მატერიალიზმის შეხედულებით, კაუცკი უნივერსიტეტში მოწყურებული დაეწაფა ისტორიას, თუმცა ამავე დროს იგი თავალიდან არ იშორებდა დარვინის თეორიას. რამდენათაც კი ახლო ეცნობებოდა ეკონომიური განვითარების ისტორიას, იმდენათ კაუცკისთვის დარვინის რასათა წმინდა ზოოლოგიური ბრძოლა არსებობისათვის მის შემეცნებაში მეორე ხარისხოვან ადგილს იკავებდა და მარქსის სოციალური კლასობრივი ბრძოლა კი უპირველესს.

როგორც ვხედავთ, კაუცკი პირველათ მარქსისტდება ისტორიაში, როგორც სოციალისტი-კი იგი დიდხანს ექლექტიკი რჩება. ჯერ ისევ ძლიერი ეოფილიეთ მასზე ლასალის, დუი ბლანის, ბლანკის და თვით რუსსოსიც-კი ზეგავლენა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი თავს ანებებს აკადემიურ კარიერას და იწყობს პარტიულ მოღვაწეობას. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე, სულ შემთხვევით, კაუცკი ეცნობება მარქსის. ახალგაზდა ნასწავლ მოწინააღმდეგეს, კარლ ჰეჰბერგს. სამოცდა-ათი წლების მეორე ნახევარში უკანასკნელი უერთდება გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიას და სრული ენტუზიაზმით სწირავს პარტიას მთელ თავის ძალ-ღონეს და ნივთიერ

შეძლებას. მის რედაქტორობით გამოდიოდა ჩვენ მიერ დასახელებული ჟურნალი „მომავალი“.

ავადმყოფობის გამო, სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებულ კანონების გამოცემამდე, იგი გადასახლდება იტალიის შვეიცარიაში. მას თან მისდევს, როგორც კერძო სეკრეტარი, ახალგაზდა ბანკის მოსამსახურე, ედუარდ ბერნშტეინი. კარლ ჰეჰბერგი და ედუარდ ბერნშტეინი იტალიის შვეიცარიაში ქ. ლუგანოში შეხვდებიან ბენუა მალონას, ემიგრანტ-კომუნარს. ეს ის მალონი გახლავთ, რომელიც ინტერნაციონალში ბაკუნინს მუდამ მხარს უჭერდა. ამ სამებამ, მალონის მეთაურობით, შეიმუშავა შერეული მშვიდობიანი ანარქისტული, მარქსისტული და კათედერ-სოციალისტური შეხედულება. მათ ერთათ შედუღებას მოუვა „სოციალიზმ-ინტეგრალის“ დაარსება. არ ვიცი, გაკვირვებით ამბობს კაუცკი, ლუგანოში ვინ ვისზე იქონია ძლიერი გავლენა: მალონმა ჰეჰბერგსა და ბერნშტეინზე თუ ჰეჰბერგმა და ბერნშტეინმა მალონაზეო? ყოველ შემთხვევაში, ამბობს იქვე კაუცკი, გავლენა ორსავ მხრივ დიდი იყოო.

1878 წ. ჰეჰბერგი ბერნშტეინსა და მალონასთან ერთათ ლუგანოდან გადასახლდება ციურიხში, რომ აქედან ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით დახმარება გაუწიოს გერმანიაში შეკვეთილებულ ს.-დ. პარტიას. ზაფხულში 1879 წელს მან გამოსცა „წლიური სოციალ-მეცნიერებისა და სოციალ-პოლიტიკის“ პირველი ტომი, დოქტორ რიხტერის ფირმით. ციურიხიდანვე იგი რედაქტორობდა ქ. ლეიპციგის პერიოდულ გამოცემას „სახემწიფო მეცნიერებათა საკითხების გამორკვევა“, რომლის შინაარსი უმთავრესათ ეხებოდა სოციალურ რეფორმებს. ამ პერიოდულ გამოცემის ფიქტიურ რედაქტორათ, დოქტორ ზეიფერტი ითვლებოდა. ფიქტიური რედაქტორობა იმ დროს იქაც დიდ მოდაში იყო, სხვა გზით რისამე გამოცემა მოუხერხებელი იყო. დაბოლოს, ჰეჰბერგი 1879 წელს საშუალებას აძლევს პარტიას დაარსებინა ორგანო „სოციალდემოკრატი“, რომელიც კრიჭაში ედგა მოსტის „თავისუფლებას“.

„სოციალდემოკრატისათვის“ ჰეჰბერგს ლიტერატურული ძალები ესაჭიროებოდა; თანამშრომლების შოვნა კი იმ დროს მუტათ

ძნელი საქმე იყო. „სოციალისტების წინააღმდეგ გამოცემულმა კანონმა“ მოსპო მრავალი პარტიული ორგანო, მთელი რედაქტორები უმუშავროთ დარჩენ; პარტიული მუშაკები თითქმის, რომ სრულიათ ჩამოშორდენ სოციალდემოკრატიას; „ინტელიგენტური“ ძალები ძვირი საშოვარი გახდა. ერთი სიტყვით, პარტიას ერთობ შემოფერთხა იდეიური მუშაკები. ვინც კი სძლია გერმანიის უკუღმართ პოლიტიკურ პირობებს და მოახერხა ადგილობრივი მუშობა, ეელთამდინ სავსე იყო სარედაქციო საქმეებით; საშუალება არ ქონდათ პარტიის რთული მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინათ. სწორეთ ასეთ გარემოებით აიხსნება, ე. ი. ლიტერატურულ ძალთა სიმცირით, რომ ჭეჭბერგი თავის ორგანოში „სოციალდემოკრატში“ სათანამშრომლოთ ავსტრიელ ამხ. მიმართავს, სხვათა შორის, კაუტკისაც. სიამოვნებით ეგებება ჭეჭბერგის წინადადებას და ამ დღიდან ენერგიულათ ეწევა პარტიულ პროფესიონალურ მუშობას. დიდი ხანია მას მიზნათ ქონდა გერმანიის პარტიისთვის შეეწირა თავისი ძალ-ღონე და, როგორც კი საშუალება ეძლევა, გატაცებით ესწრაფვის იქითკენ.

მართალია, ამბობს კაუტკი, ჩემი შეხედულება დიამეტრალურათ ეწინააღმდეგებოდა ჭეჭბერგის შეხედულებას. რევოლიუცია და კლასთა ბრძოლა მას ეზიზღებოდა. მისი განზრახვა იყო მიეზიდა სოციალიზმისკენ მთელი ბურჟუაზიული ძალა თუ არა ერთი ნაწილი მაინც. ამისათვის იგი ერიდებოდა ყველა იმას, რაც კი შიშს მოგვრიდა ბურჟუაზულ ელემენტებს სოციალიზმისადმი. მატერიალური შეხედულება მას რაღაცა საშინელებათ წარმოედგინა. მიუხედავათ ამისა, მაინც მას ღრმათ სწამდა შეერთებული ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. და როგორც კი იგი საჭიროთ დაინახავდა ხოლმე, თავს უურიდა არსებულ სოციალისტურ ძალებს და იერიში მიჰქონდა მუშათა კლასის მოწინააღმდეგეებზე. ჭეჭბერგი ასეც მოიქცა. მას ხმაც არ ამოუღია, როცა „სოციალდემოკრატის“ რედაქცია პარტიის მემარცხენე ფოლმარის ხელში გადავიდა. ამავე დროს, ჭეჭბერგი იწვევს ციურიხში კ. კაუტკის სათანამშრომლოთ, მიუხედავათ იმისა, რომ მას კაუტკიმ გულახდილათ განუცხადა თავისი სიმპატია მოსტის „თავისუფლებისადმი“. მაგრამ ეს სიმპა-

ტია, ამბობს კაუცკი, ციურიხში გადასვლის შემდეგ თანდათან სუ-
სტდებოდაო. მოსტმა თავისი რადიკალიზმი ანარქიზმამდის და-
ეკარგაო, მეკიო ჩემი შეხედულება ნებას არ მაძლევდა მას შუამდის
მაინც გავეოლოდიო. ფოლმარმა ციურიხის „სოციალდემოკრატის“
სიმპატიური მიმართულება მისცა; ეს მიმართულება ჩემსა და სა-
ერთოთ პარტიულ ამხ. შეხედულებას მეტათ შეეფერებოდაო. ამი-
ტომაც მთელმა პარტიულმა ამხანაგებმა ციურიხის „სოციალდემო-
კრატის“ გარშემო მოგიყარეთ თავიო.

კაუცკი მუდამ პატივისცემით იხსენიებს ჰეჰბერგს, ვინაიდან
მას მისი მეოხებით საშუალება მიეცა ფართო პოლიტიკურ ასპა-
რეზზე გამოსულიყო და პირადათ გასცნობოდა მარქსსა და ენ-
გელსს. უკანასკნელ გარემოებას მეტათ დიდ მნიშვნელოვან ფაქტათ
აღიარებს.

აი, როგორ მოხდა მისი მარქს-ენგელსთან გაცნობა.

ჰეჰბერგმა, ბრამმა, კუტმა და ბერნშტეინმა საერთოთ შეა-
დგინეს სტატია და მოათავსეს პერიოდულ გამოცემა „წლიურში“.
სტატიის შინაარსი სრულიათ არ შეეფერებოდა პარტიის პრაქტი-
კულ შეხედულებას, ამავე დროს იგი აშკარა გამომხატველი იყო
შემდგენელთა მიმართულებისა. სხვათა შორის, სტატიის ავტორები
ამტკიცებდენ, რომ სოციალისტების წინააღმდეგ გამოცემული
კანონი რევოლიუციონერების თავდაუჭერელ გამოსვლებით და ფრა-
ზეოლოგიით აიხსნებაო; ისინი რომ უახლოეს პრაქტიკულ მოთხო-
ვნებით დაკმაყოფილებულიყვენ, მაშინ უფრო მეტი ბურჟუაზიული
ძალები მოიკრეფდენ ჩვენს გარშემო თავსო, და სხვა ამგვარი უსა-
ფუძვლო ბრალდებები იყო პარტიის მოქმედების წინააღმდეგ წა-
მოყენებული. ასე დაახასიათეს გერმანიის სოციალისტური მოძრაობა.

წერილმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პარტიის წევრთა
შორის და ერთობ აიმხედრა მთელი შეგნებული ელემენტები.
მარქსმა და ენგელსმა ღია წერილით მიმართეს პარტიის გამოჩენილ
მოღვაწეებს და ემუქრებოდენ, უკეთუ კიდევ განმეორდება პარ-
ტიულ ორგანოში ამ გვარი შეხედულებები, იძულებული ვიქნები
საჯაროთ დავგმოთ თქვენი უვარგისი ტაქტიკაო. ასეთ გა-
მოლაშქრებას სრულიათაც არ მოელოდა ჰეჰბერგი. მან უკან დაი-

ხია და საჯაროთ აღარ აქვეუნებდა თავის შეხედულებას. იგი მუდამ ცდილობდა მარქსი და ენგელსი დაერწმუნებინა, რომ მისი საკუთარი თვალსაზრისი ხელს არ უშლის საერთო პარტიულ მუშაობასო. უნდობლობა რომ უფრო მეტათ გაქარწყლებინა, ჰეჰბერგი თითონ გაემგზავრა ლონდონში მარქსისა და ენგელსის პირათ სანახავათ, მაგრამ ამ გამგზავრებამ მიზანს ვერ მიახწია. მერე ეს მისია ბებელმა და ბერნშტეინმა იღვეს თავს. 1880 წელს ლონდონში გაემგზავრენ მარქსისა და ენგელსის სანახავათ და საქმეც კეთილათ დაასბოლოვეს. ამიერიდან ბერნშტეინსა და ფრიდრიხ ენგელსს შორის დამკვიდრდა მეგობრული განწყობილება, ერთმანეთში განუწყვეტელი საჯირო კითხვებზე მიწერ-მოწერა. ამ მიწერ-მოწერის მეოხებით ბერნშტეინი ექექტიკი გატაცებულ მარქსისტათ გადაიქცა.

ნდობა რომ უფრო განმტკიცებინა, ჰეჰბერგმა გაზაფხულზე 1881 წელს ახლა კაუცკი გაგზავნა მარქსსა და ენგელსთან. კაუცკიმ რამდენიმე თვე დაჰყო ლონდონში მარქსსა და ენგელსთან; მათთან დაახლოებამ მასაც განუმტკიცა და გაულრმავა მარქსისტული შეხედულება.

ახლა კაუცკი და ბერნშტეინი გარკვეულ მარქსისტულ შეხედულებით მხურვალეთ თანამშრომლობენ „სოციალდემოკრატში“. და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ამხ. ექექტურ შეხედულებას. გაჩნდენ ხელ-ახლათ პარტიაში მემარცხენეები და მემარჯვენეები. ამ დროს „სოციალდემოკრატია“ ბერნშტეინის ხელში გადავიდა. ჰეჰბერგი, რასაკვირველია, მარჯვნიგ დარჩა. იგი არ ეთანხმებოდა კაუცკის და ბერნშტეინის შეხედულებას. და ბოლოს ჰეჰბერგი სრულიათ სწუგეტს მემარცხენეებთან კავშირს და სუბსიდიასაც უსპობს „სოციალდემოკრატიას“. „სოციალდემოკრატიამ“ ამით ბევრი მოიგო: იგი საკუთარ ფეხზე დადგა და ნამდვილი გამოსახატველი იეო პარტიის მემარცხენე ამხანაგებისა.

1882 წელს კაუცკი გაშორდა ჰეჰბერგს და 1883 წელს საკუთარ თვიურ ჟურნალ „ნოიე ცეიტს“ აარსებს, ორგანო, საცა სისტემატიურათ უნდა გატარებულიეო მარქსისტული შეხედულება. უმთავრესათ თეორიული ხასიათი უნდა ქონოდა, „სოციალდემოკრატიას“ კი პრაქტიკული. პირველათ კაუცკის თეორიული კა-

მათი კ. შრამთან მოუხდა. კაუცკის „სოციალდემოკრატიდან“ ბერნშტეინმა დაუჭირა მხარიდა საერთო იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე.

ენგელსს რომ უფრო დაახლოვებოდა, კაუცკი 1885 წელს გადასახლდა ლონდონში და იქ, ხანგამოშვებით, 1890 წლამდე ცხოვრობდა. ლონდონში იგი ენგელსის ხელმძღვანელობით ენერგიულათ მუშაობდა მდიდარ ბრიტანიის მუზეუმში და ითვართოებდა მატერიალურ შესედულებას ისტორიაზე. ამ მუშაობის ნაუოფი იუო „ტომას მორი“ და „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“.

1888 წ. უველა ჰირები, ვინც კი „სოციალდემოკრატის“ რედაქციაში თუ ექსპედიციაში მუშაობდა, გაძევეს შვეიცარიიდან. ახლა მისი გამომცემლობა ლონდონში გადაიტანეს. ბერნშტეინი დატრიალდა ენგელსის და კაუცკის წრეში. ორთავემ მეგობრულათ დაიწუეს საერთო თანამშრომლობა. 1890 წ. გერმანიაში გაუქმეს სოციალისტების წინააღმდეგ კანონი. ამ გარემოებამ გამოიწვია „სოციალდემოკრატის“ გაუქმება და „ნოიე ცეიტის“ უოველკვირეულ ორგანოთ გადაკეთება, რომლის მუდმივ თანამშრომლათ ბერნშტეინიც ითვლებოდა. მალე რედაქცია გერმანიაში, ქ. შტუტგარტში, გადავიდა. ბერშტეინს ნება არა ჰქონდა გერმანიაშ ცხოვრებისა და ამისათვის იგი ლონდონში რჩება და იქიდან თანამშრომლობს.

აქედან უკვე იწუება ბერნშტეინსა და კაუცკის შორის იდეიური განსხვავება. გერმანიაში კაუცკის ხშირათ აღარ უხდება „ნოიე ცეიტის“ ფურცლებზე აკადემიურ კითხვებზე ბაასი. ცხრვრებამ მას ბევრი პრაქტიკული კითხვა წამოუუენა, რომლის ასე თუ ისე გადაჭრა აუცილებელი შეიქნა. თეორიამ პოლიტიკას დაუთმო ადგილი. 1890 წ. კაუცკის, ორგანოს გარეშეც უმთავრესათ მიმდინარე კითხვებზე მოუხდა მუშაობა. ამის ნაუოფი იუო კაუცკის მიერ დაწერილი შემდეგი შრომები: „ერფურტის პროგრამა“, „პარლამენტარიზმი, სახალხო კანონმდებლობა და სოციალდემოკრატია“, „აგრარული საკითხი“ და სხ.,*) რომლებსაც პროპაგანდული და პოლემიკური ხასიათი ესვა.

---

*) არის გამოცემული ქართულ ენაზე: „ერფურტის პროგრამა“, „ინტელიგენცია და პროლეტარიატი“ და მოკლეთ „აგრარული საკითხი“.

სულ სხვა ხასიათი მიიღო 1890 წ. ბერნშტეინის მოღვაწეობამ. იმის მაგიერ, რომ თავის თვალით დაკვირვებოდა გერმანიის პოლიტიკურ პირობებს, იგი აკვირდება ინგლისისას, იმის მაგიერ, რომ ებრძოლა, მას კაბინეტური ცხოვრება უხდება. მან მარქსიზმიდან, როგორც კაუცკი ამბობს, უმთავრესათ ბრძოლის ფილოსოფია შეითვისა და არა კვლევა-ძიებისა. ამას ზედ დაუმატოთ ინგლისის სოციალ-პოლიტიკური პირობების ზეგავლენა, მაშინ კი აშკარა იქნება, თუ რათ იჩინა თავი ლანგეს და დიიფრინგის, ჰეჰბერგის გავლენამ ბერნშტეინზე. ვიდრე ენგელსი ცოცხალი იყო და იმასთან იმეოფებოდა, ვერ სცდებოდა მარქსისტულ ბრძოლის პოზიციას, მაგრამ როგორც კი ენგელსი გარდაიცვალა 1895 წ., იგი სწრაფათ ექანება ოპორტუნიზმის დაღმართისაკენ. აქედან იწყება ბერნშტეინსა და კაუცკის შორის თეორიული და პრაქტიკული განხეთქილება და ერთმანეთში ყველასგან ცნობილი პოლემიკა, რომელიც დღემდის არ გათავებულა და არც მალე გათავდება.

ასეთია მოკლეთ კაუცკის წარსული.

დღეს იგი გერმანიის დედა-ქალაქ ბერლინში ცხოვრობს, რედაქტორობს პარტიულ ცენტრალურ სამეცნიერო ორგანოს „ნოიე ცეიტს“ და ახალგაზდურ ენერგიით განაგრძობს მეცნიერულ მუშაობას. ᲗᲐ.

კარლ მარქსი

(1818—1883)

ამ რამდენიმე ათი წლის წინათ ფრიდრიხ ენგელსმა, გერმანიის ერთ-ერთ პოლიტიკურ ეკონომიის კრებულში, კარლ მარქსის ბიოგრაფიული ცნობები ერთ ვრცელ წერილათ მოათავსა, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „ჰეინრიხ კარლ მარქსი დაიბადა ხუთ მაისს 1818 წ. რეინის პროვინციის მთავარ ქ. ტრიერში. მამა მისი, ჰეინრიხ მარქსი, პირველათ ვექილი იყო, შემდეგში სასამართლოს დაწესებულებაში დიდი ალაგი მიიღო; ჩამომავლობით იგი იყო ებრაელი. როგორც მარქსის ნათლობის მოწმობიდან სჩანს, მამა მისმა 1828 წ. სარწმუნოება გამოიცვალა და მიიღო ქრისტიანობა. მარქსის მამის სარწმუნოების გამოცვლას უველა თავისებურათ ხსნის. ერთი ბურჟუაზიული კომპილატორი მოგვითხრობს, რომ ვექილი ჰეინრიხ მარქსი პრუსიის რეაქციონურმა მთავრობამ 1815 წელს ისეთ აუტანელ პირობებში ჩააყენა, რომ იგი ან უნდა მონათლულიყო, ან არა და, სამსახურისთვის თავი დაენებებინა. მაგრამ ამ ამბავს, როგორც ფრანც მერინგი ამბობს, ზღაპართან უფრო ქონია მგზავსება, ვიდრე სიმართლესთანო.

არც ვილჰელმ ლიბკნეხტის ცნობები, მარქსის მამის მონათელაზე, ეოფილა სრულიათ მართალი. ლიბკნეხტის სიტყვით, მარქსის დაბადებამდე, მთავრობამ ედიქტი (კანონი) გამოსცა, რომლის ძალითაც სამსახურში მყოფი ებრაელები უნდა მონათლულიყვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ თავი უნდა დაენებებინათ თავიანთ სამსახურ-თანამდებობისათვის. ამან აიძულა მარქსის მამა ქრისტიანობა მიეღოო. მერინგი თავის „ნახლასებში“ სწერს, რომ პრუსიის მთავრობას, მართალია, დიდი ცოდვები მიუძღვის ისტორიის წინაშე, მაგრამ მას არ გამოუცია ისეთი ედიქტი, რო-

მელზედაც დიბენეხტი დაპარკობსო. რეინის პროვინციაში, ამბობს იგივე მერინგი, ნაპოლეონის კოდექსი (კანონმდებლობა) არსებობდა, რომლის ძალითაც ებრაელები უფლებრივათ სრულიათ გათანასწორებულნი იყვენ დანარჩენ ქრისტიან მოქალაქეებთან. მართალია, ებრაელთა უფლებრივი თანასწორობა უკვე ფრანგების ბატონობის დროს, სახელდობრ 1808 წ. 17 მარტის ედიქტის ძალით ცოტათი შეიზღუდა, მაგრამ ეს ედიქტი მეკვახშე ურიებს შეეხებოდა. ედიქტში, ებრაელთა სარწმუნოების შესახებ, ერთი სიტყვაც არ ეთქვა ნასსენები; იგი მეკვახშე ურიებს უკრძალავდა, რომ მათ საგირავნოში დდიურ ქირაზე მომუშავენი, ხელზე-მოსამსახურენი, საწარმოო იარაღები, ტანისამოსი და სხვ. ამისთანები არ აეღოთ. ედიქტი მხოლოთ ათი წლის განმავლობაში ეთქვიდეთ ძალაში. პრუსიის მთავრობამ დაინახა რა მისი პრაქტიკული უმნიშვნელობა უმალვე გაუქმა. როგორც ვხედავთ, არც ედიქტის შინაარსი, არც რომელიმე გარეგანი პირობები არ აიძულებდენ ჭეინრიხ მარქსს სარწმუნოება გამოეცვალნა. ჭეინრიხ მარქსმა სრულიათ ძალდაუტანებლივ, თავისი სურვილისამებრ შეიცვალა სარწმუნოება. იმ დროს უველა განათლებული ებრაელი, ლეიბნიცის ფილოსოფიის ზეგავლენით, ქრისტიანობას იღებდა, ვინაიდან ქრისტიანული სარწმუნოება, განსაკუთრებით პროტესტანტიზმი, მოსეს სარწმუნოებასთან შედარებით, უფრო თავისუფალი და რაციონალური იყო.

კ. მარქსის დედა ჭოლანდიელ ებრაელის ქალი იყო. როგორც მარქსის ქალიშვილი, ელეონარ მარქსი, მოგვითხრობს, მის დიდედას, ე. ი. მარქსის დედას, გერმანიული ენა საკმარისათ არ ცოდნია, სიკვდილამდის დამტვრეულ გერმანიულ ენით დაპარაკობდა. იგი ბედნიერება იყო მთელი ოჯახისა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ აკლებდა თავისს ოჯახს დედობრივ სიყვარულ-ერთგულებას, შრომას და გარჯილობას, რამაც, რასაკვირველია, დიდი ადმზრდელობითი გავლენა იქონია შვილების ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე. კარლ მარქსის მშობლებს პირველათ ქალიეყოლათ, სახელათ სოფიოს ეძახდენ; შემდეგ კარლ მარქსი დაიბადა, რომელზედაც იმთავითვე დიდ იმედებს ამყარებდენ და სახ-

ლის და დედ-მამის ნუგეშათ აღიარებდენ. ბავშობისასვე მარქსს ისე ძლიერათ აჩნდა ბუნებრივი ნიჭი, რომ მის მშობლებს ძალა-უნებურათ ებადებოდათ ერთნაირი წინასწარი გრძნობა, რომელიც მათ ეუბნებოდა, რომ მათი შვილი მომავალში კატობრიობის დიდი მოამაგე და მეჭირნახულე იქნება. ამიტომაც ჰატარა კარლს დედა „ბედნიერს“ ეძახოდა.

განათლებულმა მშობლებმა ჰატარა კარლი, სწავლის დრო რომ მოუვიდა, ტრიერის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს, ს

ერთ შორის. ამ ოჯახის ბავშვები სულ ერთათ იზდებოდენ; პატარა მარქსი თავიდანვე ლუდვიგ ფონ-ფესტფალს ძალიან უყვარდა და დიდს იმედებსაც ამყარებდა მასზე. მარქსიც მთელ თავის სიცოცხლეში პატივით და დიდებით იხსენიებდა. ეჭვს გარეშეა, რომ კარლ მარქსმა ფონ-ვესტფალის ოჯახში ბევრი რამ კარგი შეიძინა, იდეალურმა გრძნობებმა გაიღვიძეს მასში. ფონ-ვესტფალის ოჯახმა ჰომერის მთელი ლექსები თითქმის ზეპირათ იცოდა, შექსპირის დრამების უდიდესი ნაწილი გერმანიულათ და ინგლისურათ ზეპირათ ქონდათ ნასწავლი; უკანასკნელ პოეტის, ე. ი. შექსპირის ნაწერები, მარქსს განუშორებლათ ხელთ ჰქონდა.

რასაკვირველია, თვრამეტი წლის ახალგაზდა მარქსს, რომელსაც მხოლოთ ორი სემესტრი ჰქონდა მოსმენილი და ისიც ქეიფობაში გატარებული, არ ექნებოდა იმდენი მოქალაქობრივი გაბედულობა, სამოცდა-ათი წლის მოხუც ფონ-ვესტფალისთვის ქალი ეთხოვა. ამიტომ საიდუმლოთ მოახერხა ჟენიას დანიშვნა, ჟენიას დედმამის გაუგებრათ. მხოლოთ შემდეგში გაიგეს მათ საიდუმლო ნიშნობა და აღტაცებით მიეგებენ ახალ-გაზდათა ცოდ-ქმრულ სიუვარულს. მარქსის საცოლო მეტათ ნიჭიერი და გონიერი ადამიანი იყო, სიმშვენიერით განთქმული მთელ ტრიერში. ქალის მამა, როგორც ზევით ვამბობდით, დიდი მოხელე იყო, და მისი ნახევარ ძმა, რომელმაც შემდეგში რეაქციონერი მინისტრის პორტფელი მიიღო, წმინდა ბიუროკრატიული ¦მისწრაფებით იყვენ შეპყრობილნი. ოჯახში წმინდა ბიუროკრატიული ატმოსფერა ტრიალებდა. მაგრამ ამან ვერ გასტეხა ჟენიას დიდსულოვანი მიდრეკილება, ვერ ჩაქრო მასში ჭუმანიური, საკაცობრიო იდეალები, რომელსაც იგი სიკვდილამდის ერთგულათ ემსახურებოდა.

1835 წელს მარქსი ბერლინის უნივერსიტეტში გადადის. იგი ერთ თავისს მოხსენებაში აი, რას მოგვითხრობს უნივერსიტეტის ცხოვრებიდან: ჩემს სპეციალურ საგანს იურიდიული მეცნიერება შეადგენდა, თუმცა ფაქტიურათ კი უფრო ფილოსოფიასა და ისტორიას ვსწავლობდიო. მარქსის ნათქვამი არ ეთანხმება სინამდვილეს. ჩვენ რომ მის ლექციების ფურცელს გადავხედოთ, დავინახავთ, რომ ცხრა სემესტრის განმავლობაში, ლექციები

უმთავრესათ იურიდიულ მეცნიერებიდან აქვს მოსმენილი, მაგრამ ეტეობა დექციების კარეო სპეციალურათ ფილოსოფიასა და ისტორიაში მეცადინეობდა; 1841 წელს ეპიკურის ფილოსოფიაზე დისერტაცია დაწერა და მიიღო დოქტორის ხარისხი. ამავე წელიწადს გადასახლდა ბონში, აქ უნდოდა პრივატ-დოცენტი გამხდარიყო. მაგრამ მაშინდელმა მძიმე აუტანელმა პირობებმა და პრუსიის სასტიკმა რეჟიმმა, მარქსი და მისი კარგი მეგობარი, თეოლოგიის დოცენტი, ბრუნო ბაუერი, აიძულა გაშორებულიყვენ ბონის უნივერსიტეტს. გაიგეს, რომ მათ პრუსიის უმაღლეს სასწავლებლებში ადგილი არ ქონდათ. ამავე წელიწადს რეინის ახალგაზდა, ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიის ზეგავლენის ქვეშ იმეოფებოდა, კამპუზენისა და ჰანსემანის თანხლობით, ქალაქ კიოლნში დაარსა დიდი ოპოზიციონური ორგანო „რეინის გაზეთი“. აქ ოცდა-ხუთი წლის კ. მარქსი და ბრუნო ბაუერი მთავარ თანამშრომლებათ მიიწვიეს. გაზეთის პირველი ნომერი 1842 წ., პირველ იანვარს გამოვიდა. მარქსი ახალ გაზეთში ბონიდან თანამშრომლობდა და რამდენიმე გრძელი სტატია მოათავსა; მისი უმთავრესი სტატიები იყო: „რეინის პროვინციალურ ლანდტაგის მოქმედების კრიტიკა“, „წვრილ მევენახე გლეხთა მდგომარეობაზე“, „ტეიდან შეშის პარვა და მის წინააღმდეგ კანონმდებლობა“ და სხვა. აქ ჩამოთვლილმა სტატიებმა ისეთი პუბლიცისტის და მოგაზეთის სახელი გაუთქვა მარქსს, რომ მას გაზეთის გამომცემელ-ხელმძღვანელებმა. გაზეთის მთავარი ხელმძღვანელობა მიანდეს. მარქსმა 1842 წელს, ოქტომბრის პირველ რიცხვებში, იკისრა გაზეთის ხელმძღვანელობა და კიდეც გადასახლდა კიოლნში. მარქსის ხელმძღვანელობის დროს გაზეთმა მეტათ მკაცრი ოპოზიციონური მიმართულება მიიღო. მიუხედავათ იმისა, რომ გაზეთს გაძლიერებული ცენზურა აღევნებდა თვალყურს, სასტიკ ყურადღებას აქცევდენ, მარქსი მაინც ისე ოსტატურათ, ისე მოხერხებულათ აწარმოებდა მთელი გაზეთის საქმეს, რომ გაზეთმა დიდხანს იარსება. მხოლოთ 1843 წელს ადმინისტრაციის განკარგულებით „რეინის გაზეთი“ შეჩერდა.

ამის შემდეგ მარქსმა გადაწყვიტა საფრანგეთში, პარიზში, გადასახლებულიყო. იქვე აპირებდა გადასახლებას არნოლ რუგე, რომელსაც, თითქმის ერთდროულად, მარქსის ორგანოს შეჩერების დროსვე, დაუხურეს ორგანო „გერმანიული ყოველ-წლიური“. ვიდრე გაემგზავრებოდა, მარქსმა ჯვარი დაიწერა თავისს დანიშნულ ყანია ფონ-ვესტფალისაზე და ახალ-გაზდა ცოდ-ქმარი 1843 წ. შემოდგომაზე გადასახლდენ პარიზში, საცა მარქსმა და რუგემ გამოსცეს „გერმანიულ-ფრანგული ყოველ-წლიური“. ყურნალის მხოლოთ პირველი რვეული გამოვიდა, პირველ ნომრის გამოცემისთანვე მოისპო მისი არსებობა. ჯერ ერთი იმისთვის, რომ გერმანიაში მისი არა ლეგალურად გავრცელება ძალიან ძნელი იყო და დიდ ხარჯსაც ითხოვდა, მეორეც—ამას ზედ დაერთო რედაქტორთა, მარქსა და რუგეს, შორის პრინციპიალური განხეთქილება, რომელმაც პირველ ნომრის გამოცემისთანვე სასტიკათ იჩინა თავი. რუგე, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰეგელის ფილოსოფიისა და პოლიტიკურ რადიკალიზმის ბურუსში გაეხვია, მარქსი კი პოლიტიკურ ეკონომიის, ფრანგთა სოციალისტების და საფრანგეთის ისტორიის შესწავლას შეუდგა. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ იგი სოციალიზმის ბანაკში გადავიდა და გასოციალისტდა. 1844 წ. ფრიდრიხ ენგელსი, რამდენიმე დღით, პარიზში მარქსთან მოვიდა. ორივენი ერთათ თანამშრომლობდენ „გერმანიულ-ფრანგულ ყოველ წლიურში“ და დიდი მიწერ-მოწერა ქონდათ გამართული. ამ ხნიდან იწყება მათი საერთო თანამშრომლობა, უმაგალითო მეგობრობა, რომელმაც სიკვდილამდე გასტანა შრომის და მეცნიერულ-პოლიტიკურ მოღვაწეობის ასპარეზზე. 1845 წელს მათ საერთო შრომით გამოუშვეს ცნობილი საპოლემიკო ნაშრომი „წმინდა ოჯახი ბრუნო ბაუერის და კონსორტების წინააღმდეგ“, რომელშიაც სასტიკათ გაკრიტიკებულია ჰეგელის ფილოსოფიური, განსაკუთრებით უფლებრივი შეხედულება, მთელი მისი შკოლა.*)

ამავე დროს პარიზში გამოდიოდა გერმანიულ ენაზე პატარა კვირეული ყურნალი „წინ“. მარქსი რედაქციაში ახლო მონაწილე-

---

*) როგორც ფრიდრიხ ენგელსი აღიარებს, ამ ნაწერის დიდი ნაწილი, თითქმის შვიდი ფორმა მარქსს ეკუთვნის. იხ. ფრანც მერინგის „ნახლასები“.

ობას ადგებდა. რამდენიმე საინტერესო წერილი მოათავსა იმ დროის გერმანიის აბსოლიუტიზმის და უალბ კონსტიტუციის წინააღმდეგ; წერილებში სასტიკათ იყო გაკიცხული ერთიც და მეორეც. ამ წერილების გამო ჰრუსიის მთავრობამ, მინისტრ გუიტოტის პირით, წინადადება მისცა, მარქსი საფრანგეთის საზღვრებიდან გაეძევებინათ. საფრანგეთის მთავრობამ ჰრუსიის მინისტრის თხოვნა უპროტესტოთ ასრულა და მარქსი დაუყონებლივ განდევნა საფრანგეთიდან. 1845 წ. დასაწყისში მარქსი ბელგიის მოავარ ქ. ბრიუსელში გადასახლდა, სადაც ჩქარა ფრიდრიხ ენგელსიც მივიდა. აქ მან მალე გამოაქვეყნა ცნობილი საპოლემიკო წიგნი ანარქისტ პრუდონის წინააღმდეგ „ფილოსოფიის სიღატაკე“, რომელიც 1847 წ. დაიბეჭდა. ეს საუცხოო ნაწარმოები ავტორმა ფრანგულ ენაზე დაწერა. ამავე წელს დასტამბა პაწია ბროშურა „სიტყვა თავისუფალ ვაჭრობაზე“. ეს წიგნაკიც ფრანგულ ენაზე დაიწერა. გარდა ამისა, ერთგულათ თანამშრომლობდა „ბრიუსელის გერმანიულ გაზეთში“, სადაც რამდენიმე ცნობილი წერილი დასტამბა. 1848 წელს მარქსმა და ენგელსმა, შეერთებული შრომით, კომუნისტთა ცენტრალურ კავშირის (საადუმლო ჰროპაგანდისტთა საზოგადოება იყო) დავალებით გამოაქვეყნეს ცნობილი „კომუნისტური მანიფესტი“, რომელიც დღეს მთელ სოციალდემოკრატიულ მუშათა მოძრაობის თეორეტიულ მოძღვრების ქვაკუთხელს შეადგენს...

ამ ხნის განმავლობაში მარქსმა „ბრიუსელის გერმანიის გაზეთში“ რამდენიმე მწვავე სტატია მოათავსა, რომელმაც ხელმეორეთ განარისხა ჰრუსიის მთავრობა, მაგრამ ამხელათ მისმა განრისხებამ უნაყოფოთ ჩაიარა. მარქსი ბელგიის საზღვრებიდან არ გაუძევებიათ, როგორც ამას ჰრუსიის მთავრობა თხოულობდა. მხოლოთ, როცა 1848 წელს თებერვლის რევოლიუციამ იფეთქა და ბრიუსელშიაც გამოიწვია ხალხის მოძრაობა, ბელგიის მთავრობას შეეშინდა უცხოელ რევოლიუციონერებისა, დაიჭირა მრავალი რევოლიუციონერი, მათ შორის მარქსიც, და გაძევა თავისი საზღვრებიდან. ახლა მარქსს, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის განკარგულებით, ნება მიეცა საფრანგეთში ცხოვრებისა და იგიც ისევ პარიზში დასახლდა, რასაკვირველია იმ განზრახვით, რომ იქ მხოლოთ დროებით გაჩერებულიყო.

აქ მარქსს, უწინარეს ყოვლისა, ცხარე შეტაკება მოუვიდა ჰარიზელ გერმანელებთან, რომელთაც განეზრახათ შებრძოლთა რაზმის შედგენა, მათი საშუალებით გერმანიაში რევოლიუციის მოხდენა და რესპუბლიკურ წყობილების შეტანა. მაგრამ მათი განზრახვა სამუდამოთ ჩაიშალა, ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღო. მარქსმა და კომუნისტთა კავშირის სხვა დანარჩენმა წევრებმა შეაგროვეს ოთხასამდე უმუშაგროთ დარჩენილი გერმანელი და თავისუფალი მეომარი, ტოტოდენი საგზაო ფული მისცეს და სამშობლო გერმანიაში გაისტუმრეს.

ამის შემდეგ მალე მარქსმა ცნობა მიიღო, გერმანიაში ცხოვრება და მოღვაწეობა შეგიძლიანო. იგი დაუყონებლივ გაემგზავრა ხუთ აპრილს ქ. კიოლნს და დაიწყო „ახალი რეინის გაზეთის“ გამოცემა, სადაც, ენგელსის გარდა, სხვა მრავალი ლიტერატორიც თანამშრომლობდა. ამათ შორის იყო ცნობილი პოეტი ფრეილიგარტი და არა ნაკლებ ცნობილი ფელეტონისტი გეორგ ვეერტი, ფერდინანდ ვოლფი და ვილჰელმ ვოლფი (უკანასკნელს მარქსმა უძღვნა თავისი „კაპიტალი“) და ერნს დრონკე.

„ახალი რეინის გაზეთმა“ თიოქმის ერთ წელს იარსება— 1848 წ. პირველ ივნისიდან 1849 წ. 19 მაისამდე,—მხოლოთ ქ. კიოლნში საალეო წესების გამოცხადების გამო, შემოდგომის თვეებში, გაზეთი დროებით შეჩერებული იყო. ნოემბრის რიცხვებში 1848 წ. დადგა საშინელი კრიზისი, პრუსიის ნაციონალური კრება დაიშალა. „ახალი რეინის გაზეთი“ ყოველ თავის ნომერში მოუწოდებდა ხალხს—უარი ეთქვათ სახემწიფო გადასახადების მიცემაზე, შეიარაღებული ამბოხება მოეხდინათ მთავრობის წინააღმდეგ. გაზაფხულზე 1849 წ. ამ მოწოდებათა და სხვა სტატიების გამო „ახალი რეინის გაზეთის“ რედაქტია პასუხის გებაში მისცეს, მაგრამ, ორივე შემთხვევაში, რედაქტია და მისი თანამშრომლები გაამართლეს. მხოლოთ, როცა 1849 წელს, მაისის რიცხვებში, დრეზდენისა და რეინის პროვინციებში რევოლიუციონური აჯანყება პრუსიის ძლევა-მოსილმა მხედრობამ დაამარცხა, მარქსმა მაშინ „ახალი რეინის გაზეთის“ უკანასკნელი ნომერი წითელი ასოებით გამოუშვა და გამარჯვებულმა მთავრობამ გაზეთი სამუდამოთ შეაჩერა.

რედაქციის ხელმძღვანელ-თანამშრომლები დაიმალნენ; რედაქტორი მარქსი კი ან უნდა სასამართლოს გზით დაეჭირნათ და ანუ, როგორც უცხოელი (მარქსმა ბრიუსელში ცხოვრების დროს პრუსიის ქვეშევრდომობიდან თავი კაინთავისუფლა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქე გახდა), საზღვრებიდან გაედევნათ. ამიტომ იგი, მთავრობის განკარგულებით, გერმანიის საზღვრებიდან უნდა გასულიყო. მთელი გაზეთის ინვენტარი, თავისი საკუთრება, 1000 ტალერათ ღირებული (ტალერი ჩვენებურ თოთქმის მანეთ-ნახევარს უდრის) და ხელის მომწერთა ფული მარქსმა თითქმის ნასამედ ფასში მოვალეებს დაუნარჩუნა; სამასი ტალერი ისესხა და ასოთამწყობებსა და მესტამბეს მისცა. თავისს სამოგზაუროთ ცოდის ძვირფასი ნივთები დააგირავა და ამ ფულით გაემგზავრა პარიზისკენ. პარიზში ამ დროს, ცამეტ იანისს, მოხდა დიდი დემონსტრაციები, ეგრეთ წოდებულ სოციალდემოკრატების ხელმძღვანელობით. რეაქციონერებმაც იშოვეს მიზეზი და მარქსს მოსთხოვეს, ან საფრანგეთიდან გასულიყო, ანდა ბრიტანიაში გადასახლებულიყო. რასაკვირველია, მარქსმა უკანასკნელი ამჯობინა და სამუდამოთ გადასახლდა ლონდონში, სადაც სიკვდილამდე დაჰყო.

ლონდონში მარქსმა განაგრძო თავისი „ახალი რეინის გაზეთის“ გამოცემა, მხოლოთ ამ ჯერათ თვიურ ჟურნალის ფორმით. ჟურნალი უმთავრესათ პოლიტიკურ-ეკონომიურ შინაარსისა იყო. ნივთიერ უსახსრობის გამო გამოუშვა სულ ექვსი რვეული და მერე შეაჩერა. თუმცა მარქსი თავის დროის უმეტეს ნაწილს ეკონომიური მეცნიერების შესწავლას ანდომებდა, კაპიტალისტურ წარმოების პროცესს იკვლევდა, მაინც არ შეეძლო პოლიტიკას სრულიათ ჩამოშორებოდა. პირველათ იგი შეეხო საფრანგეთის 1848—1849 წ. წ. სოციალურ მოვლენათა მიზეზ-შედეგების გამორკვევას; მერე ენგელსის თანადასმარებით დასწერა რეცენზიები და პოლიტიკური მიმოხილვა. ამ შრომას ჩქარა ზედ მოუვა 1851 წ. „მეთვრამეტე ბრიუმერი ლუი ბონაპარტესი“, ს

ტრიბუნაში“ თანამშრომლობდა. სტატიების უმეტესი ნაწილი მარქსის მიერაა ხელმოწერილი. წერილების შინაარსი უმთავრესათ ევროპის და აზიის ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობას ეხებოდა. მისი თანამშრომლობა „ნიუ-იორკის ტრიბუნაში“ გაგრძელდა ამერიკის მოქალაქობრივ ომის დაწყებამდე.

1859 წელს მარქსმა კარლ ფოგელთან, იტალიის ომის შესახებ, საინტერესო კამათი გამართა, რომელიც შემდეგში ცალკე წიგნაკათ გამოვიდა. ამავე წელს მარქსმა, ბრიტანიის მუზეუმში ხანგრძლივ ეკონომიურ მეცნიერების სწავლის შემდეგ, გერმანიის დედა-ქალაქ ბერლინში გამოუშვა პირველი რვეული: „კრიტიკა პოლიტიკურ ეკონომიისა“. ჯერ მეორე რვეული არ გადაეთარგმნა, რომ მარქსმა ისევ თავიდან დაიწყო თავისი ძირითადი პრინციპის გამოკვლევა და, პირველი რვეულის გაგრძელების მაგიერ, გამოსცა ქ. ჰამბურგში 1867 წ. „კაპიტალის“ პირველი ტომი. მეორე და მესამე ტომი მარქსს უკვე სქემატიურათ შემუშავებული ქონდა, რომ შემთხვევა მიეცა ხელახლათ შესდგომოდა პრაქტიკულ მოქმედებას. 1864 წ. დაარსდა მუშათა საერთაშორისო კავშირი „ინტერნაციონალი“. ამის დაარსებით, ამბობს ენგელსი, ბევრმა ფრანგმა საუცხოო სახელი გაითქვაო, თუმცა სულ ტეუიდათო. მართალია, ამბობს იგივე ენგელსი, „ინტერნაციონალი“ მარქსს არ დაუარსებია და არც შეიძლება ასეთი სოციალური კავშირი ერთი რომელიმე კაცის ნამოქმედარ-ნამოდგაწევი იყოს, მაგრამ მან შესძლო „ინტერნაციონალში“ თავმოყრილ სხვა და სხვა ძალების, სხვა და სხვა ელემენტების მორიგება-შეერთება და მათი ჰარმონიულათ ამოძრავება დასახელებულ მიზნის განსახორციელებლათ. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, როგორც ისტორიული ფაქტები გვეუბნება, „ინტერნაციონალში“ სხვა და სხვა ელემენტების, სხვა და სხვა მიმართულების მორიგება შეეძლებელი ხდებოდა. „ინტერნაციონალის“ უკანასკნელ კონგრესზე, სახელდობრ 1870 წ., დიდმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი, განსაკუთრებით აგრარიულ საკითხის შესახებ. რასაკვირველია, აქ ცოტა უადგილოთ მიგვაჩნია ინტერნაციონალის ისტორიაზე ლაპარაკი; საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მარქსი იყო ინტერნაციონალის მთავარი ხელმძღვანელი და დიდ-

ხნობამდის მისი მასულდგმულებელი; ყველა გენერალ საბჭოს განკარგულებანი მარქსის დაწერილია. გარდა იმისა, რომ შეიმუშავა ინტერნაციონალის სტატუტები, მისი ძირითადი შეხედულებანი, როგორც ვამბობდით, მან შეაერთა, ერთათ მოათავსა საფრანგეთის პრუდონისტები, გერმანიის კომუნისტები და ინგლისის ახალი პროფესიონალური კავშირის გამგეები; იმ დრომდის მაინც, ვიდრე ზოგიერთ გაიძვერა პირთა მოქმედებამ, მუშათა მოძრაობის წინაალმდეგ, აშკარათ არ იჩინა თავი. ამათ შორის განსაკუთრებით ცულათ და სამარცხვინოო მიხეილ ბაკუნინი იქცეოდა. მართალია ამის შემდეგაც მარქსმა შესძლო დროებით კიდევ მოერიგებინა ერთი მეორის წინააღმდეგი ელემენტები, მაგრამ პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ ეს მთლათ შეუძლებელი და გახდა. ბრძოლა სხვა და სხვა ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ და ამავე დროს მათ წინააღმდეგ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის ამხედრება, შეუძლებელს ხდიდა ძველი გზით ბრძოლის წარმოებას, ვინაიდან უკანასკნელ ბრძოლის მეთოდი მეტ მორალურ ძალას და მეტ ნივთიერ სახსარს საჭიროებდა. „ინტერნაციონალს“ კი არც ერთი ქონდა და არც მეორე. ასე, შინაურმა და გარეულმა არეულობამ „ინტერნაციონალის“ დანგრევას ნიადაგი მოუმზადა. ჰაგის კონგრესის შემდეგ (1870 წ.) „ინტერნაციონალი“ დაიშალა.

მართალია, „ინტერნაციონალის“ დაშლის მერე მარქსი აღარ ეწევა საჭირო აგიტაციას, თითქმის სრულიათ ჩამოშორდა პრაქტიკულ მოქმედებას, პრაქტიკულ მოღვაწეობას, მაგრამ მაინც მხურვალე მიწერ-მოწერა ქონდა ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებთან, აძლევდა თეორიულ და პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას. იგი ხელახლათ შეუდგა ძველებურ მუშაობას, ეკონომიურ ურთიერთობის შესწავლას, რის მეხებითაც მან თავისი ცოდნა-შეხედულება გაალრმავა, გაამთლიანა. ზემოიწევნით სწავლობდა თავისი საგულისგულო საგნის ისტორიულათ წარმოშობას, რის შედეგათ დასწერა „თეორია ზედმეტი ღირებულებისა“; სამ მოზდილ ტომათ. სწავლობდა პირველ ეროვნულ ისტორიას, აგრონომიას, რუსეთისა და ამერიკის მიწათმფლობელობის ურთიერთობას, უნდოდა „კაპიტალის“ მესამე წიგნის კაპიტალის და რენტის ძირითადი თვისებანი უფრო ვრცლათ

და ფართოთ შეევსო; სწავლობდა აგრეთვე გეოლოგიას და სხვ. იცოდა უველა გერმანიული და რომანული ენები, ისწავლა კარგათ, აგრეთვე რუსული და სერბიული, განსაკუთრებით რუსული ენა; ექვსი თვის განმავლობაში თავისუფლათ კითხულობდა ჰუშკინს. უნდოდა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე სპეციალური გამოკვლევა დაეწერა და სხვა მრავალი მეცნიერული ნაშრომი კატორიობისთვის ეჩვენებინა; მაგრამ ძვალ-რბილში გამჯდარი ავადმყოფობა (ჯაჯების) ნებას არ აძლევდა უშველებელი შეგროვილი მასალა დაემუშავებინა. ის სამკურნალოთ ეგვიპტეშიაც კი წავიდა, მაგრამ ამაოთ. ავადმყოფობა თანდათან ძლიერდებოდა და საშიშ მსვლელობას ღებულობდა. ამ ხანებში, ე. ი. 1881 წელს, 2 დეკემბერს, გარდაიცვალა მისი ცოლი, ცხრა იანვარს 1883 წ. მისი უფროსი ქალი, ხოლო იმავე წლის 12 მარტს თითონ მარქსი.

რასაკვირველია, შეუძლებელია, და მასთან უადგილოც, მოკლე ბიოგრაფიაში ამ ჭენიოს ადამიანის და უანგარო მებრძოლის ცხოვრების სავსებით აღწერა, რომელმაც თავისი სულიერი ძალ-ღონე და ქონება მუშათა განვითარებას მოანდომა. თავისი ჭენიალური გამოკვლევით აიმხედრა მთელი ბურჟუაზიის იდეოლოგია. ბურჟუაზიული კლასების სიძულვილი მარქსისადმი იმ ზომამდის მივიდა, რომ გამომცემლებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მარქსს და არ კისრულობდენ მისი „კაპიტალის“ გამოცემას. მხოლოთ ლასალის დიდი მეცადინეობით ედირსა მის უკვდავ ნაწარმოებს 1879 წ. ჰამბურგში დაბეჭდვა. ერთ კერძო წერილში ლასალი თავისს მეგობარს მარქსს, სწერდა: „შენ მთელს გერმანიაში ჩემის მეტი მეგობარი არა გყავსო“. შეიძლება ეს გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მარქსის წინააღმდეგ ბურჟუაზიის იდეოლოგნი ერთობ ამხედრებულნი იყვენ. მარქსის სიკვდილის ორი დღის შემდეგ გერმანიის ჰროფესორები: ქიმიისა—შორემელმი და ზოოლოგიის —ლანკაცერი საქვეყნოთ აცხადებდენ: მოკვდა ბურჟუაზიული საზოგადოების უსაშინელესი მტერიო. რაიცა შეეხება მარქსის ნივთიერ მდგომარეობას, ამ მხრივ ზღაპრული გაჭირვება გამოიარა. ჯერ იყო და მთელი თავისი და ცოლის საკუთარი ქონება „ახალ რეინის გაზეთში“ ჩადუპა, საიდანაც გროში არ უსარგებლნია.

როცა ლონდონში გადასახლდა, იქ ხომ ცოლშვილით სისტემატიურ სიმშილს განიცდიდა. როგორც ვილჰელმ დიბენსტი მოგვითხრობს, ერთხელ შუა ზამთარში ქ. ლონდონში, სახლის პატრონმა ბინის ქირაში საჯარო ვაჭრობით მთელი სახლის ავეჯი გაუყიდა და მარქსი ოჯახობით ქუჩაში გაგდო. მარქსის პატარა ვაჟიშვილი თურმე ამ დროს ძუძუთა იყო; ბავშვს მეტის-მეტი წოვნით დედისთვის ძუძუს თავი მთლათ მოეგლიჯნა მარქსის მეორე ახლო მეგობარი ზორგე, რომელმაც ამ სამი წლის წინათ გერმანიულ ენაზე ცალკე წიგნათ გამოსცა „მარქსის მიწერ-მოწერა ზორგესთან“, სულ 217 წერილი, აი რას მოგვითხრობს მარქსის და მის ოჯახის გაჭირვებულ მდგომარეობაზე: თურმე მარქსი, როგორც ზორგესთან მიწერილ წერილიდან სჩანს, ლონდონში დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ოთხი შვილის შენახვა, განსაკუთრებით ლონდონის გაძვირებულ პირობებში, ძალიან ძნელი იყო ხელ-მოკლე ადამიანისთვის.

მარქსის მეუღლე სწერს: „ჩვენ უველანი, ექვსი შვილით, ერთ პაწია ოთახსა და ერთ პატარა კაბინეთში ვართ მოთავსებული. მარტო სახლის ქირას თვეში 42 ტალერს (ტალერი მანეთ-ნახევარია) ვაძლევთ. უველა ამ ხარჯების გასტუმრებას ვახერხებდით, ვიდრე ჩემი საკუთარი ქონება მქონდა, მაგრამ „რეინის გაზეთის“ გამოცემა-წარმოებამ მთლათ ჩანთქა ჩემი ქონება და ახლა ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში ვართ, რომ სახლის ქირის მოშორებაც კი ადარ შეგვიძლიან. ჩვენი სახლის პატრონისა სულ ხუთი სტერლინგი (სტერლინგი თუმანს უდრის) გვემართა; ერთ მშვენიერ დღეს შემოვიდა ჩვენსა და მოგვთხოვა ხუთი სტერლინგის დაუყონებლივ გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში—მთელ ბარგს შეგვრავ და დასაგირავებელ სახლში გავგზავნიო. ჩვენ, რასაკვირველია, სახლის პატრონის მოთხოვნა ვერ შევასრულეთ, რადგან იმ ხელათ გროში არ გვქონდა. იმანაც მაშინვე სახლში ორი მოგირავნე შემოიყვანა, რომლებმაც, რაც კი რამ გვქონდა სახლში: საცვლები, ტანთსაცმელი, ჩვილი უმაწვილის საწოლი კრაოტი, პატარა ქალების საუკეთესო სათამაშოები და სხ. წაიღეს. მთელი ღამე, პატარა უმაწვილებითურთ, ცივს და შიშველა იატაკზე გავათენეთ.

„მეორე დღეს სახლიდან უნდა გადავსულიყავით. დღე ცივი

და ჯანდიან-წვიმიანი იყო. ჩემი ქმარი ბინას ეძებდა, მაგრამ სახლი არავის ექირავებინა, რადგან ოთხი წვრილ-ფეხა შვილის პატრონი ვიყავით. ამ გაჭირვებისგან ერთმა კარგმა მეგობარმა დაგვიხსნა: გვასესხა ტოტოდენი ფული. ეროი ნაწილი სახლის ქირაში მივეცით, დანარჩენით საგირავნო სახლში წაღებული ნივთები დავიხსენით, ერთბაშად გავყიდეთ და აღებული ფულით აფთიაქარი, მეპურე, უასაბი, მერძევე და სხვ. გავისტუმრეთ, რომელნიც, მთელი დღე კართან ატუზულნი, მოსვენებას არ გვაძლევდენ. ასე, რაც რამ გვქონდა მივყიდ-მოვყიდეთ და ამ ფულით ერთი გერმანიელის სასტუმროში გადავსახლდით, სადაც ორი პატარა ოთახი დავიქირავეთ და კვირაში $5^1/_2$ სტერლინგს ვაძლევდით".

ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მეოთე მარქსი შეეცადა ლონდონის რკინის-გზის დაწესებულებაში ადგილის შოვნას, მაგრამ ბედმა აქაც უმტეუნა: კარგი ხელის უქონლობის გამო რკინის გზის გამგეობამ ადგილი არ მისცა. ასეთი გაჭირვების მიუხედავად, მარქსის სახლის კარი უველა ემიგრანტისთვის დია იყო, რამდენათაც შეეძლო უველას დახმარებას უწევდა. ამასთან უსასყიდლოთ მუშაობდა სხვა და სხვა გაზეთში და, ამ გზით, დაუღალავად ემსახურებოდა პროლეტარიატის დიად მიზანს.

ისტორიაში ძალიან ცოტა, სულ თითებზე ჩამოითვლებიან, ისეთი პირნი, რომელთაც ამდენი ნივთიერი გაჭირვება, სულიერი დაუწუნარებლობა გადაეტანოთ. მიუხედავად ამისა, მან მაინც დასწერა უკვდავი თხზულება, შეიმუშავა ახალი მსოფლმხედველობა, ახალი მეცნიერული დისციპლინა, რომელმაც გზა გაუკვერა მთელი ქვეყნის მუშათა კლასს ბრწყინვალე მომავლისკენ. მარქსი ნამდვილი მეცნიერი ადამიანი იყო, მისი ბადალი მეცხრამეტე საუკუნეში, გარდა დარვინისა, არავინ დაბადებულა; მარქსში მეცნიერული სიღრმე და რევოლიუციონური კაბედულობა ერთად ჰარმონიულად იყო მოთავსებული.

მარქსი იყო ახალი ტიპის მეცნიერ-პოლიტიკოსი, რომლის მსგავსი კაცობრიობას ჯერაც არ უნახავს. იგი არ გვანდა არც ეგრეთ წოდებული ბურჟუაზიულ რეალო-პოლიტიკოსებს, და არც უტოპისტ-სოციალისტებს—სოციალ-რომანტიკებს. როგორც ერთს,

ისე მეორეს ეწინააღმდეგებოდა მისი პოლიტიკური თვალსაზრისი, პოლიტიკური შეხედულება. მეცნიერულ-პოლიტიკური პროგრამა,— ეს ნამდვილი ცხოვრების მსვლელობის დასკვნაა. რომ კარგათ გავიგოთ კარლ მარქსის მეცნიერულ-პოლიტიკურ შეხედულების თავისებურობა, აუცილებლათ მისი ფილოსოფიური განსწავლა უნდა მივიღოთ მხედველობაში.

ბურჟუაზიამ მსოფლიო ისტორიის მსვლელობიდან, როგორც კი გაბატონდა, განდევნა ეგრეთ-წოდებული „ღვთაებრივი განგება“ და მის მაგიერ ბურჟუაზიული გამიზნულობა გაბატონა; ეს შეხედულება დაუდო საფუძველათ ისტორიის ახსნა-განმარტებას, აბსოლიუტური (განუსაზღვრელი) კანონიერება ცხოვრების აღფათ და ომეგათ აღიარა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფებიდან შესდგება, რომელთა კლასობრივი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ასე რომ ბურჟუაზიის მიერ წამოყენებული კანონიერება, ბურჟუაზიული სამართლიანობა, თავისუფლება, გამიზნულობა უბრალო, ცარიელი სიტყვები გამოდგა, რომ ცხოვრების ეკონომიურმა მსვლელობამ არ იცის ასეთი აბსოლიუტური საზოგადოებრივი ჭარმონია. ბურჟუაზიული კანონიერება რომ ამაო სიტყვები იყო, აშკარათ დაგვანახვა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ, ს

ტულ პრინციპის განხორციელებას ლამობდა, მაშინ, როცა უტოპიური სოციალიზმი, ჩაუენებული უვარგის პირობებში, აბსტრაქტულ სიმართლის პრინციპის განხორციელების მაგივრათ, ცხოვრებაში მატერიალურ ძალის ხელში ჩაგდებას ეტრფოდა. ასეთ პირობებში მეოთმა სოციალისტ-უტოპისტებმა საოცნებო რომანტიკი შეიმუშავეს, რომანტიკული ფრაზები გამოსჭედეს.

ინგლისის ბურჟუაზია ეკონომიურათ უფრო განვითარებულ პირობებში იმეოფებოდა, მას წინ უფრო განვითარებული მასიური მოძრაობა უტრიალებდა, ეკონომიური წინააღმდეგობასთან უხდებოდა დავიდარაბა, კლასობრივი ბრძოლა. ამისათვის მთელი მისი სულიერი განვითარება, სულიერი მიდრეკილება ვაჭრობა-წარმოებისაკენ იოო მიპურობილი, იგი ცხოვრებამ პოლიტიკურ-ეკონომიის კრიტიკისკენ გადაზიდა; საფრანგეთის ბურჟუაზიის აბსტრაქტული სამართლიანობა, აბსტრაქტული კანონიერება ამაო სიტყვები იოო და სხვა არაფერი.

სულ სხვას ვხედავთ, რასაკვირველია, გერმანიაში. აქ ჰეგელის დიალექტიკა გერმანიის სინამდვილის სულიერი გამოხმაურებაა. ძველ ურთიერთობას აღარ ქონდა აბსოლიუტური მნიშვნელობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პოლიტიკურმა მოძრაობამ ნიადაგი გამოაცალა. გერმანიის ფილოსოფიამ, საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიულ-ფილოსოფიურ შედეგებიდან, ობიექტური თვალსაზრისი შეიმუშავა, ვინაიდან გერმანიის ხალხი რევოლიუციის მატერიალური მხარეთი არ ეოფილა ჩათრეული, მატერიალურ პირობათა ზეგავლენის გარეო იდგა. ამიტომაც მის ისტორიულ მოვლენათა გაგება-გათვალისწინებას იდეოლოგიური, იდეური ხასიათი ქონდა. ჰეგელის შეხედულებით ყველაფერი განვითარებაა, განვითარების შედეგია; განვითარება არ არის სინამდვილე, კონკრეტული მოვლენა, იგი იდეაა. ასეთი იოო მოკლეთ გერმანიის ფილოსოფიის ახალ მოძრაობიდან დასკვნილი შეხედულება, რომელიც მთელის სინამდვილის ეირამალა დაუენება იოო. ასეთ იდეიურ დასკვნას, რასაკვირველია, წინ აღუდგა მეცნიერულ სოციალიზმის მამათ-მთავარი კარლ მარქსი. მან ჰეგელის მთელი ისტორიული შეხედულება, ჰეგელისვე დიალექტიკის საშუალებით

უკუღმა შეაბრუნა, მეტაფიზიკური და იდეალისტური მხარეები ჩამოაცალა და მით მთელი შეხედულება წესიერ-ნიადაგზე დააყენა. მარქსს ფილოსოფიური აზროვნების ნამდვილი შინაარსი უნდა გაეგო, რომ ამ გზით შესძლებოდა გერმანიის სინამდვილის მიხვედრა. ჰეგელის დიალექტიკამ და, საერთოთ, მისმა ფილოსოფიამ საშუალება მისცა სოციალური მოვლენები ერთი-მეორესთვის დაეპირდაპირებინა, ერთი-მეორესთვის შეედარებინა და მით კლასობრივი ბრძოლა, რომელიც მთელი თავისი სიმწვავით ინგლისსა და საფრანგეთში სწარმოებდა, სისწორით გაეთვალისწინებინა. კლასობრივი და პროფესიონალური ბრძოლა ინგლისში, პოლიტიკური ბრძოლა საფრანგეთში, ჰეგელის დიალექტიკის მეოხებით, სინამდვილით შეითვისა, მიხვდა მათ რეალურ მხარეებს; უკანასკნელმა გარემოებამ კი საშუალება მისცა ჰეგელის ფილოსოფიისთვის, ჰეგელის იდეალიზმისთვის რევიზია გაეკეთებინა. რევოლიუცია ფილოსოფიისა, რომელიც მარქსმა დასახელებულ გზით მოახდინა, გამოიხატებოდა მხოლოთ პოლიტიკურ ფაქტების ფილოსოფიურ აღწერაში, რომლებიც უკვე გაბატონებულიყვენ კულტურულ ქვეყნებში. რამდენათაც კი პროლეტარიატის გამიზნულობა ბურჟუაზიის გამიზნულობას ეწინააღმდეგებოდა, იმდენათ აშკარათ მოსჩანდა, რომ ისტორია მხოლოთ გამიზნულობათა ბრძოლაა, ს

თრებით საკუთრებაზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მარქსზე. ფრიდრიხ ენგელსმა ინგლისიდან, გარდა თანამედროვე პროლეტარიატის სოციალურ პრობლემისა, ინდუსტრიულ კაპიტალიზმის კრიტიკაც გადმოიტანა, გერმანიაში გადმონერგა. პარიზში ეოფინის დროს, კარლ მარქსმა ხომ ადგილობრივ შეისწავლა პოლიტიკური ბრძოლა, კლასთა ბრძოლის ისტორია საფრანგეთის რევოლიუციისა. ზევით ნათქვამიდან რომ დავასკვნათ, დავინახავთ, რომ კარლ მარქსმა ჰეგელის დიალექტიკის საშუალებით შეიგნო და გაითვალისწინა კლასთა ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა, კლასთა ბრძოლის იდეით კი თავდაყირა დააყენა ჰეგელის უფლების ფილოსოფია; ჩამოაშორა ჰეგელის იდეალიზმი და მთელი ისტორიის განვითარება მატერიალისტურ ნიადაგზე დააყენა. მარქსმა თავის თვალით ნახა დაწინაურებული ქვეყნები. დააკვირდა მათი წარმოების ტექნიკას, წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობას; დაახლოვებით გაიცნო ინგლისის მუშათა ეკონომიური მოძრაობა, ე. ი. პროფესიონალური კავშირების აღორძინება, საფრანგეთის პოლიტიკური ბრძოლა და ჰეგელის დიალექტიკის მეთხებით შეიმუშავა კლასთა ბრძოლის თეორია. დაწვრილებით განიხილა ბურჟუაზიულ საზოგადოების ეკონომიური აგებულობა, განსაზღვრა პროლეტარიატისა და კაპიტალისტთა შორის დამოკიდებულება; აღმოაჩინა საქონლის წარმოების კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ მთელ კულტურულ ქვეყნების თანამედროვე ურთიერთობას.

1848 წ.—რევოლიუციის წელს—„კომუნისტური მანიფესტი“ უკვე დაწერილი და გამოშუღავნებული იყო. ისტორიის ფილოსოფიური სისტემა თავისი ძირითადი მცნება-შეხედულებით უკვე მზათ იყო, თუმც შემდეგში ზოგიერთი გაფართოება-მიმატება მიეცა: წარმოების განვითარებას ისტორიის უპირველესი ფაქტორის სახელი ეწოდა.

დღეს პროლეტარიატი რევოლიუციონური ძალაა. მისი მასიური ძალის გაფურჩქვნა-გაძლიერება ორი გზით შეიძლება: უნდა შეკავშირდეს და პოლიტიკურად გათვითცნობიერდეს. ამ მხრივ მარქსმა დიდი პოლიტიკური ღვაწლი დასდო პროლეტარიატის მოძრაობას, თავისი პირადულ მოღვაწეობით ბევრი რამ შემატა ინტერნაციო-

ნალურ მუშათა კლასობრივ განვითარებას. რასაკვირველია, მარქსი ამით არ ამაუობდა, თავის თავი კატობრიობის მხსნელათ არ მიაჩნდა. ეს უფრო უტოპისტ-სოციალისტების განუურელი სენი იყო. მარქსს თითოეული ადგა, თითოეული ადამიანის გრძნობა-აზრები არ იტაცებს, იგი დაინტერესებულია მასით, მასის კლასობრივ ინტერესით და მისი ყოველ მხრივ განვითარებით. ასეთი შეხედულებიდან კი გამომდინარეობს მარქსის სხვა-გვარი, სხვა-ნაირი პოლიტიკური მოქმედება, პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენა-შედეგების სხვაფერი დაფასება. იგი თავისი პირად-ცხოვრების თვალსაზრისით არ უცქერდა ამა თუ იმ სოციალურ მოვლენას, პროლეტარიატის ისტორიული დანიშნულება მან დაისახა თავის მიზნათ და ამის მიხედვით აწარმოებდა პოლიტიკურ ბრძოლას, ამაში მდგომარეობდა მთელი მისი პოლიტიკური დიდების მოუვარეობა. ამიტომ მისი პოლიტიკური მიზანი-დანიშნულება გაციდებით შორს მიდის, ვიდრე საკუთარი-პირადული. ყველა ის, რაც აძლიერებდა პროლეტარიატს აწმეოსა და მომავალში, შეადგენდა მისი მისწრაფების საგანს, საკუთარ მიზანს. მასა, მასობრივი ბედნიერება,— ეი, მისი საკვლევ-სათაყვანებელი ობიექტი.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მასის ცხოვრება, მასის კლასობრივი ბრძოლა მუდამ და ყოველთვის უწყებულ პირობებში აწარმოებს და სრულიათ მისგან არის დამოკიდებული. ამის გამო იძულებულნი ვართ ეს პირობები შევისწავლოთ, როგორც თითოეული სარდალი სწავლობს სომარ ასპარეზს, ბრძოლის ადგილებს. მარქსმაც საზოგადოთ, დაწვრილებით დაჭეო-დანანწილა კაპიტალისტურ საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა, განსაზღვრა პროლეტარიატის მდგომარეობა განსაზღვრულ ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობებში, დაუპირდაპირა მოწინააღმდეგე კლასს და მით განმარტა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დიადი მნიშვნელობა.

მან აშკარათ დაგვიხატა კაპიტალისტურ წარმოების ტენდენციები, თანამედროვე მსოფლიო ბაზრის განვითარება, საქონლის წარმოების მნიშვნელობა, სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევა, რომელნიც, ყველა ერთათ ადებულნი, მედგრათ მიაქანებენ ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ; ეს გარემოებანი უმზადებენ რეალურ სა-

ფუძველს პროლეტარიატის რევოლიუციონერობას. ასეთი პირობებია პოლიტიკურ-სოციალურ მიმდინარეობის მამოძრავებელი ფაქტორი; აქ თითოეულ პიროვნებას ძალიან მცირე და უმნიშვნელო როლი უკავია, პირველიდან თითქმის სრულიათ დაჩრდილულ-დამოკიდებული.

ამითი, რასაკვირველია, იმისი თქმა არ გვინდა, გითომ ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება თითოეულ პოლიტიკოსის მნიშვნელობას სრულიათ უარეოფდეს, როგორც ამას ზოგიერთი ანტიმარქსისტები ამტკიცებენ. მარქსმა იცის, როგორც მისი ისტორიულ შინაარსის ნაწარმოებნი გვიჩვენებენ, რომ თითოეულ პირთა მოქმედების მნიშვნელობას, შეფერებულ პოლიტიკურ მომენტში აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა. მაგრამ ისიც იცის, რომ ისტორიულ მომენტებთან ერთათ იბადება ისტორიული პიროვნებანი, რომ ისტორია ქმნის პიროვნებას და არა პიროვნებანი ისტორიას. მარქსს სასაციოოთ მიაჩნდა სოფრანგეთის რევოლიუციონერ ემიგრანტების მდგომარეობა, რომელთაც ისტორიულ მომენტის მიერ მინიჭებული პოლიტიკური ძალა დაკარგეს და ვერ მიმხვდარიყვენ, რომ ახლა არავითარი გავლენა აღარ ექნებოდათ რევოლიუციაზე. არა ნაკლებ დასცინოდა ზოგიერთა პარლამენტარისტთ და პოლიტიკურ პარტიის ხელმძღვანელთ, რომელნიც ფიქრობდენ, რომ უველა ის, რაც ქვეყანაზე წარმოებს: ომიანობა, რევოლიუცია, ტეხნიკური აღმოჩენანი, სავაჭრო კრიზისი, პარლამენტარულ საკითხებთან შედარებით, უმნიშვნელო საკითხებიაო.

მარქსს, ვიმეორებთ, ისტორიულ მომენტების დროს რევოლიუციონურ ძალთა კამოყენება, თითოეულ პირთა თუ მთელი საზოგადოებისა, დიდ მნიშვნელოვან საქმეთ მიაჩნია. იგი თითონ ისტორიულ მომენტებში გადაჭრით მოქმედებდა. მაგ., მისი 1848 წ. რევოლიუციაში და პარიზის კომუნის დროს მოქმედება. აქ იგი არ ეძებდა საშუალო გზას, „ოქროს შუა გულს“, რომ ამგვარათ ძალები შეერთებინა, დონე მოეკრიფნა; პირიქით, მუდამ უკიდურეს მოთხოვნილებას არდგენდა, რათა ამ საშუალებით შეერთებინა უკიდურესი რევოლიუციონური ძალები მედგარ ბრძოლის საწარმოებლათ. ორსაგ შემთხვევაში, ე. ი. რევოლიუციის და პარიზის

კომუნის დროს პოლიტიკური დამარცხება მის თვალწინ მოხდა. მაგრამ დღეს არც ერთ მოწინავე რევოლიუციონერს ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ არც ერთ სოციალურ პრობაგანდას მაშინ და მის შემდეგ, არ მოუმზადებია და არ გამოუვია პროლეტარიატი მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულ კლასისაგან, როგორც 1848—1871 წლებში; აქედან იწყება თანამედროვე ძლიერი სოციალისტური მოძრაობა. ერთი სიტყვით, ზევით ნათქვამიდან რომ დავასკვნათ, ვიტყვით, რომ თანამედროვე კლასობრივ წარმოებაში, ისტორიულ განვითარების წინმსვლელობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობების შესწავლა-შეთვისებას აქვს და არა ამა თუ იმ გენიოს-ნიჭიერ პიროვნებას. სოციალურ პირობათა გაგება-გათვალისწინება მთავარი ფაქტორია კლასობრივ დაწინაურებაგანვითარებისა. მაშასადამე კაპიტალისტური ანუ ბურჟუაზიული წყობილების მარქსისტულათ შეგნება აუცილებელი საშუალებაა პროლეტარიატის სრულიათ განთავისუფლებისა და ახალ სანეტარო წყობილების დასამყარებლათ. ამიტომაც იყო, რომ მარქსი ამბობდა: „მართალია, ფიზიკურ-ნივთიერი ძალა ფიზიკური ძალის საშუალებითვე უნდა დაემხოს, მარა თვით თეორიაც—სწავლა-მოძღვრებაც—ნივთიერ ძალათ გახდება, როდესაც მას ფართო მასსა—ხალხი შეიგნებს ხოლმე“.

შ.

წინასიტყვაობა მთარგმნელისა

მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენათ ღარიბია ჩვენი მწერლობა საზოგადოთ და პოლიტიკური ეკონომიის დარგი კერძოთ. ქართულ ენაზე სრულებით არ მოგვეპოვება ორიგინალური ნაწერი ეკონომიური მეცნიერების შესახებ, გარდა ალ. წულუკიძის წიგნისა („ნაწუვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან", თფილისი, 1905 წ.), რომელიც, რა თქმა უნდა, მიუხედავათ თავის ღირსებებისა, მხოლოთ წვეთია იმ დაუშრეტელი წყაროისა, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია ეწოდების. მეორე მხრით, ქართულ მწერლობას არც ნათარგმნ თხზულებებითაც პოლიტიკური ეკონომიის დარგიდან შეუძლია იამაყოს, ვინაიდან გარდა ორიოდე ბროშიურისა (როგორც მაგალითათ, „შრომა და კაპიტალი" სვიდერსკისა, „საქირაო შრომა და კაპიტალი" კ. მარქსისა, „ზომიერი სამუშაო დღე" ზეიდელისა) ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენ არაფერი არ მოგვეპოვებოდა.*) მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს ქართულ მწერლობას შეეძინა ა. ბოგდანოვის ცნობილი წიგნის: „ეკონომიური მეცნიერების მოკლე კურსი"-ს თარგმანი,**) რომ-

---

*) აქ უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ერთი წერილი ქართულ სოც.-დემ. გაზეთში 1908 წლის პირველ ნახევარში, რომელიც მარქსის ღირებულების თეორიას არკვევდა შემოკლებით. რამდენათაც მახსოვს, იგი ნათარგმნი იყო რუსულიდან. ყოველ შემთხვევაში ხსენებულ წერილს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

**) სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ თუმც ბოგდანოვის წიგნის თარგმანი კაუცკის წიგნის თარგმანზე უფრო ადრე გამოვიდა, მაგრამ მე საშუალება არ მქონდა პირველის თარგმანს გავსცნობოდი.

ლითაც უფრო მკვიდრი საფუძველი ჩაიყარა პოლიტიკური ეკონომიის შესასწავლათ ქართულ ენაზე.

თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია ანუ ეკონომიური მეცნიერება წარმოიშვა და განვითარდა იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი განვითარება, საწარმოო ძალთა წარმატების მეოხებით, შედარებით უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ასეთი ქვეყნები იყვენ და არიან დღესაც ინგლისი, საფრანგეთი, იტალიის წვრილი სახელმწიფოები საშუალ საუკუნოებში და გერმანია. პოლიტიკიური ეკონომია, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების ერთი უდიდესი და უშესანიშნავესი შტოთაგანი, პირდაპირი შედეგია წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესის განვითარებისა. ჩვენში წინეთ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება დიდი ხნით შეფერხდა: აღებ-მიცემობის და მრეწველობის აღყვავება, რაც საფუძვლათ დაედვა მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათ, მთელი კაცობრიობის განვითარებას, და რამაც თავი იჩინა დასავლეთ ევროპაში მეთოვქვსმეტე საუკუნიდან დაწყებული, ჩვენთვის თითქმის სრულებით არ არსებობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც. შემდეგ, როცა ჩვენში ეს ყოველივე გადმოინერგა ანუ მზამზარეულ გადმოტანილ იქნა, ჩვენში არ იყო ნიადაგი იმისთვის, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია აღმოცენებულიყო და განვითარებულიყო, ვინაიდან გადმონერგული კაპიტალი ამას სრულებით არ საჭიროებდა. კარლ მარქსი „კაპიტალი“-ს პირველი ტომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ამბობს, „რომ პოლიტიკური ეკონომია გერმანიაში აქამდის (1873 წ.) დარჩენილია უცხო ქვეყნის მეცნიერებათ... გერმანიაში მას აკლდა ცხოველმყოფელი ნიადაგი, იგი მზამზარეული საქონლის სახით შემოტანილ იქნა ჩვენში (გერმანიაში) ინგლისიდან და საფრანგეთიდანო“... თუ ეს ასე ითქმოდა გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში გერმანიის შესახებ, რაღა უნდა ვთქვათ ჩვენს ქვეყანაზე. წარმოების ახალი—კაპიტალისტური—წესის აღმოცენება და განვითარება ჩვენში სრულებით არ მომხდარა

ადგილობრივი ბურჟუაზიის მეოხებით, ამიტომ, აშკარაა, რომ ჩვენში იმ თავიდანვე არ ყოფილა ის კლასი, რომელსაც უნდა ეზრუნა პოლიტიკური ეკონომიის განვითარებისათვის. აი, სად უნდა ვეძიოთ თავი და თავი მიზეზი იმ მოვლენისა, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქართული მწერლობა ამ ზომამდე ღარიბია პოლიტიკურ-ეკონომიურ თხზულებებით. მაგრამ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დიდხანს შეუძლებელი უნდა გამხდარიყო.

კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ ჩვენშიაც ძალაუნებურათ დაბადა ისეთი პირობები, რომლებსაც, ადრე იქნებოდა თუ გვიან, აუცილებლათ უნდა გამოეწვია ჩვენში პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საჭიროება. თუ ახალი წარმოების განვითარებამ საკმარისათ ვერ განავითარა და ვერ გაამაგრა, პირველ ხანებში მაინც, ადგილობრივი ბურჟუაზია, სამაგიეროთ მან მკვიდრი საფუძველი დაუდვა ადგილობრივი პროლეტარიატის აღორძინების საქმეს: თანამდროვე მრეწველობის და აღებ-მიცემობის აღყვავებამ ჩვენში ისტორიის სარბიელზე გამოიყვანა მუშათა კლასი. პროლეტარიატის შეგნების და თვითცნობიერების გასავითარებლათ იყო და არის მხოლოდ ერთათ ერთი გზა, ერთათ ერთი საშუალება: იმ საფუძვლის შესწავლა ანუ იმ მექანიზმის გაგება, რომელზედაც დაყრდნობილია მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება ერთი მხრით და მუშათა კლასის გაყვლეფა მეორე მხრით. ამ საფუძვლის შესწავლა კი შესაძლებელია მხოლოთ პოლიტიკური ეკონომიის საშუალებით. ამიტომ მუშათა კლასი იყო ერთათ ერთი კლასი ჩვენში, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის შესწავლაში დაინტერესებული შეიქნა. მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია უკვე მეცნიერებას აღარ წარმოადგენდა, როგორც განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა ობიექტიური კვლევა-ძიების დარგი. მარქსი ამბობს: „პოლიტიკურ ეკონომიას შეუძლია მეცნიერებათ დარჩენა მხოლოთ მანამ, სანამ კლასობრივი ბრძოლა დაფარულათ ხდება ან

მხოლოთ კერძო ფაქტებში ჩნდებაო“. როცა ჩვენში თავი იჩინა კლასობრივმა ბრძოლამ, როცა ამ ბრძოლამ მუშების გამოფხიზლების მეოხებით თანდათან და სულ უფრო და უფრო განსაზღვრული და საშიშარი სახე მიიღო, დასავლეთ ევროპაში და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში მუშათა მოძრაობა უკვე გამოდიოდა მეცნიერული სოციალიზმის თვალთახედვის წერტილიდან. ეს ნიშნავდა იმას, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი დებულებანი ანუ საფუძველნი მარქსის შეუბრალებელი კრიტიკის მეოხებით უკვე დიდი ხნიდან უარყოფილი იყვენ და მთელი თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილება, რომელსაც ბურჟუაზიული მწერლები და პოლიტიკო-ეკონომები უკვდავათ თვლიდენ, გამოცხადებულ იქნა წარმავალი ანუ კაცობრიობის ისტორიული განვითარების გზაზე განსაზღვრულ საფეხურათ, როგორც, მაგ., პირველყოფილი კომუნიზმი, მონობა და ფეოდალური წესწყობილება. თავისთავათ იგულისხმება, რომ, როცა ჩვენში მუშათა საკითხი დაიბადა, ე. ი. როცა მუშათა კლასმა თავისი არსებობა საზოგადოებას ამცნო, მუშა ხალხის იდეოლოგებს და მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ ხელმძღვანელთ თანამედროვე მუშათა მოძრაობის იდეა ანუ მეცნიერული სოციალიზმის თეორია უნდა გადმოეღოთ უნაკლულოთ და უცვლელათ, როგორც მზამზარეული ნაწარმოები. იმ გარემოებას, რომ ჩვენში ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას არ ღირსებია ფრთების გაშლა და აღყვავება, ორნაირი შედეგი მოყვა, სახელდობ ის, რომ ეს გარემოება ერთ და იმავე დროს კიდევაც აფერხებდა და კიდევაც ხელს უწყობდა ჩვენში ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის განვითარებას. აფერხებდა მით, რომ ერთ და იმავე დროს საჭირო იყო ერთი მხრით ყველა იმ ეკონომიურ-სოციალურ ცნებათა და კატეგორიათა, რომლებიც ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ წამოაყენა, დადგენა და მეორე მხრით ყველა ამ ცნებათა კრიტიკის დარჯაკში გატარება. ეს კი ადვილი საქმე არ იყო. ხელს უწყობდა კი მით,

რომ მეცნიერული სოციალიზმის თეორიის გადმომნერგთ ქართულ ნიადაგზე ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ ეკონომიის დებულებათა დარღვევის დროს წინააღმდეგობა თითქმის სრულებით არ ხვდებოდათ. ჩვენ შეძლება გვქონდა პოლიტიკური ეკონომიის განმარტებისთვის ის მტკიცე და გარკვეული მიმართულება მიგვეცა, რომელიც მოგვცა ჩვენ ბურჟუაზიული ეკონომიის შეუბრალებელმა კრიტიკამ მეცნიერული სოციალიზმის ანუ მარქსიზმის თვალთახედვის წერტილმა.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითარებამ განვლო სამი ხანა. პირველ ხანაში, რომელიც ითვლება ბურჟუაზიული პოლიტ. ეკონომიის კლასიკურ ხანათ, მთელი თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიური წესწყობილება, ე. ი. თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი და კაპიტალისტური წარმოების წესი, ამ ეპოქის მწერლებს და მეცნიერთ წარმოდგენილი აქვთ, როგორც ერთი რამ უცვლელი, სამუდამოთ არსებული. ამიტომ ამ ხანაში პოლიტიკური ეკონომია, თავის საუკეთესო წარმომადგენელთა ბაგენით (ადამ სმიტი, რიკარდო), მთელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, დამყარებულს წარმოების კაპიტალისტურ წესზე, იხილავს როგორც საზოგადოებრივი წარმოების აბსოლიუტურ, სამუდამო ფორმას, და არა როგორც ისტორიული განვითარების წარმავალ საფეხურს. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების გულში არსებული კლასობრივი ბრძოლა ჯერ კიდევ განვითარებული არ არის. წინააღმდეგობას და განხეთქილებას სამრეწველო პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული საკმარისათ გარკვეული სახე. მაგრამ ამ პირველი ხანის დასასრულს კლასობრივი ბრძოლის გამოაშკარავების და სწორი გარკვევის წინა პირობები უკვე საკმარისათ განვითარებულია. ერთი მხრით კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის უკვე აშკარა ხასიათს ღებულობს. მეორე მხრით, თვით ბურჟუაზიული პოლიტ. ეკონომიაც, რომელიც ამ დროს კიდევ ატარებს ობიექტიური მეც-

ნიერების ხასიათს, იძულებულია მიიღოს პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის ინტერესთა სრული წინააღმდეგობა. „უკანასკნელი და უდიდესი წარმომადგენელი ბურჟუაზიული პოლ. ეკონომიისა—დავით რიკარდო უკვე გამოდის კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობიდან, ე. ი. სამუშაო ხელფასის და მოგების, მოგების და მიწის ღალის (რენტის) წინააღმდეგობათაგან და გულუბრყვილოთ იხილავს ამ წინააღმდეგობას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ კანონს. მაგრამ ეს არის უკვე საზღვარი, რომლის იქით წასვლა ბურჟუაზიულ ეკონომიას აღარ შეეძლო“ (მარქსი), თუ რომ იგი ობიექტიურ ხასიათს შეირჩენდა.

შემდეგ იწყება მუშათა კლასის აღშფოთება და ამბოხება კაპიტალისტური ყვლეფის და საზოგადოთ მთელი ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ. ეკონომიურ მოვლენათა ობიექტიურ კვლევა-ძიების ხანამ ბურჟუაზიულ ეკონომისტების მხრით უკვე განვლო. ახლა კითხვა იმას კი აღარ ეხება, „მართალია ესა თუ ის პოლიტიკურ-ეკონომიური დებულება, არამედ იმას, სასარგებლოა იგი თუ საზიანო, ხელსაყრელია თუ არა კაპიტალისთვის... გულუბრყვილო, უანგარო გამოკვლევანი ადგილს უთმობენ მოყიდულ მწერლების მატრაბაზულ და მყვირალა პოლემიკას, ობიექტიური მეცნიერული კვლევა-ძიება —უსინიდისო და ბოროტგანზრახულ დაცვას“ (მარქსი). ახლა ბურჟუაზიულ პოლ. ეკონომიაში თავს ჩენულობს ორნაირი მიმდინარეობა: ერთი საფრანგეთის პოლიტიკო-ეკონომის—ბასტიას მეთაურობით, რომელიც ვულგარული ეკონომიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი წარმომადგენელია,—გაბატონებულ კლასების, ე. ი. კაპიტალისტების და მიწისმფლობელთა, ინტერესების პირდაპირ და აშკარა დაცვას დაადგა. მეორე მიმდინარეობა ინგლისის პოლიტიკო-ეკონომის ჯონ სტ. მილლის მეთაურობით შეეცადა შეურიგებელის შერიგებას და შეუთანხმებელის შეთანხმებას, ე. ი. კაპიტალის და შრომის ინტერესების შერიგებას. როგორც მოსალოდნელი იყო, როგორც ერთი, ისე მეორე მიმდინარეობა ყოვლად უნაყოფო გამოდგა. ეს იყო მეორე ხანა.

მესამე ხანაში ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრით, მუშათა მოძრაობის გაძლიერებას ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში და ინგლისში, და მეორე მხრით, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ სოციალისტური კრიტიკის შეუბრალებელ გამოლაშქრებას. უნდა შევნიშნოთ, რომ კაპიტალისტური წარმოება ძველი პატრიარქალური წარმოების დარღვევით და ფართო მასსის გაღატაკებით უკვე დიდი ხნიდან იწვეოდა სხვა და სხვა მხრიდან დრტვინვას და საჩივარს. საკმარისია გავიხსენოთ თუნდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მწერალი სისმონდი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სისმონდი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ახალი წარმოების მთელ სისტემას, იგი იხედებოდა უკან და არა წინ, ხსნას იგი ელოდებოდა არა კაპიტალისტური წარმოების მომავალი განვითარებისაგან, არამედ ხელოსნური წარმოების და წვრილ მიწის მშრომელთა კლასის აღდგენისაგან. სულ სხვა ხასიათის იყო სოციალისტური კრიტიკა. უკვე მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლების დასაწყისში ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა მოაზრეთა მარქსის და ენგელსის მიერ დაწყებულ იქნა ეს ნაყოფიერი კრიტიკა; ენგელსმა პირველმა გაილაშქრა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ პირველად სტატიით: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნაწყვეტები“, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1844 წელს და შემდეგ გამოკვლევით: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა. მარქსი შეუდგა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკას პრუდონის წინააღმდეგ გალაშქრებით: „ფილოსოფიის სიღატაკეში“, შემდეგ წვრილ სტატიების მთელი რიგით („კაპიტალი და საქირაო შრომა“, „სიტყვა თავისუფალ ვაჭრობის შესახებ“*) და სხვ.). მაგრამ მარქსს ჯერ კიდევ არ ქონდა დამთავრებული თავისი შეხედულების შემუშავება, მით უმეტეს, რომ იმ ხანებში (1848—9 წწ.) უმთავრესი მისი ყურადღება მიპყრობილი

*) არის ქართული თარგმანები.

იყო იმ რევოლიუციური მოძრაობისაკენ, რომელიც იმ დროს ევროპის სახელმწიფოებს მოედვა და რომელშიაც თვით მარქსი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მხოლოთ 1859 წელს გამოაქვეყნა მან თავისი ცნობილი „Zur Kritik der politischen Oekonomie“ („პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესახებ“), რომლითაც მთელ საზოგადოებრივ მეცნიერებაში საერთოთ და პოლიტიკურ ეკონომიაში კერძოთ იწყება სრულიად ახალი ხანა. საბოლოოთ დამთავრებულ იქნა მარქსის მსოფლ-მხედველობის შემუშავება „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოქვეყნებით 1867 წ. ამ ნაწარმოებში მარქსის მსოფლმხედველობამ მიიღო საბოლოო გამოხატულება და ბურჟუაზიული პოლიტ. ეკონომიის კრიტიკაც შესრულებულ იქნა. ამ კრიტიკისაგან ისე, როგორც საერთოთ მარქსის მთელი მოძღვრებისაგან, გამომდინარეობს ის შეურყეველი დასკვნა, რომ კაპიტალისტური წარმოება, რომელიც დაყრდნობილია ერთი მხრით საქირაო შრომაზე და მეორე მხრით საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებაზე, უნდა შეცვლილ იქნას კოლექტიური წარმოებით, როცა საქირაო შრომას ადგილი აღარ ექნება და წარმოების საშუალებანი მთელი საზოგადოების კუთვნილება იქნებიან. მარქსის თითოეული მოსაზრება ისე, როგორც მთელი მისი თეორია, ყველა მის მიერ წამოყენებული საბუთები და არგუმენტები დამყარებულია გასაოცარ, სასტიკ ლოლიკურ თანდათანობაზე და შეურყეველ, დაურღვეველ ფაქტებზე.

მარქსის მოძღვრებამ ბურჟუაზიულ პოლ. ეკონომიას სამუდამოთ აუგო წესი; იგი უკვე მოკვდა. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული პოლ. ეკონომიის მესვეურნი დიდ ხანს ვერ ურიგდებოდენ ასეთ ხვედრს, და როგორც თითონ მარქსი ამბობს, მას დიდი ხნის განმავლობაში ბოიკოტი ქონდა გამოცხადებული ყველა იმათგან, ვინც თავისი სოციალური მდგომარეობით თუ დამოკიდებულებით მოწოდებული იყვენ დაეცვათ არსებული საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობანი გაბატონებულ კლასების სასარგებლოთ. მაგრამ დიდ-

ხანს ესეც შეუძლებელი იყო, და ბოლოს მარქსის ეკონომიურმა მოძღვრებამ თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერებაში თავისი შესაფერი ადგილი დაიკავა. ეს მოძღვრება გარდაიქცა ერთათ-ერთი უდიდესი მოძრაობის—თანამედროვე პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობის—ქვაკუთხედათ.

როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, პოლიტიკური ეკონომიის გადმონერგვა ქართულ ნიადაგზე მოხდა სულ უკანასკნელ ხანებში, მუშათა მოძრაობის დაწყებისთანავე ჩვენში, ე. ი. იმ დროს, როცა თანამედროვე პოლიტ. ეკონომიის განვითარება უკვე მესამე ხანაში იყო გადასული. ამიტომ თავის თავათ იგულისხმება, რომ რამდენათაც ჩვენში ხდებოდა და ხდება პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების (ძირითად დებულებათა) გადმონერგვა, იმდენათ ეს ხდებოდა და ხდება დღესაც პირდაპირ მარქსის შეხედულებათა ზეგავლენით; აქ ადგილი აღარ აქვს არც ძველ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც ეს გვიანდერძა ადამ სმიტმა და რიკარდომ, და არც მით უმეტეს ვულგარულ ეკონომიას. თავისთავათ იგულისხმება, რომ ჩვენ ყველაზე უფრო ნაკლებათ უნდა შევიწუხოთ ამაზე თავი. თუ ჩვენ ვწუხვართ,—ეს მხოლოთ იმის შესახებ, რომ აქამდის ამ მხრით მეტათ ცოტაა გაკეთებული. თვით მარქსის უმთავრეს თხზულებებს რომ თავი დავანებოთ, ქართულ ენაზე დღემდის არ არსებობს ისეთი სახელმძღვანელო წიგნი, რომლის შემწეობით შესაძლებელი იყოს პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლიანათ შესწავლა. როგორც ზევითაც ვამბობდით, ბოგდანოვის წიგნის გამოცემა ამ ჟამათ ამ ნაკლს თავიდან გვაშორებს. მაგრამ, მეორე მხრით, აუცილებლათ საჭირო ხდება დაუყონებლივ, თუ მარქსის კაპიტალურ ნაწარმოებათა თარგმნა არა, იმათი დაახლოვებით გადმოცემა შემოკლებით და ადვილი ენით. სწორეთ აი ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს კარლ კაუცკის წიგნი, რომლის თარგმანს ჩვენ ახლა ვაწვდით ქართველ მკითხველებს.

კაუცკის შესახებ დღეს ორი აზრი შეუძლებელია, არა მარტო მის მომხრეებში, არამედ მის მოწინააღმდეგეებშიაც

კი. როგორც თეორეტიკოსს, რომელიც ხსნის, არკვევს და წინ სწევს მეცნიერულ სოციალიზმს და რომელიც იმავე დროს ფრთხილათ დარაჯობს მარქს-ენგელსის მიერ შექმნილ და ნაანდერძევ საუნჯეს, მას ბადალი არა ყავს. ამიტომ თავისთავათ იგულისხმება, რომ კაუცკის მიერ გადმოცემული მარქსის ეკონომიური მოძღვრება საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს. ამ მხრით მეტათ საინტერესოა, თუ თვით კაუცკი როგორ უყურებს ამ საგანს. წინასიტყვაობაში, რომელიც მან წაუმძღვარა „მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას“, იგი ამბობს: „გერმანულ ლიტერატურაში დღემდის*) არ არის ისეთი თხზულება, რომელიც შემოკლებით გადმოგვცემდეს მარქსის მთელ ეკონომიურ მოძღვრებას, ყველასათვის მისაწდომ და გასაგები ენით. ასეთი ცდა რამდენიმეჯერ იყო, მაგრამ ამას ყოველთვის ნაწყვეტ-ნაწყვეტების ხასიათი ქონდა. ამ თხზულების მიზანს შეადგენს—შეამსოს არსებული ნაკლი ან ხელი შეუწყოს ამ ნაკლის თავიდან მოშორებას მაინც... იგი, თავისთავად იგულისხმება, დამყარებულია მარქსის უმთავრეს თხზულებაზე—„კაპიტალზე“ და მისდევს მას მასალის დაწყობაში. მარქსის სხვა ეკონომიური ნაწერები გამოყენებულ იქნენ აქ მხოლოთ ნაწილათ, უფრო ძნელი ადგილების გასაგებათ ან იმის განსამარტებლათ, რაც „კაპიტალშია“...

„ამ წიგნის უმთავრესი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გავაცნოთ „კაპიტალის“ აზრთა მიმდინარეობას ისინი, ვისაც დრო ან შეძლება არა აქვს თითონ შეისწავლოს ეს ნაწარმოები. მაგრამ გარდა ამისა, ავტორი იმედოვნებს, რომ მისი წიგნი „კაპიტალის“ შესწავლას გაუადვილებს ყველა იმათ, ვისაც „კაპიტალი“ აქვთ, და აგრეთვე გაუღვიძებს სურვილს გაეცნონ მარქსის მოძღვრებას თვით დედანში იმათაც, ვისაც მაზე ცრუ წარმოდგენა აქვს, ან ვისაც აშინებს შესწავლის დროს პირველი თავის სიძნელე“...

---

*) ეს სიტყვები ეკუთვნის 1886 წელს, მაგრამ მათ დღემდის შეინარჩუნეს თავის მნიშვნელობა გერმანულ ლიტერატურაშიაც.

გარდა ამისა, იმის გასაგებათ, თუ როგორ ეყურებს კაუცკი თავის დანიშნულებას მარქსის ეკონომიური მოძღვრების გადმოცემაში, მოვიყვანოთ აქ მისი შემდეგი სიტყვები: „მარქსის „კაპიტალის“ გაგება, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ფორმით იძლევა მთელი ახალი ისტორიული და ეკონომიური სისტემის დასაბუთებას, გულისხმობს არა მარტო განსაზღვრულ ისტორიულ ცოდნას, არამედ იმ ფაქტების ცოდნასაც, რომლებსაც გვაწვდის ჩვენ სხვილი მრეწველობის განვითარების ისტორია.

„ვინც არ იცნობს, თუმც რამდენიმეთ მაინც, იმ ფაქტებს, რომლებიდანაც მარქსს გამოყავს თავისი ეკონომიური კანონები, იმისთვის ამ კანონების მნიშვნელობა გაუგებარი დარჩება... იმას ვერაფერს უშველის უადვილესი გადმოცემაც კი... ჩვენი შეხედულებით, ეს ყველაზე უფრო სახიფათო გზაა „კაპიტალის“ პოპულიარიზაციის ყოველგვარი ცდისათვის. მარქსი წერდა ისე გასაგებათ, პოპულიარულათ, რამდენათაც ეს შესაძლებელია. სადაც მისი გაგება ძნელია, ამის მიზეზი მისი ენა კი არ არის, არამედ თვით საგანი და მკითხველი. ამ ძნელათ გასაგები ენის უფრო ადვილ ენაზე გადაღება შესაძლებელია მხოლოთ თვით გადაცემის სისწორის საზიანოთ. პოპულიარიზაცია დაუკარგავს მას მის ნამდვილ სახეს...

„გრძნობდა რა ამას, ავტორს თავის მიზნათ არ დაუსახავს მხოლოთ ენის უბრალო შეცვლა. მარქსი, როგორც ვთქვით, წერდა ისე პოპულიარულათ და ისე მოკლეთ და ნათლათ, რომ მისი სიტყვების ყოველგვარი გამოცვლა უნდა მოხდეს მხოლოთ იმათი სისწორით გადმოცემის საზიანოთ. ამიტომ ავტორს მარქსის თხზულებებიდან მთელი ადგილები სიტყვა-სიტყვით აქვს მოყვანილი. ისინი ფრჩხილებშია ჩასმული, და თუ ნაჩვენები არ არის ადგილი, ამოღებულია „კაპიტალიდან“. ერთი მხრით ავტორის დანიშნულება მდგომარეობდა იმაშიაც, რომ მკითხველის ყურადღება მიექცია იმ ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლათ უდევს თეორეტიულ დასკვნებს. ეს განსაკუთრებით საჭირო იყო პირველ განყო-

ფილებაში. მარქსი, უმეტეს ნაწილათ თითონ გვითითებს ამ ფაქტებზე, მაგრამ ხშირათ მხოლოთ გაკვრით, რასაც ჩვეულებრივათ ყურადღებას არ აქცევენ. ზოგ ალაგას კი ავტორი იძულებული იყო თითონ მოეყვანა ეს ფაქტები თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ; ამას ადგილი აქვს პირველი თავის პირველ პარაგრაფში"...

დასასრულ, ამ წიგნის დასახასიათებლათ კაუცკი კიდევ აი რას ამბობს: „ამ წიგნის მიზანს შეადგენს არა მარტო ის, რომ მან გადმოგვცეს მარქსის მოძღვრება, არამედ ისიც, რომ იგი შეიქნეს მარქსის ნაწარმოებთა დედანში შესწავლის სახელმძღვანელოთ. ამიტომ ავტორმა დაინახა საჭიროთ ის ადგილები, რომლებზედაც აქამდის, მისი აზრით, მეტათ ნაკლები ყურადღება იყო მიქცეული, ან რომელთაც ადვილათ შეეძლოთ ეპვის გამოწვევა, გადმოეცა უფრო დაწვრილებით, ვინემ ამას თხოულობდა იმათი თეორეტიული მნიშვნელობა. პირიქით, ავტორმა დაინახა შესაძლებლათ, სხვა ადგილები გადმოეცა უფრო მოკლეთ, თუ ისინი საკმარისათ ცნობილი და საყოველთაოთ მიღებულია და ეპვის გამოწვევა არ შეუძლიანთ. რათა წიგნის პრაქტიკული მნიშვნელობა გაგვეიდიდებია, ფაქტიური პირობების გადმოცემა, როგორც საფაბრიკო კანონმდებლობის განხილვა, გაგრძელებულ იქნა იმ ხანას შემდეგ, რომელიც განხილულ იქნა მარქსის მიერ, და მოყვანილია უკანასკნელ დრომდე". (წინას. პირ. გამ.).

ზევით მოყვანილ ამონაწერებიდან აშკარათ ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაუცკის წიგნს და ისიც, თუ რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მისი გამოცემა ქართულ ენაზე. თარგმანის ზოგიერთ ტეხნიკურ მხარეებზე რამდენსამე სიტყვას ვიტყვით წინასიტყვაობის ბოლოს, აქ კი მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას.

მარქსის ეკონომიური და სოციოლოგიური მოძღვრება წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთელს, თუმც ძლიერ ხშირათ მას ცალ-ცალკე იხილავენ, ერთი-ერთმანეთს აშორებენ. კი-

დევ უფრო სამწუხარო აქ ის არის, რომ მკვლევართა და მეცნიერთა ერთი ნაწილი ღებულობს მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას, და ისიც სანახევროთ, მაგალ., ღირებულების თეორიას, და იმავე დროს უარყოფს ყველა იმ ლოღიკურ დასკვნებს, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ; მკვლევართა მეორე ნაწილი სამაგიეროთ სრულებით უარყოფს მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას და მის (მარქსის) მნიშვნელობას ხედავს მხოლოთ ისტორიული მატერიალიზმის თეორიის დადგინებაში. ასეთი არევ-დარევა მოწმობს მხოლოთ თვით მკვლევართა აზრების და შეხედულებათა არევ-დარევას და რყევას. მარქსის მთელი მოძღვრება შეიცავს, როგორც ვთქვით, ერთ განუყოფელ მთელს, და ეს მთელი წარმოადგენს მეცნიერულ სოციალიზმს, რომელიც ემყარება ერთი მხრით დიალექტიურ მატერიალიზმზე და მეორე მხრით კლასობრივ ბრძოლაზე. ყველა ამაების შესახებ ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი თქმულა და ჩვენ აქ სრულებით არ ვფიქრობთ ამაების გარკვევას. ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა მოვიყვანთ მხოლოთ ისტორიული მატერიალიზმის თეორიის იმ დახასიათებას, რომელიც მოგვცა თვით მარქსმა და შემდეგ ერთი რუსი მწერლის სიტყვებს ამის შესახებ, რომლებიც წარმოთქმულ იქნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში.

თავის „Zur Kritik der polit. Oekonomie"-ის შესავალში მარქსი ასე გვიხატავს თავის ისტორიულ და ეკონომიურ გამოკვლევათა საერთო დასკვნას, რომელიც მისთვის შეადგენდა აგრეთვე გზის მაჩვენებელ წერტილს მომავალ გამოკვლევათათვის: „ადამიანები თავის ცხოვრების საზოგადოებრივად მოწყობაში ადგენენ განსაზღვრულ, აუცილებელ, იმათ ნებასურვილისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობათ, საწარმოვო ურთიერთობათ, რომლებიც შეეფერებიან იმათი ნივთიერ საწარმოვო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. ამ საწარმოვო ურთიერთობათა მთელი ჯამი შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ შენობას, რეალურ (ნამდვილ) საფუ-

ძველს, რომელზედაც ეყრდნობიან იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენნი და რომელთაც შეეფერებიან საზოგადოებრივი ცნობიერების სრულიად განსაზღვრული ფორმები. ნივთიერი ცხოვრების საწარმოო წესი განსაზღვრავს სოციალურ, პოლიტიკურ და საერთოთ სულიერ პროცესს. ადამიანის შეგნება კი არ განსაზღვრავს მის არსებობას, არამედ, პირიქით, საზოგადოებრივი არსებობა განსაზღვრავს მის (ადამიანის) შეგნებას. საზოგადოების ნივთიერი საწარმოო ძალები თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეჯახებიან არსებულ საწარმოო ურთიერთობათ, ან, რაც შეადგენს მხოლოთ ერთი და იმავეს იურიდიულ გამოსახვას,— საკუთრების ფორმებს, რომელთა გულში ისინი აქამდის ტრიალებდენ. ეს ურთიერთობანი საწარმოო ძალთა პროგრესიული განვითარების ფორმებიდან გარდაიქცევიან იმათ მუხრუჭებათ. მაშინ დგება სოციალური რევოლიუციის ხანა. ეკონომიური საფუძვლის გამოცვლასთან ერთათ იცვლება, მეტი თუ ნაკლები სიჩქარით, მთელი ეს უზარმაზარი ზედნაშენი. ასეთ რევოლიუციების განხილვის დროს საჭიროა ყოველთვის გამოვყოთ ნივთიერი (მატერიალური) ცვლილება ეკონომიურ საწარმოო ურთიერთობებში, რომლის დადგენა სისწორით შეიძლება წმინდა მეცნიერული გზით, იმ იურიდიულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ხელოვნურ ანუ ფილოსოფიურ, ერთი სიტყვით, იდეოლოგიურ ფორმებიდან, რომლებშიაც ადამიანები იგნებენ ამ კონფლიქტს (შეჯახებას) და ებრძვიან მას... არავითარ საზოგადოებრივ ფორმაციას არ ძალუძს გაქრეს მანამ, სანამ არ განვითარდებიან ყველა ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებისთვისაც ის საკმარისათ ფართოა, და არასოდეს ახალი უმაღლესი საწარმოო ურთიერთობანი არ ჩნდებიან მანამ, სანამ თვით ძველი საზოგადოების გულში არ წარმოიშვებიან ნივთიერი პირობები იმათი არსებობისთვის. ამიტომ კაცობრიობა ყოველთვის ისეთ მიზნებს აყენებს, რომლების განხორციელება მას ძალუძს, ვინაიდან, ვუკვირდებით რა საქმეს ახლო, ჩვენ ყოველთვის

ვრწმუნდებით იმაში, რომ თვით მიზანი ჩნდება მხოლოთ მაშინ, როცა უკვე არსებობენ, ან ჩნდებიან მაინც, ნივთიერი პირობები იმის გადასაწყვეტათ. როგორც პროგრესიული ეპოქები ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციისა შესაძლებელია საზოგადოთ აღნიშნულ იქნან: აზიური, ძველი ბერძნული (ანტიკური), ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიული წესები წარმოებისა. ბურჟუაზიული საწარმოვო ურთიერთობანი შეადგენენ საზოგადოებრივი საწარმოვო პროცესის უკანასკნელ ანტაგონისტურ (განხეთქილების მატარებელ) ფორმას, თავისთავათ იგულისხმება, ანტაგონისტურს არა კერძო ანტაგონიზმის მნიშვნელობით; მაგრამ ის საწარმოვო ძალები, რომლებიც ვითარდებიან ბურჟუაზიული საზოგადოების გულში, ქმნიან ამასთანავე ნივთიერ პირობებს ამ ანტაგონიზმის თავიდან ასაშორებლათ. ამიტომ ამ საზოგადოებრივ ფორმასთან ერთათ თავდება ადამიანთა საზოგადოების წინა ისტორია".

ამ სიტყვებში მოკლეთ, მაგრამ გამოკვეთილათ და ნათლათ გამოთქმულია უდიდესი ჭეშმარიტება, ულრმესი ახსნა კაცობრიობის ისტორიული განვითარებისა. ამ ახსნის თვალთახედვის წერტილიდან აურაცხელი შემთხვევითი, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი ფაქტები და გარემოებანი ხდებიან აუცილებელნი, ლოდიკური თანდათანობით ურთიერთ შორის შეკავშირებულნი და ერთი-ერთმანეთზე გადაბმულნი კაცობრიობის ისტორიის გრძელ განვითარების გზაზე. ის, რის ახსნა-განმარტებას ორი ათასის წლის განმავლობაში ამაოთ ცდილობდენ გენიოსი პირები, რაც მათთვის გაუგებარი და მიუწდომელი იყო, მარქსმა შეძლო ამ ნახევარი საუკუნის წინეთ. რა თქმა უნდა, ამ დიადი საკითხის გადაჭრისათვის საკმარისი არ იყო მარტო გენიოსური ნიჭი და ღრმა ცოდნა, რომლებითაც მარქსი, ყოველ ეჰვს გარეშე, აღჭურვილი იყო. ამისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ერთი მხრით განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობების წარმოშობა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფორმაში, რაც კლასობრივი

ბრძოლის გამწვავებას მოასწავებდა, და მეორე მხრით ძველი ფილოსოფიის მიერ უკანასკნელ წერტილის მიხწევა.

უდიდესი იარაღი, რომლითაც მარქსი ყველა თავის გამოკვლევებში სარგებლობდა, მდგომარეობდა დიალექტიურ მეთოდში. ეს უკანასკნელი პირველათ მარქსს არ აღმოუჩენია; იგი ცნობილი იყო დიდი ხნიდან მის წინეთ, და ცნობილმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა ამ მეთოდს მისცა თითქმის დამთავრებული ფორმა. კვლევა-ძიების ამ შემუშავებული და მზამზარეული ფორმით, როგორც იარაღით, მარქსმა ისარგებლა, ე. ი. გამოიყენა იგი თავის გამოკვლევებში. მაგრამ როგორც თვით მარქსი ამბობს, „მისი დიალექტიური მეთოდი თავის საფუძველში არა თუ განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ თითქმის შეადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისთვის აზრის პროცესი, რომელსაც იგი, იდეიის სახელით, აქცევს თითქმის რაღაც დამოუკიდებლათ, სინამდვილის შემქმნელათ (დემიურგათ), რომელიც (სინამდვილე) წარმოადგენს მხოლოთ აზრის პროცესის გარეგან გამოხატულებას. ჩემთვის კი იდეალური დასაწყისი შეადგენს, პირიქით, მხოლოთ ადამიანის ტვინში გატარებულ ნივთიერ დასაწყისს“.

როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ერთი ადრინდელ დაფასებათაგანი,*) როგორც მარქსის დიალექტიური მეთოდისა, ისე მისი ისტორიული მატერიალიზმის თეორიისა, მოგვცა ერთმა რუსის მწერალმა „კაპიტალის“ პირველი ტომის რუსული თარგმანის გამოცემის გამო ამ ორმოცი წლის წინეთ. აი, სხვათა შორის, რას ამბობს იგი: „მარქსისთვის საყურადღებო მხოლოთ ერთი რამ არის: იმ მოვლენათა კანონის აღმოჩენა, რომლებსაც იგი იკვლევს. და ამასთანავე მისთვის ყურადღების ღირსია არა მარტო ის კანონი, რომელსაც ეს მოვლენანი ემორჩილებიან, სანამ ამ უკანასკნელთ განსა-

*) ეს დაფასება მოთავსებული იყო ჟურ. „Вѣстникъ Европы“ 1872 წ. და ეკუთვნოდა საკმარისათ ცნობილ ეკონომისტს და სტატისტიკოსს ილ. კაუფმანს.

ზღვრული ფორმა აქვთ და სანამ ისინი იმ ურთიერთობაში იმყოფებიან, რომელსაც ჩვენ განსაზღვრულ დროს ვხედავთ. მისთვის, გარდა ამისა, საყურადღებოა კანონი მოვლენათა ცვალებადობისა, იმათი განვითარებისა, ე. ი. გარდასვლისა ერთი ფორმიდან მეორეში, ერთგვარი ურთიერთობიდან მეორეში. ერთხელ მან აღმოაჩინა ეს კანონი, იგი დაწვრილებით იხილავს იმ შედეგებს, რომლებშიაც კანონი ჩნდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანახმათ ამისა, მარქსის საზრუნავ საგანს შეადგენს მხოლოთ ერთი რამ: სწორი მეცნიერული გამოკვლევით დაამტკიცოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული წესწყობილების აუცილებლობა და რაც შეიძლება სინდისიერათ დაადგინოს ის ფაქტები, რომლებიც გახდენ მის გამოსავალ წერტილათ და ნავთსაყუდელათ. მისთვის სრულებით საკმარისია, თუ მან, დაამტკიცა რა თანამდროვე წესწყობილების აუცილებლობა, დაამტკიცა მეორე წესწყობილების აუცილებლობა, რომელზედაც უთუოთ უნდა გადავიდეთ, სულ ერთია: ფიქრობენ ამაზე თუ არ ფიქრობენ, იგნებენ ამას თუ არ იგნებენ. მარქსი იხილავს საზოგადოებრივ მოძრაობას, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელსაც მართავენ კანონები, რომლებიც არა თუ არ არიან დამოკიდებულნი ადამიანის ნებაზე, შეგნებაზე და სურვილებზე, არამედ რომლებიც თითონ განსაზღვრავენ მის ნებას, შეგნებას და სურვილებს... მარქსი ეკონომიური ცხოვრების საერთო კანონებს არა სცნობს: ასეთი კანონები არც კი არსებობენ. მისი შეხედულებით, პირიქით, თითოეულ ისტორიულ ხანას აქვს თავისი კანონები. მაგრამ, როგორც კი ცხოვრებამ განვლო განვითარების განსაზღვრული საფეხური და გადავიდა მეორეში, მას მართავენ უკვე სხვა კანონები... მოვლენათა უფრო ღრმა ანალიზმა დაგვანახვა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზმები განირჩევიან ერთიმეორესაგან არა უფრო ნაკლებათ, ვინემ ბოტანიკური ან ზოოლოგიური ორგანიზმები... დაისვა რა თავის მიზნათ წარმოების კაპიტალისტური წესწყობილების გამოკვლევა და ახსნა, მარქსმა მხო-

ლოთ წმინდა მეცნიერულათ გამოსახა ის მიზანი, რომელიც შეუძლია ქონდეს ეკონომიური ცხოვრების ზედმიწევნით გამოკვლევას... მისი (მარქსის) მეცნიერული მიზანი მდგომარეობს იმ კერძო კანონების გარკვევაში, რომელთაც ემორჩილება წარმოშობა, არსებობა, განვითარება, სიკვდილი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზმისა და მისი შეცვლა მეორე, უმაღლესი ორგანიზმით".*)

ამნაირათ, მარქსის ზეგავლენით შეხედულება კაცობრიობის წარსულ ცხოვრებაზე, აწმყოზე და მომავალზე ძირიანათ შეიცვალა. ეს იყო უუდიდესი ნაბიჯის გადადგმა ისტორიულ მეცნიერებაში. ისტორიული ცხოვრების განვითარების კანონები აღმოჩენილ იქნენ; ამას შემდეგ ისტორია აღარ წარმოადგენდა ისტორიულ ფაქტების და შემთხვევების გროვას უსისტემოთ, უგეგმოთ. ახლა ჩვენ ვიცით, მარქსის მეოხებით, თუ რა შეადგენს ისტორიული ცხოვრების გამოსავალ წერტილს და ამ ცხოვრების მამოძრავებელ ძალებს; უკანასკნელ ანგარიშში ეს არის არსებობის ნივთიერი პირობები, ან უფრო სისწორით რომ ვთქვათ, საწარმოო ძალთა განვითარება. მაგრამ ეს კიდევ არ იყო საკმარისი კაცობრიობის მთელი წარსული ისტორიის ასახსნელათ. საჭირო იყო იმ ღერძის აღმოჩენა, რომლის გარშემო ისტორია ტრიალებს. ასეთი ღერძი ნაპოვნი იქნა კლასობრივ ბრძოლაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასობრივი ბრძოლის იდეა უკვე მარქსამდე იყო ცნობილი. ბურჟუაზიული ისტორიკოსები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როგორც, მაგ., ოგუსტინ ტიერი, მინიე, გიზო და სხვ. თავის ისტორიულ ნაწერებში გადაჭრით აღიარებენ კლასობრივ ბრძოლას. განსაკუთრებით იდგენ ისინი კლასობრივი ბრძოლის პრინციპზე მაშინ, როცა ისინი არკვევდენ ბურჟუაზიის ისტორიას, მის ბრძოლას ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის თანდათან აღორძინებას და მის სრულ გამარჯვებას ფეოდალიზმზე.

---

*) იხ. „კაპიტალის" მეორე გამოც. წინასიტყვაობა, გვ. XIII—XV.

გამოჩენილი ბურჟუაზიული მწერლები, რა თქმა უნდა, არც ისე ბეცნი იყვენ, რომ კლასობრივი ბრძოლა ვერ შეემჩნიათ წარსულში, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმათი წინაპრები ასეთი ჭაპანწყვეტით ეწეოდენ ამ ბრძოლას თავაშვებულ ფეოდალების და თვითმპყრობელ მეფეების წინააღმდეგ. მაგრამ იგივე მეცნიერები მთელი თავისი ენერგიით უარყოფდენ კლასობრივ ბრძოლას მაშინ, როცა ბურჟუაზიამ უკვე მოიპოვა ძალა-უფლება და სავსებით გაბატონდა. განსხვავება იმაში იყო, რომ წინეთ ბურჟუაზია იბრძოდა თავისი ინტერესების სასარგებლოთ ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ, და ახლა კი პროლეტარიატი—ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ ბურჟუაზიული მწერლების შეხედულებით კლასობრივი ბრძოლა კარგი იყო მაშინ, როცა ბურჟუაზია იბრძოდა ფეოდალების ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ იგი დასაგმობია მაშინ, როცა ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვის პროლეტარიატი. ასე ესმოდათ კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ მწერლებს. სულ სხვანაირათ წარმოგვიდგება კლასობრივი ბრძოლა მარქსის განმარტებით. მისი შეხედულებით კლასობრივი ბრძოლა წითელი ზოლივით გაივლის კაცობრიობის მთელ ისტორიაში, და ამასთანავე ეს ბრძოლა, რაც დრო გადის, მით უფრო მწვავე, აშკარა და შეგნებული ხდება. კლასობრივ ბრძოლას არ განიცდიდა მხოლოთ პირველყოფილი საზოგადოება, რომელიც ცხოვრობდა საგვარეულო წესწყობილებაში, სადაც კლასებს ადგილი არ ჰქონდათ. მაგრამ რამდენათ საზოგადოება იყოფოდა სხვა და სხვა ჯგუფებათ, წოდებებათ თუ კლასებათ, იმდენათ ვითარდებოდა და იზრდებოდა ეს ბრძოლა. კლასობრივი ბრძოლა ხდებოდა და ხდება ეკონომიურ ინტერესების გარშემო; პოლიტიკური ბატონობა წარმოადგენს ერთათერთ საიმედო საშუალებას ეკონომიური ბატონობისათვის. მარქსი თავის სხვა და სხვა ნაწერებში დაწერილებით გვიხატავს ჩვენ, თუ როგორ და რანაირათ თანამედროვე პროლეტარიატი, ყველაზე უფრო დაჩაგრული და შევიწროვებული, თანდათან იგნებს თავის კლასობრივ მდგომარეო-

ბას. ბურჟუაზიული საზოგადოების პირისპირ, თუ მისი კერძო, დაქსაქსული და განცალკევებული აღშფოთებანი და არეულობანი ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ პირველ ხანებში როგორ თანდათან კარგავენ ადგილობრივ, ვიწრო, შემოფარგულ ხასიათს, და იმავე დროს ერთდებიან პირველათ ერთი ადგილის ანუ რაიონის მუშები, შემდეგ მთელი სახელმწიფოის ცალ-ცალკე და ბოლოს ყველა ქვეყნის პროლეტარიები ადგენენ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, სადაც თავს იყრიან ყველა ქვეყნის მუშათა წარმომადგენელნი; პროლეტარიატის შეგნების და შეკავშირების ზრდასთან ერთათ თითოეულ ცალკე ქვეყანაში იზრდება და მაგრდება პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მსგავსათ დიდი მდინარისა, ადიდების დროს, მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ და ეკონომიურ წესწყობილებას შეცვლის. ამ ნაირათ კლასობრივი ბრძოლის განვითარება აუცილებლათ მიგვიყვანს ჩვენ ბურჟუაზიის დამარცხებამდე პროლეტარიატის მიერ, ისე, როგორც ამის წინ ეს ბრძოლა გათავდა ფეოდალიზმის დამარცხებით ბურჟუაზიული წესწყობილების მიერ. მაგრამ პროლეტარიატის გამარჯვება არ ემგვანება ბურჟუაზიის გამარჯვებას: ბურჟუაზიის გამარჯვება მოასწავებდა მის გაბატონებას ეკონომიურათ და სოციალურათ მუშა ხალხზე; პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე კი ნიშნავს ყოველგვარი დაჩაგვრის და შევიწროების თავიდან აშორებას. ამნაირათ, პროლეტარიატი,—ეს ყველასაგან დაჩაგრული, შევიწროებული და გაყვლეფილი კლასი თავისი გამარჯვებით განათავისუფლებს არა თუ მარტო თავის თავს, არამედ იგი სამუდამოთ სპობს ყოველგვარ ჩაგვრას, ყოველგვარ ექსპლოატაციას ადამიანისას ადამიანის მიერ: იგი ათავისუფლებს მთელ კაცობრიობას...

ასეთია მოკლეთ მარქსის ფილოსოფიის კვინტ-ესსენცია, —მისი არსებითი მხარე. საჭიროა აქვე სქემატიურათ, კიდევ უფრო შემოკლებით მოვიყვანოთ მარქსის „კაპიტალის“ ში-

ნაარსი, რათა ჩვენს წერილს უფრო დამთავრებული ხასიათი დაურჩეს.

როგორც საზოგადოთ მიღებულია, „კაპიტალი“ დაედვა საფუძვლათ მთელ თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიას. იგი შესდგება ოთხი დიდი ტომისაგან. სამწუხაროთ, თვით მარქსის სიცოცხლეში გამოვიდა მხოლოთ პირველი ტომი; მეორე და მესამე გამოვიდა ენგელსის რედაქტორობით მარქსის სიკვდილის შემდეგ, და არც ერთი იმათგანი მარქსის მიერ არ ყოფილა მომზადებული დასაბეჭდათ. ეს შრომა მის შემდეგ იკისრა ფრ. ენგელსმა. რაც შეეხება მეოთხე ტომს, იგი ხომ სულ შეუმუშავებელი დარჩა ავტორს და მის მაგივრ ამ 2—3 წლის წინეთ კაუცკიმ გამოსცა ზედმეტი ღირებულების თეორიების ისტორიულ-კრიტიკული განხილვა, რომელიც შეადგენს „Zur Krit. der pol. Oek.“-ის ნაწილს.

ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა, რა თქმა უნდა, „კაპიტალის“ პირველი ტომი. „კაპიტალის“ დანარჩენი ნაწილები ან გამოდიან მისგან ან ემყარებიან მაზე, ე. ი. უფრო სისწორით რომ ვთქვათ, ანვითარებენ იმას, რასაც პირველი ტომი შეიცავს. პირველი ტომი იხილავს კაპიტალისტური წარმოების პროცესს, იმას, თუ რამ გამოიწვია წარმოების ეს ფორმა, რაზე ემყარება იგი, რაში მდგომარეობს და რა კანონებს ემორჩილება მისი განვითარება. მეორე ტომში განხილულია კაპიტალის ტრიალის პროცესი; მესამეში—კაპიტალისტური წარმოების მთელი პროცესის სხვა და სხვა ფორმები (კაპიტალისტური წარმოების პროცესი აღებული მთლათ).

პირველი ტომის პირველი თავი იწყება ყველაზე უფრო უძნელესი ცნების განმარტვით—საქონლის ანალიზით. „იმ საზოგადოების სიმდიდრე, რომელშიაც გაბატონებულია წარმოების კაპიტალისტური წესი, წარმოგვიდგება როგორც საქონლების გროვა, კერძო საქონელი კი შეადგენს ამ სიმდიდრის უჯრედს“. ამიტომ მარქსი იწყებს საქონლის ანალიზიდან. ვინ წარმოიდგენდა, რომ საქონელი,—ეს ყველასათვის ცნობილი და ადვილი გასაგები საგანი, რომლის გამო-

ცნობა ყველა შტერ და ჭკუა-მოკლე ადამიანსაც კი შეუძლია, რომლის ღირსება-ნაკლულევანებაზე მსჯელობენ დიდი და პატარა, ნასწავლი თუ უსწავლი,—აი, ეს საქონელი წარმოადგენს მეტათ გაუგებარ ცნებას, რომელიც, მარქსის სიტყვით, სავსეა ათასნაირი საკვირველებით. საქონელი წარმოადგენს ერთი მხრით სახმარ ღირებულებას, ე. ი. ისეთ ნივთს, საგანს, რომელიც ადამიანის განსაზღვრულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მეორე მხრით—საცვლელ ღირებულებას, ე. ი. ისეთ საგანს, რომლის გაცვლა მეორე საგანზე შესაძლებელია. ამნაირათ საქონელი წარმოადგენს სახმარ და საცვლელ ღირებულებათა ერთიანობას; საქონლის ეს ორგვარი ხასიათი მომდინარეობს თვით ადამიანის შრომის ორგვარიანობისაგან,—ერთი მხრით პირდაპირ სასარგებლო, კონკრეტიული შრომა, როგორც, მაგ., მჭედლის, დურგლის, მეწაღის,—და მეორე მხრით—როგორც ადამიანის საყოველთაო, აბსტრაქტიული, განყენებული შრომა, ე. ი. ადამიანის ნერვების, ტვინის და საზოგადოთ სამუშაო ძალის დახარჯვა. ამნაირათ ირკვევა განსხვავება სახმარ და საცვლელ ღირებულებათა შორის. აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ საზოგადოებრივათ აუცილებელი საშუალო შრომა შეადგენს საცვლელი ღირებულების არსებას; მაშასადამე, ღირებულების სიდიდე განისაზღვრება საზოგადოებრივათ აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობით, რომელიც განსაზღვრულ პირობებში, განსაზღვრულ ადგილას და დროს საჭიროა რომელიმე საგნის ანუ სახმარი ღირებულების გასაკეთებლათ.

ვინაიდან საქონელი წარმოადგენს საცვლელ ღირებულებას, ე. ი. ადამიანის შრომის ისეთ ნაწარმოებს, რომელიც დანიშნულია სხვა ნაწარმოებზე გასაცვლელათ, და ვინაიდან დროთა-ვითარების განმავლობაში, საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთათ, ადამიანის შრომის ნაწარმოებთა სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი ღებულობს საქონლის სახეს, ამიტომ საქონლის წარმოების განვითარებისთანავე ჩნდება ფულის საჭიროების აუცილებლობა, ე. ი. ისეთი საქონლის, რომლის

გაცვლა სხვა საქონელზე დაუბრკოლებლათ ხდება ყველგან და ყოველ დროს. აქედან ავტორი გადადის კაპიტალზე; იგი იკვლევს, თუ რა პირობებში და რისთვის ფული იქცევა კაპიტალათ. აქ პირველ რიგზე წამოყენებულია ზედმეტი ღირებულების წყარო: სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, გამოტანა ბაზარზე გასაყიდათ,—აი სად უნდა მოვძებნოთ ზედმეტი ღირებულების წყარო. ამის დასაბუთება შეადგენს „კაპიტალის“ საუკეთესო ადგილს. მარქსი არჩევს ორგვარ ზედმეტ ღირებულებას: 1) იმას, რომელიც წარმოდგება სამუშაო დღის გაგრძელებით, იგი უწოდებს აბსოლიუტურ ზედმეტ ღირებულებას და 2) იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც წარმოდგება აუცილებელი სამუშაო დროს შემოკლებით, ე. ი. იმ დროის, რომლის განმავლობაში მზადდება სამუშაო ძალის თანაბარი ღირებულება და სამუშაო დღის ორივე შემადგენელი ნაწილების ურთიერთ ცვლილების გამო, იგი უწოდებს შედარებით ზედმეტ ღირებულებას. როგორც აბსოლიუტური, ისე შედარებითი ზედმეტი ღირებულების სიდიდის გამო კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ხდება შეუწყვეტელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რასაც ავტორი საუცხოვოთ გვისურათხატებს ინგლისის მრეწველობის ისტორიით. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს კაპიტალისტური წარმოების ისტორიას, სადაც ეხება კოოპერაციას, შრომის განაწილებას, მანუფაქტურულ წარმოებას, მაშინურს და სხვილ მრეწველობას; ამას მისდევს აბსოლიუტური და შედარებითი ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესის და სამუშაო ხელფასის განხილვა. უკანასკნელ, მეშვიდე, განყოფილებაში მარქსი იკვლევს კაპიტალის შეგროვების პროცესს და იმას, თუ რა გავლენას ახდენს ეს მუშა ხალხის ბედზე, თუ ტეხნიკის განვითარების, მეტოქეობის და სხვა ფაქტორების მეოხებით თანდათან, არა მარტო შედარებით, არამედ აბსოლიუტურათაც, კლებულობს კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მიდის სამუშაო ძალის დასაქირავებლათ, ანუ მუშა ხალხის არსებობის საშუალებათა ასანაზღაურებლათ, თუ აქედან როგორი აუცილებლობით

ჩნდებიან ეგრეთ წოდებული „ზედმეტი (მოჭარბებული) მცხოვრებნი“ (Surpulus population—избыточное населеніе). როგორც პირველ ტომის დასკვნა, აქვე უნდა აღვნიშნოთ უკანასკნელი მეოცდაოთხე თავი—კაპიტალის ეგრეთ წოდებული შეგროვების დასაწყისი (первоначальное накопленіе). აქ მარქსი თვალწინ გვიშლის შემაძრწუნებელ ისტორიას, მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, თუ როგორ, რა სასტიკი და ულმობელი საშუალებებით და ზომებით ხდებოდა ეს შეგროვება. ავტორს მოყავს აუარებელი ისტორიულ-ეკონომიურ-სტატისტიკური ცნობები, რომელთაც თავისი სისასტიკით და საშინელებით განცვიფრებაში მოყავს მკითხველი, და ათავებს პირველ ტომს პარაგრაფით „კაპიტალისტური შეგროვების ისტორიულ ტენდენციის“ (მიდრეკილების) აღნუსხვით. აქ მარქსი ხელახლა უყრის თავს თავის აზრებს და აკეთებს ისეთ დასკვნას, რომელიც, როგორც გარეგანი ფორმით, ისე კიდევ უფრო ღრმა შინაარსით, ერთ საუკეთესო ადგილათ უნდა ჩაითვალოს მთელ „კაპიტალში“. მოგვყავს იგი აქ, მცირე შემოკლებით, სიტყვა-სიტყვით, მით უმეტეს რომ კაუცკის წიგნში იგი არ არის მოყვანილი.

„რაში მდგომარეობს კაპიტალის შეგროვების დასაწყისი, ე. ი. მისი ისტორიული გენეზისი (წარმოშობა)?—კითხულობს მარქსი... „იგი აღნიშნავს მხოლოთ პირდაპირი მწარმოებლის ექსპროპრიაციას*) (საკუთრების ძალით წართმევას), კერძო საკუთრების დაშლას, იმ საკუთრების, რომელიც დაფუძნებული იყო საკუთარ შრომაზე...

---

*) ამ სიტყვით მარქსი აღნიშნავს იმ საზოგადოებრივ-ეკონომიურ მოვლენას, რომელსაც გარეგნობით თუმც ავაზაკური ძარცვა-გლეჯის ხასიათი ქონდა, მაგრამ რომელიც არსებითათ გამოწვეული იყო საწარმოვო ძალთა განვითარების მეოხებით. ამიტომ ამ სიტყვას იმ მნიშვნელობით, რომლითაც მას მარქსი ხმარობს, არაფერი საერთო არა აქვს იმ მართლაც ავაზაკურ ძარცვა-გლეჯასთან, რომელსაც ექსპროპრიაციის სახელით „რევოლიუციის ნაძირალნი“ ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ჩადიან. ეს ნამდვილი „გაუწმინდურებაა“ ამ სიტყვის, როგორც მას მარქსი ხმარობდა.

„კერძო საკუთრება, როგორც საზოგადოებრივი, კოლექტიური საკუთრების წინააღმდეგობა, არსებობს მხოლოთ იქ, სადაც შრომის იარაღები და შრომის გარეგანი პირობები კერძო პირებს ეკუთვნიან. მაგრამ იმის მიხედვით, არიან ეს კერძო პირები მუშები თუ არა მუშები, კერძო საკუთრებასაც სხვა და სხვა ხასიათი აქვს...

„მუშის კერძო საკუთრება თავის საწარმოვო საშუალებებზე შეადგენს წვრილი წარმოების საფუძველს... თუმც წარმოების ასეთი წესი არსებობს აგრეთვე მონობის, ბატონყმობის და დამოკიდებულების სხვა ურთიერთობათა ჩარჩოებშიაც, მაგრამ იგი ხარობს, ავითარებს მთელ თავის ენერგიას, იძენს საკუთარ თავის კლასიურ ფორმას მხოლოთ იქ, სადაც მუშა გამოდის, როგორც შრომის საშუალებათა თავისუფალ კერძო მესაკუთრეთ,—გლეხი—მიწის მესაკუთრეთ, რომელსაც თითონ მუშაობს, ხელოსანი—იმ იარაღების მესაკუთრეთ, რომლებსაც იგი ხმარობს...

„წარმოების ესრეთი წესი გულისხმობს მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა დაქუცმაცებას. იგი უარყოფს როგორც საწარმოვო საშუალებათა კონცენტრაციას (თავისმოყრას), ისე კოოპერაციასაც... იგი შესაძლებელია მხოლოთ წარმოების ვიწრო ფარგალში... თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იგი თითონ ბადებს თავისი გაქრობის ნივთიერ საშუალებათ. ამ დროდან საზოგადოების გულში ჩნდებიან ძალები და მოთხოვნები, რომელთაც იგი ბორკავს. იგი უნდა გაქრეს და იგი ქრება. მისი გაქრობა, წარმოების კერძო, განცალკეევებულ საშუალებათა თავმოყრილ და საზოგადოებრივ საშუალებებათ გარდაქცევა, ე. ი. მრავალთა წვრილი საკუთრების უმცირესობის სხვილ საკუთრებათ გარდაქცევა, არსებობის საშუალებათა და შრომის იარაღთა ხალხის ფართო მასსისთვის წართმევა, ხალხის ფართო მასსის ეს საზარელი და ძნელი ექსპროპრიაცია შეადგენს კაპიტალის ცხოვრებაში ისტორიის წინა ხანას... წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება ყოვლად

დაუზოგავი ბარბაროსობით, სიმხეცით, ყოვლად უმდაბლეს განსაზღვრათა, ყოვლად უსაძაგლეს, უწვრილმანეს ბოროტ ვნებათა ზეგავლენით. კერძო საკუთრება, შეძენილი საკუთარი შრომის მეოხებით... იძევება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დამყარებულია სხვისი, თუმც ფორმალურათ თავისუფალი, შრომის გაყვლეფაზე (ექსპლოატაციაზე).

„მას შემდეგ რაც გარდაქმნის ამ პროცესმა უკვე საკმარისათ ფართოთ და ღრმათ დაშალა ძველი საზოგადოება, და მუშები გარდაიქცენ პროლეტარიებათ და იმათი შრომის პირობები—კაპიტალათ... შრომის მომავალი განსაზოგადოებრივება და მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა მომავალი გარდაქცევა წარმოების საშუალებებათ, რომელთაც თვით საზოგადოება იყენებს საერთო ძალით, სხვა სიტყვებით, კერძო მესაკუთრეების მომავალი ექსპროპრიაცია ახალ ფორმას ღებულობს. ახლა საკუთრება უნდა ჩამოერთვას არა მუშას, რომელიც დამოუკიდებლათ ეწევა წარმოებას, არამედ—კაპიტალისტს, რომელიც ყვლეფს მრავალ მუშებს.

„ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების შინაგან კანონების ძალით; კაპიტალების ერთათ თავმოყრის საშუალებით ერთი კაპიტალი ამარცხებს მრავალთ. ამავე დროს, ამ თავმოყრასთან, ე. ი. მრავალ კაპიტალისტების რამდენიმე კაპიტალისტის მიერ ხელცალიერათ დატოვებასთან ერთათ, სულ უფრო და უფრო მეტათ ვითარდებიან შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტეხნიკური გამოყენება, მიწის რაციონალური შემუშავება, შრომის იარაღთა ისეთ ნაირათ მოწყობა, რომ იმათი გამოყენება მხოლოთ საერთო ძალით იქნება შესაძლებელი, და ყველა ამასთან ერთათ, როგორც მათი პირდაპირი შედეგი—წარმოების საშაულებათა დაზოგვა, ეკონომია. ბოლოს ამას მოსდევს ყველა ხალხთა მსოფლიო ბაზრის ფერხულში ჩათრევა და, ამნაირათ, კაპიტალისტური წესწყობილება საერთაშორისო ხასიათს ღებულობს. კაპიტალისტ-

მაგნატების რიცხვის შეუჩერებელ შემცირებასთან ერთათ, რომლებიც მთელი ამ ზრდის და მატების ყოველგვარ სარგებლობას თავისთვის ისაკუთრებენ და თავის მონოპოლიათ ხდიან, მატულობს სიღატაკე, ჩაგრვა, ზონობა, გარდაშენება, ყვლეფა, მაგრამ, მეორე მხრით, მატულობს აგრეთვე მუშა ხალხის წინააღმდეგობაც, რომელიც (მუშა ხალხი) იზრდება, ერთიანდება და ურთიერთშორის კავშირს კრავს თვით კაპიტალისტური წარმოების მექანიზმის მეოხებით. კაპიტალის მონოპოლია გარდაიქცევა მუხრუჭათ წარმოების იმ წესის მომავალი განვითარებისთვის, რომელიც განვითარდა მასთან ერთათ და მისი დახმარებით. წარმოების საშუალებათა თავისმოყრა (ცენტრალიზაცია) და შრომის განსაზოგადოებრივება ახწევენ ისეთ წერტილს, რომელზედაც ისინი თავის კაპიტალისტურ კანში ვეღარ ეტევიან. იგი სკდება. კაპიტალისტური კერძო საკუთრების საათი რეკს. ექსპროპრიატორებს (კაპიტალისთა კლასს) ექსპროპრიაციას უშვრებიან.

...„კაპიტალისტური კერძო საკუთრება არის პირველი უარყოფა ინდივიდუალური, კერძო, საკუთრებისა, რომელიც დამყარებულია საკუთარ შრომაზე. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება ქმნის ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით თავის საკუთარ უარყოფას. ეს უარისყოფის უარისყოფაა...

„გარდაქცევა დაქუცმაცებული კერძო საკუთრებისა, რომელიც დამყარებულია მწარმოებელთა საკუთარ შრომაზე, კაპიტალისტურ საკუთრებათ, რა თქმა უნდა, შეუდარებლათ უფრო მეტათ ხანგრძლივი, მძიმე და ძნელი პროცესია, ვინემ გარდაქცევა კაპიტალისტური საკუთრებისა, რომელიც უკვე ფაქტიურათ ემყარება საზოგადოებრივ წარმოებაზე, საზოგადოებრივ წარმოებათ. იქ საქმე ეხებოდა ხალხის ფართო მასსის ექსპროპრიაციას რამდენიმე პირის მიერ, აქ კი საქმე ეხება რამდენიმე უზურპატორების ექსპროპრიაციას ხალხის ფართო მასსის მიერ.“ *)

---

*) „კაპიტალის“ რუს. თარ., სტრუვეს გამ., ტ. I, გვ. 550—552.

აი მოკლეთ კაპიტალისტური წარმოების განვითარების მთელი სურათი; ეს არ არის მარტო წარსულის და აწმყოს სურათი, ეს იმავე დროს ახლო მომავლის შეუდარებელი სისწორით დახატვაა. ეს რომ დაიწერა, მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა; ეს საკმარისათ დიდი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში. ამ ხნის განმავლობაში ათასნაირი ცვლილება მოხდა: თანამედროვე სახელმწიფოებმა რამდენიმეჯერ იცვალეს ფერი; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალმა მოვლენებმა იჩინეს თავი, რომლებზედაც წინეთ წარმოდგენა არ ქონდათ; ბუნებისმეტყველებამ ვეებერთელა ნაბიჯი გადადგა წინ, და იმავე დროს კი აქ დახატული სურათი, განსაკუთრებით ის დედა-აზრი, რომელიც მასში გატარებულია, სრულიად შეურყეველი რჩება. საკმარისია გავითვალწინოთ ის, თუ რა ხასიათს ღებულობს ამ უკანასკნელ დროს კაპიტალისტური მრეწველობა, თუ როგორ მოხვია მან ხელი მთელ დედამიწას. კაპიტალების თავისმოყრა ჯერ ადგილობრივათ ხდება, მაგრამ ჩქარა იგი ველარ ეტევა ნაციონალურ ანუ ცალკე სახელმწიფოების საზღვრებში, აპობს კერძო სახელმწიფოების საზღვრებს, რითაც კაპიტალი სამუდამოთ კარგავს ნაციონალურ, ეროვნულ ელფერს და ღებულობს წმინდა საერთაშორისო ხასიათს. ჯერ ჩნდებიან სააქციონერო საზოგადოებანი, შემდეგ სინდიკატები და კარტელები ანუ სხვილ კაპიტალისტების კავშირნი; მაგრამ კაპიტალის კონცენტრაცია აქ არ ჩერდება; კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს,—მის უუმწვერვალესს წერტილს წარმოადგენენ ტრესტები,—ამერიკის ფულის მეფეების კაპიტალისტური ორგანიზაციები. კაპიტალის ამ ახალ ორგანიზაციაში საქონლეების წარმოება, მათი გადატან-გადმოტანა და მუშტრებისათვის მიწოდება, ე. ი. როგორც წარმოების, ისე აღებმიცემობის სფერა ერთ და იმავე პირების ხელში შეადგენს. ტრესტები ჯერ მხოლოთ წარმოების რამდენსამე დარგშია გავრცელებული, როგორც, მაგალითათ, ნავთის, რკინეულობის, თამბაქოს და სხვ., მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის,

რომ კაპიტალის ესრეთი ტენდენცია სრულებით ბუნებრივი და აუცილებელია.*)

„კაპიტალის“ დანარჩენ ტომების შესახებ ჩვენ ცოტაღა დაგვრჩენია სათქმელი. კაპიტალისტური წარმოების თეორია, ე. ი. მისი წარმოშობა, ზრდა და საბოლოო ბედი, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, პირველ ტომში სავსებით შესწავლილი და გამოკვლეულია. ამას შემდეგ საჭირო იყო მხოლოთ კაპიტალისტური წარმოების კერძო მოვლენების და მხარეების უფრო დაწვრილებით შესწავლა და გამოაშკარავება. ამნაირათ, „კაპიტალის“ მეორე ტომი იკვლევს კაპიტალის ტრიალს. მარქსი აქ გვიხატავს, თუ კაპიტალი თავის მოძრაობაში რადარა ფორმას იღებს: როცა იგი იმყოფება წარმოების ხანაში, მარქსი მას უწოდებს წარმოებითი კაპიტალს; როცა იგი ტრიალის სფერაშია, მაშინ მას ქვია სატრიალო კაპიტალი. ამ უკანასკნელ სფერაში კაპიტალი შეიძლება იყოს ან საქონლის ფორმაში ან ფულის. ამასთანავე ავტორი ამტკიცებს, რომ კაპიტალის ღირებულება მატულობს ანუ იზრდება მხოლოთ მაშინ, როცა იგი წარმოებითი ხანაში იმყოფება. შემდეგ ავტორი არკვევს, თუ რა ძირითადი განსხვავება არსებობს ერთი მხრით ძირითად და სატრიალო კაპიტალებს შორის და მეორე მხრით მუდმივ და ცვალებად კაპიტალებს შორის. აქ მარქსი სასტიკი კრიტიკის დარჯაკში ატარებს ბურჟუაზიულ ეკონომისტების შეხედულებებს ძირითად და სატრიალო კაპიტალების შესახებ და იმავე დროს არკვევს, რისთვის ან რა მოსაზრებით ისინი ვერ ამჩნევდენ ან არ უნდოდათ შეემჩნიათ ის განსხვავება, რომელიც არსებობს მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის. დასასრულ, მეორე ტომში მარქსი იკვლევს საზოგადოების კაპიტალების მთელი ჯამის აღდგენას და ტრიალს; აქ პირველათ იგი ეხება მარტივ აღდგენას, როცა მთელი წლის წარმოების ღირებულება არ მატულობს,

---

*) ვისაც ეინტერესება ტრესტების როლი და მნიშვნელობა, იმათ ჩვენ ვურჩევთ პ. ლაფარგის წიგნს ამ საგანზე. არის რუსულ ენაზედაც.

ე. ი. როცა ზედმეტი ღირებულება, წლის განმავლობაში შექმნილი, სულ მთლათ იფლანგება; შემდეგ იგი არკვევს წარმოების აღდგენას უფრო გაფართოებულ ფარგლებში, როცა წლის განმავლობაში შექმნილი ზედმეტი ღირებულება ან სულ, ან მისი ნაწილი წინანდელ წარმოებითი კაპიტალს ემატება.

თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების კიდევ უფრო რთულ მოვლენებს მარქსი ეხება „კაპიტალის“ მესამე ტომში. უმთავრესი საგანი, რომელსაც აქ ავტორი იკვლევს, ეხება ზედმეტი ღირებულების განაწილებას საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის, რა თქმა უნდა, გარდა მუშათა კლასისა. უწინარეს ყოვლისა ავტორი იკვლევს იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის. საქმე იმაშია, რომ ზედმეტი ღირებულება, გაკეთებული რომელსამე საწარმოო საქმეში, არასოდეს არ შეიძლება, რომ სულ მთლათ მითვისებულ იქნას ამ საქმის კაპიტალისტის მიერ, არამედ ეს ზედმეტი ღირებულება იყოფა საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის: სხვადასხვა დარგის კაპიტალისტებს შორის (სამრეწველო მოგება), ვაჭრებს შორის (სავაჭრო მოგება), ფულის გამსესხებელთა შორის (კაპიტალის ანუ ფულის სარგებელი, პროცენტი) და მიწისმფლობელთა შორის (მიწის ღალა ანუ რენტა*). განსაკუთრებული ყურადღებით იკვლევს აქ ავტორი მიწის რენტის კანონებს. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ განხილული მოვლენები იმდენათ რთული და სხვადასხვაგვარია, რომ იმათი აღნუსხვა, თუმც ძლიერ შემოკლებით, მეტათ გაადიდებდა ამ წინასიტყვაობას, რომელიც უიმისოდაც საკმარისათ გაგრძელდა. მხოლოთ საჭიროთ მიგვაჩნია ერთი რამ აღვნიშნოთ აქ, სახელდობ ის, რომ ერთათ ერთი ძლიერი ფაქტორი, რომელიც, უკანასკნელ ანგარიშში, ყველა ამ

---

*) მესამე ტომის ამ ნაწილის შინაარსს კაუცკი გადმოგვცემს თავისი შრომის მეორე განყოფილების მეოთხე თავში.

მოვლენებს აწესრიგებს, რომელიც იმათ შრომა-მოქმედებას განსაზღვრულ ფარგალში აჩერებს, არის მეტოქეობა.

ახლა რამოდენიმე სიტყვა თვით თარგმანის შესახებაც.

გაუეჟილს—გატეხილი. ჯობიაო, ნათქვამია. ჩვენც პირდაპირ უნდა გამოვტყდეთ იმაში, რომ ქართული ენა, თუმც საკმარისათ განვითარებული, განსაკუთრებით როცა პოეზია გვაქვს მხედველობაში, მეტათ უძლურია მეცნიერების დარგში. ყველამ კარგათ იცის, რომ ქართულ ენაზე არც ერთი დარგი თანამედროვე მეცნიერებისა დამოუკიდებლათ არ განვითარებულა. ვიტყვით მეტსაც: მეცნიერების მრავალი დარგი ქართულმა ენამ დღემდის სრულებით არ იცის. ამ გარემოებას მეტათ ცუდი შედეგი უნდა მოყოლოდა და მოყვა კიდეც. ჩვენ ვამბობთ ქართული სამეცნიერო ენის სისუსტეზე საზოგადოთ და სამეცნიერო ტერმინების უქონლობაზე კერძოთ. არავისთვის დაფარული არ არის ის, რომ სამეცნიერო წიგნის თითქმის ყველა მთარგმნელი ქართულ ენაზე ხშირათ მეტათ უხერხულ მდგომარეობაში გრძნობს თავს. განსაკუთრებით საგრძნობელია ეს შესაფერი ტერმინების გამოძებნის დროს. როგორც კაუცკი ამბობს თავის წინასიტყვაობაში, ამ შემთხვევა'ში საქმეს არაფერს შველის ის გარემოება, რომ ჩვეულებრივათ ნათარგმნის სიტყვის გვერდით ფრჩხილებში სვამენ თვით უცხო სიტყვის. მართლაც, ვინც უცხო ენა იცის, იმისთვის არც თარგმანია საჭირო, და ვინც იგი არ იცის, მას ქართული სიტყვის გვერდით უცხო ტერმინი მაინც არაფერს ეტყვის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამ წიგნის თარგმანში ეს ჩვეულება დაცულია, თუმც, რა თქმა უნდა, სულ სხვა განზრახვით. გარდა ამისა, ზოგიერთ უფრო რთულ ცნებათა და საკუთარ სახელების ახსნა-განმარტება ჩვენ უფრო მოხერხებულათ ვცანით წიგნის ბოლოში ჩაგვერთო, როგორც ცალკე დამატება.

ამ წიგნის თარგმანის დროს ჩვენ ვსარგებლობდით როგორც მისი რუსული თარგმანებით, ისე გერმანული დედნითაც, გამოცემა 1894 წლის.

რამდენიმე სიტყვა კიდევ. კაუკაის წიგნში, სადაც ლაპარაკია სხვადასხვა ქვეყნების საფაბრიკო კანონმდებლობაზე მუშების დასაცავათ, რუსეთის შესახებ იქ კრინტიც არ არის დაძრული. რა თქმა უნდა, საფაბრიკო კანონმდებლობა, თუ ცხოვრებაში არა, ქაღალდზე მაინც, რუსეთშიაც არსებობს, და მისი გამოცემის ისტორია, არა ნაკლებ საგულისხმიეროა, თუ კიდევ უფრო მეტათ არა, ვინემ სხვა ქვეყნების საფაბრიკო კანონმდებლობანი ამ საგნის შესახებ. თავისთავათ იგულისხმება, რომ ქართველი მკითხველისთვის რუსეთის საფაბრიკო კანონმდებლობა დიდათ საინტერესო უნდა იყოს, და ამიტომაც ჩვენ განზრახვა გვქონდა, რამდენიმეთ მაინც, ეს ნაკლი თავიდან აგვეცილებია რუსეთის საფაბრიკო კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვის ჩართვით წიგნის ბოლოში. მაგრამ, სამწუხაროთ, სხვადასხვა გარემოებებმა ამაში ხელი შეგვიშალეს. ვიმედოვნებთ კი, რომ ახლო მომავალში, ან ამ წიგნის შემდეგ გამოცემაში, ან ცალკე წიგნათ, ჩვენ ვეცდებით ამ საგნის განმარტვას.

ფ. მახარაძე

20 ოქტ., 1909 წ.
კრასნოიარი, ასტრ. გუბ.

განყოფილება პირველი

საქონელი, ფული, კაპიტალი.

თავი I

ს ა ქ ო ნ ე ლ ი

1. საქონლის წარმოების ხასიათი

თავის „კაპიტალში“ მარქსი იკვლევს წარმოების დღევანდელ კაპიტალისტურ წესს; აქ იგი არ ეხება ბუნების იმ კანონებს, რომლებიც წარმოების პროცესს საფუძვლათ უდევს და რომლების გარკვევა-ანალიზი, სხვათა შორის, შეადგენს მექანიკის და ქიმიის დანიშნულებას, და არა პოლიტიკური ეკონომიისას. აგრეთვე მარქსი წარმოების მარტო იმ ფორმებს კი არ იკვლევს, რომლებიც ყველა ხალხთათვის საერთოა, ვინაიდან ამ გვარი გამოკვლევა ხშირათ ისეთ უნაყოფო ზოგად დასკვნამდე მიგვიყვანს, როგორც, მაგ., წარმოებისათვის ადამიანს ესაჭიროება შრომის იარაღი, მიწა და ცხოვრების სახსარი. პირიქით, მარქსი დაინტერესებულია საზოგადოებრივი წარმოების განსაზღვრული ფორმის განვითარების კანონებით, იმ ფორმის, რომელიც განსაზღვრულ დროს (უკანასნელ საუკუნოებს) და განსაზღვრულ ერებს (ევროპის და იქიდან წარმომდგართ; უკანასკნელ დროს წარმოების ეს ფორმა მყარდება აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც და სხვა ერებშიაც, როგორც, მაგ., იაპონიაში და ინდოეთში) ეკუთვნით.

დღევანდელი წარმოების გაბატონებული წესი, რომლის თვისებებს ჩვენ უფრო ახლო ქვევით გავეცნობით, შესამჩნევათ განსხვავდება წარმოების სხვა წესებიდან, მაგ , ფეოდალურისაგან, რომელიც გაბატონებული იყო ევროპაში საშუალ საუკუნოებში, ან პირველყოფილი კომუნისტურისაგან, რომელიც განვლეს ყველა ერებმა თავისი განვითარების პირველ საფეხურზე.

როცა ჩვენ ვუკვირდებით თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას, ჩვენ ვხედავთ, რომ მის სიმდიდრეს შეადგენს სხვა და სხვა გვარი საქონელი. საქონელი—ეს შრომის ნაწარმოებია, გაკეთებული არა მწარმოებლის ან მასთან მჭიდროთ შეკავშირებულ პირების საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, არამედ სხვა ნაწარმოებზე გასაცვლელათ. მაშასადამე, ნაწარმოები იქცევა საქონლათ არა ბუნებრივ, არამედ საზოგადოებრივ თვისებების მეოხებით.

განვმარტოთ ეს მაგალითით. ძაფი, რომელსაც ართავს კანაფისაგან გლეხის პირველყოფილ ოჯახში ახალგაზდა ქალი, რათა იმიდან მოქსოვოს ტილო თავისი ოჯახის საჭიროებისათვის, არის სახმარი ნივთი ანუ საგანი, მაგრამ არა საქონელი. თუ მრთველი ართავს კანაფს იმისთვის, რომ გაუცვალოს თავის ძაფი მეზობელ გლეხს ხორბალზე, ან ფაბრიკის პატრონი ყოველ დღე ამზადებინებს აუარებელ ძაფს გასაყიდათ, იმ შემთხვევაში ძაფი უკვე საქონელი ხდება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიაც ძაფი მაინც სახმარი ნივთია, მაგრამ ისეთი სახმარი ნივთი, რომელსაც წინ უდგას განსაკუთრებული საზოგადოებრივი დანიშნულების, როლის, შესრულება,—ე. ი. იგი გაცვლილ უნდა იქნას. კანაფის ძაფის გარეგანი შეხედულება ჩვენ არ გვეუბნება,—საქონელია იგი, თუ არა. მისი გარეგანი, ბუნებრივი სახე სრულებით ერთნაირია, გლეხის ქალისაგან არის ის დამზადებული მისს საკუთარ სამზეოთოთ, თუ ფაბრიკაში—მუშა-ქალის მიერ, რომელმაც, შეიძლება, ერთი აგება ძაფითაც კი ვერ ისარგებლოს იქიდან. საქონელია, თუ არა, ძაფი,—ეს ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მხოლოთ მაშინ, როცა ჩვენ გვეცოდინება ის საზოგადოებრივი როლი, ის საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელსაც იგი ასრულებს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რაც დრო მიდის, შრომის ნაწარმოების სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი ღებულობს საქონლის ფორმას, და თუ დღეს კიდევ მოიპოვება შრომის ისეთი ნაწარმოები, რომელიც ჯერ კიდევ არ გადაქცეულა საქონლათ, ეს აიხსნება მხოლოთ იმითი, რომ

თანამედროვე წარმოების წესწყობილებაში დარჩენილია კიდევ წარმოების წინანდელ წესების ნაშთები; მაგრამ, ვინაიდან ასეთ ნაწარმოებთა რიცხვი ძლიერ მცირეა, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს შრომის ყველა ნაწარმოები საქონლის ფორმას დებულობს. წარმოების დღევანდელი წესი რომ გავიგოთ, ამისათვის თავდაპირველათ საჭიროა საქონლის ხასიათის შესწავლა. ამიტომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა საქონლის გამოკვლევას უნდა შევუდგეთ.

ჩვენი აზრით, ეს გამოკვლევა უფრო ადვილი გასაგები იქნება, თუ ჩვენ უწინარეს ყოვლისა საქონლის წარმოების დამახასიათებელ თვისებებს დავუპირდაპირებთ წარმოების სხვა წესების თვისებებს. ამნაირი გზით ჩვენ უფრო ადვილათ შეეითვისებთ იმ თვალთახედვის წერტილს, რომელსაც ადგა მარქსი თავის გამოკვლევაში.

კაცობრიობის უძველესი ისტორიის გაცნობა ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ ადამიანები ყოველთვის ერთდებოდენ დიდ თუ პატარა ჯგუფებათ, ანუ საზოგადოებებათ, ცხოვრებისათვის საშუალების ანუ სახსარის მოსაპოებლათ, რომ წარმოებას ყოველთვის საზოგადოებრივი ხასიათი ქონდა. ეს გამოარკვია მარქსმა უკვე 1849 წელს თავის წერილებში: „საქირაო შრომა და კაპიტალი“ *), რომლებიც მოთავსებულია „რეინის ახალ გაზეთში“ („Neue Rheinischen Zeitung“).

„წარმოების პროცესში“,—ამბობს მარქსი ამ წერილებში,— „ადამიანებს არა მარტო ბუნებასთან აქვთ საქმე. წარმოებაში ისინი, ამა თუ იმ სახით, აერთიანებენ თავის ძალებს და აღებმიცემობენ თავისი მოქმედებით; წარმოების მიზნით ისინი უკავშირდებიან ერთიმეორეს ამა თუ იმ ურთიერთობით და მხოლოთ ამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში მყარდება ადამიანების ურთიერთობა ბუნებასთან, ჩაღდება წარმოება.

---

*) Lohnaibeit und Kapital. არის ქართული თარგმანი ამ წიგნაკისა ა. რაჟდენიძის მიერ. ბათ., 1906 წ. გამ. ს. ჭელიძისა. ფასი 10 კ.

„იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა წარმოების საშუალებანი, სხვადასხვა გვარი იქნება, რა თქმა უნდა, ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანიც მწარმოებელთა შორის, პირობები იმათი შეკავშირებული მოქმედებისა და იმათი მონაწილეობისა წარმოების საერთო პროცესში. ომის ახალი საშუალების გამოგონებით, მაგ., თოფის, აუცილებლათ შეიცვალა მთელი საშინაო ჯარის ორგანიზაცია, შეიცვალენ ურთიერთობანი იმ პირებს შორის, რომლებისაგანაც ჯარი შესდგება და რომლებიც მოქმედებენ, როგორც ჯარი. შეიცვალა აგრეთვე სხვა-და-სხვა ჯარების ურთიერთშორის დამოკიდებულება.

„მაშასადამე, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც კერძო პირებს, ანუ ინდივიდუუმებს, უხდებათ წარმოება, საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობანი იცვლებიან, გარდაიქმნებიან წარმოების საშუალებათ, საწარმოვო ძალების ცვლილებასთან და განვითარებასთან ერთათ. წარმოებითი ურთიერთობანი საესებით შეადგენენ იმას, რასაც საზოგადოებრივ ურთიერთობას, საზოგადოებას ეძახიან, და ამასთანავე საზოგადოებას ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მდგომს, საზოგადოებას თავისებური, განსაკუთრებული ხასიათით“.

რამდენიმე მაგალითით განვმარტოთ ნათქვამი. ავიღოთ რომელიმე პირველყოფილი ხალხი, რომელიც დგას წარმოების უმდაბლეს საფეხურზე, სადაც ნადირობა უმთავრესი საშუალებაა სახსრის მოსაპოებლათ, მაგ., ინდოელები.

დოდჟი თავის წიგნში ინდოელების შესახებ აი რას მოგვითხრობს ჩვენ იმათ ნადირობაზე: „ვინაიდან თავს და გულს მხოლოთ იშვიათათ მოუწოდებენ დასახმარებლათ, მაგრამ კუჭის მოთხოვნილება კი განუწყვეტელია, ამიტომ ეს თემი ჩვეულებრივ „მესამე წოდების“*) მორჩილებაში იმყოფება.

*) ახალ ისტორიაში „მესამე წოდების“ სახელწოდებით ცნობილია ბურჟუაზია. რა თქმა უნდა, ავტორი აქ დაცინვით ამბობს „მესამე წოდებაზე“, ვინაიდან ასეთი „წოდება“ ველურებში სრულებით არ მოიპოვება. **მთარგმ.**

თემის ამ ნაწილის ძალას შეადგენენ მისი ყველა მონადირეები, რომელთაც აქვთ რაღაცნაირი კავშირი; ამათ გადაწყვეტილების სადმე განსაჩივრება შეუძლებელია. ერთ თემში (sheyennes) ამ მონადირეებს „ძაღლის მხედრებს“ უწოდებენ. თემის უფრო ახალგაზდა და მომქმედი უფროსები ყოველთვის ამ „ძაღლის მხედრებს“ ეკუთვნიან, მაგრამ ყოველთვის ისინი არ მეთაურობენ. ყველა საერთო საქმეებს „მხედრები“ აწესრიგებენ თითონ სიტყვიერათ; დანარჩენ საქმეებს ისინი ანდობენ იმათ მიერ ამორჩეულ ყველაზე უფრო ცნობილ და გამოცდილ მონადირეებს.

ამ „ძაღლის მხედრებს“ შორის მოიპოვებიან მრავალი ახალგაზდა ყმაწვილ-კაცები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან იმდენათ მომწიფებულნი, რომ ნამდვილ მხედრებათ გამოდგენ. ერთი სიტყვით, მონადირეთა ამქარი (цехъ) შეიცავს თემის მთელ სამუშაო ძალას, რომელიც მფარველობს და ასაზრდოებს დედა-კაცებს და ბავშვებს.

ყოველწლივ შემოდგომაზე ხდება დიდი ნადირობა, როცა ხოცავენ რაც შეიძლება დიდ ძალ ნადირებს, ამზადებენ და ახმობენ ზამთრისთვის დიდძალ ხორცს. ამ დროს „ძაღლის მხედრები“ ნამდვილ მბრძანებლებათ ხდებიან ხოლმე, და ვაი იმას, ვინც არ დაემორჩილება თვითნება თუ დემოკრატიულ დადგენილებას, თუ გინდ ეს დადგენილება სრულებით უმნიშვნელო რამ იყოს. როცა ყველაფერი მომზადებულია, საუკეთესო მონადირეები დილით ადრე გაუდგებიან გზას. თუ მოულოდნელათ კამეჩების რამდენსამე ჯოგს წააწყდებიან, პირველათ ამოსახოცათ ირჩევენ ისეთს, რომლის მომწყვდევა და ამოხოცვა დანარჩენ ჯოგებს არ დააფთხობს ყვირილით და სროლით მაზე დაცემის დროს. ამ დროს განმავლობაში ყველა მამა-კაცები, რომელთაც რაიმე შველა შეუძლიათ კამეჩებზე ნადირობის დროს, იკრიბებიან ერთათ და ისაფრებიან რომელსამე მახლობელ ხეობაში ისე, რომ კამეჩებმა თვალი არ მოკრან. თუ ჯოგი იმყოფება ნადირობისათვის მოხერხებულ ადგილას, ნადირობის მეთაურები ყოფენ

თავის ხალხს რამდენიმე ნაწილათ და გზავნიან მათ დროებით უფროსების ხელმძღვანელობით წინდაწინ ამოჩემებულ ადგილებზე. როცა შეამჩნევენ, რომ თითოეულმა დაიპირა ნაჩვენები ალაგი და ყველაფერი მზათაა, მთავარი ხელმძღვანელი ცდილობს ცხენოსან მონადირეთა ერთი ნაწილის დახმარებით ალყა შემოარტყას ჯოგს, შეკრას ჯაჭვი, შემდეგ იგი ანიშნებს, რომ ყველანი გამოხტენ და საშინელი შემზარავი ყვირილით გაექანონ ნადირისაკენ. კიდევ ერთი წუთი და ნადირობა გახურებულია, მხოლოთ თითო-ოროლა კამეჩი თუ გაარღვევს ალყას და გაიქცევა და იმას აღარ გამოედევნებიან, თუ მახლობლათ სხვა ჯოგები ეგულებათ.

„როცა ხმარებაში იყო მშვილდი და ისარი, თითოეულმა მხედარმა იცოდა თავისი ისარი და მას ადვილათ შეეძლო მის მიერ მოკლული კამეჩის გამოცნობა. უკანასკნელი ხდებოდა მისს სრულ საკუთრებათ, განსაზღვრული ნაწილის გამოკლებით, რომელიც მიდიოდა ქვრივების და იმ ოჯახების სასარგებლოთ, რომელთაც თავისი მხედარი—მარჩენალი არ ყავდათ. თუ მოკლულ კამეჩში იპოვნიდენ რამდენიმე მონადირის ისარს, იმ შემთხვევაში საკითხი იმის თაობაზე, თუ ვის უნდა რგებოდა ნანადირევი, წყდებოდა იმის მიხედვით, თუ რა ადგილას იყო მოხვედრილი ისარი. თუ ყველა მოხვედრილმა ისრებმა სასიკვდილოთ დასჭრეს კამეჩი, მაშინ იმას ანაწილებდენ იმათ შორის, ვისაც მოხვედრილი ისრები ეკუთვნოდათ, ხშირათ კი ასეთ შემთხვევაში ნადირი რომელიმე ქვრივს ეთმობოდა. ყოველგვარ ასეთ დავას წყვეტდა მთავარი მონადირე, მისი გადაწყვეტილების განსაჩივრება შეიძლებოდა „ძაღლის მხედრების“ საერთო საბჭოში. მას შემდეგ რაც თოფის საყოველთაო ხმარებაში შემოღებამ შეუძლებელი გახადა იმის გამოცნობა, თუ ვის ეკუთვნის მოკლული კამეჩი, ინდოელებმა იწყეს კომუნისტური შეხედულებით ხელმძღვანელობა*) და ხორცი და ტყავი თანასწორათ იყოფა, თანა-

*) უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა: თავის შეხედულებით ისინი ხელახლა შეიქნენ კომუნისტები. თავდაპირველათ ინდოელების წარმოება კომუნისტური იყო და ნანადირევის დაყოფასაც კომუნისტური ხასიათი ქონდა.

ხმათ იმათ მიერ გამოგონილ საზომისა". (იხ. „თანამედროვე ინდოელები", გვ. 206—211).

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მონადირე ხალხში წარმოებას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, სხვა და სხვა გვარ შრომას ეწევიან საერთო მიზნის მისაღწევათ.

მაგრამ უკვე აქაც ვხედავთ შრომის განაწილების და გეგმაზე აშენებულ თანამშრომლობის (კოოპერაციის) ჩანასახს*). მონადირენი იმის მიხედვით, თუ ვის რა შეუძლია, ვის რა უფრო ეხერხება და რის ნიჭი აქვს, ასრულებენ სხვა და სხვა მუშაობას, მაგრამ საერთო გეგმით. სხვა და სხვა გვარი მუშაობის შესრულებას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფი—ნადაელი—არ იცვლება, არამედ ნაწილდება, იყოფა.

გაკვრით შევნიშნავთ, რომ წარმოების საშუალების შეცვლამ—მშვილდის და ისრის მაგიერ თოფის ხმარებამ—გამოიწვია აქ განაწილების წესის ცვლილებაც. ახლა განვიხილოთ წარმოების საზოგადოებრივი წესის მეორე უფრო მაღალი ფორმა, ე. ი. ის, რომელსაც საფუძვლათ უდევს მიწის მუშაობა, მაგ., სოფლის თემი ინდოეთში. პირველყოფილი კომუნიზმისაგან, რომელიც გაბატონებული იყო ამ თემში, დღეს ინდოეთში მხოლოთ ნაშთებს თუ შეხვდებით; მაგრამ ნეარხი, ალექსანდრე მაკედონელის ერთი სარდალთაგანი, სტრაბონის ცნობით, იტყობინებოდა, რომ მის დროს ინდოეთში იყო ისეთი ადგილები, სადაც მიწა საზოგადოებრივ საკუთრებას შეადგენდა, მუშაობაც საერთოთ ხდებოდა და მოსავალიც თემის წევრთა შორის იყოფოდა. ელპინსტონის

---

*) მარქსი ამბობს: „როცა წინდაწინვე შედგენილი გეგმით მუშაობენ წარმოების ერთ და იგივე პროცესში ან და სხვა და სხვა, მაგრამ მჭიდროთ შეკავშირებულ პროცესში, შრომის ამ გვარ ფორმას კოოპერაცია ეწოდება". ქვევით შენიშენაში მარქსი დასძენს: „ლინგე (Linguet) შეიძლება არც სულ მტყუანია, როცა თავის წიგნში (Thèorie des lois civiles) ამტკიცებს, რომ ნადირობა წარმოადგენს კოოპერაციის პირველ ფორმასო".

სიტყვით, ამგვარი თემი არსებობდა ინდოეთის ზოგ ადგილას კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიაც. კუნძულ იავაზე სასოფლო კომუნიზმი დღევანდლამდე განაგრძობს თავის არსებობას შემდეგი სახით: დროგამოშვებით მიწა ხელახლა იყოფა ერთი სოფლის წევრებს შორის; მიზომილი ნაკერი არ შეადგენს სოფლელთა კერძო საკუთრებას, არამედ ეს იმათ ეძლევათ სასარგებლოთ განსაზღვრულ დრომდე. ზემო ინდოეთში სახნავ-სათესი მიწები უკვე გადავიდა ცალკე პირების კერძო საკუთრებაში, ტყე, საძოვარი და სხვა ასეთი მიწები კი ჯერ კიდევ საზოგადოებრივ საკუთრებას შეადგენენ, რომლითაც თემის თითოეულ წევრს უფლება აქვს ისარგებლოს. ასეთ სასოფლო თემში, რომელიც ჯერ კიდევ ქვეშ არ მოყოლია ინგლისის გავლენას, რომელიც (ინგლისი) თავისი გადასახადების სისტემით ყოველგან არღვევს ძველ წესწყობილებას, ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს ის, თუ რა ხასიათს ღებულობს იქ (თემში) შრომის განაწილება. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ არის ეს ინდოელებში. მაგრამ შრომის განაწილების უფრო განვითარებულ ფორმას ჩვენ ვხედავთ ინდუსთა სასოფლო თემში. სათემო გამგეობის გვერდით, რომელსაც ქვიან პატეელი, თუ იგი შესდგება მხოლოთ ერთი კაცისაგან, პანჩი — თუ იგი შეადგენს კოლეგიას არა უმეტეს ხუთი წევრისაგან. ინდუსთა სასოფლო კომუნაში (თემში) ჩვენ ვხედავთ კიდევ თანამდებობათა მთელ რიგს: კარნამას ან მატსადის, ე. ი. ბუხგალტერს, რომელიც ვალდებულია განაგოს და ზედამხედველობა (კანტროლი) გაუწიოს თემის დამოკიდებულებას კერძო წევრებთან, სხვა თემებთან და სახელმწიფოსთან; ტალლირს, რომელიც იკვლევს დანაშაულობათა ჩადენას და უფლების დარღვევას და რომელიც აგრეთვე ვალდებულია იზრუნოს მგზავრების დაცვისათვის, სანამ ისინი მახლობელ თემის საზღვრებს მიახწევენ; ტოტის, ე. ი. მეველეს და მიწის მზომელს, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ მეზობელ თემებმა არ გააფუჭონ საზღვრები, რაც ადვილათ შესაძლებელია მოხდეს ბრინჯის მოყვანის

დროს; რუების ზედამხედველს, რომელიც ვალდებულია წესიერათ შეინახოს ისინი და იზრუნოს, რომ ისინი თავის დროზე იხსნებოდეს და იკეტებოდეს, რათა თითოეულ ველს საკმარისათ ქონდეს წყალი, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბრინჯის მოყვანაში; ბრამინს—აუცილებელ რელიგიურ წესების შესასრულებლათ; მასწავლებლებს, რომლებმაც წერა-კითხვა უნდა ასწავლონ ბავშვებს; ასტროლოგს, რომელმაც უნდა განსაზღვროს ბედნიერი და უბედური დღეები (წარმო და კვიმატი) დათესვისა, მომკისა, გალეწვისა და სხვა საჭირო მუშაობისათვის; მჭედელს, დურგალს, მექოთნეს, მრეცხავს, დალაქს, მწყემსს, ექიმს, მოთამაშე-ქალს და ხანდისხან მომღერალსაც.

ყველა ეს პირები მუშაობენ მთელი თემისა და მისი წევრებისათვის, რისთვისაც ჯილდოთ ეძლევათ სათემო მიწიდან ადგილი ან მოსავლის ნაწილი. აქაც, მაშასადამე, შრომის უმაღლეს ხარისხამდე განაწილებასთან ერთათ ჩვენ ვხედავთ სამუშაოთა გაერთიანებას და ნაწარმოების განაწილებას. მოვიყვანოთ კიდევ ერთი ყველასათვის ცნობილი მაგალითი, გლეხის პატრიარქალური ოჯახი, რომელიც თითონ აკმაყოფილებს ყველა თავის მოთხოვნილებებს, ე. ი. ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც განვითარდა წარმოების იმ წესისაგან, რომელიც ჩვენ ზევით დავახასიათეთ ინდუსთა სასოფლო კომუნის მაგალითით და რომელსაც ჩვენ ვხედავთ ყველა ცოტათ თუ ბევრათ კულტურულ ერებში იმათი განვითარების პირველ საფეხურებზე.

გლეხის პატრიარქალურ ოჯახში ჩვენ აგრეთვე ვხედავთ არა დაცალკევებულ ადამიანებს, არამედ განსაზოგადოებრიულ შრომას და სამუშაოს შეერთებული ძალით შესრულებას, წლოვანების, სქესის და წელიწადის დროთა მიხედვით. აქ ხნავენ, იქ სთიბავენ, უვლიან საქონელს, სწველიან, აგროვებენ შეშას, ართავენ, ქსოვენ, კერავენ, დურგლობენ და სხვა და სხვა.

სრულებით სხვა და სხვა სამუშაო სრულდება შეთანხმებით, უკავშირდება ერთი-მეორეს; ნაწარმოები ნივთები

აქაც, როგორც წინა მაგალითებშიაც, სრულებით არ იცვლებიან კერძო მომუშავეთა შორის, არამედ ნაწილდებიან მათ შორის, თანახმათ ამა თუ იმ ურთიერთობისა.

ვთქვათ ახლა,*) რომ წარმოების საშუალება იმის მსგავს სამიწათ-მოქმედო კომუნაში (თემში), რომელიც ჩვენ ზევით ავწერეთ, იმდენათ გაუმჯობესდა, რომ შესამუშავებლათ უკვე უფრო ნაკლები შრომაა საჭირო, ვინემ წინეთ. თავისუფლდება სამუშაო ძალა, რომელიც მაგ., თუ ტეხნიკურ საშუალებათა განვითარება ხელს შეუწყობს, შესაძლებელია მოხმარდეს თემის მიწაზე მდებარე კაჟის მადნების დამუშავებას, კაჟის იარაღის გასაკეთებლათ. შრომის ნაყოფიერება (производительность die Produktivität) იმდენათ დიდია, რომ სხვა და სხვა იარაღები იმდენი კეთდება, რომ თემის მოთხოვნილებას აღემატება.

რომელიმე მაწანწალა თემს, მწყემსების თემს, საბინადრო ადგილის გამოცვლის დროს მისვლა უხდება ამ თემთან. შრომის ნაყოფიერება ამ თემშიაც იმდენათ განვითარდა, რომ მას მოუშენებია იმაზე მეტი პირუტყვი, რაც მას ესაჭიროება თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ადვილი გასაგებია, რომ ეს თემი სიამოვნებით გაუცვლის ზედმეტ პირუტყვს ზედმეტ იარაღზე მიწის მუშა თემს. მონარჩენი (излишекъ—überschüssige) პირუტყვი და მონარჩენი იარაღი ამ გაცვლის მეოხებით ხდება საქონლათ.

საქონლის გაცვლა საწარმოო ძალთა განვითარების ბუნებრივი შედეგია, რაც გამოდის პირველყოფილ კომუნის

---

*) აუარებელი ფაქტები ამტკიცებენ, რომ თავდაპირველათ საქონლის წარმოების განვითარება ფაქტიურათ სახელდობ იმ გზით მოხდა, რომელიც ნაჩვენებია ჩვენ მიერ ქვემოთ. რა თქმა უნდა, მისი განვითარება არ ყოფილა ისე მარტივი, როგორც ჩვენ ამას აქ ვასურათებთ, მაგრამ ჩვენ აქ მხედველობაში როდი გვაქვს საქონლის წარმოების ისტორია, არამედ ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ საქონლის წარმოების განსაკუთრებული, სპეციფიკური, თვისებები, რომლებიც ყველაზე უფრო ადვილია შევნიშნოთ, როცა ამ წესს ვადარებთ წარმოების სხვა წესებთან.

ვიწრო მოთხოვნილებათა ფარგლიდან. პირველყოფილი კომუნიზმი ტეხნიკის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თავისი მომავალი წინსვლის დაბრკოლებათ ხდება. წარმოების წესი თხოულობს საზოგადოებრივი შრომის სარბიელის გაფართოებას, მაგრამ ვინაიდან კერძო კომუნები ერთი მეორესაგან დახშული, კარჩაკეტილი და დამოუკიდებელი არიან, ამიტომ ეს გაფართოება შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო არა კომუნისტური და გეგმასთან შეზომილი შრომის გამოყენების გაფართოებით, არამედ იმის მეოხებით, რომ კომუნები ცვლიდენ ურთიერთ შორის თავისი შრომის მონარჩენს, მოჭარბებულ ნაწარმოებს.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს იმის გამოძიება, თუ თავის მხრით საქონლის გაცვლა-გამოცვლა კომუნის შიგნით რა გავლენას ახდენდა წარმოების წესსზე, სანამ საქონლის წარმოება არ გადაიქცა ერთი მეორესაგან დამოუკიდებელ კერძო მომუშავეების წარმოებათ, რომელთაც კერძო საკუთრების უფლების ძალით ეკუთვნის წარმოების საშუალება და იმათი შრომის ნაწარმოები. ჩვენ გვსურს მხოლოთ მივუთითოთ შემდეგზე: საქონლის წარმოება არის წარმოების საზოგადოებრივი ფორმა, საზოგადოებრივი კავშირის გარეთ იგი წარმოუდგენელია: იგი აღნიშნავს საზოგადოებრივი წარმოების გაფართოებას კომუნისტური წარმოების ფარგალს იქით, რომელიც მის წინეთ არსებობდა (თემში, პატრიარქალურ ოჯახში და სხვ.). მაგრამ მისი საზოგადოებრივი ხასიათი ნათლათ არა ჩანს. ავიღოთ მეპურეკლე და მიწის მუშა, ჯერ როგორც ინდუსთა სოფლის კომუნისტური თემის წევრები, და შემდეგ როგორც საქონლის ორი მაწარმოებელნი. პირველ შემთხვევაში ისინი თემისთვის ორივე ერთნაირათ მუშაობენ, ერთი აწვდის მას თავის ქოთნებს, მეორე—მიწის ნაწარმოებს; ერთი ღებულობს მიწის წარმოებიდან თავის წილს, მეორე—თავის ხვედრს ქოთნებიდან. მეორე შემთხვევაში თითოეული იმათგანი ასრულებს დამოუკიდებლათ თავის კერძო სამუშაოს თავისი თავისთვის, მაგრამ იმავე დროს თითოეული მუშაობს (შეიძლე-

ბა, იმდენათვე, როგორც წინეთ) არა მარტო თავისთვის, არამედ სხვისთვისაც. ისინი უცვლიან ერთი-ერთმანეთს თავის ნაწარმოებს და ადვილი შესაძლებელია, რომ პირველი მათგანი მიიღებს იმდენსავე მიწის ნაწარმოებს, და მეორე—იმდენსავე ქოთნებს, რამდენსაც ისინი ღებულობდენ წინეთ. გარეგნობით არსებითათ თითქო არაფერი არ შეცვლილა, მაგრამ ეს ორი პროცესი ძირეულათ განირჩევა ერთი მეორისგან.

პირველ შემთხვევაში ყველასათვის აშკარაა, რომ საზოგადოება არის ის ძალა, რომელიც აერთიანებს და აკავშირებს შრომის სხვა და სხვა სახეს, ანუ ფორმას, ერთს ამუშავებს მეორესათვის და თითოეულს უნიშნავს და უსაზღვრავს მის წილს მეორეს შრომის ნაწარმოებში. მეორე შემთხვევაში, გარეგნობით, თითოეული მუშაობს თითქო თავისთვის, და ის წესი, რომლითაც თითოეული იძენს სხვის ნაწარმოებს თითქო დამოკიდებულია არა მისი შრომის საზოგადოებრივ ხასიათზე, არამედ თვით ნაწარმოების თვისებებზე. ახლა ფიქრობენ, რომ არა მეპურეკლე და მიწის მუშა მუშაობენ ერთი მეორესთვის და, მაშასადამე, არა იმათი შრომა, განხორციელებული ერთი მხრით ქოთნებში, მეორე მხრით მიწის ნაწარმოებში, საჭიროა საზოგადოებისათვის, არამედ თვით ქოთნებში და მიწის ნაწარმოებში იმალება რაღაცნაირი ბნელი, მისტიკური თვისება, რომლის მეოხებით ისინი იცვლებიან ერთი-მეორეზე განსაზღვრულ რაოდენობით. ადამიანთა პირადი ურთიერთობა, რამდენათ ეს დამოკიდებულია შრომის საზოგადოებრივ ხასიათზე, საქონლის წარმოების ბატონობის დროს, იფარება ნივთების ანუ ნაწარმოებთა ურთიერთობით. სანამ წარმოება პირდაპირ საზოგადოებრივი ანუ განსაზოგადოებული იყო, სანამ საზოგადოება კონტროლს (ზედამხედველობას) უშვრებოდა და ხელმძღვანელობდა მას, მწარმოებელთა ურთიერთშორის დამოკიდებულება აშკარა იყო. მაგრამ ჩნდება თუ არა კერძო, ერთიერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამუშაოთა ნაწარმოები, და წარმოება ამის მეოხებით გეგმაზე აშენებულ ხასიათს კარგავს, მწარმოებელთა ურთიერთობა გვეჩვენება,

როგორც ურთიერთობა ნაწარმოებათა შორის. ამ დროდან დაწყებული მწარმოებელთა ურთიერთობის მოწესრიგება თვით მწარმოებლების მიერ შეუძლებელი ხდება; ეს ურთიერთობა ვითარდებოდა ადამიანთა ნება-სურვილის დამოუკიდებლათ, საზოგადოებრივი ძალები გადაცდენ ადამიანური შეგნების საზღვარს და წარსულ საუკუნოების გულუბრყვილო მსოფლმხედველობას ეს ძალები წამოელანდენ როგორც „ღვთაებრივი ძალები," და შემდეგი დროის „განათლებულ" მსოფლმხედველობას კი ისინი ეჩვენებოდენ როგორც ბუნების ძალები.

საქონლის ბუნებრივ ფორმას, ანუ სხეულს ახლა აწერენ მისტიკურ თვისებებს, სანამ ეს თვისებები ახსნილი არ არიან მწარმოებელთა ურთიერთობით. როგორც ფეტიშის თაყვანისმცემნი აწერენ თავის ფეტიშს ისეთ თვისებებს, რომლებიც სრულებით არ გამომდინარეობენ იმის ბუნებისაგან, სწორეთ ისევე ბურჟუაზიულ ეკონომისტებს საქონელი ეჩვენებათ მგძნობიერ საგნათ, რომელსაც მინიჭებული აქვს ზესთაბუნებრივი თვისებები. მარქსი უწოდებს ამას „ფეტიშიზმს, რომელიც ახასიათებს შრომის ნაწარმოებს, როცა იგი კეთდება როგორც საქონელი, და ამიტომაც იგი განუშორებელია საქონლის წარმოებისაგან." საქონლის ეს მისტიკური, ფეტიშისებური ხასიათი, და როგორც ქვევით დავინახავთ, არა მარტო საქონლის, არამედ კაპიტალისაც, პირველათ მარქსმა აღმოაჩინა. ფეტიშიზმი აბრკოლებს საქონლის თვისებების გაგებას და თითქმის შეუძლებლათაც ხდის ამ გაგებას მანამ, სანამ იგი არ დაუძლევიათ; შეუძლებელია საქონლის ღირებულება სავსებით შევიგნოთ, თუ რომ საქონლის ფეტიშისებური ხასიათი შეგნებული არა გვაქვს. ამიტომ თავი „საქონლის ფეტიშისებურ ხასიათზე და მის საიდუმლოებაზე" „კაპიტალის" ერთი უშესანიშნავესი თავია და ამ თხუზულების („კაპიტალის") მკითხველმა მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. სამწუხაროთ, სწორეთ ამ თავს ხშირათ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ არა მარტო მარქსის მოწინააღმდეგეები, არამედ მისი მიმდევრებიც.

2. ღირებულება

მას შემდეგ, რაც ჩვენ საქონლის ფეტიშიზმი ნათელ-ვყავით, მისი (საქონლის) შემდეგი გარკვევა-ანალიზი დიდათ საძნელო უკვე აღარ არის.

როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, საქონელი მზადდება გაცვლისთვის. გაცვლა დამოკიდებულია საქონლის იმ თვისებაზე, რომ იგი აკმაყოფილებს ადამიანის რომელსამე მოთხოვნილებას, სულ ერთია ნამდვილს თუ საოცნებოს. არავინ არ გაცვლის თავის ნაწარმოებს სხვისაზე, თუ რომ უკანასკნელი მისთვის უსარგებლო იქნება. მაშასადამე, საქონელი უნდა იყოს სასარგებლო ნივთი, მას უნდა ქონდეს სახმარი ღირებულება. სახმარი ღირებულება განისაზღვრება საქონლის სხეულის ფიზიკური თვისებებით. სახმარი ღირებულებები შეადგენენ სიმდიდრის ნივთიერ შინაარსს, როგორიც უნდა იყოს ამ სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმა. სახმარი ღირებულება, მაშასადამე, ეკუთვნის არა მარტო საქონელს. არსებობს სახმარი ღირებულება, რომელიც საქონელი არ არის, მაგ., ზევით დასახელებული ნაწარმოებნი კომუნისტური თემისა; გარდა ამისა, არსებობენ ისეთი სახმარი ღირებულებანი, რომლებიც სრულებით არ არიან შრომის ნაწარმოებნი, მაგ., გაუტეხელი ტყის ნაყოფი, წყალი მდინარეში და სხვა. პირიქით, არ არის ისეთი საქონელი, რომელსაც არ ქონდეს სახმარი ღირებულება.

როგორც კი სახმარი ღირებულება საქონლათ იქცევა, ე. ი. იცვლება მეორე სახმარ ღირებულებაზე, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ისინი ყოველთვის იცვლებიან განსაზღვრულ რაოდენობრივ ურთიერთობით. იმ ურთიერთობას, რომელშიაც ერთი საქონელი იცვლება მეორე საქონელზე, ეწოდება საცვლელი ღირებულება (Tausch-weth—мѣновая цѣнность). ეს ურთიერთობა შეიძლება შეიცვალოს ადგილის და დროს მიხედვით, მაგრამ განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროს იგი ყოველთვის სრულიათ განსაზღვრული სიდიდეა.

თუ ჩვენ ვცვლით 20 არშინ ტილოს 1 სერთუკზე და იმავე დროს 20 არშინ ტილოს—40 გირვანქა ყავაზე, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ იმავე დროს 1 სერთუკი შესაძლებელია გავცვალოთ 40 გირვანქა ყავაზე, თუ კი ასეთი გაცვლა მოხდება. სერთუკის საცვლელი ღირებულება სრულებით სხვა სახეს ღებულობს, იმის მიხედვით, ვცვლიმე მას ტილოზე თუ ყავაზე. მაგრამ რანაირიც უნდა იყოს გარეგანი სახე, ფიზიონომია, რომელიმე საქონლის საცვლელი ღირებულებისა, საფუძვლათ მას განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროს ყოველთვის ერთი და იგივე შინაარსი უდევს. განვმარტოთ ეს საზოგადოებრივი მოვლენა ბუნების რომელსამე მოვლენასთან შედარებით. როდესაც მე ვამბობ, რომ რომელიმე სხეული იწონის 40 გირვანქას ანუ ერთ ფუთს, მე ვიცი, რომ ყველა ამ სახელწოდებათა საფუძველს შეადგენს განსაზღვრული შინაარსი, სხეულის განსაზღვრული სიმძიმე. სწორეთ ასევე საქონლის საცვლელი ღირებულების სხვადასხვა გამოხატულებას საფუძვლათ უდევს განსაზღვრული შინაარსი, რომელსაც ჩვენ ღირებულებას ვუწოდებთ. ახლა ჩვენ მივედით პოლიტიკური ეკონომიის ერთ იმ უშესანიშნავეს ძირითად კატეგორიამდე, ცნებამდე, ურომლისოთ წარმოების გაბატონებული წესის მექანიზმის, შენობის, სისწორით გაგება შეუძლებელია. რა ქმნის საქონლის ღირებულებას? აი საკითხი, რომელზედაც პასუხის მიცემა აუცილებელია. ავიღოთ ორი საქონელი, მაგ., ხორბალი და რკინა. როგორც უნდა იყოს იმათი საცვლელი ურთიერთობა, ეს ურთიერთობა ყოველთვის შეიძლება გამოვხატოთ მათემათიკური გათანასწორებით, მაგ., ერთი კოდი ხორბალი უდრის (=) ოთხ ფუთ რკინას. მაგრამ ყველამ, ვისაც სოფლის სკოლაში უსწავლია, იცის ის მარტივი კანონი, რომ მათემატიკური მოქმედება შეიძლება შევასრულოთ მხოლოთ ისეთ სიდიდეებზე, რომლებიც ერთი და იგივე საზომით იზომებიან; მაგ., მე შემიძლია ათი ვაშლიდან გამოვაკლო ორი ვაშლი, მაგრამ არა ორი კაკალი. მაშასადამე, ხორბალში და რკინაში, როგორც საქონელში უნდა

იყოს საერთო რამ, რის მეოხებით ჩვენ იმათ ერთმანეთს ვადარებთ;—ეს არის იმათი ღირებულება. არის თუ არა ეს საქონლის საერთო ბუნებრივი თვისება? როგორც სახმარი ღირებულება, ერთი საქონელი იცვლება მეორეზე იმიტომ, რომ იმათ აქვთ სხვა და სხვა, ანა ერთნაირი ბუნებრივი თვისებები. ეს თვისებები შეადგენენ იმის საფუძველს, რომ გაცვლა საჭირო ხდება, მაგრამ იმათ არ შეუძლიანთ იმ ურთიერთობის განსაზღვრა, რომლითაც ეს გაცვლა ხდება ანუ სწარმოებს.

თუ საქონლის სხეულს ჩამოვაცლით სახმარ ღირებულებას, საქონელს მხოლოთ ერთი საერთო თვისება შერჩება, სახელდობ ის, რომ იგი შრომის ნაწარმოებია.

მაგრამ თუ ჩვენ უყურადღებოთ ვტოვებთ ნაწარმოების სახმარ ღირებულებას, ამით ჩვენ უყურადღებოთ ვტოვებთ აგრეთვე შრომის სხვა და სხვა განსაზღვრულ ფორმებს, რომელიც ნაწარმოებს ქმნის; ამასთანავე, ნაწარმოებნი ჩვენთვის აღარ არსებობენ, როგორც დურგლის ან მჭედლის ნაწარმოები, არამედ როგორც საზოგადოთ ადამიანის შრომის ნაწარმოებნი, და როგორც ასეთები ისინი არიან ღირებულებანი.

მაშასადამე, საქონელს აქვს ღირებულება მხოლოთ იმიტომ, რომ მაში ჩატანებული ანუ განხორციელებულია ადამიანის შრომა საზოგადოთ. როგორ უნდა გავზომოთ მისი ღირებულების სიდიდე? იმ შრომის რაოდენობით, რომელიც მაზეა დახარჯული, შრომის რაოდენობა კი თავის მხრით იზომება დროით.

შეიძლება ზოგს ეგონოს, რომ თუ საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ დროით, რომელიც მის გაკეთებაზეა დახარჯული, ამიტომ რამდენათ ზარმაცი და უნიჭოა ადამიანი, იმდენათ მეტი ღირებულება ექნება მის საქონელს. მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია არა ინდივიდუალური, პირადი, არამედ საზოგადოებრივი შრომა.

გავიხსენოთ, რომ საქონლის წარმოება წარომადგენს სხვადასხვა გვარ სამუშაოთა სისტემას, რომლებიც თუმც ერთი მეორესაგან დამოუკიდებლათ სრულდებიან, მაგრამ

რომლებიც საზოგადოებრივათ შეკავშირებულნი არიან. „საზოგადოების სამუშაო ძალის მთელი ჯამი, რომელიც გამოიხატება ყველა საქონლების ღირებულებაში, მიიღება ამ შემთხვევაში როგორც ადამიანის ერთი და იგივე სამუშაო ძალა, თუმც იგი შესდგება აუარებელ ინდივიდუალურ სამუშაო ძალებისაგან. თითოეული ასეთი ინდივიდუალური სამუშაო ძალა არის ადამიანის ისეთივე სამუშაო ძალა, როგორც სხვა რომელიმე სამუშაო ძალა, იმდენათ, რამდენათ მას საშუალო საზოგადოებრივი სამუშაო ძალის ხასიათი აქვს და მოქმედობს, როგორც ასეთი საშუალო საზოგადოებრივი სამუშაო ძალა, ესე იგი, საქონლის გაკეთებისათვის იხარჯება საშუალოთ აუცილებელი ანუ საზოგადოებრივათ აუცილებელი სამუშაო დრო. საზოგადოებრივათ აუცილებელი სამუშაო დრო არის ის დრო, რაც საჭიროა რომელიმე სახმარი ღირებულების, რომელიმე საქონლის გასაკეთებლათ წარმოების განსაზღვრული—ნორმალურ პირობებში და ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ერთი მხრით ხელობის საშუალო საფეხური, და მეორეს მხრით შრომის საშუალო მუყაითობა“ (Intensivität). შრომის ნაყოფიერების ცვლილებასთან ერთათ იცვლება, მაშასადამე, საზოგადოებრივათ—აუცილებელი სამუშაო დრო, იცვლება ღირებულებაც. დრო, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ნაწარმოების გასაკეთებლათ, რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა აინტერესებდეს ადამიანებს, სულ ერთია, წარმოების რა წესიც უნდა იყოს, იგი ყოველთვის, თითქმის კომუნიზმის ხანაშიაც კი, ახდენს გავლენას იმ ურთიერთობაზე, რომელშიაც სხვადასხვა გვარი შრომა ერთი მეორეს ხელს უწყობს. მაგალითისათვის კვლავ ინდუსელთა სოფლის კომუნისტურ საზოგადოებას მივმართოთ. ვთქვათ, რომ იმ სამეურნეო იარაღების გასაკეთებლათ, რომლებიც მას ესაჭიროება, ორი მჭედელი მუშაობს. ვთქვათ შემდეგ, რომ რაიმე გამოგონების მეოხებით შრომის ნაყოფიერება იმდენათ გაიზარდა, რომ ახლა ერთი მჭედელია საკმარისი იმავე ხნის განმავლობაში ყველა იმ სამეურნეო ია-

რაღების გასაკეთებლათ, რაც ამ საზოგადოებას სჭირდება. ახლა ამ სამუშაოს მიანდობენ არა ორს, არამედ ერთ მჭედელს; მეორეს შესაძლებელია მიანდონ რაიმე სხვა იარაღის ან დასამშვენებელ (მოსართავ) ნივთების გაკეთება. ვთქვათ კიდევ, რომ სამიწადმოქმედო შრომის ნაყოფიერება ამავე დროს არ შეცვლილა, რომ საზოგადოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ სამეურნეო ნაწარმოებებით ახლაც საჭიროა იმდენივე სამუშაო დროის დახარჯვა, როგორც წინეთ.

ამ პირობებში კომუნის თითოეული წევრი მიიღებს სამეურნეო ნაწარმოებთა იმდენსავე ნაწილს, როგორც წინეთ, მაგრამ განსხვავებაც არის: სამჭედლო შრომის ნაყოფიერება ორჯერ გაიზარდა; სამეურნეო იარაღების გასაკეთებლათ ახლა იხარჯება მიწის ნაწარმოებთა ერთი, და არა ორი წილი. ამ შემთხვევაში სხვადასხვა გვარი შრომის ურთიერთობათა ცვლილება მარტივია და თვალსაჩინო, მაგრამ იგი ხდება მისტიკური, იფარება შავი ბურუსით, როცა მჭედლის და მიწის მუშის შრომა პირდაპირ კი არ უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ მათ შორის ურთიერთობა იხატება იმათ ნაწარმოებთა საშუალებით. მაშინ სამჭედლო შრომის ნაყოფიერების ცვლილება ჩნდება, როგორც სამჭედლოს შრომის ნაწარმოების საცვლელი ურთიერთობის ცვლილება სხვა ნაწარმოებებთან შედარებით, როგორც მისი ღირებულების ცვლილება.

უკვე რიკარდომ გამოიძია, რომ საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება იმ შრომის რაოდენობით, რომელიც მის გაკეთებაზეა დახარჯული. მაგრამ მან ვერ შეამჩნია საქონელში შრომის საზოგადოებრივი ხასიათი, რომელიც საქონლის ღირებულებითაა დაფარული, ე. ი. საქონლის ფეტიშიზმი. აგრეთვე იგი საკმარისათ გარკვევით და ნათლათ ვერ არჩევდა შრომის იმ მხარეს, რომელიც საქონლის ღირებულებას ქმნის მის იმ მხრისაგან, რომელიც ქმნის სახმარ ღირებულებას. საქონლის ფეტიშიზმზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ახლა კი ლაპარაკია შრომის ორგვარ ხასიათზე, რასაც საქონელი შეიცავს.

საქონელი ჩვენ წარმოგვიდგება როგორც სახმარი ღირებულება და ღირებულება. მის ნივთიერებას გვაძლევს ბუნება, მის ღირებულებას კი ქმნის შრომა, ისე როგორც მის სახმარ ღირებულებას. როგორ ქმნის შრომა ღირებულებას და როგორ—სახმარ ღირებულებას? ერთი მხრით შრომა წარმოადგენს ადამიანის სამუშაო ძალის ნაყოფიერ დახარჯვას საზოგადოთ, მეორე მხრით—ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებას რაიმე სპეციალური და განსაზღვრული მიზნის მისახწევათ. შრომის პირველი მხარე არის ის საერთო რამ, რაც შეადგენს ადამიანის ყოველგვარ საწარმოო მოქმედების თვისებას; მეორე მხარე სხვა და სხვა გვარია სხვა და სხვა საწარმოო მოქმედებაში. ავიღოთ, მაგ., მიწის მუშის შრომა და შრომა მჭედლისა. საერთო ამ ორ გვარ შრომის არის ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვა საზოგადოთ; მაგრამ თითოეული იმათგანი განირჩევა ერთი მეორისაგან თავისი მიზნით, წარმოების წესით და საშუალებებით, თავისი შედეგით.

ადამიანის განსაზღვრული, მიზანთან შეთანხმებული მოქმედება ქმნის სახმარ ღირებულებას; მისი თვისებრივი განსხვავება შეადგენს საქონლის წარმოების საფუძველს. მხოლოთ თვისებით სხვა და სხვა გვარი საქონლები იცვლებიან ერთი მეორეზე. არავინ არ გაცვლის ხორბალს ხორბალზე, ანუ ცელს ცელზე; ხორბლის გაცვლა ცელზე კი სავსებით შესაძლებელია. სახმარი ღირებულებანი ერთი მეორეს უდგებიან პირისპირ მხოლოთ მაშინ, როცა იმათში თვისებით სხვა და სხვა სასარგებლო შრომაა მოქცეული, განხორციელებული. როგორც ღირებულებანი კი, საქონლები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან არა თვისებით, არამედ რაოდენობით. ისინი იცვლებიან ერთი მეორეზე მხოლოთ იმიტომ, რომ, როგორც სახმარი ღირებულებანი, ისინი სხვა-და-სხვანი არიან; გაცვლის დროს იმათ ერთი მეორეს ადარებენ და ამა თუ იმ რაოდენობით იმათ ერთი მეორის პირდაპირ აყენებენ მხოლოთ იმიტომ, რომ, როგორც ღირებულებანი, ისინი ერთნაირი არიან.

ღირებულების შექმნა შეუძლია არა იმ შრომას, რომელიც განსაზღვრულ, კონკრეტულ, მიზანთან შეთანხმებულ

მოქმედებას შეიცავს, არამედ იმ შრომას, რომელიც ადამიანის სამუშაო ძალის საერთო თვისებას შეიცავს საზოგადოთ. ამნაირათ, სხვა და სხვა გვარი შრომა, როგორც სამუშაო ძალის დახარჯვა, განირჩევა ერთი მეორისაგან არა თვისებით, არამედ მხოლოთ რაოდენობით. ე. ი., როგორც ღირებულების შემქმნელი, ყოველივე შრომა არის მარტივი საშუალო შრომა, უბრალო სამუშაო ძალის დახარჯვა, რომელიც საშუალო ადამიანს აქვს. რთული შრომა ყოველთვის განხილული უნდა იქნას, როგორც გამრავლებული მარტივი შრომა. რთული შრომის მცირე რაოდენობა უთანასწორდება მარტივი შრომის მეტ რაოდენობას. საქონლის რაოდენობის ხასიათის თანახმათ ეს პროცესი საზოგადოებრივია, თუმცა იმავე დროს შეუგნებელი; იგი შეადგენს ურთიერთობას, შრომის სხვა და სხვა ფორმებს შორის რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანით. მაგრამ ვისაც არ შეუგნია საქონლის წარმოების ფეტიშიზმი, იმას გონია, რომ ის მიზეზები, რომლების მეოხებით შესაძლებელი ხდება სხვა და სხვა გვარი რთული შრომის გამრავლებულ მარტივ შრომაზე დაყვანა, არა საზოგადოებრივ ხასიათისაა, არამედ ეს მიზეზები ბუნებრივი მოვლენებია. წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტების მთელმა წყებამ, რომელთაც სურდათ ღირებულების ერთხელ და სამუდამოთ დადგენა (konstituiren), ე. ი. მისი სამუდამოთ დაკანონება, რათა გაეწმინდათ საქონლის წარმოება სხვა და სხვა ნარევისაგან და იგი უკვდავ ეყოთ, რამდენიმეჯერ სცადა ამ ცრუ ბუნებრივ მიზეზების აღნუსხვა და იმის განსაზღვრაც, თუ თითოეულ სამუშაოში რა ზომით ქმნის იგი ღირებულებას (მაგ., როდბერტუსის ნორმალური სამუშაო დღე). ნამდვილათ კი ეს მიზეზები საზოგადოებრივია და ისინი მუდამ იცვლებიან. მეცნიერებაში ნაკლებათ მოიპოვება ისეთი დარგი, რომელშიაც იმდენი შემცდარი აზრი იყოს წარმოთქმული, როგორც ღირებულების საკითხის შესახებ. რამდენიმე იმათგანი ნიშნობლივათ იქნენ დახასიათებული თვით მარქსის მიერ. როგორც მარქსის თეორიის მიმდევრები, ისე განსა-

კუთრებით მისი მოწინააღმდეგები ხშირათ ჩადიან შემდეგ შეცდომას: ღირებულებას სიმდიდრეში ურევენ. მარქსს ხშირათ აწერენ შემდეგ აზრს. „შრომა—ყოველგვარი სიმდიდრის წყაროაო“. ვინც აქამდის თვალყურს ადევნებდა ჩვენ მსჯელობას, იგი ადვილათ გაიგებს, რომ ეს აზრი მარქსის ძირითად შეხედულებას სრულიად ეწინააღმდეგება და მისი ძირი მარხია საქონლის წარმოების ფეტიშიზმში. ღირებულება არის ისტორიული კატეგორია, ცნება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საქონლის წარმოების დროისათვის; იგი საზოგადოებრივი ურთიერთობაა. სიმდიდრე კი, პირიქით, არის რაიმე ნივთიერი და შესდგება სახმარ ღირებულებებიდან. სიმდიდრის შექმნა შესაძლებელია ყოველთვის, მიუხედავათ იმისა, თუ წარმოების რომელი წესია გაბატონებული; არსებობს სიმდიდრე, რომელიც შექმნილია განსაკუთრებით ბუნების მიერ და რომელიც ერთ ნამცეც შრომასაც კი არ შეიცავს, მაგრამ არ არის ისეთი სიმდიდრე, რომელიც განსაკუთრებით ადამიანის შრომის ღონისძიებით იყოს შექმნილი. „შრომა—ამბობს მარქსი—არ არის ერთათ ერთი წყარო მის მიერ შექმნილ სახმარ ღირებულებათა, რომლებიც „ნივთიერ სიმდიდრეს“ შეადგენენ. შრომა არის მისი (სიმდიდრის) მამა, მიწა კი მისი დედა, როგორც ამბობს ვილლიამ პეტტი (William Petty).

შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთათ, თუ დანარჩენი პირობები უცვლელი რჩება, ქვეყნის ნივთიერი სიმდიდრე მატულობს, მის დაკლებასთან ერთათ კი სიმდიდრეც კლებულობს. არსებულ ღირებულებათა ჯამი იმავე დროს შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუ რომ შრომის რაოდენობა წინანდელი რჩება. კარგი მოსავალი ადიდებს ქვეყნის სიმდიდრეს; საქონლის ღირებულებათა ჯამი კი, რომელსაც ეს მოსავალი წარმოადგენს, შეიძლება დარჩეს იმოდენივე, რამდენიც იგი გასულ წელს იყო, თუ რომ დახარჯული საზოგადოებრივათ აუცილებელი შრომის რაოდენობა არ შეცვლილა. თუ მარქსი არ ამტკიცებდა იმას, რომ შრომა არის ყო-

ველგვარი სიმდიდრის წყარო; თუ ასეთი შეხედულება დამყარებულია სახმარი ღირებულების და საქონლის ღირებულების ერთი-ერთმანეთში არევაზე, იმ შემთხვევაში თავის თავათ იგულისხმება, რომ მარქსის შესახებ ირღვევა ყველა ის დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ ასეთ შემცდარ შეხედულებისაგან. აშკარაა ახლა, თუ რამდენათ უსაფუძვლოა მარქსის ზოგიერთ მოწინააღმდეგების საყვედური იმის თაობაზე, რომ მარქსს ვითომც გამოეპარა ბუნების როლი წარმოებაში. პირიქით, თვით ამ მოწიანაღმდეგეთ მართლაც ბევრი რამ გამოეპარათ, სახელდობ, განსხვავება საქონლის ნივთიერებასა და იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას შორის, რომელსაც იგი (საქონელი) წარმოადგენს. „თუ რა ზომამდე შეყავს შეცდომაში ზოგიერთი ეკონომისტები საქონლის ფეტიშიზმს ანუ შრომის საზოგადოებრივ პირობების ნივთიერ გარეგნობას, ამტკიცებს, სხვათა შორის, დაუსრულებელი დამოსაწყენი დავა ბუნების როლის შესახებ საცვლელ ღირებულების შექმნაში. ვინაიდან საცვლელი ღირებულება არის განსაკუთრებითი საზოგადოებრივი საშუალება შრომის რაოდენობის გამოსახატავათ, რომელიც დახარჯულია რომელიმე საგანზე, ამისათვის იმაში ბუნების ნივთიერება შეიძლება იყოს არა იმაზე უმეტეს, რაც, მაგ., ვექსილის კურსში“.

აშკარაა, მარქსს არ გამოპარვია ბუნების როლი სახმარ ღირებულებათა შექმნაში. თუ მან გამოყო იგი ღირებულების განსაზღვრის პროცესიდან, ეს მას დავიწყებით სრულებით არ მოსვლია, არამედ იმიტომ, რომ მას ნათლათ ესმოდა საქონლის წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი, რომელიც მუდამ არ ესმით იმ ეკონომისტებს, რომელთაც საზოგადოების კანონები გამოყავთ არა თვით საზოგადოების მდგომარეობიდან, არამედ განცალკევებული ადამიანის მოქმედებისაგან.

შემდეგი, საკმარისათ გავრცელებული შეცდომა მარქსის ღირებულების თეორიის შესახებ მდგომარეობს შრომის ღირებულების შემქმნელი ძალის (werthbil denden Kraft der

Arbeit) და სამუშაო რიდის ღირებულების ერთიერთმანეთში არევაში. ეს ორი ცნება სასტიკათ უნდა იქნას ერთი მეორისაგან გარჩეული. შრომას, როგორც ღირებულების წყაროს, ისევე შეუძლია ღირებულება ჰქონდეს, როგორც სიმძიმეს—წონა, და სითბოს—ტემპერატურა. აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით მხოლოთ ღირებულებაზე, რომელსაც ქმნის მარტივი ან რთული შრომა, და არა იმ ღირებულებაზე, რომელიც აქვს სამუშაო ძალას და რომელიც პოულობს თავის გამოხატულობას სამუშაო ძალის მატარებლის—მუშის ხელფასში.

ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობდით აქამდის მხოლოთ საქონლის მარტივ წარმოებას და საქონლის მარტივ გაცვლა-გამოცვლას. სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, ჯერ ჩვენთვის არ არსებობდა. ქვევით ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ადამიანის სამუშაო ძალას და მის ღირებულებას; ახლა საკმარისია მხოლოთ მაზე მითითება, რომ შეცდომა თავიდან ავიშოროთ. ამნაირია უმთავრესათ ის საყვედურები, რომლებიც გაისმის მარქსის წინააღმდეგ ღირებულების თეორიის შესახებ; ისინი დამყარებულია უმეტეს შემთხვევაში გაუგებრობაზე; ამ საყვედურებს საფუძვლათ უდევს ან ისეთი აზრების უარყოფა, რომლებიც მარქსს არასოდეს არ წარმოუთქვამს, ან კიდევ უბრალო გაუგებრობა. რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი შეცდომები, აუცილებლათ საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ რაში მდგომარეობს კანონი, ვინაიდან ღირებულების კანონი არის მეცნიერული კანონი.

თითოეული საბუნებისმეტყველო ან საზოგადოებრივი კანონი წარმოადგენს ბუნების ან საზოგადოების მოვლენათა ახსნის ცდას. მაგრამ არ არის არც ერთი მოვლენა, რომელიც მხოლოთ ერთი მიზეზით აიხსნებოდეს. თითოეულ მოვლენას საფუძვლათ უდევს სრულებით სხვა და სხვა გვარი და რთული მიზეზები, და თვით მოვლენაც არ ხდება ერთი მეორის დამოუკიდებლათ, არამედ თავის განვითარების გზაზე მას ათასნაირათ უხდება სულ სხვა და სხვა მოვლენასთან შეუღლება. ამიტომ ბუნების თუ საზოგადოების მოვლენათა

მკვლევარს ორნაირი დანიშნულება უდგას წინ. პირველათ მან უნდა განაცალკევოს ერთი მეორესაგან სხვა და სხვა მოვლენები; მეორეთ მან უნდა ჯგუფ-ჯგუფებათ დაყოს ის მიზეზები, რომლებიც მოვლენას საფუძვლათ უდევს, გამოყოს არსებითი არა არსებითისაგან, მუდმივი—შემთხვევისაგან. ეს ორგვარი გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოთ აბსტრაქციის საშუალებით. ბუნებისმეტყველი სარგებლობს ამ შემთხვევაში დაკვირვების და ცდის ინსტრუმენტებით და მეთოდებით, რომლებიც განუწყვეტლივ უმჯობესდებიან. საზოგადოებრივ მოვლენათა მკვლევარი კი იძულებულია სრულებით უარი თქვას ცდის მეთოდებზე და დაკმაყოფილდეს დაკვირვების მეთოდის მეტათ გაუუმჯობესებულ საშუალებით.

აბსტრაქციის საშუალებით მკვლევარი ცნობილობს იმ კანონს რომელიც საფუძვლათ უდევს მოვლენას, და რომელიც მან უნდა განმარტოს. თუ ეს კანონი არ ვიცით, ისე შეუძლებელია მოვლენის ახსნა-განმარტება. მაგრამ მარტო ამ კანონის ცოდნა კიდევ არ კმარა, რომ სავსებით ახსნილ იქნას მოვლენა. ერთი მიზეზის გავლენა შესაძლებელია შესუსტებულ ან სრულებით გაქარწყლებულ იქნას მესამე მიზეზის გავლენით,—მაგრამ შეცდომა იქნებოდა აქედან დავასკვნათ, რომ ეს მიზეზი სრულებით არ არსებობს. მაგ., მიმზიდველობის კანონი მტკიცდება მხოლოთ უჰაერო სივრცეში; ხოლოთ აქ ერთნაირი სიჩქარით ეცემა მიწაზე ტყვია და ფრთა ანუ ღუნღლი. იმ სივრცეში კი, რომელიც გავსებულია ჰაერით, ეს სულ სხვანაირათ ხდება, ჰაერის წინააღმდეგობის გამო. მიუხედავათ ამისა მიმზიდველობის კანონი მაინც მართალია.

ასევე უნდა ითქვას ღირებულების შესახებაც. როგორც კი საქონლის წარმოება წარმოების გაბატონებულ ფორმათ ხდება, ადამიანებს, რომლებიც ამ წარმოებაში მონაწილეობას ღებულობენ, უნდა შეემჩნიათ საქონლის ფასების ერთნაირი წესიერება, და ისინი იძულებული გახდენ, გამოეკვლიათ ის მიზეზები, რომლებიც ამ წესიერებას საფუძვლათ უდევს.

საქონლის ფასების გამოკვლევამ ღირებულების სიდიდის განსაზღვრამდე მიგვიყვანა. მაგრამ მსგავსათ იმისა, როგორც

მიმზიდველობის ძალა არ არის დაცემის ერთათ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზი, სწორეთ ისევე საქონლის ღირებულება არ არის მისი ფასის ერთათ-ერთი მიზეზი. თითონ მარქსმა გვიჩვენა, რომ არსებობენ ისეთი საქონლები, რომელთა ფასები შესაძლებელია არა მარტო დროებით, არამედ მუდამ, იმათ ღირებულების დაბლა დგანან. ასე, მაგ., ოქრო და ალმასი, უთუოთ, არასოდეს არ გაყიდულან თავისი სრული ღირებულების მიხედვით.

სწორეთ ასევე შესაძლებელია, რომ, ამა თუ იმ პირობებში, საქონელი—სამუშაო ძალა—დიდხანს თავისი ღირებულების დაბლა ფასობდეს.

მარქსმა თითქმის დაამტკიცა, რომ კაპიტალისტურ წესწყობილებაში მოგების ზეგავლენით ღირებულების კანონი იმდენათ იცვლება, რომ საქონლების უმეტესი ნაწილის ფასი არასოდეს იმათ ღირებულებას არ ეთანასწორება, არამედ ეს ფასი მუდამ ან მაღლა დგას ან დაბლა საქონლების ღირებულებასთან შედარებით. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამ შემთხვევაშიაც ღირებულების კანონი მოქმედებს; კიდევ მეტი: ფასების ღირებულებიდან გადახვევ-გადმოხვევა, ანუ გადაწევ-გადმოწევა შესაძლებელია აიხსნას მხოლოთ ღირებულების კანონის საშუალებით. აქ ჩვენ მხოლოთ ვუთითებთ იმაზე; დაწვრილებით ჩვენ განვიხილავთ ამას ქვევით, როცა გავეცნობით კაპიტალის და მოგების განონებს.

ფასის და ღირებულების ცნება მკაფიოთ უნდა იყოს ერთი მეორისაგან გარჩეული, ვინაიდან ხშირათ მარქსის თეორიის მოწინააღმდეგეები ამ ორი ცნების ერთი-ერთმანეთში არევაზე ამყარებენ თავის მოსაზრებებს.

უწინარეს ყოვლისა, როგორც უკვე ვთქვით, თვალები არ უნდა დავიბრმავოთ საქონლის ფეტიშიზმით, და საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც საქონელში იხატებიან, მის (საქონლის) ბუნებრივ თვისებებათ არ მივიღოთ.

თუ ჩვენ ყოველთვის კარგათ გვეცოდინება, რომ საქონლის წარმოება წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების

ფორმას, რომელშიაც კერძო, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი მწარმოებელნი აკეთებენ ერთი ერთმანეთისათვის, თუმც არა ერთათ, და საქონლის ღირებულება წარმოადგენს არა ურთიერთობას ნივთებს შორის, არამედ ნივთიერ კანში დაფარულ ურთიერთობას ადამიანებს შორის, მაშინ ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მარქსის დებულება, რომელიც შეადგენს მისი გამოკვლევის („კაპიტალში") საფუძველს: მხოლოთ საზოგადოებრივათ-აუცილებელი შრომის, ანუ საზოგადოებრივათ აუცილებელ სამუშაო დროს რაოდენობა, რომელიც დახარჯულია სახმარი ღირებულების კაკეთებაზე, საზღვრავს საქონლის ღირებულების სიდიდეს.

3. საცვლელი ღირებულება

საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება საზოგადოებრივათ-აუცილებელ სამუშაო დროით, რომელიც დახარჯულია მის გაკეთებაზე, გამოისახება კი ეს სიდიდე სხვანაირათ: როდი ამბობენ: „ეს სერთუკი ღირს 40 სამუშაო საათი", არამედ ამბობენ: „სერთუკი ღირს იმდენივე, რაც 20 არშინი ტილო, ან 10 გრამი ოქრო".

სერთუკი თავისთავათ ჯერ კიდევ საქონელი არ არის, იგი ხდება ასეთათ მხოლოთ მაშინ, როცა მე მსურს მისი გაცვლა; ამიტომ საქონლის ღირებულებაც არ ჩნდება, სანამ მე მას არ ვადარებ სხვა საქონელთან, რომელზედაც მე იმის გაცვლა მსურს. თუმც საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივათ-აუცილებელი შრომის რაოდენობით, რომელიც მის გასაკეთებლათ არის საჭირო, მაგრამ გამოიხატება კი ეს სიდიდე თავისი ურთიერთობით ერთი ან რამდენიმე სხვა საქონლის ღირებულების სიდიდესთან, საცვლელი ურთიერთობით. მაგრამ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ხშირათ ღებულობს, რომ, სახელდობ, საქონლის საცვლელი ურთიერთობა განსაზღვრავს მისი ღირებულების სიდიდეს.

ამ აზრის უსაფუძვლობა შემდეგი მაგალითით შეგვიძლია დავამტკიცოთ. ავიღოთ ერთი თავი შაქარი. მისი წონა წინ-

დაწინ ცნობილია, მაგრამ ამ წონის გამოსახვა მე შემიძლია მხოლოთ რომელიმე სხვა სხეულის, მაგ., რკინის წონასთან შედარებით. სასწორის ერთ მხარეზე მე ვსდებ შაქრის თავს, მეორეზე რკინის ნაჭრებს; თითოეული რკინის ნაჭერი განსაზღვრული წონისაა, მაგ., თითო გირვანქიანი. რკინის ნაჭრების რიცხვი გვიჩვენებს ჩვენ შაქრის წონას. სისულელე იქნებოდა იმის მტკიცება, რომ შაქარი იწონის, მაგ., 10 გირვანქას მხოლოდ იმიტომ, რომ სასწორის მეორე მხარეზე მე დავსდევი რკინის 10 თითო გირვანქიანი ნაჭერი. პირიქით მე უნდა დამედვა სასწორის მეორე მხარეზე რკინის 10 ნაჭერი იმიტომ, რომ შაქარი იწონის 10 გირვანქას. ამ შემთხვევაში ურთიერთობის არსებითი მხარე აშკარაა. მაგრამ სწორეთ ასეთივე ურთიერთობაა ღირებულების სიდიდესა და ფორმას შორის.

სხეულის წონის გამოხატულება წარმოადგენს რამოდენიმე მსგავსებას საქონლის ღირებულების გამოხატულებასთან, ე. ი. იმ ფორმასთან, რომლითაც ჩვენ გამოვსახავთ მის (საქონლის) ღირებულების სიდიდეს. შაქრის თავი იწონის 10 გირვანქას, ეს, თუ ჩვენ განვაგრძობთ ზევით მოყვანილ მაგალითს, ნიშნავს არსებითათ იმას, რომ შაქრის თავს აქვს იმოდენივე წონა, რაც რკინის განსაზღვრულ ზომის 10 ნაჭერს; იგივე შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ სერთუკზე, ე. ი. რომ იგი ღირს იმდენივე, რამდენიც, მაგ., 20 არშინი ტილო.

ჩვენ არ შეგვეძლო რკინა და შაქარი დაგვეპირდაპირებია ერთიერთმანეთისათვის განსაზღვრული ურთიერთობით, როგორც სხეულები, თუ რომ იმათ საერთო ბუნებრივი თვისება არ ქონებოდათ, სახელდობ: წონა. აგრეთვე ჩვენ არ შეგვეძლებოდა სერთუკი და ტილო ერთი მეორესათვის დაგვეპირდაპირებია, როგორც საქონლები, განსაზღვრულ ურთიერთობით, თუ რომ იმათ არ ქონებოდათ საერთო საზოგადებრივი თვისება: არ ყოფილიყვენ ნაწარმოებნი ადამიანის საერთო შრომის, ე. ი. არ ყოფილიყვენ ღირებულებანი.

რკინა და შაქარი თამაშობენ პირველ შემთხვევაში (გათანასწორებაში) ორ სხვა და სხვა როლს: 1 თავი შაქარი

იწონის იმდენსავე, რამდენსაც 10 გირვანქა რკინა. შაქარი გამოდის აქ როგორც შაქარი, რკინა კი არა როგორც რკინა, არამედ როგორც სიმძიმის განხორციელება, როგორც სიმძიმის გამოჩენის ფორმა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვივიწყებთ შაქრის განსაკუთრებულ ფიზიკურ თვისებებს, მაგრამ ვივიწყებთ რკინის ფიზიკურ თვისებებს.

მსგავს მოვლენას წარმოგვიდგენს გათანასწორება: ერთი სერთუკი=20 არშინ ტილოს.

ორივე, როგორც სერთუკი, ისე ტილო—საქონლებია, მაშასადამე სახმარი ღირებულებანი და ღირებულებანი. მაგრამ ღირებულების ფორმაში, საცვლელ ურთიერთობაში მხოლოთ სერთუკი გამოდის, როგორც სახმარი ღირებულება, ტილო კი მხოლოთ როგორც ღირებულების გამოხატვის ფორმა. მე შემიძლია შაქრის წონა განვსაზღვრო არა მარტო რკინის ნაჭრების საშუალებით, არამედ აგრეთვე სპილენძის ან ტყვიის ნაჭრების საშუალებითაც. სწორეთ ასევე შემიძლია სერთუკის ღირებულების გამოსახვა არა მარტო ტილოში, არამედ ყველა სხვა საქონელში. გათანასწორებაში: 1 სერთუკი=20 არშინ ტილოს, მე სრულებით ყურადღებას არ ვაქცევ ამიტომ ტილოს განსაკუთრებულ ბუნებრივ ფორმას; ამ ურთიერთობაში ტილო, როგორც ზევითაც იყო უკვე აღნიშნული, გამოდის, როგორც ღირებულება, როგოც ადამიანის საერთო, აბსტრაქტული (განყენებული) შრომის განხორციელება. ტილო ხდება სერთუკის ღირებულების გამოხატვის ფორმათ სერთუკის სხეულის პირისპირ. წინაამღდეგობა, რომელიც არსებობს სერთუკში, როგორც ყველა სხვა საქონელში, ე. ი. წინაამღდეგობა სახმარ ღირებულებასა და საქონლის ღირებულებას შორის თავის მხრით გადადის ღირებულების გამოსახულებაზედაც, სადაც სერთუკის სხეულის ფორმა გამოდის მხოლოთ როგორც სახმარი ღირებულება, ტილოს სხეული კი—როგორც საქონლის ღირებულება, ღირებულების ფორმა.

მაგრამ ისიც არის, რომ იმ საქონლის სახმარი ღირებულება, რომელშიაც გამოსახულია მეორე საქონლის ღირებუ-

ლება,—მარქსი უწოდებს მას ექვივალენტს, *)—სულ ერთი არ არის. ორივე საქონელი უნდა იყოს სხვა და სხვა. გათანასწორება: 1 სერთუკი=1 სერთუკს, უაზროა.

მე შემიძლია სერთუკის ღირებულება გამოვსახო არა მარტო ტილოში, არამედ ყველა სხვა საქონელში, რომელიც მისგან განსხვავდება. მაგრამ მე შემიძლია გათანასწორების შებრუნება, და ტილოს ღირებულება ისე, როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, გამოვსახო სერთუკში. მე შემიძლია შევადგინო გათანასწორება:

$$1 \text{ სერთუკი} = \begin{cases} 20 \text{ არშინ ტილოს} \\ 10 \text{ გირვანქა ჩაის} \\ 40 \text{ ქირვანქა ყავას} \\ 5 \text{ ფუთ რკინას} \\ 2 \text{ კოდ ხორბალს} \\ \text{და სხვ. და სხვ.} \end{cases}$$

მაგრამ შემიძლია აგრეთვე შევაბრუნო ეს გათანასწორება და ვთქვა:

$$\left.\begin{array}{l} 20 \text{ არშინი ტილო} \\ 10 \text{ გირვანქა ჩაი} \\ 40 \text{ გირვანქა ყავა} \\ 5 \text{ ფუთი რკინა} \\ 2 \text{ კოდი ხორბალი} \\ \text{და სხვა} \end{array}\right\} = 1 \text{ სერთუკს.}$$

ორივე გათანასწორება, გარეგნობით, ერთსა და იმავეს გვეუბნება; მაგრამ ისინი ლაპარაკობენ ერთსა და იმავეს მხოლოთ როგორც მათემატიკური გათანასწორება, მაგრამ როგორც ღირებულების გამოხატვის სხვა და სხვა ფორმებს, იმათ ისტორიულათ და ლოღიკურათ სულ სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვთ.

საქონლის წარმოების პირველ საფეხურებზე ნაწარმოებნი იცვლებოდენ იშვიათათ და შემთხვევით.

ეს ხანა შეესაბამება ღირებულების მარტივ გათანასწორებას, რომელშიაც ერთი საქონელი პირისპირ უდგება გან-

---

*) Aequus ლათინურათ ნიშნავს თანასწორს valere—ღირს.

საზღვრული ურთიერთობით მხოლოთ ერთს რომელსამე საქონელს, მაგ., ერთი ბრინჯაოს სატეხი=20 გირვანქა ქვის მარილს; ამ ფორმას მარქსი უწოდებს ღირებულების მარტივ ფორმას. როგორც კი შრომის ერთი რომელიმე ნაწარმოები, მაგ., პირუტყვი, იცვლება უკვე არა შემთხვევით, არამედ ჩვეულებრივ, შრომის სხვა ნაწარმოებზე, ღირებულების გამოსახულება ღებულობს ზევით მოყვანილ გათანასწორებათა პირველ ფორმას, მაშასადამე, მაგ.:

1 ძროხა= { 2 წამოსასხამს
1 დამბაჩას
1 ქამარს
10 ქალამანს
3 თასს
და სხვა.

ღირებულების ამ ფორმას, რომლის მაგალითებს ჩვენ ვპოულობთ უკვე ჰომიროსის პოეზიაში, მარქსი უწოდებს ღირებულების სრულ ან გაშლილ ფორმას.

მაგრამ საქონლის წარმოება თავის განვითარების გზაზე მიდის კიდევ უფრო შორს. იზრდება შრომის ნაწარმოებთა რაოდენობა, რომლებიც გაკეთებულია გასაცვლელათ, მაშასადამე, როგორც საქონლები, და ჩვეულებრივი გაცვლა ვრცელდება სხვა და სხვა საქონლების მეტ რაოდენობაზე. ახლა არა მარტო პირუტყვი, არამედ, დამბაჩები, ქამრები, თასები ხდებიან გაცვლის ჩვეულებრივ საგნებათ.

ყველაზე უფრო გავრცელებული და მიღებული ამათგანი, მაგ., პირუტყვი სხვა საქონელზე ხშირათ და, ბოლოს განსაკუთრებით, ხდება სხვა საქონლების ღირებულების გამომხატველათ. მაშინ გაცვლა-გამოცვლა ახწევს განვითარების იმ საფეხურებს, რომლებზედაც იწყებს განვითარებას მეორე, ზევით მოყვანილი ფორმულა, ე. ი. ღირებულების საყოველთაო ფორმა.

განვიხილოთ უფრო ახლო ამ გათანასწორების ექვივალენტური ფორმა. როგორც ჩვენ უკვე ზევით დავინახეთ, ექვივალენტური ფორმა არის ადამიანის შრომის განჯორციე-

ლება საზოგადოთ. მაგრამ წინანდელ ფორმებში საქონელი თამაშობდა ასეთ როლს მხოლოთ შემთხვევით და დროებით. გათანასწორებაში: 1 სერთუკი=20 არშინ ტილოს, ტილო მართლა არის მხოლოთ ღირებულების გამოსახვის ფორმა. მაგრამ, თუ 20 არშინ ტილოს უთანასწორებენ 1 კოდ ხორბალს ან ხელახლა ერთ სერთუკს, მაშინ უკვე ხორბალი ან სერთუკი ხდება ადამიანის საერთო (აბსტრაქტული) შრომის განხორციელებათ, და იმავე დროს, ტილო თამაშობს სახმარი ღირებულების როლს. სხვანაირათ არის საქმე ღირებულების საყოველთაო ფორმაში. ახლა უკვე ექვივალენტის როლს ასრულებს განსაკუთრებით ერთი რომელიმე საქონელი; იგი არის საყოველთაო ექვივალენტი. იგი წინანდულათ არის სახმარი და საქონლის ღირებულება, როგორც ყველა სხვა საქონელი. მაგრამ ყველა სხვა საქონელი ახლა იმას პირისპირ უდგებიან, გარეგნობით, როგორც მხოლოთ სახმარი ღირებულებანი, მაგრამ თითონ იგი კი არის ღირებულების საყოველთაო და ერთათ ერთი ფორმა, ადამიანის განყენებული შრომის საყოველთაო საზოგადოებრივი განხორციელება. თითონ იგი არის ახლა ისეთი საქონელი, რომელიც პირდაპირ იცვლება ყველა სხვა საქონელზე, და ამიტომ მას ყველა ღებულობს. მის მეოხებით, მეორე მხრით, ყველა სხვა საქონელები კარგავენ თვისებას და შეძლებას პირდაპირ გაცვლილ იქნან ერთი მეორეზე. ორი საქონლის გაცვლა შეიძლება მოხდეს ახლა მხოლოთ საყოველთაო ექვივალენტის საშუალებით, რომელშიაც გამოკრთის ყველა სხვა საქონლების ღირებულება.

4. საქონლის გაცვლა-გამოცვლა

საქონლის გაცვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოთ მაშინ, თუ ორი პირობაა დაცული: 1, გასაცვლელი ნაწარმოებნი უნდა იყვენ სახმარი ღირებულებანი იმათთვის, ვისაც ისინი არა აქვს და არა სახმარი ღირებულებები იმათ პატრონებისათვის; 2, ის პირები, რომლებიც ერთი-მეორეს უცვლიან ნაწარმოებს, უნდა ცნობილობდენ ერთმანეთს გასაცვლელ საქონლების

კერძო მესაკუთრეებათ. კერძო საკუთრების უფლებრივი ურთიერთობა არის მხოლოთ აღებ-მიმცემ პირთა ნებსითი ურთიერთობათა გაშუქება, რაც დამოკიდებულია ეკონომიურ ურთიერთობაზე. ადამიანებმა იწყეს საქონლის გაცვლა-გამოცვლა არა იმიტომ, რომ ისინი ცნობილობდენ ერთმანეთის გასაცემ საგნების კერძო მესაკუთრებათ, არამედ, პირიქით, იმათ იწყეს ერთმანეთის კერძო მესაკუთრებათ მიღება მხოლოთ მაშინ, როცა იმათ მოუხდათ ერთმანეთ შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

როცა შრომის ნაწარმოები თავის პატრონისათვის აღარ წარმოადგენს სახმარ ღირებულებას, როცა შრომის ნაწარმოები მისი პატრონის მოთხოვნილებას აღემატება, აი, მაშინ ჩნდება საქონელი, საქონლის პირველი ფორმა. ასეთ ნაწარმოებს ჯერ კიდევ არ აკეთებენ განსაკუთრებით გაცვლისათვის, არამედ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ისინი ხდებიან საქონლებათ გაცვლის მეოხებით.

რაც შეეხება მეორე პირობას, გასაცვლელ ნაწარმოებთა პატრონების ამ ნაწარმოებთა კერძო მესაკუთრებათ ურთიერთ მიჩნევას, ეს შესაძლებელია მხოლოთ იქ, სადაც პირისპირ უდგებიან ერთი მეორეს დამოუკიდებელი პირები. „მაგრამ ურთიერთ დამოუკიდებლობის ამნაირი განწყობილება არ არსებობს პირველყოფილი კომუნის წევრთათვის, სულ ერთია აქვს ამ კომუნას ფორმა პატრიარქალური ოჯახის, ძველ ინდოელთა თემის, ინკების სახელმწიფოს და სხვა.

„საქონლის გაცვლა იწყება იქ, სადაც თემები თავდებიან, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც ორი უცხო თემი ან უცხო თემების წევრები ერთმანეთს ხვდებიან მისვლა-მოსვლის დროს. მაგრამ როგორც კი ნივთი ხდება საქონლათ თემის საგარეო ცხოვრებაში, შემდეგ ამისა, იგი ხდება საქონლათ თემის საშინაო ცხოვრებაშიაც.“

საცვლელ ურთიერთობათა განვითარების პირველ საფეხურებზე ღირებულების სიდიდე და მისი ფორმა ჯერ კიდევ ძლიერ ნაკლებათ არის განვითარებული; უწინარეს ყო-

ვლისა სიდიდის რაოდენობა, რომლითაც ნაწარმოებნი ერთი მეორეზე იცვლებიან, ჯერ კიდევ სრულებით შემთხვევითია და მეტად განუსაზღვრელი. მაგრამ რაც დრო მიდის, ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა ხდება სულ უფრო და უფრო საზოგადოებრივ პროცესათ. ასაღებენ არა მარტო მოჭარბებულ, მონარჩენ, სახმარ ღირებულებებს, არამედ აკეთებენ სახმარ ღირებულებებს პირდაპირ გასაცვლელათ. ამასთანავე ის ურთიერთობაც, რომლითაც ნაწარმოებნი ერთი ერთმანეთზე იცვლებიან, სულ უფრო და უფრო ხდება დამოკიდებული იმათი წარმოების პირობებზე. საქონლის ღირებულების სიდიდე ხდება ისეთ სიდიდეთ, რომელიც განისაზღვრება საზოგადოებრივათ აუცილებელი სამუშაო დროით, რომელიც მის გასაკეთებლათ არის დახარჯული.

მაგრამ რამდენათ შრომის ნაწარმოები განსაკუთრებით სხვა ნაწარმოებზე გასაცვლელათ არის გაკეთებული, იმდენათ უფრო აშკარათ უნდა გამოჩნდეს საქონლის ბუნებაში დაფარული წინააღმდეგობა სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის.

ეს წინააღმდეგობა, რომელიც თითოეულ საქონელს თანდაყოლილი აქვს, პოულობს თავის გამოხატულებას, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ღირებულების ფორმაში. გათანასწორებაში: 20 არშინი ტილო=1 სერთუკს, თითონ ტილო გვეუბნება ჩვენ, რომ იგი არის სახმარი ღირებულება (ტილო) და ღირებულება (სერთუკთან თანასწორი). მაგრამ ღირებულების მარტივ ფორმაში კიდევ საძნელოა ამ წინააღმდეგობის დადგენა, ვინაიდან ის საქონელი, რომელიც აქ ექვივალენტების როლს თამაშობს, ე. ი. ადამიანის ზოგადი შრომის განხორციელებაა, გამოდის ამ როლში მხოლოდ დროებით. ღირებულების გაშლილ ფორმაში ეს წინააღმდეგობა უფრო აშკარაა, ახლა უკვე ექვივალენტათ გამოდის რამდენიმე საქონელი და შეუძლიათ კიდეც ექვივალენტის როლის შესრულება, ვინაიდან იმათ ერთი და იგივე საერთო თვისება აქვთ, სახელდობ ის, რომ ისინი არიან შრომის ნაწარმოებნი ანუ ღირებულებანი.

მაგრამ რამდენათ უფრო ვითარდება საქონლის გაცვლა-გამოცვლა, რამდენათ შრომის ნაწარმოებთა მეტი ნაწილი იქცევა საქონლათ, იმდენათ უფრო და უფრო საგრძნობელი ხდება საყოველთაო ექვივალენტის საჭიროება. გაცვლა-გამოცვლის პირველ ხანებში თითოეული ადამიანი ცვლის იმას, რაც არ უნდა, პირდაპირ იმაზე, რაც მას ესაჭიროება. მაგრამ რამდენათ საქონლის წარმოება თანდათან ხდება საზოგადოებრივი წარმოების საყოველთაო ფორმათ, იმდენათ ასეთი მდგომარეობა თანდათან ძნელდება. ვთქვათ, მაგ., საქონლის წარმოებამ თავის განვითარებაში მიახწია იმ წერტილს, როცა თერძის, ხაბაზის, ყასბის, დურგლის მუშაობა გარდაიქცა დამოუკიდებელ ხელობებათ. თერძი ასაღებს სერთუკს დურგალზე. დურგლისთვის სერთუკი სახმარ ღირებულებას წარმოადგენს, თერძისთვის კი არა. მაგრამ თერძს არ ესაჭიროება დურგლის შრომა, იმას საკმარისათ აქვს ავეჯეულობა. დურგლისათვის სკამები და სტოლები არ შეადგენენ სახმარ ღირებულებას, მაგრამ ისინი არც თერძისათვის არიან ასეთები. მაგრამ თერძს ესაჭიროება პური, ხორცი და სხვ., ვინაიდან უკვე წავიდა ის დრო, როცა იგი შინ აცხობდა პურს და ასუქებდა ღორებს. ხორცი და პური, რომელთაც საჭიროებს თერძი, არ შეადგენენ სახმარ ღირებულებას ყასბისა და ხაბაზისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელთ ამ ხელათ არ ესაჭიროებათ სერთუკები; ამნაირათ თერძს სიმშილისაგან სიკვდილი მოელის, მიუხედავათ იმისა, რომ მან იპოვნა თავისი სერთუკის მუშტარი. თერძს ესაჭიროება ისეთი საქონელი, რომელიც საყოველთაო ექვივალენტია, რომელსაც, როგორც დარებულების პირდაპირ განხორციელებას, ყოველთვის აქვს სახმარი ღირებულება ყველასათვის.

საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარება, რაც ბადებს ასეთ ექვივალენტის საჭიროებას, იწვევს აგრეთვე მის გამოჩენასაც. რადგანაც სხვა და სხვა გვარი საქონლები იცვლებოდენ ერთი-ერთმანეთზე, ამიტომ უნდა წარმომდგარიყო ისეთი შემთხვევა, როცა ამ საქონლების დიდი უმრავლესობა

უნდა შედარებულიყო ერთ რომელსამე საქონელთან, როცა, მაშასადამე, ჩნდებოდა იმათთვის საერთო ექვივალენტი. პირველათ რომელიმე საქონელი იყო ასეთ ექვივალენტათ მხოლოთ დროებით და შემთხვევით.

მაგრამ, როგორც კი სასარგებლო შეიქნა, რომ ერთ განსაკუთრებულ საქონელს მიეღო საყოველთაო ექვივალენტის ფორმა, ექვივალენტური ფორმის კავშირი ამ საქონელთან უნდა გამაგრებულიყო. სახელდობრ რომელ საქონელს მიეწერებოდა საყოველთაო ექვივალენტის ფორმა, ეს დამოკიდებული იყო სრულებით სხვა და სხვა გარემოებაზე, მაგრამ ბოლოს ორმა ლითონმა: ოქრომ და ვერცხლმა მონოპოლიათ გაიხადეს საყოველთაო ექვივალენტის ფორმა და გახდენ ფულათ. რამდენიმეთ ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ დასაშვენებელი (მოსართავი) ნივთები ყველაზე უფრო ადრე შეიქნენ გაცვლა-გამოცვლის საგნებათ; გადამწყვეტი მნიშვნელობა კი ქონდა იმ გარემოებას, რომ ოქროს და ვერცხლის ბუნებრივი, ანუ ფიზიკური თვისებები შეეფერება საყოველთაო ექვივალენტის საზოგადოებრივ ფუნქციებს. ჩვენ ვუთითებთ აქ მხოლოთ ორ გარემოებაზე, სახელდობ: 1, ოქრო და ვერცხლი ყოველთვის ერთნაირია თავისი თვისებით, არ იცვლებიან ჰაერის და წყლის ზეგავლენით, მაშასადამე, და 2, იმათი ნაწილებათ დაყოფა და ამ ნაწილების შეერთება შესაძლებელია სურვილასამებრ. ამიტომ ისინი ყველაზე უფრო გამოსადეგია ადამიანის ერთნაირი საყოველთაო შრომის განსახორციელებლათ, ღირებულების სიდიდეთა გამოსახატავათ, რომლებიც განსხვავდებიან ერთი მეორისაგან მხოლოთ რაოდენობით (quantitative), და არა თვისებით (qualitative).

ოქრომ და ვერცხლმა მოიპოვეს საყოველთაო ექვივალენტის მონოპოლია მხლოთ იმიტომ, რომ ისინი პირისპირ უდგებოდენ, როგორც საქონლები, სხვა საქონელთ. ფულათ გახდომა იმათ იმიტომ შეძლეს, რომ საქონლები იყვენ. ფული ერთი ან რამდენიმე ადამიანის გამოგონილი არ არის და ის ღირებულების არც უბრალო ნიშანია. ფულის ღირებულება

და საზოგადოებრივი ფუნქციები როდია შექმნილი ვისმეს სურვილით. კეთილშობილი ლითონები გახდენ ფულის საქონლათ იმ როლის მეოხებით, რომელსაც ისინი ასრულებდენ გაცვლა-გამოცვლის პროცესში, როგორც საქონლები.

თავი II

ფ უ ლ ი

1. ფასი

ფულის პირველი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ღირებულების საზომი, რომ იგი აწვდის აღებ-მიცემობას იმ მასალას, რომელშიაც უნდა გამოიხატოს ღირებულება.

რომ ჩვენ საქონლებს ერთი-ერთმანეთს ვადარებთ და ერთგვარებათ ვთვლით,—ეს ფულის მეოხებით არ ხდება. პირიქით, ვინაიდან ყველა საქონლები, როგორც ღირებულებანი, წარმოადგენენ ადამიანის საზოგადოებრივ შრომას, ისინი, მაშასადამე, უკვე თავისთავათ ერთგვარი არიან; ამიტომ, როგორც ასეთები, ისინი შესაძლებელია გაზომილ იქნან ერთი და იგივე განსაზღვრული საქონლით, რომელსაც ამის გამო ისინი ჰხდიან ღირებულების საერთო, საზოგადო საზომათ, ანუ ფულათ. ფული, როგორც ღირებულების საზომი, არის იმ ღირებულების საზომის, სამუშაო დროის*), გამოჩენის აუცილებელი ფორმა, რომელიც საქონელშია ჩატანებული.

---

*) მარქსი გაკვრით ეხება იმ უტოპიას, რომლითაც დღემდის ბევრია გაჟღენთილი. „ის საკითხი, ამბობს მარქსი, თუ რისთვის თვით ფული არ წარმოადგენს სამუშაო დროს, ისე მაგ., რომ რომელიმე ქაღალდზე გამოსახული იყოს სამუშაო საათები, სრულებით მარტივათ იცვლება მეორე საკითხათ: რისთვის, საქონლის წარმოების საფუძველზე, შრომის ნაწარმოებნი უნდა წარმოგვიდგენ საქონლებათ, ვინაიდან ასეთი წარმოდგენა შეიცავს მის გაორებას: საქონლათ და ფულის საქონლათ. ან რათ კერძო შრომა არ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მისი წინააღმდეგობა—პირდაპირ საზოგადოებრივი შრომა. „სამუშაო ფულების“

საქონლის ღირებულების გამოსახვა ფულის საქონელში არის მისი ფულის ფორმა ანუ მისი ფასი. მაგ.. 1 სერთუკი =10 გრამ ოქროს.

საქონლის ფასი არის მისი ბუნებრივ თვისებიდან სრულებით განსხვავებული რამ. იგი არ შეიძლება საქონელში დავინახოთ, ან ხელით მოვშინჯოთ. საქონლის პატრონმა უნდა გადასცეს იგი მუშტარს. მაგრამ იმისთვის, რომ საქონლის ღირებულება გამოიხატოს ოქროს საქონელში, ე. ი. რომ მისი ფასი განისაზღვროს, ნამდვილი ფული აუცილებლათ საჭირო არ არის. ჯიბეში რომ ერთი გროშიც არ ქონდეს, თერძს შეუძლია იმის ახსნა, რომ იმ სერთუკის ფასი, რომელსაც იგი ყიდის, უდრის 10 გრამ ოქროს. მაშასადამე, ფული, როგორც ღირებულების საზომი, წარმოიდგინება მხოლოთ გონებაში, ოცნებაში.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ფასი განისაზღვრება მაინც რეალური (ნამდვილი) საქონლით. თერძს შეუძლია მხოლოთ მაშინ დააფასოს თავისი სერთუკი 10 გრამ ოქროთ, თუ ოქროს ამ რაოდენობაში განხორციელებულია იმდენივე საზოგადოებრივათ-აუცილებელი შრომა, რამდენიც სერთუკში. თუ თერძი თავისი სერთუკის ღირებულებას გამოხატავს არა ოქროში, არამედ ვერცხლში, ან სპილენძში, იმ შემთხვევაში შეიცვლება ფასის გამოხატულებაც.

ზერელე უტოპიური ხასიათი, საქონლის წარმოებაში, მე სავსებით გამოვარკვიე მეორე ადგილას (Zur Kritik der politishen Oekonomie 1859). აქ შევნიშნავ მხოლოთ იმას, რომ, მაგ., ოუენის „სამუშაო ფულები“ იმდენათვეა ფული, რამდენათაც, მაგ., თეატრის ბილეთი. ოუენს წარმოდგენილი აქვს პირდაპირ საზოგადოებრივი შრომა, წარმოების ის ფორმა, რომელიც ძირეულათ ეწინააღმდეგება საქონლის წარმოებას. სამუშაო მოწმობა გვიჩვენებს მხოლოთ მწარმოებლის ინდივიდუალურ მონაწილეობას საერთო მუშაობაში და მის ინდივიდუალურ უფლებაზე საერთო ნაწარმოებიდან განსაზღვრული ნაწილის გასახმარათ. მაგრამ ოუენს აზრშიაც არ მოსდის, რომ აერთებს შეურიგებელ საგნებს: ერთი მხრით, მას წარმოდგენილი აქვს საქონლის წარმოება და, მიუხედავათ ამისა, მეორე მხრით, მას სურს გვერდი შეაქციოს მის აუცილებელ პირობებს“.

მაშასადამე, იქ, სადაც ორი სხვა და სხვა საქონელი თამაშობს ღირებულების საზომის როლს, მაგ., ოქრო და ვერცხლი, ყველა საქონლებს აქვთ ფასის ორი სხვა და სხვა გამოხატულება, ოქროს და ვერცხლის ფასი. ყოველივე ცვლილება ღირებულების მხრით ოქროსა და ვერცხლს შორის იწვევს ფასის ტოკვას, რხევას. ღირებულების ორგვარი საზომი არსებითათ სისულელეა; ეს ეწინააღმდეგება ფულის ფუნქციას, როგორც ღირებულების საზომს. ყოველგან, სადაც კი კანონმდებლობითი გზით ცდილობდენ მიეღოთ ორი საქონელი, როგორც ღირებულების საზომი, ფაქტიურათ მაინც ყოველგან მხოლოთ ერთი იმათგანი თამაშობდა ამნაირი საზომის როლს.

ამ ჟამათ კიდევ მრავალ ქვეყნებში ერთ და იმავე დროს ოქრო და ვერცხლი ითვლება კანონით ღირებულების საზომათ. მაგრამ სინამდვილე ყოველთვის ააშკარავებდა ამ საკანონმდებლო დადგენილებათა უაზრობას. ოქრო და ვერცხლი, როგორც ყველა სხვა საქონელი, მუდამ განიცდიან ღირებულების რხევას. თუ ორივე ეს ლითონი მიღებულია კანონით თანასწორ უფლების მქონეთ, თუ ყველას უფლება ეძლევა აირჩიოს ესა თუ ის ლითონი ანგარიშის გასწორების დროს, მაშინ, რა თქმა უნდა, უსწორდებიან იმით, რომლის ღირებულება დაბლა იწევს, ის ლითონი კი, რომლის ღირებულება მაღლა იწევს, გააქვთ იქ, სადაც შეიძლება მისი გაყიდვა მოგებით, ე. ი. საზღვარ-გარეთ. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია ორგვარი ფასი, სადაც საქონლის ღირებულების ორნაირი საზომი, ეგრეთ წოდებული ბიმეტალიზმი არსებობს, ფაქტიურათ ყოველთვის მხოლოთ ერთი იმათგანი თამაშობს ღირებულების საზომის როლს და ამასთანავე ის საქონელი (ლითონი), რომლის ღირებულება დაბლა იწევს; მეორე კი, რომლის ღირებულება მაღლა იწევს, როგორც ყველა სხვა საქონლები, გამოსახავს თავის ფასს გაიაფებულ ლითონში; ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში თამაშობს საქონლის, და არა ღირებულების საზომის როლს. რამდენათ

უფრო საგრძნობელია განსხვავება ღირებულების მხრით ოქროსა და ვერცხლის შორის, იმდენათ უფრო აშკარა ხდება ბიმეტალიზმის*) უაზრობა.

სიმარტივისათვის თავის „კაპიტალში“ მარქსი ღებულობს ოქროს როგორც ფულის ერთათ ერთ საქონელს (Qelqwaare). მაგრამ ფაქტიურადაც ოქრო თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში ფულის საქონლის როლს თამაშობს. **)

ფასის გამოხატვაში თითოეული საქონელი ჩვენ გვიდგება წინ, როგორც ოქროს განსაზღვრული რაოდენობა. ბუნებრივათ იბადება აგრეთვე იმის საჭიროება, რომ გამოზო-

---

*) ბიმეტალისტური აგიტაცია, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინეთ კიდევ საკმარისათ ძლიერი იყო. დღეს სრულებით უიმედო შეიქნა და თითქმის სრულებით მიჩუმდა. თანდათან გადადიან ოქროს ფასზე. უკანასკნელ ხანებში ამაზე გადავიდენ იაპონია (1892 წ.) და რუსეთი (1898 წ.). ინგლისში იგი შემოღებულია უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან, გერმანიაში, როგორც ცნობილია, 1871 წლიდან. შეერთებულ შტატებში, ბელგიაში, საფრანგეთში, თუმც ნომინალურათ, სიტყვით, კიდევ ორგვარი ფასი არსებობს, მაგრამ ფაქტიურათ გაბატონებულია ოქრო. ბრიტანიის ინდოეთში ისევე. როგორც კიდევ წინეთ ჰოლანდიაში და ჰოლანდიის ინდოეთში, უკვე პირველი ნაბიჯი გადადგმულია ოქროს ფასის შემოსაღებათ. გერმანიაში უდიდესი სარგებლობა ორნაირ ფასზე გადასვლით მიიღეს იმათ, ვინც სესხი აიღო ოქროს ფასის დროს, ვინაიდან იმათ შეეძლოთ ვერცხლით გასწორებოდენ მოვალეებს. ამ გრძელ-ვადიან სესხების უმეტესობას შეადგენენ იპოტეკური (საადგილ-მამულო) სესხები. აი აქედან აიხსნება აგრარიების დაინტერესებაც ბიმეტალიზმით.

**) ოქროს და ვერცხლის ფულის (მანათებათ და გადადნობილი) ღირებულება იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია თანამედროვე წარმოების წესი, ფასობდა:

	ოქრო:	ვერცხლი:
1831 წ.	2 232 000 000 მარკა*).	8 280 000 000 მარკა;
1880 წ.	13 170 000 000 „	8 406 000 000 „

ოქრო, მაშასადამე, დღეს დიდათ გავრცელებული ფული საქონელია.

---

*) მარკა უდრის 47 კაპ.

მილ იქნას ოქროს სხვადასხვა რაოდენობანი, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ფასებს, ე. ი. შემოღებულ იქნას ფასების საზომი (мѣрило цѣнъ). ლითონებს აქვთ ასეთი ბუნებრივი საზომი თავის წონაში. ლითონთა წონის სახელწოდებანი, მაგ., გირვანქა, ლივრი (საფრანგეთში), ტალანტი (ძველ საბერძნეთში), ასსი (რომში) და სხვ. არის ამიტომ პირვანდელი სახელწოდებანი ფასების საზომის ერთეულთა.

ფულის პირველი ფუნქციის გვერდით, როგორც ღირებულების საზომის, ჩვენ ვეცნობით აქ მის მეორე ფუნქციას—ფასების საზომს. როგორც ღირებულების საზომი, ფული აქცევს საქონლის ღირებულებას ოქროს განსაზღვრულ რაოდენობათ. როგორც ფასების საზომი, ფული ზომავს ოქროს სხვა და სხვა რაოდენობას ოქროს ერთი განსაზღვრული რაოდენობით, რომელიც მიღებულია ერთეულათ, მაგ. გირვანქათ.

განსხვავება ღირებულების საზომსა და ფასების საზომს შორის აშკარათ ჩნდება, როცა ჩვენ მხედველობაში ვღებულობთ იმათ ურთიერთობას ღირებულების ცვლილების დროს. ვთქვათ, რომ ფასების საზომის ერთეული არის 10 გრამი ოქრო. როგორიც უნდა იყოს ოქროს ღირებულება, 20 გრამი ოქრო ყოველთვის ორჯერ უფრო ძვირი იქნება, ვინემ 10 გრამი ოქრო. ოქროს ღირებულების აწევა-დაწევა, მაშასადამე, არავითარ გავლენას არ ახდენს ფასების საზომზე.

ავიღოთ ახლა ოქრო, როგორც ღირებულების საზომი. ვთქვათ, სერთუკი ღირს 10 გრამი ოქრო. მაგრამ, აი, ოქროს ღირებულება იცვლება, ერთ მშვენიერ დღეს, ერთ და იმავე საზოგადოებრივათ-აუცილებელი სამუშაო დროს განმავლობაში შოულობენ ორჯერ მეტ ოქროს, ვინემ წინეთ. თერძის შრომის ნაყოფიერება კი სრულებით არ შეცვლილა. რა მოხდება? სერთუკის ფასი ახლა მიახწევს 20 გრამ ოქრომდე. მაშასადამე, ოქროს ღირებულების ცვლილება შესამჩნევათ ჩნდება მის, როგორც ღირებულების საზომის, ფუნქციაში.

ფასების საზომი შესაძლებელია ისევე დარდგენილ იქნას, როგორც, მაგ., სიგრძის ზომა. მაგრამ მეორე მხრით ფასების

საზომი საჭიროებს, რომ იგი საყოველთაოთ იქნას მიღებული. ეს საზომი პირველათ პირობითია, გადმოღებული ჩვეულებრივი წონის სისტემიდან, მაგრამ ბოლოს იგი გაწესრიგებული ხდება კანონით. ოქროს და ვერცხლის წონის სხვა და სხვა ნაწილები ღებულობენ ოფიციალურ სახელებს, რომლებიც განსხვავდებიან იმათი წონისაგან. ჩვენ ვამბობთ გირვანქა ოქროს, არა $^1/_{70}$ ნაწილზე, არამედ 20 გრამიან ოქროს ფულზე. ახლა ფასები იხატება არა ოქროს წონის სახელწოდებებში, არამედ ოქროს საზომის საანგარიშო სახელწოდებებში, რომლებიც კანონით არიან დარდგენილნი.

ფასი—ეს არის ფულით სახელწოდება საქონლის ღირებულების სიდიდისა, მაგრამ ამასთანავე ეს არის საქონლის საცვლელი ურთიერთობის გამოხატვა ფულის საქონელთან, ოქროსთან. საქონლის ღირებულება არასოდეს არ გამოჩნდება განცალკევებულათ, თავისთავათ, არამედ ყოველთვის მხოლოთ საცვლელ ურთიერთობაში რომელიმე სხვა საქონელთან. მაგრამ ამ ურთიერთობაზე, გარდა ღირებულების სიდიდისა, შესაძლებელია გავლენა იქონიოს სხვა გარემოებებმაც. ამიტომ შესაძლებელია ფასის გადახვრ-გადმოხვრა ღირებულებიდან. როცა თერძი ამბობს, რომ მისი სერთუკის ფასი 10 გრამი ოქროაო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის მზათ არის მისცეს თავის სერთუკი 10 გრამ ოქროთ. მაგრამ მისი მხრით მეტად უსაფუძვლო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ყველა ადამიანი ყოველთვის მზათ არის მისცეს მას 10 გრამი ოქრო მის სერთუკში. მართალია, სერთუკის ფულათ ქცევა ყოვლათ აუცილებელია, რაკი მას წილათ ხვდა შეასრულოს თავის დანიშნულება, როგორც საქონელმა. საქონელი დაჟინებით მიისწრაფვის ფულისაკენ,—ფასი—ეს შეყვარებულის მომხიბვლელი ძალაა, რომლითაც საქონელი იპყრობს თავის საყვარელ არსებას. მაგრამ საქონლის ბაზარზე საქმე ისე არ ხდება, როგორც რომანებში: ისინი ყოველთვის არ ერთდებიან. მრავალი საქონელი, დატოვებული ოქროს საქმროს მიერ, იძულებულია ატაროს თავისი არა სასიამოვნო არსებო-

ბა საქონლის საწყობებში! მაგრამ გავიცნოთ უფრო ახლო საქონლის ხეტიალი ოქროს ძებნაში.

2. ყიდვა და გაყიდვა

გავყვეთ ჩვენ ძველ ნაცნობს, თერძს, ბაზარზე. იგი ცვლის ანუ ყიდის მის მიერ შეკერილ სერთუკს 15 მან., და ამ ფულით ყიდულობს ერთ ბოჭკა ღვინოს. აქ ჩვენ ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცვალებადობა (Verwandlungen—превращеніе) გვაქვს: პირველათ საქონლის ქცევა ფულათ და შემდეგ, უკუღმა, ფულის საქონლათ გადაქცევა. საქონელი, რომელიც ამ პროცესის ბოლოშია მოქცეული, ისეთი არ არის, როგორც ის, რომელიც ამ პროცესის თავში იყო. პირველს არ ქონდა სახმარი ღირებულება თავისი პატრონისათვის, მეორეს კი აქვს იგი. პირველის სარგებლობა თავის პატრონისათვის მდგომარეობდა მის თვისებაში, როგორც ღირებულების, როგორც ადამიანის საერთო შრომის ნაწარმოების, მის იმ თვისებაში, რომლის მეოხებით შესაძლებელია მისი გაცვლა ადამიანის საერთო შრომის მეორე ნაწარმოებზე, ოქროზე. მეორე საქონლის, ღვინის, სარგებლობა მდგომარეობს მისთვის ამ საქონლის ფიზიკურ თვისებებში, უკვე არა როგორც ადამიანის განყენებული შრომის ნაწარმოების, არამედ შრომის სრულებით კონკრეტული სახის, მეღვინეობის. საქონლის მარტივი ტრიალის ფორმულა ამბობს: საქონელი—ფული—საქონელი, ე. ი. მე ვყიდი იმისათვის, რომ ვიყიდო. ორ ცვალებადებიდან: საქონელი—ფული და ფული—საქონელი, პირველი, როგორც ვიცით, ყველაზე უფრო საძნელოა. ყიდვა, თუ ფული გაქვს, საძნელო არ არის, შედარებით ბევრათ უფრო ძნელია გაყიდვა, რომ ფული მიიღო. ფული კი აუცილებლათ საჭიროა საქონლის თითოეულ პატრონისათვის საქონლის წარმოებაში. რამდენათ უფრო ვითარდება შრომის საზოგადოებრივი დაყოფა, იმდენათ უფრო ცალმხრივი ხდება მისი შრომა, იმდენათ უფრო იზრდება მისი მოთხოვნილებანი.

იმისთვის, რომ საქონლის ფულათ ქცევა მოხდეს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ იგი იყვეს სახმარი ღირებულება, რომ იგი აკმაყოფილებდეს რაიმე მოთხოვნილებას. თუ საქონელი აკმაყოფილებს ამ პირობას და მან მოახერხა ფულათ ქცევა, მაშინ უწინარეს ყოვლისა იბადება კითხვა: რამდენ ფულათ?

მაგრამ ეს საკითხი ახლა ჩვენ თითქმის არ გვაინტერესებს. ამაზე პასუხის მიცემა ეკუთვნის მეორე დარგს, სახელდობ ფასების კანონების გამოკვლევას. ახლა ჩვენ გვაინტერესებს ფორმულის: საქონელი—ფულის ცვალებადება, დამოუკიდებლათ იმაზე, კარგავს თუ იგებს რასმეს ამ შემთხვევაში საქონელი თავის ღირებულების სიდიდეში.

თერძი თავისუფლდება თავისი სერთუკიდან და ღებულობს მაში ფულს. ვთქვათ, მიჰყიდა მან იგი გლეხს. ის, რაც თერძისთვის გაყიდვაა, გლეხისათვის—ყიდვაა. თითოეული გაყიდვა არის ყიდვაც, და პირიქით. მაგრამ საიდან გაუჩნდა ფული გლეხს? მან იგი გაცვალა ხორბალზე. თუ ჩვენ გავყვებით იმ გზას, რომელიც გამოიარა ფულის საქონელმა, ოქრომ, დაწყებული იმ ადგილიდან, სადაც იმას იღებენ მალაროებიდან, საქონლის ერთი პატრონისაგან მეოთხემდე, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ პატრონის თითოეული გამოცვლა მის (ოქროს) მიერ ყოველთვის გაყიდვის შედეგი იყო.

ცვალებადება: სერთუკი—ფული, შეადგენს, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, არა ერთის, არამედ რამდენიმე ცვალებადებათა რგოლს. პირველი: სერთუკი—ფული—ღვინო; მეორე: ხორბალი—ფული—სერთუკი. ერთი საქონლის გარდაქმნათა წყების გამოსავალი წერტილი შეადგენს იმავე დროს მეორე საქონლის გარდაქმნათა წყების დასკვნას, და პირიქით.

წარმოვიდგინოთ, რომ მევენახემ იყიდა ქვაბი და ნახშირი 15 მანეთათ, რომელიც მან აიღო თავის ღვინოში. მაშინ ცვალებადება: ფული—ღვინო შეადგენს უკანასკნელ რგოლს წყების: სერთუკი—ფული—ღვინო და პირველს ორი სხვა წყებისას: ღვინო—ფული—ნახშირი და ღვინო—ფული—ქვაბი.

ცვალებადების თითოეული ამ წყებათაგანი შეადგენს ირგვლივ ტრიალს (круговоротъ): საქონელი—ფული—საქონელი. თითოეული წყება იწყება და თავდება საქონლის ფორმით. მაგრამ საქონლის თითოეული ირგვლივ ტრიალი ჯვარედინდება სხვა საქონლების ირგვლივ ტრიალთან. ყველა ამ აუარებელ, ურთიერთ შორის გადაბანდულ ირგვლივ ტრიალთა მთელი მოძრაობა შეადგენს საქონლის ტრიალს.

საქონლის ტრიალი არსებითათ განირჩევა ნაწარმოებთა პირდაპირი გაცვლისაგან. უკანასკნელი გამოიწვია საწარმოვო ძალთა ზრდამ, რომლებმაც გაარღვიეს პირველყოფილი კომუნიზმის საზღვრები. ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით საზოგადოებრივი შრომის სისტემა გადაცდა პატარა თემის საზღვრებს. გაცვლის მეოხებით, ერთიმეორესათვის უცხო თემებმა და იმათ წევრებმა იწყეს მუშაობა ერთმანეთისათვის. მაგრამ ნაწარმოებთა მარტივი გაცვლა თავის მხრით საზღვარს უდებდა საწარმოვო ძალთა შემდეგ განვითარებას და ეს დაბრკოლება თავიდან ააშორა მას მხოლოთ საქონლის ტრიალმა.

ნაწარმოებთა მარტივი გაცვლა თხოულობს, რომ მე, როცა ვისმეს ვაძლევ ჩემს ნაწარმოებს, იმავე დროს გამოვართვა უკანასკნელს მისი ნაწარმოები. ეს მოთხოვნა თავიდან მოშორებულია საქონლის ტრიალით. მართალია, თითოეული გაყიდვა არის იმავე დროს ყიდვაც: სერთუკი არ შეიძლება გაყიდულ იქნას თერძის მიერ უიმისოთ, რომ ვინმემ, მაგ., გლეხმა, იგი არ იყიდოს. მაგრამ ერთი ის, რომ სრულებით საჭირო არ არის თერძმა თავის მხრით რაიმე იყიდოს. მას შეუძლია ჩააწყოს ფული ყუთში და ელოდოს, სანამ მას რაიმეს ყიდვა მოუნდება. მეორეთ, თერძს ვერავინ ძალას ვერ დაატანს, ახლა იქნება, თუ შემდეგ, მან იყიდოს რამე იმ გლეხისაგან, რომელსაც მან სერთუკი მიჰყიდა, ან იმ ბაზარზე, სადაც მან თავის სერთუკი გაყიდა. საქონლის ტრიალის მეოხებით ქრებიან ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლის ის ზღუდეები და დაბრკოლებანი, რომლებიც შეკავშირებულია დროსთან, ადგილთან და პიროვნებასთან.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი განსხვავება პირდაპირ, მარტივ, გაცვლასა და საქონლის ტრიალს შორის. ნაწარმოებთა მარტივი გაცვლა მდგომარეობს მოჭარბებულ ნაწარმოებთა გასაღებაში, და რაც უფრო საყურადღებოა, სრულებით არ შეაქვს მას რაიმე ცვლილება პირველყოფილი კომუნიზმის საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელიც, წარმოების მონაწილეების პირდაპირ მხედველობის ქვეშ იმყოფება.

პირიქით, საქონლის წარმოების განვითარებას სულ უფრო და უფრო მეტი არევ-დარევა შეაქვს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, და წარმოებაში კანტროლი შეუძლებელი ხდება. კერძო მწარმოებლები ხდებიან სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელნი ერთი მეორისაგან, მაგრამ მით უფრო დამოკიდებულნი საზოგადოებრივ პირობებისაგან, რომლებისთვის კონტროლის გაწევა მათ არ ძალუძთ, როგორც ეს იყო პირველყოფილი კომუნიზმის დროს. საზოგადოებრივი ძალები ამავე დროს იძენენ ბუნების იმ ბრმა ძალთა სიძლიერეს, რომლებიც ხვდებიან რა თავის გზაზე დაბრკოლებებს, თავდებიან საშიშარი კატასტროფებით, მგსავსათ ქარიშხალისა და მიწის ძვრისა.

საქონლის ტრიალის განვითარებასთან ერთათ ვითარდება აგრეთვე ამ გვარ კატასტროფების ჩანასახი. ჩვენ დავინახეთ, რომ თერძს თავისი სერთუკის გაყიდვის შემდეგ შეუძლია დაბრუნდეს თავის სახლში და სერთუკშა აღებული ფული ყუთში ჩააწყოს. მეორე მხრით, მევენახე ან მენახშირე თავიანთ საქონლებითურთ შესაძლებელია შინ დაბრუნდენ და ელოდენ, როცა თერძს მოუნდება მათი საქონლის შეძენა. ეს გარემოება, როგორც ხედავთ, უკვე შეიცავს საქონლის გასაღებაში კაძნელების შესაძლებლობას,—ე. ი. კრიზისების ჩანასახს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა სინამდვილეთ გარდაიქცეს, საწარმოვო ძალები თავის განვითარებაში უმალ უნდა გადაცდენ საქონლის მარტივი ტრიალის საზღვრებს.

3. ფულის ტრიალი

გავიხსენოთ საქონლების ირგვლივ ტრიალი, რაც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ: ხორბალი—ფული, სერთუკი—ფული, ღვინო—ფული, ნახშირი და სხვ. ამ ირგვლივ ტრიალთა მსვლელობა აძლევს მოძრაობას ფულსაც, მაგრამ ეს მოძრაობა არ არის ირგვლივ ტრიალი. ფული, რომელიც გამოიღო გლეხმა, სულ უფრო და უფრო შორდება მას. „ამნაირათ ფულის მოძრაობის ფორმა, რომელიც პირდაპირ გამოწვეულია საქონლის ტრიალით, მდგომარეობს იმაში, რომ ფული მუდამ შორდება გამოსავალ წერტილს, რომ იგი საქონლის ერთი პატრონისაგან გადადის მეორის ხელში, ანუ იგი ტრიალებს.“

ფულის ტრიალი შედეგია საქონლების ირგვლივ ტრიალისა, და არა მისი მიზეზი, როგორც ეს ხშირათ გონიათ. საქონლის მარტივი ტრიალის ხანაში, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ, როცა ჯერ კიდევ ლაპარაკიც არ შეიძლება წესიერ აღებ-მიცემობაზე და ყიდვა-გაყიდვაზე, საქონელი, როგორც სახმარი ღირებულება, მოძრაობის პირველ ნაბიჯზევე იკარგება ტრიალიდან იმიტომ, რომ გადავიდეს ხმარების სფერაში, და ახალი სახმარი ღირებულება, რომელიც უდრის მას საქონლის ღირებულებით, იჭერს მის ადგილს. ირგვლივ ტრიალში: ხორბალი—ფული—სერთუკი, ხორბალი, შემდგომათ პირველი ცვალებადებისა ფორმის: ხორბალი—ფული, ტრიალიდან გამოდის ⅔ ხორბლის გამყიდველს უბრუნდება მისი თანასწორი ღირებულება, მაგრამ განსხვავებული მისგან სახმარი ღირებულება, ფული—სერთუკი. ფული კი, როგორც ტრიალის საშუალება, არასოდეს არ გადის ტრიალის სფერიდან და განუწყვეტლივ ტრიალებს მაში.

იბადება საკითხი: რამდენ ფულს თხოულობს საქონლის ტრიალი?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყოველივე საქონელი უთანასწორდება ფულის განსაზღვრულ რაოდენობას, მაშასადამე, მისი ფასი განისაზღვრება, სანამ იგი რეალურ ფულს შეხვდე-

ბოდეს. მაშასადამე, თითოეული ცალკე საქონლის უკანასკნელი ფასი და ყველა საქონლების ფასების მთელი ჯამი წინდაწინაა განსაზღვრული,—ოქროს განსაზღვრულ ღირებულებაში. საქონლების ფასების ჯამი—ეს არის გონებაში წარმოდგენილი ოქროს განსაზღვრული რაოდენობა. საქონლების ტრიალისთვის საჭიროა, რომ გონებაში წარმოდგენილი ოქროს რაოდენობა რეალურათ გადაიქცეს; მაშასადამე, იმ ოქროს რაოდენობა, რომელიც ტრიალებს, განისაზღვრება იმ საქონელთა ფასების ჯამით, რომლებიც ტრიალებენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქონლის მარტივი ტრიალის სფერა, რომელმაც არ იცის ქაღალდის ფული, ბანკის ანგარიშები და სხვ. როცა ფასები არ იცვლებიან, ფასების ამ რაოდენობის გადახრა-გადმოხრა, ტოკვა, დამოკიდებულია იმ საქონლების რაოდენობაზე, რომლებიც ტრიალებენ,—როცა იმ საქონელთა რაოდენობა, რომლებიც ტრიალებენ, არ იცვლება, მაშინ იმათ ფასებზე, სულ ერთია, რითაც უნდა იყოს გამოწვეული ეს ტოკვა, საბაზრო ფასების აწევ-დაწევით, თუ ოქროს ან საქონლების ღირებულების ცვლილებით; აგრეთვე დამოუკიდებლათ იმისა, ეხება ეს ტოკვა ყველა საქონლებს, თუ მხოლოდ რამდენიმეს.

მაგრამ საქონლების გაყიდვა ყოველთვის განკერძოებულათ როდი ხდება და აგრეთვე არც ყოველთვის ერთი და იმავე დროს..

მივმართოთ კვლავ ჩვენ წინანდელ მაგალითს. ჩვენ გვაქვს ასეთი ცვალებადობა: 4 კოდი ხორბალი — 15 მან., 1 სერთუკი —15 მან., 10 ვედრა ღვინო—15 მ., 40 ფუთი ნახშირი—15 მ. ამ საქონლების ფასების ჯამი უდრის 60 მანეთს, მაგრამ ამ ოთხი გაყიდვის სისრულეში მოსაყვანათ საკმარისია 15 მან., რომელიც 4-ჯერ იცვლის თავის ადგილს, ე. ი. თანდათან ოთხჯერ ტრიალებს. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ეს ოთხი გაყიდვა მოხდა ერთი დღის განმავლობაში, მაშინ ფულის რაოდენობა, როგორც ტრიალის საშუალება, ერთი დღის გან-

მავლობაში, განსაზღვრულ სფერაში, იქნება თანასწორი $\frac{60}{4}=15$ მან., ან თუ ამას ზოგადი ფორმულით გამოვხატავთ:

$$\frac{\text{საქონლების ფასების ჯამი}}{\text{ერთი სახელწოდების ლითონის ფულის (монета) ტრიალის რიცხვი}}=$$

იმ ფულების ჯამს, რომლებიც, როგორც ტრიალის საშუალებანი, თავის ფუნქციას ასრულებენ განსაზღვრულ დროს.

სხვადასხვა ლითონის ფულის ტრიალის დრო, რა თქმა უნდა, სხვადასხვაა. ერთი ლითონის ფული (მონეტა) მრავალი წლების განმავლობაში სკივრში ძევს, მეორეს კი ერთი დღის განმავლობაში შეუძლია 30-ჯერ გამოიცვალოს ადგილი. მაგრამ ტრიალის საშუალო სიჩქარე მაინც განსაზღვრულ სიდიდეს შეადგენს. ფულის ტრიალის სიჩქარე დამოკიდებულია საქონლების ირგვლივ ტრიალის სიჩქარეზე. რამდენათ უფრო ჩქარა ქრება საქონელი ტრიალიდან, რამდენათ უფრო ჩქარა იპერს იმის ადგილს ახალი საქონელი, იმდენათ უფრო ჩქარა ხდება ფულის ტრიალიც: რამდენათ უფრო ნელია საქონლების ირგვლივ ტრიალი, რამდენათ ნელია ფულის ტრიალი, იმდენათ უფრო ნაკლებ გვიხდება ფულის დანახვა. ისინი, ვინც ზერელეთ უყურებენ საქმეს, ფიქრობენ, რომ ფული ძლიერ ცოტაა, და ამის გამო საქონლის ტრიალში შეჩერებაა. ასეთი მოვლენა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ იგი რომ დიდხანს გაგრძელდეს, ეს დღეს შეუძლებელია.

4. ლითონის ფული.*) ქაღალდის ფული.

საქონლის ტრიალისთვის, რა თქმა უნდა, მეტათ უხერხული იყო თითოეული ყიდვა-გაყიდვის დროს ლითონის

*) ქართულ ენაზე ჩვენ არ ვიცით ისეთი სიტყვა, რომელიც უდრიდეს რუსულ სიტყვას: монета (monnais, Münze); ეს სიტყვა აღნიშნავს ლითონისაგან მოჭრილ სხვა და სხვა წონის ნაჭრებს, რომლებსაც მთავრობა თავის ბეჭედს ასვამს და რომლებიც საქონლის ტრიალის საშუალების როლს ასრულებენ. ამიტომ სიტყვა: монета-ს ჩვენ ვთარგმნით ასე: ლითონის ფული, თუმც ასეთი სახელწოდება აღნიშნულ სიტყვას (монета) სავსებით არ გამოხატავს. **მთარგმ.**

თითოეული გასაცვლელი ნაჭერის შინაარსი და წონა გამოეკვლიათ. ეს უხერხულება თავიდან აცილებული იქნა, როცა მთავრობამ ლითონის თითოეული ნაჭერის ნამდვილი წონა და ღირსება უზრუნველყო. ამნაირათ ლითონის ნაჭრებიდან სახელმწიფომ გასჭედა ლითონის ფული (монеты).

ლითონის ფულის სახე (ფორმა) გამომდინარეობს მისი ფუნქციისაგან, როგორც ტრიალის საშუალების.

მაგრამ როცა ფული იღებს ლითონურ ფულის სახეს, ეს უკანასკნელი მაშინვე იძენს ტრიალის პროცესში დამოუკიდებელ მნიშვნელობას, დამოუკიდებელს თვით ლითონის ფულის შინაარსიდან. სახემწიფოს მოწმობა, რომ ლითონური ფულის ნიშანი შეიცავს ოქროს განსაზღვრულ რაოდენობას, ან უდრის მას, ჩქარა, განსაზღვრულ პირობებში, სრულებით საკმარისი ხდება იმისთვის, რომ ამ ნიშანმა, როგორც ტრიალის საშუალებამ, შეასრულოს თავისი ფუნქცია ისევე, როგორც ოქროს სრულწონიანმა რეალურმა რაოდენობამ. უკანასკნელი გარემოება დამოკიდებულია რამდენიმეთ ოქროს ფულების ტრიალზე. რამდენათ უფრო მეტ ხანს არის ლითონის ფული ტრიალში, იმდენათ იგი უფრო იშლება, მისი ნომინალური (სიტყვიერი) და რეალური (ნამდვილი) შინაარსი სულ უფრო და უფრო ერთი მეორეს შორდება; ლითონის ძველი ფული მსუბუქია ახლათ მოჭრილზე,—და მიუხედავათ ამისა, განსაზღვრულ პირობებში, ისინი ორივე, როგორც ტრიალის საშუალებანი, წარმოადგენენ თანასწორ ღირებულებათ.

კიდევ უფრო თვალსაჩინოთ ჩნდება განსხვავება წვრილი, დასახურდავებელი ფულის ნომინალურ და რეალურ შინაარსს შორის. ძლიერ ხშირათ დაბალი ღირსების ლითონები, როგორც, მაგ., სპილენძი, ასრულებდენ ფულის დანიშნულებას, სანამ იმათი ადგილი კეთილშობილმა ლითონებმა არ დაიპირეს. სპილენძი და, ოქროს ფულის შემოღების შემდეგ, ვერცხლიც აღარ შეადგენენ ღირებულების საზომს, მაგრამ სპილენძის და ვერცხლის ფული წინანდებურათ არიან ხმარებაში, რო-

გორც ტრიალის საშუალებანი, განსაკუთრებით წვრილ ვაჭრობაში. ახლა ისინი შეესაბამებიან ოქროს განსაზღვრულ წონას; ღირებულება, რომელსაც ახლა ისინი წარმოადგენენ, იცვლება იმავე ურთიერთობით, როგორც ოქროს ღირებულებაც; რაც შეეხება ვერცხლის და სპილენძის ღირებულების რყევას, ეს მაზე გავლენას არ ახდენს. ასეთ პირობებში აშკარაა, რომ იმათი ლითონური შინაარსი სრულებით არავითარ გავლენას არ ახდენს იმათ ფუნქციაზე, როგორც ლითონური ფულების, და რომ შესაძლებელია კანონმდებლობითი გზით დადგენილ იქნას ოქროს რაოდენობა, რომელსაც უნდა წარმოადგენდეს სპილენძის ან ვერცხლის ფული. აქედან მხოლოთ ერთი ნაბიჯი იყო იქამდის, რომ ლითონური ნიშანი ქაღალდის ნიშანზე შეეცვალათ. კანონის საშუალებით ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ქაღალდის ფურცელი გაეთანასწორებიათ ოქროს განსაზღვრულ რაოდენობასთან.

ასე წარმოსდგა სახელმწიფოს ქაღალდის ფული; ეს უკანასკნელი არ უნდა ავურიოთ საკრედიტო (ნდობის) ფულში, რომელიც წარმოსდგა ფულის სხვა ფუნქციისაგან.

ქაღალდის ფული იჭერს ოქროს ფულის ადგილს მხოლოთ როგორც ტრიალის საშუალება, მაგრამ არა როგორც ღირებულების საზომი; ქაღალდის ფულს მხოლოთ იმდენათ შეუძლია ღირებულების საზომის ადგილის დაჭერა, რამდენათ იგი თითონ წარმოადგენს ოქროს განსაზღვრულ რაოდენობას. ქაღალდის ფულისთვის, როგორც ტრიალის საშუალებისათვის, რჩებიან ძალაში იგივე კანონები, რომლებიც არსებობენ ლითონის ფულისათვის. ქაღალდის ფულს შეუძლია იმოდენი ოქროს მაგიერობა გასწიოს, რამდენის ჩანთქმა შეუძლია საქონლის ტრიალს. თუ რომელიმე ქვეყანაში საქონლის ტრიალისათვის საჭიროა, მაგ., 100 მილ. მანეთი ოქროთი, და სახელმწიფომ გამოუშვა 200 მილ. ქაღალდის ფული, ამას შედეგათ მოყვება ის, რომ, მაგ., 10 მანეთიანი ქაღალდის ფულით შეიძლება იმდენისავე ყიდვა, რამდენისაც ხუთი მანეთიანი ოქროს ფულით. ამ შემთხვევაში ფასები, რომლე-

ბიც გამოხატულია ქაღალდის ფულში, ორჯერ მაღლა დგას იმ ფასებზე, რომლებიც გამოხატულია ოქროში. უზომო გამოშვებით ქაღალდის ფულს ღირსება ეკარგვის. იმის შესანიშნავ მაგალითს, თუ როგორ კარგავს ქაღალდის ფული ღირებულებას, წარმოადგენს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ასიგნაციები, რომლებიც შვიდი წლის განმავლობაში (1790— 1797 წ.) გამოშვებულ იქნენ 45,581 მილ. ფრანკზე*) მეტი, რის გამო იმათ სრულებით დაკარგეს ყოველგვარი ღირებულება, ანუ გაფასდენ.

5. ფულის შემდეგი ფუნქციები

ჩვენ გავითვალისწინეთ საქონლის მარტივი ტრიალის წარმოშობა და დავინახეთ, თუ როგორ მასთან ერთათ ვითარდებოდენ ფულის ფუნქციები, როგორც ღირებულების საზომის და ტრიალის საშუალების. მაგრამ ამ ორი ფუნქციით როდი თავდება ფულის დანიშნულება.

საქონლის ტრიალთან ერთათ ვითარდება ოქროს, ე. ი. ფულის საქონლის, შენახვის და შეგროვების საჭიროება და სურვილი. ფულის თვისებები შეეფერებიან საქონლის წარმოების თვისებებს: სწორეთ ისევე, როგორც ეს უკანასკნელი არის ისეთი საზოგადოებრივი წარმოების ფორმა, რომელშიაც კერძო, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი, მწარმოებელი შველის საზოგადოებრივ წარმოებას, ასევე ფულიც ისეთი საზოგადოებრივი ძალაა, რომელიც ეკუთვნის არა საზოგადოებას, არამედ რომელსაც შეუძლია გახდეს თითოეულის კერძო საკუთრებათ. რამდენათაც მეტი ფული მოიპოვება ამა თუ იმ პირის განკარგულებაში, იმდენათ დიდია მისი საზოგადოებრივი ძალა, იმდენათ შესაძლებელია იყოს მის განკარგულებაში სხვისი შრომის მეტი ნაწილი. ოქროს ყველაფერი შეუძლია. ეს ერთათ ერთი საქონელია, რომელსაც ყველა საჭიროებს, რომელსაც ყველა ღებულობს. ამნაირათ იღვიძებს და საქონლის ტრიალთან ერთათ იზრდება ოქროს წყურვილი.

---

*) ფრანკი უდრის 37 კაპ.

მაგრამ საქონლის წარმოების განვითარებასთან ერთათ ფულის შეგროვება ხდება არა მარტო წყურვილათ, არამედ აუცილებლობათაც. რამდენათ ნაწარმოებთა მეტი ნაწილი ხდება საქონლათ, იმდენათ იმათი უფრო ნაკლები ნაწილი მზადდება საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, იმდენათ უფრო აუცილებელი ხდება ფულის ქონება იმისთვის, რომ შეძლო არსებობა. მე იძულებული ვარ მუდამ ვიყიდო, მაგრამ ყიდვა რომ შევიძლო, მე უნდა რაიმე გავყიდო; მაგრამ იმ საქონლების გამზადება, რომლებსაც მე ვყიდი, თხოულობს დროს და, გარდა ამისა, იმათი გაყიდვა კიდია ალალ-ბედზე. რომ საქონლები ვაკეთო და ამ კეთების დროს ცხოვრება შევძლო, საჭიროა მქონდეს შენახული ფული. ეს აუცილებელია აგრეთვე იმიტომაც, რომ საქონლის ტრიალის შეჩერებას გავუძლო. ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ იმ ფულის რაოდენობა, რომელიც საზოგადოებაში ტრიალებს, დამოკიდებულია საქონლის ფასებზე, იმათ რაოდენობაზე და ტრიალის სიჩქარეზე. თითოეული ამ მიზეზთაგანი მუდამ იცვლება, და ამიტომაც იმ ფულის რაოდენობა, რომელიც ტრიალებს, მუდამ ტოკავს. საიდან მოდის საჭირო ფული და სად მიდის მოჭარბებული? ფულის საუნჯეები, რომლებიც სხვა და სხვა ადგილას გროვდებიან, შეადგენენ ერთნაირ რეზერვუარებს, რომლებიც ღებულობენ ფულს, ხან უკან აბრუნებენ იმას, და ამნაირათ იცავენ საქონლის ტრიალის წესიერ მსვლელობას.

საქონლის ტრიალის პირველ საფეხურებზე, როგორც მარტივი გაცვლა-გამოცვლის დროსაც, ყოველთვის პირდაპირ იცვლება ერთი მეორეზე ორი საქონელი, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ახლა ერთი საქონელი მუდამ საყოველთაო ექვივალენტის,—ფულის, როლს ასრულებს. მაგრამ საქონლის ტრიალის განვითარებასთან ერთათ იბადებიან ისეთი ურთიერთობანი, რომლების მეოხებით საქონლის გაცემის მომენტი არ ხვდება მაში ფულის, ე. ი. მისი შესაფერი ფასის, მიღების მომენტს. დგება ისეთი გარემოებები, რომლების მეოხე-

ბით შესაძლებელი ხდება ფულის მიცემა საქონლის მიღებამდე, ან, რაც კიდევ უფრო ხშირი შემთხვევაა, ფულის მიცემა შესაძლებელია მხოლოთ საქონლის მიღების შემდეგ. განვმარტოთ ჩვენი აზრი მაგალითით. ავიღოთ აბრეშუმის იტალიელი ფეიქარი, ვთქვათ მეცამეტე საუკუნეში; იგი ღებულობს აბრეშუმს მახლობელი ადგილიდან, მაგრამ აბრეშუმის მატერია, რომელსაც იგი ქსოვს, გასაყიდათ იგზავნება გერმანიაში. იმის მიტანას თავის ადგილას, გაყიდვას და აღებული ფულის უკან იტალიაში დაბრუნებას მოუნდება 3—4 თვე. ფეიქარმა მოქსოვა აბრეშუმის მატერიის განსაზღვრული რაოდენობა; იმავე დროს მისმა მეზობელმა, მრთველმა, ძაფათ აქცია აბრეშუმის განსაზღვრული რაოდენობა. ეს უკანასკნელი მაშინვე ყიდის თავის საქონელს ფეიქარზე, მაგრამ უკანასკნელი ღებულობს თავის საქონელში ხვედრ ფულს მხოლოთ 4 თვის შემდეგ. როგორ უნდა მოიქცენ? ფეიქარი ყიდულობს აბრეშუმს, მაგრამ ფულს იხდის მასში 4 თვის შემდეგ. მყიდველი და გამყიდველი ახლა ახალ-ახალ როლებში გამოდიან. გამყიდველი ხდება კრედიტორათ (გამსესხებლათ), მყიდველი კი მოვალეთ. მაგრამ ახლა ფულიც ახალ ფუნქციას იძენს. ამ შემთხვევაში იგი უკვე აღარ არის საქონლის ტრიალის მოსაშვალე, არამედ დამოუკიდებლათ აბოლოვებს საქონლების ტრიალს. თავის ამ ფუნქციაში ის აღარ შეადგენს ტრიალის საშუალებას, არამედ გასტუმრების საშუალებას (Zahlungsmitfel—средство расплаты), საშუალებას, რომ შეასრულოს მიღებული ვალდებულება ღირებულების განსაზღვრული რაოდენობის ჩაბარების თაობაზე.

ასეთი ვალდებულება ყოველთვის არ არის საქონლის ტრიალის შედეგი. რამდენათ უფრო მეტათ ვითარდება საქონლის წარმოება, იმდენათ უფრო მეტათ ვხედავთ სურვილს სახმარ ღირებულებათა მაგიერ ფული, ე. ი. საყოველთაო ღირებულების ფორმა, იქნას გადახდილი. სხვა და სხვა ნატურალური სახემწიფო ბეგარა ღებულობს ფულის ფორმას. მოხელეები ღებულობენ ჯამაგირს არა ნაწარმოებებით, არა-

მედ ფულით, და სხვა. ასეთ შემთხვევებში ფულის ფუნქცია, როგორც გასტუმრების საშუალება, უკვე გამოდის საქონლის ტრიალის საზღვრებიდან.

მაგრამ დავუბრუნდეთ აბრეშუმის ფეიქარს. იგი ყიდულობს აბრეშუმს, მაგრამ შეძლება არ აქვს მაშინვე მისცეს ფული აბრეშუმის პატრონს. მაგრამ ფულის საქმეში გრძნობას ადგილი არ აქვს. აბრეშუმის პატრონი ფიქრობს თავის გუნებაში: ის, რაც გაქვს, როგორც დოკუმენტი (ხელწერილი), გულდამშვიდებით შეგიძლია სახლში წაიღო. ამიტომ იგი აძლევს ფეიქარს ხელწერილს, რომლითაც ფეიქარი ვალდებულია მისცეს მას 4 თვის შემდეგ იმდენი ფული, რამდენიც ერგება გაყიდულ აბრეშუმში. მაგრამ აბრეშუმის პატრონს უხდება ფულის მიცემა ამ ოთხი თვის გასვლამდე, და ვინაიდან მას ნაღდი ფული არ აქვს, იგი ფეიქრის ხელწერილს აძლევს. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი (ე. ი. ხელწერილი) მოქმედობს როგორც ფული. ჩნდება ქაღალდის ფულის ახალი ფორმა: საკრედიტო ფული (ვექსილები, ჩეკები და სხვა). შესაძლებელია სხვანაირადაც მოხდეს: ფეიქარი ყიდულობს აბრეშუმის პატრონისგან 5 მანეთის აბრეშუმს; აბრეშუმის პატრონი თავის მხრივ ყიდულობს ოქრომჭედლისგან თავის ცოლისათვის ბეჭედს 6 მანეთად. იმავე დროს ოქრომჭედელი ყიდულობს ფეიქრისგან აბრეშუმის მატერიას 4 მანეთისას. ფულის მიცემა, ანგარიშის გასწორება, უნდა მოხდეს ერთდროულათ. სამივენი, აბრეშუმის პატრონი, ფეიქარი და ოქრომჭედელი ერთმანეთს ნახულობენ. პირველმა უნდა მისცეს უკანასკნელს 6 მანეთი და იმავე დროს უნდა მიიღოს ფეიქრისგან 5 მანეთი. იგი აძლევს ოქრომჭედელს ერთ მანეთს და დანარჩენისთვის გზავნის მას ფეიქართან. უკანასკნელს კი აქვს მისაღები ოქრომჭედლისგან 4 მანეთი, ამიტომ იგი აძლევს ოქრომჭედელს ერთ მანეთს. ამნაირათ, ურთიერთ შორის ანგარიშების გასწორებით, სამი ოპერაცია, რომლის საერთო ჯამს შეადგენს 15 მანეთი, იფარება მხოლოთ ორი მანეთით.

რა თქმა უნდა, სინამდვილეში საქმე სულ ასე მარტივათ არ ხდება, როგორც ჩვენ ავწერეთ. მაგრამ, ფაქტიურათ, საქონლის გამყიდავთა მისაცემი ფულის ერთი ნაწილი ურთიერთ შორის იფარება, და ამასთანავე რამდენათ წინ მიდის საქონლის ტრიალის განვითარება, იმდენათ ეს ნაწილი სულ უფრო და უფრო იზრდება. ფულის გადახდის, ანგარიშის მიცემის თავის მოყრა (კონცენტრაცია) რამდენსამე ადგილას და განსაზღვრულ ვადაზე ბადებს თავისებურ დაწესებულებას, როგორც, მაგალითათ, ბანკებია. ნაღდი ფული საჭიროა მხოლოთ იმის გასასწორებლათ, რაც გადახდას აღემატება. საკრედიტო სისტემა საუნჯის შეგროვებას სპობს, როგორც გამდიდრების დამოუკიდებელ ფორმას. საკრედიტო სისტემის განვითარების შემდეგ, ვისაც სიმდიდრის შენახვის სურვილი აქვს, იმისთვის საჭირო აღარ არის მიწაში, სკივრებში ანუ ყუთებში გადამალოს ფული. მას შეუძლია ფული გაასესხოს. მეორე მხრივ, საკრედიტო სისტემა აიძულებს საუნჯეთა დროებით შექმნას, დიდძალი ფულის მოგროვება, რომელმაც დანიშნულ დღეს უნდა დაფაროს გადასახდელი ვალები.

მაგრამ ყოველთვის არ შეიძლება ასეთი საუნჯის მოგროვება. გავიხსენოთ ჩვენი ფეიქარი. ის დაპირდა ფულის მიცემას 4 თვის შემდეგ, იმის მოლოდინში, რომ იქამდის გაყიდის თავის საქონელს; მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მან ვეღარ იშოვნა თავისი საქონლის მუშტარი და ამიტომ აღარ შეუძლია ვალის გადახდა. მაგრამ, აბრეშუმის პატრონს ამ ვალის აღების იმედი ქონდა და თავის მხრით თითონაც შეპირდა, მაგ., ოქრომჭედელს, ვალის გადახდა; ეს უკანასკნელიც ამნაირათვე კიდევ სხვას შეპირდა. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ერთი ადამიანის ფულის გადახდის შეუძლებლობა, ანუ სიკოტრე იწვევს სხვების სიკოტრეს და ამასთანავე მით უფრო მეტათ, რამდენათ უფრო განვითარებულია ასეთ მისაცემების სისტემა და იმათი საურთიერთო დაფარვა. ახლა ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ არა ერთს, არამედ მწარმოებელთა მთელ წყებას არ შეუძლია თავისი საქონლების გაყიდვა, საერთო გადამე-

ტებით წარმოების (Veber produktion-перепроизводство) გამო. იმათი სიკოტრე იწვევს სხვების სიკოტრეს, რომელთაც უკვე გაყიდეს თავისი საქონლები. ხელწერილები კარგავენ თავის ღირებულებას; ყველანი თხოულობენ ნაღდ ფულს, საყოველთაო ექვივალენტს; ყველანი გრძნობენ ფულის უქონლობას, დგება ფულის კრიზისი, რომელიც კრედიტის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წარმოადგენს თითოეული სამრეწველო თუ სააღებმიცემო კრიზისის აუცილებელ თანამგზავრს. ფულის კრიზისი აშკარათ მოწმობს იმას, რომ, საქონლის წარმოების სისტემაში, ფულის მაგიერ უბრალო კვიტანციების ხმარება საქონლის მისაღებათ შეუძლებელია. ფულს აქვს თავისი ტრიალისთვის ორი სფერა: საშინაო ბაზარი, განსაზღვრული სახემწიფოს ფარგლებში, და მსოფლიო ბაზარი. ლითონის ფულის და ღირებულების ნიშნის ფორმა ფულს აქვს მხოლოთ შინაურ ბაზარზე და არა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. მსოფლიო ბაზარზე ფული კვლავ იღებს კეთილშობილ ლითონების, ოქროს და ვერცხლის, გადადნობილ ნაჭრების პირვანდელ ფორმას. ორივე ლითონი მსოფლიო ბაზარზე დღემდის ასრულებდენ ღირებულების საზომის როლს, მაშინ როცა საშინაო ბაზარზე მხოლოთ ერთ იმათგანს შეუძლია ნამდვილათ იყოს ღირებულების საზომათ.

თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ მას შემდეგ, რაც მარქსმა თავის „კაპიტალი“ დასწერა, ოქრო თანდათან უფრო და უფრო იჩენს მიდრეკილიებას გახდეს ფულის ერთათერთ საქონლათ აგრეთვე მსოფლიო ბაზარზედაც.

მსოფლიო ფულის უპირველესი დანიშნულება მდგომარეობს მის ფუნქციაში, როგორც გასასტუმრებელი საშუალება საერთაშორისო ბალანსების, შეტანის და გამოტანის, სიჭარბის (მონარჩენების) და დაკლების (დეფიციტის) გასასწორებლათ.

თავი III

ფულის კაპიტალათ ქცევა

1. რა არის კაპიტალი?

მეორე თავში ჩვენ განვიხილეთ საქონლის ტრიალის განვითარება შრომის ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლისაგან. ახლა შემდეგი ნაბიჯი უნდა გადავდგათ. საქონლის ტრიალში საქონლის პატრონი ყიდის თავის საქონლებს, იმ მიზნით,რომ სხვა საქონელი იყიდოს. მაგრამ შემდეგ ხანებში საქონლის ტრიალის ამ ფორმიდან ვითარდება ახალი მოძრაობის ფორმა: იყიდო იმისთვის რომ გაყიდო. საქონლის მარტივი ტრიალის ფორმულა, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ამბობს: საქონელი—ფული—საქონელი. ტრიალის ახალი ფორმის ფორმულა კი გვეუბნება: ფული—საქონელი—ფული.

შევადაროთ ეს ფორმულები.

მოძრაობას: საქონელი—ფული—საქონელი, აქვს თავის მიზნათ ხმარება: მე ვყიდი საქონელს, რომელსაც არ აქვს ჩემთვის სახმარი ღირებულება, რომ შეძლება მომეცეს შევიძინო სხვა საქონელი, რომელსაც ჩემთვის სახმარი ღირებულება აქვს. ირგვლივ ბრუნვა: საქონელი—ფული—საქონელი, ორივე მხრიდან დახშულია. გაყიდვიდან აღებული ფული მიდის იმ საქონელში, რომელიც იხმარება, რომელიც გამოდის ტრიალის სფერიდან. ფული იხარჯება უკან დაუბრუნებლათ, თავის მოძრაობაში იგი შორდება თავის წინანდელ პატრონს. საქონელი, რომელიც ათავებს მოძრაობას,—საქონლის მარტივ ტრიალის ნორმალურ პირობებში,—და მხოლოთ ასეთზე შეიძლება აქ იყოს ლაპარაკი,—ეთანასწორება თავისი ღირებულებით იმ საქონელს, რომელიც მოძრაობას იწყებს.

სულ სხვანაირათ არის საქმე ირგვლივ ტრიალში: ფული—საქონელი—ფული. უკანასკნელს თავის მიზნათ არ აქვს ხმარება. მოძრაობის ბოლოს დგას არა საქონელი, არამედ ფული. ფული, რომელიც მოძრაობის დასაწყისში იწყებს

ტრიალს, დახარჯული არ არის, იგი მხოლოთ წინდაწინ არის გაცემული (ავანსი). იგი კვლავ უბრუნდება თავის წინანდელ პატრონს. თვით მოძრაობა, ირგვლივ ტრიალი უკვე დახშული აღარ არის. იგი გამოდის თავისი ფარგლიდან. ავანსათ გაცემული ფული უკან ბრუნდება, რომ დაიწყოს ტრიალი და ისევ უკან დაბრუნდეს, რათა მოძრაობა დაუსრულებლათ მეორდებოდეს. ფულის მოძრაობას, რომელსაც ახდენს ირგვლივ ტრიალი: ფული—საქონელი—ფული, საზღვარი არ აქვს.

მაგრამ რა არის ამ მოძრაობის მამოძრავებელი ძალა (Triebkraft)? ირგვლივ ტრიალის: საქონელი—ფული—საქონელი, მამოძრავებელი ძალა აშკარაა; მაგრამ განა უაზროთ არ გვეჩვენება ირგვლივ ბრუნვა: ფული—საქონელი—ფული? როცა მე ვყიდი დაბადების წიგნს (ბიბლიას), რათა აქედან აღებული ფულით ვიყიდო პური, ირგვლივ ბრუნვის გამოსასვლელ და უკანასკნელ წერტილს შეადგენენ სხვა და სხვა საქონლები, თუმც ღირებულებით ერთნაირები. ბიბლია აკმაყოფილებს ჩემს სულიერ სიმშილს, მაგრამ იგი ხდება ჩემთვის თითქმის უსარგებლო, როცა ეს სიმშილი დაკმაყოფილებულია, როცა, მაგ., მე ვიცი ბიბლია ზეპირათ, მაგრამ მას შეუძლია დააკმაყოფილოს ჩემი ფიზიკური სიმშილი. როცა მე ვყიდულობ 100 მანეთის კარტოფილს იმისთვის, რომ იგი ისევ გავყიდო ას მანეთათ, მე არსებითათ ფეხს არ ვიცვლი. მთელი ეს ოპერაცია (მოქმედება) უმიზნოა და სარგებლობას მოკლებული. სასარგებლო იქნებოდა ეს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ რომ ამ ოპერაციის გამოსავალი წერტილი, ე. ი. ფულის ჯამი, განსხვავებული იქნებოდა უკანასკნელი წერტილისაგან. ფულის ერთი ჯამი კი განსხვავდება მეორისაგან საზოგადოთ მხოლოთ თავისი სიდიდით, რაოდენობით. მაშასადამე, მოძრაობა: ფული—საქონელი—ფული, არ იქნება უმიზნო მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ რომ ფულის უკანასკნელი ჯამი მეტია იმაზე, რომლითაც იგი დაწყებულია. ფაქტიურათ სწორეთ ფულის ჯამის ეს გადიდება

არის ირგვლივ ტრიალის მამოძრავებელი მიზეზი. ვინც ყიდულობს იმიტომ, რომ გაყიდოს, ყიდულობს იმიტომ, რომ გაყიდოს უფრო ძვირათ. მოძრაობა: ფული—საქონელი—ფული, მხოლოთ მაშინ მიმდინარეობს ნორმალურათ, როცა ფულის უკანასკნელი ჯამი გამოსავალ ჯამზე მეტია. პირიქით, მოძრაობა: საქონელი—ფული—საქონელი, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, მხოლოთ მაშინ ხდება ნორმალურათ, როცა იმ საქონლის ღირებულება, რომლითაც ეს მოძრაობა ბოლოვდება, ეთანასწორება იმ საქონლის ღირებულებას, რომლითაც იგი დაწყებულია.

თითოეული ყიდვა არის იმავე დროს გაყიდვაც, და პირიქით. ამიტომ ირგვლივ ტრიალს: ფული—საქონელი—ფული, თითქო აქვს იგივე მიზანი, რაც ირგვლივ ტრიალს: საქონელი—ფული—საქონელი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი არსებითაც განსხვავდებიან.

თუ მე, მაგ., ვყიდულობ ასი მანეთის კართოფილს იმიტომ რომ თავის მხრივ გავყიდო იგი, ამას ვშვრები იმიტომ, რომ უფრო ძვირათ გავყიდო, შეიძლება 110 მან., ე. ი. 100 მან.+10 მან., ე. ი. წინანდელი ჯამი+რამდენიმე დამატება. თუ ჩვენ საქონელს აღვნიშნავთ ასოთ ს, ფულის პირვანდელ ჯამს ასოთი Ф, დამატებით ჯამს ასოთი ф, მაშინ ჩვენ ფორმულა: ფული—საქონელი—ფული შეგვეძლება ასე გამოვხატოთ:

$$Ф — с — (Ф + ф)$$

ამ ф-с—დამატებითი ღირებულებას, რომელიც ჩნდება ამ ირგვლივ ტრიალის ბოლოს, გარდა პირველ დახარჯულ ღირებულებისა, მარქსი უწოდებს ზედმეტ ღირებულებას. (Прибавочная цѣнность—Mehrwerbt, plus value). ეს უკანასკნელი ჩვენ არ უნდა ავურიოთ მის სხვა და სხვა ფორმებთან, მაგ., სარგებელთან, პროცენტთან და სხ., როგორც არ ვურევთ ღირებულებას ფასთან. სხვა და სხვა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ჩვენ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ჯერ ვლაპარაკობთ განსაკუთრებით ძირითად დებულე-

ბებზე და არა ეკონომიური კატეგორიების ფორმების გამოჩენის შესახებ.

ზედმეტი ღირებულება არის ირგვლივ ტრიალის: Ფ—ს—(Ფ+ფ) გამსაზღვრელი თვისება. ღირებულება, რომელიც ტრიალებს მოძრაობის ამ ფორმაში, ზედმეტი ღირებულების მეოხებით, თითონ იძენს ახალ ხასიათს, ხდება კაპიტალათ.

მხოლოთ ამ მოძრაობაში შესაძლებელია გაგებულ იქნას კაპიტალი. კაპიტალი—ესაა ღირებულება, რომელიც ჩეკავს ზედმეტ ღირებულებას. ვინც ანგარიშს არ უწევს ამ მოძრაობას, ვისაც სურს განიხილოს კაპიტალი, როგორც ნივთი გაჩერებული, გაყინული ერთ და იმავე მდგომარეობაში, იგი ყოველთვის წინააღმდეგობაში ჩავარდება. აქედან წარმოდგება იმ არევ-დარევის წყარო, რომელიც არსებობს პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელოებში შესახებ იმ კითხვისა, თუ რაში მდგომარეობს კაპიტალი, თუ რა და რა საგნებს შეიძლება ვუწოდოთ კაპიტალი. ზოგ ეკონომისტებს შრომის იარაღი და კაპიტალი ერთი და იგივე გონია,—და მაშინ ჩვენ იმ ყალბ დასკვნამდის უნდა მივიდეთ, რომ პირველყოფილ ადამიანებშიაც კი, როცა იმათ ქვის იარაღის კეთება იწყეს, კაპიტალისტები იყვენ, და აი თითქმის მაიმუნიც კი, რომელიც ქვით კაკალს ტეხს, ხდება კაპიტალისტათ, აგრეთვე ჯოხიც, რომლის საშუალებით მაწანწალა ხიდან ნაყოფს ბერტყავს, იქცევა კაპიტალათ და თვით მაწანწალა—კაპიტალისტათ. სხვებს კაპიტალი მიაჩნიათ მოგროვებულ შრომათ და, ამის მეოხებით, ჭიანჭველებს და თხუნელებს პატივი ეძლევათ როტშილდის, კრუპის და მანთაშევის ამხანაგებათ ჩაირიცხონ. არიან კიდევ ისეთი ეკონომისტები, რომლებსაც კაპიტალის ცნებაში შეაქვთ ყოველიფერი, რაც კი შრომას ხელს უწყობს, შველის, ქმნის მას უფრო ნაყოფიერათ, სახელდობ სახემწიფო, ცოდნა, ნიჭი.

რა თქმა უნდა, ასეთ განზოგადებულ განსაზღვრათა შედეგათ ჩვენ ვღებულობთ გადაღეჭილ ჭეშმარიტებათ, ზოგად დასკვნებს, რომლებიც შეიძლება გამოდგეს საბავშვო წიგ-

ნაკებში, მაგრამ რომლებიც ჩვენ სრულებით არ გვიადვილებენ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა ფორმების, იმის კანონების და მამოძრავებელი ძალების შეგნებას. მარქსი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც გამოაძევა პოლიტიკურ ეკონომიიდან გადაღეჭილი, ბანალური ჭეშმარიტებანი, რომლებიც მის დრომდე იქ სავსებით იყვენ გაბატონებული. განსაკუთრებით ითქმის ეს პოლიტიკურ ეკონომიის იმ განყოფილებაზე, რომელიც იკვლევს კაპიტალის თვისებებს.

ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალი არის ღირებულება, რომელიც ჩეკავს ზედმეტ ღირებულებას, რომლის ფორმულა გამოიხატება ასე: Ф—ს—(Ф+ф). უკვე ამ ფორმულიდან გამოდის, და ფაქტიურათაც მტკიცდება, რომ თითოეული ახალი კაპიტალი თავის მოძრაობას იწყებს ფულის ფორმით. ამ ფორმულიდან ჩანს აგრეთვე ისიც, რომ ეს მოძრაობა იწვევს აუცილებლათ კაპიტალის გადაქცევას ფულის ფორმიდან სხვა და სხვა გვარ საქონლათ, და აგრეთვე ამ უკანასკნელების ხელახლა ისევ ფულათ გადაქცევას.

ამავე ფორმულიდან ჩვენ ვტყობილობთ იმასაც, რომ არა ყველა ფული, არა ყოველი საქონელი არის კაპიტალი, რომ მხოლოთ ის ფული ანუ ის საქონელი ხდება კაპიტალათ, რომელიც მონაწილეობას ღებულობს განსაზღვრულ მოძრაობაში. მაგრამ ამ მოძრაობისთვის თავის მხრივ საჭიროა განსაკუთრებული ისტორიული პირობები, რომლებსაც ჩვენ ქვევით გავიცნობთ. ფული, რომელსაც მე ვხარჯავ ჩემთვის სახმარ ნივთების საყიდლათ, როგორც, მაგ., პურის ან სერთუკის, იმდენათვე ნაკლებათ ასრულებენ კაპიტალის ფუნქციას, როგორც ის საქონელი, რომელიც მე გავაკეთე და რომელსაც მე ვყიდი.

რა თქმა უნდა, წარმოების საშუალება, მოგროვებული შრომა და სხ. ქმნიან კაპიტალის ნივთიერ შინაარსს, მაგრამ მხოლოთ განსაზღვრულ პირობებში. როცა ამ პირობებს შორდებიან მით შორდებიან წარმოების თანამედროვე წესის თვისე-

ბებს და ახვევენ მას ბურუსში. აი, რისთვის კაპიტალიზმის ყველა ნასწავლ და უვიც დამცველთ არაფერი არ უნდათ იცოდენ არც მარქსის თეორიაზე, კაპიტალის შესახებ და არც ღირებულების თეორიაზე, რომელზედაც პირველი (თეორია კაპიტალის შესახებ) დაყრდნობილია.

2. ზედმეტ ღირებულების წყარო

ჩვენ ახლა ვიცით კაპიტალის ზოგადი ფორმულა: Ფ—ს (Ფ+ფ), მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით ზედმეტი ღირებულების წარმოშობის წყარო. ეს ფორმულა როგორღაც გვითითებს იმაზე, რომ ზედმეტ ღირებულებას ჰქმნის ყიდვა-გაყიდვის პროცესი, რომ, მაშასადამე, იგი იბადება საქონლის ტრიალისაგან. ეს შეხედულება ყველაზე უფრო მეტათაა გავრცელებული და იგი უმეტეს ნაწილათ დაფუძნებულია საქონლის ღირებულების და სახმარ ღირებულების ერთი მეორეში არევაზე. ასეთი არევ-დარევა მეტათ აშკარა ხდება მაშინ, როცა ამტკიცებენ, რომ გაცვლის დროს ორივე მხარე იგებს, ვინაიდან თითოეული აძლევს იმას, რასაც იგი არ საჭიროებს. და ღებულობს იმას, რასაც საჭიროებს. ამ აზრს ასე გამოთქვამენ: „მე ვაძლევ ისეთ რასმეს, რასაც ჩემთვის ნაკლები ღირებულება აქვს და სამაგიეროთ ვიღებ ისეთ რასმეს, რასაც ჩემთვის მეტი ღირებულება აქვს.“ ზედმეტი ღირებულების წარმოშობის ასეთი ახსნა შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა ღირებულების თვით ცნებაც ჯერ კიდევ გაურკვეველი და ბურუსით მოცულია. ამ ახსნით რომ დაკმაყოფილდე, საჭიროა, ერთი მხრით, დაივიწყო, რომ საქონლების გაცვლა ეყრდნობა სახელდობ იმათ სახმარ ღირებულების უთანასწორობაზე, მაგრამ იმავე დროს იმათ საქონლის ღირებულების თანასწორობაზე, და მეორე მხრით, უნდა გქონდეს ვულგარულ ეკონომისტების მკითხველთა უმრავლესობის გულუბრყვილობა, რომ დაიჯერო ყოველივე ის, რასაც ისინი ლაზღანდარობენ და სერიოზულათ დარწმუნდე იმაში, რომ, მაგ., თანამედროვე ვაჭრის აღებ-მიცემობა, მისი კომერციული ოპერაციები და

ველური ხალხის პირველყოფილი გაცვლა-გამოცვლა საქონლის წარმოების განვითარების ერთ და იმავე საფეხურზე დგას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ზედმეტი ღირებულება იბადება არა საქონლის მარტივ გაცვლა-გამოცვლის ხანაში, არამედ საქონლის ტრიალის ხანაში, რომელიც ხდება ფულის საშუალებით, და რომ ზედმეტი ღირებულება ჩნდება ფულის მატების სახით. მაშასადამე, რაიმე „სარგებელზე", რომელსაც მე ვიღებ, როცა მე ვიძენ ისეთ რასმეს, რასაც ჩემთვის საჭმარი ღირებულება აქვს, და როცა მე სამაგიეროთ ვაძლევ ისეთ რასმეს, რასაც ჩემთვის ეს ღირებულება არ აქვს,—ასეთ სარგებელზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმ მოძრაობაში, რომელიც გამოხატულია ფორმულით: Ф—ს—(Ф+ф).

აქ ჩვენ ვხვდებით ვულგარული ეკონომიის ოინს, რომელსაც იგი სიამოვნებით მიმართავს, როცა საქმე ეხება მის უმთავრეს დანიშნულებას, სახელდობ თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობათა გაგების გაძნელებას: ვულგარული ეკონომიის წარმოდგენით, თანამედროვე საზოგადოებრივი მოვლენები და უძველეს დროის მოვლენები ერთი და იგივეა.

ახლა ჩვენ საქმე არა გვაქვს გაცვლა-გამოცვლასთან, არამედ საქონლის ტრიალთან. ნორმალურ პირობებში საქონლის ტრიალი და აგრეთვე გაცვლა-გამოცვლაც არ ქმნიან ზედმეტ ღირებულებას, თუ კი რომ ყოველთვის ურთიერთ შორის იცვლებიან საქონლის თანასწორი ღირებულებანი.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ საქონლის ტრიალის კანონები დარღვეულია; საქონლის პატრონებს, მაგ., მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული უფლება გაყიდონ თავისი საქონლები იმათი ღირებულების 10%-ს დამატებით. თერძი ყიდის, ვთქვათ, თავის სერთუკს არა 15 მან., არამედ 16 მანეთათ და 50 კაპ., მაგრამ აი უბედურება! ერთ ბოქკა ღვინოში, რომელსაც წინეთ იგი ყიდულობდა 15 მან., ახლა უნდა მისცეს 16 მან. და 50 კაპ., მაშასადამე, მან ვერაფერი ვერ მოიგო.

ჩვენ კიდევ შეგვიძლია ვცადოთ ზედმეტი ღირებულების წარმოშობის ახსნა მით, რომ არა ყველა, არამედ მხოლოთ

საქონლის ზოგიერთი პატრონები ახერხებენ საქონლების იმათ ღირებულებაზე ნაკლებათ ყიდვას, და გაყიდვას კი იმათ ღირებულების ზევით. ვაჭარი, მაგ., გლეხისგან ყიდულობს 500 ფუთ კარტოფილს (რომელიც ღირს 100 მან.) 90 მანეთათ და ყიდის იმას თერძზე 110 მანეთათ. ამ ოპერაციის ბოლოს, მაშასადამე, ვაჭრის ხელში ვხედავდ ჩვენ მეტ ღირებულებას, ვინემ ამის დასაწყისში ქონდა მას. მაგრამ ნაღდ ღირებულებათა საერთო ჯამი უცვლელი დარჩა. დასაწყისში ჩვენ გვქონდა: 100 მან. (გლეხის) + 90 მან. (ვაჭრის) + 110 მან. (თერძის)=300 მან. ბოლოს: 90 მან. (გლეხის) + 110 მან. (ვაჭრის) + 100 მანეთი (თერძის)=300 მან. ამნაირათ, ვაჭრის ხელში მეტი ღირებულება გაჩნდა არა როგორც შედეგი ღირებულების გადიდებისა საზოგადოთ, არამედ როგორც შედეგი იმის დაკლებისა სხვის ჯიბეში. მე რომ ვუწოდო ამ მეტ ღირებულებას ზედმეტი ღირებულება, ამავე უფლებით შემიძლია ზედმეტი ღირებულება ვუწოდო იმ ღირებულებასაც, რომელიც ქურდმა პირდაპირ ამოსტაცა ვისმეს ჯიბიდან.

ისტორიულათ, მართლაც, ზედმეტი ღირებულების თავდაპირველი მითვისება სწორეთ ამ ფორმით ხდებოდა, სხვების ღირებულების მითვისება საქონლის ტრიალში სავაჭრო კაპიტალის საშუალებით, ან და პირდაპირ ახდილათ, ამ საშუალების გარეშე, სამოგახშეო კაპიტალის საშუალებით. მაგრამ, კაპიტალის ეს ორივე ფორმა წარმოდგა განსაკუთრებით საქონლის ტრიალის კანონების დარღვევისაგან, მისი ძირითადი კანონის აშკარა გაქელვით, რომლის ძალით ურთიერთ შორის იცვლებიან მხოლოთ თანასწორი ღირებულებანი. ამიტომ სანამ კაპიტალი არსებობდა მხოლოთ სავაჭრო და სამევახშეო კაპიტალის სახით, იგი წინააღმდეგობაში იმყოფებოდა, როგორც თანამედროვე ეკონომიურ ორგანიზაციასთან, ისე თანამედროვე ზნეობრივ შეხედულებასთან. ძველ დროში, როგორც საშუალო საუკუნოებშიაც, ვაჭრობას და განსაკუთრებით მევახშეობას ცუდი სახელი ქონდა, იმათ ერთნაირათ კიცხავდენ, როგორც წარმართთა ძველი ფილო-

სოფოსები, ისე ეკლესიის მამები, როგორც პაპები, ისე რეფორმატორები.

თუ გვსურს ძუძუმწოვარ ცხოველების ტიპის დახასიათება, ჩვენ უწინარეს ყოვლისა არ უნდა შეეჩერდეთ ისეთ ცხოველზე, რომელიც ამ ტიპის გამონაკლისს შეადგენს. თუ ჩვენ გვსურს გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს კაპიტალი, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიურ შენობას, ჩვენ არ უნდა გამოვიდეთ, თუმც შეიძლება ასე ვთქვათ, მის წარღვნის წინანდელ ფორმებიდან, ე. ი. სამეავახშეო და სავაჭრო კაპიტალისაგან. მხოლოთ მას შემდეგ, რაც წარმოიშვა კაპიტალის მეორე, უფრო მაღალი ფორმა, ჩნდებიან შემაერთებელი რგოლები, რომლებიც სავაჭრო და სამოვახშეო კაპიტალის ფუნქციებს უთანხმებენ საქონლის წარმოების იმ კანონებს, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებრივ წარმოებაში არიან გაბატონებულნი. მხოლოთ ახლა სავაჭრო და სამოვახშეო კაპიტალი აუცილებლათ კარგავენ უბრალო ავაზაკობის და აშკარა ცარცვა-გლეჯის ხასიათს. სავაჭრო და სამოვახშეო კაპიტალი შეიძლება გაგებული იქნას მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენ გავეცნობით კაპიტალის დღევანდელ ძირითად ფორმას.

აქედან ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის მარქსი არ ეხება თავის „კაპიტალის“ პირველ ორ ტომში სავაჭრო და სამოვახშეო კაპიტალს. აქ იგი განსაკუთრებით იკვლევს კაპიტალის ძირითად კანონებს.

ამიტომ ქვევით არც ჩვენ ვეხებით კაპიტალის ამ ორ დასახელებულ ფორმას; საჭიროა მხოლოთ კარგათ დავიხსოვოთ ჩვენი წინანდელი გამოკვლევის დასკვნა, სახელდობ ის, რომ ზედმეტი ღირებულება შეუძლებელია წარმოდგეს საქონლის ტრიალისაგან. არც ყიდვა, არც გაყიდვა არ ქმნის ზედმეტ ღირებულებას.

მაგრამ, მეორე მხრივ, ზედმეტ ღირებულების წარმოშობა შეუძლებელია საქონლის ტრიალის სფერის გარეშე. საქონლის პატრონს შრომის საშუალებით შეუძლია საქონლის

ფორმა შესცვალოს და ამნაირათ მისცეს მას ახალი ღირებულება, რომელიც განისაზღვრება საზოგადოებრივათ აუცილებელი შრომის რაოდენობით, რომელიც მაზეა დახარჯული, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, პირველი საქონლის ღირებულება ამით არ იზრდება, არ მატულობს; საქონლის პატრონი ამის გამო არ ღებულობს ზედმეტ ღირებულებას. თუ ფეიქარი ყიდულობს აბრეშუმს 100 მან. ღირებულს და იქიდან ქსოვს აბრეშუმის მატერიას, ამ მატერიის ღირებულება იქნება თანასწორი აბრეშუმის ღირებულებასთან იმ ღირებულების მიმატებით (+), რომელიც შექმნა ფეიქარმა. აბრეშუმის ღირებულება, როგორც ასეთი, ამის გამო სრულებით არ მატულობს.

ამნაირათ ჩვენ ვდგევართ ხაკვირველი გამოცანის წინაშე: ზედმეტ ღირებულებას არ ქმნის საქონლის ტრიალი, მაგრამ იგი არც ამ სფერის გარეშე იბადება.

3. სამუშაო ძალა, როგორც საქონელი.

ჩავუკვირდეთ უფრო ღრმათ კაპიტალის ზოგად ფორმულას. იგი ამბობს: ფ—ს—(ფ+ფ). იგი შედგება ორი აქტიდან: ფ—ს, საქონლის ყიდვა, ს—(ფ+ფ) გაყიდვა. საქონლის ტრიალის კანონების თანახმათ ფ-ს ღირებულება უნდა ეთანასწორებოდეს ს-ს ღირებულებას, ს კი უნდა ეთანასწორებოდეს ფ+ფ-ს. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ რომ ს დამოუკიდებლათ მატულობს, თუ რომ ს წარმოადგენს ისეთ საქონელს, რომელიც ხმარების პროცესში ქმნის ზედმეტ ღირებულებას, ვინემ მისი საკუთარი ღირებულებაა. ზედმეტი ღირებულების გამოცანა ახსნილი იქნება, მაშასადამე, როცა ჩვენ ვიპოვნით ისეთ საქონელს, რომლის სახმარ ღირებულებას აქვს განსაკუთრებული, სპეციფიკური, თვისება იყოს ღირებულების წყარო, ისეთ საქონელს, რომლის ხმარება გამოიხატება ღირებულების შექმნაში ისე, რომ ფორმულა: ფ—ს—(ფ+ფ), ამის მიხედვით, გამოიხატება ფორმულაში: ფ—ს... (ს+ს)—(ფ+ფ).

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქონლის ღირებულებას ქმნის მხოლოთ შრომა. მაშასადამე, ზევით მოყვანილ ფორმულას რეალური შინაარსის მიღება მხოლოთ მაშინ შეუძლია, თუ სამუშაო ძალა გახდება საქონლათ.

„სამუშაო ძალათ, ანუ შრომის ნიჭიერებათ (способность къ труду—Arbeit vermögen)—ამბობს მარქსი,—ჩვენ ვგულისხმობთ ფიზიკურ და სულიერ ძალების რაოდენობას, რომლებიც არსებობენ ადამიანის ცოცხალი პიროვნების ორგანიზმში და რომლებიც ამ ორგანიზმს მოყავს მოძრაობაში ყოველთვის, როცა კი იგი (ორგანიზმი) ქმნის რაიმე სახმარ ღირებულებას“. სამუშაო ძალა უნდა გაჩნდეს ბაზარზე, როგორც საქონელი. რას ნიშნავს ეს? ზევით ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლა გულისხმობს იმას, რომ საქონლის პატრონებს სრული უფლება აქვთ თავისუფლათ განაგონ თავიანთი საქონლების ბედი. მაშასადამე, სამუშაო ძალის პატრონი, მუშა, უნდა იყოს თავისუფალი ადამიანი, რომ მისი სამუშაო ძალა შეიქმნეს თავისუფალი. მისი სამუშაო ძალა მომავალშიაც უნდა დარჩეს საქონლათ; ამიტომ მუშამ უნდა გაყიდოს იგი არა სამუდამოთ, არამეთ მხოლოთ განსაზღვრული ვადით; უამისოთ იგი გახდება მონათ და საქონლის, მეპატრონისაგან საქონლათ გადაიქცევა.

სამუშაო ძალა რომ საქონლათ გადაიქცეს, ამისათვის საჭიროა კიდევ ერთი პირობა. სახმარი ღირებულება რომ საქონლათ გადაიქცეს, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, საჭიროა, რომ იგი აღარ იყოს ასეთი თავის პატრონისათვის: აგრეთვე სამუშაო ძალაც აღარ უნდა იყოს სახმარი ღირებულება მუშისთვის, რახან ეს ძალა უნდა გავიდეს ბაზარზე, როგორც საქონელი. სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება მდგომარეობს სხვა სახმარ ღირებულებათა შექმნაში; უკანასკნელი კი გულისხმობს წარმოების საჭირო იარაღების თავისუფალ და სრულ განკარგულებას. იქ, სადაც მუშას აქვს წარმოების საშუალება, იგი არ ყიდის სამუშაო ძალას, არამედ,

თვითონ იყენებს მას და ყიდის თავის ნაწარმოებს. რომ სამუშაო ძალა გახდეს საქონლათ, საჭიროა, რომ მუშა გათიშულ იქნას წარმოების საშუალებიდან და, უწინარეს ყოველისა, ყველაზე უფრო უმთავრესიდან, ე. ი. მიწიდან.

მუშა უნდა იყოს თავისუფალი ყოველნაირათ, თავისუფალი ყოველგვარი პირადი დამოკიდებულებისაგან, მაგრამ სრულებით თავისუფალი უნდა იყოს აგრეთვე წარმოების ყოველგვარ საშუალებათაგან. ასეთია წინასწარი პირობები (предпосылки) იმის, რომ ფულის პატრონმა გადააქციოს თავის ფული კაპიტალათ. ეს პირობები არ არიან შექმნილნი ბუნებისმიერ და არ ეკუთვნიან ყოველ საზოგადოებრივ ფორმებს. ისინი ნაყოფია ხანგძლივი ისტორიული განვითარების და შედარებით მხოლოთ გვიან ახდენენ გადამწყვეტ გავლენას საზოგადოების ორგანიზაციაზე. მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყება თანამედროვე კაპიტალის ისტორია.

ჩვენ ახლა ვიცით ის საქონელი, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ რამდენათ დიდია მისი საკუთარი ღირებულება?

იგი განისაზღვრება, როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, საზოგადოებრივათ-აუცილებელი დროის რაოდენობით, რომელიც საჭიროა მის შექმნისთვის და, მაშასადამე, ხელახლა შექმნისთვის.

სამუშაო ძალა გულისხმობს მუშის არსებობას. ეს არსებობა, თავის მხრით, თავისი რჩენისათვის თხოულობს ცხოვრების საშუალებათა განსაზღვრულ რაოდენობას. მაშასადამე, სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის შესაქმნელათ, ეთანასწორება იმ საზოგადოებრივათ-აუცილებელ სამუშაო დროს, რომელიც საჭიროა არსებობის საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობის შესაქმნელათ. ამ რაოდენობის სიდიდე განისაზღვრება სხვა და სხვა პირობებით. რამდენათ მუშა ხარჯავს მეტ თავის ძალას, რამდენათ იგი დიდხანს მუშაობს და მეტ ენერგიას ხარჯავს, იმდენათ არსებობისათვის მას უფრო მეტი საშუალება სჭირდება, რომ მოიკრიბოს ძა-

ლა, რათა მეორე დღეს ისევე შეძლოს მუშაობა, როგორც წინადღით. მეორე მხრით, სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა კლასის მოთხოვნილებანი სხვა და სხვაა თითოეული ქვეყნის ბუნებრივ და კულტურულ არსებობის მიხედვით. ნორვეგიელი მუშა საჭიროებს არსებობის საშუალებათა მეტ რაოდენობას, ვინემ ინდუსელი; სურსათი, ტანისამოსი, ბინა, გასათბობი მასალა და სხვ., რაც საჭიროა პირველის არსებობისთვის, თხოულობენ თავის წარმოებისთვის უფრო მეტ სამუშაო დროს, ვინემ მეორეს არსებობის საშუალებანი. გარდა ამისა, ისეთ ქვეყანაში, სადაც მუშები დადიან ფეხშიშველა და წერა-კითხვა არ იციან, იმათი მოთხოვნილებანი შეზღუდულია, ვინემ იმ ქვეყანაში, სადაც ისინი (მუშები) უფრო განვითარებული არიან, იცვამენ ფეხზე, კითხულობენ გაზეთებს და წიგნებს, ბუნების პირობებში რომ არც კი იყოს რაიმე განსხვავება. „ამნაირათ, წინაალმდეგ სხვა საქონლებისა,“ ამბობს მარქსი,— „სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრა შეიცავს ისტორიულ და ზნეობრივ ელემენტს.“

გარდა ამისა, მუშა, როგორც ვიცით, კვდება. მაგრამ კაპიტალს სურს იყოს უკვდავი, და ამიტომ საჭიროა, რომ მუშებმა განაგრძონ თავისი მოდგმა. არსებობის იმ საშუალებათა რაოდენობა, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის შესანახათ, შეიცავს აგრეთვე არსებობის იმ საშუალებებსაც, რომლებიც საჭიროა მუშის ბავშვების (ხანდისხან ცოლისაც) შესანახათ.

ბოლოს, სამუშაო ძალის შექმნის ხარჯებში უნდა ჩაირიცხოს მუშების განათლების ხარჯებიც, რაც საჭიროა შრომის ამა თუ იმ დარგში განსაზღვრული ხერხიანობის, გამოცდილების და უნარის მოსაპოებლათ. მუშათა უმეტესობისთვის ეს ხარჯები სულ მცირეა.

ყველა ამ გარემოებიდან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ განსაზღვრული მუშათა კლასის სამუშაო ძალის ღირებულება განსაზღვრულ ქვეყანაში და განსაზღვრულ დროს შეადგენს განსაზღვრულ სიდიდეს.

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით არა ფასზე, არამედ ღირებულებაზე; არა მოგებაზე, არამედ ზედმეტ ღირებულებაზე

და, ამიტომ, ამ შემთხვევაშიაც, საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ სამუშაო ძალის დირებულებაზე და არა სამუშაო ქირაზე. მაგრამ, აქვე საჭიროა აღვნიშნოთ ერთი განსხვავება, რომელიც ეკუთვნის სამუშაო ძალის დაჯილდოებას. ვულგარულ ეკონომისტების აზრით კაპიტალისტი წინდაწინ აძლევს მუშებს ქირას, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში კაპიტალისტი უსწორდება მუშებს იმათი (მუშების) შრომის ნაწარმოებთა გაყიდვამდე. მაგრამ, ნამდვილათ კი, პირიქით, თვით მუშა თავისი შრომით ხდის კაპიტალისტს მოვალეთ.

წარმოვიდგინოთ, მე ვყიდულობ კარტოფილს, რომ მისგან გამოვხადო არაყი. მე ვაძლევ ფულს კარტოფილში მას შემდეგ, რაც არაყი გამოვხადე, მაგრამ მის გაყიდვამდე. განა სასაცილო არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მე წინდაწინ მივეცი გლეხს ფული კარტოფილში, რახან მე იგი გავისტუმრე არაყის გაყიდვამდე? არა, თვით გლეხი მაძლევს მე თავის კარტოფილს, სანამ მე არაყს გამოვხდიდე. თუ მე ვამბობ, რომ ნაღდ ფულს ვაძლევ, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვიხდი საქონლის ფასს ყიდვის დროს. ვაჭრები ცოტას არ გაკვირდებოდენ იმ ეკონომიური სიბრძნის შესახებ, რომელიც ამტკიცებს, რომ ის, ვინც იმათ საქონელში იძლევა ფულს მას შემდეგ, რაც იგი იხმარა, აძლევს მათ არა თუ ნაღდათ, არამედ წინდაწინაც. მაგრამ ვულგარული ეკონომისტები აქამდის უმეორებენ მუშებს ასეთ სისულელეს. თუ რომ სამუშაო ძალას ყიდულობენ ნაღდ ფულზე, იმ შემთხვევაში იგი გასტუმრებული უნდა ყოფილიყო მისი გადასვლის დროს კაპიტალისტების ხელში, მაშასადამე, თითოეული კვირის თავზე, და არა კვირის ბოლოს. ანგარიშის გასწორების დღევანდელ სისტემაში კი, მუშებს არა თუ შეუძლიათ თავისი ხელფასის დაკარგვა, არამედ, გარდა ამისა, ისინი იძულებული არიან იცხოვრონ სესხით, და ამის მეოხებით ხმის ამოუღებლათ ემორჩილებიან წვრილ-მოვაჭრეებს, რომლებიც აწვდიან მათ ყალბ და გაფუჭებულ საქონელს. რამდენათ უფრო დიდია

ნამუშევრის გადახდის ვადა, იმდენათ უფრო ცუდია მუშების მდგომარეობა. ორი კვირის და ერთი თვის შემდეგ ხელფასის მიცემა მძიმე უღლათ აწვება კისერზე დაქირავებულ მუშებს.

მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ხელფასის მიცემის სისტემა, ნორმალურ პირობებში კაპიტალისტი და მუშები ყოველთვის დგანან ერთი-მეორის წინააღმდეგ, როგორც ორი საქონლის პატრონები, რომლებიც ურთიერთ შორის ცვლიან თანასწორ ღირებულებებს. კაპიტალის მოძრაობა ახლა უკვე ხდება არა საქონლის ტრიალის კანონების წინააღმდეგ, არამედ ამ კანონების საფუძველზე. მუშა და კაპიტალისტი დგანან ერთი ერთმანეთის პირისპირ, როგორც საქონლის პატრონები, მაშასადამე, როგორც თანასწორნი და თავისუფალნი, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელნი პირნი; როგორც საქონლის პატრონები, ისინი ეკუთვნიან ერთ კლასს, ისინი ძმანი არიან. მუშა და კაპიტალისტი ურთიერთ შორის ცვლიან თანასწორ ღირბულებებს: სამართლიანობის, თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის სამეფო,—ბედნიერების და მშვიდობიანობის სამეფო დაქირავებული შრომის გაბატონების შემდეგ თითქო მოვლენილი იყოს. მონობის და მტარვალობის, გაყვლეფის და თვითნებობის ხანა თითქოს ჩვენ დიდი ხანია განვლილი გვქონდეს.

აი რას ღაღადებენ კაპიტალის ინტერესების განსწავლული ვექილნი და დამცველნი.

განყოფილება მეორე

ზედმეტი ღირებულება

თავი I

წარმოების პროცესი

პირველ განყოფილებაში ჩვენ თითქმის საქონლის ბაზრის სფერაში ვტრიალებდით. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ცვლიან საქონლებს ერთი მეორეზე, როგორ ყიდიან და ყიდულობენ იმათ; თუ როგორ ასრულებს ფული სულ სხვა და სხვა ფუნქციას, თუ როგორ წარმოიშობა ფულიდან კაპიტალი, როგორც კი ბაზარზე ჩნდება. სამუშაო ძალა, როგორც საქონელი.

კაპიტალისტმა იყიდა სამუშაო ძალა და ამ ახალი კეთილშეძენილი საქონლით იგი შორდება ბაზარს, სადაც ეს საქონელი ახლა მისთვის სრულებით უსარგებლოა, და მიდის იქ, სადაც კაპიტალისტს შეუძლია მისი ხმარება, გამოყენება,—სახელოსნოში. გავყვეთ მას იქ. დავტოვოთ ჩვენ საქონლის ტრიალის სფერა, რომ ჩაკიყურყუმალაოთ წარმოების სფერაში.

„სამუშაო ძალის ხმარება,—ეს არის თვით შრომა". კაპიტალისტი ხმარობს მის მიერ ნაყიდ სამუშაო ძალას, ამუშავებს რა იმის გამყიდველებს თავის სასარგებლოთ, ამზადებინებს რა მათ საქონელს.

შრომას, რომელიც ქმნის საქონლებს, აქვს, როგორც ჩვენ ეს დავინახეთ პირველ განყოფილებაში, ორნაირი ხასიათი: ერთი მხრით იგი არის სახმარ ღირებულებათა შემქნელი, და მეორე მხრით—საქონლის ღირებულების. როგორც სახმარ ღირებულებათა შემქნელი—შრომა არ წარმოადგენს საქონლის წარმოების განსაკუთრებულ თვისებას, არა-

მედ როგორც ასეთი იგი არის ადამიანთა ტომის არსებობის მუდმივი და აუცილებელი პირობა, პირობა, რომელიც დამოუკიდებელია საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციაზე. როგორც ასეთი შრომას ახასიათებს სამი მომენტი: 1) ადამიანის შეგნებული და მიზანთან შეფარდებული მოქმედება; 2) შრომის საგანი; 3) შრომის იარაღები.

შრომა არის ადამიანის შეგნებული და მიზანთან შეთანხმებული მოქმედება, მისი მოქმედება ბუნების ნივთიერებაზე იმ მიზნით, რომ მისცეს ამ უკანასკნელს ისეთი ფორმა, რომელიც შეეფერება ადამიანის მოთხოვნილებებს. ამგვარი მოქმედების ჩანასახს ჩვენ უკვე ვხვდებით ცხოველთა სამეფოში, მაგრამ მხოლოთ კაცობრიობის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იგი კარგავს თავის ინსტიკტურ, ცხოველურ, ხასიათს და ხდება შეგნებულ, მიზანთან შეთანხმებულ, მოქმედებათ. ყოველგვარი შრომა არის არა მარტო კუნთების, არამედ ტვინის და ნერვების შრომაც. ჩინებულათ შენიშნავს მარქსი: „გარდა იმ ორგანოების დაჭიმვისა, რომლებიც მუშაობენ, საჭიროა კიდევ მიზანთან შეთანხმებული ნება, რომელიც ჩნდება შრომის პროცესის განმავლობაში ყურადღების სახით; და ამნაირი ყურადღება საჭიროა იმდენათ უფრო მეტათ, რამდენათ შრომა თავის შინაარსით და თავისი შესრულების მეთოდებით ნაკლებათ იტაცებს მუშას, რამდენათ, ამიტომ, ნაკლებათ შეუძლია მუშას იმით დასტკბეს, როგორც თავის საკუთარ ფიზიკურ და სულიერ ძალების თავისუფალი თამაშით“.

მუშა მოქმედებს საგანზე, შრომის ობიექტზე, იგი სარგებლობს ამ შემთხვევაში დამხმარებელი საშუალებებით, რომელთა მექანიკურ, ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს იგი ამოქმედებს თვისი მიზნის თანახმათ; ეს საშუალებანი არიან შრომის იარაღები. შრომის საგნის დამუშავების ნაყოფი შრომის იარაღების საშუალებით არის ნაწარმოები. შრომის იარაღები და შრომის საგანი (ობიექტი) შეადგენენ წარმოების საშუალებებს.

დურგალს, როცა იგი სტოლს აკეთებს, ხესთან*) აქვს საქმე, ე. ი. მისი მოქმედების საგანს (ობიექტს) შეადგენს ხე. თუ შრომის ობიექტს პირდაპირ ბუნება არ იძლევა, როგორც, მაგ., ხეს გაუტეხელ ტყეში, არამედ მის საშოვნელათ საჭირო ხდება შრომის დახარჯვა, როგორც, მაგ., ამ შემთხვევაში— ხის მოჭრის და მოტანის შრომა, მაშინ მას (ობიექტს) ნედლი მასალა ეწოდება. ჩვენს მაგალითში ხე ნედლ მასალას შეადგენს, როგორც აგრეთვე წებო, საღებავი ლაქი სტოლის გაკეთებისთვის. ამავე დროს ხე არის უმთავრესი მასალა, წებო, საღებავი, ლაქი – დამხმარე ნივთიერება. შალაშინი, ხერხი და სხვა შეადგენენ შრომის იარაღს, თვით სტოლი კი შრომის ნაწარმოებს. „სახმარი ღირებულება წარმოადგენს ნედლ მასალას, შრომის იარაღს თუ ნაწარმოებს,—ეს საესებით დამოკიდებულია იმ განსაზღვრულ ფუნქციაზე, რომელსაც იგი ასრულებს შრომის პროცესში, იმ ადგილზე, რომელიც მას უჭირავს ამ პროცესში და ამ ადგილის შეცვლით იცვლება მისი ხასიათიც.

პირუტყვი მაგ., შეიძლება იყოს როგორც ნაწარმოები (პირუტყვის გაშენებაში), როგორც შრომის იარაღი (ტვირთის მზიდავი) და როგორც ნედლი მასალა (როცა პირუტყვს ასუქებენ დასაკლავათ).

შრომის იარაღთ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ კაცობრიობის განვითარებისათვის. წარმოების ხასიათი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმათზე; წარმოების წესი კი თავის მხრით ბადებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათ და ისეთ იურიდიულ, რელიგიურ, ფილოსოფიურ და ესტეტიურ ზედნაშენებს, რომლებიც ამ ურთიერთობათ შეეფერებათ.

წარმოების ყველა წესში საწარმოო იარაღები (შრომის საგანი და იარაღები) და სამუშაო ძალა შეადგენენ სახმარ

*) აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანულ ენაზე ცნება ხე (дерево) ორი სიტყვით გამოიხატება: 1) Baum—ქვია ისეთ ხეს, რომელიც დგას მოუჭრელი; 2) Holz—ისეთ ხეს, რომელიც უკვე მოჭრილი და გათლილია დასამუშავებლათ გამზადებული. **მთარგმ.**

ღირებულების შექმნის ე. ი. შრომის პროცესის აუცილებელ ელემენტებს. ამ პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი კი იცვლება წარმოების წესის შეცვლისთანავე.

გავითვალისწინოთ ახლა ის, თუ როგორია წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი კაპიტალისტურ წარმოებაში. საქონლის მწარმოებლისათვის სახმარ ღირებულების წარმოება შეადგენს მხოლოთ იმ გზას, რომელსაც მიზნათ აქვს საქონლის შექმნა. საქონელი არის სახმარ-ღირებულების და საქონლის (საზოგადოთ) ღირებულების ერთიანობა, და ამიტომ მწარმოებელს არ შეუძლია ღირებულების შექმნა უიმისოთ, რომ მან სახმარი ღირებულება არ შექმნას. მის მიერ შექმნილი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს რაიმე მოთხოვნილებას; უნდა იყოს ვისმესთვის სასარგებლო, უამისოთ მწარმოებელს არ შეუძლია მისი გასაღება. მაგრამ საქონლის პატრონისთვის ეს გარემოება, სახელდობ ის, რომ მის საქონელს უნდა ქონდეს სახმარი ღირებულება, არ არის მისი სამრეწველო მოღვაწეობის საბოლოო მიზანი, არამედ აუცილებელი ბოროტება.

საქონლის წარმოების პროცესი არის, მაშასადამე, სახმარ ღირებულებათა და იმავე დროს საქონლის ღირებულებათა წარმოების პროცესი, მაშასადამე, იგი არის შრომის პროცესის და ღირებულების შექმნის ერთიანობა.

უკანასკნელს აქვს მნიშვნელობა საქონლის წარმოებისათვის საზოგადოთ. ჩვენ კი ახლა წინ გვიდგას წარმოების პროცესის განხილვა საქონლის წარმოების განსაკუთრებულ ფორმაში: საქონლების შექმნა ნაუიდი სამუშაო ძალის საშუალებით ზედმეტი ღირებულების მისაღებათ.

რა ხასიათს ღებულობს ამ შემთხვევაში შრომის პროცესი? უწინარეს ყოვლისა კაპიტალის ჩარევა აქ არსებითათ არაფერს ცვლის.

წარმოვიდგინოთ ფეიქარი, რომელიც თავისთვის მუშაობს. მას ეკუთვნის საფეიქრო დაზგა, რომელზედაც იგი მუშაობს; იგი თითონ ყიდულობს ძაფს. მას შეუძლია იმუშაოს

როცა სურს და რამდენიც ესიამოვნება; მისი შრომის ნაწარმოები შეადგენს მის საკუთრებას. მაგრამ, აი, ის დაღარიბდა და იძულებული ხდება გაყიდოს თავისი დაზგა. რით იცხოვრებს იგი ახლა? მას მხოლოთ ერთი რამ დარჩენია— მიექირაოს კაპიტალისტს და მის სასარგებლოთ ქსოვოს. კაპიტალისტი ყიდულობს მის სამუშაო ძალას, ყიდულობს აგრეთვე დაზგას და ძაფს რამდენიც ესაჭიროება; შემდგომ ამისა იგი აყენებს დაქირავებულ ფეიქარს დაზგაზე, რომელიც მას, კაპიტალისტს ეკუთვნის, რომ ფეიქარმა ქსოვოს ნაყიდი ძაფი. შესაძლებელია, რომ ის დაზგაც კი, რომელიც კაპიტალისტმა იყიდა, გაყიდულია თვით ამ ფეიქრის მიერ სიღარიბის გავლენით. მაგრამ, ესეც რომ ასე არ იყოს, ფეიქარი მაინც ისევე ქსოვს, როგორც წინათ; გარეგანი მხრით შრომის პროცესი არ შეცვლილა.

მიუხედავათ ამისა, აქ ორი დიდი ცვლილება მოხდა: ფეიქარი ახლა უკვე მუშაობს არა თავისთვის, არამედ კაპიტალისტისთვის; უკანასკნელი კონტროლს უკეთებს მუშის შრომას, თვალყურს ადევნებს, რომ მან იმუშაოს წესიერათ, როგორც საქმე თხოულობს; და მუშის შრომის ნაწარმოები ახლა უკვე მას აღარ ეკუთვნის, არამედ კაპიტალისტს.

ასეთია კაპიტალისტის მახლობელი გავლენა შრომის პროცესზე, როგორც კი იგი იპყრობს წარმოების პროცესს. როგორ ხდება ახლა ღირებულებათა შექმნის პროცესი?

განვსაზღვროთ პირველათ იმ წარმოების ღირებულების სიდიდე, რომელსაც ქმნის, როგორც საქონელს, კაპიტალისტისთვის, მის მიერ ნაყიდი სამუშაო ძალა, წარმოების მის მიერვე ნაყიდი საშუალებათა მეოხებით.

ვთქვათ, რომ კაპიტალისტი ყიდულობს სამუშაო ძალას ერთი დღით. ვთქვათ, რომ მუშის შესანახათ საჭიროა საშუალებათა დამზადება თხოულობს ექვსი საათის საზოგადოებრივათ-აუცილებელ სამუშაო დროს. ვთქვათ აგრეთვე, 1 მან. 50 კაპეიკში განხორციელებულია სწორეთ ამ სამუშაო დროს ამოდენივე საათი. კაპიტალისტი ყიდულობს მის სამუშაო ძა-

ლას მის ღირებულებაზე, მაშასადამე, იგი აძლევს მუშას დღეში 1 მან. 50 კაპ.*).

წარმოვიდგინოთ შემდეგ, რომ კაპიტალისტს ბამბის ძაფი მიაჩნია ისეთ სახმარ ღირებულებათ, რომელზედაც დიდი მოთხოვნაა, და რომელიც ადვილი გასასაღებელია; ამიტომ გადაწყვიტა რა მან ხელი მოკიდოს ძაფის წარმოებას, იგი ყიდულობს შრომის იარაღებს, სიმარტივისთვის ვთქვათ, რომ ეს არის თითისტრები (ჩერიები) და ბამბა. ვთქვათ, რომ ერთი გირვანქა ბამბა შეიცავს 2 საათის შრომას, მაშა-

---

*) ეს და შემდეგი ციფრები, რა თქმა უნდა, აღებულია მაგალითისათვის, განსაკუთრებით, მხოლოთ იმიტომ, რომ უფრო ადვილათ წარმოვიდგინოთ ის, რაზედაც ლაპარაკია ამ შემთხვევაში. მოსალოდნელი იყო, რომ ეს თავისთავათ გასაგები იყო; მიუხედავათ ამისა, ზოგიერთები ფიქრობენ. რომ მარქსმა ეს მაგალითი მოიყვანა როგორც ფაქტი. თუ სანამდის მიდიან „კაპიტალის“ „კრიტიკოსები“, ამას ამტკიცებს შემდეგი: „პრაისიშენ იარბუხერის“ (Preussischen jahrbucher) მე 57 ტომში, ბ-ნ შტედემანმა მოათავსა თავის მეტად მსუბუქი სტატია სათაურით „კარლ მარქსის ძირითადი ეკონომიური შეხედულებანი“. უჩვენებს რა „ღირებულების პრინციპს,“ როგორც მარქსის ძირითად ღირებულებას, იგი შემდეგ ამისა, მოგვითხრობს ჩვენ (გვ. 227) ი რას: „მარქსი **ამტკიცებს**, ვითომც კაცობრიობა საპიროებდეს დაახლოებით მხოლოთ ექვსი საათის შრომას, რომ არსებობის საშუალებათა შეძენა ყველასათვის უზრუნველყოფილი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ამასთანავე თითოეული ადამიანი იშრომებს თავის ძალის კეალობაზე.“ ყველა ამაზე „კაპიტალში“ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. შტედემანს რომ ნაკლები ფანტაზია და უფრო მეტი დაკვირვება ქონებოდა, მაშინ იგი „კაპიტალის“ მე 206 გვერდზე წაიკითხავდა, რომ მარქსმა იმ ცნობების ძალით, რომელიც მას მიაწოდა ერთმა მანჩესტერელმა (ინგლისის ქალაქია) მექარხნემ, განსაზღვრა შრომის აუცილებელი რაოდენობა, რომელიც ფაქტიურათ უნდა მიეწოდებია მრთველს ერთ სართავ სახელოსნოში მესამოცე წლებში. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 10 საათის სამუშაო დღეში მრთველის აუცილებელი სამუშაო დრო არ ახწევს სრულ ½ საათს, ის დრო კი, რომლის განმავლობაში კეთდება ზედმეტი ღირებულება. რამდენიმეთ აღემატება 6 საათს. შემდეგ ჩვენ დავინახავთ, რომ ის სამუშაო დრო, რომელიც მუშის არსებობისთვის არის საპირო, მეტათ ცვალებადი სიდიდეა.

სადამე, ღირს 50 კაპ.; გირვანქა ბამბიდან გამოდის ერთი გირვანქა ძაფი; თითოეული 100 გირვანქა ბამბის დართვის დროს ფუჭდება ერთი თითისტარი; მაშასადამე, 1 გირვანქა ბამბის დართვის დროს ფუჭდება თითისტარის $^1/_{100}$. ერთ თითისტარში განხორციელებულია 20 სამუშაო საათი=5 მან. (10×50 კ.). ერთ სამუშაო საათში ირთვება 2 გირ. ბამბა, 6 საათში, მაშასადამე, 12 გირვანქა, ვგულისხმობთ რა, რომ მთელ დროს წარმოების ნორმალური, საშუალო საზოგადოებრივათ აუცილებელი პირობები არსებობენ.

რამდენათ დიდია ღირებულება, რომელიც იმყოფება ერთ გირვანქა ძაფში, ამ ფაქტების მიხედვით?

უწინარეს ყოვლისა—მის დართვაზე დახარჯულ ბამბის და თითისტარის ღირებულება. ეს ღირებულება სრულებით უცვლელათ შედის ნაწარმოებში. ბამბის და თითისტარის სახმარი ღირებულება შეიცვალა, მაგრამ იმათი ღირებულება უცვლელი დარჩა. უკანასკნელი გარემოება ჩვენთვის აშკარა შეიქნება, თუ ჩვენ განვიხილავთ საბოლოო ნაწარმოების შექმნისთვის შრომის სხვა და სხვა აუცილებელ პროცესებს, როგორც შრომის ერთი და იგივე პროცესის თანდათან საფეხურებს. წარმოვიდგინოთ, რომ დამრთველი ამავე დროს თითონ არის ბამბის მომყვანი და ბამბა პირდაპირ იქცევა ძაფათ. ძაფი ახლა არის ბამბის მომყვანის და დამრთველის შრომის ნაწარმოები, მისი ღირებულება იზომება იმ საზოგადოებრივ-აუცილებელ სამუშაო დროით, რომელიც დახარჯულია ბამბის მოყვანაზე და უკანასკნელის ძაფათ ქცევაზე. თუ დანარჩენი პირობები არ იცვლებიან, ნაწარმოების ღირებულება, რა თქმა უნდა, სრულებით არ იცვლება იმის გამო, რომ მისი დამზადებისათვის შრომის საჭირო პროცესები სხვა და სხვა ადამიანების მიერ სრულდება. დამუშავებული ბამბის ღირებულება, ამნაირათ, კვლავ ჩნდება ძაფში. იგივე ხდება გაცვეთილ თითისტარების ღირებულების შესახებაც. სიმარტივისთვის ჩვენ აქ არ ვღებულობთ მხედველობაში დამხმარებელ ნივთიერებათ.

ამ გადატანილ ღირებულებას უერთდება კიდევ ღირებულება, რომელსაც უმატებს დამრთველის შრომა. ერთი სამუშაო საათის განმავლობაში ორი გირვანქა ძაფი კეთდება; ვთქვათ, რომ 50 კაპეიკში განხორციელებულია ორი სამუშაო საათი, მაშასადამე, ერთი სამუშაო საათი ქმნის 25 კაპ. ღირებულებას.

მაშასადამე, ერთი გირვანქა ძაფის ღირებულება ეთანასწორება ერთი გირვანქა ბამბის (=50 კაპ.)+$^1/_{100}$ თითისტარის (=5 კაპ.)+$^1/_2$ საათის შრომის (=$12^1/_2$ კაპ.) ღირებულებას, ანუ ფულათ: 50 კ.+5 კ.+$12^1/_2$ კ.=$67^1/_2$ კაპ.

ამ ანგარიშით 6 საათის განმავლობაში გამზადდება 12 გირვანქა ძაფი, 8 მან. და 10 კაპ. ღირებული. მაგრამ რამდენი დახარჯა კაპიტალისტმა ამისთვის? იმას უნდა დაეხარჯა: 12 გირვანქა ბამბა=6 მან., $^{12}/_{100}$ თითისტარისა=60 კაპ., და ერთი სამუშაო ძალა=1 მან. 50 კაპ., ე. ი. 8 მან. 10 კაპ. ღირებულება, რომელიც თანაბარია მის სასარგებლოთ დამზადებული ძაფის ღირებულებისა.

აქამდის, მაშასადამე, კაპიტალისტი მუშას თავისთვის სრულებით უსარგებლოთ ამუშავებდა; მის მიერ ნაყიდ საქონელს—სამუშაო ძალას—აქამდის მისთვის არ შეუძენია არავითარი ზედმეტი ღირებულება.

მაგრამ ჩვენი კაპიტალისტი სასოწარკვეთილებაში არ ვარდება; მან იყიდა სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება მთელი დღით; მან იყიდა იგი პატიოსნურათ და კეთილშობილურათ, მის სრულ ღირებულებაზე; ამიტომაც მას სრული უფლება აქვს სავსებით მოიხმაროს მისი სახმარი ღირებულება. მას აზრათაც არ მოსდის უთხრას მუშას: „შენი სამუშაო ძალის საყიდლათ მე დავხარჯე იმდენი ფული, რამდენიც ექვს სამუშაო საათში იმყოფება; შენ იმუშავე ჩემ სასარგებლოთ 6 ხათი, ჩვენ გასწორებული ვართ, შენ შეგიძლია შინ წახვიდე“. პირიქით, იგი ეტყვის: „მე ვიყიდე შენი სამუშაო ძალა მთელი დღით, მთელი დღის განმავლობაში, იგი მე მეკუთვნის; ამიტომ ჩქარა საქმეზე, იმუშავე, რამდენიც შეგი-

ძლია, არ დაკარგო არც ერთი წუთი; დრო მეკუთვნის მე და არა შენ". და იგი ამუშავებს მას ექვსი საათის მაგიერ—თორმეტ საათს.

შემდეგი 6 საათის გასვლის შემდეგ, სამუშაო დღის ბოლოს, კაპიტალისტი კვლავ ანგარიშობს. ახლა მას აქვს 24 გირ. ძაფი, ღირებული 16 მან. 20 კაპ., მისი ხარჯების სიაში კი აღნიშნულია: 24 გირ. ბამბა=12 მან., $^{24}/_{100}$ თითისტარი=1 მან. 20 კაპ. და ერთი სამუშაო დღე=1 მან. 50 კაპ. სულ 14 მან. და 70 კაპ. ჩვენი კაპიტალისტი ღიმილით დებს გვერდზე შესავალ-გასავლის წიგნს. მან მოიგო, ან როგორც იგი ამბობს, მან „აიღო" 1 მან. 50 კაპ. მან აიღო ეს ფული; მიიღო ზედმეტი ღირებულება ისე, რომ სრულებით არ დაურღვევია საქონლის გაცვლა-გამოცვლის კანონები. ბამბა, თითისტარი, სამუშაო ძალა, სულ ყველა ამაებში მან ფული გადაიხადა სრულათ. თუ რომ მან მიიღო ზედმეტი-ღირებულება, ეს აიხსნება მხოლოთ იმით, რომ მან მოიხმარა ეს მის მიერ ნაყიდი საქონლები, არა როგორც სახმარი საგნები, არამედ როგორც წარმოების საშუალებანი და მხოლოთ იმიტომ, რომ მან ისარგებლა მის მიერ ნაყიდი სამუშაო ძალის სახმარი ღირებულებით განსაზღვრულ დროის გარეშე.

წარმოების პროცესი საქონლის წარმოების სისტემაში ყოველთვის არის აგრეთვე ღირებულების შექმნის პროცესი, დამოუკიდებლათ იმისა, ხდება ეს წარმოება ნაყიდი, თუ საკუთარი სამუშაო ძალის საშუალებით; მაგრამ მხოლოთ იმ შემთხვევაში, როცა ეს პროცესი გრძელდება განსაზღვრულ მომენტს. შემდეგ, იგი ხდება აგრეთვე ზედმეტი ღირებულების შემქმნელათაც და, როგორც ასეთი, ღირებულების გაზრდის პროცესათ. წარმოების პროცესმა რომ წარმოშვას ზედმეტი ღირებულება, ამისთვის იგი უნდა გაგრძელდეს იმაზე მეტ დროს, რაც საჭიროა ნაყიდი სამუშაო ძალი ღირებულების ასანაზღაურებლათ, ახლათ შექმნილი ღირებულებით.

გლეხსაც, რომელიც თავის საკუთარ მიწაზე მუშაობს, და აგრეთვე ხელოსანსაც, რომელიც თავის საკუთარ ანგა-

რიშზე მუშაობს, შეუძლიანთ იმუშაონ იმ დროზე მეტი, რომელიც საჭიროა იმათ მიერ დახარჯულ საარსებო საშუალებათა ასანაზღაურებლათ. მაშასადამე, იმათაც შეუძლიათ ზედმეტი ღირებულების შექმნა და იმათ შრომასაც შეუძლია გახდეს ღირებულების გაზრდის პროცესათ. მაგრამ, როგორც კი ღირებულების გაზრდის პროცესი ხდება სხვისი, ნაყიდი, სამუშაო ძალის საშუალებით, იგი ხდება წარმოების კაპიტალისტურ პროცესათ; უკანასკნელი კი თავიდანვე, თავისი ბუნებით, აუცილებლობის ძალით და თავისი მიზნით არის ღირებულების ზრდის პროცესი.

თავი II

კაპიტალის როლი ღირებულების შექმნის პროცესში

პირველ განყოფილების პირველ თავში ჩვენ უკვე გავეცანით იმას, რომ მარქსმა პირველათ მიგვითითა იმ შრომის ორნაირ ხასიათზე, რომელიც საქონელს ქმნის: ერთის მხრით შრომა არის, როგორც სასარგებლო შრომის კონკრეტული, განსაზღვრული, ფორმა, რომელიც ქმნის სახმარ ღირებულებას, და მეორე მხრით, იგი არის ადამიანის აბსტრაქტული, განუყენებული, მარტივი საშუალო შრომა, რომელიც ქმნის საქონლის ღირებულებას. შრომის ხასიათის ამ ორგვარიანობის თანახმათ, ორნაირი არის აგრეთვე საქონლის წარმოების ხანაში წარმოების თვით პროცესიც; იგი შეადგენს შრომის პროცესის და ღირებულების შექმნის პროცესის ერთიანობას, მაგრამ როგორც წარმოების კაპიტალისტური წესი—იგი შეადგენს შრომის პროცესის და ღირებულების ზრდის პროცესის ერთიანობასაც. უკანასკნელ თავში ჩვენ გავეცანით შრომის პროცესის ორივე ელემენტს: წარმოების საშუალებას და სამუშაო ძალას; ჩვენ აგრეთვე გავეცანით ორივე ამ ელემენტის, როგორც კაპიტალის ნაწილების, სხვა და სხვა როლებს ღირებულების ზრდის პროცესში. ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების საშუალებათა მონაწილეობა ნაწარმოების ღირებუ-

ლების წარმოშობაში გამოიხატება სულ სხვანაირათ, ვინემ სამუშაო ძალის მონაწილეობა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ წარმოების დახარჯულ საშუალებათა ღირებულება კვლავ ჩნდება ნაწარმოების ღირებულებაში. ამ ღირებულების გადატანა მოხდა შრომის პროცესის დროს. მაგრამ როგორ მოხდა ეს? შრომამ ერთ და იმავე დროს უნდა შეასრულოს ორგვარი დანიშნულება: შექმნას ახალი ღირებულება და გადაიტანოს ძველი. ეს აიხსნება განსაკუთრებით შრომის ორგვარი ხასიათით, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობდით. როგორც ადამიანის აბსტრაქტული შრომა, რომელიც ღირებულებას ქმნის, შრომა ქმნის ახალ ღირებულებას; როგორც სასარგებლო შრომის კონკრეტული ფორმა, რომელიც ამზადებს სახმარ ღირებულებას, შრომას გადააქვს წარმოების საშუალებათა ღირებულება ნაწარმოებზე.

მხოლოთ რთვის შრომის განსაკუთრებითი ფორმის მეოხებით ბამბის და თითისტარის ღირებულება შესაძლებელია გადატანილ იქმნას ძაფზე; პირიქით, მრთველს შეუძლია შექმნას იგივე ღირებულება, რომელსაც იგი ქმნის, როგორც მრთველი, შრომის სხვაგვარი ფორმითაც, მაგ., როგორც დურგალს. მაგრამ მაშინ იგი აღარ დაამზადებს უკვე ძაფს, და, მაშასადამე, აღარ გადაიტანს იმაზე ბამბის ღირებულებას.

შრომის ორგვარი ხასიათი: ერთი მხრით ღირებულების შექმნა და მეორე მხრით ღირებულების გადატანა, სავსებით გამოირკვევა, თუ ჩვენ გამოვიკვლევთ იმ გავლენას, რომელსაც ახდენს ღირებულების შექმნასა და გადატანაზე შრომის ნაყოფიერების ცვლილება. იმ ღირებულების სიდიდე, რომელსაც ქმნიან ერთი საათის შრომით, არ იცვლება, მიუხედავათ იმისა, მატულობს თუ კლებულობს შრომის ნაყოფიერება, თუ დანარჩენი პირობები უცვლელნი რჩებიან. პირიქით, განსაზღვრულ დროის განმავლობაში გაკეთებულ სახმარ ღირებულებათა რაოდენობის ცვლილება პირდაპირ დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ცვლილებაზე. ამავე ურთიერთობით, მაშასადამე, იცვლება აგრეთვე შრომის ნიჭიერება (Fähigkat) ღირებულების გადატანაში.

წარმოვიდგინოთ, მაგ., რაიმე გამოგონებამ ორჯერ გაანაყოფიერა რთვის შრომა, იმავე დროს კი იმის შრომის ნაყოფიერება, ვისაც ბამბა მოყავს, ისევ წინანდელი დარჩა. დეე, ერთი გირვანქა ბამბა შეიცავს 2 სამუშაო საათს,—რჩება როგორც წინანდელი ჩვენი წარმოდგენა იყო—50 კაპ. წინეთ ერთ სამუშაო საათში ირთვებოდა ძაფათ 2 გირვანქა ბამბა, ახლა—4 გირვანქა, ერთი და იგივე ახალი დირებულება, რომელიც წინათ ემატებოდა 2 გირ. ბამბას ერთი საათის შრომის საშუალებით, ახლა ემატება ოთხ გირვანქას, მაგრამ ახლა ერთი საათის განმავლობაში რთვის შრომის საშუალებით ძაფზე გადადის ორჯერ მეტი დირებულება: წინეთ ერთი მანეთის, ახლა ორი მანეთის.

აშკარაა, რომ შრომის ღირებულების შემნახველი ან გადამტანი ძალა დამყარებულია შრომის სულ სხვა თვისებაზე, ვინემ მისი ძალა, როგორც ღირებულების შემქნელის.

ვინაიდან წარმოება სრულებით წარმოუდგენელია წარმოების საშუალებათა გარეშე, ამიტომ ყოველივე შრომა, რომელიც საქონელს ქმნის, არა მარტო ქმნის ღირებულებას, არამედ კიდევაც ინახავს მას, და ამასთანავე ინახავს მას, არა მარტო იმ აზრით, რომ გადააქვს მის მიერ დახარჯულ წარმოების საშუალებათა ღირებულება ნაწარმოებზე, არამედ იმ აზრითაც, რომ იგი იცავს წარმოების საშუალებათა ღირებულებას გაქრობისაგან. ყოველივე ქვეყნიური წარმავალია, ამიტომ წარმოების საშუალებანიც, ადრე თუ გვიან, გაქრებიან, იმ შემთხვევაშიაც, თუ იმით არ სარგებლობენ. ზოგიერთი მაშინები, მაგ., სხვა და სხვა მაშინები, ცვდებიან უფრო ჩქარა უმოქმედობის დროს, ვინემ მოქმედებით. წარმოების საშუალებათა სახმარი ღირებულების გაქრობისთანავე ქრება აგრეთვე იმათი საქონლის ღირებულებაც. თუ წარმოების საშუალებათა გაცვეთა ხდება ნორმალურათ, წარმოების პროცესში, იმ შემთხვევაში იმათ მიერ დაკარგული ღირებულება კვლავ ჩნდება წარმოების ღირებულებაში; თუ კი ისინი ქრებიან ისე, რომ წარმოების პროცესში არ იქნებიან გა-

მოყენებული, იმ შემთხვევაში იმათი ღირებულება სამუდამოთ იკარგება. კაპიტალისტი ჩვეულებრივათ არ აქცევს ყურადღებას შრომის ამ მხარეს, მაგრამ ეს გარემოება ხდება მისთვის საგრძნობელი მაშინ, როცა იგი იძულებულია, კრიზისის გამო, შეაჩეროს წარმოების პროცესი. მაგალითისთვის მარქსი გვითითებს ერთ ინგლისელ ბამბის ქარხნის პატრონზე, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ფაბრიკის შეჩერება, 1862 წ. ბამბის კრიზისის გამო, დაუჯდა 60,000 მან., ამაში 12,000 მან. ზარალი გამოწვეული იყო მაშინების გაფუჭების გამო.

მაგრამ წარმოების სხვა და სხვა საშუალებათ სხვა და სხვა ნაირათ გადააქვთ თავისი ღირებულება ნაწარმოებზე. ზოგი იმათგანი წარმოების პროცესში კარგავს თავის განსაკუთრებულ ფორმას, მაგ., ნედლი მასალა, დამხმარებელი ნივთიერებანი. ზოგი ინახავს თავისს ფორმას წარმოების პროცესში. ბამბამ, რომელიც ძაფათ გადაიქცა, დაკარგა თავისი ფორმა, თითის ტარმა კი, რომელმაც იგი შეიმუშავა, შეინარჩუნა თავისი ფორმა. პირველს წარმოების თითოეულ პროცესში გადააქვს ნაწარმოებზე მთელი თავისი ღირებულება, მეორეს კი— თავისი ღირებულების ნაწილი. თუ მაშინა, 1000 მან. ღირებული, ნორმალურ პირობებში ცვდება 1000 დღის განმავლობაში, მაშინ თითოეულ სამუშაო დღეს მას გადააქვს ერთი მანეთის ღირებულება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია მისი საშუალებით ამ ხნის განმავლობაში.

ამ მაგალითშიაც ჩნდება წარმოების ორგვარი ხასიათი. რა ნაირათ შეუძლია მაშინას თავისი ღირებულების $^1/_{1000}$ გადაიტანოს განსაზღვრულ ნაწარმოებზე? წარმოების შექმნაში ხომ მაშინის $^1/_{1000}$ არ მიუღია მონაწილეობა, არამედ მთელ მაშინას? ეს წინააღმდეგობა მართლაც არა ერთხელ წამოუყენებიათ მარქსის წინააღმდეგ. ამაზე ის უნდა ვუპასუხოთ, რომ შრომის პროცესის თვალთახედვის წერტილიდან, წარმოების პროცესში მონაწილეობას იღებს მთელი მაშინა, ღირებულების ზრდის პროცესის თვალთახედვის წერტილიდან კი, პირ-

იქით, მხოლოთ მისი (მაშინის) შესაფერი ნაწილი. როგორც სახმარი ღირებულება, მაშინა სულ მთლათ ღებულობს მონაწილეობას წარმოების პროცესში, როგორც ღირებულება კი—მხოლოთ მისი ნაწილი.

პირიქით, ნაწარმოებზე შეიძლება გადატანილ იქნას წარმოების რომელიმე საშუალებით მთელი ღირებულება, მაგრამ მისი ნივთიერების მხოლოთ ნაწილი. წარმოვიდგინოთ, რომ ასი გირვანქა ძაფის დასართავათ ნორმალურ პირობებში საჭიროა 115 გირვანქა ბამბა, რომ უვარგისი, გადასაგდები, ბამბის რაოდენობა ამ შემთხვევაში ეთანასწორება 15 გირვანქას, მაშასადამე, ას გირვანქა ძაფში მოქცეული იქნება ასი გირვანქა ბამბა, მაგრამ 100 გირვანქა ძაფის ღირებულებაზე გადატანილი იქნება 115 გირ. ბამბის ღირებულება.

წარმოების საშუალებებს შრომის პროცესში გადააქვთ ნაწარმოებზე მხოლოთ ის ღირებულება, რომელსაც ისინი კარგავენ ამ პროცესში. მაგრამ იმათ არასოდეს არ შეუძლიათ მიუმატონ წარმოებას იმაზე მეტი ღირებულება, რაც თითონ იმათ აქვთ, რამდენათაც დიდი უნდა იყოს იმათი სახმარი ღირებულება. ამიტომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ვულგარულ ეკონომისტების წადილი გამოიყვანონ ზედმეტი ღირებულება და მისი გადასხვაფერებული ფორმები. მოგება, სარგებელი (პროცენტი), მიწის ღალა (რენტა), წარმოების საშუალებათა სახმარი ღირებულებიდან, იმათი „სამსახურიდან“, რომელსაც ისინი გვიწევენ.

წარმოების პროცესში მოხმარებულ საშუალებათა ღირებულება უცვლელათ კვლავ ჩნდება წარმოების ღირებულებაში. მაგრამ შრომა არა თუ ინახავს ღირებულებას, იგი ქმნის აგრეთვე ახალ ღირებულებასაც. განსაზღვრულ დრომდე შრომა, რომელიც ახალ ღირებულებას ქმნის, მხოლოთ ანაზღაურებს კაპიტალისტის მიერ დახარჯულ ღირებულებას სამუშაო ძალის საყიდლით. როცა ამ დროს იქით გრძელდება შრომა, იგი ქმნის ზედმეტ ღირებულებას.

„მაშასადამე, კაპიტალის ის ნაწილი,—ამბობს მარქსი, რომელიც იქცევა წარმოების საშუალებებათ, ე. ი. ნედლ მა-

სალათ, დამხმარებელ ნივთიერებათ და შრომის იარაღებათ, წარმოების პროცესში არ ცვლის თავისი ღირებულების სიდიდეს. ამიტომ მე ვუწოდებ მას კაპიტალის მუდმივ (უცვლელ, განსაზღვრულ) ნაწილს, ანუ მოკლეთ: მუდმივ კაპიტალს.

„პირიქით, კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალაში იხარჯება, წარმოების პროცესში იცვლის თავის ღირებულებას. იგი კვლავ აღადგენს თავის საკუთარ ექვივალენტს და გარდა ამისა, ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელიც თითონ შეიძლება შეიცვალოს ე. ი. გახდეს დიდი ან პატარა. კაპიტალის ეს ნაწილი განუწყვეტლივ მუდმივ სიდიდისაგან იქცევა ცვალებადათ, ამიტომ მე ვუწოდებ მას კაპიტალის ცვალებად ნაწილს, ანუ მოკლეთ: ცვალებად კაპიტალს. კაპიტალის ერთი და იგივე შემადგენელი ნაწილები, რომლებიც, შრომის პროცესის თვალთახედვითი წერტილიდან განსხვავდებიან ურთიერთშორის, როგორც ობიექტიური და სუბიექტიური ფაქტორები, როგორც წარმოების საშუალებანი და სამუშაო ძალა, ღირებულების ზრდის პროცესის თვალთახედვის წერტილიდან, განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, როგორც მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი.“

მუდმივ კაპიტალის ღირებულების სიდიდე, როგორც უცვლელი სიდიდე, რა თქმა, უნდა გავიგოთ მხოლოთ ღირებულების ზრდის პროცესის თვალთახედვის წერტილიდან. წარმოების თვით პროცესით, რომელშიაც დახარჯულია მუდმივი კაპიტალი, მისი სიდიდე არ იცვლება, მაგრამ იგი შესაძლებელია შეიცვალოს სხვა ფაქტორების მიერ. აგრეთვე იცვლება ურთიერთობა მუდმივ კაპიტალსა და ცვალებადს შორის. ამას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით შემდეგ.

თავი III

სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხი

ავიღოთ კაპიტალი, ვთქვათ 5000 მან. იგი იყოფა ორ ნაწილათ: ერთი ნაწილი იხარჯება წარმოების საშუალებათა საყიდლათ,—მუდმივ კაპიტალათ c, რომელიც ეთანასწორება,

ვთქვათ, 4100 მან., და მეორე ნაწილი, რომელიც დანიშნულია სამუშაო ძალის საყიდლათ, ე. ი. ცვალებადი კაპიტალი v, რომელიც ეთანასწორება 900 მან. მუდმივი კაპიტალი, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილათ: ნედლი მასალა და სხვა, რომლის ღირებულება სულ მთლათ გადადის ნაწარმოებზე, და იარაღები და სხვ., რომლებიც წარმოების თითოეულ პროცესში ნაწარმოებს უმატებენ თავისი ღირებულების მხოლოთ ნაწილს. მაგრამ ჩვენ აქ არ გავუწევთ ანგარიშს უკანასკნელ განსხვავებას, ვინაიდან ეს მხოლოთ გაართულებდა ჩვენს დანიშნულებას და დასკვნას კი სრულებით არ შეცვლიდა. ამიტომ სიმარტივისთვის წარმოვიდგინოთ, რომ მთელი დახარჯული კაპიტალის ღირებულება სულ მთლათ გადადის ნაწარმოებზე.

კაპიტალისტმა იყიდა წარმოების საშუალებანი და სამუშაო ძალა, და შეუდგა წარმოებას. წარმოების პროცესის ბოლოს დახარჯული ღირებულება გადიდდა ზედმეტი ღირებულებით m, რომელიც ეთანასწორება 900 მან. ახლა, მაშასადამე, კაპიტალისტს აქვს: c+v+m=4100+900+900=5900 მ., და აქედან 4100 მან. შეადგენს გადატანილ ღირებულებას, 900+900 მან.—კი ახლათ შექმნილ ღირებულებას.

ახლა აშკარაა, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულების სიდიდე არავითარ გავლენას არ ახდენს შექმნილ ზედმეტი ღირებულების სიდიდეზე. წარმოების საშუალებათა გარეშე, რა თქმა უნდა, წარმოება შეუძლებელია და რამდენათ უფრო ხანგრძლივია წარმოების პროცესი, იმდენათ უფრო მეტათ საჭიროა ეს საშუალებანი. ამიტომ ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული რაოდენობის შექმნა თხოულობს წარმოების საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობის ხმარებას, შრომის პროცესის ტეხნიკური ხასიათის მიხედვით. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ამ საშუალებათა ღირებულება, იგი არავითარ გავლენას არ ახდენს ზედმეტი ღირებულების სიდიდეზე.

თუ მე ვაძლევ სამუშაოს 300 მუშას და თითოეული იმათგანის სამუშაო ძალის დღიური ღირებულება უდრის 1 მან.

50 კაპ., ის ღირებულება კი, რომელსაც თითოეული იმათგანი ქმნის ერთი დღის განმავლობაში ეთანასწორება 3 მან., მაშინ ეს 300 მუშა ერთი დღის განმავლობაში შექმნიან ღირებულებას 900 მან.,—აქედან 450 მან., ზედმეტ ღირებულებას, მიუხედავათ იმისა, ეთანასწორება თუ არა იმათ მიერ მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულება 2000, ან 4000, ან 8000 მანეთს. ღირებულების შექმნა და ღირებულების ცვლილება წარმოების პროცესში სრულებით დამოკიდებული არ არის დახარჯული მუდმივ კაპიტალის ღირებულების სიდიდეზე. ამიტომ როცა ჩვენ ვიკვლევთ ამ ორ პროცესს წმინდა სახით, ჩვენ შეგვიძლია სრულებით უყურადღებოთ დავტოვოთ მუდმივი კაპიტალი, წარმოვიდგინოთ, რომ იგი სრულებით არ არსებობს.

ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ მხოლოთ დახარჯული კაპიტალის ცვალებად ნაწილს, v, ნაწარმოების მთელი ღირებულებიდან შრომის მიერ მხოლოთ ახლათ შექმნილ ღირებულებას, რომელიც ეთანასწორება დახარჯული ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას+(მიმატებით) ზედმეტი ღირებულება, v+m. ზედმეტი ღირებულების ურთიერთობა და დახარჯულ ცვალებად კაპიტალთან ამ შემთხვევაში გამოიხატება=450:450=100 %. ცვალებადი კაპიტალის ღირებულების ამ შედარებით ზრდას, ანუ ზედმეტი ღირებულების შედარებით სიდიდეს მარქსი უწოდებს ზედმეტი ღირებულების ნორმას, საზომს (норма, Kate). იგი არ უნდა აურიოთ, როგორც ამას ხშირათ ჩადიან, მოგების ნორმაში. მოგება გამომდინარეობს ზედმეტი ღირებულებიდან, მაგრამ იგი არ არის ზედმეტი ღირებულება.

რომ მუშამ, დღის განმავლობაში, შექმნას ღირებულება თავისი სამუშაო ძალის ღირებულების თანაბარი, რომელიც ეთანასწორება v (ე. ი. ცვალებად კაპიტალს), მუშამ უნდა იმუშაოს განსაზღვრული დროის განმავლობაში, ჩვენი წინანდელი წარმოდგენით—6 საათის. ამ სამუშაო დროს, რომელიც მუშის არსებობის შესანახათ არის საჭირო, მარქსი

უწოდებს, აუცილებელ სამუშაო დროს. სამუშაო დღის იმ ნაწილს, რომლის განმავლობაში მუშა მუშაობს აუცილებელი დროის ნორმაზე ზევით და ქმნის ღირებულებას არა თავის სამუშაო ძალის ასანაზღაურებლათ, არამედ ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისთვის, მარქსი უწოდებს ზედმეტ სამუშაო დროს და შრომას, რომელიც დახარჯულია ამ ხნის განმავლობაში,—ზედმეტ შრომას. ზედმეტ შრომას ისეთივე ურთიერთობა აქვს აუცილებელ შრომასთან, როგორც ზედმეტ ღირებულებას ცვალებად კაპიტალთან; მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ზედმეტი ღირებულების ნორმა ასეთი ფორმულით გამოვხატოთ:

$$\frac{m}{v} \text{ ანუ } \frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა.}}$$

ზედმეტი ღირებულება ჩვენ წარმოგვიდგება ნაწარმოებთა განსაზღვრული რაოდენობის სახით, რომელსაც მარქსი ზედმეტ ნაწარმოებს უწოდებს. ამიტომ ზედმეტი ღირებულების ურთიერთობა ცვალებად კაპიტალთან აგრეთვე უნდა გამოისახოს ნაწარმოების განსაზღვრულ შემადგენელ ნაწილების ურთიერთ დამოკიდებულებით. ვარკვევთ რა უკანასკნელ ურთიერთობას, სადაც ლაპარაკია არა ახლათ შექმნილ ღირებულებაზე, არამედ გამზადებულ ნაწარმოებზე, ჩვენ ახლა უკვე აღარ შეგვიძლია, როგორც წინეთ, უყურადღებოთ დავტოვოთ მუდმივი კაპიტალი, რომელიც ნაწარმოების ღირებულების ნაწილს შეადგენს.

12 საათის სამუშაო დღის განმავლობაში ერთი მუშა ართავს 20 გირ. ძაფს, 15 მანეთათ ღირებულს. შემუშავებული ბამბის ღირებულება ეთანასწორება 10 მან. (20 გირ. ათ-ათ შაურათ). თითისტარის გაცვეთის და სხვ. ღირებულება ეთანასწორება 2 მანეთს, სამუშაო ძალის ღირებულება= 1 მან. 50 კაპ., ზედმეტი ღირებულების ნორმა, ვთქვათ, უდრის=100%. მაშასადამე, ძაფის ღირებულება იქნება 15 მან.=12 მან. (c) + 1 მან. 50 კაპ. (v) + 1 მან. 50 კ. (m); ეს ღირებულება განხორციელებულია 20 გირ. ძაფში,

მაშასადამე, მუდმივი კაპიტალი 16 გირვანქაში, ცვალებადი კაპიტალი 2 გირ., ზედმეტი ღირებულებაც აგრეთვე 2 გირვანქაში.

20 გირვანქა ძაფს ამზადებენ 12 საათის განმავლობაში, მაშასადამე, ერთ საათში $1^2/_3$ გირვანქას; 16 გირვანქა, რომელშიაც მუდმივი კაპიტალის ღირებულებაა განხორციელებული, გაკეთებულია 9 საათსა და 36 წუთში; 2 გირვანქა, რომელშიაც ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაა განხორციელებული, ერთ საათსა და 12 წუთში, აგრეთვე 2 გირვანქაც, რომელშიაც ზედმეტი ღირებულებაა განხორციელებული.

ამნაირი გამოანგარიშების წესით, შესაძლებელია ვისმეს მოეჩვენოს, რომ ზედმეტი ღირებულება კეთდება ვითომც არა 6 საათის განმავლობაში, როგორც ჩვენ ვიანგარიშეთ, არამედ მხოლოთ ერთი საათის და 12 წუთის განმავლობაში. სწორეთ ასე ანგარიშობენ ფაბრიკანტები და დაბეჯითებითაც ირწმუნებიან, რომ იმათი მოგება იბადება (ანუ კეთდება) უკანასკნელი სამუშაო საათის განმავლობაში, და, თუ რომ სამუშაო დღე შემოკლებული იქნება, თუნდაც მხოლოთ ერთი საათითაც, მაშინ გაქრება ყოველივე მოგება და თვით მრეწველობაც დაიღუპებაო. უკვე 1836 წელს ასეთი ანგარიში წამოყენებული იქნა ინგლისის ფაბრიკანტების და იმათი ნასწავლი თუ უსწავლი ვექილების მიერ სენიორის მეთაურობით, როგორც სამუშაო დღის შემოკლების წინააღმდეგ საკანონმდებლო გზით. ამავე საბუთს აყენებენ ახლაც გერმანიაში და ავსტრიაში (და აგრეთვე ჩვენშიაც, დავსძენთ ჩვენ. მთარგმ.) ნორმალური სამუშაო დროს დარდგენის წინააღმდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ მისი სრული უსაფუძვლობა შვენივრათ დაამტკიცა ინგლისის ისტორიულმა გამოცდილებამ. სამუშაო დრო ინგლისში შემოკლებულია საკანონმდებლო გზით შრომის სხვა და სხვა დარგში—ამას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით—და, მიუხედავათ ამისა, იქ მრეწველობა არ დაღუპულა, და ბატონ ფაბრიკანტების მოგება ამის გამო თითქმის არც კი შემცირებულა.

ეს საბუთი საესებით აშენებულია სახმარი ღირებულების საქონლის ღირებულებასთან არევაზე. უკანასკნელ საათის განმავლობაში კეთდება 2 გირვანქა ძაფის სახმარი ღირებულება, და არა მისი (2 გირ. ძაფის) ღირებულება. 2 გირვანქა ძაფი არაფრისაგან ხომ არ არის შექმნილი ჰაერში? 2 გირვანქა ძაფში განხორციელებულია არა მარტო 1 საათის და 12 წუთის მუშაობა იმის, ვინც ართავს, არამედ აგრეთვე 2 გირვანქა ბამბის ღირებულებაც, და ჩვენი წარმოდგენით (ერთი გირვანქა ბამბა ღირს 50 კაპ., 50 კაპ. კი უდრის შრომის 2 საათს) ორ გირვანქა ბამბაში განხორციელებულია 4 სამუშაო საათი; გარდა ამისა ორ გირვანქა ძაფზე გადატანილია თითისტარის იმოდენი ღირებულება, რამდენიც საზოგადოებრივათ-აუცილებელ სამუშაო დროს—48 წუთის განმავლობაში კეთდება. მაშასადამე, ნამდვილათ 2 გირვანქა ძაფის გასამზადებლათ, რომელიც გაკეთებულია 1 საათის და 12 წუთის განმავლობაში, საჭიროა 6 სამუშაო საათი. თუ რომ ჩვენს მაგალითში მუშას მართლა გაეკეთებია 1 საათის და 12 წუთის განმავლობაში მთელი სახმარი ღირებულება, რომელიც 6 საათის ღირებულების ნაწარმოებს წარმოადგენს, მაშინ მას 12 საათის სამუშაო დღის განმავლობაში უნდა გაეკეთებია ისეთი ღირებულება, რომელიც შეესაბამება 60 სამუშაო საათს! და, აი, ფაბრიკანტების ასეთ სისულელეს ერწმუნებიან!

ვინაიდან ამ საბუთს ზოგიერთ წრეებში დღემდისაც აქვს გასავალი, ამიტომ ჩვენ საჭიროთ ვთვლით სინათლეზე გამოვიტანოთ კიდევ ერთი მისი მხარე. გამოვიანგარიშოთ, როგორი იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმა, თუ რომ ზემოთ ნაჩვენებ პირობებში სამუშაო დღე 12 სათიდან 11 საათამდე შეემოკლებიათ.*)

---

*) ამასთანავე ჩვენ ვგულისხმობთ, რომ სამუშაო დღის 12 საათიდან 11 საათამდე შემოკლება იწვევს აგრეთვე წარმოების ნაყოფიერების $^1/_{12}$ ნაწილით შემცირებასაც; მაგრამ, ნამდვილათ კი, ეს საეალდებულო არ არის. ჩვეულებრივათ სამუშაო დღის შემოკლება იწვევს ენერგიის,

ახლა ჩვენ გვექნება მუდმივი კაპიტალი არა 12 მანეთის, არამედ მხოლოთ 11 მანეთის, ვინაიდან ახლა მზადდება ნაკლები ($18^1/_3$ გირვანქა ბამბა, ღირებული 9 მან. $16^2/_3$ კაპ.; თითისტარის და სხვ. გაცვეთა ეთანასწორება მხოლოთ 1 მან. და $83^1/_3$ კაპ.); ამას უნდა მივუმატოთ ცვალებადი კაპიტალი —1 მან. და 50 კაპ. (ჩვენ ვგულისხმობთ, რომ სამუშაო ხელფასი 11 საათის შრომისათვის იგივე რჩება, რაც 12 საათისთვის) და ზედმეტი ღირებულება—1 მან. და 25 კაპ.; მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა ახწევს არა 100%, არამედ მხოლოთ $83^1/_3$%.

მთელი ეს ნაწარმოები შეადგენს $18^1/_3$ გირვანქა ძაფს, ღირებულს 13 მან. და 75 კაპ.; მუდმივი კაპიტალი განხოციელებულია $14^2/_3$ გირვანქა ძაფში; ცვალებადი კაპიტალი—2 გირვანქაში; ზედმეტი ღირებულება—$1^2/_3$ გირვანქაში. $14^2/_3$ გირვანქა ძაფი დამუშავებულია 8 საათის და 48 წუთის განმავლობაში; 2 გირვანქა---ერთი საათის და 12 წუთის და იმ ძაფის რაოდენობა, რომელსაც შეიცავს ზედმეტი ღირებულება ($1^2/_3$ გირ.), გამზადებულია ერთი საათის განმავლობაში. სამუშაო დროს ერთი საათის შემოკლების მეოხებით, დრო, რომელიც საჭიროა ზედმეტი ნაწარმოების გასაკეთებლათ, რომელსაც ზედმეტი ღირებულება შეიცავს, შემოკლდა, მაშასადამე, არა ერთი საათით, არამედ მხოლოთ 11 წუთით. ფაბრიკანტის ანგარიში დამყარებულია იმ გასაოცარ წარმოდგენაზე, რომ 11 საათის განმავლობაში კეთდება ნაწარმოების $^1/_{12}$ ნაწილით ნაკლები, ვინემ 12 საათის განმავლობაში, მაგრამ წარმოების საშუალებანი კი (მაგ., ნედლი მასალა და სხვ.) იმდენივე იხარჯება, რაც 12 საათის განმავლობაში!

მოხერხების, მუყაითობის, მიხვედრილობის და, საზოგადოთ, მუშის სამუშაო ძალის მაღლა აწევას. რასაც შეუძლია მიახწიოს ისეთ განვითარებამდე, რომ მუშა უფრო მოკლე დროს განმავლობაში აკეთებს უფრო მეტს, ვინემ წინეთ უფრო გრძელ ვადაში. მაგრამ სამუშაო დროს შემოკლების ამ მხარეს ჩვენთვის აქ მნიშვნელობა არა აქვს, და, ამიტომ, საქმე რომ არ გავართულოთ, მას ჩვენ აქ მხედველობაში არ ვიღებთ.

თავი IV

ზედმეტი ღირებულება და მოგება*)

იგივე განსხვავება, რომელიც არსებობს ღირებულებასა და ფასს შორის, არსებობს აგრეთვე ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის. საქონლის გამყიდავს და მყიდველს აინტერესებს მხოლოთ საქონლის ფასი. ამიტომ იმათ მხოლოთ ფასის კანონი აინტერესებს, ვინაიდან ამ კანონის ცოდნა შეიძლება მათთვის სასარგებლო დარჩეს სავაჭრო საქმეებში და ანგარიშებში. პირიქით, ღირებულების კანონები, რომლებიც საფუძვლათ უდევთ ფასს, აინტერესებენ მხოლოთ მეცნიერს, რომლის ინტერესს არ შეადგენს ის, რომ მან რაც შეიძლება იაფათ იყიდოს და რაც შეიძლება ძვირათ გაყიდოს, არამედ ის, რომ ახსნას და განმარტოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც შექმნილია საქონლის წარმოებით.

აგრეთვე კაპიტალისტს აინტერესებს არა ზედმეტი ღირებულება, არამედ მოგება. მას სურს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება და არა კაპიტალის და შრომის ურთიერთობის ახსნა-განმარტება. მისთვის სულ ერთია, რამდენი შრომაა დახარჯული ამ მოგებაზე. მის საკუთარ შრომას ხომ არ შეუქმნია ის? იგი შექმნილია მისი (კაპიტალისტის) ფულით. ამიტომ აღებულ ზედმეტ ღირებულებას იგი პირისპირ უყენებს არა შრომის იმ რაოდენობას, რომელიც ამ ღირებულების გაკეთებაზეა დახარჯული, არამედ იმ ფულის რაოდენობას, რომელიც ამისთვისაა დახარჯული. თუ ზედმეტი ღირებულების შექმნის მოძრაობა გამოიხატება ფორმულით: **ფ—ს—(ფ+ფ)**, კაპიტალისტი თავის მოგებას ზომავს ფ—ს ურთიერთობით

---

*) მეორე განყოფილების მეოთხე თავის „ზედმეტი ღირებულება და მოგება“ გერმანულ დედნის 1894 წლის გამოცემაში არ მოიპოვება. ეს თავი ავტორმა დაუმატა თავისა შრომას მხოლოთ მას შემდეგ, რაც „კაპიტალის“ მესამე ტომი იქნა გამოქვეყნებული, სულ უკანასკნელ დროს. მისი შინაარსიც აღებულია „კაპიტალის„ მესამე ტომიდან. ამ შემთხვევაში ეს თარგმანი ემყარება მარტო რუსულ ნათარგმნებზე. **მთარგმ.**

ფ-თან. მაგრამ ეს ურთიერთობა სრულებით განსხვავდება v—ს m—ს ურთიერთობიდან, ცვალებადი კაპიტალის ზედმეტი ღირებულების ურთიერთობიდან. იმ ფულის რაოდენობა, რომელიც კაპიტალისტს უნდა დაეხარჯა წარმოებაზე, უნდა იყოს საკმარისი არა მარტო სამუშაო ხელფასის ხარჯების დასაფარავათ, არამედ აგრეთვე ფაბრიკის შენობის, მაშინების, ნედლი მასალის, დამხმარებელ ნივთიერებათა და სხ., ერთი სიტყვით, ყველაფრისთვის, რასაც მარქსი აღნიშნავს ტერმინით „მუდმივი კაპიტალი". ამის გამო უკვე, როცა ზედმეტი ღირებულება თითქმის საესებითაც უთანასწორდება მოგებას, მოგების ნორმა მაინც სხვა არის, ვინემ ზედმეტი ღირებულების ნორმა. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა გამოიხატება ფორმულით v : m, მოგების ნორმა გამოიხატება ასე: (c+v) : m.

აღვნიშნოთ კიდევ, რომ წარმოების მრავალ დარგში, სახელდობ მეურნეობაში, წელიწადი შეადგენს წარმოების ბუნებრივ ხანას (პერიოდს), რომლის გასვლის შემდეგ წარმოება კვლავ ახლდება. ამიტომ ჩვეულებათ გარდაიქცა მოგების ნორმის გამოანგარიშება თანახმათ იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს მოგების მთელ რაოდენობასა, რომელიც აღებულია წლის განმავლობაში, და იმ კაპიტალის რაოდენობას შორის, რომელიც დაიხარჯა იმავე წელს.

პირველი შეხედვითვე აშკარაა, რომ მოგების ნორმასა და ზედმეტ ღირებულების ნორმას შორის უნდა არსებობდეს განსხვავება. წინა თავში მაგალითისთვის ჩვენ ავიღეთ კაპიტალი—5000 მანეთი, რომლიდანაც 4,100 მან. შეადგენდა მუდმივ კაპიტალს (c), 900 მან. ცვალებადს (v); 900 მან. ზედმეტ ღირებულებას (m).

ზედმეტი ღირებულების ნორმა ეთანასწორებოდა, მაშასადამე, 900:900=100%. პირიქით, მოგების ნორმა ამ შემთხვევაში ეთანასწორება 5,000:900=18%.

მაგრამ, თუ ჩვენ სხვანაირათ ვიანგარიშებთ, იმ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმასა და მოგების ნორმას

შორის აშკარავდება კიდევ, გარდა ამ წმინდა ფორმალური განსხვავებისა, სხვა განსხვავებაც.

აშკარა უნდა იყოს, რომ თუკი კაპიტალის შედგენილობა ანუ შენობა იცვლება, თუ სამუშაო ხელფასის ერთ და იმავე რაოდენობაზე მიდის მუდმივი კაპიტალის სხვა და სხვა რაოდენობა, მაშინ ზედმეტი ღირებულების ერთი და იგივე ნორმის დროს ჩვენ მივიღებთ მოგების სხვა და სხვა ნორმებს.

მაგრამ კაპიტალის შენობა წარმოების თითოეულ დარგში ტეხნიკური განსხვავების და ტეხნიკური განვითარების ხარისხის მიხედვით აუცილებლათ სხვა და სხვაა. „კაპიტალის შენობას ღირებულების მხრით, რამდენათაც იგი განისაზღვრება ტეხნიკური შედგენილობით და მაში გამოკრთის, ჩვენ ვუწოდებთ ორგანიულ შენობას... ამიტომ ისეთ კაპიტალს, რომელიც შედარებით უფრო მეტ მუდმივ კაპიტალს შეიცავს, მაშასადამე, უფრო ნაკლებ ცვალებადს, საშუალო საზოგადოებრივ კაპიტალთან შედარებით, ჩვენ ვუწოდებთ უმაღლესი შენობის კაპიტალს. პირიქით, ისეთ კაპიტალს, რომელშიაც მუდმივი ნაწილი შეადგენს შედარებით ნაკლებ სიდიდეს და ცვალებადი ნაწილი კი უფრო მეტ სიდიდეს საშუალო საზოგადოებრივ კაპიტალთან შედარებით, ჩვენ ვუწოდებთ დაბალი შენობის კაპიტალს. დასასრულ, საშუალო შენობის კაპიტალათ ჩვენ მიგვაჩნია ისეთი კაპიტალი, რომლის შენობა ეთანასწორება საშუალო საზოგადოებრივი კაპიტალის შენობას („კაპიტალი,“ III ტ., გვ. 119—120 რუს. თარგმ.).

ვნახოთ ახლა, თუ როგორი ხდება მოგების ნორმა კაპიტალის შენობის (შედგენილობის) სხვა და სხვა ფორმების ზეგავლენით. ავიღოთ სამი საწარმოო საქმე წარმოების სხვა და სხვა დარგიდან. ვთქვათ, რომ ერთი ამ დარგთაგანი ტეხნიკურათ ჩამორჩენილია; მაში მუშების რიცხვთან შედარებით ნაკლებ მაშინებს ხმარობენ, არ საჭიროებენ დიდ საფაბრიკო შენობებს და სხვ. ეს არის წარმოების დარგი დაბალი ორგანიული შენობით. ვთქვათ, მეორე დარგს აქვს საშუალო ორგანიული შენობა და მესამე დარგი არის უმაღლესი შე-

ნობის, ასე რომ იქ თითოეულ მუშაზე მოდის ღირებულების მოზრდილი ნაწილი, მაშინების და შენობების სახით. მისი კაპიტალის ორგანიული შენობა იქნება უმაღლესი.

ჩვენი მაგალითის რაც შეიძლება უფრო გასაადვილებლათ, ჩვენ ვღებულობთ, რომ წარმოების ყველა ამ დარგებში ზედმეტი ღირებულების ნორმა ერთნაირია და მთელი დაბანდებული კაპიტალი ერთი წლის განმავლობაში ერთხელ ბრუნდება, ე. ი. რომ იგი წლის განმავლობაში სულ მთლათ იხარჯება წარმოებაში და შემდეგ ნაწარმოები წლის ბოლოს სულ მთლათ იყიდება. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სინამდვილეში ასე არ ხდება, მაგრამ ჩვენ ეს უნდა მივიღოთ იმიტომ, რომ ჩვენი მაგალითი არ გავართულოთ და გაუგებარი არ გავხადოთ.

ვთქვათ, რომ თითოეულ ამ საწარმოო საქმეში მუშაობს ას-ასი კაცი წლიური ხელფასით—500 მან. ზედმეტი ღირებულების რაოდენობა სამივე საქმეში უდრის 100%; სამუშაო ხელფასის რაოდენობა მთელ წარმოებაში, მაშასადამე, უდრის 50,000 მან. ზედმეტი ღირებულების რაოდენობაც აგრეთვე=50,000 მან. მაგრამ მუდმივი კაპიტალი, ვთქვათ, ერთ საქმეში A უდრის 50,000 მან., მეორე საქმეში B—150,000 მან., და მესამეში C კი—250,000 მან.

ამ ნაირათ ჩვენ გვაქვს:

საწარმოო საქმეები	კ ა პ ი ტ ა ლ ი			ზედმეტი ღირებულება	ზედმეტი ღირებ. ნორმა, ე. ი. ზედმეტ ღირებ. ურთიერთობა ცვალებად კაპიტალთან	მოგების ნორმა, ე. ი. ზედმეტ ღირებ. ურთიერთობა მთელ კაპიტალთან
	ცვალებ.	მუდმივი	მთელი			
	მან.	მან.	მან.	მან.	პროც.	პროც.
A	50 000	50 000	100 000	50 000	100	50
B	50 000	150 000	200 000	50 000	100	25
C	50 000	250 000	300 000	50 000	100	15,6
სულ	150 000	450 000	600 000	150 000	100	25

მაშასადამე, თუ საქონელი თავისს ღირებულებაზე იყიდება, იმ შემთხვევაში, ზედმეტი ღირებულების ერთნაირ ნორმასთან ერთათ, მოგების ნორმა სულ სხვა და სხვაა.

მაგრამ მოგების ნორმის ეს განსხვავება კაპიტალისტურ წარმოებაში შეუძლებელია ხანგრძლივი დარჩეს. კაპიტალისტი აწარმოებს საქმეს მხოლოთ იმ მიზნით, რომ მოგება ნახოს, და არა იმიტომ, რომ რაიმე მოთხოვნილება დააკმაყოფილოს; მისთვის სულ ერთია, რას აწარმოებს იგი, ნემსები იქნება ეს, თუ ორთქლმავლები, ვაქსი თუ ოდეკოლონი; უმთავრესი ის არის, რომ თავისს ფულში რაც შეიძლება მეტი მოგება აიღო. რა შედეგი მოყვება იმას, რომ ერთ დარგში კაპიტალს მოაქვს 50% და მეორეში კი მხოლოთ 17%? კაპიტალი შეძლების დაგვარათ თავს გაანებებს უკანასკნელ დარგს და მთელი თავისი ძალ-ღონით გაეშურება პირველში. A-ს დარგში გაჩნდება ძლიერი მეტოქეობა, საქონლების წარმოება მასში ჩქარა გაიზრდება, მაშინ როცა C-ს დარგში წარმოება დაიკლებს.

აქ ჩვენ შევდივართ მოცილეობის სფერაში, მოთხოვის და მიწოდების სამფლობელოში. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ღირებულება და ფასი—სრულებით სხვა და სხვა ცნებებია, თუმც ფასი განისაზღვრება ღირებულებით. იმ მიზეზებში, რომელთა გავლენით ფასი იხრება ღირებულებიდან, იგი დგას ხან მაღლა, ხან დაბლა, ყველაზე უფრო საყურადღებოთ უნდა ჩაითვალოს ცვლილება ერთი მხრით მყიდველების მოთხოვაში და მეორე მხრით გამყიდველთა მიწოდებაში.

მოთხოვა და მიწოდება მეტოქეობის თავისუფლების მეოხებით თანამედროვე წარმოებაში გამწესრიგებლის როლს ასრულებენ; უიმათოთ ეს წარმოება დაიღუპებოდა, ვინაიდან იგი არ ხდება გეგმასთან შეფარდებით, არამედ იგი აშენებულია კერძო პირთა თანხმობაზე, რომელთაგან თითოეული მოქმედებს თავის შეხედულებისამებრ. მოთხოვა და მიწოდება ზრუნვენ იმისთვის, რომ არსებული სამუშაო ძალები ისეთნაირათ დანაწილდენ წარმოების სხვა და სხვა დარგებში, რომ საერთოთ თითოეულმა იმათგანმა გააკეთოს იმდენი, რამ-

დენსაც საზოგადოება განსაზღვრულ პირობებში თხოულობს. რა თქმა უნდა, ეს სწორეა მხოლოთ საზოგადოთ, და არა კერძოთ, არა თითოეულ ცალკე შემთხვევაში. პირიქით, ვინაიდან თანამედროვე წარმოებაში მწყობრ და გეგმასთან შეთანხმებულ მოქმედებას ადგილი არ აქვს, ყოველთვის ესა თუ ის საქონელი მზადდება ან ძლიერ ბევრი, ან ძლიერ ცოტა. მხოლოთ მოთხოვის და მიწოდების თამაში, ფასების აწევა თუ დაწევა, იწვევს იმას, რომ წარმოება ფართოვდება ან კლებულობს თანახმათ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა.

თუ რომელიმე საქონელი გაკეთებულია იმაზე მეტი, რაც საჭიროა, ე. ი. რის შეძენა საზოგადოების წევრთ შეუძლიანთ, მაშინ ამ საქონლის ფასი დაბლა იწევს და საზოგადოების იმ წევრთა რიცხვი, ვისაც შეუძლია ან სურს მისი შეძენა, იზრდება. მაგრამ ფასთან ერთათ დაბლა იწევს აგრეთვე მოგებაც. თუ უკანასკნელი საშუალო მოგების ნორმა დაბლა იწევს, მაშინ კაპიტალი გადადის მრეწველობის ამ დარგიდან, რომელშიაც ამიტომ წარმოება მცირდება და ამის გამო ფასი კვლავ მაღლა იწევს, სანამ არ მიაღწევს იმ სიმაღლეს, რომელიც მოგების საშუალო ნორმას შეეფერება.

პირიქით, თუ ფასი იწევს საშუალო ნორმაზე მაღლა იმიტომ, რომ იმას ნაკლებს აკეთებენ მოთხოვასთან შედარებით, მაშინ იზრდება მოგებაც. კაპიტალი ეტანება მრეწველობის ამ დარგს, წარმოება ფართოვდება, რის გამო ფასები კვლავ უახლოვდებიან იმ ნორმას, რომელიც იძლევა საშუალო მოგებას. ამ საშუალო მოგების გარშემო განუწყვეტლივ ხდება ფასების ტოკვა, აწევ-დაწევა, და მხოლოთ ამ აწევ-დაწევის შეოხებით შესაძლებელია იმ საშუალო ნორმის აღმოჩენა, რომელიც ჩნდება არა როგორც რაიმე შეურყეველი, არამედ როგორც მიდრეკილება ანუ ტენდენცია.

მოთხოვამ და მიწოდებამ აგრეთვე წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ მოგების ნორმათა განსხვავებას, რომელიც დამოკიდებულია კაპიტალის ორგანიულ შენობის განსხვავებაზე.

ვთქვათ, რომ C-ს დარგში წარმოებამ დაიკლო, რის გა-

მო ფასი და მოგება გადიდდა. A-ს დარგში წარმოება გაფართოვდება და ფასები დაბლა დაიწევენ. ვთქვათ, რომ როგორც პირველ, ისე მეორე დარგში, ცვლილება გრძელდება მანამ, სანამ მოგება არ გაუთანასწორდება და არ მიუახლოვდება მოგების საშუალო ნორმას. ჩვენ მივიღეთ, რომ B წარმოადგენს კაპიტალის საშუალო ორგანიულ შენობას, და მისი მოგების ნორმა, მაშასადამე,—მოგების საშუალო ნორმას. მაშინ მოგება ამ საქმეში გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

საქმეები	მთელი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	ზედმეტი მუშაობ. ნორმა	მოგების ნორმა	მოგება
	მანეთი	მანეთი	პროცენ.	პროცენ.	მანეთი
A . . .	100 000	50 000	100	25	25 000
B . . .	200 000	50 000	100	25	50 000
C . . .	300 000	50 000	100	25	75 000
სულ. .	600 000	150 000	100	25	150 000

მაგრამ მოგების ნორმათა ეს გათანასწორება შესაძლებელი შეიქნა მხოლოთ იმიტომ, რომ საქონლების ფასები გადაიხარენ საქონლის ღირებულებიდან. ვინაიდან, ჩვენი წარმოდგენით, მთელი დახარჯული კაპიტალი ბრუნდება წლის განმავლობაში ერთხელ და შედის სულ მთლათ წლიური ნაწარმოების ღირებულებაში, ამიტომ ჩვენ ვღებულობთ შემდეგ ურთიერთობას თითოეული დარგის წლიური ნაწარმოების ღირებულებასა და ფასს შორის:

საქმეები	მთელი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	მთელი ნაწარმოებ. ღირებ. (წარმოებ. ხარჯები+ზედმეტი ღირებულება)	მოგება	მთელი ნაწარმ. საწარმოო ფასი (წარმოების ხარჯები+ მოგება)
	მანეთი	მანეთი	მანეთი	მანეთი	მანეთი
A . .	100 000	50 000	150 000	25 000	125 000
B . .	200 000	50 000	250 000	50 000	250 000
C . .	300 000	50 000	350 000	75 000	375 000
სულ .	600 000	150 000	750 000	150 000	750 000

თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ თითოეული სამრეწველო საქმის წლიური ნაწარმოები შედგება 10 000 ცალი საქონლისაგან, მაშინ ჩვენ საქონლის თითოეული ცალისთვის მივიღებთ:

	A	B	C
ღირებულება . . .	15 მან.	25 მან.	35 მან.
წარმოების ფასი . .	12 მ. 50 კ.	25 მან.	37 მ. 50 კ.

მაგრამ ეს პროცესი ნამდვილათ ისე კი არ ხდება, რომ თითოეული კაპიტალისტი ღებულობს თავისს წარმოებაში გამზადებულ მთელ ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. რომ ერთი დარგის კაპიტალისტები ღებულობენ 50% მოგებას და მეორესი კი მხოლოთ 17%-ს. ასეთ განსხვავებას ჩვენ ვპოულობთ მხოლოთ წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების დასაწყისში, და ჩვენ დროში კი ისეთ ქვეყნებში და წარმოების ისეთ დარგებში, რომლებშიაც ეს წესი მხოლოთ ფეხს იკიდებს. განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებაში კი თანდათან ვითარდება ჩვეულებრივი საშუალო ნორმა, რომელსაც კაპიტალისტები წინდაწინ ღებულობენ მხედველობაში თავიანთ ანგარიშების და შეფასების დროს, რაც, რა თქმა უნდა, სრულებით იმათ ხელს არ უშლის ისარგებლონ თითოეული მოხერხებული შემთხვევით ფასების ასაწევათ, მაშინ როცა მოგების ნორმის სულ მცირედი დაბლა დაწევაც კი იმათ მიაჩნიათ დიდ ზიანათ. ის ფასი, რომელიც შესდგება წარმოების ხარჯებისაგან (დახარჯული: ცვალებადი და მუდმივი კაპიტალი) და „ჩვეულებრივი მოგებისაგან“, კაპიტალისტებს მიაჩნიათ „ბუნებრივათ. მარქსი ამას უწოდებს წარმოების ფასს. იგი შესდგება ხარჯების ფასიდან (ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის ჯამი) და საშუალო მოგებიდან.

არა ღირებულება, არამედ წარმოების ფასი შეადგენს განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებაში იმ საშუალო ნორმას, რომლის გარშემო ტალღის მსგავსათ ტოკავენ საბაზრო ფასები მოთხოვის და მიწოდების გავლენით. მაგრამ

თვით წარმოების ფასი ჰაერში არ კიდია, არამედ მას საფუძვლათ უდევს ღირებულება.

მარქსის ღირებულების თეორიის მოწინააღმდეგენი სიამოვნებით გვითითებენ, რომ მარქსმა „კაპიტალის“ მესამე ტომში ვითომც უარყო თავისი თეორია ღირებულების შესახებ, რომელიც მან იმავე „კაპიტალის“ პირველ ტომში განმარტა, დაამტკიცა რა, რომ საქონლის კაპიტალისტურათ განვითარებულ წარმოებაში მოგების გათანასწორებისაკენ მიდრეკილების გავლენით საქონლების უმრავლესობის ფასები თითქმის მუდამ შორდებიან იმათ ღირებულებას, ასე რომ ზოგიერთ საქონლების ფასები იმდენათ დაბლა დგანან თავისს ღირებულებაზე, რამდენათ დანარჩენი საქონლების ფასები თავის ღირებულების მაღლა დგანან. მაგრამ მარქსი მხოლოთ მაშინ უარყოფდა თავის თეორიას ღირებულების შესახებ, თუ რომ იგი დაამტკიცებდა, რომ საქონლის ფასი დამოუკიდებელია იმის ღირებულებაზე. „კაპიტალის“ მესამე ტომი კი, წინააღმდეგ ამისა, ამტკიცებს სწორეთ იმას, რომ წარმოების ფასი, რომლის გარშემო ტრიალებს საბაზრო ფასი, სავსებით ემორჩილება ღირებულების კანონს, და გარეშე ამისა იგი სრულებით გაუგებარია. საშუალო მოგება, როგორც ფაქტორი, რომელიც იწვევს წარმოების ფასების გადახრას ღირებულებიდან, შესაძლებელია აიხსნას მხოლოთ ზედმეტი ღირებულების კანონებით, რომლებიც თავისი მხრით გამომდინარეობენ ღირებულების კანონებიდან.

თუ ჩვენ არ მივიღებთ, რომ ზედმეტი ღირებულების მთელი რაოდენობა (ჯამი) საზოგადოებაში და მოგების მთელი ჯამი მისი სხვა და სხვა ფორმით (სარგებელი, მიწის ღალა-რენტა, რომელთაც ჩვენ აქ არ ვეხებით) ერთი ერთმანეთს ეთანასწორება, იმ შემთხვევაში ჩვენ ვკარგავთ ყოველგვარ საშუალებას ავხსნათ, რისთვის არის ის, რომ ამა თუ იმ ურთიერთობაში მოგების საშუალო ნორმა არის განსაზღვრული სიდიდე.

საქონლის ღირებულების კანონს არ უარყოფს ის გარე-

მოება, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებაში ღირებულებასა და ფასს შორის ჩნდება ახალი შუათანა წევრი, ეს წევრია მოგების საშუალო ნორმა და სავსებით მაზე დამყარებული წარმოების ფასი. თუ აქედან ჩვენ უარვყოფთ ამ კანონის სინამდვილეს, მაშინ ჩვენ ასეთივე დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ დაცემის კანონის შესახებაც, ვინაიდან სხეულის დაცემა უფრო მეტ დაბრკოლებას ხვდება წყალში, ვინემ ჰაერში.

მარქსის თეორია წარმოების ფასზე შეუძლებელია გამოვყოთ ღირებულების და ზედმეტი ღირებულების თეორიისაგან. პირველი (თეორია ნაწარმოების ფასზე) არა თუ არ ხდის მეორეს უაზრობათ (absurdum), არამედ იგი შეადგენს მის დაგვირგვინებას. წარმოების ფასების თეორია გვაძლევს ჩვენ გასაღებს მოვლენათა მთელი რიგის ასახსნელათ, რომელზედაც დამყარებულია გაბატონებულ კლასების ურთიერთობანი, — იმ წინააღმდეგობის გამოსარკვევათ, რომელიც არსებობს კაპიტალსა (მოგებას) და მიწის საკუთრებას (მიწის ღალას), სამრეწველო კაპიტალსა და ფულის კაპიტალს (ფულის სარგებელი) შორის და სხვ. მაგრამ, გარდა ამისა, ეს თეორია გვაძლევს ჩვენ აგრეთვე გასაღებს ღირებულების მთელი რიგის თეორიების გასაგებათ და, მაშასადამე, იმათ უარის საყოფათ, ვინაიდან ღირებულების შესახებ თეორიების მთელი რიგი არსებითათ არის მხოლოთ წარმოების ფასის თეორიები, რომელსაც (ფასს) ისინი ღებულობენ, როგორც საბოლოო ფაქტორს, რომელიც საბაზრო ფასებს საზღვრავს.

განვიხილოთ აქ მოკლეთ ის თეორიები ღირებულების შესახებ, რომლებიც ღირებულების შრომით განსაზღვრას უარყოფენ. ყველა ამ თეორიების შესახებ შეიძლება ითქვას ის, რომ ისინი სრულებით არ არიან ღირებულების თეორიები, რომ ღირებულებაში ისინი გულისხმობენ ისეთ რამეს, რაც სრულებით ღირებულება არ არის, სახელდობ: სახმარ ღირებულებას, წარმოების ფასს, საშუალო ფასს.

რა თქმა უნდა, ამაზე შეუძლიათ გვიპასუხონ, რომ თითოეულ ეკონომისტს უფლება აქვს ესმოდეს ღირებულება ისე, როგორც მას სურს. ჩვენ მხოლოთ იმას უნდა. მივაქციოთ ყურადღება, სწორეთ ხსნის ის თუ არა იმას, რაც მას ღირებულებათ მიაჩნია. ჩვენთვის სრულებით სულ ერთია, სახმარი ღირებულების თეორიაა ეს, ფასის, თუ სხვა რამის.

ასეთ გულუბრყვილო, არამეცნიერულ შეხედულებას არც ერთ სხვა მეცნიერებაში სერიოზულ ყურადღებას არ მიაქცევდენ. ავიღოთ, მაგ., ატომისტური თეორია. რას იტყოდენ ისეთ შეხედულებაზე, რომლის თანახმათ თითოეულ მკვლევარს შეუძლია იგულისხმოს ატომში ყველაფერი, რაც მას ენებება, მაგ., მოლეკული ან უჯრედი? შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ სულ ერთია, უწოდებს იგი თავისს უჯრედების თეორიას, ვთქვათ, ატომისტურ თეორიას, თუ არა? არას გზით. მაშინვე უპასუხებდენ, რომ ატომის საკითხში მნიშვნელობა აქვს არა სახელწოდებას, რომელსაც თავის ნებით ხმარობენ ამა თუ იმ შემთხვევაში, არამედ განსაზღვრულ პროცესსებს, რომლებიც იწვევენ მოლეკულების თუ უჯრედების წარმოშობას და რომელთა ახსნა-განმარტებას უნდა ემსახურებოდეს ატომისტური თეორია. შეიძლება მივიღოთ ან უარვყოთ ატომისტური თეორია, ე. ი. შეიძლება ავხსნათ დასახელებული პროცესები ერთი რომელიმე თეორიის საშუალებით, მაგრამ შეუწყნარებელი მეცნიერული შეცდომა იქნებოდა, ატომი ვუწოდოთ იმ პროცესების ნაწარმოებს, რომლებიც, თანახმათ თეორიისა განისაზღვრებიან ატომების მდგომარეობით. არასოდეს არ შეიძლება ძირითადი მოვლენა ავურიოთ იმაში, რაც მის შედეგს წარმოადგენს.

ბუნებისმეტყველებაში ამის შესახებ რაიმე ეჭვი ყოვლად შეუძლებელია. თუმც ის მოვლენანი, რომლებსაც პოლიტიკური ეკონომია იკვლევს, უფრო რთულია, მაგრამ ის, რაც ბუნებისმეტყველებისთვის არის სავალდებულო, სავალდებულო უნდა იყოს პოლიტიკური ეკონომიისთვისაც. არსებობს მთელი წყება საზოგადოებრივ ურთიერთობათა და მოვლენა-

თა, რომლებიც ახსნილ უნდა იქნან ღირებულების კანონით და კანონები სხვა ურთიერთობათა და მოვლენათა, რომლებიც გამოწვეულია ღირებულებით, არ უნდა განვიხილოთ და არ უნდა მივიღოთ, როგორც ღირებულების კანონები. ღირებულების თითოეული თეორია ცდილობს გამოარკვიოს და აგვიხსნას საქონლების გაცვლა-გამოცვლის პროცესები. ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის ახსნა-განმარტებას იგი ცდილობს, არის ურთიერთობა საქონლების ორ პატრონს შორის, რომლებიც (პატრონები) ურთიერთ შორის საქონლებს ცვლიან. საქონლის გაცვლა-გამოცვლის პროცესი, რომლიდანაც შემდეგ ყიდვა-გაყიდვა განვითარდა, არის ძირითადი პროცესი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს თანამედროვე საზოგადოების მთელი ეკონომიური მექანიზმი. ამიტომ ამ მექანიზმის ყოველივე ახსნა-განმარტება უნდა გამომდინარეობდეს იმ კანონის გამოკვლევიდან, რომელიც აწესრიგებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას, და ეს კანონი კი არის ღირებულების კანონი. ამიტომ, თუ ღირებულების კანონით რაიმე სხვა პროცესის ახსნა უნდათ, მაშინ საჭიროა იმ კანონს, რომელიც საქონლის გაცვლა-გამოცვლას საფუძვლათ უდევს, რაიმე სხვა სახელწოდება მიეცეს. მაგრამ ასე არ იქცევა ღირებულების არც ერთი თეორია. მაშასადამე, თითოეული იმათგანი ცდილობს ერთი და იგივე პროცესის ახსნას.

მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ პროცესს, რომელიც ღირებულების კანონით უნდა იქნას ახსნილი, მაშინ ადვილათ გავიგებთ, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა სახმარი ღირებულების განსხვავება სატვლელი ღირებულებისაგან, და ამიტომ სიტყვამ: „ღირებულება“, რომელიც შედის ორივე სახელწოდებაში, ჩვენ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, და არ უნდა მივიღოთ ეს ორი ცნება ერთი მეორის თანაბრათ, თანასწორათ. ღირებულების შესახებ არსებობენ ისეთი თეორიები, რომელთაც ღირებულება საგნის სარგებლიანობიდან გამოყავთ: რამდენათ უფრო სასარგებლოა საგანი, იმდენათ უფრო დიდია მისი ღირებულება. ეს არ ეწინააღმდეგება

ქეშმარიტებას. თუ უფრო მეტ ღირებულებაში ჩვენ ვგულისხმობთ უფრო მეტ სახმარ ღირებულებას; მაგრამ იგი სიმართლეს მოკლებულია, თუ მხედველობაში აქვთ მეტი საცვლელი ღირებულება.

სახმარი ღირებულება, რაიმე საგნის სარგებლიანობა, აღნიშნავს კერძო ადამიანის, მომხმარებლის, ურთიერთობას თვით საგანთან და არა საზოგადოებრივ ურთიერთობას, ე. ი. ურთიერთობას ორ პიროვნებათაშორის, როგორიც არის საცვლელი ურთიერთობა. მაგრამ შესაძლებელია, ამით კიდევ იმის თქმა უნდათ, რომ სარგებლიანობით თანასწორი საგნები იცვლებიან ერთიმეორეზე თანასწორი რაოდენობით? არა, ვინაიდან გაცვლა-გამოცვლა ანუ ყიდვა-გაყიდვა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული გამყიდავი აძლევს ისეთ ნივთებს, რომლებიც მისთვის არავითარ სახმარ ღირებულებას არ წარმოადგენენ და რომლებსაც მისთვის არავითარი სარგებლობა არა აქვთ.

როდესაც მეპურე და მისი მუშები პურით მაძღარი არიან, იმ შემთხვევაში პურს, რომელიც იმათ გამოაცხეს და რომელსაც ისინი ყიდიან, იმათთვის უკვე არავითარი სახმარი ღირებულება აღარ აქვს. თუ რომ მეპურეს პურის მუშტარი არ გამოუჩნდა, რაღა მოუვა მის პურს? იგი მას მხოლოთ გაუოხრდება. პირიქით, იმავე პურს აქვს უდიდესი სახმარი ღირებულება მუშისთვის, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში არაფერი უჭამია. პურის საცვლელი ღირებულება კი ორივე მხრისთვის, როგორც მეპურის, ისე მუშისთვისაც ერთი და იგივეა.

წარმოვიდგინოთ, რომ ფურნის მახლობლათ გამვლელი მუშა კალათების დამწნელია, რომელიც კარ-და-კარ ატარებს თავისს კალათებს გასაყიდათ. მეპურეს სჭირია კალათი; მისთვის კალათს დიდი სახმარი ღირებულება აქვს, მეკალათისთვის კი —არავითარი. უკანასკნელს სახლში რამდენიმე კალათი უწყვია, რომლებიც მისთვის, როგორც კალათები, სრულებით უსარგებლონია. იგი სიამოვნებით მისცემს ერთ კალათს პურის

შესაფერ რაოდენობაში. მაგრამ როგორი რაოდენობრივ ურთიერთობით გაიცვლებიან ერთმანეთ შორის კალათი და პური, თუ იმათი პატრონები მხედველობაში მიიღებენ მხოლოთ იმათ სარგებლიანობას? რამდენი პური წარმოადგენს მეკალათისთვის ისეთ სარგებლიანობას, როგორიც აქვს მეპურისთვის ერთ კალათს? აშკარაა, რომ ორი სხვა და სხვა სახმარ ღირებულების სარგებლიანობა შეუძლებელია შედარებული იქნას ერთმანეთთან; რაოდენობის მხრით იმათი ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. წარმოვიდგინოთ, რომ მეკალათემ თავისს კალათში 5 პური მიიღო; უაზრობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ერთი კალათი 5-ჯერ უფრო სასარგებლოა ან მას აქვს 5-ჯერ უფრო მეტი სახმარი ღირებულება, ვინემ ერთ პურს. სხვა და სხვა გვარი საქონლის სარგებლიანობის შედარებითი გაზომვა შეუძლებელია.

შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ერთგვარი საქონლების მაღალი თუ დაბალი ღირსების განსაზღვრა. ერთ წყვილს მაგარ ფეხსაცმელს უფრო მეტი სახმარი ღირებულება აქვს, ვინემ დაბალი ხარისხის ერთ წყვილ ფეხსაცმელს, და მეც სიამოვნებით ვაძლევ პირველში მეტს,—თუ ჯიბეში მაქვს ამისთვის საჭირო ფული. ერთ ბოთლ „იოგანისბერგს“ (ძვირფასი ღვინის სახელი) აქვს უფრო მეტი სახმარი და საცვლელი ღირებულება, ვინემ ერთ ბოთლ შპანდაურს ან გრინბერგს (ესენიც ღვინის სახელებია). ამნაირათ, თითქოს გამოდის, რომ სახმარი ღირებულება შეადგენს საქონლის ღირებულების ელემენტებს, შემადგენელ ნაწილს.

მაგრამ ეს მხოლოთ გვეჩვენება. თუ რომ მეტ სახმარ ღირებულებას შეუძლია საქონლის ღირებულების გადიდება, მაშინ იბადება კითხვა: რისთვის ყველა მწარმოებელი მხოლოთ უმაღლესი ღირსების საქონლებს არ აკეთებს? რისთვის თითოეული მეწაღე მხოლოთ საუკეთესო ღირსების ფეხსაცმელს არ ამზადებს? რისთვის თითოეულ მეღვინეს მხოლოთ უმაღლესი ღირსების ღვინო არ გამოყავს? პასუხი მეტათ მარტივია. ფეხსაცმლის უკეთესი ღირსება-თვისება დამოკიდებუ-

ლია უკეთეს ნედლ მასალაზე და სხვა პირობებზე, რაც უფრო მეტ შრომათ და ფულათ ღირს, მაშასადამე, შედეგია უკეთესი მუშაობის, ე. ი. მეტი შრომის დახარჯვის. ამ გარემოებით, და არა მეტი სახმარი ღირებულებით, აიხსნება ის, რომ მაგარ, მკვიდრ, ფეხსაცმელს მაღალი (დიდი) საცელელი ღირებულება აქვს. ჩვეულებრივათ მიღებულია, რომ ყველაზე უძვირესი საქონელი იმავე დროს ყველაზე უიაფესია. ეს იმას ნიშნავს, რომ ძვირფასი საქონლის სახმარი ღირებულება აღემატება იაფი საქონლის სახმარ ღირებულებას უფრო მეტი ღირსებით, ვინემ ძვირფასი საქონლის ღირებულება აღემატება იაფი საქონლის ღირებულებას. 9 მანეთათ ღირებული წყვილი წაღა ძლებს, შესაძლებელია, ორჯერ უფრო მეტ ხანს, ვინემ 4 მან. და ათ შაურიანი.

ღვინის ზოგიერთ ჯიშების უფრო მომეტებული ფასი დამოკიდებულია იმაზე, რომ იმათი კეთება შეიძლება მხოლოთ განსაზღვრულ ადგილებში. ამ შემთხვევაში ღირებულების კანონი საზოგადოთ თავისს ძალას კარგავს, ვინაიდან აქ ჩვენ საქმე მონოპოლიასთან გვაქვს; ღირებულების კანონი კი თავისუფალ მოცილეობას გულისხმობს.

სადაც ერთი და იგივე საქონლების თვისებრივი განსხვავებანი იმათ ფასების განსხვავებას იწვევენ, ეს თვისებრივი განსხვავებანი ყოველთვის აიხსნება ან შრომის დახარჯვის განსხვავებით ან მონოპოლიური ურთიერთობით.

ღირებულების სხვა თეორიები ერთმანეთში ურევენ ღირებულებას და ფასს. ისინი ღირებულებას იმ ურთიერთობით ხსნიან, რომელიც მოთხოვასა და მიწოდებას შორის არსებობს. მაგრამ ეს ურთიერთობა ხსნის მხოლოთ იმას, თუ რისთვის განსაზღვრული საქონლის ფასი ყოველთვის მისი ღირებულების გარშემო ტოკავს; მაგრამ იგი არა ხსნის იმას, თუ რისთვის საშუალოთ ერთი საქონლის ფასი ყოველთვის მაღლა დგას მეორე საქონლის ფასზე, რისთვის, მაგ., მთელი საუკუნოების განმავლობაში გირვანქა ოქრო 13-ჯერ უფრო ძვირათ ფასობს, ვინემ გირვანქა ვერცხლი.

თუ კი იმ თეორიას, რომელიც ხსნის ღირებულებას მოთხოვასა და მიწოდების შორის დამყარებული ურთიერთობით, სურს სხვა და სხვა საქონლების ფასში ამ მუდმივი განსხვავების გამოკვლევა, მაშინ მას სხვა გზა არ დარჩენია გარდა იმისა, რომ ისევ შრომის თეორიას მიმართოს. იმ კითხვაზე, თუ რისთვის ერთი საქონელი მუდამ ამდენით და ამდენით უფრო ძვირია მეორე საქონელზე, ეს თეორია გვიპასუხებს, რომ ეს გამოწვეულია იშვიათობით, რომლის მეოხებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება მუდამ ნაკლებია, ვინემ მეორე საქონლის მიწოდება. მაგრამ იმიტომ, რომ ბაზარზე გამოვიტანოთ იშვიათი საქონლის და გავრცელებული საქონლის თანასწორი რაოდენობა, საჭიროა უფრო მეტი შრომა. თითქმის არავითარი განსხვავება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გირვანქა ოქრო 13-ჯერ უფრო ძვირია გირვანქა ვერცხლზე, რომ ოქრო 13-ჯერ უფრო იშვიათათ გვხვდება, ვინემ ვერცხლი, ან, რომ გირვანქა ოქროს საშოვნელათ იხარჯება 13-ჯერ უფრო მეტი შრომა, ვინემ გირვანქა ვერცხლის შოვნაზე. თუ კი მეცნიერი არ დადგება უბრალო ვაჭრის თვალთახედვის წერტილზე, რომელიც (ვაჭარი) დაინტერესებულია ბაზარზე მხოლოთ საქონლების ფასით, და არა იმათი შოვნის წესით, თუ კი იგი ღრმათ გამოიკვლევს და შეისწავლის იმ საქონლების წარმოებას, რომლებიც გამოტანილია ბაზარზე, იგი აუცილებლათ იმ დასკვნამდე მივა, რომ საქონლის ღირებულება წარმოების პროცესით განისაზღვრება და იგი კეთდება ანუ მზადდება სახელოსნოში და არა ბაზარზე. ბურჟუაზიულ მეცნიერთათვის, რა თქმა უნდა, ბაზარი უფრო ახლოა, ვინემ სახელოსნო, და ამიტომაც ღირებულების შრომის თეორია იმათთვის გაუგებარი რჩება.

ბაზარზე ღირებულება პირდაპირ ფულათ, ფასათ, იქცევა, პირველათ მხოლოთ გონებაში წარმოდგენილ ფულათ, საქონელზე აღნიშნულ ფასათ, და შემდეგ, როცა საქონელი გაიყიდა, ნამდვილ ფულათ. რამდენათ უფრო და უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოება, იმდენათ სულ უფრო

და უფრო იზრდება შუამავალთა რიცხვი, რომლებიც ეჩხირებიან სახელოსნოსა და ბაზარს შორის, მწარმოებელსა და მყიდველს შორის, და ამის გამო კიდევ უფრო საგრძნობელი ხდება გადახრა ნამდვილათ აღებულ ფასის თეორიულათ განსაზღვრული ღირებულებიდან. მაგრამ ეს მაინც არ უარყოფს იმას, რომ უკანასკნელი ანგარიშით წარმოების პირობები განსაზღვრავენ საქონლის ღირებულებას, რომ საქონლის ფასი მაინც ღირებულებაზეა დამოკიდებული, რა გინდ არა პირდაპირი იყოს ეს დამოკიდებულება.

კაპიტალისტები საქონლის ღირებულებას წარმოების პირობებით საზღვრავენ. ნამდვილათ კი ისინი წარმოების პირობებში გულისხმობენ არა შრომის საზოგადოებრივათ-აუცილებელ რაოდენობას საქონლის გასამზადებლათ, არამედ წარმოების ხარჯებს (სამუშაო ხელფასს, მაშინების ხარჯს, ნედლ მასალას და სხვ.) საშუალო მოგების დამატებით.

აგრეთვე ეკონომისტების მთელი რიგი ამტკიცებს, რომ ღირებულება წარმოების ხარჯებით განისაზღვრებაო.

მაგრამ ის, რაც კაპიტალისტის თვალთახედვის წერტილიდან ჭკუასთან ახლოა, უაზროა თეორიის თვალთახედვის წერტილიდან, იმ თეორიის, რომლის დანიშნულება მდგომარეობს არა ნორმალური ფასების ცვალებადი სიდიდის გამოანგარიშებაში, არამედ კაპიტალისტურ ურთიერთობის ძირითად კანონების ახსნა-განმარტებაში.

უწინარეს ყოვლისა, რა არის წარმოების ხარჯები? ფულის განსაზღვრული რაოდენობა. წარმოების ხარჯები თავიდანვე ფულს გულისხმობენ. მაშასადამე, თუ ღირებულება წარმოებით განისაზღვრება, იმ შემთხვევაში ღირებულება ფულით უნდა იქნას ახსნილი და არა პირიქით. ეს ცხენის უკულმათ შეკაზმვას ნიშნავს.

წარმოების ხარჯები წარმოადგენენ ღირებულებათა განსაზღვრულ რაოდენობას: ეს არის ღირებულება სამუშაო ძალის (სამუშაო ხელფასის), ღირებულება წარმოების საშუალებათა, ღირებულება მოგების. ყველა ამ ღირებულებათა

ჯამი, რაოდენობა, არკვევს, საზღვრავს თვით ღირებულებას. აშკარაა, რომ, როცა ჩვენ ამნაირათ ვსაზღვრავთ ღირებულებას, ჩვენ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ.

ავიღოთ საქონლის რომელიმე მწარმოებელი, მაგ., გლეხი-ფეიქარი, რომელიც, ვთქვათ, თითონ აკეთებს ყველაფერს; იგი საკუთარი ძალით შოულობს თავის არსებობის საშუალებათ, ისე როგორც ნედლ მასალას, კანაფს, რომელსაც მისი ქალები ართავენ, და თითონ აკეთებს საფეიქრო დაზგას საკუთარი ხიდან. როგორია მისი წარმოების ხარჯები? მას არ მოუხდენია არავითარი ხარჯი ფულით, თავისი ნაწარმოები მას უღირს მხოლოთ შრომათ და არაფრათ მეტათ გარდა შრომისა.

ახლა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი, გადავიდეთ წარმოების უფრო მაღალ საფეხურზე,—ხელოსან-ფეიქარზე; ამას უკვე ფულის დახარჯვა უხდება; მას უკვე წარმოების ხარჯები აქვს. მან უნდა იყიდოს საფეიქრო დაზგა, ძაფი და აგრეთვე არსებობის საშუალებანი. მაგრამ იანგარიშებს თუ არა იგი მის მიერ მოქსოვილ ტილოს ღირებულებას წარმოების ამ ხარჯების მიხედვით? თუ იგი მხოლოთ ამ ხარჯებს მიიღებს მხედველობაში, მაშინ მისი საკუთარი ხელობა სრულებით სანაქებო საქმე არ იქნებოდა: იგი ვერაფერს ვერ შეიძენდა სახვალიოთ ანუ შავი დღისთვის. მისი ხარჯების ერთი ნაწილი, სახელდობ, არსებობის საშუალებათა და დაზგის ყიდვა, უცვლელათ რჩება, სულ ერთია მუშაობს იგი დღეში 4 საათს თუ 12 საათს. ამიტომ, განა 12 საათის შრომის ნაწარმოებს იგი უფრო მაღლა არ დააყენებს, ვინემ 4 საათის ნაწარმოებს, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი ნედლი მასალა დაიხარჯა? აშკარაა, რომ მან უნდა მიუმატოს ნივთიერ ხარჯებს თავისი შრომა, როგორც ღირებულების შემქნელი.

მხოლოთ კაპიტალისტისთვის საქმე სხვა სახეს ღებულობს. ნაწარმოები მას არავითარ შრომათ არ უღირს, არამედ მხოლოთ—ფულათ. იგი ფულით ყიდულობს არა მარტო წარმოების საშუალებებს, არამედ აგრეთვე შრომასაც; მისთვის,

მაშასადამე, წარმოების პირობები ფულის დახარჯვას ნიშნავს და დახარჯვა ეჩვენება მას როგორც ღირებულების შემქნელი. მაგრამ იგი ძლიერ გაკვირდებოდა, თუ რომ ვინმე მოიწადინებდა მის დარწმუნებას იმაში, რომ მისი ნაწარმოების ღირებულება ეთანასწორება იმ ფულს, რომელიც მან იმის გასაკეთებლათ დახარჯა. იგი იწყებს წარმოებას იმიტომ კი არა, რომ უკან დაიბრუნოს მხოლოთ ის, რაც მან დახარჯა. მას სურს მოგების მიღება. სწორეთ ეს არის იმის მიზეზი, რომ იგი თავისს ფულს წარმოებაში აბანდებს იმის მაგივრათ, რომ ის სხვა ნაირათ მოიხმაროს. ამიტომ იგი წარმოების ხარჯებს კიდევ „ჩვეულებრივათ აღიარებულ“ მოგებას უმატებს. ამნაირათ განსაზღვრული ფასი არის მინიმალური (უმცირესი) ფასი, რომელიც მან უნდა აიღოს, რომ არ იზარალოს.

კაპიტალისტის შეხედულებით მოგება შედის წარმოების ხარჯებში, რომლებითაც ნაწარმოების ღირებულება განისაზღვრება. მაგრამ ეს „ღირებულება“ იგივეა, რაც მარქსის თეორიით საწარმოო ფასს შეადგენს, რომლის (საწარმოო ფასის) ახსნა შესაძლებელია მხოლოთ ღირებულების კანონის საშუალებით.

სახმარი ღირებულება, საბაზრო ფასი, საწარმოო ფასი—ასეთებია ის კატეგორიები, რომლებსაც ჩვენ წინ გვიყენებენ, როგორც „ღირებულებას“, ღირებულების ყველა თეორიები, რომლებიც ღირებულების შრომის თეორიას ეწინააღმდეგებიან. ეს ან ისეთი კატეგორიებია, რომელთაც, როგორც, მაგ., სახმარი ღირებულების თეორიები, ურთიერთობა აქვთ საცვლელ ღირებულებასთან მხოლოთ იმდენათ, რამდენათ ისინი მის წინა პირობას შეადგენენ და არა მის ძირითად განმსაზღვრელ ელემენტებს; ან ისეთი კატეგორიები, რომლებსაც საცვლელ ღირებულებიდან გამომდინარეობენ, როგორც, მაგ., საწარმოო ან საბაზრო ფასები, და რომლებიც, მაშასადამე, არ არკვევენ საცვლელ ღირებულებას, არამედ გულისხმობენ მის გამორკვევას თავისი საკუთარი გამორკვევისთვის.

ამნაირათ ეს თეორიები კმაყოფილდებიან მყიდველთა და გამყიდველთა წარმოდგენებით, ან კაპიტალისტების წარმოდგენებით თავიანთ სავაჭრო ოპერაციების შესახებ და ღებულობენ ამ წარმოდგენებს ამ ოპერაციების ნამდვილ მიზეზებათ. ამ თეორიების მიმდევართ გონიათ, რომ იმათ მეცნიერულათ ახსნეს მოვლენა, თუკი პრაქტიკულ ადამიანების შეხედულება მოვლენაზე გადმოგვცეს. მაგრამ ამისთვის არაავითარი მეცნიერება საჭირო არ არის. მეცნიერებამ უნდა დაგვანახოს საზოგადოებრივ მოვლენათა და ურთიერთობათა უფრო ღრმა მიზეზები, რომლებსაც დაინტერესებულნი პირნი ხშირათ სრულებით ვერ იგნებენ, ან იგნებენ მეტათ ბუნდოვანათ ან და სრულებით გადამახინჯებულ-გადასხვაფერებულათ.

ზევით დასახელებულ თეორიებში ჭეშმარიტებასთან ყველაზე უფრო ახლოა ის, რომელიც ღირებულების ძირითად განმსაზღვრელ მიზეზს წარმოების ხარჯებში ხედავს, მაგრამ იგი ფეხს იტეხს საშუალო მოგების ახსნაში. არც ერთ თეორიას, გარდა ღირებულების შრომის თეორიისა, არ ძალუძს იმის ახსნა, თუ რით განისაზღვრება საშუალო მოგების სიდიდე, და რისთვის იგი ამა თუ იმ პირობებში შეადგენს, მაგ., 10% და არა 100 ან 1000. დანარჩენი თეორიები მხოლოთ პსიხოლოგიურ ან უფლებრივ ახსნას იძლევიან მოგების მისათვისებლათ. მაგრამ საიდან მომდინარეობს ან როგორ ჩნდება მოგება,—ამას ვერ გვიხსნის ვერც უფლების ღრმა აზროვანი ფილოსოფია და ვერც უფაქიზესი პსიხოლოგია.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა გასაგებათ მოგების თეორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ ახლა ალარ უნდა გადაუხვიოთ საგანს და დავუბრუნდეთ ისევ ზედმეტი ღირებულების თეორიას. მოგების თეორია—ეს ნადავლის, ზედმეტი ღირებულების, განაწილებაა გაბატონებულ კლასების სხვა და სხვა ნაწილებს თუ ჯგუფს შორის. კაპიტალისტ-მრეწველს, თუ კაპიტალისტ-მეურნეს თუნდაც იგი ხელმძღვანელობდეს ზედმეტი ღირებულების შექმნას, მას მაინც არ ძალუძს სულ მთლათ მისი შენარჩუნება. თუ იგი თავისს კაპი-

ტალს დაბალი ორგანიული შენობის დარგში აბანდებს, იგი იძულებულია დაუთმოს თავისი ზედმეტი ღირებულების ნაწილი სხვა კაპიტალისტებს, რომელთაც თავისი კაპიტალი უმაღლესი ორგანიული შენობის დარგში დაუბანდებიათ; იგი არ ამჩნევს მოგების გათანასწორების ამ პროცესს, და ამიტომაც, იგი ამის გამო ნაკლებათ წუხს. გარდა ამისა, მან,— და ამას იგი კარგათ ხედავს,—თავისი მოგების ნაწილი ფულის პატრონს უნდა მისცეს, როგორც კაპიტალის სარგებელი (პროცენტი), ვისგანაც მან ფული ისესხა; ნაწილი მან უნდა დაუთმოს ვაჭარს, სავაჭრო მოგების სახით; და ბოლოს, თუ იგი კაპიტალისტი-მეურნეა, მან ან უნდა დაუთმოს მიწის პატრონს ნაწილი მიწის ღალის (რენტის) სახით, ან უნდა გადარიცხოს იმ კაპიტალის დასაფარავათ, რომელიც მან მიწის საყიდლათ დახარჯა.

მაგრამ რამდენათაც საყურადღებო არ არის ყველა ეს ურთიერთობანი, ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა გვაინტერესებს ურთიერთობა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის, და ამასთანავე არა ურთიერთობა კერძო კაპიტალისტებსა და კერძო მუშებს შორის, არამედ კაპიტალისტების კლასსა და მუშათა კლასს შორის. ამ ურთიერთობას მოგების თეორია არა თუ არ იკვლევს, არამედ კიდევ უფრო აძნელებს, ვინაიდან მოგების სიდიდეს იგი დამოკიდებულათ ხდის ისეთ გარემოებებზე, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ კაპიტალის და შრომის ურთიერთობასთან.

რა ნაირი ფორმაც არ უნდა მიიღოს კერძო კაპიტალისტის მოგებამ, საბოლოოთ, მისი მოგების სიდიდე დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების სიდიდეზე, მაშასადამე, დაქირავებულ მუშების გაყვლეფის (ექსპლუატაციის) ხარისხზე. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება ყველა კაპიტალისტს, ვინაიდან მოგების საერთო ჯამი ეთანასწორება ზედმეტი ღირებულების საერთო ჯამს.

კლასობრივ განხეთქილებას და კლასობრივ ბრძოლას კაპიტალსა და შრომას შორის ჩვენ ვიგებთ არა მოგების კა-

ნონების, არამედ ზედმეტი ღირებულების კანონების შესწავლის მეოხებით, და აგრეთვე ამ კანონების მეოხებით ჩვენ ყველაზე უფრო ნათლათ ვიგებთ კაპიტალისტური წარმოების თვისებებს.

მაშასადამე, შემდეგ ჩვენ მსჯელობა გვექნება მხოლოთ ღირებულებაზე და ზედმეტ ღირებულებაზე, გამოვდივართ რა იმ წარმოდგენიდან, რომ ფასი ეთანასწორება ღირებულებას და მოგება—ზედმეტ ღირებულებას. საშუალო მოგების ნორმას და საწარმოო ფასს ჩვენ აქ ყურადღებას არ ვაქცევთ, სწორეთ ისე, როგორც ჰაერის წინააღმდეგობას სხეულის დაცემის კანონების გამოკვლევის დროს ანგარიშს არ უწევენ. ცხოვრებაში კი, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

თავი V

სამუშაო დღე

აუცილებელი სამუშაო დრო და ზედმეტი სამუშაო დრო ერთათ სამუშაო დღეს შეადგენენ.

აუცილებელი სამუშაო დრო განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში,—აქ იგულისხმება შრომის ნაყოფიერების განსაზღვრული ხარისხი, მუშათა კლასის მოთხოვნილებანი და სხვ.,—შეადგენს განსაზღვრულ სიდიდეს. ამ გამოკვლევაში ჩვენ ვღებულობთ, რომ ეს სიდიდე 6 საათს ეთანასწორება. სამუშაო დღე, რა თქმა უნდა, წარმოების არც ერთ სისტემაში (წესში) შეუძლებელია იყოს აუცილებელ სამუშაო დროზე უფრო მოკლე, მაგრამ კაპიტალისტურ წარმოებაში იგი ამ დროზე უფრო გრძელი უნდა იყოს. რამდენათ უფრო ხანგრძლივია ზედმეტი სამუშაო დრო, იმდენათ, რა თქმა უნდა, თუ დანარჩენი პირობები უცვლელი რჩებიან,—უფრო მაღალია ზედმეტი ღირებულების ნორმა. ამით აიხსნება კაპიტალისტის სურვილი—რაც შეიძლება უფრო

გააგრძელოს სამუშაო დღე. მისი იდეალია—განუწყვეტლათ 24 საათის შრომა დღე-და-ღამეში*).

მაგრამ, კაპიტალისტების სამწუხაროთ, ეს შეუძლებელია. მუშა სამუდამოთ სახიჩრდება, თუ მას არ აძლევენ თავისუფალ დროს დასასვენებლათ, დასაძინებლათ და საჭმლის მისაღებათ. მაგრამ კაპიტალისტი ცდილობს, რაც შეიძლება, შეამოკლოს მუშების დასვენების დრო და მთელ დანარჩენ დროს განმავლობაში მოიხმაროს მუშა. სამუშაო ძალის მუშიდან ჩამოშორება შეუძლებელია და ამიტომ იმ ხნის განმავლობაში, როცა სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება კაპიტალისტს ეკუთვნის, მასვე ეკუთვნის აგრეთვე მუშის პიროვნებაც. ამ დროს თითოეული წუთი, რომელსაც მუშა თავისთვის ხარჯავს, კაპიტალისტს თავისი საკუთარი კაპიტალის გაქურდვათ მიაჩნია**).

---

*) ავსტრიის პარლამენტის გამოკვლევით (ანკეტით) მუშების მდგომარეობის შესახებ დამოწმებულ იქნა, რომ ქ. ბრიუნნის ზოგიერთ სახელოსნოებში მუშობა ხდებოდა განუწყვეტლივ შაბათ დილიდან ორშაბათ დილამდე. ეს «შვენიერი» ჩვეულება, სამწუხაროთ, მარტო ბრიუნნით და მარტო სართავ სახელოსნოებით როდი განისაზღვრება.

**) ყველაზე უფრო კარგათ ინგლისის მუშებმა—და არა მარტო ინგლისისამ—სასაცილოთ აიღეს ის კატა-აწონისებური სიძუნწე და გაფაციცებული თვალყურის ჭერა, რასაც კაპიტალისტები იჩენენ, რომ მუშამ არ წაართვას მათ ნაყიდი სამუშაო დღიდან ერთი წამიც-კი. მაგ., ერთი ქვის სამტეხლოს პატრონის შესახებ ისინი შემდეგს გადმოგვცემენ: მის ქვის სამტეხლოში ნაღმის უდროოთ აფეთქების გამო, ერთი მუშა ჰაერში იქნა გადატყორცნილი და, მხოლოთ შემთხვევით, უვნებლათ მიწაზე დავარდა. ანგარიშის გასწორების დროს, კაპიტალისტმა გამოურიცხა ამ მუშას იმ დროს ხელფასის შესაფერი ნაწილი, როცა იგი ჰაერში ეკიდა, და, მაშასადამე, არ მუშაობდა. ამის მსგავსი შემთხვევა მართლაც მოხდა კროტონის (ამერიკაშია) წყლის მილის გაყვანის დროს. ხვრელი უნდა გაეპრათ მთაში. ნაღმი, აფეთქების შემდეგ, სულის შემხუთავ სუნს ავრცელებდა ხვრელში, რის გამო თავბრუ ესხმოდა მუშებს, ასე რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში იმათ მუშაობა არ შეეძლოთ. ეს დრო იმათ ხელფასიდან გამოურიცხეს. ციურიხის კანტონში ქალების მოალერსე ფაბრიკანტმა გამოურიცხა მუშა-ქალებს ის დრო, რომელიც მან, მათთან ერთათ, თავის კანტორაში დაყო იმათ ალერსში!

მაგრამ სწორეთ იმიტომ, რომ სამუშაო ძალა განუყრელათ შეკავშირებულია თვით მუშასთან, უკანასკნელი დაინტერესებულია, რაც შეიძლება, სულ უფრო და უფრო შეამოკლოს სამუშაო დღე.

წარმოების პროცესის დროს მუშა მხოლოთ კაპიტალის ნაწილია. კაპიტალისტურ წარმოებაში მუშა მხოლოთ მაშინ არის ადამიანი, როცა იგი მუშაობას წყვეტს. მაგრამ, გარდა ამ ზნეობრივი მოტივისა, სამუშაო დღის შემცირების სასარგებლოთ ლაპარაკობს აგრეთვე ნივთიერი მოტივიც. კაპიტალისტი ცდილობს მიიღოს იმაზე მეტი, რაც მას ერგება თანახმათ საქონლის გაცვლა-გამოცვლის კანონებისა.

როცა კაპიტალისტი ყიდულობს დღიურ სამუშაო ძალას თავისს ღირებულებაზე, მას ეკუთვნის მისი სახმარი ღირებულება მხოლოთ ერთი დღით, ე. ი. მას უფლება არა აქვს დღის განმავლობაში ისე დიდ ხანს ისარგებლოს სამუშაო ძალით, რომ ამის მეოხებით მან მეორე დღეს დააბრკოლოს მისი (სამუშაო ძალის) აღდგენა. ვთქვათ, მაგ., რომ ვინმემ ვაშლის ხის მოსავალი იყიდა და, იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს ამაში, არა თუ ნაყოფს-ვაშლებს სწყვეტს, არამედ ვაშლის ხეს ტოტებსაც ზედ აჭრის, რათა ისარგებლოს თვით ხითაც; ამ შემთხვევაში იგი არღვევს ხელშეკრულობას, ვინაიდან ვაშლის ხეს შემდეგ წელს ისეთი მოსავლის გამოღება აღარ შეეძლება, როგორც მას წინეთ გამოქონდა. ასევე ხდება იმ შემთხვევაშიაც, როცა კაპიტალისტი ამუშავებს მუშას ძლიერ დიდ ხანს. ამით იგი ანადგურებს მუშაობის ნიჭს და ამავე დროს მუშას სიცოცხლეს უმოკლებს. თუ უზომო შრომის გამო მუშის შრომის ნიჭის დრო მოკლდება 40 წლიდან 20 წლამდე, ეს იმას მოასწავებს, რომ კაპიტალისტი საშუალო რიცხვით ერთი დღის განმავლობაში ორი დღის ღირებულებას სწოვს, რომ იგი აძლევს ქირას მუშას ერთი დღის სამუშაო ძალისთვის და მიაქვს მისგან ორი დღის სამუშაო ძალა. კაპიტალისტი უქადაგებს მუშებს მომჭირნეობას და ბრძნულ წინდახედულობას და

იმავე დროს ძალას ატანს მათ და ფლანგონ თავიანთი ერთათ ერთი ქონება—სამუშაო ძალა*).

ამ შემთხვევაში კაპიტალისტნი მოქმედებენ, რა თქმა უნდა, არა როგორც კერძო პირნი, არამედ როგორც კაპიტალისტური წარმოების წარმომადგენელნი, რომელნიც თავიანთ მცნებას ასრულებენ, დამოუკიდებლათ იმისა, პირადი გაუმაძღრობა ამოქმედებს მათ, თუ მეტოქეობა.

აქ ჩვენ ვხედავთ მუშათა კლასსა და კაპიტალისტების კლასს შორის ინტერესთა წინააღმდეგობას. მუშები ცდილობენ, რაც შეიძლება, შეამოკლონ სამუშაო დღე,—კაპიტალისტები კი, პირიქით, გააგრძელონ იგი. ამ კლასობრივ წინააღმდეგობას მოყვა ბრძოლა, რომელიც გრძელდება დღემდის, მაგრამ რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნის წინეთ დაიწყო და რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ ბრძოლაში პროლეტარიატმა თავისი ინტერესების სოლიდარობა შეიგნო; ეს სოლიდარობა შეიქნა მთავარ მამოძრავებელ ძალათ მუშების ერთ კლასათ შესაერთებლათ, მუშათა მოძრაობის თანამედროვე მოძრაობათა გასაერთიანებლათ. ამ ბრძოლის ერთ უშესანიშნავეს პრაქტიკულ შედეგს, რომელიც კი აქამდის მიხწეულია, სამუშაო დღის ხანგრძლი-

---

*) მარქსს დ-რ რიხარდსონის წერილიდან ერთ ინგლისურ ჟურნალში (Social Sciene Review, 1863 წ.) შემდეგი ადგილი მოყავს, სადაც წერია: მარილებონში (ლონდონის ერთი უდიდესი უბანთაგანია) მკედლებში წლიურათ 1000 სულზე 31 კაცი კვდება, ე. ი სიკვდილი იმანთში 11-ჯერ აღემატება მოზრდილ მამაკაცების საშუალო სიკვდილს ინგლისში. ეს ხელობა თავის თავათ სრულებით უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ, უზომო შრომის გამო, შლის ადამიანს. თუ ადამიანი დღეში ამდენ და ამდენ ნაბიჯს აკეთებს, ამდენს და ამდენს შრომობს, მას შეუძლია იცოცხლოს, მაგ., 50 წელიწადი. მაგრამ მას აიძულებენ ამდენი და ამდენი ნაბიჯით მეტი გააკეთოს, ამდენით და ამდენით მეტი შრომა შეასრულოს და საზოგადოთ თავისი მოქმედება გაადიდოს, გაფართოვოს ერთი მეოთხედით. იგი ცდილობს ეს შეასრულოს, და ამის შედეგი არის ის, რომ განსაზღვრულ დროს განმავლობაში იგი ასრულებს ერთი მეოთხედით მეტ მუშაობას და კვდება 37 წლის 50 წლის მაგივრათ.

ვობის კანონმდებლობითი გზით მოწესრიგება შეადგენს,— ე. ი. ნორმალური (ზომიერი) სამუშაო დღე.

ინგლისში, თანამედროვე მრეწველობის სამშობლოში, ამ ბრძოლის პირობები და მიზეზები ყველაზე უფრო უმალ გაჩნდენ და ყველაზე უფრო მკვეთრათ განვითარდენ; ამიტომ იქ ბრძოლაც უფრო უმალ გაჩაღდა, ვინემ სხვა ქვეყნებში. „ინგლისის ფაბრიკის მუშები ხმის მიმცემნი, პირველი მეომრები იყვენ არა მარტო ინგლისის, არამედ საზოგადოთ მთელი თანამედროვე მუშათა კლასის, და ინგლისის მუშების თეორეტიკოსებმაც პირველათ აღიმაღლეს ხმა კაპიტალის თეორიის წინააღმდეგ.“ აგრეთვე ბრძოლა სამუშაო დღის შესამოკლებლათ და მისი მიზეზები არსად ისე ნათლათ არ ყოფილა გამოკვლეული და შესწავლილი, როგორც ინგლისში, სადაც პრესამ, პარლამენტარულმა კამათმა (დებატებმა), საანკეტო კომისიებმა, ისე როგორც ოფიციალურმა ანგარიშებმა, განსაკუთრებით ფაბრიკის ინსპექტორების ანგარიშებმა, შეგვძინეს იმდენი მდიდარი მასალა, როგორიც სხვა ქვეყანაში არსად არ მოიპოვება, მასალა, რომელიც იმ დროს, როცა მარქსი „კაპიტალის“ პირველ ტომს ათავებდა (1866 წ.), იგი ერთათ-ერთია ამ საგნის შესახებ.

ამიტომ მარქსმა დაწვრილებით დაგვიხატა ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღის სასარგებლოთ მხოლოთ ინგლისში. მის დამატებას შეადგენს ენგელსის თხზულება: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ (Die Lage der arbeiteuden Klasse in England). ენგელსის აღწერა თავდება მხოლოთ 1844 წლით, მარქსის—მხოლოთ 1866 წლით. მიუხედავათ ამისა, იმათ მოთხრობას ნორმალური სამუშაო დღის ბრძოლის შესახებ დღემდის აქვს არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა. იმათ მიერ აწერილი პირობები, მითქმა-მოთქმა (ინტრიგები), ათასგვარი ოინები კაპიტალისტებისა, მიმართული იმაზე, რომ რამდენათ შესაძლებელია გაგრძელებულ იქნას სამუშაო დღე, ან მისი იძულებითი შემოკლება ცხოვრებაში არ იქნას გატარებული, პოლიტიკური პარტიების და

მუშათა კლასის ურთიერთობანი ყველა ამ დავიდარაბაში და ალიაქოთში,—ყოველივე ეს იმდენათ ტიპიური და დამახასიათებელია, რომ ამ მოძრაობის უფრო მერმინდელი განვითარება ხმელეთზე მხოლოთ ინგლისის განვითარების ასლს წარმოადგენს. ის ურთიერთობანი, რომელნიც აწერა ენგელსმა 60 წლის და მარქსმა 40 წლის უკან, ჯერ კიდევ ცოცხალია, ჩვენში.*) ის მცირე მასალა, კერძო გამოკვლევები და ოფიციალური ანგარიშები გერმანიის და ავსტრიის მრეწველობის შესახებ, რომლებიც უკანასკნელ წლეებში იქნენ გამოქვეყნებულნი, მხოლოთ „კაპიტალის“ დასკვნების მჭერმეტყველურ დასურათხატებას შეადგენენ. წინასიტყვაობაში მარქსი გვეუბნება, რომ იგი თავის გამოკვლევის პირველ ტომში „ასე ბევრ ალაგს უთმობს ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობის ისტორიას და მის შედეგებს იმიტომ, რომ თითოეულ ნაციას შეუძლია და ვალდებულიცაა ისწავლოს მეორე ნაციიდან“ და იმიტომ, რომ გაბატონებულ კლასებს მათი საკუთარი ინტერესები აიძულებენ თავიდან აიცილონ ყველა ის იურიდიული დაბრკოლებანი, რომელნიც მუშათა კლასის განვითარებას წინ ეღობებიან. და მართლაც, მარქსის გამოკვლევას უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია. ფაქტები, რომლებიც მას მოყავს, იმდენათ მჭერმეტყველური და დაურღვეველია, რომ შეუძლებელი იყო იმათ არ მიეპყროთ ყურადღება არა მარტო მუშათა კლასის მხრით, არამედ გაბატონებულ კლასების განათლებულ წევრების მხრითაც. შვეიცარია, ავსტრია და გერმანია თავის საფაბრიკო კანონმდებლობის განვითარებას, წინსვლას, ბევრნაირათ „კაპიტალს“ უნდა უმადლოდენ.

მაგრამ ბურჟუაზიის მოაზრე წევრთა რიცხვი, რომლებიც თავისუფალი არიან ვიწრო კლასობრივ შეხედულებიდან, ძლიერ მცირეა; მუშათა კლასის პოლიტიკური მნიშვნელობა კი ჯერ კიდევ ნაკლებია. როცა „კაპიტალში“ კითხულობ

*) ავტორს აქ ყოველგან, განსაკუთრებით, გერმანია აქვს მხედველობაში, მაგრამ შეიძლება ითქვას თითქმის ყველა დანარჩენ ქვეყნებზედაც. **მთარგმ.**

მარქსის დასკვნებს საფაბრიკო კანონმდებლობაზე, ჩვენ არა თუ არ გვახარებს მიხწეული შედეგები, არამედ ჩვენ გვიპყრობს სირცხვილის გრძნობა იმ უვიცობის გამო, რომელსაც საფაბრიკო კანონმდებლობის შესახებ დღემდის იჩენენ. მხოლოთ ამ უვიცობით შეიძლება აეხსნათ ის ფაქტი, რომ ევროპის პარლამენტებში *) დღემდის გაიგონებთ ისეთ აზრებს, რომლებიც ინგლისში უკვე დიდიხანია უარყოფილია ცხოვრების მიერ და ყველასაგან დატოვებული, თუმცა ჩვენ ასე ფარისევლურათ დავსცქერით ზევიდან ქვევით ამ თავისუფალი ვაჭრობის ქვეყანას.

ჩვენ არ შეგვიძლია დაწვრილებით მოვიყვანოთ აქ ,,კაპიტალის'' იმ თავის შინაარსი, სადაც სამუშაო დღეზეა ლაპარაკი.**) ჩვენ ვურჩევთ ყველას, ვისაც შეძლება აქვს,—თითონ შეისწავლოს ,,კაპიტალის'' საშუალებით ინგლისის მრეწველობის იმ დარგთა მდგომარეობა, რომლებშიაც სამუშაო დღე კანონით შეზღუდული არ არის, ღამის მუშაობა, გამოცვლის (смѣна) სისტემა, და ბოლოს, ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღისთვის. საფაბრიკო კანონმდებლობის პრინციპის დასაცავათ იმაზე უკეთესი იარაღი არ არის, ვინემ „კაპიტალის“ მერვე და მეცამეტე თავები.

საზოგადოთ ინგლისში სამუშაო დღის კანონმდებლობითი გზით მოწესრიგების საქმეში შესაძლებელია აღვნიშნოთ ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მიმდინარეობა: მეთოთხმეტე საუკუნიდან დაწყებული მეჩვიდმეტე საუკუნის გასვლამდე თხზავენ ისეთ კანონებს, რომელთაც მიზნათ სამუშაო დღის გაგრძელება აქვთ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ინგლისის კანონმდებლობაში ჩვენ ვამჩნევთ სამუშაო დღის შემოკლების მიდრეკილებას.

---

*) რომლებიც ესრეთ წოდებულ ,,სახელმწიფო დუმის'' ბადალი არავის ეგონოს,—დავსძენთ ჩვენ აქ. **მთარგმ.**

**) დაწვრილებით ეს საგანი შემუშავებულია კაუცკის მიერ ცალკე წიგნში: Der Arbeiterschutr. besonders die intern. Arbeiterschutz და სხვ.

ინგლისის კაპიტალი, წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების პირველ საფეხურებზე, ჯერ კიდევ მეტათ სუსტი იყო იმისთვის, რომ მას მხოლოთ ეკონომიურ ურთიერთობათა ძალის საშუალებით გამოეწოვა მუშიდან ზედმეტი ღირებულების თვალსაჩინო რაოდენობა. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში გაისმოდა საჩივარი იმის შესახებ, რომ ინგლისის მრეწველობაში მუშები კვირეში მხოლოთ ოთხ დღეს მუშაობენ, ვინაიდან ოთხი დღის ქირა უზრუნველყოფს მათ მთელი კვირის განმავლობაშიო. სამუშაო ხელფასის შესამცირებლათ და სამუშაო დროს გასაგრძელებლათ, განზრახული იყო მაშინ მაწანწალების და მათხოვრების სამუშაო სახლში მოთავსება, რომელიც (სამუშაო სახლი) „საშინელების სახლათ“ უნდა გადაქცეულიყო. ამ „საშინელების სახლში“ მუშაობა დღე და ღამეში 12 საათს უნდა გაგრძელებულიყო.

ასის წლის შემდეგ, 1863 წელს, ჰუმანიურ მეცხრამეტე საუკუნეში, პარლამენტარულმა კომისიამ დაამოწმა ის ფაქტი, რომ სტაფფორდშირის (ინგლისშია) თიხის ქარხნებში შვიდა წლის ბავშები ოთვეულდღე თხუთმეტ-თხუთმეტ საათს მუშაობდენ!

ჩვენ დროში კაპიტალი აღარ საჭიროებს უკვე ძალდატანებითი კანონებს და დამამშვიდებელ სახლებს იმისთვის, რომ მან მუშა ძალით ამუშაოს. კაპიტალი ახლა გადაიქცა ეკონომიურ ძალათ, რომელსაც პროლეტარი-მუშა ძალაუნებურათ უნდა დაემორჩილოს. მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში დაიწყო ნამდვილი ნადირობა ზედმეტი შრომის მისათვისებლათ, კაპიტალისტები ეჯიბრებიან ერთი ერთმანეთს სამუშაო დღის უზომო გადიდების საქმეში.

მუშათა კლასის ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენება ამ დროდან მოყოლებული გასაოცარი სისწრაფით მიდის წინ. ამ გადაშენების პროცესის შეჩერება ვერ შეძლო სისხლის მუდმივმა განახლებამაც კი, საფაბრიკო რაიონებში სამეურნეო მუშების დენის მეოხებით. „ბამბეულობის მრეწველობა უკვე 90 წელიწადია რაც არსებობს,—შეეძლო წამოეძახა 1863 წელს ორატორ ფერანდს ინგლისის ქვედა პალატაში—და

ინგლისის ტომის სამი თაობის განმავლობაში მან მოინელა ბამბის მუშების ცხრა თაობაო“.

მაგრამ ფაბრიკანტები არ შემცდარან თავისს ანგარიშში. მიუხედავათ ადამიანების სიცოცხლის მსწრაფლი განადგურებისა, თავისუფალ სამუშაო ძალის საჭიროებას ისინი სრულებით არ გრძნობდენ: შოტლანდიის, ირლანდიის, გერმანიის სოფლებიდან დიდძალი ხალხი მიეშურებოდა ინგლისის საფაბრიკო ოლქებში და ლონდონში საიქიოს გასამგზავრებლათ; ყველა ამათ დენიდა სამშობლოდან ადგილობრივი საშინაო მრეწველობის დაცემა, სახნავ-სათესი მიწების საძოვარ მინდვრებათ გადაქცევა და სხვ.

თუ ის გარემოება, რომ ინგლისის ხალხი გადაშენების გზას დაადგა, ფაბრიკანტების კლასს, როგორც ასეთს, სამუშაო დღის კიდევ უფრო მეტ გაგრძელებაზე ხელს არ აღებინებდა, სამაგიეროთ ინგლისის სახემწიფო მოღვაწეები, რომლებიც არ ეკუთვნოდენ ფაბრიკანტების კლასს, ისე როგორც ამ კლასის უფრო წინდახედული წევრებიც, ვალდებული იყვენ ამ გარემოებისთვის ყურადღება მიექციათ. იმათ შემდეგი საკითხი აფიქრებდათ: რათ გარდაიქცევა ინგლისი, რა მოელის მთელ მის მრეწველობას, თუ მისი ხალხი ასე თავაშვებულათ გამოიფიტება კაპიტალიზმის მეოხებითო?

მსგავსათ იმისა, როგორც ყველა კაპიტალისტურ სახემწიფოებში აუცილებელი შეიქნა, შეძლების დაგვარათ, ბოლო მოღებოდა ტყის განადგურებას კაპიტალის მიერ, სწორეთ ასევე აუცილებელი შეიქნა ეროვნული, ნაციონალური, სამუშაო ძალის კაპიტალის მიერ მტაცებლობითი გაყვლეფის შეზღუდვა. ის სახემწიფო მოღვაწეები, რომლებმაც შეიგნეს ეს აუცილებლობა, მოქმედებდენ ინგლისის მუშა ხალხის მოძრაობის ზეგავლენით.

რობერტ ოვენი უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თხოულობდა სამუშაო დღის შემოკლებას, და მართლაც, თავის ფაბრიკაში მან $10^1/_2$ საათის სამუშაო დღე შემოიღო, რამაც შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მუშათა მოძრაობამ,

რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებიდან სწრაფათ ვითარდებოდა და 1835 წლიდან მჭიდროთ უკავშირდებოდა ჩარტისტების პარტიას, რომელიც გაბატონებულ კლასებს თანდათან სტაცებდა ხელიდან სხვა და სხვა დათმობას, თავის უმთავრეს მიზნათ დაისახა საყოველთაო საარჩევნო უფლების და ათი საათის სამუშაო დღის მოპოვება.

თუ რა ნაირი მკაცრი და შეუპოვარი იყო ეს ბრძოლა, თუ რა ნაირათ კაპიტალისტები და იმათი ვექილები ავარჯიშებდენ მთელ თავიანთ გონებას, რომ ის დათმობანი, რომლებიც მათ მუშებმა ბრძოლის საშუალებით გამოგლიჯეს ხელიდან, ისევ უკან დაებრუნებიათ; თუ რა ნაირი მამაცობით და ენერგიით გამოდიოდენ მუშების ინტერესების დასაცავათ ფაბრიკის ინსპექტორები—ზოგჯერ თვით მინისტრების სურვილის წინააღმდეგ,—განსაკუთრებით კი ლეონარდ ჰორნერი (Leonard Horner), რომლის მოგონება ძვირფასი უნდა იყოს ყველა მუშისთვის; თუ ფრიტრიდერები, ე. ი. თავისუფალი ვაჭრობის მქადაგებელნი, როგორ პირდებოდენ მუშებს ათი საათის სამუშაო დღის შემოღებას, როცა ისინი საჭიროებდენ მუშების დახმარებას მიწისმფლობელთა წინააღმდეგ, და თუ შემდეგ რანაირი ურცხვობით არღვევდენ თავიანთ დაპირებებს, როცა საზღვარგარეთიდან შემოსატან საქონლებზე ბაჟების მოსპობას ახწევდენ; და, დასასრულ, თუ როგორ მუშების მრისხანე მოძრაობამ იძულებული გახადა გაბატონებული კლასები ათი საათის სამუშაო დღე დაედგინათ, შრომის რამდენსამე დარგში მაინც,—ყოველივე ეს დაწვრილებით, ცოცხლათ და საფუძვლიანათ მოთხრობილია „კაპიტალში“.

მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცდაათე წლების დასაწყისიდან მუშათა მოძრაობა ინგლისში დაადგა განვითარების ᲫᲨვიდობიან გზას. ერთი მხრით, მას არ შეეძლო თავის თავზე არ განეცადა ის რეაქცია, რომელიც მოყვა მუშა ხალხის დამარცხებას პარიზში და აგრეთვე რევოლიუციის მსწრაფლ დამარცხებას მთელ ᲮᲛელეთზე,—მეორე მხრით, ჩარტისტების მოძრაობის მიზანი არსებითათ სულ უფრო და უფრო ხორ-

ციელდებოდა, და ამავე დროს ინგლისის მრეწველობამ იწყო განვითარება სხვა ქვეყნების მრეწველობის საზიანოთ, რამაც თავის მორევში ჩაითრია მუშათა კლასიც; ამის გამო მუშებში ფეხი მოიკიდა იმ შეხედულებამ, რომ ინგლისის კაპიტალის და ინგლისის შრომის ინტერესებს შორის არსებობს რაღაცნაირი თანხმობა ანუ ჰარმონია უცხო ქვეყნების კაპიტალის და შრომის წინააღმდეგ.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობა ამ მშვიდობიან დროსაც კი შეუჩერებლათ წინ მიდიოდა. 27 მაისის 1878 წლის კანონით, ბოლოს, განმარტებული და ხელახლა გადასინჯულ იქნა მთელი საკანონმდებლო მუშაობა, დაწყებული 1802 წლიდან ვიდრე 1874 წლამდე, რომელიც შეიცავს 60 სხვა და სხვა საფაბრიკო კანონებს. ამ კანონის უმთავრესი სამსახური მდგომარეობს იმაში, რომ მან მოსპო განსხვავება ფაბრიკასა და სახელოსნო დაწესებულებას შორის. კანონები, რომლებიც შრომას მფარველობას უწევენ, სავალდებულო შეიქნენ არა მარტო ფაბრიკისათვის, არამედ წვრილი სახელოსნო დაწესებულებისთვისაც და რამდენიმეთ თითქმის საშინაო მრეწველობისთვისაც. მაგრამ კანონის მფარველობა ვრცელდება მხოლოთ ბავშვებზე და ქალებზე, და არა მოზრდილ მამაკაცებზე. 1878 წლის კანონი შემდეგ გაუმჯობესებულ იქნა მთელი რიგი კანონების გამოცემით; ამ უკანასკნელებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1891 და 1901 წლების კანონებს. 12 წლის ქვედაელ ბავშს სრულებით აკრძალული აქვს სამრეწველო შრომა; 12 წლიდან 14 წლამდე ბავშმა დღე და ღამეში უნდა იმუშაოს ორჯერ უფრო ნაკლებ დროს, ვინემ მოზრდილმა ყრმამ (14 წლიდან 18 წლამდე) და დედაკაცმა. უკანასკნელთათვის სამუშაო საათების რაოდენობა ერთი კვირის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 60 საათს, გარდა ბეწვეულობის მრეწველობისა, სადაც ნებადართული იყო მხოლოთ $56^1/_2$ საათის მუშაობა კვირაში. კვირაობით, საღდგომოთ და წითელ პარასკევს მუშაობა აკრძალული აქვთ იმ პირთ,

ვინც კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფება. გარდა ამისა, ამას უნდა მივუმატოთ კიდევ წელიწადში 4 სრული უქმე დღე და 8 დღე-ნახევარი უქმე.

რა თქმა უნდა, ამ კანონების მეოხებით, მომეტებულ შემთხვევაში, სახელდობ იქ, სადაც მამაკაცები მუშაობენ დედაკაცებთან და ბავშებთან ერთათ, სამუშაო დრო მამაკაცებისთვისაც განსაზღვრულია აგრეთვე 10 საათით. მაგრამ თუ რამდენათ საჭიროა კანონის მფარველობის გავრცელება მამაკაცებზედაც, ამას მოწმობს ინგლისის მუშების უმწეო და ვაგლახი მდგომარეობა შრომის იმ დარგებში, რომლებზედაც კანონის მოქმედება არ ვრცელდება და რომლებშიაც მუშები რაიმე ბედნიერი შემთხვევის წყალობით არ გადაქცეულან მუშების არისტოკრატიათ.

ნორმალური სამუშაო დღის შედეგი მეტათ კეთილნაყოფიერი იყო. მან მართლა დაიხსნა ინგლისის მუშა ხალხი გადაშენებისაგან, და მით ინგლისის მრეწველობაც შეჩერებისაგან. ათი საათის სამუშაო დღის შემოღებამ არა თუ არ შეზღუდა და მუხრუჭი არ მოუჭირა ინგლისის მრეწველობის განვითარებას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ხელი შეუწყო მის კოლოსალურ აღყვავებას. ნორმალური სამუშაო დღე გარდაიქცა ინგლისის ნაციონალურ დაწესებულებათ, და არავის თავში არ მოსდის მისი ღალატი. თვით იმ ფაბრიკანტებმაც კი, რომლებიც პირველათ ყოველგვარი საშუალებით იბრძოდენ ნორმალური სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ და შემდეგ აბრკოლებდენ ათას ნაირი ხრიკებით მის ცხოვრებაში გატარებას, ახლა იწყეს ამ კანონით თავის მოწონება და ისინი მას თვლიან ინგლისის მრეწველობის ერთ-ერთ სიამაყეთ ხმელეთის მრეწველობის წინაშე.

ინგლისის მაგალითმა და კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიაც გამოიწვიეს სამუშაო დღის მოწესრიგების აუცილებლობა. საფაბრიკო კანონმდებლობა ცოტათი თუ ბევრათ ნაყოფიერათ განხორციელებულ იქნა მუშათა მოძრაობის ძლიერების და გაბატონებულ კლასების

პოლიტიკურ პარტიების წინდახედულობის პირდაპირი ზეგავლენით ერთ და იმავე დროს.

შედარებით ყველაზე უფრო უკეთესი საფაბრიკო კანონმდებლობა ევროპის ხმელეთზე აქვს უეკველათ რესპუბლიკანურ შვეიცარიას. კავშირის კანონმა (Bundesgesetg) 1877 წლის 23 მარტის თარიღით, რომელმაც დაიპირა სხვა და სხვა კანტონების საფაბრიკო კანონის ადგილი, — დაადგინა თერთმეტი საათის სამუშაო დღე ყველა მუშებისთვის, რომლებიც ფაბრიკებში მუშაობენ. ეს კანონი ინგლისის კანონზე უფრო შორს მიდის, ვინაიდან უკანასკნელი არ იცავს მამაკაცებს, მაგრამ, მეორე მხრით, იგი ჩამორჩენილია ინგლისისაზე მით, რომ აწესებს მაქსიმალურ (უდიდეს) სამუშაო დღეს არა ათის, არამედ თერთმეტი საათისას და აგრეთვე არ ვრცელდება წვრილ სახელოსნოებზე და შინაურ მრეწველობაზე. ბავშებს, რომელთაც არ შესრულებიათ 14 წელიწადი, შვეიცარიის ფაბრიკებში სრულებით აკრძალული აქვთ მუშაობა; 14—16 წლის ბავშებისთვის სკოლაში მეცადინეობის და ფაბრიკაში მუშაობის დრო ერთათ არ უნდა აღემატებოდეს 11 საათს.

საფრანგეთში პირველი საფაბრიკო კანონი 1841 წელს გამოიცა. ამ კანონმა დაადგინა რვა საათის სამუშაო დღე 8—12 წლის ბავშთათვის, 12—16 წ. ბავშთათვის 12 საათის სამუშაო დღე, მაგრამ ეს საბრალო კანონიც კი მხოლოთ ქაღალდზე არსებობდა ისე, როგორც თორმეტი საათის ნორმალური სამუშაო დრო ყველა სახელოსნოებში და ფაბრიკებში, რომელიც გამოიცა რევოლიუციის ზეგავლენით 1849 წელს. მას აკლდა საფაბრიკო ზედამხედველობა, ინსპექცია, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებია კანონის ცხოვრებაში გატარებისთვის. პირველათ მხოლოთ 19 მაისის 1874 წლის კანონით დაედვა საფუძველი უფრო სერიოზულ კანონმდებლობას შრომის მფარველობის საქმეში. ამ კანონმა აკრძალა მრეწველობის ზოგიერთ დარგში იმ ბავშების შრომით სარგებლობა, რომელთაც არ შესრულებიათ 12 წელიწადი, და სრულიად აკრძალა იმ ბავშების მუშაობა ფაბრი-

კებში, რომელთაც არ შესრულებიათ 10 წელიწადი; სამუშაო დღე 10—12 წლის ბავშთათვის განსაზღვრულ იქნა 6 საათით; 12—16 წლის ბავშთათვის—12 საათით. კანონის ცხოვრებაში გასაყვანათ დანიშნეს მთავრობის ინსპექტორები, და იმათ დასახმარებლათ დააწესეს აგრეთვე ადგილობრივი კომისიები.

1892 წელს ეს კანონი გაუმჯობესებულ იქნა. 12 წლის ქვედაელ ბავშებს შრომა სრულებით აეკრძალათ; დანიშნულ იქნა მაქსიმალური სამუშაო დღე 12—16 წლის ბავშთათვის 10 საათის, 16—18 წლის ყრმათათვის—11 საათის და კვირაში არა უმეტეს 60 საათისა; მუშა დედაკაცებისთვისაც შემოღებულ იქნა 11 საათის სამუშაო დღე.

განმეორებითი ცდა 11 საათის სამუშაო დღის მაგიერ 10 საათის შემოსაღებათ სენატის წინაამღდეგობის მეოხებით ვერ განხორციელდა. ბოლოს მილერანმა მოახერხა კომპრომისის (შეთანხმების) გაკეთება. 30 მარტის 1900 წლის კანონით სამუშაო დღე იმ ფაბრიკებში, სადაც ქალები და ბავშები მამაკაცებთან ერთათ მუშაობენ, ყველა კატეგორიებისთვის განსაზღვრულია 10 საათით. მაგრამ, სამაგიეროთ, ამ გარემოებამ გამოიწვია ბავშების მდგომარეობის შედარებით გაუარესება. ახლა სამუშაო დღე—და ეს ერთათ ერთი მაგალითია ყველა ქეეყნის საფაბრიკო კანონმდებლობაში—მუშათა ყველა კატეგორიისათვის და, მაშასადამე 12 წლის ზედაელ ბავშთათვისაც, ერთსაერ ზომისა დაწესდა, სახელდობ პირველი ორი წლის განმავლობაში კანონის შემოღების შემდეგ 11 საათის, შემდეგი ორი წლის განმავლობაში—$10^1/_2$ საათის და მხოლოთ შემდეგ უნდა განხორციელდეს 10 საათის სამუშაო დღე. დროებით, მაშასადამე, სამუშაო დღე იმათთვის, ვინც ყველაზე უფრო საჭიროებდა მფარველობას, თითქმის გაგრძელებულ იქნა.

ავსტრიაში 1885 წლის 11 ივნისის კანონით დაწესდა თერთმეტი საათის ნორმალური სამუშაო დღე ყველა ფაბრიკებში, მაგრამ, მეორე მხრით, კანონში ნათქვამია, რომ აღებ-მიცე-

მობის მინისტრს უფლება ეძლევა გააგრძელოს სამუშაო დღე მრეწველობის ზოგიერთ დარგში.*) 12 წლამდე ბავშებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ნამდვილ სამრეწველო შრომაში (და აგრეთვე წვრილ სახელოსნოებშიაც). „ახალგაზდა მუშების“ (ბავშების) სამუშაო დღე განსაზღვრულია 8 საათით. ავსტრიელ მეცნიერების და აგრეთვე ზოგიერთ პარლამენტების აზრით, ბავშის ასაკი თავდება 12 წელიწადზე, შემდეგ ბავში უკვე „ყმაწვილ-კაცათ“ ხდება.

გერმანიის საფაბრიკო კანონმდებლობა შედარებით ყველა განხილულ კანონმდებლობასთან ყველაზე უფრო უარესია, მიუხედავათ იმისა, რომ იგი შედარებით ყველაზე უფრო ახალია. სამრეწველო წესდება, რომელიც შეიცავს დადგენილებებს შრომის მფარველობის შესახებ, გამოცემულია 1891 წელს. ეს წესდება კრძალავს ფაბრიკებში იმ მუშების შრომას, რომელთაც არ შესრულებიათ 13 წელიწადი, და 13-14 წლის ბავშების მუშაობას საზღვრავს 6 საათით, 14—16 წლისას კი —10 საათით. 16 წლის ზედაელ ქალებისთვის დადგენილია ნორმალური სამუშაო დღე—11 საათი. მამა-კაცებს, როგორც წინეთ, ისე ახლაც, ამუშავებენ, რამდენიც კაპიტალისტებს ენებებათ.

ევროპის დანარჩენ სახემწიფოებში შრომის კანონმდებლობითი მფარველობა სრულებით უმნიშვნელოა და განისაზღვრება თითქმის მხოლოთ ბავშების მფარველობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულია კანონები ბავშების დასაცავათ, და აგრეთვე უმეტეს შემთხვევაში ფაბრიკებში მომუშავე ქალების მფარველობის მიზნით, სახელდობ შემდეგ შტატებში: მენში, ნიუ-გემპშირში, ვერმონტში, მასაჩუზეტსში, როდ-აილენდში, კონნეკტიკუტში, ნიუ-

) რამდენათაც ვიცით, მთელი ამ კანონიდან უმთავრესათ მხოლოთ ეს უკანასკნელი უფლება განხორციელდა ცხოვრებაში)

*) ამ მხრით ავსტრიის კანონი ძლიერ უახლოვდება რუსეთის საფაბრიკო კანონმდებლობას. **მთარგმ.**

იორკში, ნიუჯერსში, პენსილვანიაში, მერილენდში, ოგაიოში. შტატების მომეტებულ ნაწილში დარჩენილია 10 საათის სამუშაო დღე, როგორც უდიდესი (მაქსიმუმი) ნორმა იმ პირთათვის, რომელთაც კანონი მფარველობას უწევს და მხოლოთ როდ-აილენში არსებობს 11 საათის სამუშაო დღე. შრომა აკრძალულია: 13 წლის ქვედაელ ბავშთათვის პენსილვანიაში, 12 წლის ქვედაელ ბავშთათვის როდ-აილენდში, 10 წლამდის ნიუ-გემპირსში. დანარჩენ შტატებში ბავშების ასაკის შესახებ არავითარი საზღვარი დადგენილი არ არის. საზოგადოთ კი შეერთებულ შტატებში, თუ კანონით არა, ფაქტიურათ მაინც, სულ უფრო და უფრო მეარდება რვა საათის სამუშაო დღე. სწორეთ ასევე ხდება ავსტრალიაშიაც.

დასასრულ, სულ უკანასკნელ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ სამუშაო დღის მოწესრიგება თანამედროვე ნაციონალურ საზღვრებიდან თან-და-თან გამოდის და ხდება საერთაშორისო, ყველა კაპიტალისტურ სახემწიფოების საერთო საქმეთ. პირველათ ეს აზრი წარმოთქვეს შვეიცარიის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების მუშებმა, და შემდეგ მთავრობებმაც საჭიროთ დაინახეს ამ საკითხისთვის ყურადღება მიექციათ. პირველი მთავრობა, რომელიც მიემხრო შრომის საერთაშორისო მფარველობას, შვეიცარია იყო. მაგრამ მისი მეცადინეობამ, დაეინტერესებია ამ საკითხით სხვა ქვეყნის მთავრობანი, ამაოთ ჩაიარა იმის გამო, რომ გერმანიის საიმპერიო მთავრობა ამ საკითხს ცუდი თვალით უყურებდა. ნორმალური სამუშაო დღე ბისმარკისთვის რაღაც საშინელება იყო. რკინის კანცლერის დაცემამ გზა გაუკაფა გერმანიაში მოძრაობას შრომის მფარველობის სასარგებლოთ, და ერთ დროს კიდევაც ეგონათ, რომ მთავრობას სურს ძირითადი, ღრმა სოციალური რეფორმების განხორციელება. სხვათა შორის, მის პროგრამაში შევიდა საერთაშორისო კანონმდებლობის იდეა შრომის მფარველობის შესახებ. იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ, 1890 წელს მარტში, ამ საკითხის გამოსარკვევათ მოიწვია კონფერენცია ბერლინში ევროპის სახემწიფოე-

ბის წარმომადგენელთაგან. როგორც ვიცით, ამ კონფერენციას არავითარი შედეგი არ მოყოლია.

პირიქით, მუშათა კლასის საერთაშორისო მოღვაწეობამ 8 საათის სამუშაო დღის სასარგებლოთ, რომელიც იწყება პარიზის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესით 1889 წელს, უკვე მოიპოვა უაღრესი მნიშვნელობა, როგორც საყოველთაო ისტორიულმა მოძრაობამ.

თავი VI

„წვრილი ხელოსნის“ ზედმეტი ღირებულება და კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება

თუ ჩვენ ზედმეტი ღირებულების ნორმასთან ერთათ წინდაწინ ვიცით სამუშაო ძალის ღირებულება და, მაშასადამე, ის სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა მუშის არსებობისათვის, ჩვენ ვიცით აგრეთვე იმ ზედმეტი ღირებულების რაოდენობაც, რომელსაც კერძო მუშა კაპიტალისტს აძლევს. თუ სამუშაო ძალის ღირებულება ეთანასწორება 1 მ. 50 კ. და ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის 100%, იმ შემთხვევაში, ზედმეტი ღირებულების რაოდენობა, რომელსაც ქმნის მუშა, ეთანასწორება 1 მ. 50 კ. მაგრამ რამდენათ დიდია ზედმეტი ღირებულების საერთო რაოდენობა, რომელიც კაპიტალისტს ერგება განსაზღვრულ პირობებში? ვთქვათ, რომ კაპიტალისტი განსაზღვრულ პირობებში ამუშავებს 300 მუშას; ვთქვათ, რომ ცვალებადი კაპიტალი, რომელსაც იგი ყოველდღე ხარჯავს, ეთანასწორება 450 მან., ზედ-მეტი ღირებულების ნორმა-კი 100%-ია. ამ შემთხვევაში დღის განმავლობაში გაკეთებული ზედმეტი ღირებულების რაოდენობა ეთანასწორება აგრეთვე 450 მ. „ზედ-მეტი ღირებულების რაოდენობა ეთანასწორება დახარჯულ ცვალებადი კაპიტალის სიდიდეს, გამრავლებულს ზედმეტი ღირებულების ნორმაზე“.

თუ ერთი ამ ფაქტორთაგანი კლებულობს, იმ შემთხვევაში, რომ ზედმეტი ღირებულების რაოდენობა უცვლელი

დარჩეს, საჭიროა ამის კვალობაზე მეორე ფაქტორის გადიდება. პირიქით, ერთი ამ ფაქტორთაგანის გადიდება შესაძლებლათ ხდის მეორე ფაქტორის შესაფერ დაკლებას, ზედმეტი ღირებულების საერთო რაოდენობის შეუცვლელათ. რამდენიმე მაგალითი გაგვიადვილებს ამის გაგებას. ვთქვათ, კაპიტალისტი ამუშავებს 300 მუშას; აუცილებელი დრო უდრის 6 საათს; სამუშაო ძალის ღირებულება ეთანასწორება 1 მ. 50 კ.; სამუშაო დღე=12 საათს. ზედმეტი ღირებულების რაოდენობა, რომელიც გაკეთებულია ერთი დღის განმავლობაში, უდრის 450 მანეთს. ვთქვათ, რომ მუშების თავაზიანობა შეძლებას აძლევს კაპიტალისტს გააგრძელოს სამუშაო დღე 15 საათამდე. ახლა, თუ სხვა პირობები წინანდელი რჩებიან, ზედმეტი ღირებულების ნორმა ეთანასწორება 150%.

$\left\{\frac{\text{9 საათი ზედმეტი ღირებულება}}{\text{6 საათი აუცილებელი შრომა}}\right\}$ ზედმეტი ღირებულების წინანდელი რაოდენობის (450 მ.) მისაღებათ კაპიტალისტს ახლა აღარ ესაჭიროება ცვალებადი კაპიტალის—450 მანეთის დახარჯვა, ამისთვის საკმარისია ახლა 300 მ. 300 მუშის მაგივრათ კი-200 მუშა.

თუ რომ მუშები არც ისე დამყოლნი არიან, თუ, პირიქით, გაფიცვის მეოხებით, ისინი ამოკლებენ სამუშაო დროს 12 საათიდან 9 საათამდე, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა შეადგენს მხოლოთ 50% $\left\{\frac{\text{3 საათი ზედმეტი შრომა}}{\text{6 საათი აუცილ. შრომა}}\right\}$ რომ ზედ-მეტი ღირებულების წინანდელი რაოდენობა მიიღოს, კაპიტალისტი ახლა იძულებული ხდება დაიქირაოს 600 მუშა და ყოველდღე 900 მანეთი ცვალებადი კაპიტალი ხარჯოს.

მეტია იმის მტკიცება, რომ კაპიტალისტისთვის პირველი შემთხვევა ბევრათ უფრო სასიამოვნოა. კაპიტალისტი ცდილობს ზედმეტი ღირებულების რაოდენობის რაც შეიძლება უფრო მეტ გადიდებას; მაგრამ მისთვის ათას წილათ უფრო ხელსაყრელია მიახწიოს ამ მიზანს ზედმეტი ღირებუ-

ლების ნორმის გადიდებით, ვინემ მუშების რიცხვის მომატებით.

მაგრამ ზედმეტი ღირებულების ნორმა არ შეიძლება დადგენილ იქნას თავისი ნებით. განსაზღვრულ პირობებში იგი წარმოადგენს ცოტათ თუ ბევრათ განსაზღვრულ სიდიდეს. მაგრამ თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ცნობილია, როგორც განსაზღვრული სიდიდე, მაშინ ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული რაოდენობის შექმნა თხოულობს ცვალებადი კაპიტალის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც ქმნის მას ისე, როგორც მუდმივი კაპიტალის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც მას ნთქავს.

ამ გარემოებამ ისტორიული განვითარების გზაზე მოიპოვა ისტორიული მნიშვნელობა.

ჯერ კიდევ კაპიტალიზმის განვითარებამდე არსებობდენ საქირაო მუშები, რომლებიც აკეთებდენ ზედმეტ ღირებულებას. ამ მოვლენას ადგილი ქონდა განსაკუთრებით ხელოსნურ წარმოების დროს. მაგრამ ვინაიდან იმ მუშების რიცხვი, რომლებსაც ქირაობდა საშუალო საუკუნოების ხელოსანი, მცირე იყო, ამის კვალობაზე მცირე იყო იმ ზედმეტი ღირებულების რაოდენობაც, რომელიც მას ერგებოდა. ჩვეულებრივათ ეს არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ხელოსნისთვის უზრუნველ ეყო რიგიანი შემოსავალი, და იგი იძულებული იყო აგრეთვე თითონაც ემუშავნა. წვრილი „ხელოსანი-პატრონი“ დაქირავებული მუშა არ არის, მაგრამ იგი არც კაპიტალისტია; იგი იმათ შუაა გაჩხირული. ვინც საქირაო შრომით სარგებლობს, იგი რომ ნამდვილი კაპიტალისტი შეიქნეს, საჭიროა, რომ მან დაიქირაოს იმდენი მუშა, რომ იმათ მიერ გაკეთებულმა ზედმეტმა ღირებულებამ უზრუნველყოს არა მარტო „მისი წოდების შესაფერი“ შემოსავალი, არამედ უნდა მისცეს მას საშუალება გაადიდოს თავისი ქონება, რაც, როგორც ჩვენ ქვევით დავინახავთ, კაპიტალისტურ წარმოებაში მისთვის აუცილებლობას შეადგენს.

ყველა ფულის პატრონს კი არ შეუძლია კაპიტალისტი

შეიქნეს. რომ კაპიტალისტათ გახდე, ამისთვის საჭიროა გქონდეს ფულის საკმარისი თანხა, რომელიც ნებას გაძლევდეს იყიდო სამუშაო ძალის და წარმოების საშუალებათა საჭირო რაოდენობა, რომელიც აღემატება ასეთების ნორმას ხელოსნურ წარმოებაში. მაგრამ ამასთანავე ფულის პატრონი, როცა იგი წარმოებას იწყებს, შეეიწროებული არ უნდა იყოს რაიმე გარემოებით, რომელიც ხელს უშლის მას მუშების რიცხვს მოუმატოს იმდენათ, რამდენაითაც ამას წარმოების საჭიროება თხოულობს. საშუალ საუკუნოების ამქრული წესწყობილება ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხელოსანი კაპიტალისტათ არ გარდაქცეულიყო, როცა იგი (ამქრული წესწყობილება) ზღუდავდა იმ მუშების რიცხვს, რომლების ყოლის უფლება ხელოსანს ქონდა.

„თანამედროვე (კაპიტალისტური) სახელოსნოს პატრონი იყო ვაჭარი, და არა საშუალ საუკუნოების ხელოსანი“ („ფილოსოფიის სიღატაკე“ მარქსისა).

საშუალ საუკუნოების ხელოსანი ითვისებს ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ნამდვილი კაპიტალისტი არ არის.

საშუალ საუკუნოების ქარგალი აკეთებს ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრული პროლეტარი არ არის, როგორც საჭირაო მუშა.

საშუალ საუკუნოების ხელოსანი კიდევ მუშაობს თითონ, კაპიტალისტი კი მხოლოთ განკარგულებას ახდენს და სხვების მუშაობას თვალყურს ადევნებს.

საშუალ საუკუნოების ქარგლის განკარგულებაშია კიდევ წარმოების საშუალებანი; უკანასკნელთა დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ემსახურებიან მუშას და მას შრომას უმსუბუქებენ. ქარგალი ხელოსნის თანაშემწეა, თანამშრომელია, მას უნდა, და ჩვეულებრივ კიდევაც შეუძლია, თითონაც გახდეს ოდესმე ხელოსანი.

საჭირაო მუშა კი კაპიტალისტურ წარმოებაში არის, პირიქით, ერთათერთი მშრომელი წარმოების პროცესში,—

ზედმეტი ღირებულების წყარო, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს. წარმოების საშუალებანი აქ ემსახურებიან უწინარეს ყოვლისა იმ მიზანს, რომ მათ მშრომელის სამუშაო ძალა შეისრუტონ; ახლა მუშა იმათ განკარგულებაშია; მუშას კი კაპიტალისტათ გახდომა უკვე აღარ შეუძლია. წარმოების იარაღთ შრომის გაადვილება კი აღარ აქვთ თავის მიზნათ, არამედ მისი მიზიდვა, მიჯაქვა, თავისაკენ.

შევიხედოთ კაპიტალისტურ ფაბრიკაში: იქ ჩვენ დავინახავთ, შეიძლება, ათას თითისტარს, ათი-ათას ფუთ ბამბას. ისინი ნაყიდია იმისთვის, რომ თავის ღირებულებაში გაიზარდონ, იბარტყონ, ე. ი. შეისრუტონ (впитать въ себя—einzusaugen) ზედმეტი ღირებულება. მაგრამ იმათი ღირებულება როდი იზრდება შრომის მიუმატებლათ, ისინი თხოულობენ შრომას, შრომას და კიდევ შრომას. სართავი მაშინა დგას უკვე არა იმიტომ, რომ მუშას გაუადვილოს შრომა, არამედ მუშა დაყენებულია იმიტომ, რომ სართავ მაშინამ შესძლოს ახალი ღირებულების გაკეთება. თითისტარები მოძრაობენ და თხოულობენ სამუშაო ძალას: მუშა მშიერია, მაგრამ სართავი მაშინა მუშაობს, და მუშამ უნდა სძლიოს თავის სიმშილს, სანამ იგი ემსახურება თავის ქალბატონს (სართავ მაშინას). მისი ძალა კლებულობს, მას უნდა ძილი, მაგრამ სართავი მაშინა არ იღლება, იგი თხოულობს მუშაობის გაგრძელებას.

მკვდარმა იარაღმა დაიმოჩილა ცოცხალი მუშა.

თავი VII

შედარებითი ზედმეტი ღირებულება

თუ აუცილებელი სამუშაო დრო (ე. ი. სამუშაო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაში კეთდება ღირებულება, თანასწორი იმ კაპიტალისა, რომელიც დახარჯულია სამუშაო ძალის საყიდლათ) არის განსაზღვრული სიდიდე, მაშინ ზედმეტი ღირებულება შეიძლება გადიდებულ იქნას მხოლოთ

სამუშაო დღის გაგრძელების საშუალებით. თუ, მაგ., აუცილებელი სამუშაო დრო ეთანასწორება 6 საათს დღეში და რჩება უცვლელი,—რაც წარმოების განსაზღვრულ პირობებში მართლა ხდება,—მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება შეიძლება მხოლოთ სამუშაო დღის გაგრძელებით.

ამ გარემოების მნიშვნელობა ჩვენ განვიხილეთ მეოთხე თავში.

მაგრამ სამუშაო დღის დაუბოლოვებლათ გაგრძელება შეუძლებელია. ბუნებრივი საზღვრები, რომლების იქით კაპიტალისტს არ ძალუძს სამუშაო დღე გააგრძელოს, მდგომარეობს მუშის გამოფიტვაში,—ზნეობრივი—მუშის, როგორც ადამიანის, მოთხოვნილებებში, თავისუფალ მოქმედებაში, და, ბოლოს, პოლიტიკური—სამუშაო დღის მთავრობის მიერ შეზღუდვაში, ამა თუ იმ მოტივების ძალით.

ვთქვათ, რომ სამუშაო დღე მივიდა იმ საზღვრამდე, რომლის იქით მისი გაგრძელება შეუძლებელია; ვთქვათ, ეს საზღვარი 12 საათია. აუცილებელი სამუშაო დრო, ვთქვათ, ეთანასწორება 6 საათს; მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა ეთანასწორება 100 %.

რა გზით შეიძლება ამ ნორმის გადიდება? ძლიერ ადვილათ. თუ ჩვენ შევამცირებთ აუცილებელ სამუშაო დროს 6 საათიდან 4 საათამდე, მაშინ ზედმეტი შრომის დრო 6 საათიდან ავა 8 საათამდე. სამუშაო დღის სიგრძე დარჩა წინანდელი, მაგრამ გამოიცვალა ურთიერთ-შორის დამოკიდებულება მის ორ შემადგენელ ნაწილებს შორის—აუცილებელ, და ზედმეტ სამუშაო დროს შორის. ერთ და იმავე დროს შეიცვალა აგრეთვე ზედმეტი ღირებულების ნორმაც. აუცილებელი სამუშაო დროს შემცირებით 6 საათიდან 4 საათამდე, ზედმეტი ღირებულების ნორმა გაიზარდა 100%-დან 200%-დე, ე. ი. ორჯერ გაიზარდა. ამ პროცესს კიდევ უფრო ადვილათ გავიგებთ, თუ ჩვენ სამუშაო დღის და მის შემადგენელ ნაწილების სიდიდეს გამოვხატავთ განსაზღვრული სიდიდის ხაზის სახით. ვთქვათ, მაგ., რომ ხაზი AB წარმო-

ადგენს 12 საათის სამუშაო დღეს, მისი ნაწილი AC—აუცილებელს, ნაწილი CB კი—ზედმეტ სამუშაო დროს:



რა ნაირათ შეიძლება CB-ს გაგრძელება უიმისოთ, რომ AB არ გავაგრძელოთ, ორი მეთორმეტე ($^2/_{12}$) ნაწილით, რომელიც სამუშაო საათებს წარმოადგენენ?—AC-ს შემოკლებით:



პირველ შემთხვევაში CB ეთანასწორება AC, მეორეში CB ორჯერ უფრო მეტია AC-ზე.

მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების გადიდება შეიძლება არა მარტო სამუშაო დღის აბსოლიუტური გაგრძელებით, არამედ აუცილებელი სამუშაო დროს შემოკლებითაც.

იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც კეთდება სამუშაო დღის გაგრძელების საშუალებით, მარქსი უწოდებს აბსოლიუტურ ზედმეტ ღირებულებას (absoluten Mehrwerth); იმ ზედმეტ ღირებულებას კი, რომელიც აუცილებელი სამუშაო დროს შემოკლების შედეგია და რომელიც გამოწვეულია სამუშაო დღის ორივე შემადგენელ ნაწილების შესაფერი ცვლილებისა, მარქსი უწოდებს შედარებით ზედმეტ ღირებულებას (relativen Mehrwerth).

წარმოების განუვითარებელ ფორმაში კაპიტალისტის სულის კვეთება,—გაადიდოს ზედმეტი ღირებულება ამ უკანასკნელი საშუალებით, ჩნდება მის მეცადინეობაში შეამციროს როგორმე სამუშაო ხელფასი. მაგრამ ვინაიდან სამუშაო ძალის ღირებულება განსაზღვრულ პირობებში წარმოადგენს განსაზღვრულ სიდიდეს, ამიტომ ეს სულისკვეთება შესაძლებელია გამოიხატოს მხოლოთ სამუშაო ძალის ფასის შემცირებაში, ე. ი. მისი ღირებულების დაბლა დაწევაში. თუმც ეს გარემოება ცხოვრებაში დიდი ყურადღების ღირსია, მაგრამ ჩვენ აქ მაინც არ შეგვიძლია მის დაწვრილებით განხილვას შევუდგეთ, ვინაიდან აქ ეკონომიური განვითარების ძი-

რითად კანონებზეა ლაპარაკი და არა ამ განვითარების გარეგან ფორმებზე.

ამიტომ ჩვენ შემდეგშიაც იმ წარმოდგენიდან უნდა გამოვიდეთ, რომ ყოველივე ნორმალურათ ხდება, რომ ფასი ეთანასწორება ღირებულებას და, მაშასადამე, სამუშაო ხელფასიც—სამუშაო ძალის ღირებულებას. მაშასადამე, ჩვენ აღარ გვიხდება ვიკითხოთ: რა ნაირათ შეიძლება სამუშაო ხელფასის შემცირება სამუშაო ძალის ღირებულების ქვეშეთ და რა შედეგი მოსდევს ამას? პირიქით, ჩვენ მხოლოთ უნდა განვიხილოთ, თუ როგორ კლებულობს სამუშაო ძალის ღირებულება.

განსაზღვრულ პირობებში მუშას განსაზღვრული მოთხოვნილებანი აქვს: თავისი ოჯახის და თავისი თავის შესანახათ მას ესაჭიროება სახმარ ღირებულებათა განსაზღვრული რაოდენობა. ასეთ სახმარ საგნებს საქონლები შეადგენენ; ამ საქონლების ღირებულება განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რომელიც იმათ გასამზადებლათ საზოგადოებრივათ აუცილებელია. ეს ჩვენ უკვე ვიცით და ამიტომ იგი არავითარ განმარტებას აღარ თხოულობს. თუ საშუალო სამუშაო დრო, რომელიც დასახელებულ სახმარ საგნების გასაკეთებლათაა საჭირო, კლებულობს, მაშინ ერთ და იმავე დროს კლებულობს იმათი ღირებულება და ამასთანავე სამუშაო ძალის ღირებულებაც, სწორეთ ისევე, როგორც სამუშაო დღის ის ნაწილიც, რომელიც საჭიროა ამ ღირებულების აღსადგენათ; ამასთანავე მუშის ჩვეულებრივი მოთხოვნილებები სრულებით არ იზღუდებიან. სხვანაირათ რომ ვთქვათ: თუ შრომის ნაყოფიერება მაღლა იწევს, იმ შემთხვევაში სამუშაო ძალის ღირებულება, განსაზღვრულ პირობებში, კლებულობს ანუ დაბლა იწევს, მაგრამ მხოლოთ განსაზღვრულ პირობებში ხდება ეს ასე, სახელდობ მხოლოთ მაშინ, ანუ მხოლოთ იმდენათ, რამდენათ შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევა ამოკლებს იმ სამუშაო დროს, რომელიც საჭიროა ცხოვრების იმ საშუალებათა გასაკეთებლათ, რომლებსაც მუშა ჩვეულებრივ ხმარობს. თუ მუშა დაჩვეულია ჩექმებით სიარულს და ფეხშიშველა არ

დადის, მაშინ სამუშაო ძალის ღირებულება შემცირდება, როცა ერთი წყვილი ჩექმის გასამზადებლათ 12 საათის შრომის მაგიერ საკმარისი იქნება მხოლოთ 6 საათი. მაგრამ თუ რომ ალმასის მთლელის ან ლენტების მქსოველის შრომის ნაყოფიერება მატულობს, ეს, რა თქმა უნდა, არ მოქმედებს სამუშაო ძალის ღირებულებაზე. მაგრამ შრომის საწარმოვო ძალის აწევა შესაძლებელია მხოლოთ წარმოების წესების ცვლილების საშუალებით,—ე. ი. შრომის იარაღების გაუმჯობესობით. მაშასადამე, შედარებითი ზედმეტი ღირებულების შექმნა დამოკიდებულია შრომის იარაღების და წესების ცვლილებაზე.

ასეთი ცვლილებანი და საწარმვო იარაღების მუდმივი გაუმჯობესობა კაპიტალისტური წარმოებისთვის ბუნებრივ აუცილებლობას შეადგენს. აშკარაა, რომ კერძო კაპიტალისტი ყოველთვის არა გრძნობს იმას, რომ რამდენათ იგი იაფათ აკეთებს, იმდენათ სამუშაო ძალის ღირებულება კლებულობს და იმდენათ მატულობს ზედმეტი ღირებულება, თუ დანარჩენი პირობები უცვლელი რჩებიან. მაგრამ მეტოქეობა აიძულებს კაპიტალისტს წარმოებაში მუდამ ახალ-ახალი გაუმჯობესობანი მოახდინოს. თავის მეტოქეების წინგასწრობის სურვილი აიძულებს მას, შემოიღოს ახალი იარაღები, რომლებიც შეძლებას აძლევენ მას აწარმოვოს საქონლების წინანდელი რაოდენობა საზოგადოებრივათ აუცილებელი სამუშაო დროს უფრო ნაკლები დახარჯვით. მაგრამ მეტოქეობა აგრეთვე მის მოქიშპეებსაც აიძულებს წარმოების გაუმჯობესებული იარაღები შემოიღონ. ის განსაკუთრებული მოგება, რომელიც არსებობდა მანამ, სანამ ახალ იარაღებს მხოლოთ თითო-ოროლა შემთხვევაში იყენებდენ, ქრება, როცა ისინი საყოველთაო ხმარებაში შედიან. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ იარაღს ცხოვრებისათვის საჭირო საგნების გასაკეთებლათ, სამუშაო ძალის ღირებულების მეტი თუ ნაკლები დაწევა და შედარებითი ზედმეტი ღირებულების ამის კვალობაზე მაღლა აწევა—უტყუარი ფაქტია. ეს მხოლოთ ერთ-ერთი მიზეზია იმის, რომ კაპიტალიზმი განუწყვეტლივ ცვლი-

ლებებს ახდენს წარმოების იარაღებში, და, ამ გზით, სულ უფრო და უფრო ადიდებს შედარებით ზედმეტ ღირებულებას.

თუ შრომის ნაყოფიერება მატულობს, იმ შემთხვევაში მატულობს შედარებითი ზედმეტი ღირებულების ნორმაც, მაშინ როცა გაკეთებულ საქონლების ღირებულება ამის კვალობაზე კლებულობს. ამნაირათ, ჩვენ ვეჯახებით აქ ვითომც ერთნაირი წინააღმდეგობის განვითარებას, სახელდობ იმას, რომ კაპიტალისტები განუწყვეტლივ მეცადინეობენ, რათა სულ უფრო და უფრო გააიაფონ წარმოება, სულ უფრო და უფრო დაბლა დასწიონ თავის საქონლების ღირებულება, რომ შეძლება მიეცეთ რაც შეიძლება უფრო მეტი ზედმეტი ღირებულება მიითვისონ. მაგრამ შეიძლება აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარეგანი შეუსაბამობა: რამდენათ უფრო დიდია შრომის ნაყოფიერება, იმდენათ, კაპიტალისტურ წარმოებაში, უფრო დიდია ზედმეტი შრომა, ზედმეტი სამუშაო დრო. კაპიტალისტური წარმოების მიდრეკილება იმაში მდგომარეობს, რომ შრომის საწარმოო ძალა ასწიოს უუმწვერვალეს წერტილამდე, სიმაღლემდე, აუცილებელი სამუშაო დრო კი დაიყვანოს მინიმუმამდე (ე. ი. უმცირეს ხარისხამდე) და ამავე დროს სამუშაო დღე გააგრძელოს, რამდენათაც ეს შესაძლებელია.

მეხუთე თავში ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ აგრძელებდა კაპიტალისტი სამუშაო დღეს. ახლა ჩვენ ვნახოთ, თუ რა გზით, რა საშუალებით, ამოკლებდა იგი აუცილებელ სამუშაო დღეს.

თავი VIII

კ ო ო პ ე რ ა ც ი ა

ამ განყოფილების მეექვსე თავში ჩვენ დავინახეთ, რომ საქირაო მუშების შრომით სარგებლობა კიდევ არ ნიშნავს კაპიტალისტათ ყოფნას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ვინც ამ მუშების შრომით სარგებლობს, იგი მხოლოთ მაშინ

ხდება კაპიტალისტათ, როცა იმათ მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება იმდენათ დიდია, რომ უზრუნველყოს მისთვის შესაფერი შემოსავალი და აგრეთვე შეძლება მისცეს მასვე გაადიდოს თავისი სიმდიდრე ისე, რომ მან პირადათ არ იშრომოს. ეს შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა ერთ და იმავე დროს მუშაობს მუშების განსაზღვრული რიცხვი, რომელიც დიდათ აღემატება საშუალ საუკუნოების სახელოსნოში შესაძლებელ ნორმას. „მრავალ ადამიანების მუშაობა ერთ და იმავე დროს და ერთ და იმავე ადგილას (ან, თუ საჭიროა, შრომის ერთ და იმავე დარგში) ერთი და იმავე საქონლის გასაკეთებლათ ერთი და იგივე კაპიტალისტის გამგეობის ქვეშ ისტორიულათ და ლოდიკურათ შეადგენს კაპიტალისტური წარმოების გამოსავალ წერტილს.“

კაპიტალისტურ და ხელოსნურ წარმოების შორის განსხვავება პირველათ, მაშასადამე, მხოლოთ რაოდენობითია, და არა თვისებრივი, ხარისხით, და არა გვარით. მუშაობენ, მაგ., ერთ და იმავე სადგომში და ერთ და იმავე დროს სამი ფეიქარი სამ დაზგაზე, თუ ოცდაათი ფეიქარი ამდენსავე დაზგაზე, ამის შედეგი მხოლოთ ის არის, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ათჯერ მეტი ღირებულება და ზედმეტი ღირებულება მზადდება, ვინემ პირველ შემთხვევაში.

მრავალ ადამიანთა მუშაობა ერთათ იწვევს აგრეთვე სხვა განსხვავებასაც. გავიხსენოთ უწინარეს ყოვლისა დიდი რიცხვის კანონი; ჩვენ ვიცით, რომ ინდივიდუალური (პირადი) განსხვავებანი იმდენათ უფრო შესამჩნევია, რამდენათ ნაკლებია იმ ინდივიდთა (პიროვნებათა) რიცხვი, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებით, და იმდენათ უფრო ჩქარა ქრებიან, რამდენათ ამ ინდივიდების რიცხვი უფრო მეტია. თუ მე მსურს შევიტყო ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მე უეკველათ შევცდები, თუ მხედველობაში მივიღებ 5 ან 6 პირის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მაგრამ მე შემიძლია უფრო მეტი დანამდვილებით ვთქვა, რომ მე ჰეშმარიტებასთან ახლო ვარ, თუ ამ ხანგრძლივობას განვსაზღვრავ, მაგ., მილიონი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის გამოანგარიშებით.

სწორეთ ასევე უფრო აშკარათ ჩნდება მუშების ინდივიდუალური განსხვავება, როცა იმათი რიცხვი სამია, ვინემ როცა ოცდაათი. უკანასკნელ შემთხვევაში კარგი მუშების შრომის დიდი უნარი (Arbeits leistung) და უვარგისი. მუშების ნაკლები—ურთიერთ შორის გათანასწორდება, ასე რომ ბოლოს ჩვენ მივიღებთ საშუალო შრომას. ბორკის სიტყვით, ხუთი სამეურნეო მუშის ერთათ მუშაობის დროს უკვე ქრება ინდივიდუალური განსხვავება, ასე, რომ ხუთ, შემთხვევით აყვანილ, მუშას შეუძლია იმდენისავე გაკეთება, რაც მეორე ხუთს.

წვრილი პატრონისთვის სრულებით შემთხვევით თუ მოხდება, რომ მისი მუშები საზოგადოებრივათ საშუალო შრომას ანვითარებენ. მხოლოთ კაპიტალისტისთვის არის შესაძლებელი ის, რომ მის სახელოსნოში მუშაობა ჩვეულებრივ საზოგადოებრივ-საშუალო შრომათ ხდება.

მრავალ მუშების ერთ და იმავ დროს მუშაობას ერთ და იმავე ადგილას კიდევ სხვა სარგებლობაც მოაქვს. ოცდაათი ფეიქრისთვის სამუშაო სახლის აგება ათჯერ უფრო მეტი არ დაჯდება, ვინემ სამი ფეიქრის სახლის. აგრეთვე მაღაზია, რომელშიაც შესაძლებელია მოთავსდეს 1000 ფუთი ბამბა, ათჯერ ძვირი არა ღირს იმ მაღაზიაზე, რომელშიაც მხოლოთ 100 ფუთი ბამბის მოთავსება შეიძლება და სხვ. მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის ღირებულება, რომელიც ნაწარმოებზე გადადის, თუ სხვა პირობები უცვლელი რჩებიან, იმდენათ უფრო საგრძნობლათ კლებულობს, დაქირავებულ მუშების რიცხვთან შედარებით,—რამდენათ უფრო მეტი მუშა მუშაობს წარმოების განსაზღვრულ პროცესში. ამასთანავე დახარჯული კაპიტალის საერთო რაოდენობასთან შედარებით იზრდება ზედმეტი ღირებულება და კლებულობს ნაწარმოების ღირებულება, და განსაზღვრულ, წინა თავში ნაჩვენებ, პირობებში, ეცემა აგრეთვე სამუშაო ძალის ღირებულება. უკანასკნელ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება იზრდება შედარებით ცვალებად კაპიტალთანაც.

მრავალი მუშების მუშაობა ერთ და იმავე დროს და ერთ და იმავე ადგილას, განსაზღვრული მიზნის მისახწევათ, ქმნის იმათ საერთო და მიზნის შესაფერ მოქმედებას, ე. ი. კოოპერაციას. კოოპერაცია ქმნის ახალ საზოგადოებრივ საწარმოვო ძალას, რომელიც რაოდენობით აღემატება და თვისებით განირჩევა კერძო, მის შემადგენელ, ინდივიდუალურ ძალთა ჯამიდან.

ეს ახალი საწარმოვო ძალა უწინარეს ყოვლისა მასიური ძალაა; იგი შესაძლებელათ ქმნის შრომის ისეთ პროცესებს, რომელთა შესრულება სრულებით შეუძლებელია მცირე ძალების საშუალებით, ან შესაძლებელია მხოლოთ ნაწილათ. ოცდაათ კაცს ადვილათ შეუძლია თვალის ერთი დახამხამების დროს დიდი კუნძის აწევა, რომელზედაც სამი კაცი ტყუილა დაღვრიდა ოფლს მთელი დღის განმავლობაში. კოოპერაცია აგრეთვე შესაძლებლათ ქმნის ისეთ სამუშაოების შესრულებას, სადაც არა მასიური ძალაა საჭირო, არამედ სადაც ცოტა ხნის განმავლობაში მოქმედების თავის მოყრაა საჭირო, რაც შეიძლება დიდ ფარგალში; ასე ხდება მაგ., მეურნეობაში მოსავლის შეგროვების დროს.

თითქმის იმ შემთხვევაშიაც კი, როცა არც დიდი ენერგიის დახარჯვაა საჭირო, არც ამ ენერგიის განსაზღვრულ ადგილას ან განსაზღვრულ დროს თავის მოყრა, კოოპერაცია სასარგებლოა: იგი შრომის ნაყოფიერებას მაღლა სწევს. ყველამ იცის, თუ როგორ აწვდიან აგურს შენობის აგების დროს: მუშები მწკრივდებიან, მსგავსათ ჯაჭვისა, და ერთი მეორეს აწვდიან აგურებს. ასეთი საერთო, გეგმაზე დამყარებული მუშაობის მეოხებით, აგურების მიწოდება გაცილებით უფრო ჩქარა ხდება, ვინემ თითოეულ მუშას რომ ცალ-ცალკე ეზიდნა ისინი.

ბოლოს არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, რომ საერთო მუშაობა მის სულიერ მდგომარეობას აცხოველებს, იწვევს მასში პატივმოყვარეობას და მოცილეობას. ამიტომ საერთო მუშაობა მი-

მდინარეობს უფრო ჩქარა და თანდათან უფრო ნაყოფიერი ხდება, ვინემ განცალკევებული მუშის.

წარმოების კაპიტალისტურ სისტემაში საქირაო მუშების თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ იმათი სამუშაო ძალა ერთი და იგივე კაპიტალისტის მიერ არის ნაყიდი. ნაყიდი სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდასთან ერთათ აუცილებლათ იზრდება ცვალებადი კაპიტალის სიდიდეც; რამდენათ უფრო მეტი მუშაა დაქირავებული წარმოების რომელსამე დარგში, იმდენათ უფრო მეტი ნედლი მასალა, შრომის იარაღი და სხვ. ესაჭიროება მუშებს და, მაშასადამე, იმდენათ უფრო მეტი მუდმივი კაპიტალი. ამიტომ კოოპერაციის შემოღება ამა თუ იმ ფარგალში საზღვრავს კაპიტალის სიდიდესაც. განსაზღვრული სიდიდის კაპიტალი შეადგენს წარმოების კაპიტალისტური წესის წინა პირობას.

კოოპერაცია შეადგენს არა მარტო კაპიტალისტური წარმოების თვისებას. ჩვენ ამას პირველყოფილი სახით უკვე ინდოელებშიაც ვხედავთ. ამასთანავე ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ინდოელების გეგმაზე დამყარებული საერთო მოქმედება ნადირობის დროს თხოულობს გეგმაზე დამყარებულსვე ხელმძღვანელობას. ასეთი ხელმძღვანელობა აუცილებლათ საჭიროა ყოველსავე საზოგადოებრივ შრომაში, როგორიც უნდა იყოს მისი გარეგანი ფორმა. კაპიტალისტურ წარმოებაში ასეთი ხელმძღვანელი როლი ხდება კაპიტალის ფუნქციათ. და ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ვხედავთ ნაყოფიერ მნიშვნელობას იმისას, რაც მარქსმა გვიჩვენა შრომის ორგვარი ხასიათის შესახებ, შრომის, რომელიც საქონლებს ქმნის. როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ წარმოების პროცესი კაპიტალისტურ სისტემაში, თანახმათ შრომის ხასიათის ორგვარობისა, არის ერთ და იმავე დროს შრომის პროცესი და ღირებულების ზრდის პროცესი. რამდენათ წარმოების პროცესი შრომის პროცესია, იმდენათ კაპიტალისტი წარმოების ხელმძღვანელია და მისი ფუნქცია ჩვენ წარმოგვიდგება ისეთათ, რაც ცოტათ თუ ბევრათ საჭიროა ყველა საერთო შრომაში. კაპიტალის-

ტური წარმოების პროცესი, როგორც ღირებულების ზრდის პროცესი, დაყრდნობილია შრომის და კაპიტალის ინტერესების წინააღმდეგობაზე, განხეთქილებაზე, როგორც ეს ჩვენ უკვე განვმარტეთ იმ ალაგას, სადაც სამუშაო დღეზე გვქონდა საუბარი. ამიტომ კაპიტალის სასურველი ღირებულების დაუბრკოლებელი ზრდა აუცილებლათ თხოულობს კაპიტალისტის დესპოტურ კაბატონებას მუშაზე. მაგრამ ღირებულების ზრდის პროცესი და შრომის პროცესი არის ორი სხვა და სხვა მხარე ერთი და იგივე პროცესისა—კაპიტალისტური წარმოებისა,—ამიტომ წარმოების ხელმძღვანელობა და კაპიტალის შეუზღუდველი ბატონობა შრომაზე აგრეთვე გვეჩვენება ერთ განუყოფელ რამეთ,—და ვინაიდან პირველი ტეხნიკურათ აუცილებელია, ამიტომ კაპიტალის ბატონობა შრომაზე თანამედროვე წარმოების დამცველების შეხედულობით, როგორც ტეხნიკურათ, ისე არსებითაც აუცილებელია; იმათი აზრით, ამ ბატონობის თავიდან მოშორება გამოიწვევდა წარმოების სიკვდილს, რამდენათაც ამ წარმოებას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს; ერთი სიტყვით, კაპიტალის ბატონობა ცივილიზაციის ბუნებრივი და აუცილებელი წინა პირობაა.

თითქმის როდბერტუსსაც მიაჩნია კაპიტალისტები, როგორც წარმოების ხელმძღვანელნი, საზოგადოების მოსამსახურეებათ, რომელთაც უფლება აქვთ. ილონ საზოგადოებისაგან ჯამაგირი. ნამდვილათ კი, კაპიტალისტი მხოლოთ იმიტომ კიდებს ხელს სახმარ ღირებულებათა წარმოებას, რომ სხვა გზით მას არ ძალუძს ღირებულების შოვნა. წარმოების ხელმძღვანელობა კი მისთვის მხოლოთ აუცილებელი ბოროტებაა, რასაც იგი ემორჩილება მხოლოთ იმიტომ, რომ იგი განუყრელათ შეკავშირებულია თავისი კაპიტალის ღირებულების ზრდასთან. იგი თავს ანებებს ამ ბოროტებას, როგორც კი ეს შესაძლებელი ხდება, ზედმეტი ღირებულების უვნებლათ. თუ მისი საქმე საკმარისათ დიდია, იგი თავის „სამსახურს საზოგადოებისადმი“ დაქირავებელ მოსამსახურეებს—გამგეებს და იმათ ხელქვეითებს ანდობს. ხან იგი სხვა საშუა-

ლებითაც სარგებლობს, რომ თავიდან აიშოროს წარმოების ხელმძღვანელობა. ასე, მაგ., გასული საუკუნის მესამოცე წლებში, როცა ბამბის კრიზისი იყო, ინგლისის ბამბის-საქსოვთა მეპატრონეებმა, დაკეტეს რა თავიანთი ფაბრიკები, ხელი მოკიდეს საბირჟო თამაშს ბამბაზე, რათა უზრუნველეყოთ თავისთვის თავისი „ჯამაგირი“. იმის მტკიცება, რომ კაპიტალისტი ღირსია დაჯილდოების იმიტომ, რომ იგი წარმოებას ხელმძღვანელობს, გვაგონებს ჩვენ ერთ სასაცილო მოთხრობას ბავშზე, რომელმაც ერთხელ ვაშლებით დაყურწული ხე დაინახა. ვაშლის ხესთან მისვლას მას ღობე უშლიდა; მაგრამ ვინაიდან ვაშლები მას ძლიერ იტაცებდენ თავისკენ, ამიტომ მან, რა თქმა უნდა, ღობეზე გადახტომა მოინდომა,—რაც მან განახორციელა დიდი ტანჯვის შემდეგ. მაგრამ, მის საუბედუროთ, მივიდა თუ არა იგი ხესთან, მაშინვე ბაღის პატრონი გამოცხადდა და მას დაეკითხა: რა უფლებით წყვეტს იგი ვაშლებს?—„მე დავიმსახურე ეს, უპასუხა ბავშმა,—ეს არის ჯილდო ჩემი მძიმე შრომისთვის, რომელიც მე გავსწრე, როცა ღობეზე ვხტებოდიო!“—როგორც ბავშს შეეძლო ვაშლის შოვნა მხოლოთ ღობეზე გადახტომით, ისევე კაპიტალისტსაც შეუძლია ზედმეტი ღირებულების მიღება მხოლოთ იმიტომ, რომ იგი წარმოების ხელმძღვანელია.

აქ ჩვენ უნდა მივუთითოთ კიდევ ერთ საკვირველ შეხედულებაზე, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ეკონომიურ ნაწერებში. კაპიტალისტი, როგორც ჩვენ აქამდის ვგულისხმობდით, ყიდულობს სამუშაო ძალას მის სრულ ღირებულების კვალობაზე. მაგრამ ყველა მის მიერ ნაყიდი სამუშაო ძალები თავის გეგმას თანშეზომილ თანამშრომლობაში ახალ საწარმოო ძალას ანვითარებენ. მუშები აკეთებენ იმაზე მეტს, ვინემ იმ შემთხვევაში, თუ რომ თითოეულ იმათგანს განცალკევებულათ ემუშავნა. ამ ახალ საწარმოო ძალას კაპიტალისტი არ ყიდულობს. მას (ახალ საწარმოო ძალას) არაფერი საერთო არა აქვს სამუშაო ძალის საცვლელ ღირებულებასთან, იგი ამ ძალის სახშარი ღირებულების თვისებას შეადგენს. ეს ახალი

ძალა მხოლოთ მუშაობის პროცესში ჩნდება, ე. ი. იმის შემდეგ, როცა საქონელი—სამუშაო ძალა—კაპიტალისტის მფლობელობაში გადავიდა, როცა იგი კაპიტალათ გარდაიქცა. ამიტომ კაპიტალისტებს და იმათ დამცველ ვექილებს გონიათ, რომ შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევის მიზეზი შრომა კი არა, არამედ კაპიტალიაო. „ვინადან შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალა კაპიტალს არაფრათ ულირს, და ვინაიდან, მეორე მხრით, მუშა მას არ ანვითარებს მანამ, სანამ მისი შრომა კაპიტალის კუთვნილებათ არ შეიქნება, ამიტომ იგი გვეჩვენება საწარმოო ძალათ, რომელიც კაპიტალს ბუნებისაგან აქვს თანდაყოლილი“.

კოოპერაცია, როგორც უკვე ზევით იყო ნათქვამი, შეადგენს არა მარტო კაპიტალისტური წარმოების თვისებას. საზოგადოებრივი, საერთო წარმოება შეადგენს უკვე პირველყოფილი კომუნიზმის თვისებას, რომელსაც (კომუნიზმს) ჩვენ ვხედავთ კაცობრიობის ისტორიის პირველ ხანებში. მიწის შემუშავება პირველ ხანებში ყოველგან კოოპერატიულ საფუძველზე ხდებოდა. მიწის დაყოფა კერძო ოჯახებს შორის მოხდა მხოლოთ შემდეგში. კოოპერაციის მაგალითები ინდოელების და ინდუსელების ცხოვრებიდან ჩვენ პირველ განყოფილებაში მოვიყვანეთ.

ეს პირველყოფილი კოოპერაცია საქონლის წარმოებამ გააქრო. და თუმც საქონლის წარმოების ღროს იმ პირების წრე, რომლებიც ერთი მეორისთვის მუშაობენ, ფართოვდება, მაგრამ თანამშრომლობის ყოველივე ფორმა უკვე გაქრა არსებითათ, გარდა შრომის ძალდატანებითი ფორმისა, ე. ი. მოგების, ყმების ან სხვაგვარი სავალდებულო შრომისა.

კაპიტალი, რომელიც ჩნდება და ვითარდება საგლეხო მეურნეობის და ხელოსნური წარმოების ძალების გამოცალკევების და დაქუცმაცების წინააღმდეგ, კვლავ ანვითარებს კოოპერაციას, საერთო, კოლექტიურ შრომას. კოოპერაცია კაპიტალისტური წარმოების ძირითადი ფორმაა, მისი ისტორიული ფორმა, საქონლის წარმოების დანარჩენ სისტემათა

შორის. კაპიტალი ცდილობს სულ უფრო და უფრო ძლიერ განავითაროს საზოგადოებრივი წარმოება, იგი ქმნის კოოპერაციის სულ უფრო და უფრო მაღალ ფორმებს: მანუფაქტურას, სხვილ მრეწველობას. მისი მიზანი ამ შემთხვევაში მდგომარეობს ზედმეტი ღირებულების გადიდებაში. მაგრამ, დამოუკიდებლათ თავის სურვილისა, იგი ამით ნიადაგს ამზადებს წარმოების ახალი ფორმისთვის.

საქონლის წარმოების ხელოსნური ფორმა დამყარებულია სხვა და სხვა გვარი შრომის დაჭუცმატებაზე, და, მაშასადამე, გამოცალკევებაზე; კაპიტალისტური სისტემა კი, პირიქით, აგებულია წარმოების სხვა და სხვა დარგების გაერთიანებაზე, საზოგადოებრივ, კოლექტიურ წარმოებაზე. საქონლის წარმოების ხელოსნური ფორმა გულისხმობს მრავალ დამოუკიდებელ მწარმოებლების არსებობას, და კაპიტალისტურ სისტემაში კი, რომელიც დამყარებულია კოოპერაციაზე, საჭიროა კაპიტალისტის შეუზღუდველი ბატონობა კერძო მუშებზე.

პირველ განყოფილებაში ჩვენ გავეცანით მაგალითებით პირველყოფილ კოოპერაციას და შრომის განაწილებას; შემდეგ ჩვენ განვიხილეთ საქონლის წარმოების წარმოშობა; ახლა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ვითარდება წარმოების კაპიტალისტური წესი, რომელიც ერთ და იმავე დროს საქონლის წარმოებაც არის და კოოპერატიული წარმოებაც.

თუ საქონლის კაპიტალისტური წარმოება განსხვავდება საქონლის ხელოსნური წარმოებისაგან წვრილ წარმოებათა თავმოყრით (კონცენტრაციით), კოლექტიური, საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციით, სამაგიეროთ, მეორე მხრით, კაპიტალისტური კოოპერაცია განირჩევა პირველყოფილი კომუნისტური კოოპერაციისაგან კაპიტალისტის შეუზღუდველი უფლებით, რომელიც წარმოების ხელმძღვანელია და იმავე დროს წარმოების საშუალებათა მესაკუთრე და რომელსაც აგრეთვე ხელში უვარდებიან კოლექტიური შრომის ნაწარმოებნი, რომლებიც პირველყოფილ კოოპერაციაში თვით მუშების კუთვნილებას შეადგენენ.

თავი IX

შრომის განაწილება და მანუფაქტურა

1. მანუფაქტურის ორნაირი წარმოშობა. მისი ელემენტები: წვრილმანი (დეტალური) მუშა და მისი იარაღი.

პირველ განყოფილებაში, გარდა „კაპიტალისა“, ჩვენ ვემყარებოდით კიდევ მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკაზე“ და რამდენიმეთ აგრეთვე მისივე „საქირაო შრომაზე და კაპიტალზე“. ამ თავის და შემდეგი თავის შედგენის დროს, სადაც ჩვენ შრომის განაწილებაზე და მანუფაქტურაზე, მაშინაზე და სხვილ მრეწველობაზე ვმსჯელობთ, ჩვენ ვხელმძღვანელობთ, გარდა „კაპიტალისა“, კიდევ მარქსის მეორე ნაწერით „ფილოსოფიის სიღატაკით“, სახელდობ მეორე პარაგრაფის, რომელსაც სათაურათ აქვს: „შრომის განაწილება და მაშინები“.

ლიტერატურა იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენათ მავნებელია კაპიტალისტურ მრეწველობაში შრომის განაწილება-დაყოფა, განხილულია „ფილოსოფიის სიღატაკეში“ უფრო დაწვრილებით, ვინემ „კაპიტალში“. ეს პარაგრაფი, მაშასადამე, არა მარტო წინეთ არის დაწერილი, არამედ იგი შეადგენს „კაპიტალის“ იმ ორი თავის დამატებას, რომლებიც ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს და რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, უნდა ჩაითვალონ ყველაზე უშესანიშნავეს პრწყალებათ, რომლებიც კი მარქსს დაუწერია, თუმც, სამწუხაროთ, „კაპიტალის“ მკითხველების მხრით მათ დღემდის ნაკლები ყურადღება დაუმსახურებიათ, ვინემ ისინი ამის ღირსნი არიან.

უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ მანუფაქტურა, ე. ი. ის მრეწველობა (ინდუსტრია), რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს თანამედროვე სხვილ მრეწველობას თავისი მაშინებით, მაგრამ რომელიც იმავე დროს აღარ არის არც საშუალო საუკუნოების ხელოსნური და არც შინაური მრეწველობა. როგორც კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებე-

ლი ფორმა, იგი საზოგადოთ გაბატონებული იყო დაახლოვებით მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრიდან მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე *).

მანუფაქტურის წარმოშობა ორგვარია. ერთი მხრით, კაპიტალმა, თავისი გაჩენის დროს, იპოვნა ისეთი ნაწარმოებნი, რომლებმაც სხვა და სხვა ხელოსნის ხელში უნდა გაიარონ, რომ სრულებით დამთავრებული შეიქნენ. ასე, მაგ., ეტლი, სანამ იგი სრულებით დამთავრდება, გაივლის ეტლის ოსტატის, მეტყავის, გადამკვრელის, მეშუშის და სხვათა ხელში. სხვა და სხვა დამოუკიდებელ ხელოსნების ადგილას კაპიტალისტმა ერთათ მოათავსა სხვა და სხვა ხელობის მუშები, რომლებიც ერთათ, ერთი გეგმით, ერთ სახელოსნოში ეტლის გასაკეთებლათ მუშაობენ. მანუფაქტურა აგრეთვე მეორე ნაირი, წინააღმდეგი, გზითაც ვითარდებოდა. კაპიტალისტი ერთ სახელოსნოში თავს უყრიდა ისეთ მუშებს, რომლებიც ერთ და იმავე ნაწარმოებს აკეთებდენ; თითოეული იმათგანი თანდათან ასრულებდა ყველა ოპერაციებს, რომლებიც საგნის გასაკეთებლათ საჭირო იყვენ. როგორც კი დიდძალმა მუშებმა წარმოებაში მონაწილეობის მიღება იწყეს, ამ გარემოებამ ბუნებრივათ გამოიწვია სხვა და სხვა ოპერაციების გადანაწილება სხვა და სხვა მუშებს შორის. ერთი მხრით მანუფაქტურა წარმოიშვა სხვა და სხვა დამოუკიდებელ ხელობის გაერთიანებით, მეორე მხრით, ერთი და იგივე ხელობის სხვა და სხვა ოპერაციების განაწილებით სხვა და სხვა მუშებს შორის. მაგრამ იყო თუ არა წინეთ ის მუშაობა, რომელსაც მანუ-

---

*) სიტყვა „მანუფაქტურა“ ორი ლათინური სიტყვიდან შესდგება: manus—ხელი და factus—გაკეთებული, გამზადებული. ბეწვეულობის—მატყლის, ბამბის და სხვ. დამზადება იყო მრეწველობის უმთავრესი დარგი, რომელიც მანუფაქტურამ დაიპყრო. ამიტომ ბეწვეულობის ფაბრიკებს ახლაც მანუფაქტურას უწოდებენ, თუმც ისინი მანუფაქტურას არ უნდა მიეწერონ, არამედ სხვილ მრეწველობას. ზოგჯერ მანუფაქტურას განსაკუთრებით ბეწვეულის მრეწველობას უწოდებენ. სიტყვა «მანუფაქტურის» ასე ხმარება, რა თქმა უნდა, სრულებით სწორი არ არის.

ფაქტურის მუშა ასრულებდა, განსაკუთრებული ხელობის დამოუკიდებელი ოპერაცია, ან იგი წარმოიშვა ერთი და იგივე ხელობის ოპერაციების დანაწილებით, ხელობა მაინც ყოველთვის შეადგენდა მანუფაქტურის საფუძველს, როგორც ისტორიულათ, ისე ტეხნიკურათაც. მანუფაქტურაშიაც აუცილებელ პირობას შეადგენს ის, რომ თითოეული ცალკე ოპერაცია უნდა შესრულებულ იქნას ადამიანის ხელით. მანუფაქტურაში ისე, როგორც ხელოსნურ წარმოებაში, მუშაობის წარმოება (პროცესი) დამოკიდებულია მუშის ხერხიანობაზე, გამოცდილებაზე და მონდომებაზე.

მაგრამ ხელოსნური წარმოების და მანუფაქტურის მუშებს შორის დიდი განსხვავებაა. ხელოსნური წარმოების ოპერაციების სხვადასხვაობის ადგილას მანუფაქტურას ერთფეროვანი მარტივი ოპერაცია შემოაქვს, რომელსაც (ოპერაციას) მუშა მუდამ და განუწყვეტლივ ასრულებს. მუშა უკვე შეგნებული და დამოუკიდებელი მწარმოებელი აღარ არის, არამედ მხოლოთ უზარმაზარი სამუშაო მექანიზმის დამოკიდებული ნაწილი, როგორღაც ერთი კოლექტიური მუშის ცალკე წევრი.

რა თქმა უნდა, ამით მუშის დახელოვნება მუშაობის ერთ რომელსამე ვიწრო დარგში უდიდეს ხარისხამდე ახწევს. იგი პოულობს ახალ საშუალებებს, უზიარებს მათ თავის ამხანაგებს და იმათგანაც სწავლობს. ადგილის და იარაღის გამოცვლისათვის, რაც აუცილებელია მუშაობის სხვადასხვაობის დროს, იხარჯება მეტი დრო და ენერგია. ეს მანუფაქტურაში აღარ არის; აქ მუშას ხელობის მხოლოთ ერთი რომელიმე ოპერაცია აბარია, იგი ყოველთვის ერთ და იმავე ადგილას მუშაობს, ერთი და იგივე იარაღით, ერთი და იგივე მიმართულებით. მაგრამ, მეორე მხრით, მუშაობის გამოცვლა იწვევს დასვენებას და აღვიძებს ენერგიას, რასაც მოკლებულია „დეტალური“ *) (წვრილმანი) მუშა.

---

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა ,,დეტალურის'' გადათარგმნა ქართულ ენაზე იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობით იგი აქ ნახმარია,

შრომის განაწილება მანუფაქტურაში არა მარტო ანვითარებს მუშის გამოცდილებას, არამედ იგი იწვევს კიდევ მის ახალს გაუმჯობესობასაც. როცა ერთი იარაღი დანიშნულია სხვა და სხვა ოპერაციებისთვის, შეუძლებელია რომ იგი თითოეული იმათგანისთვის საესებით გაუმჯობესებულ იქნას. მაგრამ თუ იმას ხმარობენ მხოლოთ ერთი ოპერაციისთვის, მაშინ შესაძლებელია მისი გაუმჯობესობა ამ ოპერაციის შესაფერათ, რაც, რა თქმა უნდა, მაღლა ასწევს მის ნაყოფიერებას, მის საწარმოო ძალას.

ყველა ეს გარემოებანი იწვევენ შრომის ნაყოფიერების მეტ განვითარებას მანუფაქტურაში, ვინემ ხელოსნურ წარმოებაში.

2. მანუფაქტურის ორი ძირითადი ფორმა

ზევით ჩვენ განვიხილეთ მანუფაქტურის ორნაირი, ორი გზით, წარმოშობა და მისი მარტივი ელემენტეტები: დეტალური მუშა (Theilarbeitor) და მისი იარაღი. ახლა გადავიდეთ მის საერთო მექანიზმზე.

მანუფაქტურას აქვს ორი არსებითათ სხვა და სხვა ძირითადი ფორმა, რომლებიც დამოკიდებულია წარმოების საგნის ბუნებაზე. ნაწარმოები შეიძლება შემდგარი იყოს სხვა და სხვა ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეული განსაკუთრებული, დამოუკიდებელი, ნაწარმოებია, ან შეიძლება იგი წარმოადგენდეს ერთ მთელ საგანს, რომელიც მზადდება რამდენიმე, ერთმანეთთან მჭიდროთ შეკავშირებულ, ოპერაციების საშუალებით.

თითოეული ეს ძირითადი ფორმა ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ მაგალითებით. ვილლიამ პეტტი შრომის განაწილე-

---

სისწორით ერთი სიტყვით შეუძლებელია. ,,დეტალური'' მუშა ნიშნავს ისეთ მუშას, რომელიც რომელიმე საგნის გაკეთებაში ასრულებს განსაკუთრებით ერთ რაიმე წვრილმან ოპერაციას. მაგ., ქინძისთავის ფაბრიკაციაში ,,დეტალური'' მუშა ქვია იმას, ვინც მხოლოთ ან მართავს და ან ასწორებს მავთულს. **მთარგმნ.**

ბას მანუფაქტურაში განმარტავს საათების წარმოების მაგალითით, რომელიც მანუფაქტურის პირველ ძირითად ფორმას ეკუთვნის. ხელოსნურ წარმოებაში საათი იყო ერთი მუშის შრომის ნაწარმოები, რომელსაც მუშა თითონ აკეთებდა თავიდან ბოლომდე. როცა საათების კეთება (ფაბრიკაცია) კაპიტალისტური წარმოების საგანი შეიქნა, საათის თითოეული ცალკე ნაწილის კეთება ისე, როგორც ამ ნაწილების შეერთება, თავის მოყრა სპეციალისტებს დეტალურ მუშებს მიენდო. ამნაირათ გაჩნდენ მუშები, რომლებიც ამზადებენ საათის „პრუჟინას“, ციფერბლატს (ციფრის მაჩვენებელ ფურცელს), კოლოფებს, ისარს, კბილებიან ბორბლებს და სხვ., და ბოლოს უკანასკნელი მუშა, რომელიც ცალკე ნაწილებს აგროვებს, თავს უყრის და ერთ მთელს საგანს (საათს) აკეთებს.

მანუფაქტურის მეორე ძირითადი ფორმის მაგალითი ადამ სმიტმა მოგვცა ქინძისთავების ფაბრიკაციის შესანიშნავ, კლასიკურ, აღწერაში, როგორც ეს მის დროს ხდებოდა. „ერთი მუშა მართავს მავთულს,—ამბობს იგი,—მეორე ასწორებს, მესამე სჭრის მას ნაწილებათ, მეოთხე აკეთებს ერთ ბოლოს, მეხუთე ასწორებს მეორე ბოლოს, რომელზედაც უნდა წამოეცვას, ანუ დაეჭდოს თავი. თავის გასაკეთებლათ აგრეთვე საჭიროა ორი ან სამი სხვა და სხვა გვარი ოპერაცია. თავის ჩამოცმა ცალკე ოპერაციაა, გაპრიალება კიდევ სხვა. აგრეთვე განსაკუთრებულ ოპერაციას შეადგენს ქინძისთავის. დაბნევა ქალალდზე. ამნაირათ ქინძისთავის კეთება შესდგება 18 სხვა და სხვა ოპერაციისაგან, რომლებსაც ზოგიერთ ფაბრიკებში ამდენივე მუშები ასრულებენ“. („ხალხის სიმდიდრე,“ თავი I).

მავთულის ნაჭერი თანდათან სხვა და სხვა დეტალური მუშების ხელში გადადის; მაგრამ ყველა ისინი ერთ და იმავე დროს მუშაობენ. ქინძისთავის მანუფაქტურაში მავთულს ასწორებენ, სჭრიან, ბოლოს უმწვეტიანებენ და სხვ. ერთ და იმავე დროს. ე. ი. სხვა და სხვა ოპერაციები, რომლებიც ხელოსნურ წარმოებაში თითოეულ მუშას თითონ უნდა შეესრულებია ერთი მეორის შემდეგ, მანუფაქტურაში ერთ და იმავე

დროს და ერთი მეორის გვერდით სრულდებიან შეუწყვეტ-
ლათ. ამის გამო შესაძლებელი ხდება იმავე ხნის განმავლობაში
მეტი საქონლის დამზადება, ვინემ წინეთ. მანუფაქტურაში
ხელოსნურ წარმოებასთან შედარებით, შრომის ნაყოფიე-
რებამ მაღლა აიწია, რაც კოოპერაციის შედეგია. მაგრამ
მანუფაქტურაში ჩვენ მაინც ვამჩნევთ რამდენსამე შემზღუდ-
ველ პირობას: როგორც პირველი ფორმის მანუფაქტურაში,
რომელიც ჩვენ დავახასიათეთ საათის წარმოების მაგალითით,
ისე მეორე ფორმაც, რომლის მაგალითს ქინძისთავის კეთება
წარმოადგენს, ნაწარმოები ან მისი შემადგენელი ნაწილები
უნდა გადავიდენ ერთი ხელიდან მეორე ხელში, რაზედაც
შრომა და ენერგია იხარჯება. ამ შემზღუდველ პირობიდან
თავისუფალია მხოლოთ სხვილი მრეწველობა.

ნაწარმოების ერთი ხელიდან მეორე ხელში ასეთ გადა-
სვლაში თითოეული მუშა აწვდის მეორეს ნედლ მასალას,
თითოეული მუშა თითქოს აძლევს მეორეს სამუშაოს. ასე,
მაგ., იმ მუშას, რომელიც თავს აკდობს ქინძისთავს, არ შე-
უძლია თავის მუშაობის შესრულება, თუ მას არ მიაწვდიან
საკმარის რაოდენობას მავთულის გამზადებულ ნაკრების სა-
ხით. საერთო მუშაობის შეუწყვეტელი მსვლელობისთვის უნდა
სისწორით განისაზღვროს ის დრო, რომელიც საჭიროა ნა-
წარმოების თითოეული ნაწილის გასაკეთებლათ. მაგ., თუ იმ
მუშას, რომელიც მავთულს ნაწილებათ სჭრის, საშუალო
რიცხვით საათში 1000 ქინძისთავის დაჭრა შეუძლია, და ის
მუშა-კი, რომელიც თავს აკდობს, აუდის მხოლოთ 200 ქინ-
ძისთავს იმავე ხნის განმავლობაში, იმ შემთხვევაში 10 ასეთ
მუშას რომ სამუშაო მისცე, საჭიროა იყოლიო მხოლოთ ორი
გამჭრელი. მეორე მხრით, კაპიტალისტმა, რომელმაც დაიქი-
რავა ერთი გამჭრელი, უნდა იყოლიოს, თუ მას სურს სავსე-
ბით მოიხმაროს ამ მუშის სამუშაო ძალა, ხუთი მუშა თავე-
ბის დასაკდობათ. თუ კაპიტალისტს თავის საქმის გაფართო-
ება სურს, იმ შემთხვევაში ახალ მუშების რიცხვი, რომლებიც
მან უნდა დაიქირაოს, მის ნებაზე არ არის დამოკიდებული,
თუ იმათი ძალა სავსებით იქნება გამოყენებული. თუ იგი,
მაგ., ერთი გამჭრელის მაგიერ დაიქირავებს ორს, უკანასკნე-
ლი მხოლოთ მაშინ მოუტანს მას სარგებლობას, თუ იგი

მიუმატებს აგრეთვე ხუთ მუშას თავების დასაკდობათ, და არა საგს ან ოთხს.

საქონლის · დამზადება საზოგადოებრივათ-აუცილებელ დროს განმავლობაში არის, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, საქონლის წარმოების მოთხოვა საზოგადოთ. ამ მოთხოვნას იწვევს მეტოქეობა. მაგრამ კაპიტალისტური მანუფაქტურის განვითარებასთან ერთათ, საქონლის განსაზღვრული რაოდენობის გამზადება საზოგადოებრივათ აუცილებელ სამუშაო დროს განმავლობაში არის აგრეთვე ტეხნიკური აუცილებლობაც. თუ ხელოსანი ჩქარა ან ნელა მუშაობს, ვინემ თხოულობს საზოგადოებრივათ-აუცილებელი დრო, მაშინ ეს მოქმედებს მისი შრომის ჯილდოზე, მაგრამ ეს არა ხდის მის შრომას შეუძლებლათ. კაპიტალისტურ მანუფაქტურაში კი მთელი წარმოება ჩერდება, თუ მის ერთ დარგში ნორმიდან გადახვევა მოხდა. მაგრამ ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ მრავალი მუშის შრომის გამოყენება ერთ და იმავე დროს ერთ და იმავე საქმეში აწესებს შრომის სშუალო ნორმას. მარტივი კოოპერაციის ეს სასარგებლო მხარე ხდება მანუფაქტურული წარმოების აუცილებელ პირობათ.

მხოლოთ კაპიტალისტურ წარმოებაში კერძო კაპიტალისტი აწარმოებს საქონლის ჩვეულებრივ საზოგადოებრივათ-აუცილებელ საშუალო შრომის დახარჯვით, და ამას ჩადის იგი აუცილებლათ. მხოლოთ კაპიტალისტურ წარმოებაში ხორციელდება საკვლელი ღირებულების კანონი.

მანუფაქტურით აქა-იქ იწყება უკვე მაშინების გამოგონებაც. მაგრამ ამ ხანებში ისინი მეორე ხარისხოვან როლს თამაშობენ. მანუფაქტურის უმთავრეს მაშინათ რჩება კოლექტიური ორგანიზმი, რომლის კბილებიან ბორბლებს დეტალური მუშები შეადგენენ. მანუფაქტურის მუშა ნამდვილათ მხოლოთ მაშინის ნაწილია და მან ისევე რეგულიარულათ და შეუწყვეტლათ უნდა იმუშაოს. როგორც მაშინაში არის ცოტათ თუ ბევრათ რთული ნაწილები, ისე სხვა და სხვა ოპერაციები თხოულობენ ცოტათ თუ ბევრათ მცოდნე მუშებს, რომელთა სამუშაო ძალას, ამის მიხედვით, აქვს მეტი თუ ნაკლები ღირებულება. როცა ქინძისთავებს ამზადებდენ

ჯერ კიდევ ხელოსნური წესით, თითოეული ხელოსნის ცოდნა ერთნაირი იყო, და ამის მიხედვით, თითოეული იმათგანის სამუშაო ძალის ღირებულებაც ერთნაირი იყო და ამასთანავე შედარებით უფრო მაღალი. როდესაც კი ქინძისთავების წარმოება მანუფაქტურული გახდა, იგი დანაწილდა მუშაობათა მთელ რიგათ, რომელთაგან ერთი თხოულობდა უფრო მეტ გამოცდილებას, სხვების შეთვისება კი უფრო ადვილი იყო. თავისთავათ იგულისხმება, რომ იმ მუშების სამუშაო ძალას, ვინც საჭირო გამოცდილების შესაძენათ ბევრი დრო დახარჯა, უფრო მეტი ღირებულება ქონდა, ვინემ იმ მუშების, რომლებიც უფრო მარტივ მუშაობას ეწეოდენ.

ამნაირათ წარმოსდგა სამუშაო ძალების იერარქია (კიბე), რასაც სამუშაო ხელფასის სხვადასხვაობა შეეფერება.*) ამ

*) შემდეგი ცხრილი, რომელიც მოყავს ვაბბაჟს (Of the leonomy of Machinery and Manufacture, 1835 წ.). ძლიერ თვალსაჩინოთ გვიხატავს სამუშაო ხელფასის კიბეს და ტეხნიკურ აუცილებლობას, რათა თითოეულ ოპერაციაში მუშების საჭირო რიცხვი შესაფერათ იყოს დანაწილებული და აგრეთვე საშუალო საზოგადოებრივათ-აუცილებელ სამუშაო დროს ცხოვრებაში გატარებას. ცხრილი გვისურათხატებს ქინძისთავების პატარა მანუფაქტურას ინგლისში გასული (XIX) საუკუნის დასაწყისში.

მუშაობის სახელი	მუშები	დღიური ხელფასი
მავთულის გამართვა	1 მამაკაცი	3 შილ.[1], 3 პენ.[2]
მავთულის გაკიმვა	1 მამაკაცი და 1 პატარა ქალი	1 შილინგი 6 პენსი
წამწვეტიანება	1 მამაკაცი	5 შილ. 3 პენ.
თავების გაკეთება	1 მამაკაცი და 1 ბავში	5 შილ. 4½ პენ. 4½ პენ.
თავების ჩამოცმა	1 დედაკაცი	1 შილინგი
გაპრიალება	1 მამაკაცი და 1 დედაკაცი	6 შილინგი 3 შილინგი
ქაღალდზე დაბნევა	1 დედაკაცი	1 შილ. 6 პენ.

ამნაირათ, სამუშაო ხელფასი ტრიალებდა 4½ პენსსა (18 კაპ.) და 6 შილინგს (3 მან.) შორის.

[1]) შილინგი ეთანასწორება ჩვენებურათ 50 კაპ.

[2]) პენსი=ჩვენებურათ 1 კაპ.

კიბის უმდაბლეს საფეხურზე დგანან ის მუშები, რომლებიც ასრულებენ ისეთ ოპერაციებს, რომლებიც ყველასათვის მისაწვდომია და რომლებისთვისაც საჭირო არ არის რაიმე დიდი გამოცდილება და მომზადება. ასეთი მარტივი ოპერაციებია თითოეულ წარმოებაში; ხელოსნურ წარმოებაში მარტივ და რთულ ოპერაციებს ერთი და იგივე ხელოსანი ასრულებს თანამდებობით; მანუფაქტურაში კი მარტივი ოპერაციები ხდებიან განსაკუთრებული კატეგორიის მუშების მუდმივ სამუშაოთ, რომლებიც ახლა, როგორც უსწავლელნი, ნასწავლ მუშებიდან განირჩევიან.

თითქმის მანუფაქტურის თითოეულმა მუშამ უნდა დახარჯოს ახლა ბევრათ უფრო ნაკლები დრო თავის მოსამზადებლათ, ვინემ ხელოსანმა მრეწველობის იმავე დარგში. უკანასკნელმა უნდა შეისწავლოს ყველა ოპერაციები, რომლებიც ნაწარმოების გასაკეთებლათ არის საჭირო, მაშინ როცა პირველმა უნდა ისწავლოს მხოლოთ ერთი ან რამდენიმე იმათგანი. უსწავლელ მუშას კი სრულებით არ ესაჭიროება ფულის დახარჯვა თავის მოსამზადებლათ.

ამნაირათ, მანუფაქტურაში სამუშაო ძალის ღირებულება დაბლა იწევს, და მასთან ერთათ—მუშის შესანახათ საჭირო სამუშაო დროც. თუმც სამუშაო დღის სიგრძე უცვლელი რჩება, მაგრამ ზედმეტი შრომის ხანგრძლივობა იზრდება, ე. ი. მატულობს შედარებითი ზედმეტი ღირებულება.

მუშა ფიზიკურათ და სულიერათ მახინჯდება, მუშაობა კარგავს მისთვის ყოველგვარ ინტერესს, იგი თითონ ხდება კაპიტალის კუთვნილებათ.

თავი X

მაშინა და სხვილი მრეწველობა

1. მაშინის განვითარება

შრომის განაწილებამ მანუფაქტურაში თუმც ხელოსნური შრომის ცვლილება გამოიწვია, მაგრამ არ გაუქრია იგი

სრულებით. ხელოსნის გამოცდილება საზოგადოთ მანუფაქტურის საფუძვლათ რჩება და იგი რამდენიმეთ შესაძლებლათ ხდის ცალმხრივათ განვითარებულ დეტალური მუშისთვის კაპიტალისაგან რამდენიმეთ დამოუკიდებლობას.

ერთბაშათ ხელოსანი-მუშის თავიდან მოშორება არ შეიძლება, ვინაიდან მისი შრომა წარმოებისთვის საჭიროა, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ ქინძისთავების ფაბრიკაციის მაგალითზე. და მუშებიც ისე კარგათ იგნებენ ამ სარგებლობას, რომ ყოველი ღონისძიებით ცდილობენ შეუნარჩუნონ მანუფაქტურას ხელოსნური წარმოების ხასიათი, დაიცვან, რამდენათაც ეს შესაძლებელია, ხელოსნური წესები, მაგ., შეგირდობა. ასეთი მიდრეკილება დღემდის შეიძლება აღნიშნულ იქნას წარმოებათა მთელ რიგში, რომლებმაც დღემდის შეინარჩუნეს მანუფაქტურის ხასიათი. ამაში მარხია პროფესიონალური მოძრაობის თვალსაჩინო წარმატების საიდუმლოება.

რაც ერთისთვის სასიხარულოა, ის მეორესთვის სამწუხარო. „მთელი მანუფაქტურული ხანის განმავლობაში,— სწერს მარქსი—გვესმის საჩივარი მუშების უდისციპლინობაზე (უწესრიგობაზე). და ჩვენ თითქმის იმ დროის მოწმობაც რომ არ გვქონოდა, მარტო ის უბრალო ფაქტებიც კი, რომ მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული სხვილი მრეწველობის ხანამდე კაპიტალმა ვერ შესძლო მანუფაქტურის მუშების მთელი სამუშაო დროის დაპყრობა, რომ მანუფაქტურები დიდხანს ვერ სძლებენ, რომ ისინი იძულებულნი ხდებიან, მუშების გადასახლების და ჩამოსახლების მიხედვით,—მარტო ეს ფაქტებიც კი ბევრ რასმეს მოგვითხრობენ, არა ნაკლებ წიგნებისა“. ადვილი გასაგებია ამიტომ მწუხარების ამოძახილი ერთი უსახელო ავტორის პამფლეტში, რომელიც დაიბეჭდა 1770 წელს: „მუშებმა არასოდეს არ უნდა დაიჭირონ თავი ისე, რომ ვითომც ისინი დამოუკიდებელი იყვენ იმათგან, ვინც იმათ მაღლა არიან დაყენებულნი... წესიერება, ასე იქნება თუ ისე, უნდა უთუოთ აღდგენილ იქნასო“.

და წესიერება შემოღებულ იქნა. თვით მანუფაქტურამ

შექმნა ამისთვის საჭირო პირობა; მან შექმნა იერარქიულათ მოწყობილი სახელოსნო შრომის რთული იარაღების გასაკეთებლათ, და „შრომის მანუფაქტურული განაწილების ნაყოფმა დაბადა თავის მხრით მაშინა“. მაგრამ მაშინამ კი უკანასკნელათ ბოლო მოუღო ხელოსნური წარმოების ბატონობას.

რაში მდგომარეობს განსხვავება მაშინასა და სახელოსნო იარაღს (ინსტრუმენტს) შორის, რა არის იმის მიზეზი, რომ შრომის იარაღი სახელოსნო ინსტრუმენტიდან მაშინათ იქცევა?—ის, რომ მაშინა საკუთრივ არის მექანიზმი, რომელიც მას შემდეგ, რაც იგი მოყვანილია მოძრაობაში, თავისი ინსტრუმენტების საშუალებით ასრულებს იმავე ოპერაციებს, რომლებსაც ასრულებდა წინეთ ხელოსანი ამნაირივე ინსტრუმენტების საშუალებით. იქნება ეს მამოძრავებელი ძალა ადამიანი, ან და ეს მამოძრავებელი ძალა კვლავ რომელიმე მაშინის მიერ წარმოიშობა,—ეს გარემოება არსებითათ სრულებით არ ცვლის საქმეს. უკანასკნელი გარემოება საჭიროა კარგათ დავიხსომოთ, რომ შემცდარი წარმოდგენის სხვერპლი არ შევიქნეთ, ვითომც მაშინა იმით განსხვავდება ხელოსნური იარაღიდან, რომ იგი მოძრაობაში მოყავს ბუნების ძალას, რომელიც განსხვავდება ადამიანის ძალისაგან, მაგ., ცხოველს, წყალს, ქარს და სხვ. ასეთ მამოძრავებელ ძალების გამოყენება შედარებით ბევრათ უფრო ძველია მაშინურ წარმოებაზე, საკმარისია მხოლოთ გავიხსენოთ, მაგ., გუთანი, რომელშიაც უბია ხარკამეჩი ან ცხენი. ცხოველებით, ქარის, წყლის ძალით, როგორც ვიცით, ადამიანები უძველეს დროდან სარგებლობდენ, როგორც მამოძრავებელი ძალებით, წისქვილისთვის, წყლის აღმართში ასაყვანათ და სხვ., მაგრამ ეს მამოძრავებელი ძალები წარმოების წესში ცვლილებას არ ახდენდენ. თვით ორთქლის მაშინასაც კი იმ სახით, როგორც იგი პირველათ იქნა გამოგონილი მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, კიდევ არ გამოუწვევია არავითარი სამრეწველო რევოლიუცია. მაგრამ სამრეწველო რევოლიუცია მოხდა, როცა გამოგონილ იქნა

პირველი სამუშაო მაშინა, „სართავი მაშინა“. სულელურ ზღაპრათ უნდა ჩაითვალოს მოთხრობა იმის შესახებ, რომ ორთქლის ძალის აღმოჩენა მოხდა შემთხვევითი დაკვირვების მეოხებით, მაგ., ადუღებულ ჩაინიკზე დაკვირვებით. ორთქლის ძალა უეკველათ იცოდენ ბერძნებმა უკვე 2000 წლის წინეთ, მაგრამ იმათ არ იცოდენ, თუ როგორ შეიძლებოდა მისი გამოყენება, შემდეგ იმას იყენებდენ სხვა და სხვა გვარ მექანიკურ სათამაშოების დროს. ორთქლის მაშინის გამოგონება ნამდვილათ შეგნებული და დაკვირვებული გონებრივი მუშაობის ნაყოფია, რომელიც (მუშაობა) დამყარებულია წინანდელ გამოცდილებებზე, და იგი შესაძლებელი შეიქნა მხოლოთ მაშინ, როცა მანუფაქტურამ ამისთვის საფუძველი ჩაყარა, და აგრეთვე შექმნა გამოცდილ მექანიკურ მუშების საკმარისი რიცხვი. გარდა ამისა, ეს გამოგონება შესაძლებელი შეიქნა მხოლოთ მას შემდეგ, რაც დაიბადა მოთხოვნილება ახალ მამოძრავებელ ძალებში.*) სწორეთ ასეთი მდგომარეობა იყო მაშინ, როცა გამოიგონეს სამუშაო მაშინა.

სამუშაო მაშინის ცხოვრებაში გამოყენებამ მოითხოვა უფრო ძლიერი და უფრო სისწორით მომქმედი მამოძრავებელი ძალა, ვინემ ასეთი წინეთ არსებობდა. ადამიანი შეუწყვეტელი და თანასწორი მოქმედებისათვის მეტათ უსრულ იარაღს წარმოადგენს და, გარდა ამისა, იგი მეტათ სუსტია, ცხენი, რომელიც მასზე უფრო ძლიერია, არა თუ ძვირი ჯდება და ფაბრიკაში მისი გამოყენება არა თუ მხოლოთ ზოგიერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, არამედ მას კიდევ ერთი ცუდი ზნე სჭირს, აუტანელი თვისება აქვს, სახელდობ ის, რომ მას ხანდისხან თავისი საკუთარი თავიც აბია: ე. ი. იგი ხანდახან ჯიუტობს. ქარი მეტათ დაუდგრომელია და ამის დამორჩილება შეუძლებელია; აგრეთვე წყლის ძალაც, რომლითაც ფართოთ სარგებლობდენ კიდევ მანუფაქტურულ ხანაში, ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ვინაიდან ამ ძალის გადიდება

*) გიოტე კითხვაზე: «რა არის გამოგონება?»—იძლევა ასეთ საგულისხმო პასუხს: «იმის პოვნა, რასაც ეძებდიო».

სურვილისამებრ შეუძლებელია, წელიწადის განსაზღვრულ დროს იგი სრულიათ იშრიტება, და უმთავრესათ ის, რომ იგი ყოველგან არ მოიპოვება. მხოლოთ მას შემდეგ, რაც ჯემს უატმა გამოიგონა თავისი მეორე ორთქლის მაშინა, ე. ი. გაორკეცებული მოქმედების მაშინა, მას შემდეგ, რაც მან თავის ამხანაგის მათე ბოლტონის (Mathias Boultonge) სამრეწველო დაწესებულებაში იპოვა როგორც ტეხნიკური საშუალებანი, ისე ფულიც, რომელსაც იგი საჭიროებდა თავისი გეგმის განსახორციელებლათ, მხოლოთ მაშინ იქნა აღმოჩენილი ის ძალა, „რომელიც წყლის და ნახშირის მოხმარებით თითონ შობს თავის მამოძრავებელ ძალას, რომელიც სავსებით ადამიანის კონტროლს ემორჩილება; ეს მამოძრავებელი ძალა თითონაც მოძრავია; იგი არის ქალაქის მამოძრავებელი ძალა და არა სოფლის, როგორც წყლის ბორბალი, და ამიტომ იგი იწვევს წარმოების თავმოყრას (კონცენტრაციას) ქალაქებში, იმის მაგივრათ, რომ წარმოება გაიფანტოს სოფლათ, როგორც ეს იყო წინეთ; დასასრულ იგი არის საყოველთაო (უნივერსალური) ტეხნიკური საშუალება“. (მარქსი). რა თქმა უნდა, გაუმჯობესებული მამოძრავებელი ძალა თავის მხრით სამუშაო მაშინის სულ უფრო და უფრო მეტ განვითარებას იწვევს.

„ყოველივე სავსებით განვითარებული მაშინა შესდგება არსებითათ სხვა და სხვა ნაწილებიდან: მამოძრავებელი მექანიზმისაგან, გადასაცემი მექანიზმისაგან და, ბოლოს, აღმასრულებელი მექანიზმის ანუ სამუშაო მაშინისაგან. მამოძრავებელი მექანიზმი მთელი მაშინის მოძრაობაში მომყვანი ძალა, ჩვენ უკვე ზევით განვიხილეთ. გადასაცემი მექანიზმი, რომელიც შესდგება საქანებელ ბორბლებიდან (თვლებიდან), საგორავებიდან, კბილებიან ბორბლებიდან, ღერძებიდან, დაუბოლოვებელ ჯაჭვებიდან და ღვედებიდან და სხვა და სხვა ერთი მეორის შუა მდებარე ნაწილებისაგან, აწესრიგებს მოძრაობას, ცვლის, როცა საჭიროა, მის ფორმას, მაგ., პირდაპირ წრიისებურათ, ანაწილებს და აწვდის მას აღმასრულებელი მექანიზმის სხვა და სხვა ნაწილებს. მაშინის ამ ორი

ნაწილის დანიშნულებას შეადგენს მხოლოთ ის, რომ გადასცეს აღმასრულებელ მექანიზმს მოძრაობა, რომლის საშუალებით იგი მუშაობის საგანს იპყრობს და ცვლის მას მიზნის შესაფერათ“.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, სწორეთ სამუშაო მაშინამ გამოიწვია სამრეწველო რევოლიუცია მეთვრამეტე საუკუნეში, და ახლაც კიდევ იგი შეადგენს ხელოსნური თუ მანუფაქტურული წარმოების მაშინის წარმოებათ გადასაქცევ პირობას. სამუშაო მაშინა ან ძველებური ხელის იარაღის (ინსტრუმენტის) ცოტათ თუ ბევრათ შეცვლილი გამოცემაა, მაგ., მექანიკური საფეიქრო დაზგა, ან და სამუშაო მაშინის ცალკე ორგანოები ჩვენი ძველი ნაცნობებია, როგორც, მაგ., სართავი მაშინის თითისტარები, წინდის საქსოვ მაშინის ჩხირები, გამჭრელი მაშინის დანები და სხვ მაგრამ ხელის იარაღების რაოდენობა, რომლებსაც სამუშაო მაშინა ერთ და იმავე დროს ამოძრავებს, „თავიდანვე თავისუფალი ხდება იმ საზღვრებისაგან, რომელზედაც დამოკიდებულია მუშის ხელის იარაღი“ (ინსტრუმენტი).

ვინაიდან ერთ მამოძრავებელ მექანიზმს, გადასაცემი მექანიზმის მიზნის შესაფერათ მოწყობის საშუალებით, შეუძლია ერთ და იმავე დროს მოძრაობაში მოიყვანოს რამოდენიმე სამუშაო მაშინა, ამიტომ თითოეული ცალკე სამუშაო მაშინა მაშინური წარმოების მარტივ ელემენტათ ხდება. იქ, სადაც ერთი და იგივე სამუშაო მაშინა, მაგ., მექანიკური საფეიქრო დაზგა, აკეთებს მთელ ნაწარმოებს (საგანს), იქ, ფაბრიკაში ანუ სახელოსნოში, რომელიც დაფუძნებულია მაშინურ წარმოებაზე, ჩვენ ვხედავთ მარტივ კოოპერაციას, სადაც რამდენიმე ერთნაირი სამუშაო მაშინა ერთ და იმავე დროს მოქმედებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ტეხნიკური ერთიანობაც არის. ერთ და იმავე მამოძრავებელ მაშინას ყველა ისინი თანასწორათ მოყავს მოძრაობაში. ისინი მხოლოთ ორგანოებია ერთი და იგივე მამოძრავებელი მექანიზმისა.

მაგრამ იქ, სადაც მუშაობის საგანმა (ნაწარმოებმა) უნდა

განვლოს ერთი-ერთმანეთთან შეკავშირებული თანდათანი პროცესების მთელი რიგი, რომლებსაც სხვა და სხვა ერთი მეორეს დამხმარე, ურთიერთ შორის გადაჯაჭვული სამუშაო მაშინები ასრულებენ, სადაც, მაშასადამე, კვლავ ჩნდება მანუფაქტურული კოოპერაცია, დამყარებული შრომის დანაწილება-დაყოფაზე, მაგრამ უკვე დეტალური მაშინების შეერთების სახით, მხოლოთ ახლა პირველათ კერძო დამოუკიდებელი მაშინის ალაგს მაშინების მთელი სისტემა იჭერს. თითოეული დეტალური მაშინა აწვდის მახლობელს, მის შემდეგს მაშინას, ნედლ მასალას და, როგორც მანუფაქტურაში დეტალური მუშების კოოპერაცია, ისე მაშინების დანაწევრებულ სისტემაში მუდმივი დამოკიდებულება ერთი დეტალური მაშინისა მეორეზე წარმოშობს ერთგვარ განსაზღვრულ დამოკიდებულებას იმათ რიცხვსა, იმათ სიდიდესა და იმათი მოქმედების სიჩქარეს შუა. ეს შეერთებული (combinirte—комбинированная) სამუშაო მაშინა იმდენათ უფრო უნაკლულოა, რამდენათ უფრო განუწყვეტელია ის პროცესი, რომელიც მასში, როგორც ერთ მთელში, სრულდება, ე. ი. რამდენათ უფრო ნაკლებჯერ ხდება შეწყვეტა ნედლი მასალის პირველი ფორმიდან მის უკანასკნელ ფორმამდე გადასასვლელათ, რამდენათ, მაშასადამე, უფრო დიდ როლს თამაშობს თვით მექანიზმი, და არა ადამიანის ხელი, იმ გადასვლის დროს წარმოების ერთი ფაზიდან (საფეხურიდან) მეორეში. მას შემდეგ, რაც მაშინა ასრულებს ადამიანის დაუხმარებლათ ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც კი საჭიროა ნედლი მასალის შესამუშავებლათ, და იგი საჭიროებს მხოლოთ ადამიანის თვალყურის დევნებაში, ჩვენ უკვე მაშინების ავტომატიური სისტემა გვაქვს. რომ ამ სისტემის შეუწყვეტელი გაუმჯობესება შესაძლებელია, ამას ამტკიცებს ის აპარატი, რომელიც ავტომატიურათ (თავისთავათ) აჩერებს სართავ მაშინას, როგორც კი ერთი ძაფიც დაწყდება. „უახლესი საწერი ქაღალდის ფაბრიკა—ამბობს მარქსი—შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც წარმოების შეუწყვეტლობის, ისე ავტომატიური პრინციპის ცხოვრებაში გაყვანის მაგალითათ“.

მაგრამ, როგორც უატის მიერ გამოგონილი ორთქლის მაშინა, ისე სხვა წინა გამოგონებანი მაშინების სფერაში, შესაძლებელი შეიქნენ განხორციელებულიყვენ მხოლოთ იმის მეოხებით, რომ მანუფაქტურულმა ხანამ წარმოშვა გამოცდილ მექანიკურ მუშების საკმაო რიცხვი, რომელთაც მაშინების გაკეთება შეეძლოთ; ამათში იყვენ როგორც დეტალური მანუფაქტურული მუშები, ისე დამოუკიდებელი ხელოსნებიც. პირველი მაშინები გააკეთეს ან ხელოსნებმა ან მანუფაქტურის მუშებმა.

მაგრამ სანამ მაშინების არსებობა დამოკიდებული იყო მუშების პირად გამოცდილებაზე და პირად ძალაზე, ისინი არა თუ მეტათ ძვირფასი იყვენ,—და ეს გარემოება კაპიტალისტებს ყოველთვის მხედველობაში აქვთ,—არამედ იმათი გამოყენების გაფართოება და, მაშასადამე, სხვილი მრეწველობის განვითარებაც, დამოკიდებული იყო მაშინის მკეთებელ მუშების რიცხვის გადიდებაზე, რომელთა (მუშების) გამოცდილება ხანგრძლივ სწავლას თხოულობს და რომელთა რიცხვი, ამიტომ, შეუძლებელია ერთბაშათ გაიზარდოს.

მაგრამ თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე სხვილი მრეწველობა, გარდა ამისა, ტეხნიკურათაც ეჯახება თავის ხელოსნურ და მანუფაქტურულ საფუძველს. ყოველგვარი გაუმჯობესობა, ანუ მაშინის სიდიდის მომატება, მისი განთავისუფლება უწინდელ ხელოსნურ ფორმიდან ანუ ხასიათისაგან, გამოყენება ახალ უფრო გამოსადეგ, მაგრამ ძნელ დასამუშავებელ მასალების, როგორც, მაგ., რკინის ხის მაგიერ გამოყენება,—ყოველივე ეს დიდ დაბრკოლებებს ეჯახებოდა, რომელთა დასაძლევათ მანუფაქტურაში არ იყო საკმარისათ გატარებული შრომის განაწილება. ისეთი მაშინების, როგორც, მაგ., თანამედროვე საბეკდავი მაშინა (სტამბის მაშინა), ორთქლის თანამედროვე საფეიქრო დაზგა და თანამედროვე სავარცხელი-მაშინა (Чесальная—Kardirmachine), ასეთი მაშინების მანუფაქტურაში გაკეთება შეუძლებელი იყო.

მეორე მხრით, ცვლილება მრეწველობის ერთ დარგში

იწვევს ცვლილებას სხვა, მასთან შეკავშირებულ დარგებში. ასე, მაგ., რთვა მაშინის საშუალებით აუცილებლათ ხდის ქსოვასაც მაშინის საშუალებითვე; ორივე კი ერთათ მექანიკურ-ქიმიურ რევოლიუციას ახდენს წარმოების სათეთრებელ, ჩითის საბეჭდავ და საღებავ დარგებში. შემდეგი ცვლილება წარმოების წესში მრეწველობის და მეურნეობის დარგში იწვევს ცვლილებას გადატან-გადმოტანის და მისვლა-მოსვლის საშუალებებში. სხვილმა მრეწველობამ თავისი აჩქარებული მაჯისცემით უნდა ჩქარა მიიზიდოს თავისი ნედლი მასალა, ჩქარა და ზორბათ (ბლომათ) მიაყაროს ბაზარზე თავისი ნაწარმოებნი, უნდა ქონდეს საშუალება, თანახმათ თავის მოთხოვნილებათა, დიდძალი მუშები ჯერ მიიზიდოს თავისკენ და შემდეგ ქუჩაზე გაყაროს. ამ გარემოებებმა გამოიწვიეს ცვლილება გემების კეთებაში, იალქნიანი გემის მაგიერ ორთქლის გემის, სასოფლო გზების მაგიერ რკინის გზები, შიკრიკების მაგიერ—ტელეგრაფი და ტელეფონი. „რკინის აუარებელმა მასსამ, რომელიც ახლა უნდა გაეკედათ, გადაედუღებიათ, გაეკრათ, გაეხვრიტათ, ჩამოესხათ,—მოითხოვა თავის მხრით ისეთი უზარმაზარი მაშინები, რომლების გაკეთება მანუფაქტურაში ყოვლათ შეუძლებელი იყო“.

ამ ნაირათ, სხვილ მრეწველობას უნდა შეექმნა თავისი საკუთარი საფუძველი, რომელიც მის ბუნებას შეეფერება. მან დაიმორჩილა მაშინა, რომ მისი საშუალებით მაშინები გაეკეთებია. „მხოლოთ სამუშაო მაშინების მეოხებით ტეხნიკამ შეძლო იმ დაბრკოლების დაძლევა, რომელიც მას მაშინების კეთების საქმემ წინ დაუყენა“. ამისთვის საჭირო იყო მაშინის საშუალებით გაეკეთებიათ სწორი გეომეტრიული ფიგურები, როგორც, მაგ., ხაზი, სიფართე, წრე, ცილინდრი, კონუსი (შაქრის თავი) და ბურთი, რომლებიც საჭიროა მაშინების ცალკე ნაწილებისთვის. ეს საქმე შეასრულა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჰენრი მაუდსლიმ განსაკუთრებული მოწყობილობის (აპარატის) გამოგონებით საზეინკლო დაზგისთვის, რომელიც ჩქარა ავტომატიურ აპარატათ გარ-

დაიქცა და ამ სახით გამოყენებულ იქნა არა მარტო საზეინკლო დაზგისთვის, არამედ სხვა მაშინებისთვისაც მაშინების გასაკეთებლათ. ამ მექანიკური გამოგონების მეოხებით შესაძლებელი შეიქნა მაშინების ცალკე ნაწილებისთვის გეომეტრიული ფორმების გაკეთება ისეთი სიადვილით, სისწორით და სიჩქარით, რის მიხწევა არასოდეს არ ძალუძს ყველაზე უგამოცდილესს და ყველაზე უფრო დახელოვნებულ მუშას.*) (The industry of Nations, London, 1855).

საჭირო არ არის დიდ ხანს გავაგრძელოთ საუბარი იმის შესახებ, თუ რა უზარმაზარ მაშინებს ხმარობენ მაშინურ წარმოებაში. ვის არ გაუგონია უზარმაზარ მაშინების საკეთებელი ქარხნები, ის ვეებერთელა ორთქლის ურეები, წონით 300—400 ფუთი, რომლებიც გაუჭირვებლათ აფრქვევენ ვეებერთელა ქვებს და იმავ დროს შეუძლიანთ უუმსუბუქესი სიმძიმით დაცემა, რის ზედმიწევნით გამოანგარიშება ყოველთვის შესაძლებელია. ყოველ დღე ჩვენ ვტყობილობთ ახალ წარმატებას მაშინების გაკეთების საქმეში, იმათი გამოყენების სფერის გაფართოებაზე.

მანუფაქტურაში შრომის განაწილების სუბიექტურ მხარეს უპირველესი მნიშვნელობა ქონდა, თითოეული კერძო პროცესი მუშის ჰიროვნებასთან იყო შეწყობილი; მაშინების სისტემაში კი სხვილ-სხვილ მრეწველობას აქვს უკვე სრულებით ობიექტიური საწარმოო ორგანიზმი, რომელიც მუშას პირისპირ უდგება, როგორც ერთი დამთავრებული რამ, და რომელსაც, მაშასადამე, მუშა უნდა შეეწყოს, შეეგუოს. კოოპერაცია, კერძო მუშის გაძევება საზოგადოებრივ მუშის მიერ, არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ „ტეხნიკური აუცილებლობა, შრომის თვით იარაღთა ბუნების მიერ გამოწვეული.“

---

*) მაუდსლის გამოგონების შესახებ მარქსი ამბობს: „რაც უნდა მარტივი და მცირე იყოს გარეგნობით ეს დამატება საზეინკლო დაზგისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულებით არ გავადიდებთ მის მნიშვნელობას, თუ ვიტყვით, რომ მისი გავლენა მაშინური წარმოების გაუმჯობესობაზე და გავრცელებაზე იმდენათვე დიდი იყო, როგორც ის გაუმჯობესობა, რომელიც მოახდინა უატმა ორთქლის მაშინაში“.

2. მაშინის ღირებულების გადაცემა ნაწარმოებზე.

როგორც მარტივი ინსტრუმენტი (ხელის იარაღი), მაშინა მუდმივი კაპიტალის ნაწილს შეადგენს. იგი არავითარ ღირებულებას არ ქმნის, არამედ მას მხოლოთ საკუთარი ღირებულება გადააქვს ნაწარმოებზე, და თითოეულ კერძო შემთხვევაში გადააქვს ის ღირებულება, რომელსაც თითონ იგი (მაშინა) კარგავს გაცვეთის გამო.

მაშინა შედის შრომის პროცესში სულ მთლათ, ღირებულების შექმნის პროცესში კი ყოველთვის მხოლოთ ნაწილ-ნაწილათ. მსგავსი მოვლენა ხდება ხელის იარაღის ხმარების დროსაც, მაგრამ განსხვავება იარაღის წინანდელ საერთო ღირებულებასა და მის ღირებულების იმ ნაწილს შორის, რომელიც ნაწარმოებზე გადადის, ბევრათ უფრო მეტია მაშინის ხმარების დროს, ვინემ ხელის იარაღის ხმარების დროს, პირველათ იმიტომ, რომ მაშინა ხელის იარაღზე გაცილებით უფრო მეტს ძლებს, ვინაიდან იგი გაკეთებულია უფრო მკვიდრი მასალისაგან; მეორეთ, იმიტომ, რომ მაშინის ხმარება,— რაც დამყარებულია მეცნიერულათ დადგენილ კანონებზე,— უფრო მეტ ეკონომიას აკეთებს, როგორც მის შემდგენელ ნაწილების, ისე დამხმარე ნივთიერებათა დახარჯვაში, როგორც, მაგ., ზეთის, ნახშირის და სხვ. და ბოლოს, კიდევ იმიტომ, რომ მისი მოქმედების სარბიელი გაცილებით უფრო ფართეა, ვინემ ხელის იარაღის.

როცა ჩვენ ვიცით განსხვავება მაშინის ღირებულებასა და ღირებულების იმ ნაწილს შორის, რომელიც მაშინას ყოველ დღე გადააქვს ნაწარმოებზე, ნაწარმოების ამ ნაწილის გაძვირების ხარისხი დამოკიდებულია ნაწარმოებთა სიმრავლეზე. ბენ-ბლეკბერსონი თავის მოხსენებაში, რომელიც დაიბეჭდა 1858 წელს, ამბობს, რომ „თითოეული ცხენის ნამდვილ მექანიკურ ძალას*) მოძრაობაში მოყავს 450 ავტო-

*) აქ ენგელსი, რომელმაც „კაპიტალის" პირველი ტომის მესამე და მეოთხე გამოცემა გამოუშვა, აკეთებს შემდეგ შენიშვნას: „ერთი ცხენის ძალა უდრის ძალას 33 000 ფუტი-გირვანქისას წუთში, ე. ი. ისეთ ძალას, რომელიც ერთ წუთში წევს მაღლა 33 000 გირვანქას ერთი ფუტის სიმაღლეზე, ან ერთ გირვანქას 33 000 ფუტის სიმაღლეზე. აი, ამ ცხენის ძალაზეა ზევით ლაპარაკი".

მატიური თითისტარი თავისი მოწყობილებით, ან 15 საფეიქრო დაზგა 40 გოჯიანი მატერიისთვის, თავისივე მოწყობილებით.“ მაშასადამე ყოველდღიური ხარჯი ერთ ორთქლის ცხენის ძალაზე და გაცვეთაზე, რაც მაშინის მოძრაობაში მოყვანის შედეგია, პირველ შემთხვევაში ნაწილდება 450 თითისტარის ყოველდღიურ ნაწარმოებზე, მეორე შემთხვევაში— კი 15 მექანიკური საფეიქრო დაზგის ნაწარმოებზე, ასე რომ ერთ გირვანქა ძაფზე ან ერთ გოჯ მატერიაზე გადადის ღირებულების ყოვლად უმნიშვნელო ნაწილი.

თუ სამუშაო მაშინის მოქმედების ფარგალი ცნობილია, ე. ი. თუ მისი აღმასრულებელი მექანიზმის რაოდენობა ვიცით, ან თუ საქმე მის ძალის შეტყობას ეხება, როგორც, მაგ., ორთქლის ურთს ძალა, თუ უკანასკნელის სიდიდე ცნობილია, იმ შემთხვევაში ნაწარმოებთა რაოდენობა დამოკიდებულია მაშინის მოქმედების სიჩქარეზე.

თუ საზოგადოთ ცნობილია, რა ზომით ანუ ხარისხით გადააქვს მაშინას თავის საკუთარი ღირებულება ნაწარმოებზე, იმ შემთხვევაში ღირებულების ამ გადატანილი ნაწილის სიდიდე დამოკიდებულია თვით მაშინის ღირებულების სიდიდეზე. რამდენათ ნაკლები შრომაა დახარჯული მაშინაზე, იმდენათ ნაკლები ღირებულება გადააქვს მას ნაწარმოებზე. თუ მის გასაკეთებლათ დახარჯულია იმდენი შრომა, რამდენიც ინახება მისი გამოყენებით, იმ შემთხვევაში ხდება შრომის უბრალო შეცვლა, შრომის ნაყოფიერება კი არ მატულობს. მაშინის ნაყოფიერება იზომება იმით, თუ რამდენათ ინახავს იგი ადამიანის სამუშაო ძალას. ამიტომ ის გარემოება, რომ, საზოგადოთ, იმ საქონლებთან შედარებით, რომლებიც გამზადებულია ხელოსნური თუ მანუფაქტურული წესით მაშინის ნაწარმოებში ღირებულების ის ნაწილი, რომელიც გადატანილია შრომის იარაღისაგან, შედარებით, ე. ი. ნაწარმოების საერთო ღირებულებასთან შედარებით, მაღლა იწევს, მაგრამ აბსოლიუტურათ—ეცემა,—ვიმეორებთ, ეს გარემოება არ ეწინააღმდეგება მაშინური წარმოების პრინციპს.

ნაწარმოების გაიაფების თვალთახედვის წერტილიდან მაშინის გამოყენება მართლდება მანამ, სანამ მის გაკეთებაზე იხარჯება ნაკლები შრომა, ვინემ მას თავის გამოყენებით შეუძლია შეინახოს. მაგრამ, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, კაპიტალისტი ფულს იხდის არა მის მიერ გამოყენებულ შრომაში, არამედ მხოლოთ დახარჯული სამუშაო ძალის ღირებულებაში, მაშასადამე, მაშინის გამოყენება მისთვის ისაზღვრება განსხვავებით მაშინის ღირებულებასა და იმ საერთო ღირებულებას შორის, რომელსაც ინახავს მაშინა სამუშაო ძალის მოქმედების დროს. მაგრამ, ვინაიდან მუშის ნამდვილი სამუშაო ხელფასი ხან სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა დგას, ხან კი იმაზე მაღლა და, გარდა ამისა, სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა დროს და მრეწველობის სხვა და სხვა დარგში ეს ხელფასი ერთნაირი არ არის, ამიტომ მაშინის გამოყენება განისაზღვრება იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს მაშინის ფასსა და მის მიერ შენახულ სამუშაო ძალის ფასს შორის. მხოლოთ ამ განსხვავებას აქვს კაპიტალისტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, მხოლოთ იგი ატანს მას ძალას და ამიტომაც არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა მაშინა, სასარგებლო ერთ ქვეყანაში, მეორე ქვეყანაში სრულებით გამოუყენებელი რჩება. ამერიკაში გამოიგონეს ქვის სამტვრევი მაშინა, მაგრამ ძველ ქვეყნებში ამ მაშინას როდი იყენებენ, ვინაიდან აქ პროლეტარი, რომელიც ამ სამუშაოს ასრულებს, ღებულობს ხელფასს თავისი შრომის ისეთი უმნიშვნელო ნაწილისთვის, რომ ეს მაშინა წარმოებას გაუძვირებდა კაპიტალისტებს. დაბალი სამუშაო ხელფასი პირდაპირ ეღობება მაშინების შემოღებას და, მაშასადამე, ამ თვალთახედვის წერტილიდან იგი მავნებელია საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

მხოლოთ იმ საზოგადოებაში, რომელიც ბოლოს მოუღებს წინააღმდეგობასა და განხეთქილებას კაპიტალსა და შრომას შორის, მაშინური წარმოება მოიპოვებს ფართო სარბიელს თავისი სრული განვითარებისათვის.

3. მაშინური წარმოების პირდაპირი გავლენა მუშებზე.

„რამოდენათ მაშინა იქერს კუნთების (მუსკულების) ძალის ადგილს, იმდენათ იგი ხდება იმ მუშების გაყვლეფის საშუალებათ, რომლებიც მოკლებულნი არიან მუსკულების ძალას ან ფიზიკურათ დაუმწიფებელნი არიან, მაგრამ რომელთაც აქვთ უფრო მოქნილი ორგანოები. შრომისა და მუშების ეს უძლიერესი მოადგილე (მაშინა) იმ თავიდანვე გარდაიქცა საქირაო მუშების რიცხვის გასადიდებელ საშუალებათ, მოიტაცა რა მან მუშის ოჯახის ყველა წევრები განურჩევლათ სქესისა და წლოვანებისა, და დაუმორჩილა რა ისინი პირდაპირ კაპიტალის ბატონობას“. ძალდატანებითი შრომამ კაპიტალისტის სასარგებლოთ შესცვალა არა მარტო ბავშების თამაშობა, არამედ თავისუფალი შრომა ოჯახის წრეში თვით ოჯახისავე სასარგებლოთ. „ბავშების და ქალების შრომა იყო პირველი სიტყვა მაშინის კაპიტალისტურათ გამოყენებისა“.

ამ მოვლენის გავლენა მუშათა კლასზე უნდა ყოფილიყო საბედისწერო, როგორც ეკონომიურ, ისე სოციალურ და მორალურ მხრით.

აქამდის სამუშაო ძალის ღირებულება ისაზღვრებოდა იმ სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა არა მარტო კერძო მუშის შესანახათ, არამედ მთელი მისი ოჯახის, რომლის მარჩენელი იგი იყო. ახლა კი, როცა მუშის ცოლი და ბავშები მიზიდული შეიქნენ სამუშაო ბაზარზე, როცა ამათაც მიეცათ შეძლება საქირაოზე წასვლის, მამაკაცის სამუშაო ძალის ღირებულებამ დროთა განმავლობაში იწყო განაწილება მთელ მის ოჯახზე. და თანახმათ სამუშაო ძალის ღირებულების ცვლილებისა გასაოცარი სისწრაფით შეიცვალა მისი ფასიც, ე. ი. სამუშაო ხელფასი. თავისი არსებობის შესანახათ, მთელი ოჯახი იძულებული ხდება, ნაცვლათ მარტო მამისა, იმუშაოს ქირაზე და ამნაირათ მიაწოდოს კაპიტალს, არა ხოლოთ შრომა, არამედ ზედმეტი შრომაც. ამნაირათ მაშინა არა მარტო ადიდებს გასაყვლეფ მასალას, არამედ კიდევ უფრო მაღლა წევს გაყვლეფის ხარისხს.

მართალია, აქ რამდენიმეთ შესაძლებელია მუშის ოჯახის შემოსავლის ნომინალური (სიტყვიერი) გადიდება. როცა მხოლოთ მამის ადგილას მუშაობას იწყებენ მამა, დედა და ორი ბავში, მაშინ საერთო ხელფასი, უმეტეს შემთხვევაში, მეტია, ვინემ მარტო მამის წინანდელი ხელფასი. მაგრამ ამასთანავე მატულობს აგრეთვე ხარჯი არსებობისათვის, თავის შესანახათ. მაშინა იწვევს დიდ ეკონომიას, მომჭირნეობას ფაბრიკაში, მაგრამ მუშის ოჯახში მაშინური მრეწველობა ძირს უთხრის მუშის ოჯახის კეთილდღეობას. ფაბრიკის მუშა-ქალს აღარ შეუძლია იმავე დროს კარგი დიასახლისი იყოს. მომჭირნეობა და ანგარიში ცხოვრების სახსარის დახარჯვაში ასეთ პირობებში წარმოუდგენელია.

წინეთ მუშა ყიდდა თავის საკუთარ სამუშაო ძალას, რომელსაც იგი, ფორმალურათ მაინც, ფლობდა, როგორც თავისუფალი პიროვნება. ახლა კი იგი ხდება შრომის მოვაჭრეთ და ყიდის ფაბრიკაში ცოლს და ბავშებს. როცა კაპიტალიზმის ფარისეველი საქვეყნოთ მწუხარებას აცხადებს ამგვარი „სიმხეცის“ გამო, მაშინ იგი ივიწყებს, რომ თითონ მან შექმნა ეს „სიმხეცე“, თითონ იგი ყველეფს მას და ცდილობს უკვდავი გახადოს იგი შემდეგი ლამაზი სახელწოდებით: „შრომის თავისუფლება“. მ'მობელ-მუშების მხეცობა კი მკერმეტყველურათ უარყოფილია იმ საგულისხმიერო ფაქტით, რომ სწორეთ მუშა-მამაკაცებმა გამოგლიჯეს კაპიტალს ბავშების და დედაკაცების შრომის შეზღუდვა კანონის ძალით ინგლისის ფაბრიკებში.

მარქსს მოყავს აუარებელი დამამტკიცებელი საბუთები იმის შესახებ, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენს ბავშებზე და ქალებზე ფაბრიკაში შრომა. ვურჩევთ მკითხველებს თითონ გაეცნონ ამ საბუთებს, აქ კი ჩვენ მოვიყვანთ მხოლოთ ერთ ფაქტს, რომელიც შემდეგ ხანას ეკუთვნის და რომელსაც ჩვენ ვიღებთ ზინგერის წიგნიდან: „Untersuchungen über die socialen Zustände in den Fabrikbezirken des nordöstliche Böhmen. Leipzig“, 1885 *). ამ წიგნის ცნობები შეძ-

*) „სოციალური მდგომარეობის გამოკვლევა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ბოგემიის სამრეწველო ოლქში“.

ლებას გვაძლევს შევადაროთ ბავშების საშუალო სიკვდილი იმ ქვეყანაში, რომელმაც თითქმის არ იცის სხვილი მრეწველობა, ე. ი. ნორვეგიაში, ბავშების სიკვდილიდან ბოგემიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ოლქებში, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც მრეწველობა უმაღლეს ხარისხამდეა განვითარებული და სადაც ხსენებული წიგნის შედგენის დროს არავითარი კანონმდებლობა ბავშების შრომის მფარველობისათვის არ არსებობდა.

ნორვეგიაში (1866 წლიდან ვიდრე 1874 წ.) 10,000 ცოცხლათ დაბადებულ ორივე სქესის ბავშებიდან ერთ წლამდე კვდებოდა 1063 ბავში. იმავე დროს შემდეგ ოლქებში, სადაც მრეწველობა ძლიერ განვითარებული იყო, 10,000 ცოცხლათ დაბადებულ ბავშებიდან, ერთ წლამდე კვდებოდა:

ზედა ელბის ოლქში	. . 3026	ბავში
გაბლონცის „	 3104	„
ბრაუნაუის „	 3236	„
ტროუტენაუის „	. . 3475	„
რეიხენბერგის „	 3805	„
ფრიდლანდის „	 4130	„

ამნაირათ ძუძუ-მწოვარ ბავშების სიკვდილი საფაბრიკო ოლქებში სამ-ოთხ ჯერ უფრო მეტია, ვინემ „კულტურულათ“ ჩამორჩენილ ნორვეგიაში! მეტი სიკვდილი პირველ შემთხვევაში შეუძლებელია მცხოვრებთა ზედმეტი ნაყოფიერებით ახსნილ იქნას, როგორც ეს მალტუსის მიმდევრებს სურთ. პირიქით, დაბადება სულ მცირეა. ზინგერის მიერ გამოკვლეულ ოლქებში 1000 მცხოვრებზე მოდის თითქმის 35 დაბადებული, მაშინ როცა გერმანიაში თითქმის—42 და მთელ ავსტრიაში კი—40-ზე მეტი.

გარდა ფიზიკური და ზნეობრივი დამახინჯებისა, დაუმწიფებელ ადამიანების უბრალო მაშინებათ გადაქცევა ზედმეტი ღირებულების შესაქმნელათ იწვევს იმ „გონებრივ გაველურებას“, რომელიც სასტიკათ უნდა გავარჩიოთ ბუნებრივი უვიცობისაგან, რომელიც არ ეხება ბუნებრივ გონებრივ ნი-

ჭიერებას, და რომელიც არ ღუპავს ამ ნიჭიერების განვითარებას, მის ბუნებრივ ნაყოფიერებას“.

მაშინების საშუალებით ბავშების და ქალების შემოერთებას შრომის საერთო ფერხულში ქონდა კიდევ ერთი „კეთილშობილური“ შედეგი: ამ გარემოებამ საბოლოოთ დასცა ის წინააღმდეგობა, რომელსაც მანუფაქტურაში მამაკაცი კიდევ უწევდა კაპიტალის აღვირწახსნილობას, მის დესპოტიზმს.

რა მიზნის მიხწევა სურს კაპიტალისტს, როცა მას ხმარებაში შემოაქვს მაშინები? იმისთვის ხომ არა, რომ თავის მუშებს შეუმსუბუქოს შრომა? სრულებითაც არა. მაშინის შემოღებით ცდილობენ საქონლების გაიაფებას და სამუშაო დღის იმ ნაწილის შემოკლებას, რომელიც ესაჭიროება მუშას თავისი სამუშაო ძალის ღირებულების აღსადგენათ, სამუშაო დღის იმ ნაწილის სასარგებლოთ, რომლის განმავლობაში იგი ქმნის ზედმეტ ღირებულებას.

მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მაშინა იმდენათ უფრო ნაყოფიერია, რამდენათ უფრო ნაკლებია მისი საკუთარი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მას გადააქვს ნაწარმოებთა განსაზღვრულ რაოდენობაზე. ეს ნაწილი კი იმდენათ უფრო ნაკლებია, რამდენათ უფრო მეტია მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა რაოდენობა, და ეს რაოდენობა კი, თავის მხრით, იმდენათ მეტია, რამდენათ უფრო გრძელია მაშინის მუშაობის დრო. სულ ერთი იქნება კაპიტალისტისთვის თუ არა, რომ მისი მაშინის სამუშაო დრო განაწილებულ იქნას 15 წელიწადზე 8 საათის სამუშაო დღით, თუ $7^1/_2$ წელიწადზე 16 საათის სამუშაო დღით? მათემატიკური ანგარიშით ორივე შემთხვევაში მაშინის ხმარების დრო ერთნაირია. მაგრამ ჩვენი კაპიტალისტი სხვანაირათ ანგარიშობს.

იგი ასე მსჯელობს: პირველათ, $7^1/_2$ წლის განმავლობაში 16 საათის სამუშაო დღით მაშინას გადააქვს ყველა ნაწარმოებზე არა უმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც მას გადააქვს 15 წლის განმავლობაში 8 საათის სამუშაო დღით; მაგრამ, სამაგიეროთ პირველ შემთხვევაში იგი აღადგენს თავის

საკუთარ ღირებულებას ორჯერ უფრო ჩქარა, ვინემ მეორე შემთხვევაში, რაც ჩემში იწვევს სიამოვნებას მივიღო $7^1/_2$ წლის განმავლობაში იმოდენივე ზედმეტი ღირებულება, რამდენიც მეორე შემთხვევაში უნდა მიმეღო 15 წლის განმავლობაში, სხვა სასარგებლო მხარეებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რომლებიც სამუშაო დღის გაგრძელების შედეგია.

შემდეგ იგი ამბობს: ჩემი მაშინა ცვდება არა მარტო ხმარების დროს, არამედ იმ დროსაც კი, როცა იგი უძრავათ დგას და არ მუშაობს, სტიქიის გავლენით. როცა იგი უმოქმედოთ დგას, გაჩერებულია, მას ჟანგი ჰამს. ამნაირი გაცვეთაც პირდაპირ ზიანს შეადგენს, რომელიც მე შემიძლია მოვიშორო თავიდან, თუ მის გაჩერების დროს შევამოკლებ.

შემდეგ: ჩვენ დროში, როცა ტეხნიკური ცვლილებანი განუწყვეტლივია, მე ყოველ დღე უნდა მოველოდე, რომ ჩემი მაშინა სრულებით დაკარგავს ფასს უფრო იაფი ან ტეხნიკურათ უფრო გაუმჯობესებული მაშინის გამოგონებით. ამიტომ რამდენათ უფრო ჩქარა აღადგენს იგი თავის ღირებულებას, იმდენათ უფრო ნაკლებ მომელის მე ეს შიში.

აქ, სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი შიში განსაკუთრებით უფრო დიდია მაშინ, როცა მაშინა პირველათ შემოდის წარმოების რომელიმე დარგში; ამ ხანაში ახალი საშუალებანი ერთი მეორეს ზედიზედ მისდევენ. ამიტომ, ისეთ შემთხვევებში განსაკუთრებით უფრო მეტათ ვამჩნევთ სამუშაო დღის გაგრძელების მიდრეკილებას.

ჩვენი კაპიტალისტი განაგრძობს: ჩემი მაშინები, შენობები და სხვ. წარმოადგენენ კაპიტალს ამდენი და ამდენი ათასი მანეთისას. თუ მაშინები არ მოქმედებენ, იმ შემთხვევაში მთელი ჩემი კაპიტალი უსარგებლოთ ძევს. ამიტომაც, რამდენათ უფრო დიდხანს არის მაშინები მუშაობაში, იმდენათ უფრო ჩქარა დავიბრუნებ უკან არა მარტო იმ კაპიტალს, რომელიც მათზე არის დახარჯული, არამედ იმ კაპიტალსაც, რომელიც დაბანდულია შენობებში და სხვ.

კაპიტალისტის ყველა ამ მოსაზრებათ ემატება კიდევ ერთი მოტივი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავათ იმისა, რომ კაპიტალისტი ისევე ვერ იგნებს მას, როგორც მისი ნასწავლი ვექილი პოლიტიკო-ეკონომისტი. კაპიტალისტს შემოაქვს ხმარებაში მაშინა სამუშაო ხელფასზე (ცვალებად კაპიტალზე) ყაირათის გასაწევათ, მის შესამცირებლათ იმიტომ, რომ მომავლში მუშას შეეძლოს ერთი საათის განმავლობაში იმდენის გაკეთება, რასაც იგი წინეთ 3 ან 4 საათის განმავლობაში აკეთებდა. მაშინა ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და მით ხელს უწყოფს ზედმეტი შრომის გადიდებას აუცილებელი შრომის ხარჯზე, ე. ი., მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებას. მაგრამ ამის მიხწევა მას შეუძლია მხოლოთ ერთი გზით, სახელდობ იმ მუშების რიცხვის დაკლებით, რომელთაც ამუშავებს ესა თუ ის კაპიტალი მაშინური წარმოება კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც წინეთ ცვალებადი იყო, ე. ი. რომელიც სამუშაო ძალაში იყო დაბანდული, აქცევს მაშინებათ, ე. ი. მუდმივ კაპიტალათ, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზედმეტი ღირებულების რაოდენობა განისაზღვრება, პირველათ ზედმეტი ღირებულების ნორმათ, და მეორეთ საქმეში ჩაყენებული მუშების რიცხვით. მაშინების შემოღება სხვილ კაპიტალისტურ მრეწველობაში ხდება პირველი ფაქტორის გასაძლიერებლათ, რაც გავლენას ახდენს ზედმეტი ღირებულების რაოდენობაზე მეორე ფაქტორის შემოკლების საშუალებით. ამნაირათ მაშინების გამოყენება ზედმეტი ღირებულების შესაქმნელათ შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. ეს წინააღმდეგობა აიძულებს კაპიტალისტს აინაზღაუროს საქმეში ჩაყენებული მუშების რიცხვის შედარებითი დაკლება. არ კმაყოფილდება რა შედარებით ზედმეტი ღირებულების გადიდებით, იგი ეტანება აბსოლიუტური ზედმეტი ღირებულების გადიდებას და ცდილობს სამუშაო დროს გაგრძელებას.

მაშასადამე, მაშინების კაპიტალისტური გამოყენება ბადებს ახალ ძლიერ მოტივებს სამუშაო დღის უზომო გაგრძელე-

ბისათვის, და ამასთანავე იგი შესაძლებლათ ხდის მის გაგრძელებას. ვინაიდან შაშინას შეუძლია იმუშაოს შეუწყვეტლათ, ამიტომ კაპიტალი, რომელიც მიისწრაფვის სამუშაო დღის უზომო გაგრძელებისაკენ, დაბკროლებას ხვდება მხოლოთ მაშინის სულიერი თანაშემწის, ე. ი. მუშის ბუნებრივ დაღლაში და მუშის წინააღმდეგობაში. ამ უკანასკნელ გარემოებას იგი ძლევს, ერთი მხრით, წარმოებაში უფრო სუსტი და მორჩილი ელემენტების—ქალების და ბავშების—მიზიდვით და, მეორე მხრით, „მოჭარბებულ“, მაშინის შემოღების გამო,—უსაქმოთ დარჩენილ მუშების მთელი ჯარის შექმნით. ამნაირათ მაშინა სამუშაო დღის გაგრძელების ყოველგვარ ზნეობრივ და ბუნებრივ საზღვარს აქრობს; მიუხედავათ იმისა, რომ იგი არის „სამუშაო დროს შემოკლების უძლიერესი საშუალება“, იგი ხდება ნამდვილ საშუალებათ, რომ მუშის და მისი ოჯახის თითოეული წუთი დაუმორჩილოს კაპიტალს, მისი ღირებულების გასადიდებლათ“.

ააშკარავებს რა ამ მოვლენას, მარქსი ამბობს: „თუ რომ,—ოცნებობდა არისტოტელი, ძველი დროის უდიდესი მეცნიერი,—თუ რომ წარმოების იარაღს შეძლებოდა ბრძანებით ან თავის საკუთარ სურვილით თითონ შეესრულებინა მისი შესაფერი მუშაობა, როგორც საბერძნეთის მითიური არსების (დედალის) ქმნილებანი თავის თავათ მოძრაობდენ, ან როგორც გეფექსტის სამფეხები თავისი სურვილით ასრულებენ საღმთო მუშაობას, თუ რომ, მაგ., საფეიქრო მაქო თითონ ქსოვდეს, იმ შემთხვევაში ხელოსანს ქარგალი აღარ დასჭირდებოდა და ბატონს—მონები. და ანტიპატროსი, ციცერონის დროის საბერძნეთის პოეტი, ქებას ასხამდა წყლის წისქვილის გამოგონებას, ყველა საწარმოვო მაშინების ამ მარტივ ფორმას,—როგორც მონა დედაკაცების განმათავისუფლებელს და ოქროს დროს აღმდგენელს. „წარმართნი! ეს წარმართნი“! იმათ სრულებით არავითარი წარმოდგენა არა ქონდათ პოლიტიკურ ეკონომიაზე და ქრისტიანობაზე, როგორც ეს აღმოაჩინა ბრძენმა ბასტიამ და რაზედაც მის დრომდე ამბობდა მა-

ზე უფრო უბრძნესი მაკ-კულოხი. იმათ (წარმართებს) არ ესმოდათ, სხვათა შორის, ის, რომ მაშინა არის ყველაზე უფრო საიმედო საშუალება სამუშაო დღის გასაგრძელებლათ. ისინი ამართლებდენ ზოგიერთ მონობას, როგორც საშუალებას სხვების სრული ადამიანური განვითარებისათვის. მაგრამ იმათ აკლდათ სპეციფიკური, განსაკუთრებული, ქრისტიანული გრძნობა, რომ ექადაგნათ მასის მონობა რამდენიმე ტლანქი, უვიცი მატრაკვეცების „ძაფის გამოჩენილ მრთველებათ“, „ვსხვილ მეკალბასეებათ“ და „ვაქსით გავლენიან მოვაჭრეებათ გადასაქცევათ“.

რამდენათ უფრო და უფრო ვითარდება მაშინების გამოყენება, და მასთან ერთათ გამოცდილ მუშების კლასი, იმდენათ თავისთავათ უფრო ძლიერათ მატულობს სიჩქარე, და მასთან ერთათ შრომის სიმუყაითე (Intensi vitäit her Arbeit). შრომის სიმუყაითის გადიდება, გაძლიერება, შესაძლებელია მხოლოთ მანამ, სანამ სამუშაო დღის გაგრძელება არ გადასცდენია უკიდურეს საზღვარს; აგრეთვე განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე შრომის ნაყოფიერების გადიდება შესაძლებელია სამუშაო დღის შესაფერი შემოკლებით. იქ, სადაც მუშაობა ხდება სისწორით ერთი დღიდან მეორე დღეზე, იქ ბუნება მკაცრათ გვიკარნახებს: შეჩერდი! ამას იქით ფეხის გადადგმა შეუძლებელიაო.

ინგლისში ფაბრიკული მრეწველობის განვითარების პირველ ხანებში, სამუშაო დღის გაგრძელება ხდებოდა საფაბრიკო შრომის მუყაითობის ზრდასთან ერთათ, მის გვერდით. მაგრამ როგორც კი სამუშაო დღის კანონმდებლობითი გზით შეზღუდვამ, რაც მუშა კლასის უკმაყოფილების ზრდის შედეგი იყო, კაპიტალს ჩამოაცალა ყოველივე საშუალება, რომ მას პირველი გზით, ე. ი. სამუშაო დღის გაგრძელებით, მთელ ზედმეტი ღირებულების გადიდებული რაოდენობა მიეთვისებია, მან ყოველგვარი ღონისძიებით იწყო სასურველი შედეგის მიხწევა მაშინური სისტემის აჩქარებული განვითარებით და წარმოების

პროცესში მეტი ეკონომიით, მეტი მომჭირნეობით. თუ აქამდის შედარებითი ზედმეტი ღირებულების შექმნის საშუალება საზოგადოთ მდგომარეობდა იმაში, რომ შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევით მუშას საშუალება მისცემოდა შრომის იმავე დახარჯვით და ერთ და იმავე დროს განმავლობაში გაეკეთებია მეტი, ახლა კი ეს საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ შრომის მეტი დახარჯვით იმავე დროს განმავლობაში მიეთვისოს შრომის მეტი რაოდენობა. სამუშაო დღის შემოკლება იწვევს მუშისათვის სამუშაო ძალის მუყაითობის გადიდებას, სამუშაო დროს უფრო გასქელებას („уплотненіе—dichteren Aushuleüng"), ე. ი. შრომის უფრო მეტ განმტკიცებას, კონდენსაციას". მუშა ხარჯავს 10 საათის სამუშაო დღის განმავლობაში მეტ სამუშაო ძალას, ვინემ წინეთ 12 საათის განმავლობაში. განსაზღვრულ დროს განმავლობაში მუშიდან იწურება უფრო მეტი შრომა.

ჩვენ უკვე უჩვენეთ ის ორი გზა, რომლებითაც შესაძლებელია ამ შედეგის მიხწევა, ე. ი. დიდი ეკონომია (მომჭირნეობა) შრომის პროცესში და მაშინების ჩქარი განვითარება. პირველ შემთხვევაში კაპიტალი ზრუნავს იმისთვის, რომ შრომის დაჯილდოების წესით (სახელდობ ნაჭრობით მუშაობით, რაზედაც ჩვენ ქვევით გვექნება საუბარი), მუშამ უფრო მოკლე დროს განმავლობაში დახარჯოს უფრო მეტი სამუშაო ძალა, ვინემ წინეთ. იგი მუშაობს უფრო წესიერათ, ერთფეროვანათ, უფრო ენერგიულათ. თითქმის იქაც კი, სადაც კაპიტალმა ვერ შეძლო გამოეყენებია მეორე საშუალება, სახელდობ მამოძრავებელი მაშინების სიჩქარის გადიდების საშუალებით, ან თვით მაშინების გადიდებით, რომლებსაც ესაჭიროებათ მხოლოთ თვალყურის დევნება, მიიღოს მუშისაგან შრომის მეტი რაოდენობა, თითქმის აქაც კი ამ მხრით მიხწეულია ისეთი შედეგები, რომლებიც უარყოფენ ამის შესახებ ყველა წინეთ გამოთქმულ ეჭვებს. თითქმის ყოველთვის, როცა სამუშაო დღეს ამოკლებენ, ფაბრიკანტები აცხადებენ, რომ იმათ სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობა სწარ-

მოებს ისეთი თვალყურის დევნებით, იმათი მუშების ყურადღება იმდენათ შებოქვილია მუშაობით, რომ სრულებით უაზრო იქნებოდა იმის ლოდინი, რომ სამუშაო დღის გაგრძელებამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღოსო. მაგრამ როგორც კი ცხოვრებაში ტარდებოდა სამუშაო დღის შემოკლება, იგივე ფაბრიკანტები იძულებული ხდებოდენ ეცნოთ, რომ იმათი მუშები უფრო მოკლე დროს განმავლობაში ასრულებდენ არა მარტო იმავე მუშაობას, არამედ ხანდისხან კიდევ უფრო მეტს, ვინემ წინეთ, უფრო ხანგრძლივ ვადაში შრომის თითქმის ერთი და იგივე იარაღებით. ესევე უნდა ითქვას მაშინების გაუმჯობესების შესახებაც. რამდენჯერ უმტკიცებიათ, რომ ახლა უკვე დიდი ხნით მიხწეულია შესაძლებელი საზღვარი ამა თუ იმ დარგში, და ყოველთვის ეს საზღვარი, სულ ცოტა ხნის შემდეგ, დატოვებული რჩებოდა.

შრომის სიმუყაითის გაძლიერება, ინტენსიფიკაცია, სამუშაო დღის შემოკლების გამო, იმდენათ საგრძნობელია, რომ ინგლისის საფაბრიკო ინსპექტორები, თუმც გაუწყნარებლათ 1844—1850 წლების საფაბრიკო კანონების საუკეთესო შედეგებს აქებდენ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გასული საუკუნის მესამოცე წლებში ისინი იძულებულნი შეიქნენ ეცნოთ, რომ სამუშაო დროს შემოკლებამ გამოიწვია შრომის გაორკეცება, შრომის მუყაითობის გადიდება, რომელიც ღუპავს მუშების ჯანმრთელობასო.

ის, ვინც ფიქრობს, რომ ნორმალური სამუშაო დღის შემოღება იწვევს ჰარმონიას (სრულ თანხმობას) შრომასა და კაპიტალს შორის, სასტიკათ ცდება.

„რახან კაპიტალს კანონით შეზღუდული აქვს გზა სამუშაო დღის შესამოკლებლათ,—შენიშნავს მარქსი,—ამიტომ ყოველივე ეპვს გარეშეა, რომ იგი ეცდება აინაზღაუროს ეს შრომის მუყაითობის სისტემატიური გაორკეცებით, და გადააქციოს მაშინის თითოეული გაუმჯობესება მეტი სამუშაო ძალის გამოსაწოვ საშუალებათ. მაგრამ ასეთი მიდრეკილება, მიახწევს რა იგი განსაზღვრულ ხარისხს, აუცილებლათ მი-

გვიყვანს ისეთ მდგომარეობამდე, რომელიც კვლავ აუცილებლათ მოითხოვს სამუშაო დღის შემოკლებას“.

ყოველგან, სადაც კი 10 საათის ნორმალური სამუშაო დღეა შემოღებული, ფაბრიკანტების ზევით დასახელებული მიდრეკილებანი ძლიერ მოკლე დროში აუცილებლათ გამოიწვევს რვა საათის სამუშაო დღის მოთხოვას.

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს ამბობს ნორმალური სამუშაო დღის სასარგებლოთ, და არა მის წინააღმდეგ. როგორც ყოველივე ნამდვილი სოციალური რეფორმა, ნორმალური სამუშაო დღის შემოღება გამოდის თავის საკუთარ საზღვრებიდან და ხდება საზოგადოების შემდეგი განვითარების ელემენტათ.

4. მაშინა, როგორც მუშის „აღმზრდელი“

აქამდის ჩვენ მხედველობაში გვქონდა, უმთავრესათ, მაშინების შემოღების ეკონომიური შედეგები, ახლა შევუდგეთ მაშინური წარმოების პირდაპირ ზნეობრივ გავლენის განხილვას მუშებზე.

თუ ჩვენ შევადარებთ თანამედროვე მაშინურ წარმოებას, ე. ი. ფაბრიკას, მანუფაქტურულ ან ხელოსნურ წარმოებასთან, მაშინ ჩვენ უწინარეს ყოვლისა აშკარათ შევამჩნევთ იმ გარემოებას, რომ მაშინ, როცა მანუფაქტურაში და ხელოსნურ წარმოებაში, ხელის იარაღი (ინსტრუმენტი) ემსახურება მუშას, ფაბრიკაში მუშა ემსახურება მაშინას; აქ მუშა არის „ცოცხალი დამატება“ მის დამოუკიდებლათ არსებული მკვდარი მექანიზმისა. „ფილოსოფოსი“, ანუ როგორც მარქსი უწოდებს, „მაშინური წარმოების პინდარი,—დ-რი ანდრია ური, თანამედროვე ფაბრიკას უწოდებს „უშველებელ ავტომატს“, რომელიც შედგენილია აუარებელ მექანიკურ და შეგნებულ ორგანოებიდან, რომლებიც მოქმედებენ შეუწყვეტლათ საერთო გეგმით, ერთი და იგივე საგნის გასაკეთებლათ, და ამასთანავე ყველა ეს ორგანოები ემორჩილებიან ერთ თვით მომწესრიგებელ მოძრავ ძალას. სხვა ადგილას

იგი ამბობს „ორთქლის კეთილმყოფელ ძალის ქვეშევრდომებზე“. ამ „კეთილმყოფელ ძალას“ იქით იმალება, რა თქმა უნდა, მისი ბატონი, კაპიტალისტი, რომელიც მხოლოთ თავისი თავის კეთილისმყოფელია.

თითოეულ ფაბრიკაში მაშინაზე დაყენებულ მუშების და იმათ თანაშემწეების გვერდით არიან კიდევ ზედამხედველები, რიცხვით მცირე, რომელთა მოვალეობას შეადგენს კანტროლის გაკეთება და ყველა მაშინების სისწორით მუშაობის თვალყურის დევნება. მუშების ეს ჯგუფი, რომელთაგან ზოგს მეცნიერული განათლება აქვს მიღებული (ინჟინრები), ზოგს —ხელოსნური (მექანიკები, ფურგლები და სხვ.), დგას საფაბრიკო მუშების წრის გარეშე, და იმიტომ იმათ ჩვენ აქ არ ვღებულობთ მხედველობაში. აგრეთვე შეგვიძლია ჩვენ არ მივიღოთ მხედველობაში დამხმარე (თანაშემწე) მუშები, რომელთა სამსახური, სიმარტივის გამო, ადვილათ სრულდება მაშინის საშუალებით (რაც მართლაც ყოველთვის ხდებოდა იქ, სადაც საფაბრიკო კანონები სტაცებდენ ფაბრიკას ბავშებს—ამ დამხმარე მუშებში ყველაზე უფრო იაფებს), ან კიდევ შესაძლებლათ ხდიან იმ პირების გამოცვლას, რომელთაც ასე მძიმე მუშაობა ტვირთათ აწევთ. ჩვენ ვილაპარაკებთ მხოლოთ ნამდვილ საფაბრიკო მუშებზე, ე. ი. იმათზე, რომლებიც მაშინებზე მუშაობენ.

მუშის წინანდელ ხელის იარაღებთან ერთათ (ნემსი, თითისტარი, სატეხი) სამუშაო მაშინაზე გადავიდა აგრეთვე განსაკუთრებული გამოცდილება იმათი მართვისა. ახლა მუშას ესაჭიროება გამოცდილება მხოლოთ ერთი მხრით, სახელდობ ის, თუ როგორ შეუფარდოს მან თავისი საკუთარი მოძრაობა მაშინის ერთფეროვან განუწყვეტელ მოძრაობას. ასეთი გამოცდილების ყველაზე უფრო ჩქარა შეძენა შეიძლება ახალგაზდობაში. მუშამ პატარაობიდანვე უნდა დაიწყოს ფაბრიკაში მუშაობა, და ფაბრიკანტი უკვე აღარ გრძნობს ისეთი მუშების ნაკლებობას, რომლებიც სპეციალურათ მაშინაზე მუშაობისთვის არიან მომზადებულნი, ვინაიდან იგი

ყოველთვის ჩქარა პოულობს მოზარდ თაობაში იმათ მოადგილეებს, რომლებიც აკლდებიან.

პრუდონი თავის „სიღატაკის ფილოსოფიაში“ მაშინას საზღვრავს, როგორც „მრეწველობის პროტესტს დამქსაქსველი და ადამიანის გამანადგურებელი (menshenmordesische) შრომის წინააღმდეგ“, როგორც „მუშის განახლებას“. ფაქტიურათ, რა თქმა უნდა, მაშინა თავისი ტეხნიკური მოწყობილებით დევნის შრომის განაწილების ძველ სისტემას, მაგრამ ამ სისტემას ჩვენ მაინც ვხედავთ ფაბრიკაში და ამასთანავე კიდევ უფრო დამამცირებელი სახით. რა თქმა უნდა, მუშა უკვე მთელ თავის სიცოცხლეში აღარ მუშაობს ერთი დეტალური ინსტრუმენტით, მაგრამ სამაგიეროთ გაყვლეფის გასაძლიერებლათ ბოროტმოქმედებენ მაშინით იმისთვის, რომ მუშა თვით აკვნიდანვე გადააქციონ დეტალური მაშინის ნაწილათ; და ამნაირათ ხდება მისი უმწეო დამოკიდებულება ფაბრიკაზე, ანუ სხვანაირათ რომ ვთქვათ, კაპიტალისტზე. მისი მუშაობა მოკლებულია ყოველივე სულიერ შინაარსს, ის ხდება მექანიკური, ნერვების ამშლელი. მუშის გამოცდილება უმნიშვნელო რამ ხდება, იგი გვეჩვენება მეორე, მესამე ხარისხოვან საქმეთ წინაშე მეცნიერებისა, ბუნების უზარმაზარ ძალებისა და საზოგადოებრივი მასიური შრომისა, რომლებიც მაშინურ სისტემაშია განხორციელებული. და ემორჩილება რა მუშა თავისუნებურათ მაშინის ავტომატიურ მოძრაობას ისე, იმავე დროს იგი ემორჩილება იმ წესწყობილებას, რომელიც ფაბრიკის პატრონის მიერ არის შემოღებული.

როგორიც უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესწყობილების ფორმა, საერთო შრომისთვის და შრომის საერთო იარაღების გამოსაყენებლათ, განსაკუთრებით მაშინების, ყოველთვის საჭირო იქნება შრომის პროცესის ისეთი მოწესრიგება, როცა შრომის პროცესი არ იქნება დამოკიდებული კერძო წევრების ცალკე სურვილზე. დისციპლინის შემოულებლათ, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა, წარმოუდგენელია მაშინური წარმოების სარგებლობის გამო-

ყენება. მაგრამ დისციპლინაც არის და დისციპლინაც. თავისუფალ კომუნაში, სადაც დისციპლინა სავალდებულოა ყველასთვის, იგი არავის არ ჩაგრავს; ძალდატანებით შემოღებული, განსაკუთრებით კერძო პირების სარგებლობისთვის, იგი ხდება მონობათ, იგი ტარდება მხოლოთ გარეგანი ძალმომრეობით, მას შემდეგ რაც ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაო შეიქნა. ამიტომ საჭირო იყო სასტიკი ბრძოლა, რომ მუშების წინააღმდეგობა გაეტეხათ და ისინი დაემორჩილებიათ ძალდატანებით შრომისთვის, რომელიც მათ მაშინამ არგუნა. დ-რი ური დასახელებულ წიგნში ამბობს, რომ უატმა ჯერ კიდევ არკრაიტის წინეთ გამოიგონა ხელოვნური „სართავი თითები“, მაგრამ ემთავრესი სიძნელე მდგომარეობდა არა ავტომატიური მექანიზმის გამოგონებაში, არამედ დისციპლინალური კოდექსის (კანონების) დადგენაში და გამოყენებაში, რომელიც შეეფერებოდა ავტომატიური სისტემის მოთხოვნებს. მაშასადამე, დაფნის გვირგვინით შემკულ უნდა იქნას „კეთილშობილი“ დალაქის არკრაიტის თავი, რომელმაც შეძლო ამ „სანაქებო“ საქმის შესრულება.

თანამედროვე კაპიტალისტის დისციპლინალური კოდექსისთვის ანუ ფაბრიკული რეგლამენტისთვის სრულებით უცხო რამ არის მართვა-გამგეობის განაწილების კონსტიტუციონური სისტემა, რომელსაც ასე თაყვანს სცემს ბურჟუაზია და მისთვის (ბურჟუაზიისთვის) კიდევ უფრო უძვირფასესი წარმომადგენლობითი სისტემა; ეს კოდექსი ახორციელებს კაპიტალისტის აბსოლიუტურ თვითმპყრობელობას მუშებზე. „ზედამხედველის მათრახის მაგივრათ“ — შენიშნავს მარქსი, — არის ჯარიმების დავთარი. რა თქმა უნდა, ყოველგვარი დასჯა ფულით დაჯარიმებაზე და ხელფასიდან გამორიცხვაზე გადააქვთ და ფაბრიკის ლიკურგების კანონმდებლობითი ნიჭი იმაზე ვარჯიშობს, რომ რაიმენაირათ ამ კანონების დარღვევა უფრო შემოსავლიანი გახადონ, ვინემ მათი ასრულება. ამნაირათ მარცხდება მუშის წინააღმდეგობა და თვითშეგნება. ამასთანავე იგი ფიზიკურათ მახინჯდება მუსკულების შეუჩე-

რებელი ცალმხრივი მუშაობით, სახიჩრდება ფაბრიკის მოწამლული ჰაერით, გამომაყრუებელი ხმაურობით მუშაობის დროს. ასეთია მაშინის კეთილშობილური და აღმზრდელობითი ზეგავლენა მუშაზე.

ზევით ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ მუშები წინააღმდეგობას უწევდენ მაშინების შემოღებას. მაგრამ ამასთანავე ის შეგნება, რომ მაშინა ძირს უთხრის მუშის თავისუფლებას, უფრო ინსტიქტიური იყო; უწინარეს ყოვლისა მაშინების შემოღებას ეწინააღმდეგებოდენ იმიტომ, რომ ისინი ადამიანის შრომას მეტ ბარგათ ხდიდენ. სწორეთ ამის გამო იყო, რომ არშიების საქსოვი მაშინა, გამოგონილი მეთექვსმეტე საუკუნის ნახევარში ქ. დანცინგში, ადგილობრივ ქალაქის საბჭოს უნდა აღეკრძალა; იგივე განმეორდა შემდეგ ბავარიაში და კელნში, და 1685 წელს იმის ხმარება აკრძალულ იქნა მთელ გერმანიაში მეფის ბრძანებით. მუშების აჯანყება ინგლისში მაშინების შემოღების წინააღმდეგ გრძელდება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, და ეს მოვლენა განმეორდა დანარჩენ ქვეყნებშიაც. საფრანგეთში ეს ხდებოდა კიდევ გასული საუკუნის მეოცდაათე წლებში, და გერმანიაში თითქმის 1848 წელსაც.

რა თქმა უნდა, ფარისევლურათ აღშფოთება ბრძოლის ასეთი ველური საშუალებით ახალი დროის უდიდესი პროგრესიული მოვლენის წინააღმდეგ, ძლიერ ადვილი საქმეა. ფაქტი კი ის არის, რომ მაშინა თავდაპირველათ ყოველგან გამოდის, როგორც მუშის მტერი და იმიტომ არის გამოგონილი, რომ მუშა გააძევოს. მანუფაქტურულ ხანაში შრომის განაწილებას და კოოპერაციას სახელოსნოებში ის სარგებლობა მაინც მოქონდა, რომ ისინი ანვითარებდენ მუშების შრომის ნაყოფიერებას, მაშინ როცა მაშინა თავიდანვე იმათ მეტოქეთ ხდება.

მაშინის მიერ გაძევებულ მუშების სანუგეშებლათ მოყავთ ის ფაქტი, რომ ერთი მხრით, იმათი ტანჯვა მხოლოთ „დროებითია“,—მეორე მხრით ის, რომ მაშინა მხოლოთ თან-

დათან იპყრობს წყაროების ყველა დარგს, და ამიტომ მისი გამანადგურებელი მოქმედების სიძლიერე კლებულობს. ამაზე მარქსი უპასუხებს: „ერთი ნუგეში აქრობს მეორეს“. უკანასკნელ შემთხვევაში მაშინა იწვევს ქრონიკულ სიღატაკეს წარმოების იმ დარგებში, სადაც მუშები მაშინის მოქიშპეებათ გამოდიან. მაგრამ სადაც მაშინის შემოღება ხდება ჩქარა, იქ იგი მოქმედებს მკაცრათ და მწვავეთ. „მსოფლიოს ისტორიამ არ იცის უფრო აღმაშფოთებელი სანახაობა, ვინემ ინგლისის ბამბის მქსოველ მუშების (ფეიქრების) თანდათანი განადგურება, რომელიც გრძელდებოდა მთელი წლების განმავლობაში და რომელიც, ბოლოს, დასრულდა 1838 წელს. მრავალი იმათგანი დაიხოცა შიმშილისაგან, მრავალი იმათგანი კი კიდევ დიდხანს ებრძოდენ შიმშილს $2^1/_2$ პენსით (10 კაპ.) დღეში თავისი ოჯახებით. პირიქით, ინგლისის ბამბის საქსოვ მაშინებმა დასავლეთ ინდოეთში გამოიწვიეს მწვავე კრიზისი. აი რას ამოწმებდა ადგილობრივი გენერალ-გუბერნატორი 1834—35 წელს: „ასეთი უბედურება, ვეკვობ, რომ ოდესმე მომხდარიყოს ვაჭრობის ისტორიაში. ინდოეთის მიდამოები დაფარულია ბამბის მქსოველ მუშების ძვლებით“. „მაგრამ ვინაიდან“, შენიშნავს მარქსი მწარე დაცინვით,— „ფეიქრები დაიხოცნენ, ე. ი. დროებითი ცხოვრება საუკუნო ცხოვრებაზე შეეცვალათ, ამიტომ მაშინებმა მათ მიაყენეს მხოლოთ დროებითი უბედურებაო!“ შრომის იარაღები ამარცხებენ მუშებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობელია მაშინ, როცა ახლათ გამოგონილი მაშინა მოცილებას უწევს ხელოსნურ ან მანუფაქტურულ წარმოებას. მაგრამ თვით სხვილ მრეწველობაშიაც მაშინების შეუწყვეტელი გაუმჯობესობა იწვევს იმავე მოქმედებას. მარქსს მოყავს ამის აუარებელი დამამტკიცებელი საბუთები ინგლისის საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშებიდან, რომლებსაც ჩვენ აქ დაწვრილებით არ ვიმეორებთ, ვინაიდან ამ ფაქტს არავინ არ უარყოფს.

დავანებოთ თავი მაშინას, როგორც მუშის მოქიშპეს, და კვლავ დაუბუნდეთ მას, როგორც მუშის „აღმზრდელს“.

მრავალ ცუდ ზნე-ჩვეულებათ, რომლებსაც მუშები, იმათი კაპიტალისტურ მეგობრების აზრით, ეტანებიან, როგორც, მაგ., გარყვნილება, სიზარმაცე და ლოთობა,—იმაზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე არა ყავთ, როგორც მაშინა. იგი არის კაპიტალის ბრძოლის ყველაზე უფრო უძლიერესი საშუალება მუშების წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელები აჯანყებას ახდენენ კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, როცა ისინი ეწინააღმდეგებიან კაპიტალის ბატონობას, ანუ როცა ისინი უკმაყოფილებას აცხადებენ კაპიტალის მიერ მოწყალებით გამოშვერილ სამუშაო ხელფასზე და სამუშაო დროზე, ან ბედავენ აჯანყებას მის წინააღმდეგ გაფიცვების და სხვ. საშუალებით. „ჩვენ შეგვეძლო,—ამბობს მარქსი,—დაგვეწერა აღმოჩენათა მთელი ისტორია 1830 წლიდან; ყველა ამ აღმოჩენათა მიზანი იყო კაპიტალის ბრძოლა მუშების აჯანყების წინააღმდეგ“. მაგრამ ვინაიდან მეცნიერების დასკვნათა ყოველივე გამოყენება მრეწველობაში, ე. ი. მაშინების განვითარება, შეადგენს სასურველ წინმსვლელობას, გამოდის, რომ მუშები თითქოს იმიტომ ეტანებიან ცუდ ზნე-ჩვეულებას, ამ წინმსვლელობის უნებლიეთი ხელის შემშლელნი გახდენ. ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში, დაბოლოს, ყველაფერს კარგი ნაყოფი მოაქვს, თითქმის მუშების ცუდ ზნე-ჩვეულებებსაც კი.

5. მაშინა და სამუშაო ბაზარი

მაშინა აძევებს მუშებს,—ეს დაურღვეველი ფაქტია, მაგრამ ძლიერ არა-სასიამოვნო იმათთვის, ვისთვისაც წარმოების არსებული წესი ყოვლად უნაკლულოა. ამით აიხსნება ის, რომ ბევრს ცდილობდენ მიეფუჩეჩებიათ ეს არა სასიამოვნო მოვლენა. ასე, მაგ., პოლიტიკო-ეკონომების მთელი რიგი ამტკიცებდა, რომ თითოეული მაშინა, აძევებს რა მუშებს, აუცილებლათ ათავისუფლებს იმავე დროს საკმარის კაპიტალს, რომელიც აძლევს სამუშაოს გაძევებულ მუშებსო. ამ კაპიტალში ისინი გულისხმობენ არსებობის საშუალებათ,

რომლებიც უნდა მოეხმარათ მუშებს, რომ ისინი სამუშაოზე დარჩენილ იყვენ. არსებობის ეს საშუალებანი, ამბობენ ისინი, თავისუფლდებიან მუშების გაძევების გამო, ამიტომ ვითომც ისინი თხოულობენ ამ მუშებს ახალი საქმე მიეცეს, რომ ეს განთავისუფლებული საშუალებანი იმათ მიერ იქნებიან მოხმარებული.

მაგრამ, ცხოვრების საშუალებანი, რომლებსაც მუშა ყიდულობს სახმარებლათ, ნამდვილათ მის წინააღმდეგ გამოდიან არა როგორც კაპიტალი, არამედ როგორც უბრალო საქონლები; როგორც კაპიტალი მის წინააღმდეგ გამოდის ფული, რაზედაც იგი ყიდის თავის სამუშაო ძალას. ეს ფული კი, მაშინების შემოღების მეოხებით, არ თავისუფლდება, პირიქით, ის შეადგენს მაშინების საყიდელ საშუალებას; ამნაირათ, ფული კაპიტალისტის ხელში ჩერდება. მაშინის შემოღება არ ათავისუფლებს მთელ ცვალებად კაპიტალს, რომელიც დანიშნული იყო გაძევებულ მუშების დასაჯილდოებლათ, არამედ მის ნაწილს აქცევს მუდმივ კაპიტალათ. ამიტომ ახალი მაშინის შემოღება, თუ დახარჯული კაპიტალის რაოდენობა უცვლელი რჩება, ნიშნავს მუდმივი კაპიტალის მომატებას და ცვალებადი კაპიტალის შემცირებას. განვმარტოთ ეს მაგალითით. ვთქვათ, რომ კაპიტალისტი აბანდებს საქმეში კაპიტალს — 100000 მანეთს; ამაში 50000 მან. შეადგენს ცვალებად კაპიტალს. იგი აძლევს სამუშაოს, ვთქვათ, 500 მუშას. ვთქვათ კიდევ, რომ მას შემოაქვს ხმარებაში მაშინა, ღირებული 25000 მ., რომელიც შეძლებას აძლევს ნაწარმოების იგივე რაოდენობა გააკეთოს არა 500, არამედ მხოლოდ 200 მუშის საშუალებით.

წინეთ კაპიტალისტი ხარჯავდა ცვალებად კაპიტალს— 50 000 მან. და ამდენსავე მუდმივ კაპიტალს. ახლა კი იგი ხარჯავს მუდმივ კაპიტალს—75000 მან., ცვალებადს კი სულ მხოლოთ 20000 მან. განთავისუფლდა სულ მხოლოთ 5000 მან., რომლითაც დაქირავება შეიძლება არა 300 მუშის, არამედ მხოლოთ არა უმეტეს 10 მუშისა, თუ ეს ფული დაიხარ-

ჯება იმავე პირობებში, როგორც წინეთ მთელი ჯამი იხარ-ჯებოდა. ვინაიდან ამ 5 000 მანეთიდან 4 000 მან. სრულათ წავა მაშინების მოწყობაზე, ნედლ მასალაზე და სხვ., და მხოლოთ 1000 მან. დარჩება თავისუფალი, როგორც ცვალებადი კაპიტალი.

როგორც ხედავთ კაპიტალის საკმარისი რაოდენობა არ განთავისუფლდა.

მარქსმა დაამტკიცა სრული უსაფუძვლობა იმ თეორიისა, რომელიც ამბობს, რომ მაშინა მუშებთან ერთათ ათავისუფლებს შესაფერ კაპიტალსაც. ერთათ ერთი საშუალება, რომ ამ საბედისწერო დასკვნის მნიშვნელობა შესუსტებულ იქნას, მდგომარეობს იმაში, რომ თვით მარქსს მიაწეროთ ასეთი უსაფუძვლო შეხედულება. ჩვენ წავაწყდით ერთ სტატიაში, რომელშიაც მარქსი „მეცნიერულათ“ გაკამტვერებულია შემდეგ ადგილს:

„მისი (მარქსის) აზრით მაშინა მხოლოთ შრომის ადგილს იკერს, მაშინ როცა მას (მაშინას) შეუძლია ხელი შეუწყოს აგრეთვე ზედმეტი ღირებულების აღებას და მართლათაც უწყობს ამას ხელს. ამასთანავე სრულებით საჭირო არ არის, რომ წარმოების გადიდება ყოველთვის ათავისუფლებდეს შრომას სადმე, როგორც ამას უკანასკნელ ხანებში ხშირათ და სრულიათ კატეგორიულათ ამტკიცებდენ სოციალისტურ გამოცემებში. წარმოების გადიდება ადვილათ შესაძლებელია გამოწვეულ იქნას თვით საერთო საწარმოო ძალის მაღლა აწევით, და მაშასადამე, აგრეთვე მოხმარების გაფართოებით“. (პროფესორი ლერი: „Vierteljahresschrifr für Yolkswirt., 23 Johrg., 2 ტ. გვ. 114).

პროფესორი იულიუს ვოლფი თხზულებაში, რომელიც გავსებულია მარქსის მოძღვრების გადამახინჯებით და ცილის წამებით, აწერს მარქსს შემდეგ აზრს: „თუ ქვეყანაში იზრდება კაპიტალის საერთო ჯამი მაშინ, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია სამუშაო იშოვნოს დაახლოებით მუშების იმავე რიცხვმა, როგორც წინეთ, და სწორეთ იმიტომ, რომ მაშინები სულ

უფრო და უფრო იპერენ ადამიანის ადგილს“ (Social. und Kapit. Geseleschattseordnung, 1892, გვ. 258).

ნამდვილათ კი მარქსს არასოდეს არ მოსვლია აზრათ ის, რასაც მას აქ აწერენ. წინააღმდეგ იმ აზრისა, რომელსაც მას აწერენ, რომ „მაშინა მხოლოთ შრომის ადგილს იპერსო“, მარქსმა, პირიქით, სისტემატიურათ და საფუძვლიანათ, როგორც არავინ მის დრომდე, რამდენათაც ჩვენ ვიცით, გამოიკვლია ის პირობები, რომლებშიაც მაშინას შეუძლია ხელი შეუწყოს და მართლაც უწყობს ხელს ზედმეტი შრომის მიღებას“. მაგრამ ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება იმას, რომ მაშინა აძევებს მუშებს.

მარქსი ამტკიცებს, რომ მაშინა (მანქანა) ამცირებს საქმეში ჩაყენებული მუშების რიცხვს მთელ დახარჯულ კაპიტალთან შედარებით, რომ მაშინების განვითარებით ცვალებადი კაპიტალი შედარებით კლებულობს, და მუდმივი— მატულობს. მაგრამ ცვალებად კაპიტალს და შრომის რომელიმე დარგში საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვს, ერთ და იმავე დროს, მიუხედავათ მაშინების შემოღებისა, გადიდებისა და გაუმჯობესებისა, შეუძლია გაიზარდოს, თუ რომ შესაფერათ გაიზრდება დახარჯული კაპიტალის მთელი რაოდენობა. *) თუ ამგვარ შემთხვევებში მუშების რიცხვი არ კლებულობს, ეს უნდა მიეწეროს არა კაპიტალის განთავისუფლებას მაშინის შემოღებით, არამედ ახალი დამატებითი კაპიტალის გამოყენებას. ამ გარემოების მეოხებით, მაშინის ტენდენცია— განათავისუფლოს მუშა-ხელი, რამდენიმეთ ბრკოლდება და დროებით დაძლეული რჩება, მაგრამ მისი გაქრობა შეუძლებელია; იგი კვლავ ჩნდება და ამასთანავე მუშების რიცხვის შედარებითი დაკლება ხდება აბსოლიუტური, როგორც კი ახალი დამატებითი კაპიტალის გამოყენება გვიანდება ან და რამ-

*) წარმოების გადიდება თავისთავათ გულისხმობს აგრეთვე **გასაზალებელი ბაზრის** შესაფერ გაფართოებას. მაგრამ უფრო საფუძვლიანი გამოკვლევა ამ მეტათ საინტერესო ფაქტორისა ჯერ კიდევ შეუძლებელია.

დენიმეთ კლებულობს. რომ ეს უფრო ნათლათ დავინახოთ, მივმართოთ ისევ ზევით მოყვანილ მაგალითს. ჩვენ გვქონდა კაპიტალი 100,000 მან., რომლიდანაც 50,000 მან. შეად გენდა ცვალებად კაპიტალს 500 მუშის დასაქირავებლათ. ახალი მაშინის შემოღებამ აიყვანა მუდმივი კაპიტალი 79,000 მანეთამდე და ჩამოიყვანა ცვალებადი კაპიტალი 21,000 მანეთამდე, და დაქირავებულ მუშების რიცხვი 210 კაცამდე. მაგრამ ვთქვათ, რომ ამავე დროს საქმეში იბანდება ახალი კაპიტალი—200,000 მანეთი; საქმე ამის კვალობაზე დიდდება; ამ შემთხვევაში საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვი ახწევს 630 კაცამდე, ე. ი. 130 კაცით მეტია წინანდელ რიცხვზე. მაშინა რომ არ შემოეღოთ, მაშინ სამჯერ გამრავლებული კაპიტალი (300,000:100,000=3) სამჯერ გაამრავლებდა მუშების რიცხვსაც, ე. ი. 500 აიყვანდა 1500 კაცამდე:

მაგრამ, თუ მაშინა ამცირებს ყოველთვის, და ხანდისხან კი აბსოლიუტურათაც მუშების რიცხვს შრომის იმ დარგში, რომელშიაც იგი შეაქვთ, სამაგიეროთ მას შეუძლია გამოიწვიოს მუშების რიცხვის გამრავლება შრომის იმ დარგებში, რომლებზედაც გავლენა აქვს ამ დარგს.

მაშინა ქმნის აუცილებლათ მუშების ახალ კატეგორიის წარმოშობას,—ე. ი. მაშინების მკეთებლებისას. მაშინის შემოღება მრეწველობის რომელსამე დარგში იწვევს იქ დამზადებულ ნაწარმოებთა საერთო რაოდენობის მომატებას. ეს გარემოება, თავის მხრით, იწვევს ამის მიხედვით ნედლი მასალის რაოდენობის მატებას და, მაშასადამე, თუ დანარჩენი პირობები უცვლელი რჩება, აგრეთვე მის წარმოებაში ჩაყენებულ მუშების რაოდენობის მატებასაც. თუ ხმარებაში შემოაქვთ ისეთი მაშინა, რომელიც ამზადებს 1,000 არშინ ძაფს მუშების უფრო ნაკლები რიცხვის საშუალებით, მაგრამ იმავე დროს განმავლობაში, რომელშიაც წინეთ ამზადებდენ 100 არშინს, იმ შემთხვევაში შესაძლებელია სართავ სახელოსნოებში მუშების რაოდენობამ იკლოს, მაგრამ სამაგიეროთ იმატებს იმ მუშების რიცხვი, რომლებიც მუშაობენ ბამბის პლანტაციებში. სართავ მაში-

ნების გავრცელება ინგლისში იყო უმთავრესი მიზეზი შავკანიან მონების (ნეგრების) რიცხვის მატებისა შეერთებულ შტატებში.

თუ ძაფი გაიაფდება, იმ შემთხვევაში ფეიქარს (ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ იგი მუშაობს უმაშინოთ) შეუძლია თავისი წარმოების გადიდება ნედლ მასალაზე ხარჯების მოუმატებლათ; მისი შემოსავალი იმატებს, და ამასთანავე უფრო მეტი ადამიანი მოკიდებს ხელს მის ხელობას. „თუ მაშინამ დაიპყრო პირველი ან საშუალო საფეხური, რომელიც უნდა განვლოს შრომის საგანმა, თავისი დამთავრებული სახის მისაღებათ, იმ შემთხვევაში იმ სახელოსნოებში, სადაც ამუშავებენ მაშინის ფაბრიკატს, და რომლებშიაც ხელოსნური და მანუფაქტურული წესია, სამუშაო მასალასთან ერთათ მატულობს შრომის მოთხოვაც“.

მაშინების განვითარებასთან ერთათ მატულობს ზედმეტი ღირებულება და ნაწარმოებთა ის რაოდენობა, რომლებშიაც იგი ხორციელდება. ამასთან ერთათ იზრდება კაპიტალისტების კლასში და იმათ დამქაშებში ფუფუნება. მატულობს მოთხოვა იმ მუშებზე, რომლებიც აკეთებენ ფუფუნების საგნებს, მოსამსახურეებზე, ლაქიებზე და სხვ. 1861 წელს ინგლისში იყო 642,607 მუშა, რომლებიც მუშაობდენ ბეწვეულის მრეწველობაში, მაშინ როცა მოსამსახურეების რიცხვი ეთანასწორებოდა 2,208,648 პირს.

გარდა ამ ფაქტორებისა, რომლებიც იწვევენ შრომის მოთხოვის გადიდებას, როგორც მაშინის შემოღების შედეგს, მარქსი გვითითებს კიდევ ერთზე: შრომის ახალი დარგების წარმოშობას, როგორც, მაგ., გაზის ქარხნების, რკინის გზების და სხვ.

შეადარეთ ეს დასკვნები მარქსის გამოკვლევებიდან იმას, რასაც აწერენ მას ბ.ბ. პროფესორები, თუნდაც სრულებით ნუ შეეხებით იმათ საკუთარ შეხედულებებს.

რა თქმა უნდა, როცა მარქსმა გამოიკვლია, თუ რანაირათ მაშინის შემოღებას შეუძლია შრომის მოთხოვის გადი-

დების გამოწვევა, ეს მან მოიმოქმედა არა იმ მიზნით, რომ მიეფუჩეჩებია ის ტანჯვა, რომელსაც საფაბრიკო სისტემა აყენებს მუშა ხალხს. ფაბრიკა არღვევს მუშის ოჯახს, სტაცებს მას სიახალგაზდავეს, ადიდებს მის შრომას, ართმევს მას ყოველგვარ შინაარსს, ასახიჩრებს მას ფიზიკურათ და გონებრივათ და აქცევს მას კაპიტალისტის უსულო იარაღათ.— ბურჟუაზიული ეკონომისტები კი ფიქრობენ, რომ ისინი ბრწყინვალეთ შეამკობენ მაშინების კაპიტალისტურ გამოყენებას, თუ დაამტკიცებენ, რომ მაშინების განვითარებასთან ერთათ იზრდება აგრეთვე საჭირაო მუშების რიცხვიც ფაბრიკებში! ვითომც ეს ზრდა არ იყოს იმავე დროს სიღატაკის ზრდა! და შრომის უბედურებასთან ერთათ იზრდება უმუშავრობის უბედურებაც.

წარმოების მაშინური წესის განვითარებასთან ერთათ ცვალებად კაპიტალსაც შეუძლია აბსოლიუტურათ მატება, მაგრამ ასეთი მატება არ არის აუცილებელი; სხვილი წარმოების სხვა და სხვა დარგებში სხვა და სხვა დროს შემოწმებულია, რომ მუდმივი კაპიტალის ზრდასთან ერთათ ჩვენ ვხედავთ ცვალებადი კაპიტალის აბსოლიუტურ დაკლებას და საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვის შემცირებას. (რამდენიმე ფაქტებს ამის შესახებ ჩვენ მოვიყვანთ მესამე განყოფილებაში). ჩვენ აქ არ შევეხებით უმუშევრობას და სიღატაკეს, რომლებიც სხვილი წარმოების მეტოქეობის შედეგია, როგორც შინ, ისე საზღვარგარეთაც, წვრილი ხელოსნის და შინამრეწველობის წინააღმდეგ. გავიხსენოთ მხოლოთ ის, თუ რა იყო ნათქვამი წინა თავში ფეიქრების მდგომარეობის შესახებ ინგლისში და დასავლეთ ინდოეთში, რომლებიც ასიათასობით იხოცებოდენ შიმშილისაგან, მაშინ როცა ინგლისის საფაბრიკო ფეიქრების რიცხვს იმავე დროს მოემატა მხოლოთ რამდენიმე ათასი. ეულგარული ეკონომისტები, რომლებიც ცდილობდენ ჩაეგონებიათ მუშებისთვის, რომ მაშინა ქმნის ახალ საქმეს გაძევებულ მუშებისთვის, ხედავდენ ახალი მუშების ამ რამდენიმე ათასებს, მაგრამ კეთილგონიერათ

კრინტსაც არ ძვრიდენ ასი-ათასობით გაძევებულ მუშების შესახებ.

თითქმის იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მრეწველობის ერთ დარგში მუშების განთავისუფლებისთანავე მის რომელ-სამე დარგში იმავე დროს მატულობს შრომის მოთხოვა, ესეც ვერაფერი სანუგეშოა უმუშავართათვის. იმ მუშას, რომელ-მაც მთელი თავისი სიცოცხლე მრეწველობის ამა თუ იმ დარგში დაყო, განა შეუძლია უცებ გადახტეს მეორე დარგში?

სამუშაო ბაზარი სხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთათ, ე. ი. მუდმივი კაპიტალის ზრდასთან ცვალებადი კა-პიტალის საზიანოთ, განიცდის კიდევ ერთი თავისებურ ფაქ-ტორის ზეგავლენას, რომელიც შეკავშირებულია პირველთან.

როგორც კი მყარდებიან წარმოების საერთო პირობები, რომლებიც მსხვილ მრეწველობას შეეფერებიან, ე. ი. რო-გორც კი ნახშირის და რკინის შოვნა, გადაზიდვის საქმე და სხვ., ახწევენ განვითარების უმაღლეს საფეხურს, წარმოების ეს წესი იჩენს გასაოცარ თვისებას სწრაფათ გაფართოებისას, რასაც საზღვარს უდებს მხოლოთ ნედლი მასალა და გასასა-ღებელი ბაზარი. ამით აიხსნება ახალი ბაზრების შეუწყვეტე-ლი და გაფაციცებული ძებნა, რომლებიც აწვდიან ახალ ნედლ მასალას და წარმოებისთვის ახალ მუშტრებს. ბაზრის თითოეულ საგრძნობელ გაფართოებას თან მოსდევს გაძლიე-რებული, გაფაციცებული წარმოების ხანა, სანამ ბაზარი არ გაივსება და არ დადგება შეჩერების, კრიზისის ხანა. „მრეწ-ველობის ცხოვრება წარმოადგენს საშუალო გამოღვიძების, აყვავების, გადაჭარბებული წარმოების, კრიზისის და შეჩე-რების ხანების წყებას“. მუშისათვის ეს ირგვლივ ტრიალი ნიშნავს მუდმივ ტოკვას უზომო შრომასა და უმუშავრობას შორის, სამუშაოს შოვნის სრულიად არა უზრუნველყოფას და საზოგადოთ მთელი მისი მდგომარეობის უიმედობას.

ამ ფაქტორის ზეგავლენა უერთდება ტეხნიკური პრო-გრესის მიერ გამოწვეულ ცვალებადი კაპიტალის შედარებით, და ხშირათ აბსოლიუტურ დაკლებას. ხან და ხან ამ ფაქტო-

რების ზეგავლენა ერთი მეორეს ეწინააღმდეგება,--მაგ., აყვავების დროს, როცა ტეხნიკური პროგრესი იმისთვის ზრუნავს, რომ მუშები შორს არ წავიდენ თავის მოთხოვნებში; ხანდისხან კი ისინი ერთათ მოქმედობენ, ერთი და იმავე მიმართულებით, მაგ., კრიზისის დროს, როცა უმუშავრობასთან ერთათ დგება აღვირახსნილი მეტოქეობა, ფასების საოცარი დაწევა, რომელიც გამოწვეულია, ერთი მხრით, ახალი, შრომის შემნახველ, მაშინების შემოღებით, მეორე მხრით სამუშაო დღის გაგრძელებით და სამუშაო ხელფასის დაკლებით; ერთიც და მეორეც, რა თქმა უნდა, მუშის ხარჯზე.

6. მაშინა, როგორც ცვლილების ფაქტორი

თუ რომ ვისმეს ეკონომიური ჰარმონიის მოციქულთაგანს დაუხატავთ კაპიტალისტური საფაბრიკო სისტემის სურათს და დაეკითხებით, სწამს მას თუ არა კიდევ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საუკეთესო ქვეყანაში, იგი უეჭველათ მოიწადინებს როგორმე გვერდი შეუაროს ამ საკითხს და გიპასუხოს: „დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ კიდევ გარდამავალ ხანაში. კაპიტალისტურმა სხვილმა მრეწველობამ ვერ შეძლო ჯერ კიდევ საკმაოთ გამოიჩინოს თავისი კეთილსაყოფელი თვისებები, ვინაიდან მის განვითარებას აფერხებენ კიდევ საშუალო საუკუნოების წესწყობილების ნაშთები. მაგრამ საკმარისია მხოლოთ შეადაროთ ფაბრიკის მუშების მდგომარეობა საშინაო და ხელოსნური მრეწველობის მუშების მდგომარეობასთან, და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ პირველების მდგომარეობა შეუდარებლათ უმჯობესია უკანასკნელთა მდგომარეობაზე, რომ მაშასადამე, სხვილი მრეწველობა არსებითათ აუმჯობესებს, და არა აუარესებს მუშების მდგომარეობასო“. ასეთი აზრისაა ჩვენი ეკონომიური ჰარმონიის მოციქული.

ეკვს გარეშეა, რომ იქ, სადაც სხვილმა წარმოებამ თავი იჩინა, საშინაო და ხელოსნურ წარმოებაში მუშების ცხოვრების პირობები კიდევ უფრო სატირალია, ვინემ ფაბრიკებში.

მაგრამ ეს განა სხვილი კაპიტალისტური მრეწველობის სასარგებლოთ ლაპარაკობს? საეჭვოა. ეს ფაქტი აიხსნება მხოლოთ იმით, რომ საფაბრიკო სისტემა მრეწველობის იმ დარგებში, რომლებშიაც იგი ფეხს იკიდებს, აფუჭებს არა მარტო იმ მუშების მდგომარეობას, რომლებიც ფაბრიკებში მუშაობენ, არამედ იმ მუშებისასაც, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას ფაბრიკის გარეთ, ამასთანავე იმათი მდგომარეობა ფუჭდება კიდევ უფრო მეტათ, ვინემ პირველების. „წარმატება“, რომელიც გამოიწვია კაპიტალისტურმა სხვილმა მრეწველობამ, მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ის ტანჯვა და წვალება, რომელსაც იგი თავზე ახვევს მუშებს, ერთი ორათ და ერთი სამათ მატულობს იმათთვის, ვინც მუშაობს საშინაო, ხელოსნურ და მანუფაქტურულ მრეწველობაში.

„იაფი და დაუმწიფებელ სამუშაო ძალების გაყვლეფა თანამედროვე მანუფაქტურაში უფრო უსირცხვილოთ ხდება, ვინემ ნამდვილ ფაბრიკებში, ვინაიდან უკანასკნელების ტეხნიკური საფუძველი,—ადამიანის კუნთების ძალის მაგიერ მაშინების ხმარება და შრომის სიადვილე,—პირველში უმეტეს ნაწილათ არ არსებობს; ამასთანავე ქალების და ბავშების სუსტი ორგანიზმები იქ განიცდიან საწამლავ ნივთიერებათა გავლენას ყოვლად უსინიდისოთ. ეგრეთწოდებულ საშინაო მრეწველობაში ეს გაყვლეფა კიდევ უფრო უსირცხვილოთ ხდება, ვინემ მანუფაქტურულ მრეწველობაში, ვინაიდან მუშების ძალა წინააღმდეგობის გასაწევათ კლებულობს იმათი დაქსაქსვით, ვინაიდან ნამდვილ კაპიტალისტსა და მუშებს შორის, ეჩხირებიან მთელი წყება მტაცებელ-მუქთაჭამიებისა, ვინაიდან საშინაო მრეწველობა ყოველგან ებრძვის მაშინებს ან მანუფაქტურულ წარმოებას იმავე დარგში, ვინაიდან მუშის სიღატაკე ართმევს მას შრომის აუცილებელ პირობებს — ადგილს, სინათლეს, ჰაერს და სხვ., ვინაიდან მუშაობის უდროოთ შეწყვეტა აქ მატულობს, და ბოლოს, ვინაიდან ამ უკანასკნელ თავშესაფარებში—საშინაო მრეწველობაში,— მუშების მოცილეობა, რომლებიც მოჰარბებული შეიქნენ

სხვილი მრეწველობის და სხვილი მეურნეობის გამარჯვებით, აუცილებლათ ახწევს უმაღლეს წერტილამდე. წარმოების საშუალებათა შენახვა, რაც სისტემატიურათ განავითარა მაშინურმა სისტემამ და რაც თავიდანვე შეკავშირებული იყო სამუშაო ძალის უმოწყალო გაფლანგვასთან და მუშაობის ნორმალურ პირობების მოსპობის მეცადინეობასთან, იჩენს ახლა მუშისადმი თავის მტრულ და კაცთმოძულეობის მხარეს მით უფრო, რამდენათ უფრო ნაკლებათ განვითარებულია მრეწველობის ამა თუ იმ დარგში შრომის საზოგადოებრივი საწარმოვო ძალა და შრომის პროცესის ტეხნიკური საფუძველი *).

ყოველივე ის, რის ატანაც ადამიანს შეუძლია, რომ ერთბაშათ სიცოცხლეს არ გამოესალმოს, ითმენენ საშინაო მრეწველობის მუშები; თავის იმ მეცადინეობაში, რომ მოცილეობა გაუწიონ მაშინას სიიაფეში, ეს მუშები სულ უფრო და უფრო ამცირებენ თავის მოთხოვნილებებს საჭმელში, ტანისამოსში, სინათლეში, ჰაერში და დასვენებაში, სანამ არ ახწევენ ისეთ წერტილს, რომლის დაბლა ვერ დაეშვებოდა ვერავითარი ფანტაზია. მარქსი მოგვითხრობს კრუჟევების საქსოვ სკოლებზე, სადაც სარგებლობდენ 2 წლის ბავშვების შრომით. ჩალის ნაწარმოებთა სახელოსნოებში (ინგლისში) ბავშვები მუშაობდენ სამი წლიდან ხანდისხან შუალამემდე ვიწრო სადგომებში, რომლებშიაც ზოგ ალაგას კაცზე მოდიოდა მხოლოთ 12—17 კუბიკური ფუტი. ეს ციფრები,—ამბობდა კომისარი უაიტი იმ კომისიაში, რომელსაც ბავშვების შრომის გამოკვლევა ქონდა მინდობილი, წარმოადგენენ იმ სივრცის ნახევარზე ნაკლებს, რომელსაც დაიჭერდა ბავში, ჩადებული ყუთში, რომლის სიგრძე, განი და სიღრმე უდრის სამ კუ-

*) ამ რამდენიმე წლის წინეთ გამოქვეყნებულ იქნა გამოკვლევათა მთელი წყება, რომლებშიაც აწერილია საშინაო მრეწველობის შემაძრწუნებელი პირობები გერმანიაში. ვისაც სურს დაწერილებით გაეცნოს ამ საკითხს, ვურჩევთ მიმართოს, სხვათა შორის, დ-რ ემმანუელ ზაკსის შრომას: «Die Hausindustrie in Thüringen».

ბიკურ ფუტს“! თუმცა ადამიანის ბუნებას ბევრის ატანაც შეუძლია, მაგრამ მაინც არის საზღვარი, რომლის გადალაჯება მასაც აღარ ძალუძს. როგორც კი ეს საზღვარი მიხწეულია, მაშინვე რეკს საშინაო მრეწველობის უკანასკნელი საათი მაშინის შემოღების გამო; საშინაო მრეწველობის მუშებს ორი გზა დარჩენიათ: ან ახალი საქმე მოძებნონ, ან ამ ძებნაში სული დალიონ. ასევე ხდება ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების შემონახულ დარგებშიაც.

საფაბრიკო კანონმდებლობა აჩქარებს მანუფაქტურის სხვილ მრეწველობათ გადაქცევას. საშინაო მრეწველობა კარგავს ნიადაგს, როგორც კი იგი დაემორჩილება კანონმდებლობითი შეზღუდვას. მხოლოთ ქალების და ბავშების შრომის აულაგმავი გაყვლეფა აყოვნებს მის დაცემას.

თუ მაშინა ახდენს ძირითად ცვლილებას მრეწველობის ყველა დარგში, რომლებსაც იგი იპყრობს, მისი მოქმედება კიდევ უფრო რევოლიუციონურია, როცა იგი მეურნეობაში შემოიჭრება. მაშინის მეოხებით მეურნეობაში მუშა არა თუ შედარებით, არამედ აბსოლიუტურათაც, „ზედმეტ ბარგათ“ ხდება,—გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ერთ და იმავე დროს, მაშინის შემოღებით, შესამუშავებელი მიწის სივრცე ჩქარა დიდდება, როგორც, მაგ., ეს მოხდა შეერთებულ შტატებში.

იქ, სადაც მაშინა ფეხს იკიდებს მეურნეობაში, გლეხს იგივე ბედი მოელის, რაც საშინაო მრეწველობის მუშას. მასთან ერთათ ირღვევა ძველი წესწყობილების მკვიდრი საფუძველი. გლეხები და საქირაოზე გასული მუშები, რომლებიც სოფელში „მეტ ბარგათ“ გახდენ, მიეშურებიან ქალაქში. დიდი ქალაქები უზომოთ იზრდებიან, მაშინ როცა სოფელი ცალიერდება. დიდძალი ხალხის თავის მოყრა ქალაქებში იწვევს სამრეწველო მუშების ფიზიკურ გადაგვარებას. სოფლის დაცალიერება დაბლა წევს იმათ სულიერ ცხოვრებას, ტეხს იმათ წელში კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდ ქალაქებში ზრდასთან ერთათ, იფიტება ნიადაგი, ვინაიდან მის შემადგენელ ნაწილებს, რომლებსაც მას ართმევენ ცხოვ-

რების საშუალებათა სახით, მას უკან აღარ აბრუნებენ, არამედ ექსკრემენტების და ნაგვის სახით ისინი სწამლავენ ქალაქებს, იმის მაგიერ რომ მოხმარებულ იქნან ნიადაგის გასასუქებლათ. მაგრამ თანამედროვე ტეხნოლოგიის გამოყენებისთანავე მეურნეობაში შესაძლებელი ხდება მიწის მოსავლის მატება. მიწას სულ უფრო და უფრო მეტს ართმევენ და მას კი სულ უფრო და უფრო ნაკლებს უბრუნებენ. ამნაირათ, მაშინების კაპიტალისტური გამოყენება აძლიერებს არა მარტო ადამიანის სამუშაო ძალის მტაცებლობითი ექსპლოატაციას (გაყვლეფას), არამედ ნიადაგისაც იგი ფიტავს ნიადაგს და ამახინჯებს მუშას ფიზიკურათ და გონებრივათ.

მაგრამ იმავე დროს მაშინების კაპიტალისტური გამოყენება ანვითარებს ახალი უმაღლესი კულტურის პირობებს და იმ ძალას, რომელიც დაეხმარება მის განხორციელებას. სილატაკეში მარქსი ხედავდა არა მარტო სილატაკეს, არამედ მის გულში დაფარულ საუკეთესო მომავლის ჩანასახს. იგი არ უარყოფს საფაბრიკო სისტემას, არ უჩივის მას, არამედ ცდილობს მის გაგებას. იგი არ კვასწავლის ზნეობას, არამედ იკვლევს. ამასთანავე იგი თითონ გვითითებს მის წინამორბედზე, რობერტ ოუენზე, რომელმაც პირველათ შეიგნო თანამედროვე საფაბრიკო სისტემის რევოლიუციონური მხარე.

სხვილმა მრეწველობამ წარმოშვა ისეთი საშინელი სილატაკე, რომლის მსგავსი არ შეუქმნია არც ერთ წინანდელ წარმოების წესს. მაგრამ მასის ეს სილატაკე არ არის შეჩერების, კრიზისის მიზეზი. დღეს ჩვენ უკვე აღარ ვხედავთ სილატაკის გაჩერებულ, დახავსებულ ჭაობს, რომელიც ნელნელა და შეუმჩნევლათ ისრუტავს მთელ საზოგადოებას,—როგორც ეს მოხდა რომში, იმპერატორების დროს. პირიქით, წარმოების თანამედროვე წესი, მსგავსათ ნაკადულისა, რეცხს საზოგადოების ყველა შემადგენელ ნაწილებს, ურევს იმათ ერთიერთმანეთში და მოყავს განუწყვეტელ მოძრაობაში მთელი საზოგადოება. ქრება წარსულ წარმოებათა ყოველივე ნაშთი, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობანი; და მასთან ერთათ

დროს გადასული ცრუმორწმუნოებანი, მაგრამ იმათ სამაგიეროთ წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი აგრეთვე არ არიან მუდმივი, არამედ მუდამჟამ ცვლილებებს განიცდიან. ერთი გამოგონების, შრომის ერთ მეთოდის ადგილს ჩქარა იჭერს მეორე გამოგონება, მეორე მეთოდი; კაპიტალი და შრომა შეუწყვეტელათ გადადის წარმოების ერთი დარგიდან მეორე დარგში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. ქრება ურთიერთობათა სიმკვიდრე და რწმენა მასში. კონსერვატიული ელემენტები საზოგადოებას აკლდებიან, გლეხები ირეკებიან დიდ ქალაქებში, სადაც დღეს თავს იყრის ისტორიული მოძრაობის ძალა და სადაც ისინი ხელს უწყობენ მოძრაობის გაძლიერებას და ზრდას, იმის მაგიერ რომ იგი შებოჭონ. ქალები და ბავშები ეტანებიან ფაბრიკებს, ოჯახის ბურჟუაზიული ფორმის კონსერვატიული ელემენტი ქრება, ირღვევა, მომჭირნეობის მოყვარული, სახლში მჯდომი დიასახლისი ხდება დაქირავებულ მუშათ, რომელიც ეძიებს თავის სარჩენს საშუალებას და იბრძვის თავის არსებობისათვის.

და აი, ძველი წესწყობილების ამ დარღვევაში, რომელიც ჩვენ თვალწინ ხდება, უკვე მოჩანან ახალი წესწყობილების ნიშნები.

ახალგაზდობის იმ გონებრივმა დაჩლუნგებამ, ანუ „გაველურებამ“, რომელიც დღითი-დღე მატულობდა და რომელიც შედეგი იყო მეტათ ხანგრძლივი და ცალმხრივი მუშაობისა, გამოიწვია ის, რომ თითქმის ყველა სამრეწველო ქვეყნებში პირველდაწყებითი სწავლა ამა თუ იმ სახით შრომის სავალდებულო პირობათ იქნა გამოცხადებული. ამ დროიდან დარწმუნდენ იმაში, რომ ფაბრიკის ბავშები სწავლობენ არა თუ უარესათ, არამედ თითქმის უკეთესადაც და უფრო მონდომებულათ, ვინემ სხვა მოწაფეები საზოგადოთ. „ეს,—ამბობს ერთი საფაბრიკო ინსპექტორი,—ადვილი ასახსნელია. ის, ვინც სკოლაში იმყოფება მხოლოთ ნახევარ დღეს, ყოველთვის უფრო კარგათ გრძნობს თავის თავს, უფრო მონ-

დომებულია და უფრო შეუძლია სწავლა. როცა ფიზიკური შრომა და სწავლა რიგ-რიგობით ხდება, მაშინ მეორე პირველისაგან დასვენებაა და პირიქით, და, მაშასადამე, ისეთი სისტემა უფრო გამოსადეგია ბავშებისთვის, ვინემ როცა ერთი იმათგანი შეუწყვეტლათ გრძელდება". მარქსი ამას უმატებს: „საფაბრიკო სისტემიდან, როგორც ეს ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ რობერტ ოვენის ნაწერებში, გაჩნდა მომავალი განათლების ჩანასახი. როცა ამა თუ იმ ასაკის ყველა ბავშებისთვის წარმოებითი შრომა შეერთებული იქნება სწავლებასთან და გიმნასტიკასთან, არა მარტო როგორც საზოგადოებრივი წარმოების მატების საშუალება, არამედ ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანების წარმოშობის ერთათ ერთი საშუალებაც".

ამ პედაგოგიურ ცვლილებას აუცილებლათ ერთვის კიდევ მეორე ცვლილება. ფართოთ გატარებულ შრომის განაწილებას საზოგადოებაში ცალკე პროფესიებათ, რომელიც უკვე ხელოსნურ წარმოების თვისებას შეადგენდა და რომელსაც, მანუფაქტურის ხანაში, შეუერთდა შრომის განაწილება წარმოების ცალკე დაწესებულებებში, მოყვა მეტათ არა სასიამოვნო შედეგები მუშის პიროვნებისათვის. წარმოების პირობები იმ დროს ვითარდებოდენ მეტათ ნელი ნაბიჯით, არა იშვიათათ ისინი იყენებოდენ თავის ფორმებში. ამნაირათ, ადამიანი მთელი თავის არსებით და სულ თავის სიცოცხლეში რჩებოდა მიჯაჭვული ერთ რომელსამე განსაზღვრულ მუშაობაზე, რომლითაც იგი იძენდა დიდ გამოცდილებას, მაგრამ ამის მეოხებით მახინჯდებოდა, კარგავდა იმ ჰარმონიულ განვითარებას, რომელიც ქმნის იდეალურ სიშვენიერეს.

მაშინა მრეწველობის იმ დარგებში, რომლებსაც იგი იპყრობს, ზედმეტათ ხდის მუშისთვის ხანგრძლივ და მუყაით მზადებას იმისთვის, რომ მან შეიძლოს ნაყოფიერათ მუშაობა თავის პროფესიაში. მაგრამ ამასთანავე მაშინა შეუძლებლათ ხდის მუშის მიჯაჭვას მთელ მის სიცოცხლეში ერთ რო-

მელსამე სამუშაოზე, ვინაიდან იგი, იწვევს რა მუდმივ ცვლილებებს წარმოების პირობებში, აგდებს მუშას მრეწველობის ერთი დარგიდან და დევნის მას მეორეში.

მაგრამ რამდენი ტანჯვა მოაქვს დღეს შეუწყვეტელ მოძრაობას, როცა ათი-ათასი ულმუშაოთ დარჩენილ მუშებისგან შემდგარი მუდმივი სათადარიგო ჯარი ხარბათ ეწაფება ყოველგვარ საქმეს, რომელსაც კი მას აწვდიან! როგორ მცირედი საშუალება აქვს დღეს მუშას შეეგუოს სხვა და სხვა მოქმედებას, როცა მისი სხეული და მისი სული კიდევ ახალგაზდობაში დამახინჯებულ-დასახიჩრებულია, როცა მას აკლია სხვა და სხვა გვარი მექანიკური და ტეხნიკური პროცესების ცოდნა, რომლების მეოხებით თანამედროვე სხვილმა წარმოებამ მიახწია ასეთ უმაღლეს წერტილს. თუ მუშა დღეს მთელ თავის სიცოცხლეში არ არის მიკრული ერთ რომელიმე სამუშაოზე, იგი ეძლევა მას მაინც თვეების და წლების განმავლობაში, და მხოლოთ უმუშავრობის და სიმშილის დროს ანებებს იგი მას თავს.

როგორ რადიკალურათ შეიცვლებოდა საქმის მდგომარეობა, თუ რომ სხვა და სხვა დეტალური ფუნქციები ყოველ-დღე და თითქმის ყოველ საათსაც ერთი მეორეს ჯერით უთმობდენ ადგილს, ისე რომ ისინი არ ღლიდენ და არ არინდებდენ, არამედ აღძრავდენ და ამხნევებდენ, თუ რომ უმუშევრობა მოისპობოდა და ტეხნიკური ცვლილება მოხდებოდა არა მუშების ანგარიშზე, ე. ი. მათ საზიანოთ.

ასეთი გარდაქმნის წინა პირობებში ერთი პედაგოგიური ხასიათისაც არის. მუშა ხალხმა უნდა მიიღოს წარმოების პროცესის და მეთოდების მეცნიერული ცოდნა, უნდა მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება სულ სხვა და სხვა ინსტრუმენტების ხმარებისათვის. ამ ჟამათ პროფესიონალურ სკოლებში და მსგავს დაწესებულებებში უკვე ცდილობენ ამის მიხწევას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

„თუ საფაბრიკო კანონმდებლობამ—ეს პირველი, ძალით მოპოვებული დათმობა კაპიტალის მხრით, თუმც დიდი ვაი-

ვაგლახით,—შეძლო იმის მიხწევა, რომ პირველდაწყებითი სწავლა შეეერთებია ფაბრიკის მუშაობასთან, იმ შემთხვევაში ყოველ ეპვს გარეშე უნდა იყოს, რომ მუშა ხალხის-მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება გამოიწვევს ტეხნოლოგიის პრაქტიკულ და თეორიულ შესწავლას მუშათა კლასის სკოლებში“.

რა ცვლილებებს გამოიწვევს კიდევ სხვილი მრეწველობა ოჯახის სფერაში! დაქირავებულ მუშას იგი ურღვევს ოჯახის წინანდელ ფორმას. ქალის და ბავშის სამრეწველო შრომამ შესცვალა არა მარტო ურთიერთობა ცოლსა და ქმარს შორის, არამედ მშობლებსა და ბავშებს შორისაც. ხშირათ მშობლები გამოდიან არა როგორც მფარველები და მასაზრდოებელნი თავის ბავშების, არამედ როგორც იმათი ექსპლოატატორები, მყვლეფელები. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ იმ უბედურ ბავშების შესახებ, რომლებსაც ამუშავებენ ინგლისის სახელოსნოებში, და რომლებიც, 3 წლიდან დაწყებული, აუტანელ პირობებში შუაღამემდის მეცადინეობენ.

„უბედური, წელში გატეხილი მშობლები“, ამბობს მარქსი,— „მხოლოთ იმაზელა ფიქრობენ, რომ მეტი შრომა გამოსწოვონ თავიანთ ბავშებიდან. როცა ბავშები ცოტას წამოიზრდებიან, აშკარაა, რომ ისინი არაფრათ აგდებენ თავის მშობლებს და იმათ ტოვებენ“. მაგრამ მშობლების ბოროტმოქმედებას,—უმატებს მარქსი,—კი არ შეუქმნია ბავშების სამუშაო ძალის პირდაპირი და არა-პირდაპირი გაყვლეფა, არამედ, პირიქით, გაყვლეფის კაპიტალისტურმა წესმა მიიყვანა მშობლები ამ ბოროტმოქმედებამდე, მოსპო რა მშობელთა უფლების ეკონომიური საფუძველი. რამდენათ საშინელი და საძაგელი არ უნდა გვეჩვენოს ჩვენ ძველ ოჯახურ ურთიერთობათა დარღვევა კაპიტალისტურ წარმოებაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სხვილი წარმოება, იმ საყურადღებო დანიშნულების მეოხებით, რომელიც მან დააკისრა დედაკაცებს. ახალგაზდებს და ბავშებს წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ოჯახის სფერის გარეშე, ქმნის ახალ

ეკონომიურ საფუძველს ოჯახის და სქესებს შორის ურთიერთობის უფრო მაღალი ფორმისათვის; თავისთავათ იგულისხმება, რომ ოჯახის ქრისტიანულ-გერმანულ ფორმის აბსოლიუტურათ ჩათვლა ისეთივე უგუნურებაა, როგორც ძველი რომის, ძველი საბერძნეთის ანუ აღმოსავლეთის ოჯახების ფორმები რომ ასეთივე მივიღოთ, მაგრამ რომლებიც შეადგენენ ისტორიულ განვითარების საფეხურებს. თუმც ორივე სქესის და სხვა და სხვა წლოვანების მუშების ერთათ თავის მოყრა კაპიტალისტურ წარმოებაში, სადაც მუშა ემსახურება წარმოების პროცესს, და არა წარმოების პროცესი—მუშას, წარმოადგენს გარყვნილების და მონობის წყაროს, მაგრამ აშკარაა, რომ შესაფერს პირობებში, ეს გარემოება უნდა შეიქნეს, პირიქით, ადამიანის ჰუმანიური განვითარების წყაროთ".

მას შემდეგ, რაც მარქსმა ფარდა ახადა მომავალს, ჩვენ შეგვიძლია შევურიგდეთ მაშინებს და სხვილ მრეწველობას. რაგინდ უზომო უნდა იყოს ის ტანჯვა-ვაება, რომელსაც იგი მუშა ხალხს უმზადებს, ყოველ შემთხვევაში უნაყოფო იგი მაინც არ არის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შრომას ყანაში, რომელიც განოყიერებულია აუარებელი მუშა ხალხის სისხლით და ოფლით, ამოვა ახალი ჯეჯილი, უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმა.—მაშინური წარმოება ამზადებს ნიადაგს ახალი თაობისათვის, რომელიც მოკლებული იქნება ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების ცალმხრივობას, რომელიც იქნება ბუნების მონა, როგორიც იყო ადამიანის პირველ-ყოფილი კომუნიზმის დროს; რომლის ფიზიკური და სულიერი სიშვენიერე არ იქნება ნაყიდი ყოველგვარ უფლებას მოკლებულ მონების ფასით, როგორც ეს იყო ძველ საბერძნეთში და რომში. იგი იქნება ჰარმონიულათ განვითარებული, სიცოცხლით სავსე და ჯანსაღი თაობა, მიწის და ბუნების ძალების უფროსი, რომელშიაც შევა ძმური თანასწორობით კომუნის ყველა წევრი.

განყოფილება მესამე

სამუშაო ხელფასი და კაპიტალის შემოსავალი

თავი I

სამუშაო ხელფასი

1. სამუშაო ძალის ფასის და ზედმეტი ღირებულების სიდიდეთა ცვლილება.

მეორე განყოფილებაში ჩვენ უმთავრესათ განვიხილეთ ზედმეტი ღირებულების შექმნა; ახლა კი გადავიდეთ იმ კანონების გამოკვლევაზე, რომელსაც ემორჩილება სამუშაო ხელფასი. ამ უკანასკნელის შესავალს და მეორე განყოფილების და მესამე განყოფილების შემაერთებელ კავშირს შეადგენს სამუშაო ძალის ფასის და ზედმეტი ღირებულების ცვლილებათა გამოკვლევა, რაც რამდენიმეთ ორივე განყოფილებას ეკუთვნის. ამ ცვლილებებს იწვევს სამი ფაქტორი, რომლებსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ მეორე განყოფილებიდან, სახელდობ: 1, სამუშაო დღის სიგრძე, 2, შრომის ნორმალური მუყაითობა, და 3, შრომის ნაყოფიერება. ეს სამი ფაქტორი იცვლება სხვა და სხვა ნაირათ; შეიძლება შეიცვალოს თითოეული იმათგანი ცალ-ცალკე, ორი ან ყველა ერთათ, ამასთანავე, ცვლილების ხარისხიც სხვა და სხვა შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, ყველა ამ კომბინაციების გამოკვლევა ჩვენ შორს წაგვიყვანდა; მაგრამ თუ ჩვენ გვეცოდინება უმთავრესი იმათგანი, მაშინ საკმარისია ცოტაოდენი დაფიქრება, რომ გავიგოთ დანარჩენებიც. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოთ უმთავრესს ცვლილებებს, ე. ი. იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდება ზედმეტი ღირებულების და სამუშაო ძალის შედარებითს სიდიდეში, როცა ერთი ამ სამ ფაქტორთაგანი იცვლება და დანარჩენი ორი უცვლელი რჩება.

ა) სამუშაო დღის სიდიდე და შრომის მუდამობა უცვლელი რჩება, იცვლება შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერება ახდენს გავლენას მხოლოთ ნაწარმოებთა რაოდენობაზე, რომლებიც გაკეთებულია განსაზღვრულ დროს, მაგრამ არა ამ რაოდენობის ღირებულების სიდიდეზე. თუ რაიმე გამოგონების მეოხებით, მუშას შეუძლია ძაფათ აქციოს ერთ საათში ექვსი გირვანქა ბამბა, მაშინ როცა აქამდის, ერთი საათის განმავლობაში მას შეეძლო მხოლოთ 1 გირ. ბამბის დართვა, ამიტომ ახლა ერთი საათის განმავლობაში მას შეუძლია დაამზადოს ექვსჯერ უფრო მეტი ძაფი, ვინემ წინეთ, მაგრამ იმავე ღირებულების. მაგრამ ის ღირებულება, რომელსაც იგი აძლევს თითოეულ გირვანქა ბამბას, აქცევს რა მას ძაფათ, ახლა იქნება ექვსჯერ ნაკლები, ვინემ წინეთ. ღირებულების ასეთი შემცირება, თავის მხრით, გავლენას ახდენს მუშის არსების საშუალებათა ღირებულებაზე, მაგ., მისი ტანსაცმელის ღირებულებაზე. სამუშაო ძალის ღირებულება კლებულობს, და იმავე ხარისხით მატულობს ზედმეტი ღირებულების სიდიდე. შრომის ნაყოფიერების დაკლების დროს კი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი მოვლენა ხდება. ზედმეტი ღირებულების მატება თუ დაკლება ყოველთვის შედეგია, მაგრამ არას დროს არ არის მიზეზი, სამუშაო ძალის ღირებულების დაკლების ან მომატების. შეეფერება თუ არა საზოგადოთ და რამოდენათ სამუშაო ძალის ღირებულების დაკლებას მისი ფასის დაკლება, ეს დამოკიდებულია სხვა და სხვა გარემოებებზე, მაგრამ უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის წინააღმდეგობის ძალაზე.

წარმოვიდგინოთ, რომ შრომის ნაყოფიერების მომატების გამო, სამუშაო ძალის დღიური ღირებულება დაიწია 1 მ. 50 კაპეიკიდან 1 მანეთამდე, მისი ფასი კი მხოლოთ 1 მან. და 25 კაპეიკამდე.

თუ წინეთ ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ქმნიდა ერთი დღის განმავლობაში ერთი მუშა, ეთანასწორებოდა 1 მ. 50 კ., ახლა იგი აიწევს, კაპიტალისტის სამწუხაროთ, არა ორ მანეთამდე, არამედ მხოლოთ 1 მ. 75 კ., მაგრამ, მის სა-

ბედნიეროთ, ეს ხდება იშვიათათ, ვინაიდან ასეთი მოვლენა გულისხმობს მუშათა კლასის წინააღმდეგობის არა მარტო საკმარისს ძალას, არამედ, გარდა ამისა, ორი სხვა ფაქტის— სამუშაო დღის, სიგრძის და შრომის მუყაითობის—უცვლელობას. ამ ორი ფაქტორის ცვლილების გავლენას ეკონომისტები, რიკარდოს მიბაძვით, ტოვებენ სრულებით უყურადღებოთ. განვიხილოთ ახლა თითოეულის იმათგანის ცვლილების გავლენა.

ბ) სამუშაო დღე და შრომის ნაყოფიერება არ იცვლება, იცვლება შრომის მუყაითობა. უფრო ინტენსიურათ მუშაობა ნიშნავს ერთ და იმავე დროს განმავლობაში მეტი შრომის დახარჯვას, მაშასადამე, იმავე ხნის განმავლობაში მეტი ღირებულების შექმნას. თუ ბამბის მრთველი, შრომის იმავე ნაყოფიერებით, ერთი საათის განმავლობაში უფრო მეტი მუყაითობის გამო, ერთი გირვანქა ბამბის მაგიერ, როგორც ეს წინეთ იყო, შეართავს $1^1/_2$ გირვანქას, მაშინ იგი ამავე ხნის განმავლობაში აკეთებს $1^1/_2$ ჯერ მეტ ღირებულებას, ვინემ წინეთ. თუ იგი წინეთ 12 საათის განმავლობაში აკეთებდა სამი მანეთის ღირებულებას, ახლა იგი იმავე ხნის განმავლობაში აკეთებს 4 მან. 50 კაპ. ღირებულებას. თუ კი წინეთ მისი სამუშაო ძალის ფასი უდრიდა 1 მ. 50 კ. და ახლა აიწია ორ მანეთამდე, ამასთანავე აიწია ზედმეტ ღირებულებამაც. სახელდობ 1 მ. 50 კაპ.—2 მ. 50 კაპ. მაშასადამე, მართალი არ არის, როცა ამტკიცებენ, რომ სამუშაო ძალის ფასის მიმატება შესაძლებელია მხოლოთ ზედმეტი ღირებულების დაკლებით. ეს მართალია მხოლოთ პირველი შემთხვევისთვის ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებიდან, მაგრამ არა იმ შემთხვევისთვის, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ. სხვათა შორის, შევნიშნავთ აქ, რომ ამ შემთხვევაში სამუშაო ძალის ფასის აწევა ყოველთვის უთუოთ არ ნიშნავს მის ღირებულებაზე ზევით გადიდებას. თუ ფასმა იმდენათ მაღლა არ აიწია, რომ სამუშაო ძალის ჩქარი გაცვეთა დაფაროს, რაც ბუნებრივი შედეგია შრომის უფრო მომეტებული მუყაითობისა, ამ შემ-

თხვევაში სამუშაო ძალის ფასი ნამდვილათ იწევს მის ღირებულების დაბლა.

სხვა და სხვა ერში შრომის მუყაითობა სხვა და სხვა ნაირია, „ერთი ნაციის უფრო ინტენსიური სამუშაო დღე გამოიხატება ფულის უფრო მეტ რაოდენობაში, ვინემ უფრო ნაკლები ინტენსიური დღე მეორე ნაციისა“.

ინგლისის ფაბრიკებში სამუშაო დღე საერთოთ უფრო მოკლეა, ვინემ გერმანიის ფაბრიკებში და ამიტომაც სწორეთ შრომა პირველებში ბევრათ უფრო ინტენსიურია, ასე რომ ინგლისელი მუშა ერთი საათის განმავლობაში აკეთებს მეტ ღირებულებას, ვინემ მისი გერმანელი ამხანაგი. „სამუშაო დღის მეტი შემოკლება კანონით ხმელეთის ფაბრიკებში“, ამბობს მარქსი,—„იქნებოდა ნამდვილი საშუალება ამ განსხვავების შესამცირებლათ ხმელეთის და ინგლისის სამუშაო საათს შორის“.

გ) შრომის ნაყოფიერება და მუყაითობა რჩება უცვლელი, სამუშაო დღე იცვლება. ეს შეიძლება მოხდეს ორი გზით: 1) სამუშაო დღე კლებულობს. ეს არ ახდენს გავლენას სამუშაო ძალის ღირებულების სიდიდეზე; ეს ხდება ზედმეტი ღირებულების დაკლებით. თუ კაპიტალისტს ეს არ უნდა, მან უნდა დაიყვანოს სამუშაო ძალის ფასი მისი ღირებულების დაბლა. ნორმალური სამუშაო დღის მოწინააღმდეგები სარგებლობენ ამით, როგორც დამამტკიცებელი საბუთით, მაგრამ იმათ საბუთს მნიშვნელობა აქვს მხოლოთ მაშინ, თუ შრომის ნაყოფიერება და მუყაითობა არ იცვლება. ნამდვლათ კი სამუშაო დღის შემოკლება ყოველთვის არის ან შედეგი ან მიზეზი შრომის მუყაითობის და ნაყოფიერების გადიდებისა. 2) სამუშაო დღე გრძელდება. ამ ცვლილების შედეგი მეტათ ნაკლებათ აწუხებს კაპიტალისტებს. საერთო ღირებულება დღის განმავლობაში შექმნილ ნაწარმოებთა მატულობს და მასთან ერთათ ზედმეტი ღირებულებაც. სამუშაო ძალის ფასს აგრეთვე შეუძლია მაღლა აწევა, მაგრამ აქ, როგორც შრომის მუყაითობის გადიდების დროსაც, ფასის აწევა ფაქტიურ-

რათ იქნება ღირებულების დაბლა დაწევა, თუ იგი (ფასის აწევა) არ უთანასწორდება სამუშაო ძალის დახარჯვას.

ჩვენ მიერ განხილული შემთხვევები: ა, ბ და გ, იშვიათათ გვხვდებიან ასე წმინდა სახით. ჩვეულებრივათ ერთი ამ ფაქტორთაგანის ცვლილება იწვევს დანარჩენების ცვლილებას. მარქსი იკვლევს, სხვათა შორის, ისეთ შემთხვევასაც, როცა შრომის მუყაითობა და ნაყოფიერება იზრდება, და სამუშაო დღის სიგრძე იმავე დროს მოკლდება და იგი ახდენს საზღვარს, რომლის დაბლა სამუშაო დღის შემოკლება შეუძლებელია. კაპიტალისტურ წარმოებაში სამუშაო დღე არ შეიძლება შემოკლებულ იქნას აუცილებელ სამუშაო დრომდე. ვინაიდან ეს იქნებოდა ზედმეტი ღირებულების. —კაპიტალიზმის საფუძვლის—უარის ყოფა.

კაპიტალისტური წარმოების მოსპობა ნებას მოგვცემდა დაგვეყვანა სამუშაო დღე აუცილებელ სამუშაო დრომდე. მაგრამ თუ რომ წარმოების ეს სისტემა მოისპობა, იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირობები უცვლელათ დარჩება, დაიბადებოდა აუცილებელი სამუშაო დროს გაგრძელების საჭიროება. პირველათ იმიტომ, რომ მაშინ მუშის მოთხოვნილებები გაიზრდებოდენ, და მეორეთ იმიტომ, რომ წარმოების გასაფართოებლათ და წასაყვანათ შემდეგში თანხის შედგენა მოხდებოდა აუცილებელი შრომის ანგარიშზე, მაშინ როცა ეს ხდება დღეს ზედმეტი ღირებულების ანგარიშზე. მეორე მხრით, სამუშაო დღის შემოკლებასთან ერთათ მოიმატებდა შრომის მუყაითობა. საზოგადოებრივათ მოწესრიგებული შრომა გამოიწვევდა წარმოების საშუალებათა შენახვას, ეკონომიას და ყოველგვარი უსარგებლო მუშაობის თავიდან აცილებას. „მაშინ, როცა კაპიტალისტური წარმოება თითოეული კაპიტალისტს ცალ-ცალკე აიძულებს ეკონომია გასწიოს, ამავე წარმოების მოცილეობის ანარქია იწვევს წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა და სამუშაო ძალების უზომოთ გაფლანგვას, და გარდა ამისა, იგი აჩენს აუარებელ საქმეს, რაც დღეს აუცილებელია, მაგრამ თავისთავათ სრულებით

ესარგებლო. „იმის კვალობაზე, თუ როგორია შრომის მუ-ყაითობა და ნაყოფიერება,—ამბობს მარქსი, საზოგადოებრივი სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც საჭიროა ნივთიერი წარმოებისთვის, იმდენათ უფრო მოკლეა, მაშასადამე, პიროვნების თავისუფალი გონებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დრო იმდენათ უფრო გრძელი,—რამდენათ უფრო თანასწორათ იქნება განაწილებული შრომა საზოგადოების ყველა წევრებს შორის, რომლებსაც კი შრომა შეუძლიათ, რამდენათ უფრო ნაკლებათ აქვს საშუალება საზოგადოების ერთ ნაწილს დააკისროს თავისი გასაკეთებელი საქმე მეორე ნაწილს. ამ თვალთახედვის წერტილიდან სამუშაო დღის შემოკლების აბსოლიუტურ საზღვარს შეადგენს საყოველთაო შრომა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ერთი კლასის თავისუფალი დრო წარმოსდგება უმრავლესობის მთელი სიცოცხლის სამუშაო დროთ გადაქცევით.“

2. სამუშაო ძალის ფასის სამუშაო ხელფასათ გარდაქცევა.

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით სამუშაო ძალის ღირებულებაზე და იმათ ურთიერთობაზე ზედმეტ ღირებულებასთან. მაგრამ ის, რაც საზოგადოებას ჩვეულებათ მიაჩნია, როგორც სამუშაო ხელფასი, ჩვენ ეს გვეჩვენება არა როგორც სამუშაო ძალის ფასათ, არამედ როგორც შრომის ფასათ. თუ მუშებს შეეკითხებით: როგორია თქვენი სამუშაო ხელფასი? ისინი სხვა და სხვანაირათ გიპასუხებენ; ერთი იტყვის: მე ვღებულობ დღეში 50 კაპ., მე ვღებულობ—1 მან. და სხვა. იმის მიხედვით, თუ შრომის რომელ დარგში მუშაობენ, ისინი დაასახელებენ ფულის სხვა და სხვა რაოდენობას, რომელსაც ისინი ღებულობენ კაპიტალისტებისაგან განსაზღვრულ სამუშაო დროსათვის ან განსაზღვრულ მუშაობისთვის, მაგალითათ, ერთი გოჯი ტილოს მოქსოვისთვის ან ერთი საბეჭდავი ქაღალდის აწყობისთვის. მიუხედავათ იმათი პასუხის სხვა და სხვაობისა, ყველანი შეთანხმდებიან ერთში: სამუშაო ხელფასი—ეს იმ ფულის რაოდენობაა, რომელსაც კაპიტა-

ლისტი აძლევს განსაზღვრულ სამუშაო დროში ან შრომის განსაზღვრულ ნაწარმოებში *).

„საქონლის ფასი—ეს ფულში გამოხატული მისი ღირებულებაა. თუ შრომას აქვს ფასი, მას უნდა ქონდეს აგრეთვე ღირებულებაც“,—ასე მსჯელობენ ეკონომისტები. მაგრამ რამდენათ დიდია მისი ღირებულება? იგი, როგორც ყოველივე სხვა საქონლის ღირებულება, განისაზღვრება იმ სამუშაო დროის რაოდენობით, რომელიც საჭიროა მის შესაქმნელათ. მაგრამ რამდენი სამუშაო დროა საჭირო 12 საათის შრომის შესაქმნელათ? აშკარაა, რომ 12 საათი. თუ თანახმათ ამისა შრომას აჯილდოებენ ღირებულებაზე, იმ შემთხვევაში მუშა ღებულობს, სამუშაო ხელფასის სახით, იმავე ღირებულებას, რომელსაც იგი უმატებს ნაწარმოებს: ამნაირათ ბოლოს ჩვენ წინ დგება ასეთი დილემა: ჩვენ უნდა მივიღოთ სიცრუეთ ან ზედმეტი ღირებულების თეორია ან ღირებულების თეორია, ან კიდევ ერთ და იმავე დროს, როგორც ერთი, ისე მეორეშიაც, და ამასთანავე უნდა მივიღოთ, რომ კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოება გამოუცნობელი უნდა დარჩეს.

კლასიკურმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომელმაც რიკარდოს მოძღვრებაში მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს, ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტის დროს ფეხი მოიტეხა; ვულგარულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ კი, რომლის მიზანს არ შეადგენს თანამედროვე წარმოების წესის გამოკვლევა, არამედ რომელიც ცდილობს მხოლოთ მის გამართლებას და ქვეყნის თვალში მის ვარდის ფრათ მოჩვენებას, ამ წინააღმდეგობით ისარგებლა თავისი მიმზიდველი ცრუ დასკვნების გამოსაყვანათ.

მარქსმა საბოლოოთ უარყო ეს დასკვნები და ნათლათ განსაზღვრა რა განსხვავებაა შრომასა და სამუშაო ძალას შორის, რასაც ეკონომისტები მუდამ ერთი მეორეში ურევდენ.

1847 წელს მარქსს კიდევ არ მოუხდენია ეს ძირითადი

---

*) კ. მარქსი: „საქირაო შრომა და კაპიტალი“.

ალმოჩენა (ე. ი. განსხვავება შრომასა და სამუშაო ძალას შორის). თავის ნაწერებში: „ფილოსოფიის სიღატაკე“ და „საქირაო შრომა და კაპიტალი“ იგი კიდევ ამბობს შრომის ღირებულებაზე, მაგრამ ჩვენმა ეკონომისტებმა ისე ცუდათ გაიგეს ამ ორ ცნებათა შორის განსხვავების მნიშვნელობა, რომ ისინი კიდევ დღემდის ურევდენ იმათ ერთმანეთში და სიამოვნებით მსჯელობენ მარქს-როდბერტუსის ღირებულების თეორიაზე, თუმც როდბერტუსმა სავსებით გადმოიღო რიკარდოს ღირებულების თეორია შრომის და სამუშაო ძალის ერთი-ერთმანეთში არევით და აქედან გამომდინარე წინააღმდეგობით, მაშინ როცა მარქსმა (გავიხსენოთ მხოლოთ იმ შრომის, რომელიც ღირებულებას ქმნის, საზოგადოებრივათ-აუცილებელ შრომამდე დაყვანა, და შრომის განსხვავება, რომელიც ქმნის საერთო აბსტრაქტულ ღირებულებას იმ შრომიდან, რომელიც ქმნის კონკრეტულ, სახმარ ღირებულებას და სხვა) ჩამოაშორა ამ თეორიას წინააღმდეგობანი და რიკარდოს მოძღვრებიდან შექმნა ღირებულების სწორი, ნაყოფიერი და დასაბუთებული თეორია.

პირველათ მარქსმა გვიჩვენა, რომ შრომა არ არის საქონელი და ამიტომ მას არ აქვს საცვლელი ღირებულება, თუმც იგი არის წყარო და საზომი ყოველგვარ საცვლელ ღირებულებათა. ბაზარზე გამოდის მხოლოთ მუშა, რომელიც ყიდის თავის სამუშაო ძალას. შრომა არის სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, მოხმარის შედეგი, სრულებით ისე, როგორც დათრობა არის შამპანიურის ხმარების შედეგი. როგორც კაპიტალისტი ყიდულობს შამპანიურს და არა დათრობას, რომელიც მხოლოთ ამ ღვინის ხმარების შედეგია, სწორეთ ისევე იგი ყიდულობს არა შრომას, არამედ სამუშაო ძალას.

მაგრამ სამუშაო ძალა სულ სხვაგვარი საქონელია; მას აჯილდოებენ მხოლოთ ხმარების შემდეგ; მუშა ღებულობს ხელფასს მხოლოთ იმის შემდეგ, რაც იგი თავის მუშაობას შეასრულებს.

იყიდება სამუშაო ძალა, მაგრამ გამოდის რომ თითქო შრომაში აძლევენ ფასს. სამუშაო ხელფასს არ თვლიან სამუშაო ძალის ფასათ. ეს უკანასკნელი განიცდის ერთნაირ ცვლილებას მანამ, სანამ იგი კაპიტალისტის ჯიბიდან ჩნდება სამუშაო ხელფასის სახით და გვეჩვენება როგორც შრომის ფასი.

მარქსამდე ეკონომისტებმა ვერ შეძლეს მეცნიერულათ იმის გამოკვლევა, თუ როგორ ხდება ეს გარდაქცევა და როგორია მისი შედეგი, ვინაიდან ისინი ვერ ხედავენ განსხვავებას სამუშაო ძალის ფასსა და შრომის ფასს შორის. მაშასადამე, მარქსმა პირველათ მოგვცა ჩვენ სამუშაო ხელფასის ნამდვილი მეცნიერული თეორია.

სამუშაო ხელფასის ორ ძირითად ფორმას შეადგენენ ვადიანი ხელფასი (повременная плата—Zeitlohn) და ნაწრობითი ხელფასი (сдѣльная, поштучная плата—Stücklohn).

3. ვადიანი ხელფასი

ჩვენ ვიცით, რომ სამუშაო ძალის დღიური ღირებულება ამა თუ იმ პირობებში არის განსაზღვრული სიდიდე. წარმოვიდგინოთ, რომ იგი ეთანასწორება 1 მ. 20 კ. და ჩვეულებრივი სამუშაო დღე 12 საათს. ამასთანავე ჩვენ ვგულისხმობთ, რომ სამუშაო ძალის ფასი და ღირებულება, როგორც საზოგადოთ ყველა საქონლების, ერთმანეთს ფარავენ. 12 საათის შრომის ფასი, მაშასადამე, ეთანასწორება 1 მან. 20 კაპ., ერთი საათის შრომის ფასი კი 10 კაპ., ამნაირათ მიღებულ სამუშაო საათის ფასი არის შრომის ფასის საზომის ერთეული.

ამნაირათ შრომის ფასის შესატყობათ ჩვენ უნდა გავყოთ სამუშაო ძალის დღიური ღირებულება ჩვეულებრივი სამუშაო დღის სამუშაო საათების რიცხვზე.

შრომის ფასს და დღიურ ან კვირეულ ხელფასს შეუძლია აიწ-დაიწიოს და შეიცვალოს სხვა და სხვა მიმართულებით. წარმოვიდგინოთ, რომ სამუშაო დრო 12 საათიდან 15 საათამდე ავიდა, იმავე დროს შრომის ფასმა დაიწია 10 კა-

პეიკიდან 9 კაპეიკამდე, მაშინ დღიური ხელფასი აიწევს 1 მან. 35 კაპ., ე. ი. იგი მოიმატებს მიუხედავათ იმისა, რომ შრომის ფასმა დაიწია.

შრომის ფასი, როგორც ზეით შევნიშნეთ, დამოკიდებულია სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებაზე და ჩვეულებრივი სამუშაო დღის სიგრძეზე.

თუ კაპიტალისტი, არა-ჩვეულებრივ გარემოებათა გამო, მაგ., კრიზისის, ვერ შეძლებს თავის საქონლის გასაღებას და ამიტომ შეამოკლებს სამუშაო დროს, ვთქვათ, ნახევრათ, მაშინ იგი ამით შრომის ფასს მაინც არ უმატებს ამის შესაფერათ. თუ იგი (შრომის ფასი) უდრის 10 კაპ. მუშა მიიღებს მხოლოთ 60 კაპ. თუმც მისი სამუშაო ძალის დღიური ღირებულება ბევრათ ამაზე მეტია, ჩვენი წარმოდგენით 1 მან. 20 კაპ.*)

წინეთ სამუშაო დღის გაგრძელებაში ჩვენ ვხედავდით მუშების ტანჯვის წყაროს, სამაგიეროთ ახლა ჩვენ ვხედავთ ამ ტანჯვის ახალ წყაროს მის (სამუშაო დღის) დროებით შემოკლებაში. კაპიტალისტები, როცა კი საქმე მიდგება სამუშაო დღის საკანონმდებლო გზით შემოკლებაზე, სარგებლობენ ამ ფაქტით, როგორც იმის დამამტკიცებელი საბუთით, რომ ისინი ვითომ თანაუგრძნობენ საბრალო მუშებს. „ჩვენ უამისოდაც იძულებული ვართ—გაიძახიან ისინი—ვაძლიოთ 15 საათის შრომისათვის სულ მცირედი ხელფასი, თქვენ კი გსურთ შეამოკლოთ სამუშაო დრო 10 საათამდე, და მით მშიერ ხალხს ართმევთ იმათი ნამუშევარის მესამედს. ასეთი ბარბაროსობის წინააღმდეგ ჩვენ ენერგიული პროტესტი უნდა განვაცხადოთო!“ კაცობრიობის ეს კეთილშობილი მეგობრები ივიწყებენ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღის სიგრძის შე-

*) შრომის ფასს იმავე დროს კიდევ უფრო დაბლა დაწევა შეუძლია, მაგრამ ის იქნება შედეგი არა სამუშაო დროს შემოკლებისა, რომელზედაც ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ. საჭიროა მუდამ ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ ამ გამოკვლევაში ლაპარაკია კაპიტალისტური წარმოების ძირითად მოვლენებზე და არა მთელ სურათზე.

მოკლებისთანავე, შრომის ფასი მატულობს; იგი იმდენათ უფრო მაღლა დგას, რამდენათ უფრო მაღლა დგას სამუშაო ძალის დღიური ღირებულება და რამდენათ უფრო ნაკლებია ჩვეულებრივი სამუშაო დღის სიგრძე. სამუშაო დღის დროებით შემოკლება დაბლა წევს სამუშაო ხელფასს, მუდმივი შემოკლება კი მაღლა წევს მას. მსგავს მოვლენას ჩვენ ვხედავთ, სხვათა შორის, ინგლისში. საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშით 20 წლის განმავლობაში, 1839 წლიდან 1859 წლამდე, იმ ფაბრიკებში, სადაც 10 საათის ნორმალური სამუშაო დღე იყო შემოღებული, სამუშაო ხელფასი მაღლა აიწია, იმ ფაბრიკებში კი, სადაც 14—15 საათს მუშაობდენ, მან დაბლა დაიწია! ეს მტკიცდება აგრეთვე ჩვენი დროის აუარებელი დაკვირვებითაც.

სამუშაო დროს ხანგრძლივი გაგრძელება დაბლა წევს შრომის ფასს. მეორე მხრით შრომის დაბალი ფასი აიძულებს მუშას დათანხმდეს სამუშაო დღის გაგრძელებაზე, რომ უზრუნველჰყოს თავისთვის მცირე შემოსავალი მაინც. მაგრამ შრომის დაბალ ფასს და გრძელ სამუშაო დროს მიდრეკილებათ აქვთ მუდმივათ გარდაიქცენ. კაპიტალისტები დაბლა სწევენ სამუშაო ხელფასს და აგრძელებენ სამუშაო დროს, რომ მეტი მოგება მონახონ. მაგრამ მოცილეობა ურთ-ერთ შორის აიძულებს მათ ბოლოს და ბოლოს, ამის კვალობაზე დაუკლონ საქონლის ფასს. ზედმეტი მოგება, რომელსაც ღებულობენ, როგორც სამუშაო დღის გაგრძელების და სამუშაო ხელფასის დაბლა დაწევის მეოხებით, ქრება, დაბალი ფასები კი ისევ რჩებიან და აიძულებენ კაპიტალისტებს დაკლებული ხელფასი და უზომოთ გაგრძელებული სამუშაო დრო მიღწეულ ხარისხზე დატოვებულ იქნას. კაპიტალისტებს ეს მოუტანდა ხელმოკლე მოგებას, მუშებს კი დიდი ხნის ზარალს. ნორმალური სამუშაო დღის კანონი დადგენა არის ამ მოვლენის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება.

დავასახელოთ კიდევ ნორმალური სამუშაო დღის სხვა კარგი შედეგებიც.

მრეწველობის ზოგიერთ დარგში კაპიტალისტი უსწორდება მუშას არა დღიურათ ან კვირეულათ, არამედ თითოეული სამუშაო საათისთვის. მუშა მთელი დღე მზათ უნდა იყოს კაპიტალისტის სამსახურისთვის, მაგრამ უკანასკნელზეა დამოკიდებული მისცეს მას ბევრი სამუშაო თუ მხოლოთ რამდენიმე საათს ამუშაოს იგი. შრომის ფასი კი განისაზღვრება საზოგადოთ მიღებული სამუშაო დღის სიგრძით. ამნაირათ, კაპიტალისტი, აჯილდოებს რა მუშას შრომის ჩვეულებრივი ფასის მიხედვით, საშუალება ეძლევა ისარგებლოს მუშის მთელი სამუშაო ძალით და არ მისცეს მას მისი სამუშაო ძალის სრული ღირებულება, ეს აშკარათ ჩანს იმ დღეებში, როცა კაპიტალისტი ამუშავებს მას ჩვეულებრივ რიცხვზე უფრო ნაკლებ საათების განმავლობაში. მაგრამ ასევე ხდება მაშინაც კი, როცა იგი ამუშავებს მას ნორმალურ დროზე მეტს.

საქმე იმაშია, რომ იმ სამუშაო ძალის ღირებულება, რომელიც იხარჯება თითოეული საათის განმავლობაში, ერთნაირი არ არის. სამუშაო ძალა, რომელიც იხარჯება სამუშაო დღის პირველ საათებში, უფრო ადვილათ ინაზღაურება, ვინემ ის სამუშაო ძალა, რომელიც იხარჯება უკანასკნელი საათების განმავლობაში. ამიტომ, იმ სამუშაო ძალის ღირებულება, რომელიც დახარჯულია პირველ საათის განმავლობაში, ნაკლებია იმ ღირებულებაზე, რომელიც იხარჯება მეათე ან მეთორმეტე საათის განმავლობაში, თუმც უკანასკნელის სახმარი ღირებულება შეიძლება ბევრათ ნაკლები იყოს. თანახმათ ამისა, მრავალ წარმოებაში ბუნებრივათ, თავის თავათ, და არა ფსიხოლოგიურ და ეკონომიურ მოსაზრებათა ძალით, დაწესდა ჩვეულება, რომ სამუშაო დღე განსაზღვრულ წერტილამდე ჩაითვალოს „ნორმალურათ“, ის სამუშაო დრო კი, რომელიც ამას ზევით არის—ნორმალურზე მეტათ, არაჩვეულებრივათ (сверхурочное время—Ueberzeit). და ამ უკანასკნელში მიეცეს მეტი, თუმც მეტათ მცირე საზომით.

ის კაპიტალისტები, რომელნიც მუშებს საათობით უსწორდებიან, ინახავენ ამ აწეულ ხელფასს არა-ნორმალურ დროისთვის.

განსხვავება ზევით დასახელებულ „ნორმალურ“ სამუშაო დღესა და არა-ნორმალურ, არა-ჩვეულებრივ დროს შორის, იმ მნიშვნელობით არ უნდა იქნას გაგებული, რომ ვითომც შრომის ფასი ნორმალური სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგენს ნორმალურ სამუშაო ხელფასს, და არა-ჩვეულებრივ დროსთვის კი ეძლევა დამატებული ხელფასი, რომელიც აღემატება სამუშაო ძალის დღის ღირებულებას. არის ისეთი ფაბრიკები, სადაც განუწყნარებლათ წლითი-წლამდე მუშაობენ ნორმალურ დროზე მეტს. „ნორმალური“ სამუშაო ხელფასი ამ ფაბრიკებში იმდენათ დაბალია, რომ მუშას არ შეუძლია იცხოვროს მხოლოთ იმით, და იძულებული ხდება იმუშაოს აგრეთვე ნორმალურ დროზე მეტი. იქ, სადაც მუდამ ნორმალურ დროზე მეტს მუშაობენ, „ნორმალური“ სამუშაო დღე წარმოადგენს მხოლოთ ნამდვილი სამუშაო დღის ნაწილს, და „ნორმალური“ სამუშაო ხელფასი კი—მხოლოთ იმ ხელფასის ნაწილს, რომელიც საჭიროა მუშის არსებობისათვის. უკეთესი დაჯილდოება არა-ნორმალურ სამუშაო დროსთვის ხშირათ იმის საშუალებაა, რომ მუშა იძულებული შეიქნეს დათანხმდეს სამუშაო დღის გაგრძელებაზე. ეს კი, როგორც ჩვენ დავინახეთ, ნიშნავს შრომის ფასის დაწევას. ნორმალური სამუშაო დღის დადგენა კანონით არის საუკეთესო საშუალება, რომ ბოლო მოეღოს სამუშაო ხელფასის დაწევის ყველა ამ ზომებს.

4. ნაჭრობითი ხელფასი

ვადიანი ხელფასი არის სამუშაო ძალის ფასის გარდაქცეული, გადასხვაფერებული, ფორმა, ნაჭრობითი ხელფასი კი—ვადიანი ხელფასის გადასხვაფერებული ფორმაა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღე ეთანასწორება 12 საათს, სამუშაო ძალის დღიური ღირებულება—1 მ. 20 კაპ. და რომ მუშა საშუალო რიცხვით აკეთებს რომელიმე საქონლის 24 ნაჭერს დღეში. კაპიტალისტურ წარმოებაში, დაკვირვების საშუალებით, ჩქარა იგებენ იმ მუშაობის რაოდე-

ნობას, რომლის შესრულება შეუძლია საშუალო გამოცდილებით შეიარაღებულ მუშას შრომის საშუალო მუყაითობის გამოჩენით. მე შემიძლია დავიქირაო მუშა დღიური ხელფასით 10 კაპ. საათში, მაგრამ მე შემიძლია აგრეთვე ვაძლიო მას საქონლის თითოეულ გაკეთებულ ნაჭერში, მაგ., 5 კაპ. უკანასკნელ შემთხვევაში ხელფასი იქნება ნაჭრობითი. აშკარაა, რომ როგორც ნაჭრობითი, ისე ვადიანი ხელფასის საფუძველს შეადგენს სამუშაო ძალის დღიური ღირებულება და სამუშაო დღის საზოგადო მიღებული სიგრძე. პირველი შეხედულებით ჩანს, რომ ნაჭრობითი ხელფასი თითქოს განისაზღვრება გაკეთებული ნაწარმოების რაოდენობით; მაგრამ ასეთი შეხედულების შეცდომა აშკარა ხდება მაშინვე, როგორც კი ჩვენ ვგებულობთ, რომ შრომის ნაყოფიერების მატება იწვევს ნაჭრობითი ხელფასის დაწევას; თუ ჩვენ მაგალითში მუშა გააკეთებს ერთ ნაჭერს რომელიმე საქონლისას, მაშინის გაუმჯობესების გამო, არა ნახევარ საათში, არამედ მეოთხედ საათში, იმ შემთხვევაში თუ სხვა პირობები უცვლელი დარჩება, კაპიტალისტი მისცემს მას თითოეულ ნაჭერში არა 5 კაპ., არამედ $2^1/_2$ კაპ.

არის შემთხვევები (და ყველამ, ვისაც კი მუშის საქმე აინტერესებს, ეს იცის) როცა კერძო მუშები ან იმათი ჯგუფები რაიმე მიზეზის გამო დიდძალ საქონელს აკეთებენ. მაშინ დადგენილ ნაჭრობით ხელფასს დაუკითხავათ ამცირებენ და ამის მიზეზათ ასახელებენ იმას, რომ ხელფასის საერთო ჯამი ძლიერ აღემატება ჩვეულებრივ ხელფასის რაოდენობასო. ეს აშკარათ ამტკიცებს იმას, რომ ნაჭრობითი ხელფასი არის მხოლოთ ვადიანი ხელფასის გადასხვაფერებული ფორმა, და კაპიტალისტებს იგი შემოაქვს თავისი ნებით მხოლოთ მაშინ, როცა იგი მას უფრო მეტ მოგებას უქადის, ვინემ გადასხვაფერებული ვადიანი ხელფასი.

ჩვეულებრივათ ნაჭრობითი ხელფასი მართლაც ძლიერ სასარგებლოა კაპიტალისტისთვის. ვადიანი ხელფასით კაპიტალისტი აჯილდოებს სამუშაო ძალას, რომელიც განაღდე-

ბულია მის მიერ გაკეთებულ საქონლების მასაში, ნაპრობითი ხელფასით კი იგი აჯილდოებს სამუშაო ძალას ნაწარმოების სახით. მაშასადამე, ამის მეოხებით, მას შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ მუშა, თავისი საკუთარი ინტერესების სასარგებლოთ, თითოეულ სამუშაო საათში გაამზადებს რაც შეიძლება მეტ ნაწარმოებს, მიუხედავათ ყოველგვარი გარეგანი ძალდატანებისა. მისთვის ბევრათ უფრო ადვილია ზედამხედველობა, რათა ნაწარმოები კარგი ღირსების კეთდებოდეს. ყოვლად უმნიშვნელო რამ ნაკლიც კი მიზეზი, უფრო ხშირათ კი საშიში ხდება, სამუშაო ხელფასიდან გამორიცხვისათვის, და არა იშვიათათ პირდაპირ მუშების დატყუილებისთვის და გაძარცვისთვის. ამის გამო კაპიტალისტის ან მისი მოადგილის ნაპრობითი ხელფასის დროს მუშებისთვის თვალყურის დევნება ზედმეტი ხდება, კაპიტალისტი თავიდან იშორებს ამ შრომას და ყაირათს ეწევა. მრეწველობის ზოგიერთ დარგში ნაპრობითი ხელფასი შეძლებას აძლევს მუშას სახლში წაიღოს სამუშაო, რითაც კაპიტალისტი ეკონომიას წევს წარმოების ხარჯებზე (გათბობა, განათება, მიწის ღალა და სხვა) და ამნაირათ იგი ათავისუფლებს მუდმივი კაპიტალის ნაწილს. მრეწველობის იმ დარგებში, სადაც გავრცელებულია შინ მუშაობა, როგორც, მაგ., თერძების ან მეჩექმეების ხელობაში, ხშირათ ხდება, რომ ოსტატი თხოულობს ქარგლებისაგან, რომლებიც მის სახელოსნოში მუშაობენ, და არა შინ, ქირას სადგომით და შრომის ხელსაწყოთი სარგებლობისათვის და მუშებსაც უხდებათ ქირის ძლევა იმაში, რომ იმათ სიამოვნება აქვთ „პატრონის“ თვალყურის დევნების ქვეშ ოფლი ღვარონ. ნაპრობითი ხელფასის დროს პირადი ინტერესი აიძულებს მუშას რაც შეიძლება უფრო ინტენსიურათ (მუყაითათ) და დიდხანს იმუშაოს, რომ რაც შეიძლება მაღლა ასწიოს თავისი დღიური თუ კვირეული ხელფასი. იგი ვერ ამჩნევს იმას, რომ უზომო შრომა არა თუ ფიზიკურათ ასახიჩრებს მას*)—ნაპრობითი მუშაობა სა-

*) Akcordarbeit ist Mordarbeit.

სიკვდილო მუშაობაა—ამბობს გერმანული ანდაზა,—არამედ იგი მიმართულია მისი შრომის ფასის დაწევისაკენ. მაგრამ იგი რომც გრძნობდეს ამას, მას მაინც არ შეუძლია განთავისუფლდეს თავისი ამხანაგების მოცილეობისაგან. მუშების ურთიერთშორის მოცილეობა, ცრუ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლებიც წარმოსდგება ნაჭრობითი მუშაობისაგან (როცა სახლში მიაქვთ სამუშაო), მუშებს აცალცალკევებს, ურთიერთს აშორებს; ყოველივე ეს მეტათ აფერხებს მუშების ორგანიზაციას და თანხმობით მოქმედებას. მაგრამ ნაჭრობითი ხელფასის სისტემას აქვს კიდევ სხვა ცუდი მხარეებიც მუშებისთვის. იგი, მაგ., შესაძლებლათ ხდის სისხლის მწოვარ შუამავლების არსებობას მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, შუამავლების, რომლებიც ცხოვრობენ იმით, რომ სამუშაო ხელფასის ნაწილს, რომელიც მუშებს ერგებათ, ისინი ითვისებენ. შემდეგ ეს სისტემა შეძლებას აძლევს კაპიტალისტებს იქ, სადაც მუშაობას მუშების ჯგუფი ასრულებს, პირობა შეკრან მხოლოთ ჯგუფის მოთავესთან ნაწარმოების გამზადების შესახებ განსაზღვრული ფასით, და ნებას აძლევს უკანასკნელს თავისი საკუთარი მიხედულებით გაუსწორდეს იგი დანარჩენებს.

„აქ კაპიტალის მიერ მუშის გაყვლეფა ხორციელდება თვით მუშის მიერვე გაყვლეფის საშუალებით“.

მაგრამ რამდენათ ნაჭრობითი ხელფასი საზარალოა მუშებისთვის, იმდენათ იგი სასარგებლოა კაპიტალისტისთვის. ნაჭრობითი ხელფასი არის კაპიტალისტურ წარმოებაში სამუშაო ხელფასის ყველაზე უფრო შესაფერი ფორმა. იგი რამდენიმეთ ცნობილი იყო ხელოსნურ წარმოების დროსაც, მაგრამ მხოლოთ მანუფაქტურულ ხანაში იქნა იგი გამოყენებული ძლიერ ფართოთ. სხვილი წარმოების აღმოცენების დროს მან ითამაშა შესანიშნავი როლი სამუშაო დღის გაგრძელებაში და შრომის ფასის დაწევაში.

5. ნაციონალური განსხვავებანი სამუშაო ხელფასში

ჩვენ გავითვალისწინეთ სამუშაო ძალის ფასის და ღირებულების სხვა და სხვა ნაირათ შეერთება და იმათი ურთიერთობანი ზედმეტ ღირებულებასთან, რომელთაც იწვევს ცვლილება სამუშაო დღის სიდიდეში, შრომის ნაყოფიერებაში და მუყაითობაში. ამ ცვლილებასთან ერთათ ხდება კიდევ მეორე ცვლილება ცხოვრების საშუალებათა რაოდენობაში, რომელშიაც განაღდებულ უნდა იქნას სამუშაო ძალის ფასი. ყველა ეს ცვლილებანი, თავის მხრით, იწვევენ ცვლილებას სამუშაო ხელფასში. ამ ნაირათ სამუშაო ხელფასი თითოეულ ქვეყანაში იმყოფება განუწყვეტელ მოძრაობაში და სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ნაირათ. ამ განსხვავებას დროის მიხედვით შეეფერება აგრეთვე განსხვავება ადგილმდებარეობის მიხედვით. ყველამ კარგათ იცის, რომ სამუშაო ხელფასი ამერიკაში ბევრათ უფრო მაღლა დგას, ვინემ გერმანიაში, და გერმანიაში კი უფრო მაღლაა, ვინემ პოლონეთში ან რუსეთში.

სხვა და სხვა ხალხის სამუშაო ხელფასის შედარება ადვილი საქმე არ არის. „სხვა და სხვა ხალხის სამუშაო ხელფასის შედარების დროს“, ამბობს მარქსი, „საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნას ყველა ის ფაქტები, რომლებზედაც დამოკიდებულია სამუშაო ძალის ღირებულების სიდიდის ცვლილება: ცხოვრების საჭირო მოთხოვნილებათა, როგორც ბუნებრივ, ისე ისტორიულათ განვითარებულ მოთხოვნილებათა, ფასი და სიდიდე, მუშის სწავლის ხარჯი, დედაკაცების და ბავშვების შრომის როლი, შრომის ნაყოფიერება, მისი ექსტენსიური და ინტენსიური სიდიდე. თითქმის სულ ზერელე შედარებაც კი თხოულობს საშუალო დღიურ ხელფასის დაყვანას ერთ და იმავე წარმოებაში სხვა და სხვა ქვეყნებში ერთნაირი სიდიდის სამუშაო დღეზე. დღიური ხელფასის ასეთი გათანასწორების შემდეგ, საჭიროა ვადიანი ხელფასის ნაჭრობით ხელფასზე გადატანა, ვინაიდან მხოლოთ უკანასკნელი არის საზომი, როგორც შრომის ნაყოფიერების, ისე მისი (შრომის) მუყაითობის“.

ერთ რომელსამე ხალხში შრომის აბსოლიუტური ფასი შეიძლება ძლიერ მაღლა იდგეს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შედარებითი სამუშაო ხელფასი, ე. ი. შრომის ფასი ზედმეტ ღირებულებასთან ანუ მთელი ნაწარმოების ღირებულებასთან შედარებით, და ნამდვილი ხელფასი, ე. ი. არსებობის საშუალებათა რაოდენობა, რომელთა შეძენა მისი საშუალებით შეიძლება, დგას ძლიერ დაბლა.

იმ ერებში, სადაც უფრო მეტათ განვითარებულია კაპიტალისტური წარმოების წესი, შრომის ნაყოფიერებაც და მუყაითობაც უფრო მეტია, ვინემ იმათში, რომლებიც ამ წარმოების წესის განვითარებაში ჩამორჩენილი არიან. მსოფლიო ბაზარზე კი უფრო ნაყოფიერი ნაციონალური შრომა, და აგრეთვე უფრო ინტენსიურიც, ითვლება უფრო მეტ ღირებულების შემქმნელათ.

წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის ფეიქარი, რომელიც ცუდათ იკვებება, ნაკლებათ განვითარებულია, მუდამ დაღლილია, რომელიც უვარგისი მაშინით მუშაობს, ართავს ერთი საათის განმავლობაში ერთ გირვანქა ბამბას, მაშინ როცა ინგლისელი ფეიქარი იმავე ხნის განმავლობაში ართავს 6 გირვანქას; რა თქმა უნდა, ერთ გირვანქა რუსეთის ძაფს ამის გამო არ ექნება მსოფლიო ბაზრზე უფრო მეტი ღირებულება, ვინემ ერთ გირვანქა ინგლისის ძაფს. ამიტომ ფეიქრის შრომა ინგლისში იმავე ხნის განმავლობაში აკეთებს მეტ ღირებულებას, ვინემ რუსეთში, მისი ნაწარმოების ღირებულება, რომელიც შექმნილია იმავე ხნის განმავლობაში, განხორციელდება ინგლისში ოქროს მეტ რაოდენობაში, ვინემ რუსეთში. მაშასადამე, სამუშაო ხელფასის ფულით გამოხატვა კაპიტალისტურათ განვითარებულ ქვეყანაში შეიძლება იყოს უფრო მაღლა, ვინემ განუვითარებელ ქვეყანაში, და შრომის ფასი კი მაინც ზედმეტ ღირებულებასთან შედარებით შესაძლებელია იყოს ბევრათ უფრო დაბლა, სახელდობ იმიტომ, რომ მთელი ნაწარმოების ღირებულება უფრო მაღლა დგას. მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც შრომის ნაყოფიე-

რება უფრო მეტია, ფულის ღირებულებაც აგრეთვე უფრო დაბლა დგას. სამუშაო ძალის ფასი შეიძლება უფრო მაღლაც იდგეს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მუშას მაინც არ შეუძლია შეიძინოს, თავისი უფრო მაღალი ხელფასით არსებობის საშუალებათა უფრო მეტი რაოდენობა; ინგლისის დიდ სამრეწველო დარგებში ინგლისის გარეთ, მაგ., რკინის გზის გაკეთების დროს აზიაში, ინგლისის კაპიტალისტები იძულებული არიან იაფ ადგილობრივ მუშების გვერდით დაიქირავონ აგრეთვე ძვირფასი ინგლისელი მუშებიც. გამოცდილებამ ასეთ შემთხვევაში დაამტკიცა, რომ შრომა, რომელიც ჩვენ გვეჩვენება ძლიერ ძვირი, ნამდვილათ გამოდის უიაფესი, შრომის ნაყოფიერებასთან და ზედმეტ ღირებულებასთან შედარებით.

რუსეთის მრეწველობის საავალალო არსებობა მისი მცირე სამუშაო ხელფასით და შრომის უზომო გაყვლეფით აიხსნება მფარველობითი ბაჟებით. მას არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ინგლისის მრეწველობას მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელში არსებობს უფრო მაღალი სამუშაო ხელფასი, მოკლე სამუშაო დრო, დედაკაცების და ბავშების შრომის კანონის საშუალებით შეზღუდვა, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებანი და სხვა. რუსეთის შრომის აბსოლიუტური ფასი და მისი ფულით გამოხატვა დაბალია. შრომის შედარებითი ფასი, მისი ნაწარმოების ღირებულებასთან შედარებით მსოფლიო ბაზარზე, მაღალია.

თავი II

შემოსავალი კაპიტალიდან

ჩვენ დავინახეთ, თუ რანაირათ ფულიდან იბადება კაპიტალი, და თუ როგორ დაქირავებული მუშა თავის შრომით არა მარტო ისევ აღადგენს კაპიტალის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც დახარჯულია წარმოების საჭირო საშუალებებზე, არამედ იგი ამზადებს ახალ ღირებულებას, რომელიც ეთა-

ნასწორება მისი სამუშაო ძალის ღირებულებას, ზედმეტი ღირებულების მიმატებით (plus).

მაგრამ კაპიტალის მოძრაობა ზედმეტი ღირებულების შექმნით არ თავდება. ზედმეტი ღირებულება, განხორციელებული საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაში, ზედმეტ ნაწარმოებში, როგორც ყველა საქონელი, ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, თუ რომ იგი ფულათ არ გადაიქცევა. ეს ნიშნავს იმას, რომ მას შემდეგ, რაც ზედმეტი ღირებულება შექმნილია ზედმეტი ნაწარმოების სახით, საჭიროა მისი განაღდება (realisiren), მისი ფულათ ქცევა. ამ განაღდების დროს ზედმეტი ღირებულება, როგორც სხვა ყოველივე ღირებულება,განიცდის სხვა და სხვა თავგადასავალს, როგორც სასიამოვნოს ისე სამწუხაროს. დღეს იგი ნაღდდება უზომოთ დიდ ფასში, ხვალ—მეტათ დაბალ ფასში ან და სრულებით ვერ ნაღდდება. არის შემთხვევა, როცა იმ საქონელზე, რომელშიაც განხორციელებულია ზედმეტი ღირებულება, არის მოთხოვა ჯერ კიდევ მანამ, სანამ იგი ბაზარზე გამოჩნდებოდეს, მაგრამ სხვა დროს მას მთელი წლობით უხდება საწყობებში გდება და სხვა. მაგრამ ზედმეტ ღირებულებას კიდევ სხვა გვარი განსაცდელი მოელის. ასე, მაგალითათ, ვაჭარი, რომელიც ყიდის საქონელს, იღებს თავის სასარგებლოთ ნაწილს სავაჭრო მოგების სახით, მიწის-მფლობელი იღებს ნაწილს მიწის ღალის (რენტის) სახით, ნაწილი მიდის გადასახადებზე ვადით აღებულ კაპიტალის სარგებელზე, ბოლოს, რაც დარჩება მოგების სახით, ეკუთვნის კაპიტალისტს. ყველა ეს თავგადასავალი და ფერისცვლა, რომელსაც ღირებულება განიცდის თავის მგზავრობის დროს ჩვენ აქ არ გვაინტერესებენ. რამდენიმეთ ეს ეკუთვნის კაპიტალის ტრიალის პროცესს, რომელიც მარქსმა განიხილა „კაპიტალის“ მეორე ტომში. რამდენიმეთ ეს განხილულია კაპიტალისტური წარმოების მთელი პროცესის გამოკვლევის დროს, რომელსაც მარქსმა უძღვნა მესამე ტომი. „კაპიტალის“ პირველი ნაწილი იკვლევს მხოლოთ პროცესის ერთ მხარეს, სახელდობ პირდაპირი წარმოების პროცესს.

ზედმეტი ღირებულების შემდეგი ბედი, მას შემდეგ, რაც იგი შექმნილია, გვაინტერესებს ჩვენ აქ მხოლოთ იმდენათ, რამდენათ მას გავლენა აქვს ამ პროცესზე. მაშასადამე, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ კაპიტალისტი ყიდის თავის საქონლებს ბაზარზე იმათ სრულ ღირებულებაზე; ჩვენ ვგულისხმობთ შემდეგ, რომ ზედმეტი ღირებულება კვლავ უბრუნდება კაპიტალისტს. ამის წინააღმდეგი რომ წარმოგვედგინა, ეს მხოლოთ გაართულებდა და გააძნელებდა გამოკვლევას, და არსებითათ გამოკვლევის შედეგებზე გავლენას არ მოახდენდა. ზედმეტ ღირებულებას შეუძლია თავისი გავლენა იქონიოს წარმოების პროცესზე, მხოლოთ წარმოების განახლების დროს, წარმოების პროცესის განმეორების დროს.

წარმოების თითოეული საზოგადოებრივი პროცესი არის ერთ და იმავე დროს წარმოების განახლების პროცესი, ვინაიდან წარმოების პროცესი მის საზოგადოებრივ ფორმაზე დამოუკიდებლათ უნდა ხდებოდეს შეუწყვეტლათ, ან იგი უნდა მეორდებოდეს განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამიტომ წარმოების თითოეული საზოგადოებრივი ფორმისთვის მუდამ აუცილებლათ საჭიროა არა მარტო სახმარი საგნების, არამედ წარმოების საშუალებათა შექმნაც.

თუ წარმოება ღებულობს კაპიტალისტურ ფორმას, მაშინ, რა თქმა უნდა, წარმოების განახლება ამ ფორმას იღებს. თუ თითოეული საზოგადოებისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სახმარ ღირებულებათა შეუწყვეტლათ ან დროგამოშვებით მზადება, სწორეთ ასევე კაპიტალისთვისაც აუცილებლათ საჭიროა ზედმეტი ღირებულების შეუწყვეტლათ კეთება, მისი წარმოების მუდამ განახლება. მას შემდეგ, რაც კაპიტალმა ერთხელ გამოჩეკა ზედმეტი ღირებულება, იგი (კაპიტალი) ხელახლა უნდა იქნას დახარჯული, რომ მან ზედმეტი ღირებულება გამოჩეკოს მეორე ჯერაც და ასე შემდეგ. ამნაირათ კაპიტალი შეუწყვეტლათ ქმნის სულ ახალ-ახალ ღირებულებას, ე. ი. ანახლებს თავის წარმოებას. ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, არის ნაყოფი, რომელიც დრო-

გამოშვებით გამოაქვს მოძრაობაში მყოფ კაპიტალს, იგი — კაპიტალის მუდმივი შემოსავალია.

აი ყოველივე ის, რის თქმაც კი შეიძლება ზედმეტ ღირებულებაზე, რამდენადაც იგი იბადება წარმოების განახლებიდან. მაგრამ წარმოების განახლების პროცესი შეძლებას აძლევს ზედმეტ ღირებულებას კვლავ შევიდეს წარმოების პროცესში. წარმოვიდგინოთ, რომ კაპიტალისტმა დააბანდა წარმოებაში 50,000 მან., რომელსაც წლიურათ 10,000 მან. შემოსავალი მოაქვს. რას უზამს იგი უკანასკნელს? აქ შეიძლება ორი უკიდურესი შემთხვევა: იგი ან გაფლანგავს წლიურ ზედმეტ ღირებულებას სულ მთლათ, ან სულ მთლათ იმას მიუმატებს კაპიტალს. უმეტეს შემთხვევაში არც ერთ ამ უკიდურესობას ადგილი არა აქვს; ნამდვილათ კი ერთ ნაწილს ამ ზედმეტი ღირებულებისას კაპიტალისტი ხარჯავს, მეორეს კი იგი უმატებს უწინდელ კაპიტალს.

თუ ზედმეტი ღირებულება სრულებით იფლანგება, იმ შემთხვევაში კაპიტალი უცვლელი რჩება თავის სიდიდით; ხდება წარმოების მარტივი განახლება. თუ რომ ზედმეტი ღირებულება სულ მთლათ, ან მისი ნაწილი, ემატება კაპიტალს, იმ შემთხვევაში ხდება კაპიტალის მოგროვება (Akkumulatiou) და წარმოების განახლება წარმოების გაფართოებულ ფარგლებში.

თავი III

წარმოების მარტივი განახლება

წარმოების მარტივი განახლება არის წარმოების პროცესის განმეორება უწინდელი სიდიდით, მაგრამ, განმეორების მეოხებით იგი იძენს რამდენიმე ახალ თვისებებს.

წარმოვიდგინოთ, რომ ვინმემ რაიმე საშუალებით იშოვნა ფული და სურს გადააქციოს იგი კაპიტალათ. ვთქვათ, მას აქვს; 5000 მან., 4500 მანეთს იგი აქცევს მუდმივ კაპიტალათ, 500 მან. ცვალებად კაპიტალათ, ე. ი. სამუშაო ხელფასათ. ამ კაპიტალის საშუალებით იგი ქმნის (აკეთებს) 5,500 მანე-

თის საღირალ ნაწარმოებს და ყიდის ამას მის სრულ ღირებულებაზე. ზედმეტ ღირებულებას—500 მანეთს იგი თითონ ხმარობს, და წარმოების განახლება ხდება წინანდებურათ: 4500 მან. იქნება მუდმივი კაპიტალი და 500 მან. ცვალებადი კაპიტალი. მაგრამ წინანდელთან შედარებით ჩვენ განსხვავებასაც ვხედავთ: 500 მან., რომელიც წარმოების პირველ პროცესში დაიხარჯა სამუშაო ხელფასზე, არ იყო შექმნილი ამ საქმეში ჩაყენებულ მუშების შრომით, იგი წარმოდგა სხვა წყაროდან, შეიძლება, იგი გაკეთებული იყო თვით კაპიტალისტის შრომით. მაგრამ საიდან გაჩნდა ის 500 მან., რომელიც დაიხარჯა სამუშაო ხელფასზე მეორე შემთხვევაში? იგი წარმოსდგა იმ ღირებულების განაღდებიდან. რომელიც შექმნეს მუშებმა წარმოების წინა პროცესში. მუშებმა არა თუ გადაიტანეს მუდმივი კაპიტალის ღირებულება (4,500 მან.) ნაწარმოებზე, არამედ შექმნეს აგრეთვე ახალი ღირებულებაც (1000 მან.), რომლის ერთი ნაწილი (500 მან.) ეთანასწორება იმათი სამუშაო ძალის ღირებულებას, მეორე კი შეადგენს ზედმეტ ღირებულებას. თუ ჩვენ განვიხილავთ წარმოების კაპიტალისტურ პროცესს, როგორც ერთ გზობის წარმოების პროცესს (ანუ თავდაპირველს, კაპიტალის პირველი დახარჯვის დროს), მაშინ სამუშაო ხელფასი ჩვენ წარმოგვიდგება კაპიტალისტის ჯიბიდან ამოღებულ ფულათ, ავანსის სახით. თუ რომ წარმოების კაპიტალისტურ პროცესს განვიხილავთ, როგორც წარმოების განახლების პროცესს, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ მუშებს უსწორდებიან იმათი საკუთარი შრომის ნაწარმოებიდან. ამ მნიშვნელობით მართალია, როცა ამბობენ, რომ მუშა სამუშაო ხელფასის სახით ღებულობს თავისი შრომის ნაწარმოების ნაწილს. ეს არის მხოლოთ ნაწარმოები წარმოების წინანდელი პროცესისა.

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. წარმოვიდგინოთ, რომ წარმოების თითოეული ხანა (პერიოდი) გრძელდება ნახევარ წელიწადს. ყოველ წლივ კაპიტალისტი იღებს ჯიბეში 1000 მანეთს ზედმეტ ღირებულებას და ხარჯავს მას პირად მოთხოვ-

ნილებების დასაკმაყოფილებლათ. ხუთი წლის განმავლობაში იგი ამნაირათ დახარჯავს 5000 მანეთს, ე. ი. ღირებულებას, რომელიც უდრის მის თავდაპირველ კაპიტალს, და მას მაინც წინანდებურათ ექნება კაპიტალი—5000 მან.

კაპიტალის ეს ახალი ღირებულება თავისი სიდიდით ეთანასწორება უწინდელი კაპიტალის ღირებულებას, მაგრამ თავისი წარმოშობით იგი სხვაა. პირვანდელი კაპიტალის—5000 მან. წყარო არ იყო იმ მუშების შრომა, რომლებიც ამ საქმეშია ჩაყენებული. მაგრამ ეს 5000 მან. კაპიტალისტმა დახარჯა ხუთი წლის განმავლობაში, და თუ მას ახლა აქვს 5000 მან., ეს წარმოდგა ზედმეტ ღირებულებისაგან. ამნაირათ, თითოეული კაპიტალი, დამოუკიდებლათ მისი წარმოშობისა, წარმოების მარტივ განახლების მეოხებით, რამდენიმე ხნის შემდეგ იქცევა კაპიტალის ნაწარმოებ (капитализированнаго) ზედმეტ ღირებულებათ, სხვისი ზედმეტი შრომის ნაწარმოებათ, შეგროვებულ კაპიტალათ.

კაპიტალისტური წარმოების სათავეს, გამოსავალ წერტილს, შეადგენს მუშების გამოყოფა, ჩამოშორება წარმოების საშუალებათაგან, ერთი მხრით—ქონებას მოკლებულ მუშების გაჩენა, მეორე მხრით—წარმოების და არსებობის საშუალებათა შეგროვება, თავის მოყრა. წარმოების განახლების კაპიტალისტურ პროცესში ეს გამოსავალი წერტილები შეადგენენ წარმოების პროცესის შედეგს. წარმოების განახლების კაპიტალისტური პროცესი, ამნაირათ, მუდამ ანახლებს და ამაგრებს თავისი საკუთარი არსებობის პირობებს, ე. ი. კაპიტალს და დაქირავებულ მუშას. არსებობის საშუალებანი და საშუალებანი წარმოებისა, რომლებსაც მუშები ქმნიან, ეკუთვნიან არა მუშებს, არამედ კაპიტალისტებს. დაქირავებული მუშები წარმოების პროცესიდან მუდამ გამოდიან ისეთებივე, როგორიც მასში შევიდენ, ე. ი. ქონებას მოკლებულნი, პროლეტარები; პირიქით, კაპიტალისტები თითოეული საწარმოო პერიოდის (ხანის) ბოლოს კვლავ ხდებიან მფლობელნი არსებობის საშუალებათა, რომლებზედაც ისინი

ყიდულობენ სამუშაო ძალებს, და წარმოების საშუალებათა, რომლებსაც იყენებენ მაწარმოებელნი.

ამნაირათ, მუშა მუდამ თითონ ხელახლათ ქმნის თავისი დამოკიდებულების და თავისი სიღატაკის წინა პირობებს (предпосылки).

მაგრამ კაპიტალის ხელ-ახლათ წარმოების პროცესი იწვევს აგრეთვე მუშათა კლასის ხელ-ახლა წარმოშობის აუცილებლობას.

სანამ ჩვენ ვიკვლევდით წარმოების პროცესს, როგორც ერთგზობითს და, მაშასადამე, როგორც განცალკევებულ პროცესს, ჩვენ საქმე გვქონდა კერძო კაპიტალისტთან და კერძო მუშასთან. აქ სამუშაო ძალა, და მისგან განუყოფელი მუშა თითქოს ეკუთვნიან კაპიტალისტს მხოლოთ იმათი წარმოებაში ხმარების დროს, ე. ი. სამუშაო დღის განმავლობაში. დანარჩენ დროს მუშა თითქოს ეკუთვნის თავის თავს და თავის ოჯახს. თუ იგი ჭამდა, სვამდა, იძინებდა, ამას იგი შვრებოდა მხოლოთ თავის თავისთვის, და არა კაპიტალისტისთვის.

მაგრამ თუ ჩვენ განვიხილავთ წარმოების კაპიტალისტურ წესს თავისი სრული სახით, მის მოძრაობაში და დაკავშირებაში, ე. ი. როგორც წარმოების განახლების პროცესს, მაშინ თავიდანვე საქმე გვაქვს არა კერძო კაპიტალისტთან ან მუშასთან, არამედ კაპიტალისტების კლასთან და მუშების კლასთან. კაპიტალის აღდგენის, ხელახლათ შექმნის, პროცესი თხოულობს მუშათა კლასის უკვდაობას. ეს, აი, რას ნიშნავს: იმისთვის, რომ წარმოების პროცესი განახლდეს, მუშები უნდა მუდამ ანახლებდენ თავის დახარჯულ სამუშაო ძალას და მუდამ უნდა ზრუნვიდენ ახალი მუშების მომატებაზე. ამის თაობაზე კაპიტალისტს შეუძლია დამშვიდებული იყოს, და ეს მიანდოს მუშების თავის დაცვის და გამრავლების ინსტიქტს (ალღოს).

ასე გეგონებათ, რომ მუშები თავის სამუშაო დროს გარეშე მხოლოთ თავისთვის ცხოვრებენ, ნამდვილათ კი ისინი, თითქმის მაშინაც კი, კაპიტალისტების კლასისთვის ცხოვრე-

ბენ. როცა ისინი მუშაობის შემდეგ ჭამენ, სმენ, ან იძინებენ, ისინი ამით ინახავენ თავის არსებობას და ამასთანავე წარმოების კაპიტალისტურ წესსაც. როცა კაპიტალისტი—მარჩენალი, როგორც მას უწოდებდენ კაპიტალისტურ დროს, ან მუშაობის მიმცემი (работодатель—Arbeifgeber), როგორათაც იგი მონათლეს გერმანელ კატედერ-ეკონომისტებმა, როცა იგი აძლევს მუშას ხელფასს, იგი ამით აძლევს მას მხოლოთ საშუალებას შეინახოს თავისი თავი და მთელი თავისი კლასი კაპიტალისტების კლასისთვის.

მით, რომ მუშები ხმაროობენ არსებობის იმ საშუალებებს, რომლებსაც ისინი იძენენ თავის ხელფასზე, ისინი კვლავ იძულებული ხდებიან გაყიდონ თავისი სამუშაო ძალა.

ამნაირათ, წარმოების განახლების თვალთახედვის წერტილიდან, მუშა, არა მარტო სამუშაო დროს განმავლობაში, არამედ „თავისუფალ“ დროსაც, კაპიტალისტის ინტერესებს ემსახურება. იგი ჭამს და სვამს არა თავისთვის, არამედ იმისთვის, რომ შეინახოს თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტების კლასისთვის. და ამიტომ, თუ როგორ ჭამს და სვამს მუშა, ეს კაპიტალისტისთვის სულ ერთი არ არის. თუ მუშა, იმის მაგივრათ, რომ კვირა დღეს დაისვენოს და თავისი სამუშაო ძალა განაახლოს, თვრება ისე, რომ ორშაბათს მუშაობისათვის ვეღარ გამოდგება, კაპიტალისტი ამაში ხედავს არა ზიანს თვით მუშისთვის, არამედ—დანაშაულს კაპიტალის წინააღმდეგ, იმ სამუშაო ძალის გაფლანგვას, რომელიც კაპიტალისტს ეკუთვნის. წარმოების პროცესის განახლების თვალთახედვის წერტილიდან კაპიტალის კუთვნილებათ ხდება არა მარტო დროებით ნაყიდი სამუშაო ძალა, არამედ მთელი მუშა, მუშათა მთელი კლასი. იქ, სადაც მუშა ამას ვერ იგნებს, და აქვს შეძლება თავიდან აიცდინოს იგი, მაგ., გადასახლების საშუალებით, კაპიტალისტი ამა თუ იმ პირობებში, უკან არ იხევს ძალდატანებას მიმართოს კანონის საშუალებით, რათა მუშას აგრძნობინოს, რომ იგი ვალდებულია იცხოვროს და გამრავლდეს არა თავისთვის, არამედ კაპიტალისტისთვის. ასე,

მაგ, წინეთ, ზოგიერთ სახემწიფოებში, გამოცდილ, დახელოვნებულ მუშებს აკრძალული ქონდათ გადასახლება. დღეს ეს უკვე აღარ არის საჭირო. კაპიტალისტური წარმოების წესი ისეთი ძლიერი შეიქმნა, რომ მისი კანონები, როგორც ეკონომიურათ ძალდატანებითი კანონები, სრულდებიან სახემწიფოს დაუხმარებლათაც. დღეს მუშა მიჭედილია უხილავი ჯაჭვით კაპიტალზე, და იგი მას ვერ გაექცევა, სადაც უნდა წავიდეს.

ჩვენს „სოციალურ რეფორმატორებს“ ეს დამოკიდებულება კაპიტალისტების კლასზე საერთოთ საკმარისათ არ ეჩვენებათ. მუშათა საკითხის გადასაწყვეტ საშუალებათ იმათ მიაჩნიათ მუშის მიჯაჭვა კერძო კაპიტალისტზე გადასახლების თავისუფლების შეზღუდვით, მუშების ბინების ეშმაკურათ მოწყობით და სხვა ასეთ „რეფორმების საშუალებით“.

თავი IV

ზედმეტი ღირებულების კაპიტალათ გადაქცევა

1. რა ნაირათ ხდება ზედმეტი ღირებულება კაპიტალათ?

მხოლოთ განსაკუთრებულ შემთხვევაში კაპიტალისტი ხმარობს თავის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ მთელ ზედმეტ ღირებულებას. ჩვეულებრივათ კი იგი ზედმეტ ღირებულებას ან სულ მთლათ, ან მის ნაწილს მაინც, კვლავ აქცევს კაპიტალათ. „ზედმეტი ღირებულების მოხმარას, როგორც კაპიტალის, ან ზედმეტ ღირებულების ისევ კაპიტალათ გადაქცევას ეწოდება კაპიტალის შეგროვება (накопленіе · Akkumulation).

ამ პროცესის თვალსაჩინოთ გამოსახვა ადვილია. მოვიგონოთ მაგალითი წინა თავიდან. ვთქვათ, კაპიტალი—5000 მანეთი პატრონს აძლევს წელიწადში ზედმეტ ღირებულებას 1000 მან. თუ კაპიტალისტი მას არ გაიხმარს პირად საჭიროებისათვის, არამედ მიუმატებს თავის პირვანდელ კაპიტალს, მაშინ მას ექნება კაპიტალი—6000 მან., რომელიც იმავე პირობებში მოუტანს მას წლიურ ზედმეტ ღირებულე-

ბას 1200 მან. ამ უკანასკნელის მიმატებით, პირვანდელი კაპიტალი გაიზრდება 7200 მანეთამდე, რომელიც მოიტანს წლიურ ზედმეტ ღირებულებას 1440 მან. თუ ამასვე გაიმეორებს შემდეგ წელიწადს, მას დარჩება კაპიტალი —8,640 მან., რომელსაც მოაქვს ზედმეტი ღირებულება—1728 მან., სულ 10,368 მან. ოთხი წლის შემდეგ, ზედმეტი ღირებულების შეგროვებით, კაპიტალი გაიზარდა ორჯელ უფრო მეტათ.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის სულ ერთია, მთელი ზედმეტი ღირებულება გროვდება, თუ მხოლოთ მისი ნაწილი. ამ გამოკვლევისთვის სულ ერთია აგრეთვე ისიც, თუ რანაირათ გროვდება ზედმეტი ღირებულება, ქმნის იგი დამატებას, თუ ახალ კაპიტალს. სართავი ფაბრიკის პატრონს შეუძლია მოიხმაროს ზედმეტი ღირებულება თავისი ფაბრიკის გასაფართოებლათ, მაშინების და მუშების რიცხვის გასადიდებლათ, ნედლი მასალის მეტი რაოდენობის საყიდლათ; მაგრამ შეუძლია მისი მოხმარა აგრეთვე ახალი სართავი ფაბრიკის გასაკეთებლათაც, ან სრულებით ახალი საქმის მოსაწყობათ, საქსოვის ან ქვა-ნახშირის და სხ. როგორიც უნდა იყოს ზედმეტი ღირებულების მოხმარა, იგი ყოველთვის ამ შემთხვევაში, კვლავ კაპიტალათ იქცევა, ე. ი. ისეთ ღირებულებათ, რომელიც ჩეკს ზედმეტ ღირებულებას.

მაგრამ იმისთვის, რომ ზედმეტი ღირებულება კაპიტალი გახდეს, საქონლიდან ფულათ გადაქცევის შემდეგ, იგი ფულიდან ისევ შესაფერ საქონლებათ უნდა გადაიქცეს. ავიღოთ, მაგ., სართავი ფაბრიკის პატრონი. მან გაყიდა თავისი ძაფი, ახლა მას აქვს ფულის სახით, როგორც თავდაპირველათ მის მიერ დახარჯული კაპიტალი, ისე ზედმეტი ღირებულებაც. პირვანდელ კაპიტალთან ერთათ ეს ზედმეტი ღირებულებაც უნდა გადაიქცეს ახალ კაპიტალათ. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოთ იმ პირობით, თუ ბაზარზე კაპიტალისტი ნახავს იმ საქონლების შესაფერათ გადიდებულ რაოდენობას, რომლებიც შესაძლებელია გამოადგეს მას, როგორც წარმოების საშუალებანი: ზედმეტი ღირებულება რომ

დამატებითი კაპიტალათ გადაიქცეს, საჭიროა დამატებითი ნედლი მასალის არსებობა,—ჩვენს მაგალითში—ბამბის,—შრომის დამატებითი იარაღების,—მაგ., მაშინების—არსებობის დამატებითი საშუალებების სამუშაო ძალების მეტი რიცხვის შესანახავათ და, ბოლოს, დამატებითი სამუშაო ძალების არსებობა, ერთი სიტყვით, კაპიტალის შეგროვება შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა წარმოების გაფართოების ნივთიერი პირობები უკვე არსებობენ.

მაგრამ ჩვენს ფაბრიკანტს შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ საქონლის ბაზარზე იგი იპოვნის წარმოების საჭირო დამატებითი საშუალებებს, ვინაიდან არა მარტო სართავის დარგში, არამედ ბამბის პლანტაციებშიაც, მაშინის ქარხნებში, ქვა-ნახშირის მაღაროებში და სხვ. ქმნიან იმავე დროს ზედმეტ დირებულებას, მაშასადამე, აგრეთვე ზედმეტ ნაწარმოებსაც.

თუ ჩვენ განვიხილავთ არა კერძო კაპიტალისტის წლიურ ზედმეტ ღირებულებას, არამედ ზედმეტი ღირებულების წლიურ ჯამს, რომელსაც ითვისებს კაპიტალისტის მთელი კლასი, მაშინ ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ზედმეტ ღირებულებას (სულ მთლათ ან მის ნაწილს) არ შეუძლია კაპიტალათ გადაქცევა, თუ ზედმეტი ნაწარმოები (სულ მთლათ, ან მისი შესაფერი ნაწილი) არ იქნება შემდგარი წარმოების საშუალებებიდან და მუშების არსებობის საშუალებებიდან.

მაგრამ სად უნდა იშოვოთ მუშების დამატებითი რიცხვი? ეს კაპიტალისტის საზრუნავ საგანს როდი შეადგენს. მისი მხრით სრულებით საკმარისია მისცეს მუშებს ისეთი ხელფასი, რომ იმათ შეძლონ თავისი არსებობის შენახვა, და რაც შეეხება გამრავლებას, ამას თვით მუშები შეეცდებიან.

მუშათა კლასი თითონ ქმნის დამატებით მუშებს, რომლებიც წარმოების გასაფართოებლათ, წარმოების განახლების გასადიდებლათ არიან საჭირონი.

როცა ჩვენ მხედველობაში გვქონდა მხოლოთ წარმოების მარტივი განახლება, ჩვენ დავინახეთ, რომ ყველა კაპი-

ტალი, რამდენიმე წლის შემდეგ, იქცევა შეგროვებულ კაპიტალათ, რომელიც შედგება განსაკუთრებით მხოლოთ ზედმეტი ღირებულებისაგან. მაგრამ ასეთი კაპიტალი შესაძლებელია კიდევ იყოს, წარმოებაში თავდაპირველათ დაბანდვის დროს მაინც, თავისი პატრონის შრომის ნაყოფი. სულ სხვა საქმეა ის კაპიტალი, რომელიც მიღებულია შეგროვებული ზედმეტი ღირებულებისაგან. ასეთი კაპიტალი თავიდანვე იმათი შრომის ნაყოფია, რომელთაც იგი არა აქვთ. ზედმეტი ღირებულების შეგროვება ნიშნავს დაუჯილდოვებელი შრომის მითვისებას, რაც შესაძლებლათ ხდის ახალ უფრო ფართო მითვისებას.

რა წინააღმდეგობაა საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძვლის წინაშე! ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლა უწინარეს ყოვლისა გულისხმობს, ერთი მხრით, იმას, რომ საქონლის მწარმოებელს კერძო საკუთრების უფლება აქვს თავის წარმოებაზე, და, მეორე მხრით, თანასწორ ღირებულებათ, ასე რომ არავის არ შეეძლო ღირებულების შეძენა უიმისოთ, რომ თავისი საკუთარი შრომა არ დაეხარჯა, ან თუ გაცვლის დროს თანასწორ ღირებულებას არ მისცემდა

ახლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის საფუძველს შეადგენენ, ერთი მხრით, მუშის გამოყოფა მისი შრომის ნაწარმოებიდან: ის, ვინც შექმნა ნაწარმოები და ის, ვინც მას ფლობს,—სულ სხვა და სხვა პირებია; მეორე მხრით, ღირებულების მითვისება თანასწორი ღირებულების მიუცემლათ, ე. ი. ზედმეტი ღირებულება. და გარდა ამისა ზედმეტი ღირებულება შეადგენს ახლა უკვე არა შედეგს, არამედ საფუძველს წარმოების კაპიტალისტური პროცესისას. არა მარტო კაპიტალი ქმნის ზედმეტ ღირებულებას, არამედ ზედმეტი ღირებულებაც ქმნის კაპიტალს, ასე რომ, ბოლოს, მთელი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი შედგება ისეთ ღირებულებათაგან, რომლებიც მითვისებულია თანასწორ ღირებულებათა მიუცემლათ.

საქონლის წარმოების საფუძვლის ასეთი გადასხვაფერება მოხდა არა მისი კანონების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ეს თვით ამ კანონებიდან გამომდინარეობს.

„ისეთივე აუცილებლობით, როგორითაც საქონლის წარმოება თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ხდება კაპიტალისტური (მხოლოთ კაპიტალისტურ წარმოებაში საქონელი კვლავ ხდება ნაწარმოების საყოველთაოთ მიღებულ ფორმათ), სწორეთ ასეთივე აუცილებლობით საქონლის წარმოების საკუთრების კანონები გარდაიქმნებიან კაპიტალისტური მითვისების კანონებათ. ამიტომ განა არ უნდა გვაოცებდეს პრუდონის მახვილ-გონიერება, რომელსაც უნდოდა კაპიტალისტური საკუთრების მოსპობა და იმავე დროს საქონლის წარმოების უკვდავი კანონების შენახვა!“

2. კაპიტალისტის მომჭირნეობა

აქამდის ჩვენ ვიხილავდით ორ უკიდურეს შემთხვევას. როცა ზედმეტი ღირებულება ან სულ იხარჯება კაპიტალისტის პირად მოთხოვნილებაზე ან სულ მთლათ გროვდება. მაგრამ, როგორც უკვე შევნიშნეთ, ჩვეულებრივათ მხოლოთ მისი ნაწილი იხარჯება, და ნაწილი კი გროვდება. პირველ ნაწილს ქვია შემოსავალი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით.

კაპიტალისტების სურვილზე კიდია, ზედმეტი ღირებულების რა ნაწილს გადადებს თავის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ და რა ნაწილს გადააქცევს კაპიტალათ. ამ საკითხის გადაწყვეტა მასში იწვევს დიდ ბრძოლას. ფაუსტთან*) ერთათ მას შეუძლია წამოიძახოს:

«ორი არსება ცხოვრობს ავადმყოფ ჩემსა სხეულში,
ერთი-მეორის უცხონი და განშორებას ლამობენ!
ერთ მათგანს მოსწონს ცოდვილი მიწა,
იგი აქ ხარობს ამა ქვეყნათა,
სად ოქროები იბადებიან.
მეორეს ზეცა მოსწონებია,
იქ, სადაც სულნი ნეტარეობენ!..»

*) ფაუსტი—გიოტეს უკვდავი ნაწარმოების სახელია.

კაპიტალისტის სხეულში მეორდება თავისებური სახით ძველი ბრძოლა სხეულის სისუსტესა და ასკეტიზმს, წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. მას იტაცებენ თავისკენ მიწიერი სიამოვნებანი; მაგრამ ყოველ გვარი სიამოვნება, რომელსაც იგი მუქთათ ვერ შოულობს, მას ცოდვათ მიაჩნია. ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც კაპიტალისტი თითონ ხმარობს, სურვილზე დამოკიდებული არ არის, იმის სიდიდე განისაზღვრება ისტორიული პირობებით; იგი, როგორც სამუდამო ხელფასი, განისაზღვრება ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის ჩვეულებრივი, „მდგომარეობის შესაფერი“, ცხოვრებით.

კაპიტალისტი ისევე, როგორც მუშა, თუმცა სხვა მნიშვნელობით სულ თავის სიცოცხლეში კაპიტალს ეკუთვნის. მეტოქეობა აიძულებს მას უსიტყვოთ შეასრულოს წარმოების კაპიტალისტური წესის კანონები არა მარტო თავის საწარმოო საქმეში, არამედ თავის კერძო ცხოვრებაშიაც. თუ იგი ცხოვრობს მეტათ მდიდრულათ, ფართოთ, თუ იგი გამოდის ჩვეულებრივი ცხოვრების საზღვრებიდან, მას უწოდებენ მფლანგველს, და მისი ნდობა ეცემა. თუ იგი ძუნწია, თუ იგი არ ეწევა ისეთ ხარჯებს, რომლებიც მის „მდგომარეობას შეეფერებიან“, იგი იწვევს ეჭვს, რომ მისი საქმე არ იძლევა საკმაო შემოსავალს და მისი ნდობა დაბლა იწევს. ამ ნაირათ კაპიტალისტი იძულებულია იხმაროს თავისი ზედმეტი ღირებულების სრულებით განსაზღვრული ნაწილი განსაზღვრული დროის და ადგილის მიხედვით. მაგრამ ეს სიდიდე ბევრათ უფრო გამწევია, ელასტიურია, ვინემ სამუშაო ხელფასის სიდიდე.

სამაგიეროთ ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილისთვის, რომელიც დანიშნულია შეგროვებისთვის, სხვა არავითარი შეზღუდვა აღარ არსებობს, გარდა ზედმეტი ღირებულების საერთო რაოდენობისა და კაპიტალისტის ცხოვრების მოთხოვნილებათა. რამდენათ უფრო მეტი გროვდება, იმდენათ უკეთესია. თვით წარმოების კაპიტალისტური წესი ქმნის უცი-

ლებლათ კაპიტალის შეუწყვეტელ შეგროვებას. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ტეხნიკის განვითარებასთან ერთათ, მუდამ იზრდება კაპიტალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა შრომის განსაზღვრულ დარგში საქმის მოსაწყობათ და წასაყვანათ, თუ რომ ამ დარგის ნაწარმოებნი უნდა დამზადებულ იქნან საშუალო აუცილებელი შრომის დახარჯვით. თუ შრომის რომელსამე დარგში დღეს, მაგ., 10,000 მან. შეადგენს უმცირეს თანხას (მინიმალურს), რომელიც დაბანდულ უნდა იქნას საქმეში, რომ მან გაუძლოს მეტოქეობას, შესაძლებელია, რომ შრომის ახალი მეთოდების შემოღებით, მაგ., უფრო დიდი მაშინების, 20 წლის შემდეგ მინიმალური თანხა აიწევს 25,000 მანეთამდე; ის კაპიტალისტი, რომელმაც დაიწყო საქმე 10,000 მანეთით, მაგრამ რომელმაც მხედველობაში არ მიიღო ზედმეტი ღირებულების საკმარისი თანხა შეეგროვებია და რომელსაც, ამის გამო, 20 წლის შემდეგ 25,000 მან. მაგიერ ექნება მხოლოთ 15,000 მანეთი, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს მოცილეობის ატანას და გაკოტრდება. მაგრამ კაპიტალისტში საკმარისათ ძლიერია შეგროვებისადმი მიდრეკილება და ამ მხრით მას წაქეზება არ ესაჭიროება. კაპიტალისტურ წარმოებაში ვითარდება შეგროვების ძლიერი წყურვილი, თვით შეგროვებისთვის სწორეთ ისე, როგორც საქონლის პირველ დაწყებით წარმოებაში ვითარდება მევახშის გაუმაძღარი წყურვილი სიმდიდრის შესაგროვებლათ. როგორც ამ სიმდიდრის შეგროვებამ, ისე სწორეთ კაპიტალის შეგროვებამაც საზღვარი არ იცის. რა გინდ დიდი იყოს კაპიტალის შემოსავალი, რამდენათ ეს შემოსავალი არ აღემატებოდეს მის მოთხოვნებს, იგი მაინც ეცდება ახალი ზედმეტი ღირებულების აღებას არა თავის მოთხოვნილების გასაფართოებლათ, არამედ თავის კაპიტალის გასადიდებლათ.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია საესებით პირუთვნელათ არკვევდა შეგროვების მიზეზებს და შედეგებს, ერთი მხრით, და კაპიტალისტების კლასის მოთხოვნილებათ —მეორე მხრით. იგი იხილავდა კაპიტალის შეგროვებას მხოლოთ

მისი ეკონომიური მხრიდან და სრულებით არ ეხებოდა მის ზნეობრივ მხარეს, რაც, რა თქმა უნდა, მეტათ არა ზნეობრივი იყო.

მაგრამ ამ დროს გამოფხიზლების გზას დაადგა პროლეტარიატი, და მასში იწყო განვითარება კლასობრივმა შეგნებამ. მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლების დამლევს, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში მუშათა მოძრაობა საკმარისათ საგრძნობელი შეიქნა, ახლა უკვე იმდენათ საჭირო აღარ იყო ეკონომიურ კითხვების გამოკვლევა, არამედ საჭირო იყო კაპიტალის გამართლება. პოლიტიკურ ეკონომიაში შემოტანილ იქნა „ეთიკა“ და ეს პატივცემული „ქალბატონი“ სიბერის დროს სათნოებიანი შეიქნა. ცოდნა მეორე ხარისხოვან საქმეთ გარდაიქცა, სამაგიეროთ „გრძნობა“ წინ იქნა წამოსკუპებული, და ამ გრძნობის საშუალებით აღმოაჩინეს, რომ კაპიტალისტი გასაშტერებელ გმირობას იჩენს, როცა იგი ზედმეტი ღირებულების მოხმარაზე უარს ამბობს და მას აგროვებს. რომ ეს წმინდანი ღირსია თაყვანისცემის და მადლობის მუშების მხრით—ეს თავის თავათ იგულისხმებოდა, მაგრამ ვინაიდან ამ წმინდანს, მიუხედავათ მთელი თავის მომჭირნეობისა, არ შეეძლო ცხოვრება მარტო მადლობით და თაყვანისცემით, ამიტომ ეკონომისტებმა იცნეს მისი ზნეობრივი უფლება დაჯილდოებაზე დაუჯილდოებელ შრომის შეგროვებისათვის: ამნაირათ უხერხული სიტყვა „მოგება“ შეცვლილ იქნა: „დაჯილდოება მომჭირნეობისთვის“.

3. მუშის მომჭირნეობა და სხვა გარემოებანი, რომლებსაც გავლენა აქვთ შეგროვების სიდიდეზე.

რამდენათ უფრო დიდია კაპიტალისტის მომჭირნეობა, უფრო მეტია შეგროვება. მაგრამ კაპიტალისტების საბედნიეროთ, არსებობენ კიდევ სხვა ფაქტორებიც, რომლებსაც გავლენა აქვთ შეგროვების სიდიდეზე. ყოველივე ის, რაც ადიდებს ზედმეტ ღირებულების რაოდენობას, სხვა თანასწორ პირობებში, ადიდებს აგრეთვე შეგროვების სიდიდესაც. ჩვენ

უკვე ვიცით ის მიზეზები, რომლებზედაც დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების რაოდენობა. მოვიხსენიოთ აქ იმათგან ისეთები, რომლებიც ჩვენ მიერ მიღებულ თვალთახედვის წერტილიდან ღებულობენ ახალ განმარტებას. იმათგან საყურადღებოთ უნდა ჩაითვალოს მუშის მომჭირნეობა. აშკარაა, რომ რამდენათ უფრო მცირეა სამუშაო ხელფასი, იმდენათ უფრო მაღლაა ზედმეტი ღირებულების ნორმა, იმდენათ უფრო მეტია თუ კაპიტალისტის მოხმარა დარჩა წინანდელი,— ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც შეგროვებისათვის არის დანიშნული. ყოველივე ის, რაც დაბლა სწევს სამუშაო ძალის ღირებულებას, ხელს უწყობს სამუშაო ხელფასის ამ ღირებულების დაბლა დაწევას, ყოველივე ეს შველის კაპიტალის შეგროვებას. აქედან წარმოსდგება კაპიტალის და მისი დამცველების შეძრწუნება მუშების „ფუფუნების“ გამო, რომლებიც სიგარის წევით და ლუდის სმით ძირს უთხრიან „ხალხის კეთილდღეობას“. ზღაპარმა შამპანიური ღვინის შესახებ, რომელიც ვითომც 1872 წელს ბერლინელ მუშას დაელიოს, შემოვლო მთელი კაპიტალისტური პრესა, როგორც სამარცხვინო დაღმა მუშათა მთელი კლასისათვის.

გასაოცარი გამოგონების ნიჭით, კაპიტალისტური ქვეყანა იგონებდა სხვა და სხვა საშუალებებს და ღონისძიებებს, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოთ მუშების მომჭირნეობისთვის. რუმფორდის სუპიდან დაწყებული სახალხო სამზარეულომდე და ვეგეტარიანობამდე. მარქსს თავის „კაპიტალში“ მოყავს რამდენიმე მაგალითი ასეთ გამოგონებისა; ვისაც სურს ამ საგანს უფრო დაწვრილებით გაეცნოს. მას ჩვენ ვურჩევთ წაიკითხოს „კაპიტალის“ ეს ადგილი.

კაპიტალისტისთვის მეტათ არა სასიამოვნოა ის გარემოება, რომ საქმის ყოველივე გაფართოება თხოულობს შედარებით მუდმივი კაპიტალის უფრო მეტ დახარჯვას; ეს დახარჯვა სხვილ მრეწველობაში მაშინების გაუმჯობესობასთან ერთათ მუდამ მატულობს და იზრდება. მაგრამ თუ წარ-

მოებისათვის საჭირო მუდმივი კაპიტალი უკვე არის, იმ შემთხვევაში კაპიტალისტს შეუძლია თავი ინუგეშოს მით, რომ წარმოება, ამა თუ იმ საზღვრებამდე, შეიძლება გაფართოებულ იქნას დამატებითი ცვალებადი კაპიტალის გამოყენებით მუდმივი კაპიტალის ამის მიხედვით გაუდიდებლათ. თუ კაპიტალისტის საქმე კარგათ მიდის და მას სურს წარმოების გადიდება, მას შეუძლია ამის მიხწევა სამუშაო დროის გაგრძელებით 2—3 საათით, მაშინ მას არ დასჭირდება ახალი მაშინების ყიდვა, ახალი საფაბრიკო შენობების აგება. მან მხოლოთ უნდა მოუმატოს, ნედლ და დამხმარებელ მასალის რაოდენობას.

მაგრამ არის მრეწველობის ისეთი დარგი, სადაც სრულებით საჭირო არ არის არავითარი ნედლი მასალა, მაგ. მაღაროები, ან მხოლოთ ძლიერ ცოტა, მაგ.: მეურნეობაში საჭიროა მხოლოთ თესლი და სასუქი. ეს მრეწველობის ის დარგებია, რომლებიც ნედლ მასალას მიწიდან შოულობენ. იქ ხშირათ საკმარისია მუშების რიცხვის მომატება, რომ ნაწარმოების რაოდენობა გადიდდეს. ეს გადიდება ნაწარმოების რაოდენობისა ხდება მაშინ, განსაკუთრებით მიწის და შრომის მეოხებით, მაგრამ კაპიტალმა დაიპყრო ორივე და ამის მეოხებით იგი იძენს შეძლებას „გააფართოვოს თავის შეგროვების ელემენტები იმ ფარგალს იქით, რომელსაც საზღვრავს მისი საკუთარი სიდიდე, ე. ი. ღირებულება და წარმოების უკვე შექმნილ საშუალებათა რაოდენობა, რომლებშიაც იგი (კაპიტალი) განხორციელებულია“.

კაპიტალმა დაიპყრო არა მარტო მიწა და მუშები, არამედ აგრეთვე მეცნიერებაც. თუმცა იგი, როგორც ასეთი, არ ღებულობს არავითარ მონაწილეობას მეცნიერების წინ-მსვლელობაში, მაგრამ მხოლოთ მას ეკუთვნის ის ნაყოფი, რომელიც გამოიღო და იღებს მეცნიერების წარმატება, რაც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას. მეცნიერება ამით შველის კაპიტალის შეგროვებას. შრომის წარმოებითი ძალის მაღლა აწევით ძირს ეცემა სამუშაო ძალის ღირებულება,

მაღლა იწევს ზედმეტი ღირებულების ნორმა; შრომის ნაყოფიერების ზრდა საშუალებას აძლევს აგრეთვე კაპიტალისტს შეიძინოს თავისი პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ არსებობის და ფუფუნების საგნების მეტი რაოდენობა ზედმეტი ღირებულების დახარჯვის გაუდიდებლათ, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების ზრდის მეოხებით ამ საგნების ღირებულებამ დაბლა დაიწია,—ან შეიძინოს იგივე რაოდენობა, რაც წინეთ, მაგრამ უფრო ნაკლებათ; ან უკეთესათ იცხოვროს,—ან უფრო მეტი შეაგროვოს, თავისი მოთხოვნების შეუმცირებლათ, ხშირათ ერთიც და მეორეც ერთ და იმავე დროს.

რამდენათ უფრო დიდია დაბანდული კაპიტალი, იმდენათ უფრო ნაყოფიერია შრომა, მაგრამ იმდენათ უფრო მეტია ზედმეტი ღირებულების არა მარტო ნორმა, არამედ მისი რაოდენობაც, და იმდენათ კაპიტალისტს უფრო მეტი შეუძლია დახარჯოს და იმავე დროს შეაგროვოს.

უკვე ნათქვამიდანაც ჩანს, რომ კაპიტალი სრულებით არ არის მუდმივი სიდიდე, არამედ პირიქით, იგი მეტათ გამწევი, ელასტიური, სიდიდეა, რომელსაც შეუძლია, როგორც გაფართოება, ისე მოკუმშვა, როგორც გადიდება, ისე დაპატარავება. კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოებრივი სიმდიდრის მხოლოთ ნაწილს, და მას შეუძლია გადიდება ამ უკანასკნელის სხვა ნაწილების ანგარიშზე—კაპიტალისტების კლასის, და მუშის სახმარი თანხის (ფონდის), ან დაკლება ამ თანხების სასარგებლოთ. კაპიტალის მოქმედება იზრდება, სამუშაო დღის გაგრძელების მეოხებით, შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევით, მიწის შემუშავების (ექსპლოატაციის) გაძლიერებით. ჩვენ სრულებით უყურადღებოთ ვტოვებთ აქ ტრიალით პროცესის მოვლენებს, მაგ., კაპიტალის ჩქარ თუ ნელ ტრიალს, კრედიტულ სისტემას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაპიტალის და მისი მოქმედების სარბიელის გასაფართოებლათ და შესავიწროებლათ. ყველა ამის განხილვა ჯერ აქ არ შეიძლება. მაგრამ წარმოების პროცესის განხილვას

ჩვენ უკვე უნდა დავერწმუნებიეთ იმაში, რომ კაპიტალს შეუძლია როგორც გაფართოვება, ისე დაპატარავება; მიუხედავათ ამისა, ეკონომისტებს კაპიტალი მიაჩნიათ განსაზღვრულ სიდიდეთ მოქმედების განსაზღვრული ძალითურთ. იმათ ცვალებადი კაპიტალიც წარმოდგენილი აქვთ მუდმივ სიდიდეთ, ეგრეთ წოდებულ „მუშების ფონდათ". „ესა და ეს კაპიტალი", აცხადებენ ისინი, „დანიშნულია სამუშაო ხელფასათ". რამდენათ უფრო მეტია მუშები, იმდენათ უფრო ნაკლებია თითოეული იმათგანის შესახვედრი ნაწილი. რამდენათ უფრო ნაკლებია მუშების რიცხვი, იმდენათ უფრო მეტია ეს ნაწილიო". ეკონომისტები აგრეთვე განსხვავებას ვერ ხედავდენ ცვალებად კაპიტალსა და მუშების სახმარ საგნებს შორის და ამიტომ ამტკიცებდენ: „საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვი და იმათი ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია საცხოვრებელ, სახმარ, საშუალებათა რაოდენობაზე. თუ სამუშაო ხელფასი ძლიერ დაბლა დგას, ან თუ მრავალ მუშებს არ შეუძლიათ საქმის შოვნა, ეს მხოლოთ იმიტომ ხდება ასე, რომ მუშების რიცხვი იზრდება უფრო ჩქარა, ვინემ არსებობის საშუალებათა რაოდენობა არა წარმოების წესს, არამედ ბუნებას მიუძღვის დანაშაული იმაში, რომ მუშათა კლასი სილატაკეში იმყოფებაო".

ასეთ მოსაზრებებზე იყო აშენებული ეგრეთ წოდებული მალტუსის თეორია.

თავი V

მოჭარბებულნი მცხოვრებნი

1. სამუშაო ხელფასის რკინის კანონი

როგორც ვიცით, მალტუსიანელები ამტკიცებენ, რომ მუშები, თავის „მსუბუქ ჩვეულებათა" მეოხებით, მრავლდებიან უფრო ჩქარა, ვინემ იზრდება არსებობის საშუალებათა რაოდენობა, რომელიც იმათ განკარგულებაშია, ანუ უფრო სისწორით რომ ვთქვათ, ვინემ იზრდება ცვალებადი კაპი-

ტალი. ეს იწვევს მოჭარბებულ მცხოვრებთ (Перенаселеніе —Uebervölkerung), იწვევს იმას, რომ იმ მუშების რიცხვი, რომლებიც კაპიტალისტებს თავის შრომას აწვდიან, უფრო მეტია, ვინემ კაპიტალისტებს შეუძლიანთ მათი დაქირავება, და არსებობის საშუალებანი ყველას აღარ ყოფნის. მაშასადამე, სანამ მუშების გამრავლება შემოკლებული არ იქნება, მანამ უმუშევრობა, და აქედან გამოწვეული სიმშილი, ზნედაცემულობა და სიღატაკე აუცილებელი ხვედრი იქნება მუშათა კლასის ერთი ნაწილისათვის მაინც.

ასე ამბობენ მალტუსის მიმდევრები. განვიხილოთ ახლა, მარქსის ხელმძღვანელობით, თუ როგორია მართლა ნამდვილი დამოკიდებულება—ურთიერთობა კაპიტალის ზრდასა და მუშათა კლასის გამრავლებას შორის.

„ყველაზე უფრო საყურადღებო ფაქტორს ამ გამოკვლევაში,—ამბობს მარქსი,—შეადგენს კაპიტალის შენობა და ის ცვლილებები, რომლებსაც განიცდის ეს შენობა შეგროვების პროცესის დროს“.

-კაპიტალის შენობა შეგვიძლია ორ ნაირათ გავიგოთ. ღირებულების მხრით, კაპიტალის შედგენილობა (შენობა) განისაზღვრება მისი ორივე ნაწილის დამოკიდებულებით—ესე იგი: მუდმივი კაპიტალის, ანუ წარმოების საშუალებათა ღირებულების, და ცვალებადი კაპიტალის, ანუ სამუშაო ძალის ღირებულების, სამუშაო ხელფასის საერთო რაოდენობით. მასალის მხრით, როგორც იგი მოქმედობს ნაწარმოების პროცესში, თითოეული კაპიტალი იყოფა წარმოების საშუალებებზე და ცოცხალ სამუშაო ძალაზე ეს დაყოფა განისაზღვრება ურთიერთობით წარმოების საშუალებათა რაოდენობას შორის, ერთი მხრით, და შრომის იმ რაოდენობას შორის, რომელიც საჭიროა იმათ მოსახმარათ, მეორე მხრით. პირველს მე ვუწოდებ კაპიტალის შედგენილობას ღირებულობის მიხედვით (Werthzulammensetzung), მეორეს—კაპიტალის ტეხნიკურ შენობას. მათ შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთობა. ამის გამოსახატავათ მე ვუწოდებ კაპიტალის შედგენი-

ლობას ღირებულების მიხედვით, რამდენათაც იგი განისაზღვრება ტეხნიკური შენობით და რამდენათაც იმაში გამოკრთიან ის ცვლილებანი რომლებიც უკანასკნელში ხდება, კაპიტალის ორგანიულ შენობათ. სადაც ჩვენ ლაპარაკი გვექნება კაპიტალის შედგენილობაზე, თუ ამას განსაზღვრა არ მოსდევს, იქ ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ მისი (კაპიტალის) ორგანიული შენობა".

სხვა და სხვა კერძო კაპიტალებში ეს შედგენილობა სხვა და სხვაა. ჩვენ აქ ვღებულობთ საზოგადოებრივი კაპიტალის საშუალო შედგენილობას. ამ თავდაპირველ განმარტების შემდეგ შეუდგეთ ჩვენ გამოკვლევას.

უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ უმარტივესი შემთხვევა: შეგროვება ხდება კაპიტალის შედგენილობაში ცვლილების გამოუწვევლათ, ე. ი. წარმოების საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობა თხოულობს ყოველთვის სამუშაო ძალის ერთ და იმავე რაოდენობას. უფრო მეტი თვალსაჩინობისთვის, ავიღოთ კაპიტალი 50,000 მან., რომლის სამი მეოთხედი ნაწილი (37,500 მ.) შეადგენს მუდმივს და ერთი მეოთხედი (12,500 მ.) —ცვალებად კაპიტალს. თუ 12,500 ზედმეტი ღირებულებიდან 10,000 მან. შეუერთებთ წინანდელ კაპიტალს, მაშინ დამატებითი კაპიტალი, ჩვენი წარმოდგენით, გაიყოფება იმავე პროპორციით (ურთიერთობით) როგორც წინანდელი; საერთო კაპიტალი ახლა შედგენილი იქნება 47,500 მან. მუდმივი კაპიტალისაგან და 15,000 მან. ცვალებადი კაპიტალისაგან. უკანასკნელი გაიზარდა იმავე პროპორციით, როგორც პირველი, სახელდობ 20%, მაგრამ იმისთვის, რომ ახალმა დამატებითი კაპიტალმა ღირებულების შექმნა შეძლოს, საჭიროა დამატებითი სამუშაო ძალა. ზედმეტი ღირებულებას—10,000 მანეთს, რომელიც დანიშნულია შეგროვებისათვის, მხოლოთ იმ შემთხვევაში შეუძლია კაპიტალათ გადაქცევა, როცა მუშების რიცხვი, რომლებიც კაპიტალის განკარგულებაში იმყოფება, აგრეთვე 20% გაიზრდება. თუ მუშების რაოდენობა, როცა კაპიტალის შედგენილობა უცვლელი რჩება, ისე

ჩქარა არ მატულობს, როგორც კაპიტალი, იმ შემთხვევაში სამუშაო ხელის მოთხოვა უფრო ჩქარა იზრდება, ვინემ იმის მიწოდება, და სამუშაო ხელფასი მაღლა იწევს.

ასეთი შემთხვევა აქვთ მხედველობაში მალტუსის მომხრეებს, როცა ისინი „სოციალური საკითხის“ გადასაწყვეტათ ურჩევენ მუშებს გამრავლების შეზღუდვას. ამასთანავე უწინარეს ყოვლისა ისინი არ იღებენ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტური ურთიერთობანი, ურთიერთობანი კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შორის, სამუშაო ხელფასის მაღლა აწევით სრულებით არ ქრებიან. კაპიტალის შეგროვება ნიშნავს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განახლებას უფრო გადიდებული სახით, ნიშნავს კაპიტალების ზრდას, ერთი მხრით ზედმეტი ღირებულების და დაუჯილდოებელი შრომის რაოდენობის ზრდას, და მეორე მხრით—პროლეტარიატის რაოდენობის ზრდას.

თითქმის მაშინაც კი, როცა კაპიტალის შეგროვება მაღლა წევს შრომის ფასს, იმ შემთხვევაშიაც ეს წარმოუდგენელია უიმისოთ, რომ იმავე დროს არ იმატოს პროლეტარიატის რიცხვმა, უიმისოთ, რომ კაპიტალის ბატონობის სფერა არ გაფართოვდეს.

მაგრამ სამუშაო ხელფასს არასოდეს არ შეუძლია ისე მაღლა აიწიოს, რომ მან განსაცდელში ჩააგდოს ზედმეტი ღირებულება. ამიტომ კაპიტალი არასოდეს არ იყიდის სამუშაო ძალას ისეთ ფასში, რომელიც შეუძლებლათ გახდიდა ზედმეტი ღირებულების შექმნას.

სამუშაო ხელფასის მაღლა აწევა, რომელიც გამოწვეულია კაპიტალის შეგროვების მეოხებით, შესაძლებელია ორ შემთხვევაში: ან შრომის ფასის მაღლა აწევა არ აფერხებს კაპიტალის შეგროვების წინსვლას—თუმც ზედმეტი ღირებულების ნორმაც რომ დაბლა დაეშვას, მიუხედავათ ამისა, იმავე დროს შეიძლება იმატოს ზედმეტი ღირებულების რაოდენობამ, შეგროვების მეოხებით. „აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში დაუჯილდოებელი შრომის შემცირება არაფრით ხელს

არ უშლის კაპიტალის ბატონობის გაფართოებას". ან და შეგროვება სუსტდება, რადგანაც დიდი მოგებით გატაცება ქრება. შეგროვება კლებულობს, და მასთან ერთათ სამუშაო ხელფასის მაღლა აწევის მიზეზიც ქრება. უკანასკნელი ეცემა ისეთ ხარისხამდე, რომელიც შეეფერება კაპიტალის მოთხოვნილებას ღირებულების შექმნაში. კაპიტალისტური წარმოების მექანიზმი, მაშასადამე, თითონ იშორებს თავიდან იმ დაბრკოლებებს, რომლებიც მან შექმნა."

ჩვენ ვხედავთ აქ თავისებურ ურთიერთ დამოკიდებულებას ფას-გადახდილ და ფას-გადაუხდელ (დაჯილოვებულ და დაუჯილდოებელ) შრომას შორის. „თუ ფას-გადაუხდელ შრომის რაოდენობა, რომელსაც იძლევა მუშათა კლასი და რომელსაც აგროვებს კაპიტალისტების კლასი, ისე ჩქარა იზრდება, რომ მისი კვლავ კაპიტალათ გადაქცევა თხოულობს დამატებით ფას-გადახდილ შრომას, იმ შემთხვევაში სამუშაო ხელ-ფასი მაღლა იწევს, და თუ დანარჩენი პირობები უცვლელი რჩება, ფას-გადაუხდელი შრომა შედარებით კლებულობს, მაგრამ როგორც კი ეს დაკლება მიაღწევს იმ საზღვარს, როცა ზედმეტი შრომა, რომელიც კაპიტალს ასაზრდოებს, არ შეიძლება მიწოდებულ იქნას უფრო მეტი, იმ შემთხვევაში ხდება რეაქცია: შემოსავალის მხოლოთ მცირე ნაწილი იქცევა კაპიტალათ, შეგროვება ფერხდება, სუსტდება, და სამუშაო ხელფასის მაღლა აწევა ჩერდება. ამნაირათ, შრომის ფასის მაღლა აწევა მომწყვდეულია ამა თუ იმ საზღვრებში, რომლებიც არა თუ სტოვებენ ხელუხლებლათ კაპიტალისტური წარმოების სისტემის საფუძველს, არამედ უზრუნველ ყოფენ მის განახლებას უფრო გადიდებული სახით".

კაპიტალის შეგროვებაში აწევ-დაწევა, აქეთ-იქით გადახრ-გადმოხრა, რომელიც იქერს სამუშაო ხელ-ფასს ამა თუ იმ საზღვრებში, ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, ეჩვენებათ როგორც იმ დაქირავებულ მუშების რაოდენობის აწევ-დაწევა, გადახრ-გადმოხრა, რომლებიც თავის სამუშაო ძალას აწვდიან კაპიტალებს. ისინი ისევე ცდებიან, როგორც ის ადამიანები,

რომლებიც ფიქრობენ, რომ მზე მიწის გარშემო ტრიალებს.*) თუ კაპიტალის შეგროვება ფერხდება, მაშინ თითქო ასე გამოდის, რომ მუშების რიცხვი ჩვეულებრივზე უფრო ჩქარა იზრდება; თუ იგი უფრო აჩქარებული ნაბიჯით მიდის წინ, მაშინ გეგონებათ, რომ მუშების რიცხვი კლებულობს, ან ისინი მრავლდებიან უფრო ნაკლებათ, ვინემ წინეთ. მაშინ, როცა, როგორც მკითხველების უმეტესობამ იცის, იმ ფაქტს, რომ სამუშაო ხელფასი მატულობს და კლებულობს ამა თუ იმ საზღვრების გადაუცილებლათ,—ეგრეთ წოდებულ სამუშაო ხელფასის „რკინის კანონს“ ხსნიდენ მით, რომ, თუ სამუშაო ხელფასი მაღლა იწევს, მუშები ჩქარა მრავლდებიან და გადიდებული მიწოდება კვლავ დაბლა წევს ხელფასს; სამუშაო ხელფასის დაბლა დაწევა კი აძლიერებს გაჭირვებას და სიკვდილს მუშათა კლასში, რაც იწვევს მუშათა ხელის მიწოდების დაკლებას, და სამუშაო ხელ-ფასი კვლავ მაღლა იწევს.

ამ ახსნის წინააღმდეგ ამბობს უკვე ის უბრალო ფაქტიც, რომ, როგორც საყოველთაოთ ცნობილია, სამუშაო ხელფასი ტოკავს არა ერთი თაობიდან მეორე თაობამდე, არამედ ბევრათ უფრო ნაკლები ხნის განმავლობაში. მაგრამ ამას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

---

*) მარქსი ამბობს: «როცა სამრეწველო ციკლი (ტრიალი) კრიზისის ფაზისში იმყოფება, საქონლების ფასების საერთო დაბლა დაწევა ჩნდება ფულის შედარებითი ღირებულების მაღლა აწევის სახით, და როცა იგი (სამრეწველო ციკლი) აღყვავების ხანაში იმყოფება, მაშინ საქონლების ფასების საერთო მაღლა აწევა ჩნდება ფულის ღირებულების დაბლა დაწევაში. ეგრეთ წოდებულ „currency schule“-ს (ბურჟუაზიულ ეკონომისტების ჯგუფი ინგლისში) აქედან ის დასკვნა გამოყავს, რომ პირველ შემთხვევაში მეტათ ცოტა ფული ტრიალებს, მეორე შემთხვევაში კი— მეტათ ბევრი. ასეთსავე უვიცობას და ფაქტების გაუგებრობას იჩენენ ის ეკონომისტები, რომლებიც შეგროვების მოელენებს ხსნიან იმით, რომ ერთ შემთხვევაში საკირაო მუშების რიცხვი ძლიერ ცოტაა, მეორეში კი ძლიერ ბევრი».

2. სათადარიგო სამრეწველო ჯარი

აქამდის ჩვენ ვგულისხმობდით, რომ შეგროვების პროცესი ხდება კაპიტალის შედგენილობის უცვლელათ. მაგრამ შეგროვების პროცესის დროს ასეთი ცვლილებანი დროითი-დროით აუცილებლათ ხდებიან.

შრომის წარმოებითი ძალის ყოველგვარი ცვლილება გავლენას ახდენს კაპიტალის ტეხნიკურ შედგენილობაზე. წარმოების საშუალებათა რაოდენობა, რომელსაც მუშა, თუ დანარჩენი პირობები უცვლელი რჩება, აქცევს ნაწარმოებათ, მატულობს მისი შრომის ნაყოფიერების მატების დროს. მატულობს ნედლი მასალის რაოდენობა, რომელსაც მუშა ნაწარმოებათ აქცევს, მატულობს იარაღის რაოდენობაც, რომელსაც იგი მუშაობის დროს იყენებს და სხ. ერთი სიტყვით, შრომის ნაყოფიერებასთან ერთათ მატულობს აგრეთვე წარმოების საშუალებათა რაოდენობა შედარებით იმ შრომასთან, რომელსაც მათზე ხმარობენ, ან რაც ერთი და იგივეა, დახარჯული შრომის რაოდენობა კლებულობს შედარებით წარმოების საშუალებათა იმ რაოდენობასთან, რომელიც მას (შრომას) მოძრაობაში მოყავს.

კაპიტალის ტეხნიკური შედგენილობის ასეთი ცვლილება, თავის მხრით, მოქმედობს მის შედგენილობაზე ღირებულების მიხედვით. ეს ცვლილება ჩნდება აქ ცვალებადი კაპიტალის შედარებითი დაკლების და მუდმივი კაპიტალის გადიდების სახით. მაგრამ ეს უკანასკნელი ცვლილებანი სავსებით არ ეთანხმებიან კაპიტალის ტეხნიკური შედგენილობის ცვლილებებს, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთათ არა მარტო მატულობს წარმოების საშუალებათა რაოდენობა, რომლებსაც იგი ხმარობს, არამედ აგრეთვე იმათი ღირებულება დაბლა იწევს, თუმც უფრო ნაკლები ხარისხით იმათ რაოდენობასთან შედარებით. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, მაგ., სართავ მრეწველობაში დაბანდული კაპიტალის ნახევარი დაახლოებით ცვალებად კაპიტალზე მიდიოდა.

ნედლი მასალის, იარაღების და სხვა რაოდენობა, რომელსაც ახლა სართავი ფაბრიკის პატრონი ხმარობს, იმოდენივე შრომის დახარჯვით, რამდენიმე ასჯერ მეტია, ვინემ მაშინ, ღირებულების მხრით ურთიერთობა კი მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის შეიცვალა შედარებით უფრო ნაკლებათ: მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის დამოკიდებულება ახლა დაახლოვებით გამოიხატება, როგორც 7: 1.

ყოველ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების ზრდა კაპიტალისტურ წარმოებაში ნიშნავს ცვალებადი კაპიტალის შედარებით დაკლებას.

მაგრამ შრომის ნაყოფიერება და კაპიტალის შეგროვება მჭიდროთ დამოკიდებულია ერთი მეორეზე.

საქონლის წარმოება გულისხმობს კერძო საკუთრების წარმოების საშუალებებზე; შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალის განვითარება კი გულისხმობს ფართო კოოპერაციას, დიდ შენობებს, დიდძალ ნედლ მასალას და იარაღებს და სხვ. წარმოების საშუალებათა ასეთი დიდი რაოდენობის თავისმოყრა (კონცენტრაცია) ცალკე პირების ხელში შესაძლებელია საქონლის წარმოების ბატონობის დროს მხოლოთ მაშინ, როცა ინდივიდუალური (კერძო) კაპიტალები უკვე საკმარისათ მოგროვებული არიან. „საქონლის წარმოების ნიადაგი შესაძლებლათ ხდის დიდ ფარგალში, წარმოებას მხოლოთ კაპიტალისტურ ფორმაში“. მაშასადამე, კაპიტალის შეგროვების ესა თუ ის სიდიდე არის თავდაპირველი პირობა შრომის საწარმოო ძალის ამა თუ იმ სიდიდისა. მაგრამ შრომის საწარმოო ძალის თითოეული საშუალება ხდება კაპიტალისტურ წარმოებაში ზედმეტი ღირებულების გაძლიერებული წარმოების საშუალებათ, და ამით იგი შესაძლებლათ ხდის გაძლიერებულ შეგროვებასაც. უკანასკნელი გარემოება, თავის მხრით, შესაძლებლათ ხდის წარმოების გაფართოებას, რომელიც შრომის ნაყოფიერების ახალი გადიდების მიზეზათ ხდება. კაპიტალის შეგროვება და შრომის საწარმოო ძალა სულ უფრო და უფრო ხელს უწყობენ ურთიერთ განვითარებას.

კერძო კაპიტალების ზრდას, შეგროვების საშუალებით, ეწინააღმდეგება იმავე დროს უკვე არსებულ კაპიტალების დაყოფა, მაგ., გაყოფა ანდერძით, გამოყოფა ახალ დამოუკიდებელ კაპიტალების. მაგრამ ეს დაბრკოლება ისპობა არსებულ კაპიტალების თავისმოურით, ცენტრალიზაციით, შეერთებით, როგორც ეს ხდება წვრილ კაპიტალების სხვილ კაპიტალების მიერ ჩანთქმით.

ეს ცენტრალიზაცია იწვევს ნაყოფიერების გადიდებას და კაპიტალის ტეხნიკური შედგენილობის ცვლილებას ისე, როგორც შეგროვება. მეორე მხრით, შეგროვება და ცენტრალიზაცია ერთი-მეორეს ეხმარებიან. რამდენათ უფრო დიდ კაპიტალს შეავგროვებ, იმდენათ უფრო ჩქარა, მეტოქეობის დროს, იგი დაამარცხებს და ჩანთქავს წვრილ კაპიტალებს. რამდენათ უფრო მეტი წვრილი კაპიტალი ჩანთქა ჩემმა კაპიტალმა, იმდენათ უფრო მეტი იქნება შრომის ნაყოფიერება და შეგროვება. ვეებერთელა კაპიტალების თავისმოყრა რამდენიმე კაცის ხელში ადიდებს შრომის ნაყოფიერებას მრეწველობის არა მარტო იმ დარგებში, რომლებიც. უკვე დაპყრობილია წარმოების კაპიტალისტურ წესით. წვრილ კაპიტალების მთელი რიგი, რომლებიც სხვილმა მრეწველობამ გამოაძევა, მიეშურება ისეთ დარგებში, სადაც წარმოების კაპიტალისტურ წესს ჯერ კიდევ არ მოუკიდია ფეხი, სადაც წვრილ კაპიტალს ჯერ ჯიდევ შეუძლია მოცილეობის ატანა, და ამნაირათ იგი ამზადებს იქ ნიადაგს კაპიტალიზმის ასაუვავებლათ.

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი განიცდის მუდმივ ტეხნიკურ რევოლიუციას, რომლის შედეგია მუდმივი კაპიტალის პროგრესიული ზრდა, ერთი მხრით, — და ცვალებადი კაპიტალის შედარებით დაკლება, მეორე მხრით

მაგრამ ეს შედარებითი დაკლება ცვალებადი კაპიტალისა ხდება გაცილებით უფრო ჩქარა, ვინემ შეგროვება. შეგროვების მიერ წარმოშობილი კაპიტალი, მის სიდიდესთან

შედარებით, სულ უფრო და უფრო ნაკლებ დამატებით მუშებს აძლევს სამუშაოს. შეგროვებასთან ერთათ ძველი კაპიტალიც რევოლიუციონურ როლს თამაშობს. თუ რომელიმე მაშინა ცვდება, მაშინ ტეხნიკური პროგრესის მეოხებით მის ადგილს იჭერს არა ისეთივე, არამედ უფრო გაუმჯობესებული მაშინა, რომლის საშუალებით მუშა ამზადებს უფრო მეტ ნაწარმოებს, ვინემ წინეთ. ძველი კაპიტალი ახლდება სულ უფრო და უფრო ნაყოფიერ ფორმაში, მაგრამ ამის შედეგი ის არის, რომ იგი სულ უფრო და უფრო მეტ მუშებს ათავისუფლებს, რომლებიც წინეთ საქმეში იყვენ ჩაყენებული.

ცენტრალიზაცია უძლიერესი იარაღია ძველი კაპიტალის ასე გარდასაქმნელათ. რამდენათ უფრო ჩქარა ხდება ძველი კაპიტალის თავისმოყრა (ცენტრალიზაცია) და ტეხნიკური რევოლიუცია, იმდენათვე ჩქარა უნდა ხდებოდეს ახალი კაპიტალის შეგროვება იმისთვის, რომ საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვმა არ დაიკლოს. მაგრამ რამდენათ უფრო ჩქარა ხდება კაპიტალის შეგროვება, იმდენათ უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ ცენტრალიზაცია და ტეხნიკური რევოლიუცია.

მალტუსის მიმდევრები გვეუბნებიან ჩვენ, რომ მოჭარბებული მცხოვრებნი ჩნდებიან იქიდან, რომ არსებობის საშუალებანი (უფრო სწორეთ რომ ვთქვათ: ცვალებადი კაპიტალი) მატულობენ არითმეთიკული პროგრესით, როგორც რიცხვები: 1:2:3:4:5... და ასე, მაშინ როცა მცხოვრებნი მრავლდებიან გეომეტრიული პროგრესით, როგორც რიცხვები: 1:2:4.8:16 და ასე. მაშასადამე მცხოვრებნი უფრო ჩქარა მრავლდებიან, ვინემ არსებობის საშუალებათა რაოდენობა; ამის ბუნებრივი შედეგებია ცუდი ზნე-ჩვეულებანი და სილატაკე

მაგრამ თუ ნამდვილათ რამე წინ მიდის, ეს ცვალებადი კაპიტალის დაკლება მთელი კაპიტალის ზრდასთან ერთათ. თუ თავდაპირველათ ცვალებადი კაპიტალი შეადგენს მთელი კაპიტალის $^1/_2$, შემდეგ თანდათან ივი ხდება მთელი კაპიტალის $^1/_3$, $^1/_4$, $^1/_5$, $^1/_6$ ნაწილათ და ასე.

ეს უფრო ჩქარი შედარებითი დაკლება კაპიტალის ცვალებადი ნაწილისა, რომელიც ხდება მთელი კაპიტალის უფრო ჩქარ ზრდასთან ერთათ, ამასთანავე დაკლება უფრო ჩქარა მიდის წინ, ვინემ ზრდა, თუ საგანს სხვა მხრით შევხედავთ, პირიქით, გვეჩვენება მუშათა კლასის უფრო ჩქარ აბსოლიუტურ ზრდათ, ვინემ ცვალებადი კაპიტალის ზრდა, ან იმ კაშუალებათა ზრდა, რომლებიც მუშებს სამუშაოს აძლევენ. პირიქით, თვით კაპიტალისტური შეგნება მუდამ ქმნის და, ამასთანავე, თავისი ენერგიის და თავისი სიდიდის შესაფერ, შედარებით მეტ მუშებს, ე. ი. მოჭარბებულს თვით ზრდის მოთხოვნილებებთან შედარებით, და ამიტომ დამატებით, ანუ მოჭარბებულ, მცხოვრებთ".

ცვლილება მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის შედგენილობაში ყველა მის ნაწილებში თანასწორათ არ ხდება. ერთ შემთხვევაში კაპიტალი იზრდება, შეგროვების მეოხებით, მისი ტეხნიკურ საფუძვლის უცვლელათ, ასე რომ საჭიროა მუშათა ხელის შესაფერი დამატებითი რაოდენობა. მეორე შემთხვევაში იცვლება კაპიტალის შედგენილობა, მაგრამ მისი აბსოლიუტური სიდიდე არ მატულობს, ძველი კაპიტალი ახლდება უფრო ნაყოფიერი სახით,—და საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვი კი კლებულობს, როგორც შედარებით, ისე აბსოლიუტურათ და ამ ორ უკიდურეს შემთხვევათა შორის არსებობენ მრავალი საფეხურები, რომლებიც წარმოდგებიან შეგროვების, თავმოყრის (კონცენტრაციის) და ძველი კაპიტალის უფრო ნაყოფიერ ფორმათ.

გადაქცევის ურთიერთ ზეგავლენისგან, ყველა ამის შედეგი არის ან პირდაპირი დათხოვა მუშების, ან უფრო ნაკლებათ შესამჩნევი, მაგრამ დამატებითი მუშების რიცხვის გაძნელებული შთანთქმის არა ნაკლებ ნამდვილი ფორმა მისი ჩვეულებრივი შემოსავლელი თხრილებით. ამნაირათ მუშათა კლასი იმყოფება მუდმივ მოძრაობაში; აქ მას იზიდავენ, იქ მას თავიდან იშორებენ, და ეს მოძრაობა იმდენათ შეუკავშირებელია, რამდენათ უფრო ჩქარა იცვლება კაპიტა-

ლის შედგენილობა, რამდენათ უფრო მეტია შრომის ნაყოფიერება და რამდენათ უფრო ძლიერია კაპიტალის შეგროვება.

მარქსს მოყავს ინგლისის სტატისტიკიდან აუარებელი ცნობები იმის დასამტკიცებლათ, რომ მრეწველობის მრავალ დარგებში საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვი კლებულობს, არა მარტო შედარებით, არამედ კიდევ უფრო ხშირათ აბსოლიუტურათაც. ჩვენ მოგვყავს აქ მხოლოთ ორი მაგალითი, რომელიც ამტკიცებს მუშების რიცხვის აბსოლიუტურათ დაკლებას წარმოების გაფართოებასთან ერთათ; ეს მაგალითები ამოღებულია უკანასკნელ აღწერებიდან.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი გვიხატავს ჩვენ ბამბეულობის მრეწველობის მდგომარეობას ინგლისში 1861—1871 წ.წ.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა	1861 წ.	1871 წ.
ფაბრიკები	2887	2483
თითისტარები	30387467	34695221
ორთქლის საფეიქრო დაზგები	399992	440676
მუშები	456646	450087

აქ ჩვენ ვხედავთ საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვის დაკლებასთან ერთათ ფაბრიკების რიცხვის დაკლებას და თითისტარების და ორთქლის საფეიქრო დაზგების გადიდებას;— ეს კაპიტალის ცენტრალიზაციის და შეგროვების ნიშნებია; მსგავს მოვლენას წარმოადგენს გერმანიის ბეწვეულის მრეწველობის რამდენიმე დარგი, ე. ი. მუშების რიცხვის საგრძნობელი დაკლება წვრილ დაწესებულებებში და სხვილი დაწესებულებების და იმათი მუშების რიცხვის გადიდება. მაშასადამე, ძლიერი ცენტრალიზაცია და კაპიტალის შეგროვება მუშების გამოძევებასთან ერთათ. ასე, მაგ., გერმანიის აბრეშუმის საქსოვ მრეწველობაში ჩვენ ვხედავთ:

წლები	წვრილი წარმოებანი (5 მუშამდე)		საშუალო წარმოებ. (6—50 მუშამდე)		სხვილი წარმოებანი (50 მუშას ზევით)	
	წარმოებ. რიცხვი	მუშების რაოდენ.	წარმოებ. რიცხვი	მუშების რაოდენ.	წარმოებ. რიცხვი	მუშების რაოდენ.
1882	39500	57782	412	4902	69	13580
1895	16527	20484	192	3469	140	32129
მომატ.+ დაკლ.—	—23033	—37298	—220	—1433	+71	+18549

სწორეთ ასევე არის ტილოს საქსოვ მრეწველობაშიაც:

წლები	წვრილი წარმოებანი (5 მუშამდე)		საშუალო წარმოებ. (6—50 მუშამდე)		სხვილი წარმოებანი (50 მუშას ზევით)	
	წარმოებ. რიცხვი	მუშების რაოდენ.	წარმოებ. რიცხვი	მუშების რაოდენ.	წარმოებ. რიცხვი	მუშების რაოდენ.
1882	71915	91039	404	5226	73	7543
1895	34082	43228	291	4598	120	19966
მომატ.+ დაკლ.—	—37833	—47811	—113	—628	+47	+12423

მუშის რაოდენობამ აბრეშუმის საქსოვ და ბამბის საქსოვ მრეწველობაში 13 წლის განმავლობაში იკლო 56198, მაგრამ ეს დაკლება გამოიწვია წვრილი მრეწველობის დაცემამ, ვინაიდან წვრილ წარმოებათა რაოდენობამ ორივე დარგში იკლო 60866, ე. ი. ნახევარზე უფრო მეტით, მაშინ როცა იმათში ჩაყენებულ მუშების რაოდენობა 142-დან 260-დე ავიდა ე. ი. ორჯელ გაიზარდა, და მათში ჩაყენებულ მუშების რაოდენობა კი 21,123-დან ავიდა 52,093-დე, ე. ი. ორჯერ უფრო მეტათ გაიზარდა.*)

აქამდის ჩვენ ვგულისხმობდით. რომ ცვალებადი კაპიტალის მომატებას თუ დაკლებას შეეფერება საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვის მომატება თუ დაკლება. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. თუ ფაბრიკანტი, შრომის ფასის

*) ამ უკანასკნელ დროს გერმანიის მრეწველობის შესახებ გამოქვეყნებულ იქნენ სულ ახალი ცნობები, ე. ი. 1907 წლამდე. ყველა ეს დასკვნები პოულობენ იქ კიდევ უფრო მეტ საფუძველს. **მთარგმ.**

გამოუცვლელათ, გააგრძელებს სამუშაო დროს, იმ შემთხვევაში იმას მოუნდება უფრო მეტი ფულის დახარჯვა სამუშაო ხელფასზე; ცვალებადი კაპიტალი გაიზრდება, მუშების რაოდენობა კი არ გადიდდება, მან შეიძლება კიდევაც დაიკლოს.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთი კაპიტალისტი აძლევს სამუშაოს 1000 მუშას, სამუშაო დღე გრძელდება 10 საათს, დღიური ხელფასი 1 მანეთია. მას სურს თავის საქმეში დააბანდოს კიდევ დამატებითი კაპიტალი. ამის განსახორციელებლათ მას შეუძლია სადგომის გაფართოება, ახალი მაშინების შეძენა, და დამატებითი მუშების დაქირავება; მაგრამ მას შეუძლია აგრეთვე ეს დამატებითი კაპიტალი, რამდენათაც იგი არ უნდა მოხმარდეს ნედლი მასალის შეძენას, მოიხმაროს სამუშაო დროს გასაგრძელებლათ. ვთქვათ, რომ იგი აგრძელებს სამუშაო დროს 5 საათით; შრომის ფასი უცვლელი რჩება; დღიური ხელფასი იქნება მაშინ 1 მან. და 50 კაპ. და ცვალებადი კაპიტალი, თუ დანარჩენი პირობები უცვლელი რჩება, მატულობს 50%, მუშების რიცხვის მოუმატებლათ. მაგრამ თითოეულ კაპიტალისტის ინტერესები თხოულობენ, რომ მან მიახწიოს შრომის რაოდენობის მომატებას სამუშაო დროის გაგრძელებით, ან შრომის მუყაითობის მომატებით, ვინაიდან მუდმივი კაპიტალის რაოდენობა, რომელიც მან უნდა დააბანდოს პირველ შემთხვევაში, მატულობს ბევრათ უფრო ნელი ნაბიჯით, ვინემ უკანასკნელ შემთხვევაში. და ეს ინტერესი იმდენათ უფრო ძლიერია, რამდენათ უფრო სხვილია წარმოება; იგი იზრდება კაპიტალის შეგროვებასთან ერთათ.

თუ, მაგ., შრომის იარაღათ მუშა ხმარობს ბარს, რომელიც ღირს 1 მან., იმ შემთხვევაში კაპიტალისტი სრულებით იმის წინააღმდეგ არ წავა, რომ შრომის რაოდენობის გადიდებას მუშების რიცხვის გადიდების საშუალებით მიახწიოს. მაგრამ სულ სხვა საქმეა, როცა მუშა ხმარობს, როგორც შრომის იარაღს, ისეთ მაშინას, რომელიც ღირს 50,000 მან.

მაგრამ კაპიტალის შეგროვებისთანავე იზრდება არა მარ-

ტო კაპიტალისტების სულისკვეთება მიახწიონ შრომის რაოდენობის გადიდებას მუშების რიცხვის ამის კვალობაზე გაუდიდებლათ, არამედ კლებულობს აგრეთვე მუშათა კლასის ძალა კაპიტალისტების ასეთი სურვილის წინააღმდეგ მიმართული. მოჭარბებული მუშები, რომლებიც კაპიტალის შეგროვებამ წარმოშვა, თავისი მეტოქეობით ამცირებენ საქმეში ჩაყენებულ მუშების წინააღმდეგობას კაპიტალისტების მიმართ. უკანასკნელები ამის გამო იძულებული ხდებიან დათანხმდენ დამატებით შრომაზე. დამატებითი შრომა, თავისი მხრით, ადიდებს მოჭარბებულ მუშების რაზმებს. ერთის უმუშევრობა იწვევს მეორეს დამატებით შრომას და პირიქით.

ამნაირათ, როგორც ჩვენ დავინახეთ, კაპიტალის შეგროვებას და მასთან შეკავშირებულ მოვლენებს: კაპიტალების ცენტრალიზაციას, ძველი კაპიტალის ტეხნიკურ ცვლილებას და სხ. აქვს ტენდენცია (მიდრეკილება) საქმეში ჩაყენებულ მუშების რაოდენობის შემცირების დახარჯულ საერთო კაპიტალთან შედარებით, ხანდისხან აბსოლიუტურადაც.

მაგრამ კაპიტალის შეგროვება ადიდებს იმავე დროს მუშების რაოდენობას, რომლებიც თავის შრომას აწვდიან კაპიტალს, უფრო მეტი ხარისხით, ვინემ მცხოვრებთა რიცხვი მატულობს საზოგადოთ.

მეორე განყოფილებაში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მანუფაქტურა და კიდეე უფრო მეტათ სხვილი მრეწველობა თავის განვითარების პროცესში, სულ უფრო და უფრო იყენებენ უსწავლელ სამუშაო ძალებს ნასწავლ მუშების ადგილას; თუ როგორ მუშის სწავლის ვადა მოკლდება უკიდურეს ხარისხამდე; მუშას ადრე ეძლევა შეძლება შევიდეს კაპიტალის სამსახურში და ახალ სამუშაო ძალების ხელახლათ წარმოშობის დრო მცირდება. იმავე დროს წარმოების მრავალ დარგებში მამაკაცების ადგილს იქერენ დედა კაცები და ბავშები. ამის გამო, არა თუ პირდაპირ მრავლდება მუშების ჯარი; ახალ-გაზრდა ქალების და ყმაწვილ-კაცების ეკონომიური დამოუკიდებლობა, როგორც ის გარემოება, რომ

მშობლები პატარობიდანვე ქირაზე ამუშავებენ თავიანთ ბავშვებს,—ყოველივე ეს ხელს უწყობს ადრე დაქორწინებას და ამოკლებენ მუშათა კლასის განახლების დროს.

მუშების ჯარის ჩქარი ზრდის შემდეგი საყურადღებო მიზეზი იწყებს მოქმედებას მაშინ, როცა წარმოების კაპიტალისტური წესი იპყრობს მეურნეობის სფერას. ამ სფერაში შრომის ზრდა თავიდანვე არა მარტო შედარებითი, არამედ აბსოლიუტურადაც, ამცირებს საქმეში ჩაყენებულ მუშების რიცხვს. ინგლისში (დიდ ბრიტანიაში) მეურნეობის მუშების რიცხვი ახწევდა 1861 წელს 2,210,449 კაცს, 1871 წელსკი მხოლოთ 1,514,601, ე. ი. შემცირდა თითქმისი 700,000 კაცით. უკანასკნელები გადაიქცენ რა „მოჟარბებულ“ მცხოვრებლებათ, გადადიან სამრეწველო ოლქებში და ამრავლებენ მუშების ჯარს, რომლებიც თავის შრომას აწვდიან კაპიტალს, თუ სხვა ქვეყნებში ისინი არ გადასახლდებიან.

ბოლოს არ უნდა დავივიწყოთ რკინის გზების და ოთქლის მნიშვნელობა, რომლებიც კაპიტალს შეძლებას აძლევენ მიიზიდონ ახალი მუშები მრეწველობის მხრით ჩამორჩენილ ადგილებიდან, მაგ., ირლანდიელნი, პოლონოლები*), სლოვაკები, იტალიელნი, ჩინელები და სხ.

ამნაირათ მუშები ძლიერ ჩქარა მრავლდებიან, უფრო ჩქარა, ვინემ მატულობს კაპიტალის მოთხოვნილება სამუშაო ძალებში; ამის შედეგია შედარებითი „მოჟარბებული“, მონარჩენი მცხოვრებნი, რაც, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, გამოწვეულია კაპიტალის შეგროვებით, და არა შრომის ნაყოფიერების დაკლებით, როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიული ეკონომისტები, არამედ მისი ნაყოფიერების ზრდით.

ეგრეთ წოდებულ მოჟარბებულ მცხოვრებლების, სამრეწველო სათადარიგო ჯარის არსებობა არა თუ არ აფერხებს

---

*) ჩვენი მკითხველების საყურადღებოთ, აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: როცა ავტორი აქ პოლონეთს და იტალიას მრეწველობის მხრით ჩამორჩენილ ქვეყნებს უწოდებს, მას მხედველობაში აქვს აქ მხოლოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნები. **მთარგმ.**

კაპიტალისტურ განვითარებას, არამედ, მისი განვითარების ამა თუ იმ ხანაში, იგი შეადგენს ერთ აუცილებელ პირობათაგანს.

კაპიტალი, როგორც ჩვენ ვიცით,—არის გამწევი, ელასტიური, სიდიდე. რამდენათ უფრო მეტათ ვითარდება წარმოების კაპიტალისტური წესი, იმდენათ უფრო თავშეუკავებლათ და დიდი სახით ხდება მისი დრო-გამოშვებითი გაფართოება და მოწურვა (მოკუმშვა). თანამედროვე სხვილი მრეწველობა, როგორც ეს ნათქვამი იყო მეორე განყოფილებაში, მოძრაობს თავისებური ტრიალით, რომელიც 1873 წლამდე მეორდებოდა დაახლოვებით თითოეული ათი წლის განმავლობაში; იგი იწყება საქმის მდგომარეობის საშუალო გამოცოცხლებით; ეს გამოცოცხლება ჩქარა იზრდება, მრეწველობა ახწევს უმაღლეს წერტილს, წარმოების მსწრაფლ, კოლოსალურ, უზარმაზარ გაფართოება-განვითარებას; ამის შემდეგ ხდება კრახი, შეჩერება სამრეწველო ცხოვრებაში, სანამ ბაზრები შესაფერათ არ გაფართოვდებიან და არ შეისრუტავენ მოჭარბებულ ნაწარმოებთ; მაშინ კვლავ იწყება დამშვიდება და წინანდელი თამაში მეორდება გადიდებული სახით. ასეთი მდგომარეობა იყო მაშინ, როცა მარქსი წერდა თავის „კაპიტალს“, რომელიც პირველათ გამოქვეყნებულ იქნა 1867 წელს. ასეთივე მდგომარეობა იყო მაშინაც, როცა მარქსი წერდა ბოლოსიტყვაობას „კაპიტალის“ მეორე გამოცემისთვის 1873 წელს, რომელშიაც მან იწინასწარმეტყველა საყოველთაო კრიზისი*).

---

*) ჩვენ მიერ უკვე მეორე განყოფილებაში დასახელებული ბ-ნი შტელემანი გაოცებით შენიშნავს ამ ადგილის შესახებ: „მარქსი არც კი ფიქრობს, ისე წინასწარმეტყველობს ახალ მომავალ საყოველთაო კრიზისზე“. მარქსი იმ ადგილას, რომელზედაც ლაპარაკია, ამბობს: „იმ დროგამოშვებითი (პერიოდული) ციკლის (ტრიალის) შესახებ, რომელსაც თანამედროვე მრეწველობა გაივლის და მის **უმაღლეს წერტილზე—საერთო კრიზისზე**“. ამაზე უფრო ნათლათ ლაპარაკი შეუძლებელია. მაგრამ ეს ხელს არ უშლის, ნასწავლ ვაებატონს გაიგოს კრიზისი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, როგორც რევოლიუცია. ამის მსგავს გადამახინჯებას შეხვდებით იმ «მეცნიერთა» უმეტესობის ნაწერებში, რომელთაც მარქსის ნაწერებიდან მოყავთ ადგილები (ციტატები), სულ ერთია წაუკითხავთ თუ არ წაუკითხავთ ეს ნაწერები.

ყველა ჩვენგანმა იცის, თუ როგორ ჩქარა და როგორ სწორეთ შესრულდა ეს წინასწარმეტყველება.

მაგრამ იმ კრიზისით, რომელიც დაიწყო 1873 წელს, წარმოების კაპიტალისტური წესი ჩადგა ახალ ფაზისში, იმის განვითარებაში დაიწყო ახალი ხანა. თუ სხვილი მრეწველობის ნაყოფიერება აქამდის ვითარდებოდა იმდენათ ჩქარა, რომ იგი ხანდისხან, დროითი-დროით, წინ უსწრებდა მსოფლიო ბაზრის განვითარება-ზრდას, სამაგიეროთ ახლა აღმოჩნდა, რომ დადგა ისეთი დრო, როცა ტეხნიკის არაჩვეულებრივი განვითარების და კაპიტალისტური მრეწველობის ბატონობის სფერის უდიდესი გაფართოების მეოხებით, იმ მრეწველობის, რომელმაც დაიპყრო რუსეთი, ამერიკა, ინდოეთი, ავსტრალია,—მსოფლიო ბაზარს შეუძლია ჩანთქას მსოფლიო მრეწველობის ნაწარმოები საგნები მხოლოთ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ათი წლის ირგვლივ ტრიალის მაგიერ, რომელშიაც სამრეწველო ცხოვრების ჩვეულებრივი გამოცოცხლება, წარმოების გაფაციცებული თავშეუკავებელი გაფართოება-ზრდა, კრახი, შეჩერება და ხელ-ახალი გამოცოცხლება ერთი მეორის შემდეგ იქერდენ ადგილს, 1873 წლიდან დადგა ქრონიკული შეჩერება ეკონომიურ ცხოვრებაში, ხანგრძლივი სიწყნარე, რომელიც მხოლოთ 1889 წელს იქნა შეწყვეტილი მრეწველობის დროებით გამოცოცხლებით; მაგრამ ეს გამოცოცხლება ჩქარა გაქრა და მისი ადგილი დაიჭირა კიდევ უფრო უარესმა შეჩერებამ ეკონომიურ ცხოვრებაში. გეგონებოდათ, რომ უკვე არასოდეს აღარ დადგება ცოტათ თუ ბევრათ საგრძნობელი ეკონომიური გამოცოცხლების ხანა.

მაგრამ ეს არ გამართლდა. 1895 წლიდან 1900 წლამდე ჩვენ კვლავ გამოვიარეთ ეკონომიური გამოცოცხლების ისეთი სამაგალითო ხანა, რომ ზოგიერთი ოპტიმისტები სრულებით წინააღმდეგ შეხედულებას დაადგენ: რომ საზოგადოთ კრიზისების დრო წავიდაო.

მაგრამ ასეთი შეხედულება შემცდარი იყო უკვე თავის

საფუძველშივე, ვინაიდან ეკონომიური გამოცოცხლება კაპიტალისტურ წარმოებაში აუცილებლათ იწვევს კრიზისს, და, მართლაც, მისი ლოდინი დიდხანს აღარ დაგვჭირვებია. მაგრამ აქ ლაპარაკია მხოლოთ კაპიტალის დროებით გაფართოებაზე და მოწურვაზე, მაგრამ ეს ხდება მრეწველობის ქრონიკული შეჩერების დროსაც ისე, როგორც კრიზისის და ეკონომიური გამოცოცხლების დროს, რომელიც 10 წლის ციკლს შეიცავს.

კაპიტალის თითოეული ასეთი დროებითი გაფართოება ადიდებს მოთხოვნილებას სამუშაო ძალაში; როგორ კმაყოფილდება ეს მოთხოვნილება? სამუშაო ხელფასი მაღლა იწევს, და ამის გამო, ეკონომისტების თეორიით, მცხოვრებთა რიცხვი მრავლდება,—და 20 წლის შემდეგ მუშების რიცხვი იქნება საკმარისათ დიდი იმისთვის, რომ კაპიტალმა შეძლოს ამ გარემოებით სარგებლობა. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება ყოველ შემთხვევაში გრძელდება მხოლოთ რამდენსამე წელიწადს, და ხშირათ, მხოლოთ რამდენსამე თვეს! კაპიტალის საბედნიეროთ, მართალია, საქმის მდგომარეობა სულ სხვანაირათაა, ვინემ „სამუშაო ხელფასის რკინის კანონის“ თეორიით. როგორც ჩვენ დავინახეთ, წარმოების კაპიტალისტური წესი ხელოვნურათ ქმნის მოჭარბებულ მუშებს — სათადარიგო ჯარს, რომლიდანაც კაპიტალს ყოველთვის შეუძლია აიყვანოს იმდენი დამატებითი მუშები, რამდენიც მას დასჭირდება. უამისოთ შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალისტური სხვილი მრეწველობის თავისებური, თავშეუკავებელი, განვითარება. რა მოუვიდოდა გერმანიის მრეწველობას, რომ მას გასული საუკუნის მესამოცდა-ათე წლებში და აგრეთვე მეოთხმოცდა-ათე წლების დასაწყისში არ ეშოვნა იმდენი თავისუფალი სამუშაო ძალები, რომლებიც მზათ იყვენ მისი სამსახურისთვის, მუშების მთელი ჯარები, რომლებიც მას შეეძლო გაერეკა რკინის გზების გასაკეთებლათ, ნახშირის ახალ მაღაროებში, თუჯის გადასადნობ ქარხნებში და სხვ.? ეს სათადარიგო ჯარი შესაძლებლათ ქმნის კაპიტალის მსწრაფლ გა-

ფართოებას, და ვინაიდან იგი, თითქმის მრეწველობის აღყვავების დროსაც კი, ყველა თავის წევრებისთვის ვერ შოულობს სამუშაოს, ამიტომ სამუშაო ხელფასი, თითქმის მრეწველობის უმაღლესი განვითარების დროსაც კი, არ იწევს განსაზღვრულ ნორმის ზევით.

ის, რაც ჩვენ გვეჩვენება მცხოვრებლების მომატებათ ან დაკლებათ, ნამდვილათ, არის მხოლოთ კაპიტალის დრო-გამოშვებით გაფართოების და შეკუმშვის გამოხატვა. როცა მალტუსის მომხრენი თხოულობენ მუშებიდან, რომ იმათ თავის გამრავლებაში ანგარიში გაუწიონ სამუშაოს შოვნის გარემოებას, ეს მხოლოთ იმას ნიშნავს, რომ მუშებმა თავისი რაოდენობა უნდა შეუფარდონ, შეუთანხმონ კაპიტალის მოთხოვნილებებს.

მალტუსის თეორია დამყარებულია კაპიტალის ცვალებად მოთხოვნილებების არევაზე წარმოების არსებულ საშუალებათა ნაყოფიერებასთან, ეს არევა ყოველთვის დიდი უგნურება იყო და ეს უგნურება კიდევ უფრო აშკარა შეიქნა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, როცა ევროპის სამეურნეო რაიონებში გაჩდენ მოჭარბებული მცხოვრებნი, არსებობის საშუალებათა სიჭარბის გამო, მოჭარბებულნი მცხოვრებნი ამერიკის, ინდოეთის და ავსტრალიის ხორცის და პურის მოცილეობის გამო.

რა გინდ უმსგავსი არ უნდა იყოს მალტუსის თეორია, მიუხედავათ ამისა, მისი მოთხოვნები შეადგენენ მხოლოთ იმ მდგომარეობის შესაფერ გამოხატულებას, რომელიც უპირავს ამ ჟამათ მუშებს კაპიტალის მიმართ, ე. ი. მუშა მხოლოთ კაპიტალის კუთვნილებაა; წარმოების პროცესის დროს მუშა როდი ხმარობს წარმოების საშუალებათ, არამედ წარმოების საშუალებანი — მას. მაგრამ მუშაობის გარედაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, იგი კაპიტალს ეკუთვნის. როცა მუშა სახმარ ნივთებს ხმარობს, როცა იცავს თავის არსებობას და თავის გვარს ამრავლებს, ყოველივე ამის გაკეთება მას უხდება ისეთი წესით, რომელიც ყველაზე უფრო სასარგებლოა კაპიტა-

ლის ინტერესებისთვის. მუშა დამონებულია თავისივე საკუთარი ნაწარმოებით. მას ემსახურება მუშა არა მარტო თავისი სამუშაო ძალით, არამედ თავის ადამიანური არსებობის მთელი მოღვაწეობით.

თავი VI

წარმოების კაპიტალისტური წესის განთიადი

წინა თავებში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ კაპიტალი მუდამ და განუწყვეტლივ ანახლებს თავისი საკუთარი არსებობის წინა პირობებს. მაგრამ აშკარაა, რომ სანამ ამ პირობებს არ მიუხწევია განვითარების განსაზღვრულ საფეხურამდე, მანამ კაპიტალს არ შეეძლო გამოეჩინა თავისი კლასიკური ფორმა, არ შეეძლო მიეხწია თავისი განვითარებული ფორმისათვის. მაგრამ რა გარემოებებმა წარმოშვეს ეს პირობები,— ეს ისეთი საკითხია, რომელზედაც ჩვენ ჯერ პასუხი არ გაგვიცია. ჩვენს გამოკვლევაში ფულის კაპიტალათ გარდაქცევის შესახებ იმ მოსაზრებიდან გამოვდივართ, რომ, ერთი მხრით, რომ დიდძალი ფული კერძო პირების ხელში იყო მოგროვებული, და, მეორე მხრით, სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, გამოტანილი იყო ბაზარზე, გასაყიდათ. რა ნაირათ მოხდა, რომ სამუშაო ძალა საქონლათ გარდაიქცა, რა უწყობდა ხელს ამ ფულის შეგროვებას?—ამას ჩვენ ჯერ არ შეეხებივართ.

და აი ამის შესახებ უნდა ვთქვათ ჩვენ აქ ის, რაც ყველაზე უფრო უმთავრესი და საყურადღებოა.

კაპიტალის შეგროვება ნიშნავს კაპიტალის არსებობის თავდაპირველ პირობის განახლებას. ამ პირობების თავდაპირველ აღმოცენებას, რომლებიც კაპიტალის განვითარებას წინ უსწრობდენ, მარქსი უწოდებს თავდაპირველ შეგროვებათ.

კითხვაზე, თუ საიდან წარმოსდგა კაპიტალი,— ეკონომისტები გვაძლევენ ჩვენ პასუხს, რომელიც ყოველთვის მზათ აქვთ, როცა იმათ არ იციან ან არ სურთ იცოდენ საქმის ნამდვილი მდგომარეობა: ეს პასუხი მდგომარეობს რობინზო-

ნადაში. ეს უკანასკნელი ორ ნაირათ არის გამოსადეგი: პირველათ, მის გამოსაგონებლათ სრულებით არავითარი ცოდნა არ არის საჭირო, მეორეთ, მისი შედგენა ყოველთვის შეიძლება ისე, რომ მან დაამტკიცოს ყველაფერი, რის დამტკიცებაც კი მისი მეოხებით სურთ.

ის რობინზონადები, რომლებითაც ცდილობენ კაპიტალის წარმოშობის ახსნას და მის შეთანხმებას ჩვეულებრივ წარმოდგენებთან უფლებაზე, უნდა ჩაითვალონ სრულებით სულელურ მოთხრობებათ. ჩვენი ამოსაღები (საანბანო) წიგნაკების მოთხრობებიდან ისინი განსხვავდებიან მხოლოთ მით, რომ მკითხველებში უფრო მეტ მოწყენილობას იწვევენ.*)

ეს სულ ერთი და იგივე ისტორიაა პატიოსან, ბეჯით და მომჭირნე მუშაზე, რომელიც კაპიტალისტი გახდა, და ზარმაც კაცებზე, რომლებიც ფლანგავდენ ყველაფერს, რაც მათ ებადათ, და ამიტომ, როგორც დასჯილნი, იმათ თავისი შვილებით და შვილისშვილებით უნდა იშრომონ რამდენიმე პატიოსან პირებისთვის და იმათ შთამომავლობისათვის.

თავდაპირველი შეგროვების სურათი სრულებით იცვლება, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ევროპის ისტორიას მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისიდან. ამ ისტორიას ორი მხარე აქვს; ამათგან ფართო საზოგადოება მხოლოთ ერთს იცნობს,

---

*) ყური დაუგდეთ მაგ., ბ. როშერს: წარმოვიდგინოთ ხალხი, რომელიც თევზის ჭერით ცხოვრობს, რომელსაც არა აქვს არც კერძო საკუთრება, არც კაპიტალი, იგი დადის ტიტველი, ცხოვრობს გამოქვაბულში, იკვებება თევზით, რომელსაც იჭერს ხელით ზღვის პირათ. ვთქვათ, რომ აქ ყველა მუშაკები თანასწორნი არიან, თითოეული ყოველდღე იჭერს და ჭამს სამ-სამ თევზს. მაგრამ აი გამოჩნდა ერთი ჭკვიანი ადამიანი, რომელიც 100 დღის განმავლობაში ჭამს მხოლოთ ორ თევზს დღეში და ამნაირათ შეგროვებულ საგზალს 100 თევზს ხმარობს იმისთვის, რომ 50 დღის განმავლობაში მთელ თავის სამუშაო ძალას ხარჯავს ნავის და ბადის გაკეთებაში; ამ კაპიტალის საშუალებით იგი იწყებს ამას შემდეგ ყოველ დღე ოცდაათ-ოცდაათ თევზის ჭერას. („Grundzüge der National Oekonomie.“ Jtuttgart, 1874 წ. გვ. 423). ყველა ამ ზღაპრებს კაპიტალის წარმოშობის შესახებ ასეთივე დამპალი თევზის სუნი უდის.

სახელდობ იმას, რომელიც ლიბერალურ ისტორიკოსებმა აგვიწერეს.

სამრეწველო კაპიტალის წარმოშობა შეუძლებელი იყო უიმისოთ, რომ მუშები თავისუფალნი არ გამხდარიყვენ, თავისუფალნი მონობისაგან, ბატონყმობისაგან და ხელოსნური დამოკიდებულებიდან. მისთვის საჭირო იყო წარმოების თავისუფლება, წინააღმდეგ ფეოდალიზმის ბორკილებისა. იგი უნდა განთავისუფლებულიყო ფეოდალური ბატონების მზრუნველობიდან. ამ თვალთახედვის წერტილიდან, კაპიტალიზმის ბრძოლა, თავის განვითარების პირველ ხანებში, წარმოგვიდგება როგორც ბრძოლა ძალმომრეობის უფლება-უპირატესობათა, პრივილეგიების წინააღმდეგ, როგორც ბრძოლა თავისუფლებისა და თანასწორობისათვის.

აი, სწორეთ ბრძოლის ეს მხარე გამოაქვთ ბურჟუაზიის მწერლებს და ვექილებს ყოველ ნაბიჯზე, ხალხის თვალის ასახვევათ. ჩვენ სრულებით არავითარი სურვილი არა გვაქვს ამ ბრძოლის მნიშვნელობა შევამციროთ, განსაკუთრებით ამ ჟამათ, როცა ბურჟუაზია იმიჯნება თავის წარსულიდან. მაგრამ ისტორიის ამ ბრწყინვალე მხრის გულისთვის ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მისი მეორე მხარე: პროლეტარიატის და თვით კაპიტალის წარმოშობა. ეს მხარე ჯერ კიდევ არ არის სავსებით სინათლეზე გამოტანილი. მარქსმა დაწვრილებით განიხილა იგი „კაპიტალში“, მაგრამ მხოლოთ ერთი ქვეყნის ისტორიით,—ინგლისის წარმოების კაპიტალისტური წესის სამშობლოისა, ერთათ ერთი ქვეყნის, სადაც თავდაპირველი შეგროვება წმინდა კლასიკური ფორმით მოხდა. ზოგიერთი ცნობები ამის შესახებ გვხდება აგრეთვე „ფილოსოფიის სიღატაკეში“ (II თავი, § 2).

სამწუხაროთ, შეუძლებელია სავსებით გავითვალისწინოთ კაპიტალიზმის განვითარება გერმანიაში, ვინაიდან მისი განვითარება აქ შეჩერებულ და დამახინჯებულ იქნა სააღებმიცემო გზების გადატანით აღმოსავლეთისაკენ ხმელთა-შუა ზღვიდან ატლანტიდის ოკეანეში, შემდეგ, ეგრეთ-წოდებული „ოცდა-

ათი წლის ომით“ და რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში გერმანიის გამოძევებით მსოფლიო ბაზრიდან. ყველაზე უფრო მეტათ კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა, ქალაქის ხელოსნური წარმოების გვერდით, სოფლის საზოგადოებათა (ობშჩინების) მიწის საერთო მფლობელობა. მანამდის, სანამ იგი არსებობდა, პროლეტარიატი არი ყო. კაპიტალის საბედნიეროთ, მისი ინტერესებისთვის იზრუნა ფეოდალურმა თავად-აზნაურობამ. ჯვაროსანთა ომების შემდეგ აღებ-მიცემობა და საქონლის წარმოება სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა. გაჩნდა ახალი საქონლების მოთხოვნა, რომლებსაც მსურველებს აწვდიდენ ფულზე ქალაქის მრეწველნი და ქალაქის ვაჭრები. მაგრამ ფეოდალური თავად-აზნაურობის სიმდიდრის წყაროს შეადგენენ მისი ყმების (გლეხების) ნატურალური გადასახადები და სხვა და სხვა ჰირადი ბეგარა. ფული მას ყოველთვის ცოტა ქონდა. რის ყიდვა მას არ შეეძლო, იმის შეძენას იგი ცდილობდა გაცარცვით. მაგრამ სახემწიფოს ძალა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და მაგრდებოდა. დაბალი თავად-აზნაურობის დრუჟინების წინააღმდეგ გამოდიოდენ სხვილი ქალაქების და თავადების დაქირავებული ჯარები. ცარცვა-გლეჯა გზებზე შეუძლებელი შეიქნა. მაშინ ფეოდალებმა იწყეს გლეხებისაგან, რაც შეიძლება, მეტი ფულის გამოწუწვნა. ამით ფეოდალებმა მიიყვანეს გლეხები სრული სასოწარკვეთილებამდე (გავიხსენოთ საგლეხო ომები), მაგრამ ამას მათთვის არსებითათ სარგებლობა არ მოუტანია. ბოლოს ბატონ აზნაურებმა, რომ შეძლება ქონოდათ მხიარული ცხოვრება განეგრძოთ, გადასწყვიტეს მოქალაქეების მსგავსათ, საქონლის მწარმოებლებათ გადაქცევა და ფულის შოვნა სამეურნეო ნაწარმოების შექმნით, როგორც, მაგ., მატყლის, ხორბლის და სხვა, მაგრამ უკვე გასაყიდათ და არა მხოლოთ თავისი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, როგორც ეს წინეთ იყო. ეს თხოულობდა სამეურნეო წარმოების გაფართოებას, რომლის გამგეობა გადავიდა ზედამხედველების, მოიჯარადრეების და სხვების

ხელში. ეს გაფართოება შესაძლებელი იყო მხოლოთ გლეხ-კაცობის ხარჯზე. ახლა შესაძლებელი შეიქნა ყმა გლეხების განთავისუფლება, ე. ი. იმათი გაძევება იმათ მიერ ნაფუთურებ მიწა-ადგილებიდან, და იმათი მიწების შემოერთება მიწათ-მფლობელთა მამულთან.

სოფლების სათემო, საერთო საკუთრება, რომლებზედაც უმაღლესი უფლება ბატონ აზნაურებს ეკუთვნოდა, გარდაიქ-ცა იმათ კერძო საკუთრებათ, რის გამო გლეხები ეკონომიუ-რათ განადგურებული შეიქნენ.

სამეურნეო ნაწარმოებიდან განსაკუთრებით კარგათ იყი-დებოდა მატყლი, რომელიც საჭირო იყო ქალაქის ბეწვე-ულობის მრეწველობისთვის (Fextilinbustrie). მაგრამ მატყლის წარმოების გაფართოება იწვევდა სახნავ მიწების ცხვრის საძოვარ მიწებათ გარდაქცევას, აუარებელ გლეხების გაძევე-ბას იმათ ნაპირნახულევ ადგილებიდან, რაც ხდებოდა ყოველ-გვარი კანონიერი და უკანონო საშუალებებით, ეკონომიური ან პირდაპირი ფიზიკური ძალდატანებით.

ასე რომ რამდენათ იზრდებოდა ქალაქის მრეწველობა, იმდენათ იზრდებოდა გაძევებულ და უმიწა-წყლოთ დარჩენილ გლეხების რიცხვი.

ამას ზედ დაერთო კიდევ ის გარემოება, რომ აზნაუ-რებმა უარი განაცხადეს აუარებელ ამალის ყოლაზე, რომე-ლიც ახალ პირობებში მათთვის იყო არა ბატონობის და უფროსობის საშუალება, არამედ მხოლოთ ნივთიერი სისუ-ტის მიზეზი. ბოლოს, კაპიტალს დაეხმარა აგრეთვე რეფორ-მაციაც, რომელმაც არა მარტო მონასტრების მცხოვრებნი გარდააქცია პროლეტარებათ, არამედ აგრეთვე საეკლესიო მამულები ხელში ჩაუგდო ჩარჩებს, რომლებმაც მიწის ძველი მფლობელები იქიდან გარეკეს.

ამნაირათ, სოფლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი მოწყვე-ტილ იქნა მიწა-ადგილიდან, წარმოების საშუალებათაგან; ამ გარემოებამ შექმნა ხელოვნურათ „მოჭარბებულნი მცხოვრე-ბნი“, ქონებას მოკლებული პროლეტარები, ბოგანოები, რომ-

ლებიც იძულებული იყვენ დღიურათ გაეყიდათ თავისი სამუშაო ძალა, რომელშიაც საჭიროებს კაპიტალი. მაშასადამე, ფეოდალურმა თავად-აზნაურებმა მოამზადა ნიადაგი კაპიტალისთვის, მიაწოდა, როგორც სოფლის, ისე ქალაქის კაპიტალს პროლეტარები, სამუშაო ძალები, და იმავე დროს ფართოთ გზა გაუკაფა საქონლის წარმოებას მეურნეობაში, კაპიტალისტურ მეურნეობას. ბატონ-ყმობას და მონობას, რომლებთანაც შეკავშირებული იყო მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათი სხვილ მიწათ-მფლობელობაში, არ ძალუძდა წაეშალა ეს ხასიათი, ბატონ-ყმობა და მონობა მხოლოთ ამახინჯებდენ მეურნეობის კაპიტალისტურ ხასიათს.

ამიტომ მით უფრო სასაცილოა, როცა თანამედროვე სხვილი მიწათმფლობელები ცდილობენ იკისრონ მუშების ბუნებრივ დამცველების როლი კაპიტალისაგან და სურთ მათ შორის ჰარმონიის, მშვიდობიანობის და თანხმობის ჩამოგდება.

საყოველთაო მაწანწალობა (Бродяжничество—Vorgarbundenthum) დასავლეთ ევროპაში მეხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნოებში იყო შედეგი გლეხ-კაცობის აურაცხელ ექსპროპრიაციებისა (საკუთრების, ქონების ძალით წართმევისა). ეს მაწანწალობა საზოგადოებას საშინელ განსაცდელს უქადდა და თავის დასაცველათ საზოგადოებამ სასტიკ სასჯელს მიმართა მის წინააღმდეგ: მათრახს, დადაღვას, ყურების დაჭრას და თითქმის სიკვდილით დასჯასაც კი.

მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ მეტი მუშები რჩებოდენ ყოველგვარ სახსარს მოკლებული, ვინემ კაპიტალს შეეძლო მათი გამოყენება, გამოსადეგ მუშების დენა ხშირათ მაინც ვერ აკმაყოფილებდა კაპიტალის მოთხოვნილებებს. სანამ წარმოების კაპიტალისტური წესი ჯერ კიდევ მანუფაქტურულ ხანაში იმყოფებოდა, იგი დამოკიდებული იყო იმ მუშებზე, რომლებსაც თავის დეტალურ ოპერაციებში მიეხწიათ გამოცდილების განსაზღვრულ ხარისხამდე. ხანდისხან საჭირო იყო დიდი ხნის სწავლა, რომ მუშას საჭირო გამოცდილება შეეძინა. ცვალებად კაპიტალმა მაშინ ძლიერ გაუსწრო წინ

თავის სიდიდით მუდმივ კაპიტალს. ამიტომ საჭირაო შრომის მოთხოვა კაპიტალის თითოეული შეგროვების დროს ძლიერ ჩქარა იზრდება, მაშინ როცა გამოსადეგი საჭირაო შრომის დენა უფრო ნელი ნაბიჯით მისდევდა ამას უკან. გამოცდილი მუშები იშვიათი მოვლენა იყო და იმათ ხშირათ თხოულობდენ, მაგრამ იმათში ჯერ კიდევ მაგრათ იყო გამჯდარი ხელოსნური წარმოების ტრადიციები, როცა ქარგალი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით უახლოვდებოდა ხელოსანს და ხელოსნათ გახდომის იმედიც ქონდა. დაქირავებულ მუშებში ცოცხალი იყო თვითშეგნების გრძნობა,—ისინი უკმეხნი და ჯიუტნი იყვენ, იმათ არ შეეძლოთ და არც უნდოდათ დამორჩილებოდენ დისციპლინას, კაპიტალისტური მრეწველობის მუდმივ ერთფეროვნებას. „უზენაესი ძალა უნდა ჩარეულიყო, რათა კაპიტალისთვის შეექნათ მორჩილი მუშები“.

როცა საჭირო შეიქნა მუშების გაწვრთნა და დამორჩილება კაპიტალისტური დისციპლინისთვის, მთავრობამ მიიღო შესაფერი ზომები ისე, როგორც მან მიიღო ზომები საკუთრების დასაცავათ მაწანწალებისაგან და სათემო (საზოგადო) საკუთრების კერძო საკუთრებათ გადაქცევის წასაქეზებლათ (ეს მარქსმა დაწვრილებით გამოიკვლია ინგლისისთვის). სასტიკი ბრძანების საშუალებით დადგენილ იქნა სამუშაო ხელფასის მაქსიმუმი (უდიდესი ნორმა), გაგრძელებულ იქნა სამუშაო დღე და აღკრძალულ იქნა მუშების კოალიციები, კავშირები.

თუ რამდენათ ყოველივე ეს შეეფერებოდა ბურჟუაზიის სულისკვეთებას, რომელიც მაშინ „თავისუფლებისთვის“ იბრძოდა, ამას საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ფაქტები მოწმობენ, როცა ბურჟუაზიამ ხელში ჩაიგდო სახემწიფო მართვა-გამგეობა.

მაშინ მან სასტიკი ომი გამოუცხადა სათემო მიწათმფლობელობის ნაშთებს, რომელიც საფრანგეთში კიდევ დარ-

ჩენილი იყო და ამასთანავე სასტიკათ გაილაშქრა მუშათა კავშირების წინააღმდეგ.

პროლეტართან ერთათ კაპიტალისთვის გაჩნდა საშინაო ბაზარიც. წინეთ თითოეული გლეხის ოჯახი შინ აკეთებდა ყველაფერს, რაშიაც იგი საჭიროებდა, ახლა მდგომარეობა იცვლება. არსებობის საშუალებათ აკეთებენ, როგორც საქონლებს, დიდ მამულებში, რომლებიც შედგენილ იქნენ საზოგადოებრივი საკუთრებიდან და ცალკე საგლეხო მიწებიდან, და ეს საშუალებანი საღდებიან სამრეწველო ოლქებში. კაპიტალისტური მრეწველობის ნაწარმოებნი მანუფაქტურული წარმოების ამ ხანაში პოულობენ გასასაღებელ ბაზარს დაქირავებულ მუშებში, როგორც მრეწველობაში, ისე სხვილ მეურნეობაში, და თითქმის გლეხკაცობაშიაც კი. გლეხების „ნადელები“ უმეტეს ნაწილათ ისე დაპატარავდენ, რომ იმათი საშუალებით არსებობა აღარ შეიძლებოდა. მეურნეობა შეიქნა მათთვის მეორე ხარისხოვან ხელობათ; იმ დროს, შინამრეწველობა, საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაგიერ, იწყებს კაპიტალისთვის, ვაჭრისთვის წარმოებას, — ეს ექსპლოატაციის ერთი უსაძაგლესი და იმავე დროს კაპიტალისტისთვის ყველაზე უფრო შემოსავლიანი ფორმაა.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაჩნდა პროლეტარიატი და ხელოვნურათ მოჭარბებული მცხოვრებნი, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარება; უკანასკნელი, თავის მხრით, ქმნიდა პროლეტარიატს და შედარებით მოჭარბებულ მცხოვრებთ სულ უფრო და უფრო გადიდებულ სახით.

მაგრამ საიდან გაჩნდა რამდენიმე კაცის ხელში ის სიმდიდრე, რომელიც შეადგენს წარმოების კაპიტალისტური წესის წინაპირობას?

საშუალო საუკუნოებს მემკვიდრეობით გადაეცა ძველი დროიდან ორგვარი კაპიტალი: სამოვაჭრეო და სავაჭრო. ჯვაროსან ომების შემდეგ საღებ-მიცემო ურთიერთობა აღმოსავლეთთან ძლიერ განვითარდა, და მასთან ერთათ გაიზარდა

სავაჭრო კაპიტალი და მისი კონცენტრაცია (თავისმოყრა) რამდენიმე კაცის ხელში; გავიხსენოთ მხოლოთ აუსბურგელი ფუგგერები, ეს მეხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნოების გერმანელი როტშილდები.

მაგრამ მეეახშეობა და ვაჭრობა მაინც არ ყოფილა იმ ფულების ერთათ ერთი წყარო, რომლებიც, მეხუთმეტე საუკუნიდან დაწყებული, სულ უფრო და უფრო გადიდებული რაოდენობით უნდა გადაქცეულიყვენ სამრეწველო კაპიტალათ. ფულის სხვა წყაროები დაასახელა მარქსმა თავის „კაპიტალში“. ამის დაწვრილებით გასაცნობათ ჩვენ ვურჩევთ მკითხველებს თითონ გაეცნან „კაპიტალის“ ამ ადგილს, რომელიც შეადგენს კაპიტალის შეგროვების შესანიშნავი ისტორიული გამოკვლევის ღირსეულ დასკვნას. აქ კი ჩვენ მხოლოთ მოკლეთ აღვნუსხავთ კაპიტალის შეგროვების სხვა და სხვა წესებს თვით მარქსის მჭერმეტყველური სიტყვებითვე:

„ოქროს და ვერცხლის მადნების აღმოჩენა ამერიკაში, ადგილობრივ მცხოვრებლების ამოხოცვა, დამონება და მადნებში დამარხვა, აღმოსავლეთ ინდოეთის დაპყრობის დაწყება, აფრიკის გარდაქცევა შავ-კანიანებზე სანადირო ადგილათ, ვაჭრობის მიზნით,—ყოველივე ეს შეადგენდა კაპიტალისტური წარმოების ხანის განთიადს. ეს იდილიური მოქმედებანი თავდაპირველი შეგროვების უმთავრეს მომენტებს წარმოადგენენ. ამას მოყვა ევროპის ერების სავაჭრო-სამრეწველო ომი, რომლის მოქმედების სარბიელი იყო მთელი დედამიწა. იგი იწყება ნიდერლანდიის ისპანიიდან ჩამოშორებით, ახწევს უუმწვერვალეს წერტილს ინგლისის ჯვაროსნულ ომის დროს საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ და გრძელდება ჩვენს დრომდე, ჩინეთის წინააღმდეგ ცნობილ ომის სახით ოპიუმის გამო“ და სხვ.

„თავდაპირველი შეგროვების ეს სხვა და სხვა წესები, რომლებმაც წარმოშვეს კაპიტალისტური ხანა (ერა), თანდათანობით, დროის მიხედვით, დანაწილებულია ისპანიასა, პორტუგალიასა, საფრანგეთსა და ინგლისს შორის. მეჩვიდმეტე

საუკუნის ბოლოს, ყველა ამ წესების შეერთებამ დაბადა ეგრეთ-წოდებული კოლონიალური სისტემა სახემწიფო კრედიტის სისტემა, გადასახადების თანამედროვე სისტემა და პროტექ-ციონური (მფარველობითი) სისტემა. ეს წესები ანუ სა-შუალებები, უმთავრეს ნაწილათ, დამყარებულია მხოლოთ ტლანქ, ფიზიკურ ძალაზე, როგორც, მაგ. კოლონიალური სისტემა. ყველა ისინი სარგებლობენ სახემწიფოებრივი ძალა-უფლებით, ე. ი. საზოგადოების თავმოყრილ და ორგანიზა-ციულათ მოწყობილ ძალადობით. წარმოების ფეოდალური წე-სის კაპიტალისტურ წესათ გარდაქმნის დასაჩქარებლათ და გარდამავალი ხანის შესამოკლებლათ, ძალადობა ეოველთვის ბებიის როლს უწევს ძველ საზოგადოებას, როცა მასში ვითარდე-ბა ახალი საზოგადოების ჩანასახი. თვით იგი წარმოადგენს ეკო-ნომიურ ძლიერებას, ძალას“.

მოყვანილი ადგილის უკანასკნელი სიტყვები ხშირათ მოყავთ დანარჩენ სიტყვებთან სრულებით დაუკავშირებლათ, მაგრამ მხოლოთ იმას, ვინც ამ სიტყვებს იხილავს, წინ ნათ-ქვამთან ერთათ, შეუძლია გაიგოს, თუ როგორ უნდა გვეს-მოდეს ისინი. იმ ძალადობათ, რომლებიც კაპიტალისტური წარმოებისთვის ბებიების როლს ასრულებენ, ეკუთვნის აგრე-თვე „სახემწიფოებრივი ძალა-უფლება, ეს თავმოყრილი და ორგანიზაციულათ მოწყობილი საზოგადოებრივი ძალადობა“, თუმც, რა თქმა უნდა, არა სახემწიფოს ძალა-უფლება „თა-ვის თავათ“, რომელიც ჰაერშია გამოკიდული, კლასობრივ წინააღმდეგობათა მაღლა, არამედ სახემწიფოს ძალა, რო-გორც გაბატონებული კლასის იარაღი.

მცხოვრებთა, განსაკუთრებით, გლეხ-კაცობის, გაპრო-ლეტარება, რაც სულ უფრო და უფრო იზრდება, შინაური ბაზრის ცვენა, ერთი მხრით, და აუარებელ სიმდიდრის შე-გროვება და თავისმოყრა (კონცენტრაცია) მეორე მხრით, და იმავე დროს, სავაჭრო ომების და კოლონიალური პოლი-ტიკის მეოხებით საგარეო ბაზრის გაჩენა, ასეთი იყო ის პი-რობები, რომლებმაც, შეხუთმეტე საუკუნიდან დაწყებული,

დასავლეთ ევროპაში თანდათან გარდაქმნეს მთელი წარმოება ჯერ საქონლის მარტივ წარმოებათ, და შემდეგ საქონლის მარტივი წარმოება კაპიტალისტურათ. დაქუცმაცებული, დაქსაქსული, წვრილი საგლეხო და ხელოსნური წარმოება ამ ხნიდან დაწყებული სულ უფრო და უფრო ჩქარა ეცემოდა და ქრებოდა და თავის ადგილს უთმობდა კაპიტალისტურ სხვილ მრეწველობას.

თავი VII

წარმოების კაპიტალისტური წესის დასასრული

ჩვენ დავამთავრეთ, კარლ მარქსის ხელმძღვანელობით, კაპიტალისტური წარმოების პროცესის დასურათხატება.

ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების პირველეფიდი წესი დამყარებულია საზოგადოებრივ, მიზნის შესაფერათ მოწყობილ შრომაზე და იგი იწვევს საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოების საშუალებებზე და ნაწარმოებზე. მართალია, ნაწარმოები იყოფა თემის წევრებს შორის და, ამნაირათ, ხდება ინდივიდუალურ, კერძო, საკუთრებათ, მაგრამ მხოლოთ როგორც სახმარი საგნები კერძო პირთათვის. როგორც საზოგადოებრივი შრომის პირდაპირი ნაყოფი, ნაწარმოები ეკუთვნის მთელ საზოგადოებას.

წარმოების ამ წესის ადგილს იჭერს საქონლის მარტივი წარმოება, რომელსაც აწარმოებენ კერძო მწარმოებლები, ერთი მეორესაგან დამოუკიდებლათ. თითოეული მათგანი ქმნის წარმოების საკუთარ იარაღების საშუალებით ნაწარმოებს, რომელიც, რა თქმა უნდა, მის კერძო საკუთრებას შეადგენს.

მაგრამ საქონლის მარტივი წარმოებიდან ვითარდება საქონლის კაპიტალისტური წარმოება, როცა განცალკევებულ, ერთი მეორესაგან დამოუკიდებელ მწარმოებლების ადგილს იჭერენ სხვილი საწარმოო საქმეები; თითოეული ამათგანი დამოუკიდებლათ მოქმედებს, მაგრამ შინაურულათ ისინი მოწყობილია, როგორც მიზნის შესაფერი საზოგადოებრივი წარ-

მოება. ვინაიდან ეს სხვილი კაპიტალისტური საქმეები ერთი მეორის პირისპირ დგანან, როგორც საქონლის მწარმოებელნი, ამიტომ იმათ ურთიერთ დამოკიდებულებაში ძალაში რჩება საქონლის გაცვლა-გამოცვლა, და აგრეთვე საკუთრების უფლებაც—კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და ნაწარმოებზე.

მაგრამ აქ კერძო საკუთრება ღრმა წინააღმდეგობას ეჯახება.

საქონლის მარტივ წარმოებაში კერძო საკუთრება შრომის შედეგი და ნაყოფი იყო. მწარმოებელი (მუშა) წარმოების საშუალებათა და ნაწარმოების მესაკუთრე იყო. კაპიტალისტური წარმოება არღვევს კავშირს შრომასა და საკუთრებას შორის. მუშა უკვე აღარ არის ნაწარმოების მესაკუთრე. პირიქით, წარმოების საშუალებანი და ნაწარმოებნი ეკუთვნიან არა-მუშას. წარმოების საზოგადოებრივათ გარდაქცევა კაპიტალისტურ საფუძველზე თანდათან და სულ უფრო და უფრო იწვევს იმას, რომ არა-მუშა ხდება ყოველგვარი სიმდიდრის მქონებელი, და მუშა კი—ქონებას მოკლებული.

მაგრამ ამით კიდევ არ თავდება წინააღმდეგობა წარმოების გაბატონებულ წესსა და მითვისების საყოველთაოთ გავრცელებულ წესს შორის.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი მარტივი და აშკარა იყო საზოგადოებრივი ურთიერთობა პირველყოფილ კომუნიზმის დროს, თუ საზოგადოებას როგორ მიყავდა წარმოება თანახმათ თავის სურვილისა და მოთხოვნილებისა.

საქონლის წარმოების ბატონობის დროს კი, წარმოების საზოგადოებრივი პირობები ისეთ ძალათ ხდებიან, რომლის წინაშე უძლურია კერძო მწარმოებელი. ეს უკანასკნელი ხდება ამ პირობების ყურმოჭრილ მონათ, და მისი მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო ხდება მით, რომ ახალი ბატონები არ აძლევენ მას ბრძანებებს, არ ატყობინებენ მას თავის მოთხოვნილებებს, არამედ ნებას აძლევენ მას თითონ გამოიცნას მათი მოთხოვნილებანი. ახლა წარმოება ემორჩილება კანო-

ნებს, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლათ მწარმოებლებისა, მაგრამ ხშირათ, თითქმის იმათ სურვილის წინააღმდეგ, მსგავსათ ბუნებრივი კანონებისა, რომლებიც ხორციელდებიან დრო-გამოშვებით გადაცდენების საშუალებით ნორმალური მსვლელობიდან, როგორც, მაგ., ფასების დაბლა დაწევით, სიძვირით და სხ. მაგრამ ეს გადაცდენა, როგორც საზოგადოებრივი მიზეზების მიერ გამოწვეული, საქონლის მარტივი წარმოების ბატონობის დროს, უმნიშვნელოა და შემოზღუდულია ვიწრო ფარგლით, ვინაიდან ამ დროს თვით მწარმოებლებიც დაქსაქსული არიან და ამასთანავე შრომის ნაყოფიერებაც დაბლა დგას.

მაგრამ, აი, შრომის ნაყოფიერებამ შესამჩნევათ აიწია მაღლა წარმოების კაპიტალისტური წესის მეოხებით, რომელიც ათავისუფლებს და უმაღლეს ხარისხამდე ანვითარებს ყველა საწარმოო ძალებს, რომლებიც ეკუთვნიან საზოგადოებრივ, მიზნის შესაფერათ მოწყობილ, შრომას; ამასთანავე კაპიტალისტური წარმოება სარგებლობს ბუნების ძალების სამსახურით, რომლებიც მეცნიერებამ დაიმორჩილა. ამის შედეგია დრო-გამოშვებითი არა-ნორმალური მდგომარეობა (ნორმალური მსვლელობიდან გადაცდენა), რაშიაც იხატებიან საქონლის წარმოების კანონები; ეს არა-ნორმალური მდგომარეობა წინეთ იწვევდა მხოლოთ დროებით და ადგილობრივ უხერხულებას, რომლის თავიდან მოშორება ადვილი იყო,—ახლა კი იგი იწვევს დრო-გამოშვებით უბედურებას, კატასტროფებს, რომლებიც გრძელდებიან წლობით და რომლებიც იპყრობენ მთელ სახემწიფოებს, თითქმის მთელ ხმელეთსაც კი; ამ კატასტროფების სიდიდე და ძლიერება მატულობს კაპიტალისტური წარმოების ზრდასთან ერთათ, და ჩვენ დროში ისინი უკვე ღებულობენ ქრონიკული ავათმყოფობის სახეს.

ეს კიდევ არაფერი. პირველყოფილი კომუნიზმის დროს, როცა საზოგადოებრივი შრომის ნაწარმოები საზოგადოებას ეკუთვნის და იყოფა წევრებს შორის, თანახმათ საზოგადო-

ებრივი მოთხოვნილებებისა, თითოეული წევრის ხვედრი მატულობს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთათ.

საქონლის წარმოების დროს სახმარ ღირებულებათა რაოდენობა, რომლებიც შეეფერებიან ღირებულების განსაზღვრულ სიდიდეს, იზრდება შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთათ. საქონლის მარტივი წარმოების დროს მუშას ჩვეულებრივათ ეკუთვნის მისი შრომის მთელი ნაწარმოები; მას შეუძლია მისი მოხმარა სულ მთლათ, ან მისი ნაწილის; ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ იმ სახმარ ღირებულებათა რაოდენობა, რომლებიც მის განკარგულებაში შედის, იზრდება იმავე ხარისხით, როგორც შრომის ნაყოფიერება. მას შეუძლია აგრეთვე თავისი შრომის ნაწარმოების გადაცვლა, სულ მთლათ, ან მხოლოთ მისი ნაწილის. თუმც საქონლის მარტივი წარმოების დროს მხოლოთ ნაწარმოების უმცირესი ნაწილი ხდება საქონლათ.

რამდენათ მაღლა დგას საზოგადოთ შრომის ნაყოფიერება, იმდენათ მეტ სახმარ ღირებულებას მიიღებს იგი განსაზღვრული შრომის ნაწარმოებში, რომელსაც იგი ცვლის. ამ შემთხვევაშიაც, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების მომატება საესებით მუშის სასარგებლოთ ხდება.

საქონლის კაპიტალისტურ წარმოებაში კი სამუშაო ძალა თითონაა საქონელი, რომლის ღირებულება, როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, დაბლა იწევს იმავე ხარისხით, როგორც მატულობს შრომის ნაყოფიერება. მაშასადამე, რამდენათ უფრო მაღლა დგას შრომის ნაყოფიერება, იმდენათ უფრო ნაკლებია ნაწარმოების ის შედარებითი ნაწილი, რომელსაც ღებულობს მუშა სამუშაო ძალის ფასის სახით. მაგრამ ვინაიდან კაპიტალისტური წარმოება სულ უფრო და უფრო ვრცელდება, ამიტომ თანდათან ხალხის უფრო მეტი ნაწილი საქირაო მუშებათ იქცევა, და, მაშასადამე, ხალხის უმეტესობა თავისი შრომის გადიდებული ნაყოფიერების სარგებლობას კარგავს.

ყველა ეს წინაალმდეგობანი, ბუნებრივი აუცილებლობის

ძალით, ბადებენ განხეთქილებებს და შეტაკებებს კაპიტალისტების კლასსა და მუშების კლასს შორის, შეტაკებებს, რომლებიც აღვიძებენ მუშებში კლასობრივ შეგნებას, აქეზებენ იმათ პოლიტიკური მოქმედებისთვის და იწვევენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა პარტიების გაჩენას. მაგრამ ზევით დასახელებული გარემოებანი აყენებენ სხვა და სხვაგვარ ტანჯვას არა მარტო მუშათა კლასს; იმათ მიერ გამოწვეული ტანჯვა გადადის საზოგადოების ფართო ნაწილებზე, ასე რომ თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება აუტანელი ხდება საზოგადოების უმეტესობისათვის.

ამნაირათ, მთელი მეცადინეობა იმ წინააღმდეგობის გადაწყვეტისაკენ, რომელიც ჩაქსოვილია კაპიტალისტურ წარმოებაში,—წინააღმდეგობის, რომელიც არსებობს შრომის საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების საშუალებათა და ნაწარმოების მითვისების ჩამორჩენილ ფორმას შორის.

ამ წინააღმდეგობის გადასაწყვეტათ არის მხოლოთ ორი საშუალება, ორი გზა. ორივე ცდილობს შეათანხმოს ერთმანეთშორის წარმოების და მითვისების წესები. ერთი ამ საშუალებათაგანი მდგომარეობს შრომის საზოგადოებრივი ხასიათის გაუქმებაში, საქონლის მარტივ წარმოების დაბრუნებაში, სხვილი წარმოების მაგიერ ხელოსნური და წვრილი საგლეხო წარმოების შემოღებაში.

მეორე საშუალება ცდილობს შეუგუოს არა წარმოება მითვისების წესს, არამედ მითვისების წესი წარმოებას; იმას მივყევართ საზოგადოებრივ საკუთრებამდე წარმოების საშუალებებზე და ნაწარმოებზე.

დღეს ბევრი ცდილობს, რომ განვითარების მსვლელობა პირველი გზით მოხდეს. ისინი გამოდიან იმ შემცდარი შეხედულებიდან, რომ წარმოების წესი შესაძლებელია დადგენილ იქნას იურიდიული განაჩენებით. ბურჟუაზიული ვულგარული ეკონომია, კაპიტალის დამცველი, უარყოფს ასეთ ცდას, სადაც კი იგი ჯერ კიდევ ზნეობრივათ სავსებით არ გახრწნილა.

მაგრამ თვით იგიც (ბურჟ. პოლ. ეკონომია) ხშირათ ამასვე ჩადის. რომ დაამტკიცოს წარმოების გაბატონებული წესის თანხმობა მითვისების გაბატონებულ წესთან, იგი თავის ეკონომიურ გამოკვლევებში გვერდს უვლის თანამედროვე წარმოების განსაკუთრებულ და არსებით თვისებებს და გვიხატავს იმას საქონლის მარტივ წარმოებათ. წაიკითხეთ მხოლოთ ვულგარულ ეკონომისტების გავრცელებული თხზულებებში: იქ დღემდის საქონლები იცვლებიან ერთი მეორეზე ისე, როგორც ბარბაროსობის დროს; მონადირეები და მეთევზეები, რომლებიც თავისუფლათ სარგებლობენ ზღვის ნაპირებით და ტყით, გამოყვანილი არიან, როგორც დაქირავებული მუშები, მშვილდი და ისარი, ნავი და ბადე, როგორც—კაპიტალი.*)

---

*) ის ილიუზიები, რომლებიც ამ ვაჟბატონებს სურდათ გამოეწვიათ ჩვენში, საბოლოოთ გაფანტულია იმ კოლონიების მაგალითით, რომლების ხელ-უხლებელი ნიადაგი გადასახლებითაა მოშენებული. ჩვენ აქ ვხედავთ ხელშეკრულების სრულ თავისუფლებას, მუშის უფლებას მის შრომის ნაწარმოებზე, საზოგადოთ, ისეთ ურთიერთობას, რომლებსაც ჩვენი ეკონომისტები თვლიან კაპიტალისტური წარმოების თვისებებათ: მაგრამ საკვირველია, ამ პირობებში, კაპიტალი აღარ არის კაპიტალი!

ასეთ ახალშენებში (კოლონიებში) თავისუფალი მიწა კიდევ ბლომათ მოიპოვება და იმით ყველას თავისუფლათ შეუძლია სარგებლობა, თითოეულ მუშას შეუძლია იქ დამოუკიდებლათ იმუშაოს; იგი იძულებული არაა თავის სამუშაო ძალა გაყიდოს. ამიტომ ყველას ურჩევნია თავისთვის იმუშაოს, და არა სხვისთვის. ამის მეოხებით, ფული, არსებობის საშუალებანი, მაშინები და სხვა წარმოების საშუალებანი კაპიტალს აღარ შეადგენენ; ისინი თავის ღირებულებაში აღარ იზრდებიან.

და, აი, სწორეთ ის ეკონომისტები, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ხმა-მაღლა ღაღადებენ საკუთრების სიწმნდეს და ხელუხლებლობას და ხელშეკრულების*) თავისუფლებას, თხოულობენ ამიტომ ახალ კოლონიებში, კაპიტალის განსავითარებლათ, რათა მუშებს ჰამოერთვას მიწის ქონების უფლება, კოლონიებში ახალ მუშების ჩასახლების

---

*) აქ ლაპარაკია კაპიტალისტებსა და მუშებს შორის არსებულ ხელშეკრულებებზე. **მთარგ.**

მარქსმა თავის „კაპიტალში“ სამუდამოთ მოუღო ბოლო ამ ეკონომისტების სიყალბეს. მაგრამ მარქსის ნაწარმოების მნიშვნელობა არ თავდება მარტო იმით, რომ მან გამოაშკარავა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის თვალთ-მაქცობა და სიყალბე. მარქსს ხშირათ უწოდებენ ყოვლის უარმყოფელ სულს, რომელსაც თავის კრიტიკით შეუძლია მხოლოთ დარღვევა, და არა რაიმე დადებითის შექმნა.

მაგრამ ის, რაც ჩვენ ამ წიგნში განვიხილეთ, ე. ი. კაპიტალის წარმოების პროცესი, რომელიც მარქსმა გამოიკვლია, უკვე მოწმობს იმას, რომ მან (მარქსმა) მართლაც შექმნა ახალი ეკონომიური და ისტორიული სისტემა. მისი წინამოადგილეების კრიტიკა შეადგენს მხოლოთ ამ სისტემის საფუძველს.

ძველის დამარცხება არ შეიძლება ისე, თუ თითონ არ ამაღლდი უფრო მაღალ თვალთახედვის წერტილამდე; კრიტიკა არ შეიძლება, თუ მაღალ ცოდნას არ მიაღწიე; შეუძლებელია მეცნიერული სისტემის დარღვევა, თუ არ შექმენი მეორე, უფრო დიდებული, უფრო შინაარსიანი.

მარქსმა პირველათ გამოაშკარავა საქონლის ფეტიშიზმი, მან პირველათ დაინახა კაპიტალში არა ნივთი, არამედ განხორციელებული ურთიერთობა ადამიანთა შორის და ისტორიული კატეგორია. მან პირველმა გამოიკვლია კაპიტალის მოძრაობა

გაფართოების სახემწიფოს ხარჯით ან წინეთ ჩასახლებულ მუშების ხარჯზე, სხვა სიტყვებით: ისინი თხოულობენ, რომ მუშას ძალით წაერთვას წარმოების და არსებობის საშუალებანი, ხელოვნურათ შექმნან მოკარბებული მუშები, რომლებიც ფაქტიურათ არ არიან თავისუფალი, არამედ იძულებულნი **არიან გაყიდონ** თავისი სამუშაო ძალა. და სადაც კი ადგ-ლათ დამყოლი მუშათა კლასია,—განსაკუთრებით ჩამორჩენილი ტომის,—იქ აშკარათ ქადაგებენ ძალდატანებით შრომას, ე. ი. მონობას.

„იგივე ინტერესი, რომელიც ძალას ატანს კაპიტალის სიკოფანტებს, პოლიტიკო-ეკონომისტებს, გამოაცხადონ თავის მეტროპოლიაში წარმოების კაპიტალისტური წესი და მისი საკუთარი წინააღმდეგობა ერთ და იგივე მოვლენათ, იგივე ინტერესი კოლონიებში ძალას ატანს მათ გამოაცხადონ წინააღმდეგობა წარმოების ორივე წესს შორის.“

და განვითარება. შემდეგ მან პირველმა წარმოგვიდგინა ჩვენ თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობის საბოლოო მიზანი, როგორც უწინდელი ისტორიული განვითარების ბუნებრივათ აუცილებელი შედეგი, იმის მაგიერ, რომ იგი აეშენებია თავის სურვილისამებრ, როგორც მოთხოვნილება რომელიმე „დაუსაბამო სამართლიანობისა“.

გამოვდივართ რა იმ თვალთა-ხედვის წერტილიდან, რომელზედაც ჩვენ, მარქსის მეოხებით ავმაღლდით, ვხედავთ, რომ ვულგარულ ეკონომისტების ყოველგვარი ცდა—წარმოგვიდგინონ თანამედროვე ურთი-ერთობანი, როგორც პატრიარქალურნი, ისევე ამაოა, როგორც იმის ცდა, რომ თანამედროვე ურთი-ერთობანი პატრიარქალურ ურთიერთობათ გარდაქმნან, ე. ი. ისტორიის ჩარხი უკუღმა შეატრიალონ.

ირკვევა აგრეთვე საზოგადოების მომავალი განვითარების ერთათ ერთი გზა: მითვისების ფორმის შეგუება წარმოების წესთან, წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებრივება, ე. ი. წარმოების საშუალებათა საზოგადოების საკუთრებათ გარდაქცევა, სრული უკან-დაუხეველი გაყვანა, მხოლოთ სანახევროთ შესრულებული კაპიტალის მიერ, კერძო წარმოების საზოგადოებრივ წარმოებათ გარდქმნისა. მაგრამ ამით იწყება სრულიათ ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში.

საქონლის მოუწესრიგებელი, ანარქიული, წარმოების ადგილს იჭერს საზოგადოებრივი წარმოების გეგმასთან შეზომილი, შეგნებული ორგანიზაცია. ნაწარმოების ბატონობას მწარმოებელზე ბოლო ეღება. ადამიანი, რომელიც სულ უფრო და უფრო იმორჩილებს ბუნების ძალებს, იწყებს აგრეთვე საზოგადოებრივი განვითარების მართვას, ხდება ამ განვითარების ბატონი. „მხოლოთ ამ დროდან,—ამბობს ენგელსი,—ადამიანები სრულიათ შეგნებულათ იქნებიან თავისი ისტორიის შემომქმედნი, მხოლოთ ამ დროდან საზოგადოებრივი ძალები, რომლებსაც ისინი მოძრაობაში მოიყვანენ, გამოიღებენ მათთვის სასურველ ნაყოფს. ეს იქნება კაცობრიობის გადახტომა (sprung) აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში.“

აპრილი, 1908 წ.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საერთო შენიშვნა

კ. კაუცკის წიგნის «კ. მარქსის ეკონომ. მოძღ.» თარგმანში მოიბოვებიან ისეთი სიტყვები თუ საკუთარი სახელები, რომლებიც უცხო ენების არმცოდნე ქართველ მკითხველთათვის გაუგებარი დარჩებიან. ამიტომ, თავისთავათ იგულისხმება, რომ ასეთ სიტყვების ახსნა-განმარტება, თუმც ძლიერ მოკლეთ, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამ თარგმანიდან ჩვენ გამოვკრიბეთ ზოგიერთი ასეთი სიტყვები და შევეცადეთ იმათი მოკლეთ განმარტვა ანბანურ რიგზე. რა თქმა უნდა, ასეთი ახსნა-განმარტებით ჩვენ ვცდილობთ მხოლოთ სრულებით მარტივ და მოკლე ცნობების მიწვდენას მკითხველისთვის, რაც უკანასკნელს ამ წიგნის შინაარსის და აზრის გაგებას გაუადვილებს. ამ ცნობების შედგენის დროს ჩვენ ვსელმძღვანელობდით უმეტეს ნაწილათ შემდეგი წყაროებით: 1) ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონით, 2) ჰუგო და შტეგმანის „სოციალიზმის სასელმძღვანელოთი“ Handbuch des Socialismus—(არის რუსული თარგმანი: справочная книга соціалиста) და 3) პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის სხვა და სხვა სახელმძღვანელოებით.*)

---

*) ვარსკლავ-დასმული (*) სიტყვები მოყვანილია კ. კაუცკისა და კ. მარქსის ბიოგრაფიებიდან. როგორც ბიოგრაფიები, ისე იქიდან მოყვანილი სიტყვების განმარტება მთარგმნელს არ ეკუთვნის, სხვის-მიერაა ახსნილი. შემოკლებული სიტყვები ნიშნავს: ბერ.—ბერძნულს, ფრ.—ფრანგულს, ლათ.—ლათინურს და სხ. **გამომცემელი.**

სიტყვების ახსნა-განმარტება

აბსოლიუტური—ლათინური absolutus—დასრულებული, სრული, შეუზღუდველი,—აღნიშნავს ისეთ საგანს ანუ მოვლენას, რომელსაც ჩვენ ვისილავთ თავისთავათ, შეუდარებლათ სხვა რომელიმე მოვლენასთან ან საგანთან და ამიტომ აბსოლიუტურს ჩვენ პირისპირ ვუყენებთ შედარებითს (რელატივს).

აბსტრაქცია, აბსტრაქტიული—განყენება, განყენებული. წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან—abstrahera—განყენება, განშორება. აბსტრაქცია ქვიან მსჯელობის ანუ აზროვნების იმ პროცესს, რომლის საშუალებით რაიმე საგანს, მოვლენას ან ცნებას კვლევის დროს ჩვენ ვაცლით ანუ ვაშორებთ კერძო, შემთხვევით თვისებებს და მხედველობაში ვღებულობთ და ვხელმძღვანელობთ მხოლოთ საგნის ან მოვლენის ზოგადი, საერთო თვისებებით.

ავგიოსი—ძველი საბერძნეთის ზღაპრული, ლეგენდარული ბირია. იგი იყო გელიოსის (მზის ღმერთის) და გირმინის შვილი, ელიოსის მეფე; განთქმული იყო ჯოგების სიმდიდრით. ამბობენ, რომ მისი ბოსლებიდან ნეხვი მთელი წლების განმავლობაში გაუტანელი რჩებოდა. იმავე გადმოცემიდან ვიცით, რომ ავგიოსის ბოსლების გაწმენდა იკისრა საბერძნეთის ზღაპრულმა გმირმა ჰერკულესმა (იხ. ეს სიტყვა). მან გაიყვანა მდინარე მელიოსი, მოუშვა იგი ბოსლებზე და მდინარის დენის საშუალებით დაასუფთავა ბოსლები. აქედან თქმულება: ავგიოსის ბოსლების გაწმენდა—очистка авгіевскихъ конюшенъ, როცა რაიმე საქმის საფუძვლიანი შესრულება აქვთ მხედველობაში.

ავტომატი, ავტომატიური—ბერძნული avtomatos—სიტყვასიტყვით აღნიშნავს **თვითმოძრავს**. ავტომატი ქვიან ისეთ მანქანას, რომელიც ყოველგვარ მოძრაობას, რაც მისი მიზნისთვის საჭირო, თითონ ასრულებს, მასში დაფარული მექანიკური

მოწყობილობის სამუალებით. მაგალ., საათი, ავტომატიური სასწორი, ავტომატიური კასსა და სხვ. ზოგიერთ ასეთ მანქანას ადამიანის ან ცხოველის ფორმა აქვს. ავტომატიურ მანქანებს ამზადებდენ ძველათაც, მაგ., საბერძნეთში, როგორც ამას მოწმობს გადმოცემა დედალოსის (იხ. ეს სიტყვა) ქანდაკების შესახებ ათინაში.

ალფა და ომეგა* ბერ. **ალფა**—ბერძნული ანბანის პირველი ასო **ანი**, **ომეგა**—უკანასკნელი **ონი**, აქედან: დასაბამი და დასასრული, ოავი და ბოლო.

არისტოტელი—ძველი, კლასიკური საბერძნეთის უშესანიშნავესი და უდიდესი ფილოსოფოსი, მეცნიერი და მკვლევარი (384—322 წ. ქრ. დაბადებამდე). არისტოტელის მამა (ნიკომახი) ხელობით ექიმი იყო და თავის შვილს მან პატარაობიდანვე გაანცო მამინდელი სამკურნალო ცოდნა. 18 წლის იყო არისტოტელი, როცა იგი პირველათ ათინაში მივიდა. ეს ქალაქი მაშინ უკვე განთქმული იყო მთელ საბერძნეთში: იქ დუღდა საზოგადოებრივი ცხოვრება და ყვავოდა მეცნიერება. სხვათა შორის, იმ დროს ათინაში ცხოვრობდა მეორე შესანიშნავი და უდიდესი ფილოსოფოსი **პლატონი**, რომლის გარშემო თავს იყრიდენ მისი მიმდევრები და მოწაფეები. არისტოტელი შეუერთდა პლატონის მოწაფეების ჯგუფს; მან, ერთი მხრით, თავისი გენიოსური ნიჭის წყალობით და, მეორე მხრით, მუყაითი მეცადინეობის მეოხებით სულ მცირე ხნის განმავლობაში შეითვისა მთელი მამინდელი ცოდნა და ფილოსოფია, ასე რომ მან ჩქარა გაუსწრო წინ თავის დიდებულ მასწავლებელს—პლატონს და იმავე დროს იგი შეუდგა ასალი, დამოუკიდებელი ფილოსოფიური სისტემის შენებას. რამოდენიმე ხნის განმავლობაში არისტოტელმა დასტოვა ათინა, რადგანაც მაკედონიის მეფემ ფილიპემ მიიწვია იგი თავისი 13 წლის შვილის—ცნობილი ალექსანდრე მაკედონელის—აღსაზრდელათ. მომავალ დამპყრობელთან არისტოტელმა დაყო ოტახანს, თუმც მჭიდრო კავშირი აღმზრდელსა და აღზრდილს შორის დიდხანს არ შეწყვეტილა. 334 წელს არისტოტელი ბრუნდება ისევ ათინაში, სადაც იგი აფუძნებს საკუთარ სკოლას. მისი მეცადინეობა ორგვარი ხასიათის იყო: დილაობით იგი საუბრობდა თავის მოწაფეებთან წმინდა სამეცნიერო საგნებზე; საღამოობით კი იგი საუბრობდა უართო მასასთან, ვინც კი მის ყურისგდებას მოისურვებდა. მაგრამ, სამწუხაროო, ასეთი

მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ათინიპ ხალხს არისტოტელი არ მოსწონდა ორი მიზეზის გამო: 1) არისტოტელში ათინელები ხედვიდენ თავიანთ დაუძინებელი მტრის—ალექსანდრე მაკედონელის—საიდუმლო აგენტს, რაც ყოველივე საფუძველს მოკლებული იყო; 2) მასში ხედვიდენ აგრეთვე ღვთის ურწმუნოს, რომლის სწავლა ნიადაგს უკარგავდა მის თანამედროვე ბერძნების სარწმუნოებას. ხედავდა რა ასეთ განწყობილებას ათინელების მხრით, რომლებმაც ამავე მიზეზის გამო სასიკვდილოთ გაიმეტეს ხნეობის უდიდესი მასწავლებელი—სოკრატი, არისტოტელმა გადასწყვიტა—თავისი ნებით მოშორებოდა ათინას. 62 წლის მოხუცმა მიატოვა ათინა და გადაესახლა ხალკოსში კუნძულ ევბეიზე, სადაც მას თან გაყვა მოწაფეების მთელი ჯგუფი და სადაც იგი სულ ცოტა ხანში გარდაიცვალა,

არისტოტელის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში სამუდამოთ წაუშლელი დარჩება. მის შესახებ სამართლიანათ შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო ყოველის მხრით განვითარებული გენიოსი. მან დაუდვა საფუძველი ნამდვილ, რეალურ ცოდნას. უპირველს ყოვლისა არისტოტელის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან თავი მოუყარა, შეამოწმა და სისტემაში მოიყვანა მთელი ის სამეცნიერო თუ ფილოსოფიური სწავლა, რომელიც მის წინეთ არსებობდა. მაგრამ აქ იგი არ გაჩერებულა: თავისი უმაღლესი შემოქმედებითი ნიჭის და მის მიერ შემუშავებული მეთოდის მეოსებით მან წინ წასწია როგორც ბუნებისმეტყველება, ისე ფილოსოფია. კაცობრიობას და მეცნიერებას არისტოტელმა შესძინა დაუშრეტელი წყარო ცოდნისა და აზროვნებისა; მისი მრავალმხრივი, ღრმა და საფუძვლიანი დაკვირვებანი და გამოკვლევანი მთელი თანამედროვე მეცნიერების გამოსავალ წერტილს შეადგენენ. მრავალ მის მიერ ნამოყენებულ დებულებებს მეცნიერებაში და განსაკუთრებით ლოგიკაში დღემდის არ დაუკარგავთ თავისი ღრმა მნიშვნელობა.

დასასრულ უნდა მოვისსენიოთ აქ ის, რომ ფილოსოფიაში არისტოტელი ნამდვილ მატერიალისტი იყო. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მის დრომდე ფილოსოფოსმა პლატონმა საფუძველი ჩაუყარა იდეალისტურ ფილოსოფიას. ამ უკანასკნელის წარმოდგენით იდეა ანუ სული შეადგენს ყველაფრის დასაწყისს. პლატონი ასწავლიდა, რომ იდეები არსებობენ და-

მოუკიდებლათ, მუდამ და უცვლელათ, საგნები მსოლოთ იმათი გამოშუქება�. არისტოტელი, წინააღმდეგ ამისა, ასწავლიდა, რომ იდეები სრულებით არ არსებობენ დამოუკიდებლათ, პირიქით, ისინი პირდაპირ დამოკიდებულნი არიან სინამდვილეში არსებულ საგნებზე. ღირსია აღნიშვნის ის გარემოება, რომ მაშინ, როცა პლატონის ფილოსოფია დიდ პატივდებაში იყო ქრისტიანულ ღვთისმეტყველებამი, არისტოტელის ფილოსოფიას ეს უკანასკნელი მთელი საუკუნოების განმავლობაში სასტიკათ ებრძოდა.

ასტროლოგია—ბერძნული სიტყვაა, აღნიშნავს ცრუ მეცნიერებას, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ცდილობდა ადამიანის ბედ-იღბალის წინასწარმეტყველებას მნათობთა მდებარეობის დაკვირვებით. თავის განვითარების პირველ საფეხურზე ადამიანის ყურადღება უწინარეს ყოვლისა ზეციურ მნათობებზე იყო მიპყრობილი. მნათობებში პირველყოფილი ადამიანი სულიერ არსებათ ხედავდა და უმეტეს შემთხვევაში იგი იმათ აღმერთებდა. გარდა ამისა, სულ მარტივი დაკვირვების საშუალებით შეიძლებოდა ზეციურ მნათობთა მდებარეობის და ბუნების სხვა ძოვლენათა მორის საკმარისათ მჭიდრო კავშირის აღმოჩენა. აქედან იმის მტკიცებამდე, რომ ზეციურ მნათობთ ადამიანზე შეუძლიათ გავლენა იქონიონ, დიდი მანძილი აღარ არის. ასტროლოგია, როგორც ვამბობდით, ცდილობდა წინდაწინ ეწინასწარმეტყველა მნათობთა მდებარეობის დაკვირვებათა საშუალებით კერძო ადამიანთა ბედი. და, აი, სწორეთ ამაში მდგომარეობდა მისი სიყალბე. ეს ცრუ მეცნიერება პირველათ განვითარდა ძველ ეგვიპტეში, შემდეგ ასურეთ-ბაბილონში; აქედან იგი გადატანილ იქნა ძველ საბერძნეთში. შესანიშნავია ის გარემოება, რომ ასტროლოგიის განსაკუთრებულ აღყვავებას ჩვენ ვხედავთ საშუალ საუკუნოების ევროპაში (XIII—XV საუკ). თუ ასტროლოგიას ჩვენ შევხედავთ ისტორიული თვალთახედვის წერტილიდან, ჩვენ დავრწმუნდებით იმაში, რომ იგი შეადგენს აუცილებელ საფეხურს თანამედროვე ასტრონომიული მეცნიერების გზაზე, ისე, როგორც ალქიმია შეადგენს თანამედროვე ქიმიის გამოსავალ წერტილს.

ატომი—ბერძნული atos—ნიშნავს დაუყოფელს, ანუ ფიზიკური სხეულის ისეთ ნაწილს, რომლის დაყოფა არავითარ საშუალებით აღარ შეიძლება. პირველათ ეს ცნება განმარტე-

ბულ იქნა ძველ საბერძნეთში ჯერ ლევკიპპოსის (დაახლოვებით 500 წლის წინეთ ქრ მობ.) და მემდეგ დემოკრიტის (470—407 წ. ქრის. დაბ.) მიერ. ამათი წარმოდგენით, მატერიალური არსებობა უცვლელია, და ეს უცვლელი შემდგარი უნდა იყოს რაღაცნაირი უუწვრილესი ნაწილებიდან, რომელთაც გარდა გაფართოების (განევის), მოძრაობის, სიმაგრის და ნონის თვისებათა, სხვა არავითარი თვისება არ უნდა ქონდეთ, როგორც, მაგ., ფერი, ბგერა, სუნი და სხვა ცნება ატომზე. მიუხედავათ ძრავალ წინააღმდეგობათა, რომელთაც იგი შეიცავს, ადამიანის აზროვნების გამოსავალ წერტილს შადგენს. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ატომისტური თეორია საფუძვლათ უდევს თანამედროვე ქიმიას და ფიზიკას.

ვინაიდან ატომისტური თეორია მატერიალისტური ფილოსოფიის მეურყეველ საფუძველს შეადგენს და როგორც ასეთი იგი ეწინააღმდეგებოდა და უარყოფდა იდეალისტურ ფილოსოფიას, ამიტომ ცნობილმა ფილოსოფოსმა ლეიბნიცმა ამ თეორიის საშუალებით მოინდომა იდეალისტური და მატერიალისტური ფილოსოფიის შერიგება მით, რომ ატომები მან სულიერ არსებათ გარდააქცია და ისინი **მონადების** სახელით მონათლა. ამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

ბაკუნინი*—მისეული, ცნობილი რუსი ანარქისტი. გასულ საუკუნის სამოცდაათიან წლებში თავის იტალიელ და ფრანგ ამხანაგებთან ერთათ კ. მარქსის მიერ დაარსებულ «ინტერნაციონალში» მონაწილეობას ღებულობდა, მარა განსხვავებულობის გამო ჩამოშორდა. ბაკუნინი, როგორც მისი წინამორბედი ანარქისტები, უარყოფდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ წყობილების იძულებითი ფორმებს, სახელმწიფოს-მიერ ძალდატანებითი მმართველობას და მოძავალ საზოგადოებრიობის უკეთეს პირობათ «თავისუფალ თემთა თავისუფალი კავშირნი» მიაჩნდა; წინააღმდეგი იყო სახელმწიფოებრივ წყობილების, და მისი ბატონობის. ბაკუნინისა და მისი ამხანაგების შეხედულებით. საზოგადოებრივი ძირითადი ცვლილება (სოციალური რევოლიუცია) უნდა დაიწყოს განაწილებით (საზრდო, ბინის საკითხი), ხოლო წარმოება განაწილების საშირველების დაგვარათ მოეწყოს.

ბასტია (Frederiq Bastiat)—საფრანგეთის ბურჟუაზიული პოლიტიკო-ეკონომი, დაიბადა 1801 წელსა, გარდაიცვალა 1850 წ. პირველ სანებში ვაჭარი იყო, შემდეგ იმოგზაურა ინგლისში,

სადაც გაეცნო ფრიტრედერების (იხ. ეს სიტყვა) მოძრაობას; იგი შეიქნა ამ მოძრაობის ერთი მხურვალე მომხრეთაგანი. კითხულობდა ლექციებს ამ საგანზე, რომლებშიაც გაყავდა უკიდურესი ფრიტრედერული იდეები. მის კაბიტალურ ნაწარმოებათ ითვლება „Harmonies èconomiques“ (ეკონომიური ჰარმონია). ბასტიას ნაწერებს წმინდა პოლემიკური ხასიათი აქვს, და როგორც იგი თითონ ამბობდა, მისი დანიშნულება მდგომარეობდა არა საზოგადოებრივ-ეკონომიურ მოვლენათა თეორეტიულ ახსნა-განმარტებაში, არამედ ამ მოვლენების გამართლებაში ანუ იმის დამტკიცებაში, რომ არსებული ბურჟუაზიული წესწყობილება, თავის დღევანდელი ფორმით, სავსებით შეესაბამება იმას, რაც უნდა იყოს, ასე რომ უკეთესი წესწყობილება შეუძლებელია. თეორია იმის შესახებ, რომ საზემნიფო არ უნდა ერეოდეს ეკონომიურ ურთიერთობათა მოწესრიგებაში, რომ ყოველივე ეს უნდა წარმოებდეს თავისუფლათ, რომ თავისუფალი მეტოქეობა და პირადი ინტერესი ნაძდვილი და უცდომელი ხელმძღვანელია ადამიანისთვის საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში,—ეს თეორია ბასტიამ უკიდურესობამდე მიიყვანა. ბასტიას შეხედულებით წარმოება ბუნებრივი ორგანიზმია, რომელიც თავისთავათ იზრდება და არავითარ გარეგან დახმარებაში არ საჭიროებს. გარდა ამისა თანამედროვე კაბიტალისტურ წესწყობილებაში არავითარი კლასობრივი წინააღმდეგობა არ არსებობს; პირიქით, მუშებსა და კაბიტალისტებს შორის სრული თანხმობა ანუ ჰარმონია სუფევს ისე, როგორც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის: ისინი ერთი-ერთმანეთს თანასწორ სამსახურს უწევენ. საქირაო ხელფასი მაღლა იწევს, როცა კაბიტალი მატულობს. ამიტომ მუშა დაინტერესებულია იმაში, რომ კაპიტალისტების მოგება რაც შეიძლება დიდი იყოს, ე. ი. მუშის ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მას უფრო საგრძნობლათ ყვლეფდეს კაბიტალისტი. აქ საინტერესო ის არის, ყველა ამ ლაზღანდარობის დროს ბასტია ემყარებოდა ადამ სმიტის და რიკარდოს (იხ. ეს სიტყვები) აზრებზე.

ბისმარკი*—გერმანიის ცნობილი უფროსი მინისტრი (კანცლერი), გარდაიცვალა 1898 წელს.

ბერნშტეინი*—გერმანელი ცნობილი მარქსისტი, მარქსის მოძღვრების ზოგიერთ დებულების უარმყოფელი, რომელიც მარქსის მოძღვრების ძირითად გადასინჯვას თხოულობს და

ჭეშმარიტ-მოძრწმუნე მარქსისტებს არ ებრძოება. მისი მიმდევრები **რევიზიონისტებად** იწოდებიან.

ბრიტანიის მუზეუმი*—ინგლისის საუცხოვო დაწესებულება—სიძველეთსაცავი, სადაც თავმოყრილია სხვა და სხვა ქვეყნის ხალხთა და ძველი დროის ნაშთები თუ ნიმუშები—ისტორიისა, სელოვნებისა, მხატვრობისა, მწერლობისა და სხვ.

დარვინი*—ინგლისელი ბუნებისმეტყველი მეცნიერი (1809—1882), რომელმაც დაამტკიცა: ადამიანი, ცხოველები და მცენარენი იმ სახით კი არ გაჩნდენ, როგორითაც დღესა ვხედავთ, არამედ თანდათანობით განვითარდენ უმდაბლესი ცხოველებიდან და მცენარეებიდან; ასეთ განვითარებას უმთავრესათ არსებობისთვის ბრძოლა იწვევსო. **დარვინის თეორია**—ცხოველ-მცენარეთა და ადამიანის წარმოშობის შესახები სამეცნიერო მოძღვრება.

დედალი, დედალოსი—(Daidalos) ბერძნული სახელია ზღაბრული მხატვრისა და ხუროსი, რომელმაც გააკეთა სის ძროსა და სელოვნური ფრთები. სუროთ-მოძღვრებაში დედალოსი ითვლება ხერხის და სხვა სადურგლო იარაღების გამოგონათ; სკულპტურაში მას აწერენ ღმერთების სის ქანდაკებათა კეთების შემოღებას. თავისთავათ იგულისხმება, რომ დედალოსი ნამდვილათ არ ყოფილა; ამ ზღაბრულ პიროვნებაში ხალხმა გამოხატა ის წარმატება, რომელიც რამდენიმე თაობის არსებობის დროს მოხდა ყველა ამ ხელობაში.

დიალექტიკა* ბერ. სისწორით მსჯელობის უნარი, ცოდნა; საშუალება საგნის ან მოვლენის შესწავლისა — ყოველი მოვლენა, ყოველი საგანი ცვალებადია და თავისში მუდამ ავითარებს ისეთ ძალებს, რომლებიც მას გარდაქმნიანო. **დიალექტიური აზროვნება**—საგან-მოვლენათ ისილავს არა მათს მშვიდობიან-ყოფობაში, უძრაობაში, არამედ როდესაც მოძრაობენ, ვითარდა არსებით ცვალებადნი. **ᲓᲐ**—ს მამაძთავარი ძველათ იყო ჰერაკლიტე, რომელიც ამტკიცებდა „ყოველივე მიმდინარეობსო“; მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი აზროვნება უკეთ შეიმუშავა ჰეგელმა, ხოლო კ. მარქსმა სამეცნიერო სოციალიზმს დაუდვა საფუძვლად.

დისერტაცია* ლათ. რაიმე სამეცნიერო ხარისხის მისაღებათ დაწერილი თხზულება.

ეიზენახელები, ეიზენახცები*—გერმანიის ქალაქ ეიზენახში 1869 წ. შეკრებილი მუშათა პარტიის წევრნი, რომელნიც ლა-

სალს არ მიემხრენ და ეიზენახის კონგრესის პროგრამას დაუჭირეს მხარი.

ეიზენახის კონგრესი*—გერმანიის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი კრება, 1869 წელს გერმანიის ქალაქ ეიზენახში შემდგარი, რომელმაც პარტიის იდეალათ დასახა «თავისუფალი სახალხო სახელმწიფო», ხოლო პრაქტიკულ მოთხოვნილებათა შორის აღნიშნა „თავისუფალ მწარმოებელ კავშირების სახელმწიფოს-მიერ დახმარება“. ეს პროგრამა გერმანიის სოციალდემოკრატიის განვითარების ერთი საფეხურთაგანია.

ეკლექტიკი* ბერ. სხვა და სხვა მიმართულების ბრძენთა მოძღვრების უმთავრეს საფუძველთა შემთანხმებელი, გამორჩევით შემაერთებელი; კაცი, რომელსაც საკუთარი შეხედულება არა აქვს და ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა, ხშირათ ერთი-მეორის საწინააღმდეგო, მოძღვრებას ეძხრობა.

ემიგრანტი* ლათ. გარდასვეწილი, სამშობლოდან უცხო მხარეში გადასახლებული, პოლიტიკური დევნილი.

ენტუზიაზმი* ბერ. აღტაცება, აღფრთოვანება.

ეპიკური*—ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი (341—270 წ. ქრ. წ.), რომელიც პირად ბედნიერებას ყველაზე მაღლა აყენებდა.

თეოკრიული*—ღონებით განჭვრეტილი, განყენებული, სინამდვილესთან შეუთანხმებელი; განყენებითი დებულებებზე დამყარებული.

იდეალისტური*—სინამდვილეს დაშორებული, ოცნებით წარმოდგენილი; სინამდვილის გადაჭარბებით გამამშვენიერებელი.

ინდუსტრიული*—საწარმოვო; **ი—ი კაპიტალი**—წარმოებაში დაბანდებული თანხა.

ინკები (inca)—პერუს (ამერიკაშია) წინანდელი მეფეების სახელი, სანამ ამ ქვეყანას ისპანიელები დაიპყრობდენ. ინკები იმ ტომის შთამომავალნი იყვენ, რომელმაც ერთ დროს პერუ დაიპყრო და რომელმაც იქ რაღაც საღვთო დესპოტის მსგავსი სახელმწიფო დააფუძნა კომუნისტურ საფუძველზე. ინკი შეუზღუდველი მბრძანებელი იყო, როგორც უმაღლესი ღვთაების წარმომადგენელი. მისი ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შეესრულებიათ, რანაირი მკაცრიც უნდა ყოფილიყო იგი. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ და ისპანიის მიერ დაპყრობის მეოხებით ეს წესწყობილება ჩქარა გაქრა, დაუთმო რა ალაგი ბევ-

რათ უფრო ბარბაროსულ და სასტიკ ჩვეულებებს ქრისტიანულ სამოსელში.

«ინტერნაციონალი»*—ძუმათა საერთაშორისო კავშირი, კ. მარქსის სელმძღვანელობით ლონდონში დაარსებული (1864—1872 ნ). **ი-ლი** ცნობილი რევოლიუციონური სიმღერა. **ინტერნაციონალური** ლათ. საერთაშორისო, ყველა ერებისთვის საერთო.

ისტორიული სკოლა პოლიტიკურ ეკონომიაში.—გერმანიის ეკონომიური მეცნიერების ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ისტორიის შესწავლის შეტანა პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებაში. პოლიტიკური ეკონომია იმ სახით, როგორც იგი გამოვიდა მის პირველ დამფუძნებელთაგან (ადამ სმიტიდან და რიკარდოდან), სრულებით არ საჭიროებდა ისტორიამი, ვინაიდან იგი ყველა დროისთვის და ყველა სალხისთვის საერთო იყო. მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვა და სხვა სალხის წარსული ისტორიული ცხოვრების შესწავლამ ასეთ შესედულებას ყოველივე საფუძველი გამოაცალა. პირდაპირი გავლენა ისტორიულ სკოლაზე იქონია გერმანიის ცნობილმა იურისტმა **სავინიმ**, რომელმაც უფლების ისტორიული სკოლა დააფუძნა. სავინის წარმოდგენით, უფლება როდი შეადგენს რაიმე მკვიდრს და უცვლელს; პირიქით, იგი იცვლება საზოგადოების წარმატებასთან ერთათ. ეს შეხედულება მეითვისეს გერმანიის ზოგიერთმა ეკონომისტებმა. ისტორიული სკოლის დამფუძნებლებათ პოლიტიკურ ეკონომიაში ითვლებიან **ვილჰელმ როშერი, ბრუნო ჰილდებრანდტი** და **კარლ კნისი**. დასახელებულ ეკონომისტების შეხედულებას ახასიათებენ შემდეგი აზრები: 1) თითოეული სალხის ეკონომიური ცხოვრება წარმოადგენს ერთ მთელს, რომელსაც განსაკუთრებული კანონები განაგებენ; თითოეულ განსაზღვრულ ხალხში და განსაზღვრულ ხანაში საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება სხვა და სხვა ურთიერთობას განიცდის. 2) ეკონომიური ცხოვრება ხალხის ცხოვრების მხოლოთ ერთ მხარეს წარმოადგენს, და იგი დამოკიდებულია ცხოვრების სხვა მხარეებზე, ამიტომ მისი შესწავლა შესაძლებელია სალხის ცხოვრების სხვა მხარეებთან დაკავშირებით. 3) გარდა კერძო სარგებლიანობისა, ანუ გარდა პირადი გამდიდრების სურვილისა, ადამიანში სხვა მოტივებიც მოიპოვებიან, როგორც მაგ., გრძნობა საზოგადოებრივობის, რაც გამოისატება ოჯახის, თემის, სახელმწიფოს

შექმნაში. 4) სალხის ეკონომიური ცხოვრება მუდამ იცვლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სკოლას არსებითათ არაფერი ასალი არ შეუტანია ეკონომიური მეცნიერების თეორიაში; მან მსოლოთ გამოიწვია აუარებელი ეკონომიური ტასალის შეგროვება წარსული ეკონომიური ცხოვრების შესასწავლათ. ისტორიული სკოლის ერთ დამახასიათებელ თვისებათაგანს შეადგენს კიდევ ის გარემოება, რომ მეტოქეობა ეკონომიურ ცხოვრებაში მას არ მიაჩნია თანხმობის განსასორციელებელ სამუალებათ საზოგადოებრივ კლასებს შორის. ამიტომ ისტორიული სკოლა უარყოფს ფრიტრედერულ მიმართულებას და თხოულობს სახემწიფოს ჩარევას ეკონომიური ცხოვრების გაწესრიგებაში. ისტორიულ სკოლასთან შეკავშირებულია კიდევ მეორე მიმდინარეობა პოლიტიკურ ეკონომიაში. სახელდობ სოციალ-პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ისტორიული სკოლის შემდეგ განვითარებას წარმოადგენს (იხ. სიტყვა—კათედერ-სოციალისტები).

კათედერ-სოციალიზმი, კათედერ-სოციალისტები—ეს სახელწოდება დაცინვით შემოღებულია გერმანელი ფრიტრედერის—ობბენგეიმის მიერ, რომელმაც გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში გამოუშვა წიგნაკი ამ სათაურით: „Der Katheder sozialismus“ (სოციალიზმი კათედრაზე, ე. ი. პროფესორების სოციალიზმი).“ ამ მიმართულების ნამდვილი სახელწოდებაა სოციალურ-ეთიკური სკოლა. ამ სკოლას უჭირავს საშუალო ადგილი თავისუფალი მეტოქეობის (კონკურენციის) სკოლასა და სოციალიზმს შორის. საუკეთესოთ ახასიათებს ამ მიმართულებას ერთი მისი წარმომადგენელი, სახელდობ **შმოლერი**. შმოლერის სიტყვით ამ მიმართულების მიმდევართათვის უწინარეს ყოვლისა საერთო არის ისეთი წარმოდგენა სახემწიფოზე, რომელიც შორს არის როგორც ლიბერალური ინდივიდუალიზმისაგან, რომელიც ყველაზე მაღლა პიროვნების თავისუფლებას აყენებს, ისე სახემწიფოს სოციალისტური იდეალისაგან, რომელიც პიროვნებას ნთქავს. ახალი მიმართულება ცნობს თანამედროვე მრეწველობის ბრწყინვალე წარმატებას და არ უარყოფს მის მნიშვნელობას, მაგრამ მას არა სურს იმავე დროს თვალები დახუჭოს საზოგადოებრივ უბედურებათა წინაშე, რომლებიც გამოწვეულია მრეწველობის ზრდით. სხვილი მრეწველობის ზრდასთან ერთათ იზრდება სოციალური გაჭირვება, სიღატაკე, და ამასთანავე ყველა ამის

მიზეზს იგი ხედავს იმაში, რომ უკანასკნელ დროს სახემწიფოს წარმომადგენელები და ხელმძღვანელები ყურადღებას აქცევენ მსოფლიოთ წარმოების გადიდება-გაფართოებას და არა ნაწარმოების უფრო სამართლიანათ განაწილებას. რა თქმა უნდა, ახალ მიმართულებას, მმოლერის სიტყვით, სრულებით არა სურს საზოგადოების გათანასწორება, იგი არ ოცნებობს სოციალისტურ ცდაზე; პირიქით, მის გამოსავალ წერტილს შეადგენს წარმოების არსებული ფორმა, არსებული კანონმდებლობა და საზოგადოების არსებული კლასობრივი შენობა, მაგრამ მას სწამს რეფორმები და შესაძლებლათ მიაჩნია მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მრეწველობის თავისუფლება დაცული უნდა იქნას ისე, როგორც საქირაო შრომის პრინციპი, მაგრამ ამავე დროს საჭირო საფაბრიკო კანონმდებლობა, მუშის ნამდვილი თავისუფლება ხელშეკრულობის დადების დროს, საფაბრიკო ინსპექცია და სხვ.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ „სოციალურ-ეთიკურ სკოლის წარმომადგენელებში შეხედულების მსრით ერთიანობა არ არსებობს. იმათ შორის მმოლერი ითვლება ყველაზე უფრო ზომიერათ; იგი ამტკიცებს, რომ ეკონომიურ განვითარებაში განსაკუთრებული და უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზნეობრივ ელემენტს; იგი დაწვრილებით იკვლევს წარსულ ეკონომიურ ცხოვრებას ზნეობრივი თვალთახედვის წერტილიდან. ვაგნერი და შეფფლე სახემწიფო სოციალიზმის მომხრენი გახდენ. ბრენტანო და მისი მომხრეები პირველ რიგზე აყენებენ თვითდახმარებას, როგორც შედეგს მუშის შეკავშირებისა პროფესიონალურ ორგანიზაციებში, ინგლისის ტრედ-იუნიონების მსგავსათ, თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილების ნიადაგზე. მიუხედავათ მრავალ ეკონომიურ გამოკვლევათა, რომელთაც საკმარისათ დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც წარსული, ისე თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა შესასწავლათ, თეორეტიული ეკონომიური მეცნიერების წინაშე ზევით დასახელებულ სკოლას თითქმის არავითარი სამსახური არ მიუძღვის. ამ მსრით, ერთათ ერთი თხზულება,—„სალხის მეურნეობის წარმოშობა,“ რომელიც კარლ ბიუხერს ეკუთვნის, სათვალავში მისაღები არ არის, ვინაიდან ბიუხერი თავის გამოკვლევაში უფრო კარლ მარქსის შეხედულებაზე ემყარება, ვინემ სოციალურ-ეთიკურ სკოლის შეხედულებებზე.

კათედერ-სოციალიზმი საბოლოოთ გამოირკვა ეიზენახის კონგრესის შემდეგ 1871 წელს. შემდეგ წელს კათედერ-სოციალისტებმა დაარსეს საკუთარი საზოგადოება სახელწოდებით: „საზოგადოება სოციალური პოლიტიკის მიზნით“ (Verein fur socialpolaitik“). ყოველწლივ ხდება საზოგადო კრება და გამოდის ამ კრების ანგარიშები. არ შეიძლება ითქვას, რომ კათედერ-სოციალისტების მეცადინეობამ უნაყოფოთ ჩაიარა; მაგრამ სოციალურ უბედურებათა თავიდან ასაცილებლათ არსებითათ იმათი ღვაწლი თითქმის უმნიშვნელოა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მარტო კეთილი სურვილი არ კმარა. მათზე ზეგამოჭრილია ანდაზა: მიწას გაშორდენ, მაგრამ ზეცასაც ვერ მისწვდენ!

კატეგორია—ბერძნული სიტყვაა, აღნიშნავს უფრო ზოგად ცნებებს. ასეთი განმარტება ამ ტერმინს პირველათ არისტოტელმა მისცა. კანტის შეხედულებით კატეგორია წარმოადგენს მსჯელობის წინასწარ შედგენილ, აპრიორულ, ცნებას, აზროვნების შეძლების პირობას.

კიოტრენსიშულ (currensy schule) ეწოდება ინგლისში ბანკის თეორეთიკოსთა ერთ ჯგუფს (ლორდი ოვერსტონი, ტორრენსი, ნორმანი, კლე და სხვ.), რომელიც ქადაგებდა გასული საუკუნის მეორეხარისხ წლებში რიკარდოს შემცდარ წარმოდგენას ოქროს შესახებ. რიკარდოს აზრით, „ოქრო მხოლოთ მეტალიური ფულია (მონეტა) და ამიტომ მთელი შემოტანილი ოქრო ადიდებს სატრიალო ფულის რაოდენობას და ამიტომ იგი მაღლა სწევს ფასებს, და გატანილი ოქრო ამცირებს ფულის რაოდენობას, და ამიტომ იგი დაბლა სწევს ფასებს.“ ეს შემცდარი შეხედულება საფუძვლათ დაედვა 1844 და 1845 წლებში შოტლანდიის და ინგლისის საბანკო კანონმდებლობას, ე. ი. პრაქტიკულ ცდას, რომ უეჭველათ ტრიალებდეს იმდენი მეტალიური ფული (მონეტა), რამდენიც თითოეულ შემთხვევაში ოქროა (იხ. კარლ მარქსი: 1. „პოლიტ. ეკონომიის კრიტიკა“ და 2. „კაპიტალი,“ ტ. III, გვ. 449—464).

კომუნა* ლათ. თემი, სასოფლო საზოგადოება; ქონების საერთო მფლობელ-მოძმეთა კავშირი; საშუალო საუკუნოებში—საქალაქო თვითმართველობა საფრანგეთში; ძველ-გერმანელებში—მრევლი; **პარიზის კ—ა** პირველი რევოლიუციის დროს 1789 წ. ქ. პარიზის საქალაქო საბჭო. სარევოლიუციო მთავრობა პარიზში 1871 წ. 18 მარტიდან 28 მაისამდე, რომელიც

ცდილობდა საფრანგეთის დაყოფას ავტონომიურ თემებათ, რომელთაც თავისი განსაკუთრებული სამეურნეო, საზოგადოებრივი და სასეფნიფო წყობილება უნდა ჰქონოდათ, ხოლო საერთო საქმეთა სამმართველოთ თემთა წარმომადგენლების კონგრესი. 1872 წ. 10 აგვისტოდან მეფის სახლობა ტამპლსუს საბყრობილეში გადიყვანა, დააფუძნა რევოლიუციონური ტრიბუნალი (სამსაჯულო) და სხ. დაემსო რობესპიერთან ერთათ.

კომპილატორი* ლათ. სხვა და სხვა წყაროებიდან რისიმე შემდგენელი.

კომპრომისი* ლათ. მოპირდაპირეთა შეთანხმება, მორიგება ურთიერთის დათმობით.

კომპრომისული* ლათ. საურთიერთო დათმობით შეთანხმებული ანუ შემთანხმებელი. **კ—ი მიმდინარეობა**—მიმართულება, რომელიც ითხოვს დათმობის გზით შეთანხმებას.

კრიზისი* ბერ. განსაცდელი, გასაჭირი, ქესატობა; **სამრეწველო კ-ი**—ისეთი მდგომარეობა, როცა ბაზარზე საქონლის მოთხოვნილება კლებულობს, ან სრულებით ჩერდება, მასთან ერთად მამინებიც უქმდება და უსაქმობის გამო მუშებს ქარხნებიდან ითხოვენ.

ლასალი, ფერდინანდი* (1825—1864), გერმანიის მუშათა ჯგუფის ერთი ბელადთაგანი, შესანიშნავი მჭერმეტყველი, გამჭრიახი და ტაქტიკის კაცი, რომელიც ასწავლიდა: მუშათა თავისუფალ მწარმოებელ კავშირთა დაწესებით, სახელმწიფო თანხითა და ზედამხედველობით, შესაძლებელია მუშებმა თავი დაასწიონ სამუშაო ხელფასის «რკინის კანონსაო». ლ—ს მიმდევრებს ეწოდებოდა **ლასალიანელები**. 1875 წელს გოტის კრებაზე ლასალიანელები შეუერთდენ გერმანიის სოციალისტურ პარტიას იმ პირობით, რომ პარტიულ პროგრამაში ეს დებულებაც შეეტანათ. 1891 წ ერფურტის პარტიულ სიეზდზე ეს მუხლი პროგრამიდან გამოსტოვეს.

ლეიბნიცი*—გერმ. გამოჩენილი ფილოსოფ. (1646—1716).

ლიკურგი—ძველი სპარტის კანონმდებელი, ნახევრათ ისტორიული, ნახევრათ ლეგენდარული პირი, სპარტის მთელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესწყობილება ლიკურგს მიეწერება. სანამ ცვლილებას მოახდენდა, ლიკურგმა მეფეს, ხალხს და ყველა მოხელე პირებს ფიცი ჩამოართვა, რომ ახალ კანონებს არასოდეს არ უღალატებდენ და შემდგომ ამისა ძან სიმშილით მოიკლა თავისი თავი. სხვათა შორის ლიკურგს მიე-

წერება: 1) მოსუცთა საბჭოს დაწესება 30 კაცისიგან (გერუსია —geroucia), რომელიც არჩევდა და სწყვეტდა ყველა საქმეებს; 2) ხალხის ყოველთვიური კრება (apella) ყველა მოქალაქეთაგან არა ნაკლებ 30 წლისა, რომელსაც უფლება ქონდა მსოლოთ ძიედო ან უარეყო მოსუცთა საბჭოს გადაწყვეტილება, და რომელიც აგრეთვე ირჩევდა ყველა მოხელე პირებს. მასვე მიეწერება 5 ეფორის დაწესება, რომლებიც თვალყურს ადევნებდენ სასამწიფო საქმეების მსვლელობას; მასვე მიეწერება სამსედრო ორგანიზაციის და ასალგაზდებისთვის მკაცრი დისციპლინის შემოღება სპარტაში. ზოგიერთების აზრით, ლიკურგი ღმერთის სახელი იყო, და ის ცვლილებები, რომლებიც თანდათან ხდებოდა ცხოვრებაში, ლიკურგს მიაწერეს.

მაკ-კულლოხი (Sohn—Ramsay Mac-Culloch, 1789—1864) ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი ლონდონში. ცნობილი იყო, როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ვულგარიზატორი. მას სწამდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არავითარი კლასობრივი განხეთქილება არ არსებობს, არამედ იქ სუფევს ინტერესთა სრული ჰარმონიაო. თუმცა მაკ-კულლოსს წინეთ დიდი სახელი ქონდა, მაგრამ დღეს იგი თითქმის სრულებით დავიწყებულია.

მალტუსი (1766—1834)—მეტათ ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი. იმვიათათ იქნება ისეთი, ცოტათ თუ ბევრათ განვითარებული ადამიანი, რომელსაც ეს სახელი არ გაეგონოს მაინც. მალტუსის შესახებ სხვა და სხვა აზრისანი არიან. მისი სახელი მჭიდროთ შეკავშირებულია მცხოვრებთა გამრავლების კანონთან. 1798 წელს მან გამოაქვეყნა თავის ცნობილი წიგნი „ცდა მცხოვრებთა პრინციპის შესახებ“ (An Ssay on the principle of population), რომელმაც, ავათ იყო თუ კარგათ, უკვდავ ჰყო მისი სახელი. ამ წიგნის გამოქვეყნების პირდაპირი მიზეზი შემდეგი გარემოება იყო: მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ინგლისის მუშა ხალხში საფრანგეთის დიდი რევოლიუციის იდეების ზეგავლენით დრტვინვა და უკმაყოფილება ვრცელდება. არსებული წესწყობილების წინააღმდეგ უკმაყოფილების ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო მაშინ **ვილლიამ გოდვინი**. საზოგადოებრივ უბედურებათა ძირითად მიზეზს გოდვინი სამართლიანათ ხედავდა კერძო საკუთრებაში და უსამართლო საზოგადოებრივ დაწესებულებებში. მისი იდე-

ალი იყო ისეთი საზოგადოებრივი წესწყობილება, სადაც უთანასწორობას, დაჩაგვრას ადგილი არ ექნება. როგორც არსებული წესწყობილების მსურვალე მომხრე და გაბატონებულ კლასების ინტერესების ერთგული დამცველი, მალტუსი, ახალი საბუთებით აღჭურვილი, ენერგიულათ ილაშქრებს ახალ რევოლიუციონურ იდეების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, მალტუსი სრულებით არ უარყოფს იმ საშინელ ფაქტებს ხალხის გადატაკების და გაჭივრების შესახებ, რომლებზედაც უჩვენებდენ გოდვინი და სხვები. მაგრამ იგი აყენებს ასეთ საკითხს: ნუ თუ ამ უბედურების და გაჭივრებისათვის პასუხისმგებელნი გაბატონებული კლასები არიანო?—ამაზე მალტუსი მეუდრეკელათ გვიპასუხებს: სრულებითაც არა, ვინაიდან სიღატაკის მიზეზი მარხია არა საზოგადოებრივ წესწყობილებაში, არამედ **თვით ბუნებაში**. აკტორი ასე ამტკიცებს ამ აზრს. გამრავლებისადმი მიდრეკილება უძლიერესი ფაქტორია ცხოველის ბუნებაში. თუ ამ მიდრეკილებას არაფერი აჩერებს, იმ შემთხვევაში კაცობრიობა მრავლდება გეომეტრიული პროგრესით, ე. ი. როგორც 1, 2, 4, 8, 16 და ასე. მალტუსის აზრით, მცხოვრებთა რიცხვი ორდება 25 წლის განმავლობაში; მაგრამ მცხოვრებთა არსებობის საშუალებანი არ მატულობენ ასე ჩქარა, ასე რომ იმავე 25 წლის განმავლობაში არსებობის სამუალებათ შეიძლება მოემატოს ერთი იმდენივე, ე. ი. გამრავლდენ არითმეტიკული პროგრესით, როგორც 1, 2, 3, 4 5 და ასე. მაშასადამე, მცხოვრებლები მრავლდებიან გაცილებით უფრო ჩქარა, ვინემ მათი არსებობის სასსარი, აქედან დასკვნა: როგორიც უნდა იყოს საზოგადოებრივი წესწყობილება, სიღატაკე და გაჭივრება მცხოვრებთა უმრავლესობის ხვედრი იქნება, თუ იმათ გამრავლებას არ შეაჩერებს განსაკუთრებული გარემოებანი, როგორც გარყვნილება, ომები, ავათმყოფობანი, სიღატაკე, სიმშილი, ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც ბავშვების დაბადებას შეუძლებლათ ხდის ან კლავს ადამიანს. შესანიშნავათ ასასიათებენ მალტუსის შეხედულებას და მის სულისკვეთებას შემდეგი მისი სიტყვები: „ადამიანს, რომელიც ფეხს დგამს უკვე დაკავებულ ქვეყანაში, არავითარი უფლება არა აქვს მოითხოვოს საზრდო; იგი მეტია ქვეყანაზე; ბუნების დიდებულ სუფრაზე მისთვის ადგილი არ არის. ბუნება მკაცრათ უბრძანებს მას განშორებას, და უმეტეს შემთხვევაში, მას თითონ მოყავს თავის განაჩენი სისრულეში.“ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ

კიდევ ერთი ადგილი, ძისი წიგნიდან, რომელიც განსაკუთრებით პირდაპირ მუშებს ეხება. აი ეს ადგილიც: „მაშინ, როცა სამუშაო ქირა ძლივს ყოფნის ორი ბავშის შესანახავათ. მუშა ცოლს ირთავს და ძას უჩნდება ხუთი ან ექვსი ბავში. ამის გამო იგი ვარდება უხერხულ მდგომარეობაში. იგი ჩივის სამუშაო ხელფასის სიცოტავეზე, იგი აყვედრის მდიდრებს სიძუნწეს, რომელთაც არ უნდათ გაუნაწილონ მას თავიანთი მოჭარბებული ქონება; იგი უკმაყოფილებას აცხადებს საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ და თვით განგებასაც კი უსაყვედურებს... და ამავე დროს ძას აზრათაც არ მოსდის თავისი ტანჯვის ნამდვილ მიზეზს დააკვირდეს... და მართლაც ნამდვილი დამნაშავე თითონ ის არის... უმთავრესი და შეუწყვეტელი მიზეზი სიღატაკისა ძლიერ ნაკლებ ან სრულებით არ არის დამოკიდებული მართვა-გამგეობაზე ან ქონების უთანასწორო განაწილებაზე; მდიდრებს არ ძალუძთ მიაწოდონ ღარიბებს საშუშაო და საზრდო; ამიტომ ღარიბთ არსებითათ უფლება არა აქვთ სამუშაო და საზრდო მოითხოვონ. აი რა საყურადღებო დასკვნა გამომდინარეობს მცხოვრებთა გამრავლების კანონიდან. თუ ეს ჭეშმარიტება ყოველგან გავრცელდება... იმ შემთხვევაში საზოგადოების მდაბალი კლასები უფრო მორჩილნი და მშვიდობის მოყვარენი შეიქნებიან. ისინი ისე ადვილათ აღარ დაიწყებენ არეულობას... იმათი აღელვება მომაცდუნებელი წიგნაკებით უფრო ძნელი იქნება...“

ამ ამონაწერებიდან ამკარათ სჩანს მალტუსის მოძღვრების კლასობრივი ხასიათი. მასში მეტათ თვალსაჩინოთ ლაპარაკობს არსებული კაპიტალისტური წესწყობილების და გაბატონებული კლასების ინტერესების თავგამოდებული, ვიტყვით მეტსაც, ურცხვი დამცველი. რაც შეეხება იმ თეორეტიულ მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლათ უდევს მალტუსის მოძღვრებას, ჩვენ აქ იმათ განხილვას და კრიტიკულ დაფასებას ვერ გამოვუდგებით; შევნიშნავთ მხოლოთ, რომ ყველა ეს მოსაზრებანი დღეს სავსებით დარღვეული და უარყოფილია. როგორც მოსალოდნელი იყო, მალტუსის თეორიის ყველაზე უფრო საეჭვოლიანი და ულმობელი კრიტიკა მოახდინა კარლ მარქსმა და მარქსიზმის სკოლამ. მიუხედავათ ამისა, თავის დროზე მალტუსის წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. მის პირდაპირ გავლენას მიეწერება ღარიბთა შესახებ კანონის გაუქმება, რაც მალტუსის პროგრამას შეადგენდა.

მალტუსი საზოგადოების გაბატონებულ კლასების დამცველი იყო, მაგრამ კერძოთ იგი იცავდა უფრო მიწათმფლობელების ინტერესებს; და, აი, სწორეთ აქ ჩნდება ეთი მხრით მისი ვიწრო კლასობრივი ხასიათი, და მეორე მხრით ლოდიკური ნახტომებიც. იგი სმიტის მიმდევარი იყო და, როგორც ასეთი, ვაჭრობის თავისუფლების მომხრეც უნდა ყოფილიყო; მაგრამ ვიწრო კლასობრივმა ინტერესმა, ე. ი. სხვილ მიწათმფლობელთა გაუმაძღარმა მადამ, იგი პროტექციონიზმის და ეგრეთწოდებულ პურის კანონების მსურველე დამცველათ გამოიყვანა.

დასასრულ, აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ 1877 წელს ლონდონში დაარსდა საზოგადოება, რომელიც 1879 წლიდან სცემს ჟურნალს და რომლის დანიშნულებას შეადგენს მალტუსის იდეების გავრცელება საზოგადოებაში; ასალ მალტუსიანელებსა და მალტუსს შორის ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელი დარიბთათვის უარყოფდა ცოლის შერთვას, მაშინ როცა პირველები არ უარყოფენ ქორწინებას, ესენი მსოლოთ საჭიროთ სთვლიან ბავშების გაჩენის წინააღმდეგ ზომების მიღებას.

მეტაფიზიკური*— ბუნდოვანი, გაუგებარი, გამოურკვეველი; ცხოვრებას მოშწყდარი.

მეცნიერული სოციალიზმი*—კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი მოძღვრება.

მილიერანი (Millerand) ეტიენ-ალექსანდრე, საფრანგეთის რადიკალ სოციალისტი, დაიბადა 1859 წ. ხელობით ვექილი. 1888 წლიდან იგი, როგორც რადიკალ-სოციილისტი, არჩეულ იქნა საფრანგეთის პარლამენტის წევრათ. შესანიშნავია მით, რომ, როგორც სოციალისტი, იგი პირველათ შევიდა ბურჟუაზიულ მთავრობის სამინისტროში (1899—1902), სახელდობ ვალოეკ-რუსსოს კაბინეთში. ამ მონაწილეობამ გამოიწვია დიდი აყალმაყალი და უთანხმოება საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში. შემდეგ ეგ საკითხი შეიქნა სადისკუსიო საგნათ ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიათა პრესაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ მილიერანის საქციელი სოციალისტური პარტიების ყველა წარმოსადგენელთაგან სასტიკათ დაგმობილ იქნა. თვით საფრანგეთში სოციალისტურმა კონგრესმა ტიერში გადაჭრით უარყო სოციალისტთა მონაწილეობა ბურჟუაზიულ სამინისტროებში ძიუხედავათ ამისა, ამ უკანსკნელ დროს საფრანგეთის მთავრობაში სამი «დამოუკიდებელი» სოციალისტი შედის და იმათ რიცხვში მილიერანიც. რა თქმა უნდა ჩვენ აქ ამ შემთხვევაში

სოციალისტებიან, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, აღარ გვაქვს საქმე. თავისთავათ იგულისხმება; რომ ბბ. მილიერანების მოქმედებამ საკმარისად დიდი ვნება მოუტანეს სოციალისტურ მოძრაობის განვითარებას საფრანგეთში.

მილლი (Mill, j—St.) ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი, დაიბადა 1806 წ., გარდაიცვალა 1873 წ. ადამ სმიტის და რიკარდოს შემდეგ ინგლისში ბურჟუაზიულ ეკონომისტებში მილლი ყველაზე უმესანიშნავესი იყო და არის დღემდე. მისი წიგნი «პოლიტიკური ეკონომიის საფუძველნი» ასლაც საუკეთესო სახელმძღვანელოთ ითვლება პოლიტიკური ეკონომიის შესასწავლათ. წინანდელ ეკონომისტების მოძღვრებანი აქ ერთ მთელ სისტემაშია მოყვანილი, და იმავე დროს მილლი არ კმაყოფილდება მარტო პოლიტიკური ეკონომიის დასკვნებით, არამედ იგი ამ უკანასკნელთ უფარდებს სხვა მეცნიერებათა—სოციალურ და პოლიტიკურ—დასკვნებს. განსაკუთრებულ ყურადღებით იკვლევს მილლი ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ართულებენ ეკონომიურ კანონების მოქმედებას და რომლებსაც ყურადღებას არ აქცევდენ წინანდელი ეკონომისტები. რაც შეეხება სახემწიფოს ჩარევას თუ არ ჩარევას ეკონომიურ ცხოვრებაში, მილლი ამ მეთხვევაში სრულებით სხვა გზას ადგა, ვინემ სმიტი და რიკარდო. აუარებელი საგულისხმო მაგალითებით ამტკიცებს, რომ საერთო კეთილდღეობა ყოველთვის არ ნიშნავს კერძო პირების სარგებლობას. ამიტომ იგი ამტკიცებს, რომ კეთილდღეობა თხოულობს სახემწიფოს ჩარევას ეკონომიურ ცხოვრებაში. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მილლის მეხედულება აგრარულ საკითხზე. აქ იგი თითქოს სტოვებს ბურჟუაზიულ მეხედულების თვალთა ხედვის წერტილს, რომელსაც იგი ავაო თუ კარგაო იცავდა მრეწველობაში. «ძირა—ამბობს მილლი—არ არის შექმნილი ადამიანის მიერ. მისი მისაკუთრება კერძო პირის მიერ—ეს განსაკუთრებით საერთო სარგებლიანობის საკითხია... მიწათმფლობელთა უფლება მიწაზე სავსებით ემორჩილება სახემწიფოს საერთო პოლიტიკას. საკუთრების პრინციპი მათ სრულებით უფლებას არ აძლევს მიწაზე»...

მილლის აზრით, სახემწიფოს უფლება აქვს სრულებით თავისუფლაო განაგოს მიწის საკუთრება, თანასმაო სასიგადოებრივ საჭიროებათა, მხოლოო იმ პირობით კი, რომ მიწათმფლობელები დაკმაყოფილებულ იქნენ. «თუ კანონმდებელი მა-

ლათ მოისურვებს. მას შეუძლია მიწათმფლობელთა მთელ კლასს ჩამოართვას მიწა და მისცეს მაში საზემწიფოს სესხის ობლიგაციები“ (ვექსილები). ერთი სიტყვით მიწის საკითხმა უკანასკნელ წლებში ისე გაიტაცა მილლი, რომ მან თავის სიცოცხლის უკანასკნელ სანებში სრულებით უარყო თავის წინანდელი შეხედულება, ე. ი. ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა. ჯერ კიდევ 1870 წელს იგი აარსებს საზოგადოებას, რომლის მიზანი მიწის რეფორმის მოსდენა იყო. ეს რეფორმა კი უნდა განსორციელებულიყო იმ სახით, რომ სახემწიფო უნდა ცდილიყო, რათა მიწის შემოსავლის ზრდა ყველასათვის ყოფილიყო სასარგებლო და არა მხოლოთ ერთი მუჭა ხხვილ მიწათმფლობელთათვის. მხოლოთ მილლის სიკვდილის შემდეგ გამოქეყანდა, რომ ბოლო სანებში იგი ნამდვილი სოციალისტი გახდა. თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა მისი სიკვდილის შემდეგ, იგი ამბობს, რომ მის მსოფლმხედველობაში მოხდა ისეთი ღრმა ცვლილება, რომ შეიძლება მას ნამდვილი სოციალისტი დაერქვას. კერძო საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება წინეთ მას კანონმდებლობის უკანასკნელ სიტყვათ მიაჩნდა, და იგი მხოლოთ ფიქრობდა იმ საკითხის შესახებ, თუ როგორ შემსუბუქებულ უნდა იქნას ის უთანასწორობა, რომელიც აქედან გამომდინარეობს. რაც წინეთ მას განუხოციელებელ ბოდვათ მიაჩნდა, ახლა იგი წინასწარმეტყველობს. რომ დადგება ისეთი დრო, როცა საზოგადოება აღარ იქნება დაყოფილი მუშებათ და მუქთახორებათ. „ვინც არ შრომობს, ის ნურც ჭამს“—ეს კანონი მაშინ მარტო ღარიბების შესახებ აღარ იქნება, არამედ ასე მოექცევიან ყველას განურჩევლათ. მომავალი სოციალისტური წესწყობილების საზოგადოებრივ დანიშნულებათ მილლს მიაჩნდა პირადი, ინდივიდუალური თავისუფლების შეერთება საერთო საკუთრებასთან და ყველას თანასწორ მონაწილეობასთან გაერთიანებული მუშაობის ნაყოფში.

მეტათ საგულისხმიერო უნდა იყოს ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ერთმა უდიდესმა ღრმა მეცნიერმა და მოაზრემ, როგორიც იყო ჯონ სტიუარტ მილლი, თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანაში აშკარათ დაგმო თავისი წინანდელი შეხედულება, როცა იგი დარწმუნდა, რომ ბურჟუაზიული წესწყობილებაში შეუძლებელია სამართლიანობის და ნამდვილი თავისუფლების განხორციელება.

ნაციონალური* ლათ. ერიგვნული, საერო.

ნორმალური სამუშაო დღე. იდეა ნორმალური სამუშაო დღის შემოღების შესახებ მჭიდროთ შეკავშირებულია თანამედროვე კაპიტალისტური ნარმოების ზრდასთან. იგი შედეგია, ერთი მხრით, მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გაუარესების და, მეორე მხრით, თვით მუშებში უკმაყოფილების და არეულობის განვითარებისა. კაუცკი, სხვათა შორის, გვიხატავს ჩვენ, თუ როგორ თანამედროვე მრეწველობის განვითარებასთან ერთათ უარესდებოდენ შრომის პირობები, თუ როგორ ტესნიკური გაუმჯობესობანი, ერთი მხრით. და პატრიარქალურ-ნატურალური ნარმოების თანდათანი გაქრობა, მეორე მხრით, აუარესელ მუშა სელს ერეკებოდენ ქუჩაზე,—„საქმის“ გარეშე, და ქმნიდენ უსაქმოთ დარჩენილ მუშათა სათადარიგო ჯარს. მეტოქეობა მუშებში კიდევ უფრო ძირს უთხრიდა იმათ კეთილდღეობას; კაპიტალისტები სარგებლობდენ ამით სამუშაო დღის გასაგრძელებლათ და ბავშების და ქალების შრომის მისაზიდავათ ფაბრიკებსა და ქარხნებში. მაგრამ განსაზღვრულ საფეხურზე კაპიტალისტების სურვილს ნინ ეღობებიან ერთი მხრით მუშების ამბოხებანი და მეორე მხრით ზოგიერთ გამჭრიახ სახელმწიფო მოღვაწეების და გამოჩენილ მეცნიერების და პუბლიცისტების წინდახედული პოლიტიკა მუშათა ფიზიკური და გონებრივი გადაშენების წინააღმდეგ. აქედან დაიწყო ნორმალური სამუშაო დღის მოთხოვა და ცხოვრებაში გატარება. რა თქმა უნდა ნორმალური სამუშაო დღე ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული არ ყოფილა. როცა რობერტ ოუენმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თავის ფაბრიკაში 10½ საათის სამუშაო დღე შემოიღო, ეს ეუცხოვათ მაშინ არა მარტო კაპიტალისტებს, არამედ ფართო საზოგადოების ნარმომადგენელთაც. და ეს არც გასაკვირია, ვინაიდან იმ ხანებში 16—17 საათის სამუშაო დღე თითქმის ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა. ოუენის მაგალითი დიდიხნის განმავლობაში არ იწვევს არავითარ შედეგს, სანამ მუშა ხალხი თითონ არ გამოდის ბრძოლის სარბიელზე. ამავე დროს ნორმალური სამუშაო დღის სიგრძე თანდათან მოკლდება. ბოლოს მხოლოთ **ინტერნაციონალის** პირველ კონგრესზე ჟენევაში 1866 წელს პირველათ იქნა ჩამოყენებული **რვა საათის** სამუშაო დღის მოთხოვა. რეზოლიუცია რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ მეტანილ იქნა ინგლისის დელეგატების

მიერ. იქ ნათქვამია: „სამუშაო დღის შეზღუდვას ჩვენ ვიხილავთ, როგორც აუცილებელ პირობას, ურომლისოთ ყოველივე მოძმავალი ცდა მუშა ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და გასათავისუფლებლათ უნაყოფოთ უნდა ჩაითვალოს. ეს აუცილებლათ საჭიროა მუშების ენერგიის და ჯანმთელობის აღსადგენათ. ეს არა ნაკლებ საჭიროა იმიტომ, რომ მუშებს შეძლება მიეცეთ გონებრივი განვითარებისთვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებათ. ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ **რვა საათი** იქნას დარდგენილი, როგორც კანონიერი საზღვარი სამუშაო დღისა. ეს მოთხოვა უკვე წამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მუშების მიერ, და კონგრესის ხმა მას განდის ყველა ქვეყნის მუშათა კლასის დროთათ“..

მაგრამ, როგორც ვიცით, ნორმალური სამუშაო დღე მარტო დროს განსაზღვრაში რიდი მდგომარეობს. ამიტომ იგივე რეზოლიუცია ქვევით ეხება მუშაობის სხვა პირობებსაც და ამბობს: „ღამის მუშაობა შესაძლებელია დაშვებულ იქნას, როგორც გამოკლება წარმოების ისეთ დარგებში, რომლებიც კანონმდებლობით ცალკე იქნებიან გამოყოფილნი. როგორც საერთო წესი, უნდა ძიღებულ იქნას ზომები ღამის მუშაობის თანდათან სრული გაუქმებისათვის. სამუშაო დროს ასეთი შეზღუდვა ეხება მხოლოთ სრულწლოვან მამაკაცებს და დედაკაცებს; მაგრამ უკანასკნელნი უნდა განთავისუფლებული იქნან როგორც ღამის მუშაობიდან, ისე ყოველგვარი საძუშაოსაგან, სადაც რაიმე საფრთხე მოელის ორივე სქესის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას.“

აი როგორ ესმოდა ნორმალური სამუშაო დღე მუშათა საერთაშორისო ძირველ კავშირს—ინტერნაციონალს.

სამწუხაროთ, პრაქტიკული ნაბიჯი ახლო მომავალში არც ამას მოყოლია. პირველი სერიოზული ნაბიჯი ნორმალური სამუშაო დღის შემოსაღებათ გადადგმული იქნა მხოლოთ პარიზის სოციალისტურ კონგრესის მიერ 1889 წელს. ხსენებული კონგრესის დადგენილებებში ნორმალური სამუშაო დღის შესახებ ჩვენ ვპოულობთ შემდეგს: „მუშათა საერთაშორისო და სოციალისტური კონგრესი აცხადებს, რომ მრომის და მთელი კაცობრიობის განთავისუფლება შესაძლებელია ძისწეულ იქნას ძხოლოთ პროლეტარიატის საერთაშორისო ღონისძიებით, რომელიც შეკავშირებულია ერთ კლასათ და ძხოლოთ მას შემ-

დეგ როცა იგი დაიპყრობს ძალა-უფლებას“... შემდეგ ამ კონგრესის რეზოლიუცია ამბობს: „ყველა ქვეყნებში, სადაც კი გაბატონებულია კაპიტალისტური წარმოება, აუცილებლათ საჭიროა ძლიერი კანონმდებლობა, რომელიც შრომის ინტერესებს უნდა იცავდეს. ამ კანონმდებლობის საფუძვლათ კონგრესი აცხადებს:

ა) მაქსიმალურ რვა საათის სამუშაო დღეს სრულწლოვან მუშებისთვის;

ბ) იმ ბავშვების მუშაობის აკრძალვას, რომელთაც არ შესრულებიათ 14 წელიწადი; ორივე სქესის იმ პირთათვის, რომელთაც არ მიუსწევიათ 18 წლამდე, სამუშაო დღის განსაზღვრა 6 საათით;

გ) ღამის მუშაობის აკრძალვას მრეწველობის იმ დარგთა გამოკლებით, სადაც მუშაობის შეწყვეტა ტექნიკურათ შეუძლებელია ან უხერხული.

დ) დედაკაცების მუშაობის აკრძალვას ყველა იმ დარგებში, რომლებიც ქალის ორგანიზმზე ცუდათ მოქმედებენ;

ე) ღამის მუშაობის აკრძალვას დედაკაცებისთვის, და აგრეთვე იმ ვაჟთათვის, რომელთაც 18 წელიწადი არ შესრულებიათ;

ვ) 36 საათის შეუწყვეტელი დასვენებას ყოველ კვირაში ყველა მუშათათვის.

ამ იდეიის გასავრცელებლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ იმავე კონგრესმა დაადგინა: „ინიშნება დიდი საერთაშორისო მანიფესტაცია ერთხელ და სამუდამოთ დადგენილ რიცხვს ისე, რომ ერთ და იმავე დროს ყველა ქვეყნებში და ქალაქებში ერთ შეპირებულ დღეს, მშრომლებმა უნდა წარუდგინონ საზოგადოებრივ მართვა-გამგეობათ სამუშაო დღის კანონით რვა საათით შეზღუდვა, და აგრეთვე პარიზის კონგრესის ყველა დანარჩენ დადგენილებათა განსახორციელებლათ. ასეთ დღეთ მიღებულ იქნა პირველი მაისი.

აქედან დაწყებული იმართება ფართო აგიტაცია და პროპაგანდა პარიზის კონგრესის დადგენილებათა გასავრცელებლათ და გასაღრმავებლათ ცხოვრებაში. შემდეგ თითქმის ყველა საერთაშორისო და სოციალისტურ კონგრესებზე სსენებული დაგენილება რვა საათის სამუშაო დღის შესახებ მეორდება და მტკიცდება საჭირო განმარტებით და დამატებითურთ.

იგივე დადგენილება საფუძვლათ ედება ყველა სოციალისტურ პარტიების პროგრამა-მინიმუმის მოთხოვნებს.

რა თქმა უნდა, როგორც რვა საათის სამუშაო დღის კანონით შეზღუდვა, ისე შრომის სხვა ნორმალური პირობების განსორციელება ჯერ კიდევ შორს არის და მუშა სალხის ბრძოლის ერთ უმთავრეს ძასლოებელ მიზანს შეადგენს. მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში ამ მხრით საკმარისათ დიდი ნაბიჯია გადადგმული. ავსტრალიას რომ თავი დავანებოთ, სადაც უკვე ცხოვრებაში განსორციელებულია 8 საათის სამუშაო დღე, სხვა ქვეყნებშიაც, წარმოების ზოგიერთ დარგში, მუშების ენერგიული ბრძოლის მეოხებით, უკვე ფაქტიურათ შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე. ამ მხრით დიდი ყურადღების ღირსია რუსეთის ისტორია. ჯერ კიდევ რევოლიუციურ 1905 წლამდე ალაგ-ალაგ კაპიტალისტები იძულებული შეიქნენ შემოეღოთ 8 საათის სამუშაო დღე; რაც შეეხება ცხრა საათის სამუშაო დღეს, ეს კი საკმარისათ ხმირ მოვლენას შეადგენდა. 1905 წლის რევოლიუციამ რვა საათის სამუშაო დღის შემოღების ფარგალი შესამჩნევათ გააფართოვა. ეს იყო ნორმალური სამუშაო დღის რევოლიუციური გზით შემოღებით ცდა, ვინაიდან იმ წანებში ნორმალური სამუშაო დღის შესახებ კანონის გამოცემის ლოდინი სრულიათ ამაო იყო. მაგრამ 17 ოკტომბრის ცნობილი მანიფესტის შემდეგ რუსეთის მუშა სალხის წინაშე ასეთი დილემა იყო: ან სრულებით უარი უნდა ეთქვა ბრძოლით მოპოებულ პირობებზე, ან და რევოლიუციური გზით მას დაუყოვნებლივ უნდა განესორციელებია რვა საათის სამუშაო დღე. რუსეთის პროლეტარიატმა რევოლიუციის ხანაში აირჩია მეორე გზა.

უკვე საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მოხსნის შემდეგ 21 ოკტომბრის ბეტერბურგის პროლეტარიატში, რომელიც იმ ხანებში მთელი რუსეთის მოძრაობის ტონის მიმცემი იყო, იწყება მოძრაობა 8 საათის სამუშაო დღის რევოლიუციური გზით განსასორციელებლათ. როცა ეს საკითხი საკმარისათ გამოირკვა კერძო ფაბრიკა-ქარხნებში და მუშების რაიონულ ორგანიზაციებში, იგი გადატანილ იქნა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოში 29 ოქტომბრის სხდომაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კითხვას ხანგრძლივი კამათი არ გამოუწვევია. მუშათა დეპუტატების დიდი უმრავლესობა იმის მომხრე იყო, რომ დაუყოვნებლივ დანიშნულიყო დრო რვა საათის სამუშაო

დღის გასაყვანათ მთელ პეტერბურგში. ეს დრო დაინიშნა 31 ოკტომბერს. ამ გადაწყვეტილებას აღტაცებით მიეგება არა მარტო პეტერბურგის, არამედ მთელი რუსეთის პროლეტარიატი. მაგრამ მან შიშის ზარი დასცა მოწინააღმდეგეთ. მუშები ენერგიულათ შეუდგენ ამ დადგენილების გაყვანას ცხოვრებაში, და სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მათ მეცადინეობას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. მაგრამ მუშების ენერგიულმა მეცადინეობამ ამ პირველი იერიშის მიტანის დროს ვერც კაპიტალისტების კლასის და მთავრობის მეერთებული წინააღმდეგობა ვერ დასძლია. კაპიტალისტებმა პასუხი გასცეს პროლეტარიატის გარდაწყვეტილებას უსასტიკესი ზომით—ე. ი. ლოკაუტებით—ქარხანა-ფაბრიკების დაკეტვით და მუშების ქუჩაზე გამოყრით. მემდეგ აძას მოყვა რევოლიუციის დამარცხება, და 8 საათის საშუშაო დღის რევოლიუციური გზით განსორციელებაზე ლაპარაკიც აღარ იყო შესაძლებელი. მაგრამ ეს იყო პირველი ცდა.

დასასრულ აქ უნდა მოვიხსენიოთ კიდევ მემდეგი გარემოება. 1904 წელს საფრანგეთის მუშათა პროფესიონალური კავშირების (სინდიკატების) კონგრესზე ქ. ბურეში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ 1906 წლის პირველ მაისიდან საფრანგეთის მუშებს თითონ შემოეღოთ 8 საათის მუშაობა, ე. ი. რვა საათზე მეტი აღარ ემუშავნათ. საბწუსაროთ, ამ გადაწყვეტილებას დღემდე არავითარი შედეგი არ მოყოლია.

ოპორტუნიზმი* ლათ. დრო-გარემოებასთან შეთანხმება, გარკვეული გზის დროებით უარყოფა და დროისა და პირობების მიხედვით მოქმედება.

ორთოდოქსალური* ბერ. მართლმორწმუნე, რომელიმე მოძღვრების მტკიცეთ დამცველი, ბრმათ, უკრიტიკოთ მიმდევარი.

ოუენი, რობერტ (Owen),—ერთი უშესანიშნავესი სოციალისტ-უტოპისტთაგანი (იხ. სიტყვა—უტოპია), დაიბადა 1771 ნ., გირდაიცვალა 1858 წელს. იგი ღარიბი ხელოსნის შვილი იყო, სწავლობდა პირველ-დაწყებით სკოლაში და ათი წლის იყო, როცა იგი ნოქრათ მიაბარეს ერთ სავაჭრო სახლში. პატარაობიდანვე იგი იწყებს წიგნების კითხვას და იმავე დროს საზოგადოებრივ ვირ-ვარამზე და სატკივრებზე ფიქრს. ამასთანავე იგი იჩენს შესანიშნავ შუყაითობას და საქმის წაყვანის საუცხოვო ნიჭს, ასე რომ ამ ძირით მას ბედმა ჩქარა გაუღი-

მა: სულ ახალგაზდა, მხოლოთ თავისი ორგანიზატორულ ნიჭის მეოხებით, იგი სდება ერთი უდიდესი ფაბრიკის სათავეში, როგორც ძისი სრული გამგე-პატრონი. აქ ძას სამუალება ეძლევა განასორციელოს სირამდვილეში ყველა ის აზრები, რომლებიც ძან მეიძუშავა საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ეს აზრები გამოთქმული იყო ძის მიერ 1813 წელს ცალკე თხზულებაში: „Anew viw of sciety or essaysen the formation of fhe human character and tbe apolicatiou of the principle to practice“ (ახალი შესედულება საზოგადოებაზე ანუ ცდა ადამიანის ხასიათის შემუშავების პრინციპზე და ამ პრინციბის გამოყენება ცხოვრებაში). ამ წიგნში ოუენი ამტკიცებს, რომ ადამიანის ხასიათი დამოკიდებულია იმ გარეგან პირობებზე, რომლებშიაც იგი იმყოფება; ამიტომ იდამიანი ბასუსის მგებელი არ არის, როცა იგი რაიმე დანაშაულს იდენს. პირიქით აქ დამნაშავე თვით საზოგადოებაა, რომელშიაც ეს ადამიანი ცხოვრობს. მამასადამე ადამიანის გადაკეთება დამოკიდებულია იმ გარეგანი პირობების გაუმჯობესობაზე, რომლებშიაც იგი ცხოვრობს. ეს შესედულება, თუმც არ ახალი, სიმართლეს მოკლებული არ იყო; მაგრამ ოუენს არ შეეძლო აქედან ლოდიკური დასკვნების გამოყვანა. საქმე ის არის, რომ თუ ადამიანის ხასიათის ავ-კარგიანობა, მისი კეთილდღეობა, დამოკიდებულია გარეგან პირობებზე, ე. ი. უკანსკნელ ანგარიშში საზოგადოებრივ-ეკონომიურ წესწყობილებაზე, ამიტომ შთელი მეცადინეობა ძიმართული უნდა იყოს ამ წესწყობილების გაუმჯობესობისაკენ. მაგრამ კითხვის ასე დაყენება კი ნიშნავდა პოლიტიკური მოძრაობის ხელის შეწყობას და განვითარებას. ოუენისთვის კი სოციალური საკითხი მხოლოთ წმინდა ეკონომიური სიკითხი იყო და არა პოლიტიკური. ეს უკანასკნელი ძისთვის სრულებით არ არსებობდა, ისე როგორც არ არსებობდა ძისთვის კლასობრივი განსეთქილების და კლასობრივი ბრძოლის იდეა. პირიქით, ძისი აზრით, მადალ, გაბატონებულ კლასების მოვალეობა ძდგომარეობს დაბალ კლასებისთვის ხრუნვაში, და ამას თხოულობენ იმათივე ინტერესები. ამნაირათ, მან გამოიმუშავა „პატრონატის“ (იხ. ეს სიტყვა) სისტემა და შეეცადა ძის განხორციელებას ცხოვრებაში. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, იგი შეიქნა ერთი უდიდესი ფაბრიკის გამგე-პატრონი ქ. ნიუ-ლანარკში. და მართლაც აქ ძან შექმნა მუშებისთვის საძაგალითო პირობები, შეამცირა სამუშაო დღე 10½

საათამდე, დაარსა სკოლა, გააუმჯობესა ბინები, შემოიღო მამინები, იგი არ აჯარიმებდა. არ ითხოვდა მუშებს. მიუხედავათ ამისა, ფაბრიკის საქმე მაინც კარგათ მიდიოდა. ოუენმა ჩქარა გაითქვა სახელი, მის სანახავათ ყოველი მხრიდან მოდიოდენ მდიდარი და ნარჩინებული პირები. მაგრამ დახეთ უბედურებას: მის მაგალითს მაინც არავინ ბაძვიდა, და ნიუ-ლანარკის ფაბრიკა სომ ნვეთი იყო ზღვაში! და მეორე მხრით, ნიუ-ლანარკის ფაბრიკა ყოველი მხრიდან გამოყოფილი და დახშული კუნძული ხომ არ იყო, რომ მას შემდეგშიაც სავსებით შეენარჩუნებია თავისი უპირატესი მდგომარეობა, რომელიც მას ოუენმა მიანიჭა? ამას კარგათ გრძნობდა ოუენიც, და ამიტომაც იგი სხვებსაც ჯრწმუნებდა, რომ მისი მაგალითისთვის მიებაძათ, და ამნაირათ ფიქრობდა იგი თანამედროვე კაპიტალისტური ნესწყობილების ნიადაგზე მუშა ხალხის მდგომარეობის საუკეთოთ შეცვლას. რომ იგი მუშების გულნრფელი მეგობარი იყო, ეს საეჭვო არ არის; მაგრამ რომ მისი პროექტი საერთოთ მუშა ხალხისთვის მავნებელი და იმავე დროს განუხორციელებელიც იყო, ესეც უეჭველია. თავისი მსურვალე და გულნრფელი ქადაგებით საყოველთაო ბედნიერებაზე, სადაც ალაგი არ ქონდა კლასობრივ ბრძოლას და კლასობრივ წინააღმდეგობას, ოუენს შეეძლო გაეტაცებია ფილანტროპები, ზნეობის მასწავლებელნი და იმავე დროს ჭრელი მასა, რომელსაც მხოლოთ შემთხვევით შეუძლია ისარგებლოს; მაგრამ ასეთ გატაცებას ძოძავალში არავითარი ნიადაგი არ ქონდა, რაც ჩქარა დამტკიცდა. საკვირველია ის გარემოება, რომ მუშა ხალხის ეს ერთგული მეგობარი და მისი კეთილდღეობისთვის მზრუნავი ადამიანი, სრულებით გულგრილათ დასცქერის ჩარტისტების მოძრაობას, ინგლისის მუშა ხალხის ამ პირველ და დიდებულ გალაშქრებას არსებული ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ! მარტო ეს ფაქტი საკმარისია ოუენის საზოგადოებრივი მსოფლმსედველობის და მისი „სოციალიზმის“ დასასასიათებლათ. ამავე დროს ოუენი აგიტაციას ეწეოდა საფაბრიკო კანონმდებლობის სასარგებლოთ, რაც მისი თვალთასედვის წერტილიდან გაუგებარია, მაგრამ კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ის არის, რომ ამ საქმეში მთელ თავის იმედს იგი ა

ეა (National labour equitable celehange). ეს იყო გაცვლა-გამოცვლის ბანკი, რომელშიაც საზომათ (мѣрило) შრომა იყო მიღებული. ამ ბანკის დანიშნულება იყო: სავაჭრო მოგების და ფულის შეამავლობის მოსპობა. ნაწარმოებნი ბანკში უნდა გაცვლილიყვენ ერთიმეორეზე იმის მიხედვით, თუ რამდენ სამუშაო დროს შეიცავდენ ისინი. ნაწარმოების მიმტანს ბანკი აძლევდა ხელწერილს, რომელზედაც აღნიშნული იყო სამუშაო საათების განსაზღვრული რაოდენობა. ასეთი ხელწერილის პატრონს შეეძლო მასში მიეღო ბანკიდან იმდენი ნაწარმოები, რომელთა ღირებულება სამუშაო საათებში მას უდრიდა. პირველ ხანებში ბანკის საქმე თითქო კარგათ მიდიოდა, მაგრამ ჩქარა მრავალი დაბრკოლება აღმოჩნდა. ნაწარმოების ფასის-განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობდენ არა იმ სამუშაო დროთი, რომელიც მასში იყო განსოფრციელებული და არა ნაწარმოების გასაკეთებლათ აუცილებელი სამუშაო დროით, არამედ საბაზრო ფასით. გარდა ამისა, წარმოების ორგანიზაციაში ბანკი სრულებით არ ერეოდა, და იმავე დროს ღებულობდა ყოველივე საქონელს, რასაც კი მიუტანდენ. ამიტომ, ვაჭრები, სარგებლობდენ რა ამ გარემოებით, აყრიდენ ბანკს ჩამსდარ და დაწუნებულ საქონელს და იმავე დროს გაქონდათ იქიდან ყველასათვის საჭირო საქონელი. აქედან აშკარაა, რომ ოუენის ბანკი ჩქარა უნდა გაკოტრებულიყო და გაკოტრდა კიდეც.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმ აუარებელ კომუნისტურ საზოგადოებებზე, რომლებიც დაარსეს ოუენმა და მისმა მიმდევრებმა როგორც ინგლისში, ისე ამერიკაში და რომლებმაც სულ მოკლე სანმი სული დალიეს.

მიუსედავათ ყველა ამისა, ოუენის სახელი, როგორც მუშა ხალხის ინტერესების კეთილშობილური დამცველის, სამუდამოთ დაუვიწყარი იქნება სოციალიზმის ისტორიაში.

პატრონატი—ეს არის ფილანტროპიული და საქველმოქმედო დაწესებულებათა მთელი სისტემა, რომელსაც მიზნათ აქვს მუშების ეკონომიურ და სნეობრივ მდგომარეობაზე მზრუნველობა. მაგრამ ამ გვარ დაწესებულებათა არსებით დამასასიათებელ თვისებას შეადგენს ის გარემოება, რომ აქ მუშისთვის მზრუნველათ, მის აპეკუნათ გამოდის მისივე ექსპლოატატორი, ე. ი. კაპიტალისტი-ფაბრიკანტი. აშკარაა, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთი მხრით აზალი ყაიდის ქველმოქმედთა ფარისევლობასთან და თვალთმაქცობასთან და მეორე მხრით

თვით მუშების „უკიდურეს“ შეუგნებლობასთან და დაქვეითებასთან. კაპიტალისტების ასეთი თვალთმაქცური მოქმედება დამყარებულია შემდეგ ‘ფარისევლურ მოსაზრებებზე. მუშა და კაპიტალისტი ორი მხარეა, რომლებიც ურთი-ერთშორის დროებით ხელშეკრულებას კრავენ, რომლის ძალით მუშა კაპიტალისტისაგან ღებულობს ხელფასს. კაპიტალისტი, აძლევს რა მუშას ამ ხელფასს, იგი თავის მოვალეობას უკანასკნელის წინაშე შესრულებულათ თვლის. მაგრამ განა მუშას შეუძლია მარტო ამ ხელფასით დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი, იზრუნოს თავის ოჯახისთვის და იფიქროს მომავალ ბედზე?—კითხულობს კაპიტალისტი-ფარისეველი. მუშა სრულებით არ ფიქრობს თავის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, იგი არ ფიქრობს თავის შვილების ზნეობრივ აღზრდაზე. ვინ უნდა ზრუნავდეს ყველა ამაებზე? კაპიტალისტის აზრით უნინარეს ყოვლისა ეს სავსებით თვით კაპიტალისტის საქმეა, ვინეს სხვა ვისიმე. კაპიტალისტს ხომ ძლიერ უყვარს მუშა, და აი იგი გამოდის მისი კეთილისმყოფელი და ზრუნავს ყველა ამისთვის. იგი აარსებს სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს, რომლებშიაც მომქმედ პირებათ და ხელმძღვანელებათ იგი იწვევს ბერებს და ძღვდლებს. ამ დაწესებულებათა საშუალებით კაპიტალისტი კიდევ უფრო იმორჩილებს და იმონებს მუშებს; მუშები აქ იყღინთებიან ადამიანის პიროვნების დაძაბიერებელი გრძნობით, მათში ზრდიან კაპიტალისტის და ეკლესიის მონამორჩილს, ახმოებენ მასში ყოველგვარი დამოუკიდებლობის გრძნობას და თვითმოქმედებისადმი მიდრეკილებას.

აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ პატრონატი როგორ მავნებელ და გამათახსირებელ დაწესებულებას წარმოადგენს მუშებისთვის. მუშებს აქ ექცევიან, როგორც უსუსურ ბავშებს, რომელთაც ფაბრიკანტების „მამაშვილურ“ დაუხმარებლათ ფეხის გადადგმა არ შეუძლიანთ. აქედან აშკარაა ისიც, თუ როგორ უნდა უყურებდეს პატრონატს მუშა ხალხის ყველა მეგობრები, სოციალისტები. ახლა ჩვენთვის ადვილი გასაგებია, თუ რისთვის სოციალდემოკრატია ყოველგან შეურიგებლობას უცხადებს პატრონატს.

პატრონატმა განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა საფრანგეთში და ბელგიაში.

პეტტი (ვილიამ Petty)—ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, ცხოვრობდა 1623—1687 წ.წ. ძან თითქმის პირვე-

ლათ წარმოსთქვა ის მეხედულება, რომ საგნის ღირებულება განისაზღვრება იმათ გაკეთებაზე დასარჯული შრომის რაოდენობით. ფული აჩქარებს და აადვილებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას; რაც შეეხება ქვეყნის სიმდიდრეს, ის მარტო ფულათ როდი განისაზღვრება. სხვათა შორის მას დიდი საძსაზური მიუძღვის სტატისტიკის განვითარების საქმეში. პეტტის ხშირათ უწოდებენ პოლიტიკური ეკონომიის მამას.

პინდარი (Pindaros)—საბერძნეთის ლირიკული პოეტი (522—448 ქრ. წინ.). სხვათა შორის ცნობილია მით, რომ პოეტობა მან ხელობათ, პროფესიათ, გაისადა; უმეტეს შემთხვევაში პინდარი ლექსებს დაკვეთით სწერდა, ტირანების და ცნობილ კაცების თხოვნით, გარიგებულ ფასზე.

პოლიტიკური რადიკალიზმი*—სახელმწიფო მოღვაწეობაში—ბოლომდე დაუთმობლათ სიარული პოლიტიკაში.

პრიმატ-დოცენტი*—უნივერსიტეტის ძასწავლებელი, რომელსაც ჯერ პროფესორობის სარისხი არ მიუღია.

პროტესტანტიზმი* ლათ. სხვა და სხვა საქრისტიანო მოძღვრება მართლ-მადიდებლობის, გრიგორიანობის და კათოლიკობის გარეშე.

პროტექციონიზმი—პოლიტიკურ ეკონომიაში აღნიშნავს იმ მიმართულებას, რომელიც სახელმწიფოსაგან თხოულობს ნაციონალური მრეწველობის და ვაჭრობის ენერგიულ მფარველობა-დაცვას. იგი წარმოსდგა ადამ სმიტის მიმართულების წინააღმდეგ და რამდენიმეთ გვაგონებს მერკანტიული სისტემის განასლებას, რომელიც გაბატონებული იყო ევროპაში მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე. პირდაპირი ძისესი, რომელმაც პროტექციონიზმის განვითარება გამოიწვია, იყო, ერთი მხრით, ინგლისის მრეწველობის კოლოსალური, უზარმაზარი ზრდა და, მეორე მხრით, თავისუფალი ვაჭრობის იდეების გავრცელება ინგლისის მრეწველობის ზრდის ზეგავლენით. როგორც ცნობილია, ინგლისის მრეწველობის განვითარება, შეჩერებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის ომების დროს, ისევ საოცარი სიჩქარით წავიდა წინ. ინგლისის მრეწველობის ნაწარმოებნი და ინგლისის კაპიტალი თითქმის მთელ ქვეყნიერებას ედებოდა. განსაკუთრებით საგრძნობელი შეიქნა ეს გავლენა ევროპის დასარჩენ სახელმწიფოების მდგომარეობაზე, ე. ი. ადგილობრივ მრეწველობათა განვითარებაზე. თანამედროვე სახელმწიფოთა მთელი ძლიერება პირდაპირ დამოკიდებუ-

ლია ადგილობრივი მრეწველობის და აღებ-მიცემობის აღყვავება თავის საკუთარ ტერიტორიაზე. ინგლისის მრეწველობის კოლოსალური ზრდა და ღია კარები, ე. ი. ვაჭრობის თავისუფლება, რასაც ინგლისის მრეწველთა კლასი ქადაგებდა, ევროპის დანარჩენ სახემწიფოების მრეწველობათა თუ პირდაპირ სიკვდილს არა, მათი ზრდა-განვითარების შეჩერებას მაინც კი ნიშნავდა. და აი ჩნდება რეაქცია ასეთი მიდრეკილების წინააღმდეგ. ჯერ ჩამორჩენილ ქვეყნების მრეწველთა კლასის და იმათ იდეოლოგების—ბურჟუაზიულ ეკონომისტების მხრით და შემდეგ მათ მხარს უჭერენ თვით მთავრობანი. ესენი თხოულობენ საგარეო ნაწარმოებთათვის კარების დაკეტვას, ე. ი. იმათი შემოტანა შეზღუდული უნდა იქნას დიდი ბაჟების და სადამოუნო ტარიფების შემოღებით. აბის მეოხებით განვითარდება და აღყვავდება ადგილობრივი მრეწველობა და აღებ-მიცემობა, გაიზრდება „ნაციონალური სიმდიდრე“, გაძლიერდება სახემწიფო. რომ სიძლიერეში და ნაციონალურ სიმდიდრეში იგულისხმებოდა მარტოოდენ გაბატონებულ კლასების ძალთა-განმავლობა და სიმდიდრე, ამაზე მაშინ თითქმის არავინ ფიქრობდა. როგორც ზოსალოდნელი იყო, პროტექციონიზმი აღმოცენდა და განვითარდა მრეწველობა-აღებ-მიცემობის მხრით ჩამორჩენილ ქვეყანაში და რომელიც იმავე დროს ყველაზე უფრო მეტათ გრძნობდა თავის ჩამორჩენას. ასეთი ქვეყანა იყო გერმანია, სადაც პროტექციონიზმმა იპოვნა თავისი თეორიული დასაბუთება. ეს საქმე შეასრულა ცნობილმა **ფრიდრიხ ლისტმა,** რომლის უმთავრესი თხზულება: „პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალური სისტემა“ (Das nationale system der politischen Oeconomie) გამოვიდა 1841 წელს.

თავის გამოკვლევას ლისტი იწყებს ად. სმიტის მოძღვრების კრიტიკით, რომლისთვის ნაცია არ არსებობდა. ლისტის აზრით კი ნაცია წარმოადგენს რაღაც უმაღლეს მრთელს, რომელიც გაერთიანებულია ენით, ზნეჩვეულებებით, ისტორიული სვე-ბედით და სხვ. ნაციის მფარველობა (იგულისხმე: გაბატონებულ კლასების) შეადგენს სახემწიფოს უმთავრეს დანიშნულებას. ნაციონალური პოლიტიკის ქვაკუთხედათ იგი თვლის ნაციონალურ საწარმოვო ძალთა განვითარებას. მაგრამ, მისი აზრით, ვაჭრობის თავისუფლება, რასაც შედგრათ იცავდა სმიტის სკოლა, ჩამორჩენილ ნაციებს საშუალებას არ აძლევენ ასეთი განვითარებისთვის. ვაჭრობის თავისუფლება ჩაგრავს ჩა-

მორჩენილ ნაციებს მრეწველობის მსრით განვითარებულ ნაციების სასარგებლოთ. ჩამორჩენილი ნაციები ამ მეტოსვეკაში უკანასკნელთა მეწველ ფეურებათ სდებიან, განვითარებული ნაციები მათ ყველეფენ და სამუალებას არ აძლევენ თავი დაანწიონ მიწათმოქმედების საფეხურს. სანამ ნაცია ამ საფეხურზე იმყოფება, იგი უძლურია ყოველნაირათ. ლისტის იდეალს შეადგენს ისეთი სახემწიფო, სადაც მიწათმოქმედება. მრეწველობა და ვაჭრობა თანასწორათ არიან განვითარებულნი; მაგრამ ეს შეუძლებელია სანამ დაცულია საერთამორისო აღებმიცემობის თავისუფლება. აშიტომ ლისტი ოსტულობდა გერმანიის ნაციონალური მრეწველობის მფარველობას უცხო ნაწარმოებთა შემოტანის მაღალი სადამოუნო ბაჟებით შეზღუდვას. რა თქმა უნდა, ლისტი კარგათ გრძნობდა, რომ ასეთი ზომა მაღლა ასწევდა, ე. ი. გაამვირებდა საქონლების ფასს სამინაო ბაზარზე, ანუ გაადიდებდა შეძლებულ კლასების, მრეწველობის და ვაჭრობის. სიმდიდრე-ქონებას, და კიდევ უფრო დაბლა დასწევდა და ძირს გამოუთსრიდა ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობას. მაგრამ ეს გარემოება ლისტს ყველაზე ნაკლებ აფიქრებდა.

ფრ. ლისტის სისტემამ გაიმარჯვა არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპის და ამერიკის დანარჩენ სახემწიფოებშიაც, გარდა ინგლისისა. იგი საფუძვლათ დაედვა ეგრეთწოდებულ მფარველობით, ანუ პროტექციონურ სისტემას, რომელიც დღემდის საერთამორისო მთავარ მამოძრავებელ ძარღვათ ითვლება, ზოგან სახემწიფოს უმაღლეს ინტერესების სახელით, ზოგან კიდევ ნაციონალური, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ნაციონალისტური, იდეების სამოსელში გასვეული. იგი არა თუ გამეფებულია უკიდურეს ხარისხამდე რუსეთის საგარეო და სადამოუნო პოლიტიკაში, არამედ (ჰოი, საკვირველებავ!) მას მოიხრეები გამოუჩნდენ ჩვენშიაც; ქართული მრეწველობის და ქართული აღებმიცემობის ასაღორძინებლათ ჩვენ გვიპირებდენ საქართველოს სადამოუნო კედლებით (ბაჟებით) შემოზღუდვას. საბედნიეროთ, ასეთ მოაზრეთა ქადაგება ჩვენში მეტათ დაგვიანებული თუ არა, ნაადრევი მაინც გამოდგა!

პრუდონი (Proudhon) პიერ—ეოზეფ, დაიბადა 1809 წელს, გარდაიცვალა 1865 წ., საფრანგეთის ცნობილი მწერალი ანარქისტი. შთამოძავლობით იყო დაბალი წოდების და კიდევაც ამაყობდა ამით. იგი უწოდებდა თავის თავს გლეხს (paysan) და

როცა მას ერთხელ საიერანგეთის საერო კრებაზე ერთ წარჩინებული პირისთვის პასუხის გაცემა მოუნდა, მან თავმომწონეობით განაცხადა: „მე მყავს 14 წინაპარი გლეხთა მთამოვალობა,—დამისახელეთ თუნდ ერთი ოჯახი, რომელსაც ამაზე მეტი კეთილშობილური წინაპრები ყავდესო“! პრუდონი პირველ ხანებში დიდ ნივთიერ გაჭივრებას განიცდიდა, და ამიტომაც მან ვერ შეძლო საჭირო განათლება მიეღო; მხოლოთ თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში მან რამდენიმეთ უზრუნველყო თავისი ნივთიერი მდგომარეობა ლიტერატურული და ჟურნალისტიკური შრომით. რაც შეეხება პრუდონის პოლიტიკურ მოღვაწეობას, ამაზე უნდა ვთქვათ ის, რომ ეს უკანასკნელი სრულებით მოკლებულია ისეთ ოვისებებს, რომლებიც ბტკიცე შეურყეველი მიმართულების მოღვაწეს ახასიათებენ. თუმც მთავრობა მას თითქმის ბუდამ სდევნიდა, მაგრამ იგი არც ისე საშიშარი მტერი იყო მისთვის: სმკარისია მოვიგონოთ, რომ ნაპოლეონ მესამის მიერ სასემწიფო ცვლილების მოხდენის შემდეგ, რესპუბლიკანური პარტია პრუდონს ბრალს დებდა იმპერიის წინაშე ლაქუცობაში, და მართლაც ერთ თავის ბროშიურაში პრუდონი თითქო ამართლებდა ხსენებული სამარცხვინო აქტის უსირცხვილო ბოთავეს.

როგორი იყო პრუდონის საზოგადოებრივი იდეალი? პრუდონს არ დარქმევია სოციალისტი ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, და საზოგადოთ ძისი შეხედულებანი ამ საგნის შესახებ მეტათ ბუნდოვანი და გამოურკვეველია. თავისუფლათ შეგვიძლია ვეწოდოთ მას წვრილი ბურჟუაზიული „სოციალიზმის“ წარმომადგენელი. მისი იდეალი იმ კლასის იდეალის იქით არ ძიდიოდა, რომელსაც თვით პრუდონი ეკუთვნოდა. ამ მხრით მეტათ საინტერესოა პრუდონის შეხედულება დედაკაცზე, ე. ი. ქალთა საკითხზე. დედაკაცი, ძისი შეხედულებით, დაბალი არსებაა; განათლებული ქალი მას არ სწამდა; ამავე დროს ოჯახი მას წარმოდგენილი ქონდა ისეთ კავშირათ, სადაც მამაკაცი სრული ბატონი უნდა იყოს. იგი დედაკაცს მხოლოთ დიასახლისის და დედის როლს არგუნებს და ყოველგვარი უმაღლესი სულიერი მოღვაწეობა ძისთვის სრულებით აკრძალული უნდა იყოს. ქალების გათანასწორება უფლებით მამაკაცთან, ე. ი. ეგრეთ-წოდებული ემანსიპაცია, პრუდონის შეხედულებით, მხოლოთ გარყვნილებას გამოიწვევდა.

პრუდონის თხზულებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ორი ნაწერი: 1) Qu' est ce que la propriété? (რა არის საკუთრება?) და 2) Système qes contraqictious èconomiqnrs ou Philosophie qe la misér" (ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა ანუ სიღატაკის ფილოსოფია). ბირველი ოსულება გამოქვეყნებულ იქნა 1840 წელს; აქ პრუდონი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საკუთრება შეუძლებელია. იგი თანდათან ისილავს იმ იურიდიულ საფუძველს, რომლების მეოხებით ამტკიცებენ ამ დაწესებულების სამართლიანობას. იგი ამტკიცებს ყველა არსებულ თეორიების უძლურებას საკუთრების უფლების გასამართლებლათ. ეს უფლება კი სინამდვილეში საჭიროა ისეთი შემოსავლის მისაღებათ, რომელსაც საფუძვლათ შრომა არ უდევს. ასეთი შემოსავალი ღებულობს სხვა და სხვა სახეს, მაგრამ არსებითათ იგი ერთი და იგივეა. აქედან პრუდონს გამოყავს შემდეგი დასკვნა: «საკუთრება—ეს ქურდობაა» (la propriété, c'est le vol), ფრაზა. რომელმაც მის ავტორს შესძინა უფრო მეტი სახელი, ვინემ ყველა მისმა აუარებელმა ნაწერებმა ერთათ. მაგრამ, თუმც საკუთრება პრუდონის აზრით, არღვევს თანასწორობას და იწვევს ჩაგვრას, კომუნიზმი კიდევ უფრო დაძლუპველი იქნება. კომუნისტურ ანუ სოციალისტურ საზოგადოებაში სუსტი გაყვლეფს ძლიერს, ზარმაცი და უნიჭო იცხოვრებდა შრომის მოყვარის და ნიჭიერის ხარჯზე. ამნაირათ პრუდონს არ აკმაყოფილებს არც არსებული უფლება საკუთრებაზე და არც ის გადაწყვეტა ამ საკითხის. რომელსაც იძლევა კომუნიზმი ანუ სოციალიზმი მომავლისათვის. მაგრამ არც თითონ პრუდონი სწყვეტს საკითხს. მართალია პრუდონს მთელ მის სიცოცხლემი აფიქრებდა საკუთრების უფლების ძირითადი ცვლილება; იგი ოცნებობდა ბირადი მფლობელობის დაცვაზე და ისეთ საზოგადოებრივ წესწყობილებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც თავისუფლებას, ისე თანასწორობას. და, აი, ასეთი წესწყობილება, თავის სიცოცხლის დასასრულს, პრუდონმა აღმოაჩინა რუსეთის «ობშჩინაში». სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაწერში, პრუდონი ამბობს აი რას: „საკუთრების საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტა მოგვცა სლავიანთა ტომმა, რომელმაც შექმნა «ობშჩინური» (საერთო) საკუთრება, სადაც მიწა ეკუთვნის მთელ საზოგადოებას, და მიწის ცალკე ნაჭრებით სარგებლობის უფლება—საზოგადოების თითოეულ წევრსო“..

მფლობელობის სლავიანური უფლების ბატონობა შეძლებას აძლევს მუშას, რომ მან მიიღოს ის ჯილდო, რომელიც ერგება, და მისი შრომის ნაყოფი სავსებით უზრუნველყოფილია. სლავიანია ცივილიზაციის ეს პრინციპი შეადგენს ამ ტომის ისტორიაში ყველაზე უფრო სასასელო მოვლენას". ეს ამონაწერი აშკარათ მოწმობს არა მარტო პრუდონის უძლურებას სოციალური საკითხის გადაჭრის წინამე, არამედ ჩვენი ავტორის უვიცობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა უცოდინარობაში. პრუდონის მეორე ზევით დასახელებული შრომა—«ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა»—უფრო საფუძვლიანია. პრუდონი წინ გვიყენებს აქ ღირებულების თეორიას და იგი არდგენს წინააღმდეგობას საცვლელ ღირებულებასა და სასმარ ღირებულებას შორის. ამ წინააღმდეგობის მოსპობას პრუდონი ცდილობს ღირებულების შეფარდებით შრომასთან, რომელიც დასარჯულია საგნის გაკეთებაზე. მაგრამ ეს დანიმნულება ჯერ კიდევ შორს არის თავის განსორციელებამდე, და, აი, პრუდონის აზრით, რით უნდა აიხსნას დღევანდელი ეკონომიური წესწყობილების უარყოფითი მოვლენები, როგორც, მაგ., საქონლის ტრიალის ტკივილები, კრედიტის რყევა, სხვა და სხვა გვარი კრიზისები, და გარდა ამისა მუშა ხალხის ექსპლოატაცია, მისი გაჭირვება და სიღარიბე. თუ რომ გაცვლა-გამოცვლა ხდებოდეს შრომის სწორ ღირებულების საფუძველზე, იმ შემთხვევაში მუშა, მიაწვდიდა რა კაპიტალისტს თავის შრომას, მიიღებდა მისგან მთელ მის შრომის მიერ შექმნილ ღირებულებას, და, ამასადამე, შრომის ექსპლოატაცია კაპიტალის მიერ გაქრებოდა. მაგრამ, დავუმატებთ ჩვენ ჩვენის მხრით, მასთან ერთათ გაქრებოდა აგრეთვე მთელი თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილებაც. საქმე იმაშია, რომ აქ პრუდონი ერთი-ერთმანეთში ურევს ორ სხვა და სხვა ცნებას, ე. ი. შრომას და საშუმაო ძალას, რისგანაც წარმოსდგება მისი ძირითადი შეცდომები.

ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი დაინახავდა, რომ თანამედროვე სოციალური უკეთმართობის ძირს პრუდონი ხედავდა არა კაპიტალისტური წარმოების სფერაში, არამედ საქონლის ტრიალის მექანიზმში. მაგრამ, ვინაიდან საქონლის ტრიალს აწესრიგებს ფული, ამიტომ, პრუდონის აზრით, სოციალური საკითხის გადაჭრა მდგომარეობს ფულის ტრიალის რეფორმაში. ამ აზრით პრუდონმა მოინდომა ფულის მოსპობა

ტრიალის სფერიდან. ამ ძიზნის მისასრულებათ მან შეიმუშავა საცვლელი ბანკის (мѣновой банкъ) პროექტი. რადაც იუენის შრომის ბირეის მსგავსი და წესწყობილება, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ იუენს უნდოდა ფულის თავიდან აცილება გაცვლა-გამოცვლის პროცესში. და პრუდონი კი, გარდა ამისა, თავისი საცვლელი ბანკის სამუალებით ფიქრობდა აგრეთვე მეორე ძიზნის—მუქთი კრედიტის განსორციელებას, მაგრამ როგორ უნდოდა პრუდონს მუქთი კრედიტის მოპოვება კაპიტალისტური წარმოების ნიადაგზე? ეს საკითხი პრუდონს არ აფიქრებდა; საძაგიეროთ მის კვლევნას საზღვარი არ ქონდა. «მე ვიწყებ ისეთ საქმეს, რომლის სწორი ქვეყანაზე ჯერ არც ყოფილა და არც იქნება. მე მინდა საზოგადოების საფუძველი შევსცვალო, შევატრიალო ცივილიზაციის ბორბალი, მოვაწყო საქმე ისე, რომ ქვეყნიერება, რომელიც ღვთის ნებით ტრიალებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ადამიანის ნებით იწყოს ტრიალი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენო». მართლაც მეტისმეტი უტოპისტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი სასწაულის მოხდენა იწამოს და ისიც სულ 25,000 მანეთის სამუალებით. მაგრამ პრუდონის საბედნიეროთ, მას ადარ დასცალდა ამ საბრალო პროექტის განსორციელების ცდა: როცა საქმის დასაწყებათ ყველაფერი მზათ იყო, ნაპოლეონ მესამის მთავრობამ პრუდონი დაიჭირა და ციხეში დააბწყვდია. და ამნაირათ დაიკეტა «სასალხო ბანკი», რომელიც არც კი განსნილიყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ პრუდონს აღარ უცდია თავისი განსრახვის სისრულეში მოყვანა.

დასასრულ, როგორც ზევით იყო მოხსენებული, პრუდონის საზოგადოებრივი იდეალი ანარქიზმი იყო. პრუდონმა პირველათ აწერა ანარქიული საზოგადოება მოძავალში, თვით სიტყვა „ანარქია“ მან პირველათ ისმარა. პოლიტიკური წყობილება, პრუდონის აზრით, დამყარებულია ორ პრინციპზე: ავტორიტეტზე და თავისუფლებაზე. პირველი პრინციპის საფუძველზე წარმოსდგება ბატონობის ორი ფორმა: მონარქია და პანარქია (კომუნიზმი), მეორე პრინციპის საფუძველზე—დემოკრატია და ანარქია. ეს უკანასკნელი შეუძლებლათ ხდის თვითნებობის ბატონობას საზოგადოებაში. ანარქია არ საჭიროებს არავითარ ავტორიტეტში, არავითარ კანონში. კანონის ადგილს ანარქიაში იჭერს თავისუფალი ურთიერთშორისი ხელშეკრულება, რომელსაც კრავენ კერძო მწარმოებელ ჯგუფის წევრე-

ბი. ჯგუფი დგება სრულებით თავისუფლათ, ნაწარმოებთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის და მეექთი კრედიტის ნიადაგზე. ვინაიდან ანარქიული საზოგადოების წევრები თავისუფალნი და თანასწორნი არიან. და ვინაიდან თვით საზოგადოება ავტონომიურია, იგი არ საჭიროებს არავითარ მთავრობაში. ერთი სიტყვით ანარქიულ საზოგადოებაში პრუდონის წარმოდგენით, გაბატონებულია სრული თავისუფლება და თანასწორობა. რაც შეეხება მრავის ორგანიზაციას ანარქიაში, ის საჭიროა მხოლოთ იმ მემთხვევაში, როცა წარმოებისთვის საკმარისათ დიდი კოლექტიური ძალაა საჭირო. სხვა შემთხვევაში არავითარი მრავის ორგანიზაცია საჭირო არ არის.

რა თქმა უნდა. ამასთანავე ღირებულება ანარქიაში უკვველათ უნდა იქნას შეფარდებული მრავასთან. კერძო მწარმოებელნი ვალდებული არიან (მამასადამე, თავისუფლება რამდენიმეთ იზღუდება, რაიმე ნორმა საჭირო ხდება!) სისწორით განსაზღვრონ თავიანთი ნაწარმოებთა საწარმოვო ხარჯები, რომ მათ ნაწარმოებთ გასავალი ქონდეთ.

აქ პრუდონის მოძღვრებას ჩვენ კრიტიკას არ ვუშვრებით, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ შემდეგი: პრუდონის იდეალს რომ გარეგანი, მეტათ ბრწყვიალა კანი ავაცალოთ, თანამედროვე ნორმალური მწარმოებლის, ე. ი. ნორმალური ბურჟუას ვიწრო იდეალი შეგვრჩება ხელში.

რაციონალური* ლათ. აზრიანი, გონიერული; საბუთიანი მიზანთან შეთანხმებული.

რეალოპოლიტიკოსები*—ის პოლიტიკური ძოღვაწეანი, რომელნიც დათმობის გზით მახლობელ მიზანს ეძებენ, დღიურ საჭიროებას იცავენ და მეტს არას დაეძებენ.

რევიზიონიზმი*—ძიმართულება, რომელიც ითხოვს ამა თუ იმ მეცნიერების საფუძველთა ძირითად ფეებულებათა გადასინჯვა-შესწორებას. ის. ბერნშტეინი.

რენტა—საზოგადოთ ყოველგვარი შემოსავალი, რომელსაც საფუძვლათ უდევს რაიმე განსაკუთრებული. უპირატესობა ანე ხელის შემწყობი პირობა. პოლიტიკურ ეკონომიაში შემუშავებულია განსაკუთრებით მხოლოთ მიწის რენტა (ფალა). პირველათ რენტის თეორია ყველაზე უფრო ნათლათ და საფუძვლიანათ რიკარდოს მიერ იქნა შესწავლილი და გამოკვლეული. როგორც მოგება შეადგენს კაპიტალისტის შემოსავალს, საშუალო ხელფასი—მუშებისას, ისე მიწის რენტა წარმოადგენს

მიწათმფლობელთა შემოსავალს. კაპიტალისტის მოგებასა და რენტას შორის დიდი მსგავსებაა: როგორც მოგება, ისე რენტა წარმოსდგება საზოგადოებრივი ნაწარმოების ღირებულებიდან ნაწილის გამოკლებით კაპიტალისტის ან მიწისმფლობელის სასარგებლოთ. მაგრამ იმავე დროს, რიკარდოს შეხედულებით, რენტა ეწინააღმდეგება მოგებას მით, რომ მოგების ნორმა პირდაპირ განისაზღვრება სამუშაო ხელფასის ნორმით. მოგებასა და სამუშაო ხელფასს შორის არსებობს სრული განსხვავებულება, მაშინ როცა ასეთ განსხვავებულებას ადგილი არა აქვს რენტასა და სამუშაო ხელფასს შორის. რენტას აქვს თავისი საკუთარი კანონები, რომლებსაც იგი ემორჩილება.

რენტა მოძდინარეობს იქიდან, რომ მიწის ნაჭრები განსხვავდებიან ერთი მეორესაგან თავისი ნაყოფიერების სარისხით. შრომის ერთი და იგივე რაოდენობა, დახარჯული სხვა და სხვა ნაყოფიერების ნიადაგზე, რა თქმა უნდა, მოგვცემს ნაყოფის სხვა და სხვა რაოდენობას. უფრო ნოყიერ მიწაზე შრომის იგივე რაოდენობა მოგვცემს უფრო მეტ ხორბალს, ვინემ უვარგის მიწაზე. ვინაიდან ხორბლის საჭიროება თანდათან მატულობს, ამიტომ მარტო ნოყიერი მიწების დამუშავება საკმარისი აღარ არის და იწყებენ უვარგისი მიწების შემუშავებასაც. მაგრამ პურის ფასი ერთი და იგივე იქნება, როგორც ნოყიერ მიწაზე მოყვანილის, ისე უვარგის მიწაზედაც, და რაც უფრო საყურადღებოა აქ, უვარგის მიწაზე მოყვანილი პურის ფასი იქნება საერთოთ ყველა მიწებზე მოყვანილი პურის ფასის განმსაზღვრავი. თუ ჩვენ ახლა ფულით გამოვსატავთ მიწის სხვა და სხვა ნაჭრებზე მოყვანილი ხორბლის ღირებულებას, ჩვენ დავინახავთ, რომ სხვა და სხვა ნოყიერების ნაჭრების შემოსავალი სხვა და სხვა იქნება რაოდენობით, ე. ი. მაშინ როცა ყველაზე უფრო უვარგისი მიწის მოსავალი დაფარავს მხოლოთ ხარჯს ჩვეულებრივი მოგებით, საკუთარი მიწის მოსავალი, გარდა ამისა, მოგვცემს კიდევ რომელიმე ზედმეტ შემოსავალს, რაც მით უფრო დიდი იქნება, რამდენათ მიწის ნოყიერება უფრო დიდია. ახლა ჩვენს წინაშე დგას ასეთი საკითხი: ვის უნდა ერგოს ეს ზედმეტი შემოსავალი? თავის თავათ იგულისხმება, რომ არა მიწის მეიჯარეს, ვინაიდან თუ რომ მიწათმფლობელები ერთნაირ ფასათ იძლეოდენ ყველა ღირსების მიწებს საიჯაროთ, იმ შემთხვევაში უვარგისს მიწას არავინ ხელს არ მოკიდებდა. მაშასადამე, აშკარაა, რომ ეს

ზედმეტი შემოსავალი მიწის საუკეთესო ნაჭრებიდან უნდა ერგოთ მიწისმფლობელთ. ამ ზედმეტ შემოსავალს ქვია მიწის რენტა. ყველაზე უვარგისი მიწა რენტას, რიკარდოს აზრით, არ იძლევა. გარდა ამისა, ისეთსავე შედეგს, როგორც მიწის სხვა და სხვა ნაჭრების ნოყიერების განსხვავება, იწვევს აგრეთვე, ერთი მხრით, მიწის ნაჭრების შორს თუ ახლოს მდებარეობა ბაზართან, და, მეორე მხრით, საამიწათმოქმედო კაპიტალის თანდათანი დაბანდვა მიწის შემუშავებაში. ასეთია მოკლეთ რიკარდოს თეორია რენტის შესახებ. ამ თეორიის მკვლევარებში რიკარდოს შემდეგ ჩვენ უნდა მოვიხსენიოთ აქ როდბერტუსი და მარქსი. პირველი რენტაში გულისხმობს საზოგადოთ ყოველგვარ შემოსავალს, რომელიც დამყარებულია სხვის შრომაზე, ე. ი. უშრომო შემოსავალს (не трудовой доходъ). რაც შეეხება საკუთრივ მიწის რენტას, როდბერტუსი სავსებით არ სცნობდა რიკარდოს რენტის თეორიას. თუმც როდბერტუსს რენტის კანონები გამოყავს სულ სხვა თეორიული მოსაზრებებიდან, მაგრამ ის წყარო რენტის წარმოშობისა—ე. ი. მიწის ნაჭრების ნოყიერების სხვა და სხვაობა—როდბერტუსსაც მიაჩნდა. მხოლოთ იგი უწოდებდა ასეთ რენტას **დიფერენციალურს**. მაგრამ, გარდა ამისა, როდბერტუსი ამტკიცებდა, რომ არსებობს კიდევ მიწის **აბსოლიუტური** რენტა, რომელიც დამოუკიდებლათ რიკარდოს მიერ ნაჩვენებ პირობებზე, მიუცილებლათ ჩნდება მეურნეობაში იმიტომ, რომ მეურნეობა, რომელიც ნედლ მასალას იძლევა, უფრო ნაკლები კაპიტალის დახარჯვაში საჭიროებს, ვინემ მრეწველობა. დიფერენციალური რენტის გვერდით აბსოლიუტური რენტის არსებობას ცნობს აგრეთვე ეკონომიურ და საზოგადოებრივ მოვლენათა ყველაზე უფრო ღრმა მკვლევარი კარლ მარქსი. მარქსის აზრით ყველაზე უვარგისი მიწაც კი აძლევს მიწისმფლობელს მიწის რენტას, ე. ი. რაიმე ზედმეტ შემოსავალს. ამის დასამტკიცებლათ მარქსს მოყავს *) ორი მოსაზრება: ერთი მხრით, არსებული კერძო საკუთრება მიწაზე მიწისმფლობელს უფლებას აძლევს მიწის გადაცემის დროს სხვა პირის დროებით სარგებლობაში მოთხოვოს მას განსაზღვრული ჯილდო. მეორე მხრით, იგივე მოსაზრება, რომელიც მოყავდა როდბერტუსს, ე. ი. საშეურნეო და სამრეწველო კაპიტალის სხვა და სხვა შედგენილობა, მარ-

*) „კაპიტალი.“ ტ. III. რუს თარგ., გვ. 631 და ქვევით.

ქსმა გამოიკვლია და დაასაბუთა შეუდარებლათ უფრო საფუძვლიანათ, ვინემ როდბერტუსმა. დღევანდელ მკვლევართაგან, პ. მასლოვი უარყოფს აბსოლიუტურ რენტის არსებობას *) სრულებით; მისი აზრით, „კაპიტალისტურ მეურნეობას არ შეუძლია მისცეს მიწისმფლობელს არაფერი, გარდა დიფერენციალური რენტისა, რომელსაც ღებულობს იგი იმის გამო რომ კაპიტალის თანდათან დაბანდვას მეურნეობაში სხვა და სხვა ნაყოფიერება აქვს.“ ამასთანავე მასლოვი იკვლევს **არა-კაპიტალისტური** რენტის (ე. ი. საკვები ოჯარის—продовольственной аренды) პირობებს. არა-კაპიტალისტური რენტის განვითარება ხდება შემდეგ პირობებში: 1) როცა სამეურნეო მრეწველობის ნაყოფიერება ეცემა და ამავე დროს მიწათმოქმედთა რაოდენობა იზრდება და 2) როცა ბურუ დაბალი ფასი არსებობს.

საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის რენტის თეორია მეტათ რთული საგანია. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის იმას, რომ იგი წარმოადგენს ყველაზე უფრო თვალსაჩინო დამამტკიცებელ საბუთს დღევანდელი საზოგადოებრივი წესწყობილების უსამართლობისას. ამიტომაც არის, რომ ევრეთ-წოდებული მიწის ნაციონალიზაცია მსურვალე მიმდევრებს პოულობს არა მარტო სოციალისტურ მწერლებში, არამედ ბურჟუაზიულ მწერლებშიაც.

რეფორმაცია. ამ სასელწოდებით ცნობილია ევროპაში ერთი უდიდესი მოვლენა მთელ მსოფლიო ისტორიაში, რომელსაც ადგილი ქონდა მეთექვსმეტე საუკუნის განმავლობაში და მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1517—1648). რეფორმაციასთან შეკავშირებულია აგრეთვე გლეხების დიდი ომი. საზოგადოთ, თუმც რეფორმაცია დაიწყო რელიგიურ ნიადაგზე, მაგრამ შემდეგში რეფორმაცია მიწვდა თითქმის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეებს, ასე რომ თავისი მნიშვნელობით რეფორმაციის შედარება შეიძლება მხოლოთ საფრანგეთის დიდ რევოლიუციასთან. რეფორმაციამ ღრმა კვალი დასტოვა ევროპის სახელწიფოების ცხოვრებაში. იგი ვრცელდებოდა თანდათან. რეფორმაცია დაიწყო თითქმის ერთ და იმავე დროს ორ ადგილას: ვინტენბერგში (გერმანიაშია) და ციურიხში (შვეიცარიაში), პირველში ლიუტერის და მეორეში

---

*) იხ. მისი: Аграрный вопросъ въ Россіи, т. I, გვ. 89 და ქვევით.

ცვინგლის ხელმძღვანელობით. ორივე მქადაგებლებმა გაილამ-ქრეს რომის ეკლესიის, უმთავრესათ პაპიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავება იყო: მაგ., ლიუტერი მო-ნარქიულ წესწყობილებას იცავდა, მაშინ როცა ცვინგლი რეს-პუბლიკას ქადაგებდა. რეფორმაცია შემდეგ თანდათან მოედვა არა მარტო მაშინდელი გერმანიის უთვალავ სასემწიფოებს, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებსაც, როგორც, მაგ., დანიას, შვე-ციას, ინგლისს, შოტლანდიას და სხ. იგი შეეერსდა მსოფლოთ პოლმაში და საფრანგეთში; ამასთანავე თითოეულ სახემწიფო-ში რეფორმაცია ღებულობდა თავის განსაკუთრებულ ელფერს. როგორც ზევითაც ვამბობდით, რეფორმაციის ბიზეზები და ბი-სი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაზე იყო სულ სხვა და სხვა გვარი. მან ყოველგან სისხლის ღვრა და განადგურება გამოიწვია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მან ძლიერ საგრძნობლათ გააქანა წინ საზოგადოებრივი ცხოვრება. რა თქმა უნდა, თვით რეფორმაციაშიაც ძრავალმა დასაგმობმა გა-რემოებამ იჩინა თავი. მაგრამ შედარებით რეფორმაციული მო-ძრაობა მაინც დიდი ნაბიჯი იყო წინ. ამის ერთ უმესანიშნავეს შედეგთაგანი იყო რომის ეკლესიის ძლიერების დაცემა; ამას შემდეგ პაპიზმს აღარ შეეძლო წელში გამართვა.

რიკარდო (დავით რიკარდო)—ცნობილი ინგლისელი ეკო-ნომისტი, ბურჟუაზიული კლასიკური ეკონომიის უკანასკნელი საუკეთესო წარმომადგენელი, ცხოვრობდა 1772—1823 წ. წ. ტომით ურია და მთამოძავლობით ბანკირის შვილი, რიკარდო უკვე 14 წლის იწყებს საბირჟო ოპერაციებს, და როგორც მისი ბიოგრაფიიდან მტკიცდება, ბირჟა იყო მისი განათლების ნამ-დვილი ტაძარი, სადაც იგი იღებს თავის ნიჭის მესაფერ გან-ვითარებას და სწავლას. თუ რა ნიჭი და ცოდნა გამოიჩინა ახალგაზდა ბანკირმა რიკარდომ ამ სარბიელზე, ჩანს იქიდან, რომ სრულებით უსასსრო იგი სულ ჩქარა, 26 წლის ასაკში, მილიონების პატრონი ხდება. მაგრამ ჩანს, რომ ბირჟა და სიმ-დიდრე არ აკმაყოფილებდა მას, ასე რომ მიუხედავათ ასეთი სამაგალითო წარმატებისა ამ ნიადაგზე, იგი სრულებით თავს ანებებს პრაქტიკულ ოღვაწეობას, აუქმებს თავის საქმეებს და იწყებს მეცნიერების შესწავლას. პირველათ იგი ეცნობა მა-თემატიკას, ქიმიას და ზოოლოგიას, მაგრამ ჩქარა მას იტაცებს პოლიტიკური ეკონომია; და აი ყოფილი ბანკირი და მებირჟე, დაბიდლოს, ბოულობს თავის ნამდვილ სფერას. რიკარდოს პირ-

ველი ლიტერატურული ცდა ეხებოდა ფულის ტრიალს და საგექსილო კურსს. 1817 წელს გამოქვეყნდა მისი უმთავრესი შრომა: Principles of political economy, რომელშიაც რიკარდო იძლევა თავის საკუთარ თეორიას ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დებულებათა შესახებ. თავის გამოკვლევაში რიკარდო ხმარობს დედუქტიურ მეთოდს, ე. ი. გამოდის რამდენიმე წინასწარ მიღებულ დებულებიდან, როგორც, მაგ., მეტოქეობა (კონკურენცია), კაპიტალის თავისუფლება, წარმოების შეუზღუდველობა,—და იმათზე აშენებს თავის მსჯელობას. და უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ წინა აზრებიდან ლოგიკურ დასკვნების გამოყვანაში რიკარდოს არ ყავდა ბადალი. რიკარდოს ეკონომიური სისტემის საფუძველს შეადგენს თეორია ღირებულების შესახებ. ადამ სმიტის ბუნდოვანი წარმოდგენა ღირებულებაზე, რიკარდომ თავიდან აიმორია; მან დაამტკიცა, რომ საცვლელი ღირებულება დამოკიდებულია ერთი მხრით საქონლის იშვიათობაზე და მეორე მხრით იმ შრომის რაოდენობაზე, რომელიც დასარჯულია მის გასაკეთებლათ. პირველი გარემოება განსაზღვრავს იმ საქონელთა ღირებულებას, რომელთა რაოდენობის გადიდება მწარმოებელის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული; მეორე გარემოება საზღვრავს ისეთ საქონლების საცვლელ ღირებულებას, რომლების რაოდენობის გადიდება, პირიქით, მწარმოებლის ნება სურვილზეა დამოკიდებული. რიკარდოს მნიშვნელობა განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი თეორია გაყოფის შესახებ საკუთარ შრომის თეორიაზე დაამყარა. რიკარდო ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი ნაწარმოების დაყოფა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხდება ამ საზოგადოების სხვა და სხვა კლასებს შორის ღირებულების მეოხებით, ე. ი. თითოეულ კლასს უწევს ნაწარმოების ღირებულების განსაზღვრული ნაწილი ან საშუალო ხელფასის, ან მოგების და ან რენტის სახით. შემდეგ იგი იკვლევს, რა თქმა უნდა, სრულებით განყენებულათ და აგრეთვე შესანიშნავი ლოგიკური თანდათანობით, თუ როგორ იყოფა, სხვათა შორის, ადამიანის შრომის მიერ შექმნილი ღირებულება ნაწარმოების სახით. გინაიდან რიკარდო წინდაწინ გულისხმობს, რომ ღირებულებას ქმნის მხოლოთ შრომა, ამიტომ კაპიტალისტი ნაწარმოების ღირებულებას სრულებით არაფერს არ უმატებს. მაგრამ მოგების სახით კაპიტალისტი ღებულობს მუშის მიერ შექმნილ ღირებულების ნაწილს. მაშა-

სადამე, მუშის მიერ შექმნილი დირებულება იყოფა ორ ნაწილათ: კაპიტალისტის მოგება და სამუშაო ხელფასი (მიწისმფლობელის რენტას ჩვენ აქ არ ვღებულობთ მხედველობაში). რა თქმა უნდა, რიკარდოს სრულებით არ აინტერესებს ის საკითხი, თუ რა უფლების ძალით ისაკუთრებს კაპიტალისტი (ან მიწისმფლობელი) დირებულების განსაზღვრულ ნაწილს მოგების სახით; მას აინტერესებს მხოლოთ ის გარემოება, თუ რა პრაპორციით, რა ურთიერთობით, იყოფა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის საზოგადოებრივი ნაწარმოები. რიკარდომ განსაკუთრებული სიცხადით დაამკიცა, რომ სამუშაო ხელფასსა და კაპიტალისტის მოგებას შორის არსებობს აუცილებელი წინააღმდეგობა: მოგების გადიდება ნიშნავს სამუშაო ხელფასის დამცირებას, და პირიქით. რიკარდოს სრულებით არ უცდია დაეფარა ან შეესუსტებია ეს ლოდიკური დასკვნა კაპიტალისტური წარმოების მოვლენათა მეცნიერული ანალიზიდან. ყველა დანარჩენი ბურჟუაზიული ეკონომისტები, როგორც მის ჩინეთ, ისე მის შემდეგ, ნებსით თუ უნებლიეთ ცდილობდენ ამ მრისხანე მოვლენის მიფუჩეჩებას, ან დამალვას. პირველ სარისხოვანი ბურჟუაზიული ეკონომისტის მიერ ამ კლასობრივი განსხვეთქილებას აღსარება მუშების და კაპიტალისტების ინტერესთა შორის ნიშნავდა კლასობრივი ბრძოლის მეცნიერულ დასასიათებას. რა თქმა უნდა, რიკარდოს ეს ღასაბუთება ადარ უკისრია, ე. ი. მას არ გამოუყვანია და არც შეეძლო გამოეყვანა ის დასკვნები, რომლებიც ლოდიკური აუცილებლობით გამომდინარეობდენ მისი დებულებიდან სამუშაო ხელფასის და მოგების ურთიერთობის შესახებ. მაგრამ მიუსედავათ ამისა, მას იმისოვისაც ძლიერ უნდა უმადლოდეთ, რაც გააკეთა. დღეს საყოველთაოთ ცნობილია, რომ რიკარდომ თავისი ობიექტიური გამოკვლევით შესანიშნავათ შეუწყო ხელი მეცნიერული სოციალიზმის განვითარებას.

გარდა ამისა, რიკარდომ გამოკვლია და დაადგინა მიწის რენტის კანონები (ის. სიტყვა რენტა). მიუსედავაო იმისა, რომ რიკარდო წმინდა ობიექტიური მკვლევარი იყო, იგი იმავე დროს იყო კაპიტალისტთა კლასის ინტერესების დამცველი. ეს მტკიცდება ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ რენტის ანალიზიდან. ჩვენ ვიცით, რომ როგორც კაპიტალისტის მოგება, ისე მიწათმფლობელის რენტა უკანასკნელ ანგარიშში მოდინარეობს მუშის გაუსტუმრებელ შრომიდან (не оплаченный

труд). და თუმც თვით რიკარდო სრულებით აშკარათ ცნობდა, რომ კაპიტალისტის მოგება წარმოსდგება იქიდან, რომ იგი ისაკუთრებს მუშის მიერ შექმნილი ღირებულების განსაზღვრულ ნაწილს, მაგრამ მიუხედავათ ამისა კაპიტალისტის მოგებას იგი ისევე სამართლიანათ თვლიდა, როგორც მუშის სამუშაო ხელფასს. მაგრამ ხულ სხვანაირათ მსჯელობდა იგი როცა საქმე მიწისმფლობელებს ეხებოდა. იგი აშტკიცებდა, რომ მიწისმფლობელთ არაფრით არ დაუმსახურებიათ რენტის მისაკუთრება, ‘კინაიდან ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ღირებულების შექმნაშიო. მაგრამ განა ასეთივე საყვედურით არ შეიძლება კაპიტალისტებსაც მივმართოთ? განა თვით რიკარდო არ ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტი თავისი შრომით საქონლის ღირებულებას არაფერს არ უმატებსო? მაგრამ აქ უნებლიეთ ალაპარაკდა მასში კაპიტალისტური კლასის ინტერესების დამცველი. ეს თავისებური სარკი იყო, რომელიც მას უნდა გადაეხადა თავისი საკუთარი კლასის სასარგებლოთ.

როდბერტუსი (კარლ როდბერტუს-იაგეცოვი)—ერთი გამოჩენილი გერმანელი ეკონომისტი სოციალისტური სკოლისა, რომელიც თავის დროს ნაკლებათ იყო ცნობილი; ცხოვრობდა 1805—1875 წ.წ. მთამომავლობით როდბერტუსი მაღალ ოდენობას ეკუთვნოდა და შესაფერი განათლებაც მიიღო. მისი პოლიტიკური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტები. 1848 წ. რევოლიუციის დროს იგი არჩეულ იქნა დამფუძნებელ კრებაში და ამასთანავე მან მიიღო მონაწილეობა აუერსვალდ-განზემანის ლიბერალურ სამინისტროში (სასალხო განათლების ministrის პორტფელი), მაგრამ რადგანაც სამინისტრომ არ გაამართლა მისი მოლოდინი, იგი 14 დღის შემდეგ სამინისტროდან გამოვიდა. შემდეგ იგი კიდევ კარგა ხანს ებრძოდა პრუსიის რეაქციონურ მთავრობას. გასული საუკუნის მესამოცე წლებიდან იგი ცხოვრობს განმარტოებით და ეძლევა სავსებით მეცნიერულ შრომას. ერთ დროს მას დაუმეგობრდა ცნობილი სოციალისტური მწერალი და მოღვაწე ლასალი, რომელმაც მოინდომა როდბერტუსის ჩათრევა თავის აგიტაციაში, მაგრამ უნაყოფოთ. სამაგიეროთ იგი ასლა უახლოვდება კონსერვატორებს და დიდ იმედებს ამყარებს ახლად შექმნილ გერმანიის იმპერიაზე. როცა ეს იმედიც უცრუვდება, შემდეგ იგი ცდილობს გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიას-

თან დაკავშირებას. მაგრამ ამ ცდასაც სერიოზული შედეგი არ მოყოლია. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ როდბერტუსი პარტიას არ არჩევდა; მისთვის არსებობდა მსოლოთ სოციალური საკითხი, და თავის იდეალის განხორციელებას იგი არ უკავშირებდა არც ერთ არსებულ პარტიას. აღსანიშნავია ისიც, რომ როდბერტუსს სწამდა სოციალური მონარქია და, მისი აზრით, პრუსიის მთავრობას შეეძლო აეღო თავის თავზე მუშათა კლასის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

როდბერტუსის ნაწერები ორ ნაწილათ იყოფა: ისტორიული ხასიათის და ეკონომიური თეორიის შესახებ. წმინდა თეორეტიული ხასიათი აქვს შემდეგ მის ნაწერებს: 1) Die Forderungen der arbeitenden Klassen*) (1817 წ.) 2) Zur Erkenntniss unserer staatswirshaftlichen Zustände**) და 3) Sociale Briefe an von-Kirchmann (სოციალური წერილები ვირხშანის მიმართ). არსებითათ ყველა ეს ნაწერები ერთი და იმავე დედა-აზრის განვითარებაა: ის, რაც ნათქვამი იყო როდბერტუსის მიერ 1837 წელს „მუშათა კლასის მოთხოვნებში“, ჩვენ გვხვდება ყველა მის შემდეგ ნაწერებში. «რა სურთ მუშებს? შეუძლიანთ თუ არა სხვა კლასებს არ მისცენ მათ ეს? ის, რის განხორციელებას მუშები ლამობენ, იქნება თუ არა თანამედროვე კულტურისთვის სამარე?» ასე იწყებს როდბერტუსი თავის პირველ შრომას.

რამდენათაც ჩვენ ვხედავთ—ამბობს როდბერტუსი—მუშები ლამობენ პოლიტიკური გამავლობის შემენას, რაც წარმოადგენს მსოლოთ სამუალებას მისნის განსახორციელებლათ; იმათი მიზანი კი მდგომარეობს თანამედროვე კულტურაში მონაწილეობის მიღებაში. მათ არ აკმაყოფილებს მარტო ცარიელი სიტყვა „თავისუფლება“. მუშების ასეთ ლტოლვილების წინააღმდეგ „დანარჩენ“ კლასებს მსოლოთ ერთი და სამუალება დარჩენიათ, ე. ი. ძალმოძრეობა, პოლიცია, ზარბაზნები. თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრობს გაუბედურებული ხალხი ბარბაროსების (მუშების), რომლებსაც დანარჩენი კლასები იმორჩილებენ მსოლოთ თოფ-ზარბაზნების საშუალებით. მაგრამ ნუ თუ ეს „ბარბაროსები“ მუდამ ასეთები დარჩებიან? საზოგადოებრივ განვითარებაში უკან დახევა შეუძლებელია.

---

*) «მუშათა კლასის მოთხოვნები».

**) «ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გასაცნობათ».

ის წესწყობილება, რომელშიაც მუშათა კლასი დაჩაგრულია რიგიერც ნივთიერათ, ისე გონებრივათ, მაშინ როცა წარმოების ტესნიკას შეუძლია ყველანი უსრუნველყოს, უნდა აუცილებლათ შეიცვალოს. წარმოების მოწყობა თვით სოსემწიფომ უნდა იკისროს. თანამედროვე კერძო საკუთრება, რომელსაც თავის პატრონისთვის შემოსავალი მოაქვს უშრომელათ, უნდა მოსპობილ იქნას. მიწა და შრომის იარაღები საზოგადოებრივ საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ამ შემთხვევაში შრომა გახდებოდა არა მარტო ნაწარმოების შემქნელ წყაროთ, არამედ იგი შეიქნებოდა აგრეთვე ნაწარმოების გაყოფის საზომათ. მაგრამ ვინაიდან ასეთი წესწყობილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოთ მორეულ მომავალში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენათ შესაძლებელია თანამედროვე ეკონომიურ წესწყობილებაში მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილება. როდბერტუსი ამბობს, რომ ეს შესაძლებელია, თუ სახემწიფო წინდაწინ განსაზღვრავს საზოგადოებრივი ნაწარმოების იმ ნაწილს, რომელიც უნდა ერგოს მუშას შრომის განსაზღვრული რაოდენობისთვის, და ყოველთვის მტკიცეთ ვიცავდეთ ამ პროპორციას. გარდა ამისა მთავრობამ უნდა მიიღოს შემდეგი ზომები: 1) დროგამოშვებით უნდა განსაზღვროს ნაწარმოების ღირებულება, მის გასაკეთებლათ დასარჯული შრომის კვალობაზე, 2) დააწესოს საშუალო ფულის სისტემა (Система рабочихъ денегъ) მუშების გასასტუმრებლათ და 3) გააკეთოს საწყობები ამ ფულის გასანაღდებლათ.—ასეთია მოკლეთ როდბერტუსის პირველი შრომის შინაარსი. შემდეგ ნაწერებში როდბერტუსი იკვლევს წარმოების პირობებს და უშრომო შემოსავლის წყაროს. რა თქმა უნდა, როდბერტუსს მხოლოთ შრომა მიაჩნია ერთათერთ მწარმოებელ ძალათ, რომელიც ქმნის ღირებულებას. იმავე დროს უშრომო შემოსავალი, რომელსაც როდბერტუსი აერთიანებს ერთ სიტყვაში—რენტა, ყოველ ეჭვს გარეშე ღირებულებაა. მამასადამე, რენტა, როდბერტუსის აზრით, სხვა პირის შრომის ნაწარმოების ნაწილს შეადგენს. რა პირობები ქმნიან რენტის წარმოშობას? „პირველათ, შეუძლებელია გაჩნდეს რენტა, თუ შრომა არ ქმნის ეპაზე მეტს, რაც საჭიროა მუშის შრომის გასაგრძელებლათ; მეორეთ, არ შეიძლება იყოს რენტა, თუ რომ არ არსებობენ ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც ართმევენ მუშას მისი ნაწარმოების ამ „ზედმეტ“ ნაწილს და უსაკუთრებენ მას ისეთ პირებს, რომ-

ლებიც შრომას არ ეწევიან. ის გარემოება, რომ მუშაობა ამ წედმეტს იძლევა, დამყარებულია იმ პირობებზე, რომლებიც შრომის ნაყოფიერებას მაღლა წევენ. ის გარემოება კი, რომლის მეოხებით მუშას ართმევენ ამ „წედმეტ“ ნაწილს სხვების სასარგებლოთ, დამყარებულია იმ უფლებაზე, რომელიც თავის წარმომობის დღიდანვე დაყრდნობილი იყო ძალაზე და დღესაც მხოლოთ ძალდატანებით ერთმევა მუშებს მათ მიერ შექმნილი ნაწარმოების ნაწილი.“ ასეთ ძალათ თავდაპირველათ მონობა იყო. მართალია დღეს მონობა აღარ არსებობს, მაგრამ ის გარემოება, რომ მუშები მოკლებული არიან წარმოების სამუალებებს, მოქმედებს მუშებზე ისე, როგორც მონობა. „ძონის მფლობელის ბრძანების ადგილს ახლა იჭერს ხელშეკრულობა მუშებს და კაპიტალისტებს შორის, მაგრამ ეს ხელშეკრულება მხოლოთ ფორმალურათ, და არა არსებითათ, მატერიალურათ, არის თავისუფალი, და სიმშილი ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორც მათრახი. რასაც ჩინეთ მონების საკვებავ მასალას უწოდებდენ, იმას ახლა სამუშაო ხელფასი ქვიან“.

აქ ადგილი ნებას არ გვაძლევს, უფრო დაწვრილებით მოვიყვანოთ როდბერტუსის თეორეტიულ გამოკვლევათა შინაარსი შესახებ კაპიტალისტური მრეწველობისა და კაპიტალისტური მეურნეობისა, და მიწის რენტის შესახებ. მოვისსენიოთ აქ რამდენიმე სიტყვით როდბერტუსის ისტორიული გამოკვლევანი რომის ეკონომიური ისტორიის შესახებ. აქ როდბერტუსი იძლევა ხალხის წარმოების ისტორიული განვითარების შესანიშნავ სურათს. უმთავრესი დებულება, რომელსაც გვიყენებს ავტორი თავის ისტორიულ გამოკვლევებში, მდგომარეობს იმაში, რომ ხალხის ეკონომიური წესწყობილება განუწყვეტლივ ცვლილებებს განიცდის, ასე რომ თანამედროვე ეკონომიური წესწყობილება არსებითათ განირჩევა იმ წესწყობილებიდან, რომლებიც არსებობდენ ერთი ძირით ძველ საბერძნეთში და რომში და მეორე ძირით საშუალო საუკუნეების ევროპაში. როგორც ძველ საბერძნეთის და რომის ეკონომიურ წესწყობილებას მოყვა საშუალ საუკუნეების წესწყობილება, ისე თანამედროვე წესწყობილებამ ადგილი უნდა დაუთმოს ისეთ წესწყობილებას, სადაც თანამედროვე კერძო საკუთრების ადგილს დაიჭერს საზოგადოებრივი საკუთრება.

ზევით ნათქვამიდან ამკარათ ჩანს, თუ როგორ უყურებდა როდბერტუსი უმრომო მეძოსავალს—რენტას. იგი საქვეყნოთ

გაიძახოდა, რომ შემოსავალი, რომელსაც საფუძვლათ კერძო საკუთრება უდევს, დამყარებულია ძალმომრეობაზე, და ყოველგვარი ცდა ამ შემოსავალის გასამართლებლათ სრულებით ამაო არისო. და ამავე დროს კი როდბერტუსი არა თუ სამართლიანათ თვლიდა უფლებას კაპიტალზე და მიწაზე კერძო პირების მსრით, არამედ იგი გამოდიოდა სსვილ მიწათმფლობელთა ინტერესების დასაცავათ. როდბერტუსს ეს არ მოსდიოდა შეუგნებლათ. პირიქით, მისთვის აქ არავითარი ლოდიკური წინააღმდეგობა არ იყო. მართალია, მას სწამდა, რომ წარმოების თანამედროვე ფორმა საძულველი რამ არ არის, რომ როგორც წარმომდგარი განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში, იგი იცვლება და მომავალში ადგილს დაუთმობს ისეთ წესწყობილებას, რომელიც სულ სსვა საფუძველზე იქნება აშენებული. მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, კაპიტალისტებს და მიწათმფლობელებს შეუძლიანთ სრულებით დამშვიდებული იყვენ და დასტკბენ თავისი უშრომო შემოსავლით. „თუმც მე ვფიქრობ, ამბობს როდბერტუსი ერთ თავის უკანასკნელ თხზულებაში (Das Kapital), რომ თანამედროვე საზოგადოება უკვე შემდგარია კომუნისტურ გზაზე, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მე სრულებით არ მოველი მიწის და კაპიტალის საკუთრების გაქრობას ასლო მომავალში. ეკონომიური და უფლებრივი რწმენანი, იმ ინტერესთა ძლიერება, რომლებიც შეკავშირებულია მიწის და კაპიტალის საკუთრებასთან, გონებრივი და სნეობრივი მდგომარეობა, როგორც გაბატონებულ კლასების, ისე იმათ მორჩილ მუშათა კლასისა,—ყოველივე ეს მეუძლებლათ ჩდის კიდევ დიდი სნის განმავლობაში იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათა დანგრევას, რომელთაც ასე დრმათ აქვთ საზოგადოებაში განდგმული ფესვები“. მაგრამ როდბერტუსი მარტო ამ მოსაზრებით არ კმაყოფილდება. საინტერესოდ, იგი ვერ უმაგრდება თანამედროვე კაპიტალისტური ტრადიციების გავლენის სიძლიერეს, და მან წარმოთქვა ყოვლად შეუწყნარებელი აზრები, რომლებიც თითქმის სრულიად აქარწყლებენ მის მიერვე წარმოთქმულ ღრმა შესედულებათ როგორც წარსულ და თანამედროვე ეკონომიურ წესწყობილებაზე, ისე მომავალი საზოგადოების შესახებაც. აი რას ამბობს როდბერტუსი: «მე არ ვფიქრობ აგრეთვე, რომ «თავისუფალი შრომა» საკმარისათ უზრუნველყოფდეს მეცნიერების და ხელოვნების დაცვას და ცივილიზაციის სსვა ძალალ ნაამაგევს. კარგი იქნებოდა, თუ

რომ ადამიანთა ტომის აღზრდა უკვე დამთავრებული იყოს, ისე რომ ადამიანს თავისი სურვილით და თავისი საკუთარი თაოსნობით შეეძლოს ზედმეტი ძუშაობის შესრულება...

«შრომის დანაწილების დროს რომ ჯერჯვნათ უსელმძღვანელო წარმოებას, ამისთვის საჭიროა არა მარტო ცოდნა, არამედ აგრეთვე ზნეობრივი ძალა და ენერგია. იგივე თვისებები საჭიროა იმისთვისაც, რომ თვალყური ადევნო ბაზრის მოთხოვნილებებს, შესაფერათ წაიყვანო წარმოება და დააკმაყოფილო საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი. იმვიათია, რომ კაპიტალისტი და მიწათმფლობელი არ მოქმედებდეს ამ აზრით. ამ გვარ მოდვაწეობას კი მუშა არ ასრულებს და არც შეუძლია შეასრულოს... მაგრამ იგი კი აუცილებლათ საჭიროა ნაციონალურ წარმოებისთვის. ამიტომ, რამდენათ ყოველივე საზოგადოებრივ მოღვაწეობას უფლება აქვს დაჯილდოების, იმდენათ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ კაპიტალისტებს და მიწათმფლობელებს, საქმის მოთავეთ და ხელმძღვანელთ სრული უფლება აქვთ მოთხოვონ საზოგადოებას თავისი ზევით ნაჩვენები მოღვაწეობის დაჯილდოება. იმათ აქვთ ამისთვის ისეთივე უფლება, როგორც ვაჭრობის მინისტრს (რაც სამინაო საქმეთა მინისტრს, არა? ფ. მ.), თუ რომ იგი თავის მოვალეობას კარგათ ასრულებს. ამასთანავე აშკარაა, რომ დასახელებული მოღვაწეობა, ისე როგორც მსაჯულის, სკოლის მასწავლებლის, ექიმის და სხ. მოღვაწეობა დაჯილდოებულ უნდა იქნას მსოფლოთ ძუშების ნაწარმოებიდან გამოკლებით, ვინაიდან ნივთიერი სიმდიდრის სხვა წყარო არ არსებობსო". ყველა ამ ლათაიებიდან მსოფლოთ ის დასკვნა გამოდის, რომ ბატონ-კაპიტალისტების და მიწათმფლობელთა დაუსმარებლათ წესიერი წარმოება შეუძლებელია. ეს ერთი. მეორეც ის, რომ მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში მეცნიერებას და ხელოვნებას და საზოგადოთ მაღალ კულტურას მეტათ დიდი განსაცდელი მოელის! ამაზე მეტ უსამართლობას ვერ იტყოდა სოციალისტური წესწყობილების წინააღმდეგ ვერც ერთი დაუმსებელი მტერი მუშა სალსისა! მეორე მხრით, ვერც ერთი თაყვანისმცემელი ბურჟუაზიისა ვერ დაიცავდა მას ისე, როგორც ეს მოიქმედა როდბერტუსმა ზევით მოყვანილ სიტყვებში. სანუგეშოთ ჩვენ დაგვჩენია მსოფლოთ ის, რომ სინამდვილეს საკუთრივ უარყო როგორც მუშების ბარბაროსობა მეცნიერების და ხელოვნების მი-

მართ, ისე ძათი მოუმსადებლობა და უნიჭობა წარმოების მოსაწესრიგებლათ და წასაყვანათ.

რუმფორდის სუპი—კეთდება ძვლების, სისხლის და სხვა იაფ მასალებისაგან. სასელწოდება მომდინარეობს რუმფორდისაგან (გრაფი ვენიამინე-ტომსონი, 1753—1814 წ. წ.), ცნობილი ქველმოქმედ და ნასწავლისაგან, რომელმაც ასეთი სუპის სმარება პირველათ შემოიღო.

სემესტრი*ლათ. სამოსწავლო წლის ნახევარი, ნასევარი წელი (უმაღლეს სასწავლებლებში).

სიკოფანტი—ბერძნული სიტყვაა. თანახმათ ერთი გარდმოცემისა, ერთხელ სიმშილობის დროს ატტიკაში ვიღაცებმა ჩუმათ მოწყვიტეს ნაყოფი სამღვთო ხეებზე. ამის გამო დაინიშნა გამოძიება. იმ პირთ, ვინც დამნაშავებზე უჩვენებდა, სიკოფანტები დაარქვეს. ათინის დემოკრატიის აყვავებულ დროს სიტყვა სიკოფანტს პოლიტიკური მნიშვნელობა ძიეცა: იგი აღნიშნავდა პროფესიონალურ ბრალმდებელთა მთელ კლასს, რომლებიც პირადი სარგებლობის გულისთვის იყენებდენ საქმეს. ათინის სასემწიფო ყველა მოქალაქეს ნებას აძლევდა საჯაროთ გამოსულიყო ბრალდებით სასემწიფო კანონების დამრღვეველთა წინააღმდეგ; ამასთანავე ვინც ბრალმდებელის როლს კარგათ შეასრულებდა, იმას ჯილდოთ ეძლეოდა იმ ჯარიმის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ბრალდებულს, გამტყუნების დროს, უნდა გადაესადა. მაგრამ ასეც ხდებოდა: საქმის დაწყებისთანავე ბრალდებული შეშინდებოდა ხოლმე და ბრალმდებელს—სიკოფანტს წინდაწინვე აკმაყოფილებდა საჩუქრით, რომ სიკოფანტს ბრალდებაზე ხელი აეღო და საქმე მოესპო. რა თქმა უნდა, ასეთმა ჩვეულებამ დიდი ბოროტმოქმედება და გაბრწნა გამოიწვია. მრავალმა მწერლებმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა აღიმაღლეს ხმა სიკოფანტების წინააღმდეგ; კანონიც კი გამოიცა იმათ წინააღმდეგ. მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდენ თავის არსებობას ათინის სასემწიფოს დარღვევამდე.

სმიტი (ადამ სმიტი)—მეტათ ცნობილი ინგლისელი (უფრო მართალი იქნება რომ ვთქვათ: შოტლანდიელი) ეკონომისტი, ზოგიერთების აზრით—ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შემქნელი. და მართლაც სმიტს წილათ ხვდა იშვიათი გაგლენა, რომელიც მან იქონია როგორც თანამედროვე საზოგადოებაზე. ისე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითა-

რებაზე. რომ ამ გავლენის უმთავრესი მიზეზი გავიგოთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენდა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში სმიტის დრო, ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ევროპაში. მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენ ვხედავთ უნინარეს ყოვლისა შეუჩერებელ, გაცხარებულ ლტოლვას თავისუფლებისადმი და სიძულვილს ყოველგვარი შევიწროების და ტირანიის მიმართ. ასეთი ძთავარი ძალინავე მიმართულება მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებაში გამოწვეული იყო საწარმოვო ძალთა განვითარების დი არაჩვეულებრივი ზრდის მეოხებით. მაგრამ საწარმოვო ძალთა ასეთ ზრდა-განვითარებას წინ ეღობებოდა და ჩაგვრიდა ათასგვარი დაბრკოლებანი, სამუალ საუკუნოების ნაანდერძევი ბრივილეგიები, კარ-ჩაკეტილობა, ფეოდალების დროგადასული აღვირ-ახსნილობა, ამქრული წესწყობილების ტირანია და სხ. ერთი სიტყვით, ეს ის დრო იყო, როდა კაპიტალისტური წარმოების ხანა უკვე დაწყებული იყო, მაგრამ კაპიტალიზმს ჯერ კიდევ არ გაემალა თავისი ძლევამოსილი ფრთები. კაპიტალისტური წესწყობილება ცხოვრებაში ფესს იკიდებდა, მაგრამ ჯერ ამას არ ქონდა დაპყრობილი ძალა-უფლება, ვინაიდან წარმოების ძველ სისტემას ჯერ კიდევ არ დაეკარგა თავისი ცხოველმყოფელობა მით უმეტეს, რომ თითქმის მთელი სასეფწიფო კანონმდებლობა სელ-ფეხს უკრავდა კაპიტალიზმის განვითარებას და იცავდა წარმოების ძველ ფორმას. აი ასეთ დროს ეკუთვნის ადამ სმიტის გამოსვლა ლიტერატულ სარბიელზე (1723 წ.—1790 წ.). სწავლის დამთავრების შემდეგ მან მიიღო პროფესორობა გლასგოს უნივერსიტეტში 1751 წ. 1759 წ. მან გამოაქვეყნა თავისი პირველი, ფილოსოფიური, შრომა «ზნეობრივ გრძნობათა თეორია», რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუპოვა. შემდეგ იგი (1764 წ.) პროფესორობას თავს ანებებს და მიემგზავრება საფრანგეთში; აქ იგი ეცნობა გამოჩენილ მწერლებს, ფილოსოფოსებს და მოღვაწეებს. განსაკუთრებით ძის ყურადღებას იწვევს ეგრეთწოდებულ ფიზიოკრატების ძესვეური კენე. ორი წლის შემდეგ იგი ბრუნდება ინგლისში და ბინავდება შოტლანდიის ერთ პატარა ქალაქში. მყუდროებით გარემოცული აქ იგი 7 წლის განმავლობაში მუშაობს თავის შესანიშნავ შრომაზე პოლიტიკური ეკონომიის შესახებ. ეს შრომა გამოქვეყნებულ იქნა 1776 წელს ასეთი სათაურით: «Inquiry

into the nature and causes of the wealth of natous» (სალსთა სიმდიდრის ბუნების და ძიზეზების გამოკვლევა).

ეწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თხზულებაში სმიტი გამოდის იმ წინამოსაზრებიდან, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობანი არსებობენ მას შემდეგ, რაც ადამიანთა საზოგადოება გაჩნდა, რომ ბურჟუაზიული წესწყობილება ერთხელ და სამუდამოთ შექმნილი წესწყობილებაა. მაგრამ იმავე დროს გადავრით უნდა ითქვას, რომ სმიტი არ ყოფილა კაპიტალისტების კლასის დამცველი, როგორც განდეს მისი მიმდევრები მის შემდეგ. ამ მხრით მას ის საერთო ნაკლულევანება აქვს, რომლითაც გაჟღენთილი იყვენ მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელნი, ბურჟუაზიული თავისუფლების ეს პირველი მახარობელნი. სამუალ საუკუნოების ზღუდეების დანგრევა და კაპიტალისმისთვის გზის გაკაფვა ინდივიდუალური თავისუფლების აღსარებასთან ერთათ იმათ მიაჩნდათ საყოველთაო ბედნიერების ერთათერთ განმახორციელებელ საშუალებათ და აი სმიტი გადაჭრით გამოდის ასეთ თავისუფლების მოძმრეთ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, რომ ასეთი თავისუფლება სრულებით არ ნიშნავდა საყოველთაო ბედნიერებას, იგი სავსებით გამოსატავდა სმიტის დროის უმთავრეს მოთხოვნებს და ლტოლვას, და აი სწორეთ ამაში უნდა ვეძიოთ სმიტის გასაოცარი და უძლიერესი გავლენის ძიზეზი მის თანამედროვე საზოგადოებაზე.

სმიტის შესედულების დასასასიათებლათ, რომელსაც იგი მტკიცეთ ადგას ყველა თავის თხზულებებში და განსაკუთრებით „სალსის სიმდიდრეში“ ჩვენ მოვიყვანთ აქ მის საკუთარ სიტყვებს: «თითოეული ადამიანი ყოველი ღონისძიებით ცდილობს თავისი კაპიტალი სასარგებლოთ გამოიყენოს; მართალია, რომ მას ამ შემთხვევაში მხოლოთ თავისი საკუთარი ინტერესები აქვს და სრულებით არა საზოგადოებრივი სარგებლობა. მაგრამ პირად სარგებლობისთვის ზრუნვა ბუნებრივათ და აუცილებლათ აიძულებს მას აირჩიოს ისეთი გზა, რომელიც იმავე დროს საზოგადოებისთვისაც ყველაზე უფრო სასარგებლოა»... «ძეცადინეობს-რა ადამიანი თავისი საკუთარი სარგებლობისთვის, იგი უფრო ნამდვილათ მუშაობს საერთო სარგებლობისთვის, ვინემ თუ რომ მას პირდაპირ დაესახა ასეთი მიზანი». აქედან სმიტს გამოყავდა სრული თავისუფლების მოთხოვა წარმოების სფერაში თითოეული ინდივიდუ-

მისთვის. „თითოეული კერძო ადამიანი—ამბობს სმიტი—უფრო უკეთ შეატყობს, თუ რა არის მისთვის უფრო სასარგებლო, ვინემ რომელიმე მთავრობის კაცი თუ კანონმდებელი". ამიტომ სმიტი თსოულობს სახელმწიფოს ჩაურევლობას ეკონომიურ მოქმედებაში, თუმც იგი არ იყო ისეთი გადაჭარბებული მომხრე ამ ჩაურევლობისა, რასაც ქადაგებდენ მის შემდეგ და თითქმის მისი სახელითაც ეგრეთწოდებული ფრიტრედერები.

თავის წიგნში «სალხის სიმდიდრე» სმიტი თავდაპირველათ ილამქრებს მერკანტილიზმის წინააღმდეგ, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ იგი სახალხო ანუ სახელმწიფო ეკონომიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთნებდა ფულს. სმიტის აზრით, ასეთი შეხედულება სრულებით ესაფუძვლო. ფული ისეთივე საქონელია, როგორც ყველა სხვა საქონლები. იმავე დროს სმიტი ილამქრებს შეთვრამეტე საუკუნის შეორე. საკმარისათ ძლიერი, მიმართულების წინააღმდეგ ე. ი. ფიზიოკრატების, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ სალხის სიმდიდრე მდგომარეობს მხოლოთ ნედლ მასალაში, რომელსაც ჩვენ ვიღებ-დით განსაკუთრებით მიწის შრომა. სმიტი წინააღმდეგ ფიზიოკრატებისა და მერკანტილისტებისა ამტკიცებს, რომ სიმდიდრე მდგომარეობს ყველა იმ საგნებში, რომლებიც აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს. «სალხის სიმდიდრე—ამბობს იგი—მდგომარეობს არა მარტო მიწაში, და არა მარტო ფულში, არამედ ყველა იმ ნივთებში, რომლებიც საჭიროა ჩვენ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და ჩვენ სიამოვნებათა გასადიდებლათ». უწინარეს ყოვლისა სმიტს წინ ედგა შემდეგი კითხვის გადაჭრა: რა უწყობს ხელს სიმდიდრის გაძლიერება-გადიდებას? სმიტი ამაზე გადაჭრით გვიპასუხებს, რომ მრომის საწარმოვო ძალის ზრდა-განვითარება. მრომის საწარმოვო ძალის ზრდა გამოიწვია კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებამ, რომლის გავრცელებამ გასაოცარი სისწრაფით ასწია მაღლა წარმოების ტექნიკა. განსაკუთრებით ოვალსაჩინო იყო ასალი ეკონომიური—კაპიტალისტური—წესწყობილების ტექნიკური უპირატესობანი მრომის საწარმოვო ძალის კოლოსალური ზრდით სსვილ მრეწველობაში. სმიტისთვის, რომლის თვალწინ ზდებოდა ეს საოცარი მრეწველობა რევოლიუცია, ყოველივე ეს შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. ამიტომ სმიტი ამბობს, რომ სსვილი მრეწველობა შეადგენს სახალხო სიმდიდრის გადიდების უმთავრეს და უმეტესს საშუალებას. შემდეგ სმიტი ივ-

ლევს შრომის დანაწილების უდიდეს მნიშვნელობას და ამას იგი უკავშირებს გაცვლა-გამოცვლას. გაცვლა-გამოცვლის განვითარება, მისი აზრით, არის იმის მიზეზი, რომ შრომის ნაყოფიერება და დანაწილება ასე შესამჩნევათ იზრდება. აქედან სარგებლობენ არა მარტო ისინი, ვისაც წარმოების საშუალება აქვთ, არამედ ისინიც კი, ვინც ამ საშუალებებს მოკლებულნი არიან.

აქედან ამკარაა, რომ ეკონომიური ცხოვრების მამოძრავებელ ძალათ სმიტი თვლის შრომას; ამაზე ამენებს იგი თავის ღირებულების თეორიასაც. სმიტის აზრით, შრომის გამოყენების აუცილებელ პირობას შეადგენს კაპიტალი. კაპიტალათ მას მიაჩნია შენახულ სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც დანიშნულია შემოსავლის მისაღებათ. სიმდიდრის მეორე ნაწილი მიდის სასმარათ. კაპიტალის წყარო—ამბობს სმიტი—არის **შენახვა**. ასეთი მტკიცებით სმიტი ერთსულ და საუდამოთ გადაცდა სიმართლის გამორკვევის სწორ გზას. ამიტომ მას აღარ შეეძლო ღირებულების თეორიაც მართლათ გამოერკვია; მისი შესედულება ამ საგანზე მეტათ ბუნდოვანი და გამოურკვეველია.—თანამედროვე საზოგადოების დაყოფა მიწისმფლობელებათ, კაპიტალისტებათ და მუშებათ სმიტს, რა თქმა უნდა, სრულებით ბუნებრივათ და სამართლიანათ მიაჩნია. ამასთანავე საგულისხმოა ის, რომ ამ სამი საზოგადოებრივი კლასის ინტერესები ერთნაირათ სასარგებლო არ არიან მთელი საზოგადოებისთვის, ასე, მაგ., სმიტის აზრით, საზოგადოების ინტერესები, როგორც ერთი მთელის, და მიწისმფლობელთა ინტერესები ერთი-ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. აგრეთვე მუშათა კლასიც დაინტერესებულია, რომ მრეწველობა განვითარდეს, დიდი კაპიტალები შეგროვდენ, ვინაიდან მაშინ აიწევს სამუშაო ხელფასი. მაშასადამე, ამბობს სმიტი, მუშების ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ხალხის ქონება-სიმდიდრე რაც შეიძლება ჩქარა გაიზარდოს. აქნაირათ, როგორც მუშების, ისე მიწისმფლობელების ინტერესები სავსებით ეთანხმებიან მთელი საზოგადოების ინტერესებს. მაგრამ სულ სხვაა კაპიტალისტების ინტერესები. კაპიტალის სარგებელი მაღლა დგას ღარიბ ქვეყნებში, და ყველაზე უფრო დაბლაა იგი მდიდარ ქვეყნებში; ამიტომ კაპიტალისტების ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მთელი საზოგადოების ინტერესებს. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ, სმიტის აზრით, მრეწველობის

წარმატებით ყველაზე უფრო მოგებული მუშები იყვენ. ამაში სმიტი ღრმათ იყო დარწმუნებული. ასეთი რწმენა მართლდება მით, რომ თუმც სმიტის დროს საკმარისათ თვალსაჩინოთ დამტკიცებული იყო კაპიტალისტური წარმოების ტექნიკური უპირატესობა წარმოების ძველ წესთან შედარებით, სამაგიეროთ ამ ახალი ეკონომიური წესწყობილების სოციალური შედეგები ჯერ კიდევ არ იყვენ გამოამკარავებული, ვინაიდან კლასობრივ გამწვავებას ჯერ კიდევ ადგილი არ ქონდა. მეორე მხრით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სმიტი გულწრფელათ თანაუგრძნობდა მუშებს. «ყოველთვის, ამბობს იგი, როცა მთავრობა ერევა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ჩამოვარდნილ დავაში, იგი ტყობილობს პირველების აზრს; ამისთვის, როცა რაიმე დადგენილება გამოაქვთ მუშების სასარგებლოთ, იგი სამართლიანი და კეთილგონიერია; მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის, როცა მთავრობა კაპიტალისტების სასარგებლოთ ლაპარაკობს». მაგრამ სმიტის სიძულვილი კაპიტალისტების მიმართ მიდის კიდევ უფრო შორს. აი რას ამბობს იგი: „ახალი კანონის შესახებ ყოველივე წინადადება, რომელიც გამოდის კაპიტალისტების ბანაკიდან, უნდა მიღებულ იქნას უკიდურესი უნდობლობით, ვინაიდან ეს გამოდის ისეთი კლასიდან, რომლის ინტერესები არასოდეს არ ეთანხმებიან მთელი ხალხის ინტერესებს და ეს ინტერესები საზოგადოთ მდგომარეობენ იმაში, რომ ხალხი გააცურონ ან და შეავიწროვონ». მეტათ საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ ასეთი აზრის იყო სმიტი კაპიტალისტების შესახებ, რომელთა სასარგებლოთ მან თავისი შესანიშნავი გამოკვლევა დასწერა. დიდი დრო აღარ გასულა, რომ «ხალხის სიმდიდრე» შეიქნა კაპიტალისტთა კლასისთვის და განსაკუთრებით იმათ იდეოლოგებისთვის ნამდვილ სახარებათ. ამნაირათ, სმიტის მიერ განვითარებულმა იდეებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს სწორეთ იმ საზოგადოებრივ კლასს, რომელსაც სმიტი ყველაზე ნაკლებ თანაუგრძნობდა.

ყოველ შემთხვევაში ადამ სმიტს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა და აქვს დღემდის ეკონომიური მეცნიერების დარგში. მისი მნიშვნელობა იმდენად ახალ აზრების თუ ახალ თეორიების წამოყენებაში კი არ მდგომარეობს, რამდენათ მის ნინეთ არსებულ აზრების თუ თეორიების თავისმოყრაში და ერთ მთელ სისტემაზე დალაგებაში. ყველაზე უფრო სუსტი მხარე სმიტის ეკონომიური სისტემისა მიწის რენტის საკითხია. მისი

ასრით, მიწის რენტა შეადგენს იმ ფასს, რომელსაც აძლევენ მიწის სარგებლობისთვის იმ შემთხვევაში, როდა მიწის მოთხოვა მიწოდებაზე მეტია.

სოციალ-რომანტიკოსები*—საზოგადოებრივი წყობილების ძეოდნებე პირნი, რომელთა ძიებასრებას მეცნიერული სარჩული არ უძევს, არამედ ოცნება, გადაჭარბებული სურვილები.

სტატუტი* ლათ. წესდება, დებულება, კანონი; უბირატესობა.

ტომას მორი*—(1478—1535) გამოჩენილი სოციალისტი. ის. უტოპია.

უატტი (ჯემს Watt)—ცნობილი ინგლისელი გამომგონი, ცხოვრობდა 1736—1819 წ. მის ;დროინდის სართავი მაშინები მოძრაობაში მოყავდათ ან ხელით ან წყლით, რაც დიდათ აბრკოლებდა ახალი კაპიტალისტური მრეწველობის ზრდას. უატტმა გამოიგონა ორთქლის ახალი მაშინა, რითაც მან სართავ ფაბრიკებს მიაწოდა ის მამოძრავებელი ძალა, რაშიაც ისინი საჭიროებდენ,—ე. ი. ორთქლი. აქედან იწყება სრულიად ახალი სამრეწველო ხანა,—სანა ორთქლისა და მაშინური წარმოებისა. თავისი მნიშვნელოვანი გამოგონება უატტმა უკვე 1768 წელს მოახდინა, მაგრამ პრაქტიკულათ ამ გამოგონების განხორციელება დაბრკოლდა ესასხრობის გამო და მხოლოთ 6 წლის შემდეგ მიეცა მას სამუალება, მექარხნე ბოლტონის დახმარებით, თავისი იდეა განეხორციელებინა.

უნივერსალური* ლათ. საყოველთაო, ფართო, დიადი, ესრულესი; ყოვლის შემცველი.

უტოპია—ბერძნული სიტყვაა — outopon — არსად, რაიმე განუხორციელებელი, საოცნებო. ამ სახელწოდებით ცნობილია საზოგადოთ სოციალური რომანები ანუ მოთხრობები, რომლებშიაც დახატულია ისეთი იდეალური წესწყობილება, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ წესწყობილებას. არსებითათ ასეთი მოთხრობები შეიძლება ორ ნაწილათ გავყოთ: ერთი ნაწილი უარყოფს კერძო საკუთრებას და იდეალურ საზოგადოებრივ წესწყობილებას ამყარებს საერთო საკუთრებაზე; მეორე ნაწილი კერძო საკუთრების პრინციპს არ უარყოფს. ჩვენთვის აქ, რა თქმა უნდა, საინტერესოა ისეთი სოციალური მოთხრობები, რომლებიც კომუნისტურ საფუძველზე არიან აშენებულნი. გარდა ამისა, ხშირათ ასეთი რომანების ავტორები მარტო არსებულ წესწყობილების ცვლილებით კი არ კმაყო-

ფილდებიან, იმათი ფანტაზია მიდის მორს, ასე რომ იცვლება ადამიანის ბუნება, ფიზიკური პირობები, სიცივეს აღარ ექნება ადგილი, სითბო კი ზომიერი და საამური დადგება და სხ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ასეთი მოთხრობები ღებულობენ ხშირათ პირდაპირ ზღაბრულ ხასიათს და სინამდვილესთან კარგავენ ყოველგვარ კავშირს. და მათ არც არავითარი მნიშვნელობა აქვთ. თავისთავათ იგულისხმება, რომ ყველა ამ უტოპიებს ერთნაირი მნიშვნელობა არ ქონებიათ. უტოპიებს მნიშვნელობა ქონდათ მხოლოთ იმდენათ, რამდენათ ისინი, ერთი მხრით, ასე თუ ისე ანგარიშს უწევენ სინამდვილეს და, მეორე მხრით, გვიხატავენ რა მომავალ იდეალურ წესწყობილებას, კრიტიკას უკეთებენ არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ წესწყობილებას. ამ მხრით, მეტათ საინტერესოა ლიუდვიგ შტეინის აზრი (Die sociale Frage im hichte der Philosophie), რომელიც ამტკიცებს, რომ უტოპიები ჩნდებიან ლიტერატურაში მაშინ, როცა საზოგადოებრივ ურთიერთობაში უკვე მწიფდება ცვლილება, რევოლიუცია. ამას კიდევ ვერ ამჩნევენ (ჩვეულებრივი) ადამიანები, მაგრამ ამას ინსტიქტიურათ გრძნობენ უფრო გრძნობიარე პირები. ამ შემთხვევაში უტოპიები საზოგადოებრივი კრიზისის გამომხატველია. სანამ საზოგადოებრივი პირობები აკმაყოფილებენ ხალხის უმრავლესობას, არავის აზრათ არ მოსდის ასალი წესწყობილების გამოგონება ანუ შეთხზვა. პირიქით, თუ საზოგადოებაში არსებობს უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილების გამოთქმა საჯაროთ შეუძლებელი ხდება, მაშინ ყოველგვარი პროექტი ასალი საზოგადოებრივი წესწყობილების შესახებ ბოლოობს დიდ თანაგრძნობას. შტეინს მოყავს თავისი აზრის დასამტკიცებლათ მრავალი მაგალითები. მაგ., ტომას მორის «უტოპია» გამოქვეყნდა ერთი წლის წინეთ ლიუტერის აგიტაციამდე; მორელლმა დასწერა თავის უტოპია 36 წლის წინეთ საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდე; კაბეს „მოგზაურობამ იკარიაში“ დაასრულა 1848 წელს. ეს შესედულება არ არის სიმართლეს მოკლებული, მაგრამ მარტო იმის საშუალებით არ შეიძლება ყველა უტოპიების ახსნა.

ყველაზე უძველეს უტოპიათ ითვლება ფილოსოფოს პლატონის თხზულება სახელმწიფოს შესახებ, თუმც ეს მართალი არ არის. არისტოტელის მოწმობით, პირველი ადამიანი, რომელმაც დაიწყო ლაპარაკი საზოგადოების უკეთეს წესწყობილებაზე, იყო მილეთელი ჰიპპოდამი, შემდეგ ხალკედონელი

ფილეასი, რომელიც ქადაგებდა კოლექტიურ საკუთრებას. მაგრამ ძველი დროის უტოპიებში მხოლოთ პლატონის უტოპიამ მოასწია ჩვენამდე და მას თითქმის აქამდისაც არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა. და მართლაც უნდა ითქვას, რომ მისმა „რესპუბლიკამ“ და „კანონებმა“ უდიდესი გავლენა იქონიეს ყველა მერმენდელ მწერლობაზე. პლატონის „სახელმწიფო“ („რესპუბლიკა“) შეიცავს მხოლოთ ფილოსოფოსებს (მმართველებს) და მსედრებს. დანარჩენ წოდებათათვის პლატონი ტოვებს ყველაფერს უცვლელათ. რაც შეეხება პირველ ორ წოდებას, ე. ი. ფილოსოფოსებს და მსედრებს, იმათთვის პლატონის „სახელმწიფო“ აარსებს უკიდურეს კომუნიზმს. კერძო საკუთრება სრულებით გაუქმებულია, აღარც კერძო ოჯახი არსებობს, ე. ი. სქესობრივ დამოკიდებულებაშიაც სრული კომუნისტური ურთიერთობაა გაბატონებული. მაგრამ პლატონის კომუნიზმი მხოლოთ მოსმარების ნიადაგზეა აშენებული და არა წარმოების. ყოველგვარ ხურსათს და საჭირო მასალას ამ ორ წოდების არსებობისათვის აძზადებს მესამე წოდება. ამიტომ პლატონის კომუნიზმი არსებითათ არისტოკრატიულია და იგი შეადგენს საშუალებას, რომ ფილოსოფოსები და მსედრები განთავისუფლებული შეიქნენ ყოველგვარი დავიდარაბისაგან თავიანთ არსებობისათვის და სავსებით იზრუნონ მხოლოთ მართვა-გამგეობისთვის და სახელმწიფოს დაცვისთვის. თუ რამდენათ დიდი იყო პლატონის უტოპიის გავლენა შემდეგი დროის სოციალისტურ უტოპისტებზე, ეს ჩანს ცელლერის სიტყვებიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ თითქმის ყველა სოციალური რომანები, დაწერული ტომას მორის «უტოპიიდან» და გათავებული კაბეს „იკარიით“, როგორც შინაარსით, ისე ფორმით პლატონის «რესპუბლიკის» უბრალო მიბაძვას წარმოადგენენო. რა თქმა უნდა, ასეთი შესედულება მეტათ გაზვიადებულათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, მიუსედავათ ამისა, იგი სავსებით არ არის სიმართლეს მოკლებული.

როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, ძველი დროიდან, გარდა პლატონის უტოპიისა, მხოლოთ სხვა და სხვა უტოპიების ცალკე ნაწყვეტებსა მოასწიეს ჩვენს დროამდის. საშუალ საუკუნოებს თითქმის არაფერი არ მოუციათ ამ მხრით. როგორც ვიცით, ევროპაში მხოლოთ მე XV საუკუნიდან იწყება ეკონომიურ ურთიერთობაში ღრმა ცვლილებათა ნიშნები, რაც თავდაპირველათ სარწმუნოებრივ ფორმას ღებულობს, და აი

ასლა ჩნდება ნიადაგი ყოველგვარ უტოპიის წარმოშობისათვის. აქ პირველ რიგზე დგას ტომას მორის (1478—1535) „უტოპია“, რომელზედაც ზევით რამდენიმეჯერ მივუთითეთ. მორის «უტოპიის» უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ ჩვენ თვალწინ იშლება მაშინდელი საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების, ეკონომიურ-სოციალურ ურთიერთობათა არა სანატრელი სურათი მეფე-ფეოდალების ტირანიით და სალხის გაჭირვებითურთ. არსებულ ურთიერთობათა აწერას შეიცავს მორის «უტოპიის» პირველი წიგნი. მეორე წიგნი მოგვითხრობს კუნძულ უტოპიის წესწყობილებაზე. ეს წესწყობილება დამყარებულია ნამდვილ კომუნისტურ საფუძველზე და მოქალაქეთა სრულ თანასწორობაზე. მხოლოთ მონობა კიდევ არსებობს, თუმც განსაზღვრულ ფარგლებში და აგრეთვე როგორც დასჯა მეტათ მძიმე დანაშაულობისთვის. მონები ასრულებენ მავ და არა სასიამოვნო სამუშაოს, და ამ მხრით მორის უტოპიური სახემწიფო რამდენიმეთ გვაგონებს პლატონის „სახელმწიფოს“, სადაც ყოველგვარ საჭირო მასალას ორი უმაღლესი წოდებისთვის მესამე წოდება ასრულებს. მაგრამ მეორე მხრით წინააღმდეგ პლატონისა მორი სელუსლებლათ ტოვებს მონოგამიურ ცოლქმრობას. გარდა ამისა, საინტერესოა ის, რომ მორმა პირველათ წარმოთქვა ის აზრი, რომ მომავალში შრომა ყველასათვის სასიამოვნო უნდა შეიქნეს. ამიტომ ძის „უტოპიაში“ ერთი მხრით სელოსნური შრომა შეერთებულია მიწის მუშაობასთან და მეორე მხრით მუშაობა დღე და ღამეში გრძელდება მხოლოთ 6 საათს.

ტ. მორის «უტოპიის» შემდეგ აღნიშვნის დირსია იტალიელი ბერის კამპანელლას (1568—1639) «Civitas solis» («მზის ქვეყანა»), რომლის საფუძველს შეადგენს კომუნისტური საკუთრება; წარმოებაში დებულობს მონაწილეობას ყველა. განურჩევლათ სქესისა. ამიტომ 4 საათის შრომა სრულებით საკმარისია ყოველგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. კამპანელლას „მზის ქვეყანაში“ ძართვა-გამგეობა მინდობილი აქვს ყველაზე უჭკვიანეს ადამიანს.

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგულ ენაზე გამოვიდა «სევარამბების ისტორია», რომელსაც საფრანგეთის ლიტერატურაში იგივე ალაგი უჭირავს, რაც ტომას მორის «უტოპიას» ინგლისში. ამ რომანის ავტორი იყო ფერრასი ანუ ვერრასი, რომელიც ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე

ნასევარში. ფერრასის სურვილი იყო კომუნისტური საზოგადოების დაფუძნება, ამ მიზნით მან «სევარამბების ისტორიაში» ასწერა არარსებული ხალხის ყოფა-ცხოვრება, სადაც დასტა თავისი საზოგადოებრივი იდეალი. სევარამბების წარმოების საფუძველს შეადგენენ ამსანაგობანი, რომლებიც იკრიბებიან დიდ შენობებში. «სევარამბებში არავინ არაა ღარიბი. მოკლებული ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებათ, და თითოეულს აქვს თავისი ნაწილი ყოველგვარ საზოგადოებრივ სიამოვნებასა და დღესასწაულში, და იმავე დროს იგი არ ეწევა უზომო შრომას»... ფერრასის წიგნი საკმარისათ ორიგინალურ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს და მას დიდი გავლენა ქონდა ფურიეს და კაბეს უტოპიებზე.

უტოპიურ მწერლებში აღნიშვნის ღირსია აქ საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის მწერალი მორელლი (Morelly), რომლის უმთავრესი ნაწერებია: სოციალური რომანი—«Basiliade» (1753) და ფილოსოფიური ტრაქტატი—«Code de la nature» (1755). პირველ ნაწერში მორელლი ამბობს, თუ როგორ წარმოდგა ერთ მცურავ კუნძულზე (iles flottantes) ასალი ბედნიერი საზოგადოება, რომელმაც არ იცის კერძო საკუთრება. მიწა ყველას მასაზრდოებელია. სრული თანასწორობა არსებობს ამ კუნძულის მცხოვრებლებში. ისინი ცხოვრობენ დიდ სასახლეებში. რომელთაგან თითოეული იტევს 1000 კაცს. თითოეული ასეთი სასახლე შემკულია ყოველგვარი მოწყობილებით. მაგრამ ამ საზოგადოების ბედნიერება იწვევს ბოროტ არსებათა შურს, და ბოლოს იქ მყარდება ისეთი წესწყობილება, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე; როგორც ამის შედეგი ჩნდება სიღარიბე და სიმდიდრე, და აქედან ყოველგვარი უბედურება და უთანხმოება. აქ მორელლს სამუალება ეძლევა კრიტიკა გაუკეთოს და სასაცილოთ აიღოს თანამედროვე წესწყობილება. მაგრამ უფრო შესანიშნავია მორელლის მეორე თხზულება (Code de la nature). მორელლს სურს გადასწყვიტოს შემდეგი პრობლემა: შესაძლებელია თუ არა ისეთი მდგომარეობა, როცა ადამიანისთვის შეუძლებელი შეიქნეს კაფუჭება, ან ბოროტების უკიდურესობამდე შემცირება (minima de malis). მორელლი ცდილობს ამ პრობლემის გადაწყვეტას. ამისთვის უწინარეს ყოვლისა იგი საჭიროთ თვლის ყველა ბოროტებათა ძირის—კერძო საკუთრების—ამოგდებას და შემდეგ პოლიტიკის და ზნეობის გადაკეთებას, თანახმათ ბუნების კა-

ნოსებისა. თუ საზოგადოება შეძლებს იმ შეცდომების დაძლევას, რომლებზედაც დამყარებულია კერძო საკუთრება, მაშინ საჭიროა ამ გამარჯვების შედეგი უზრუნველყოფილ იქნას მომავალ თაობათა გონიერი აღზრდით. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მორელლი ცოდ-ქმრულ დამოკიდებულებას და ბავშვების აღზრდას.

მორელლის გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე არ იყო ისეთი, როგორც რუსსოს და ვოლტერის, რომლებიც მოზარდი ბურჟუაზიის სულის კვეთებას გამოოქვამდენ; მაგრამ სამაგიეროთ მორელლმა დიდი გავლენა იქონია პროლეტარიატის წარმომადგენლებზე საფრანგეთის რევოლიუციის დროს; ასე, მაგ., სენ-ჟიოსტმა გადმოიღო მისგან ყოველივე ის, რაც საყურადღებოა მის საორგანიზაციო პროექტში; შემდეგ, როცა მეცხრამეტე საუკუნის მეოცდაათე წლებში საფრანგეთში ისევ თავი იჩინა სოციალისტურმა მოძრაობამ, საფრანგეთის სოციალისტები ეყრდნობოდენ მორელლის ნაწერებზე.

დასასრულ ჩვენ უნდა მოვიხსენიოთ აქ რამდენიმე უტოპია, დაწერილი მეცხრამეტე საუკუნეში. იმათ შორის პირველი ალაგი უეჭველათ უჭირავს კაბეს (ეტიენ კაბე, 1788—1856) ცნობილ წიგნს «Voyage en Icarie» («იკარიაში მოგზაურობა»), რომელშიაც ავტორი ქადაგებს კომუნიზმს; კაბე ყველაფერში და ყოველგან საერთო საკუთრების და საერთო ცხოვრების პრინციპს აღიარებს, იგი მსოლოთ საჭიროთ თვლის ცოდ-ქმრობის დღევანდელი ფორმის შენარჩუნებას. უტოპისტურ მწერლებს ეკუთვნის აგრეთვე ბელლამი (Bellamy, დაიბ. 1850 წ.), რომლის სოციალური რომანი—„Looking backward, 2000—1887“ მეტათ ცნობილია; იგი გადმოთარგმნილია, სხვათა შორის, ქართულ ენაზედაც „ასის წლის შემდეგ“-ის სათაურით. ავტორი გვისატავს მომავალ საზოგადოებას, სადაც წარმოებას და ნაწარმოების განაწილებას პირდაპირ კომუნისტური სასიათი აქვს ძიღებული, და გზა და გზა ავტორი აგრეთვე სასტიკ კრიტიკას უკეთებს თანამედროვე ბურჟუაზიულ წესწყობილებას. უნდა ითქვას, რომ ბელლამის რომანს უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია სოციალისტური მოძრაობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე **მორრისის** (Morris) «New from Nowhere» («ცნობები არსაიდან») და სიბბერნის (1785—1872) Mitteilungen aus dem Inhalt einer schrift

vom iahe 2135 («ერთი წერილის შინაარსის ნაწყვეტები 2135 წლიდან»).

უტოპისტი* ბერ. ამაო მეოცნებე. ოცნების კაცი, განუსორციელებელ სურვილებით გატაცებული.

ფეტიში, ფეტიშიზმი—პორტუგალიური სიტყვაა (feitiço), აღნიშნავს კათოლიკური ეკლესიის სხვა და სხვა რელიგიურ საგნებს, რომელთაც, კათოლიკების წარმოდგენით, სასწავლმოქმედებითი ძალა აქვთ. როცა პორტუგალიელნი მეხუთმეტე საუკუნეში აფრიკის ზოგიერთ ტომთ გაეცნენ, მაშინ იმათ ამავე სახელწოდებით მონაოლეს ის საგნები, რომლებსაც ეს ტომები, სახელდობ. ნეკრები, აღმერთებდენ და რომლებშიაც ისინი სასწავლმოქმედებითი ძალას სცნობდენ. ასეთ საგნებს ეკუთვნოდენ, სხვათა შორის, შემდეგი ნივთები: ხის ნაჭრები, ქვები, ქოთნები, ფრჩხილები, ფრთა, მარცვლები და სხ. შემდეგ ეს ტერმინი (ფეტიში, ფეტიშიზმი) შემოღებულ იქნა მთელი ევროპის ლიტერატურაში.

იმის შესახებ, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ სიტყვაში „ფეტიში“, არსებობს დიდძალი ლიტერატურა. აურაცხელ მეცნიერულ გამოკვლევათა მეოხებით დამტკიცდა, რომ კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურებზე ყოველგან, ყოველ ტომთა შორის, არსებობს სულ უბრალო, ჩვეულებრივ საგნების გაღმერთება, ანუ ფეტიშებათ მიჩნევა. ფეტიშიზმის განვითარების სათავე ანუ ძირი იმალება პირველყოფილი ადამიანის ანიმისტურ შეხედულებაში. თანასმათ ამ შეხედულებისა, მთელი ბუნება, ბუნების ყველა მოვლენები და საგნები წარმოდგენილია როგორც ცოცხალი, გონიერი არსებანი, რომლებიც მოქმედებენ თანასმათ თავის სურვილისა. ერთი სიტყვით. პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენით, მთელი ბუნება სულდგმულია; სულდგმულია, მაგ., ქვა, ხის ნაჭერი, ჯოხი. მარცვალი; ეს კიდევ არაფერი: ყველა ეს საგნები, თავისი გონებით, ძალით, დგანან ადამიანების მაღლა, და მათ შეუძლიანთ თვით ადამიანზე იმოქმედონ მეტი თუ ნაკლები ძლიერებით. ამნაირათ ფეტიშიზმის, როგორც პირველყოფილი ადამიანის კულტის, უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის გარემოება, რომ უბრალო ნივთს ანუ საგანს ადამიანი აწერს ისეთ თვისებას, რომლითაც აღჭურვილია თვით ადამიანი, და არა ნივთი ანუ საგანი. აქედან აშკარათ ჩანს, თუ რამდენათ ღრმაა და მოსწრებული, ერთი მხრით, საქონლის წარმოების პროცესის

ფეტიშიზმთან შედარება და, მეორე მხრით, საქონლის ფეტიშიზმის აღმოჩენა და გამოაშკარავება, რომელიც პირველათ მარქსმა მოახდინა.

აქ არ არის ადგილი ფეტიშიზმის, როგორც პირველყოფილი ადამიანის კულტის, გენეზისი, წარმოშობა - განვითარება აღვნუსხოთ უფრო დაწვრილებით. ფეტიშიზმის ისტორია ჩვენ გვიმტკიცებს, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილი დღემდისაც არ განთავისუფლებულა რელიგიური, სარწმუნეობრივი ფეტიშიზმისაგან, საქონლის ფეტიშიზმს რომ თავი დავანებოთ, რომლითაც გაუღენთილია მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება.

ფიქტიური*—ყალბი, გამოგონილი სხვის მოსატყუებლათ.

ფრაზეოლოგია* ბერ. მრავალსიტყვაობა, უქმი ლაპარაკი, ცარიელი სიტყვების რასა-რუხი.

ფრიტრედერები, ფრიტრედერთა სკოლა ან თავისუფალი ვაჭრობის (ინგლისური სიტყვები: free trade) მქადაგებელ ეკონომისტების სკოლა. ეს სკოლა თხოულობს ვაჭრობის შეუზღუდველ, აბსოლიუტურ თავისუფლებას, ემყარება რა იმავე დროს ადამ სმიტის და სხვების იმ თეორიაზე, რომლის თანახმათ თავისუფალი მეტოქეობა და პირადი ინტერესი საუკეთესო სასელმძღვანელო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს წარმოების სფერაში, როგორც კერძო ინდივიდისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვისაც. ამიტომ სახელმწიფომ სრულებით ხელი უნდა აიღოს და არას შემოხვევაში არ უნდა ჩაერიოს ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. უკანასკნელ ანგარიშში ფრიტრედერთა სკოლა წარმოადგენს სხვილ ვაჭრების და მრეწველების პოლიტიკურ პარტიას, რომლის ლოზუნგია თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის გატარება ცხოვრებაში, რისთვისაც იგი საჭიროთ თვლის ყოველგვარი ბაჟების მოსპობას,— ერთი მხრით, და ეკონომიური წარმოების სფერაში სახელმწიფოს ჩაურევლობას, მეორე მხრით. ფრიტრედერული მიმართულება პოლიტიკურ ეკონომიაში გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებში. ძის სამშობლოთ ითვლება ინგლისი, ე. ი. ის ქვეყანა, რომელიც იმავე დროს სამართლიანათ ითვლება კაპიტალიზმის სამშობლოთაც. ასეთი მიმართულების წარმოშობა ინგლისის მრეწველთა და ვაჭართა კლასში მოასწავებდა იმას, რომ ეს კლასი საოცრათ გაიზარდა და მოღონიერდა, ასე რომ მისთვის უცხო ქვეყნების მრეწველობა არავითარ სა-

მიმრეველას აღარ წარმოადგენდა; მეორე მხრით მისთვის აუ-ცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა თავის ნაწარმოებთათვის გასასაღებელ ბაზრის რაც შეიძლება მეტი გაფართოება. ეს კი თავის მხრით თხოულობდა ღია კარებს არა თუ სხვა სახელ-ნიფოებში, არამედ თვით ინგლისშიაც, სადაც ჯერ კიდევ ცოც-ხალი იყო მერკანტიული სისტემის ტრადიციები. ის ბაეები, რომლებიც მაშინდელ ინგლისში არსებობდენ, თითქმის სრუ-ლებით კრძალვიდენ უცხოეთიდან საქონლის შემოტანას. 200 სხვა და სხვა საქონლის გარდა, რომელთა შეტანა ინგლისში ყოვლის ეჭვს გარეშე აკრძალული იყო, არსებობდენ აგრეთვე აუარებელი საგნები, რომლების შემოტანა დიდი ბაეებით იყო შეზღუდვილი. რა თქმა უნდა, თუ ნინეთ ეს შეეფერებოდა ინგლისის მრეწველობის და აღებ-მიცემობის მდგომარეობას, ახლა ყოველივე ეს ბირდაბირ აფერხებდა და ნინ ეღობებოდა მის ზრდა-განვითარებას. ამას ზედ ერთვის კიდევ 1815 წელს გამოცემული ეგრეთ-ნოდებული **პურის კანონები,** რომლების მეოხებით უკიდურესათ შეზღუდვილ იქნა პურის შემოტანა ინგლისში მეტათ დიდი ბაეების შემოღებით. ამას მოყვა პუ-რის გაძვირება, რასაც, თავის მხრით, აუცილებლათ უნდა გა-მოეწვია ნომინალური სამუშაო ხელფასის მაღლა აწევა. აქე-დან იწყება მრეწველთა და ვაჭართა აგიტაცია 1815 წ. პურის კანონების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს თავი იჩინა ფრიტ-რედერთა პარტიამ. პურის კანონების გაუქმება მან გაისადა მთელი თავისი ბრძოლის უმთავრეს საგნათ, იმ ბრძოლის, რომ-ლის საბოლოო მიზანი მდგომარეობდა თავისუფალი ვაჭრობის სავსებით განხორციელებაში. ამ მიზნით ფრიტრედერთა უმთავ-რეს სელმძღვანელთა: **რიჩარდ კობდენის** და **ჯონ ბრაიტის** მიერ დაფუძნებულ იქნა გასული საუკუნის მეოცდაათე წლების დასაწყისში განსაკუთრებული საზოგადოება სახელწოდებით „Anti-Corn law league“ („ლიგა პურის კანონების წინააღმდეგ“). ამ საზოგადოებამ გამოიჩინა გასაოცარი ენერგია და უნარი, ასე რომ რვა წლის მოღვაწეობის შემდეგ მიახწია იმას, რომ 1846 წელს ინგლისის პარლამენტმა გააუქმა პურის კანონები. ჩქარა ამ ნაბიჯს მოყვა სხვა ნაბიჯებიც: ზედი-ზედ გაუქმებულ იქნა ბაეები სხვა საქონლებზეც. ასე რომ უკვე 1851 წელს ინ-გლისში ფრიტრედერების ზეგავლენით თითქმის სავსებით გან-ხორციელებულ იქნა ვაჭრობის და მრეწველობის სრული თა-ვისუფლება.

ეკონომიური მეცნიერების თეორიის სფერაში ფრიტრედერებს არ შეუტანიათ არავითარი ცოცხალი, ცოტათ თუ რევრათ, ნაყოფიერი აზრი და შეხედულება. კაპიტალისტური წესწყობილება მთელი თავისი სოციალური შედეგებით—სიღატაკით, გონებრივი და ფიზიკური გადაგვარებით,—იმათ ეჩვენებათ იდეალურ საზოგადოებათ. მაგრამ თუ ადამ სმიტის დროს, როცა ამ წესწყობილების უარყოფითი მხარეები ჯერ კიდევ არ იყვენ საკმარისათ გამოამკარავებულნი, შესაძლებელი იყო რამდენიმეთ ამ იდეალიზაციის გამართლება, ფრიტრედერების მოღვაწეობის დროს კაპიტალიზმის იდეალიზაცია, მისი დაცვა შეეძლოთ მხოლოთ თვით კაპიტალისტების კლასს და მყვლეფელთა ინტერესების დამცველთ, როგორიც იყვენ თვით ფრიტრედერები. რაც შეეხება მუშათა საკითხს, ფრიტრედერები, რა თქმა უნდა, სრულებით უარყოფდენ ამას. იმათი შეხედულებით, შრომასა და კაპიტალს შორის არსებობს სრული ჰარმონია, თანხმობა. სამუშაო ხელფასის გადიდება დამოკიდებულია გაბატონებულ კლასების, კაპიტალისტების, სიმდიდრის გადიდებაზე. თუმცა, მეორე მხრით, მათ არ შეეძლოთ მუშა ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის აშკარათ უარისყოფა, მაგრამ ამას ისინი ხსნიდენ, ერთი მხრით, იმით, რომ ეკონომიური წარმოების სფერაში ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებული სრული თავისუფლება, და, მეორე მხრით, მით, რომ მუშები სქესობრივ დამოკიდებულებაში არ იჩენდენ წინდასაედულებას. აქედან ერთათ-ერთი დასკვნა: იმათი აზრით, მუშების ბედნიერება და კეთილდღეობა დამოკიდებულია, ერთი მხრით, კაპიტალისტების უფრო მეტ გამდიდრებაზე და, მეორე მხრით—თვით მუშების ცოლქმრულ ურთიერთობიდან თავის დაჭერაზე. ასე ფარისევლურად უყურებდენ ისინი ჩვენი დროის ერთ უდიდეს საკითხს.

ფრიტრედერების სკოლას ხშირად უწოდებენ აგრეთვე **მანჩესტერულ სკოლასაც.** ეს უკანასკნელი სახელწოდება მოსდინარეობს იქიდან, რომ ზევით ნაჩვენებ «ლიგისა» და საზოგადოთ ფრიტრედერთა პარტიის მოქმედების ცენტრათ შეიქნა ქ. მანჩესტერი, ინგლისის ძრეწველობის ერთი უდიდესი ცენტრთაგანი.

შექსპირი, ვილიამ (1564—1616)*—უდიდებულესი მსოფლიო დრამატურგი, ჰენიოსი მგოსანი, დაიბადა სტრადფორდს, ინგლისში, 1564 წ., გარდაიცვალა 1616 წ. ვაჭრის შვილი იყო, ად-

რე შევიდა თეატრში აქტიორად, იყო მეორე-ხარისხოვანი აქ-ტიორი და შემდეგ თეატრის გამგედაც მეიქმნა. პირველ ხანებ-ში მსუბუქ პიესებს სწერდა, შემდეგ ისტორიულ დრამებს მი-ჰყო ხელი: „ჰენრის VI“, „რიჩარდ III“, „ჰენრიხ IV“, „ჰენ-რიხ V“, „მეფე ჯონი“, დასასრულ—„ჰენრიხ VIII“. ამავე ხა-ნას ეკუთვნის შესანიშნავი ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“. ბოლოს ქაქს, ბე-17 საუკუნის დასაწყისში, დასწერა თავისი შესანიშნავი პიესები: «ოტელო», «ჰამლეტი», «ძეფე ლირი», «მაკბეტი», «ქარიშხალი», აგრეთვე რომაელთა ცხოვრებიდან —«კორიოლანოს», «იულიოს კეისარი», «ანტონიოს და კლეო-პატრა». ძან მეჰქმნა ასალი ძიმდინარეობა და თანამედროკე თეატრის მამათმთავრად შეიქმნა. მისი პიესები თითქმის ყვე-ლა ენაზეა გადადებული. ქართულად ივანე მაჩაბელმა პირდა-პირ ინგლისურიდან სთარგმნა: «ჰამლეტი», «მაკბეტი», «ოტე-ლო», «რიჩარდ III». «კორიოლანოს», „იულიოს კეისარი“. „ან-ტონიოს და კლეოპატრა“. „რომეო და ჯულიეტა“; ილია ჭავ-ჭავაძესთან ერთად სთარგმნა—«ძეფე ლირი».

ჩარტისტები, ჩარტისტული ძოძრაობა—ინგლისის მუშა ხალ-ხის ერთი უმესანიშნავესი და უძლიერესი ძოძრაობა მეცხრა-მეტე საუკუნის პირველ ნახევარში. სულ მოკლეო ამ მოძრაო-ბის ისტორია ასეთია. პირველი და უღრმესი მიზეზი ამ მოძ-რაობისა ძევს ინგლისის სამრეწველო და სოფლის პროლეტა-რიატის გაძრავლებაში და გაღატაკებაში ერთ და იმავე დროს. ამ ნიადაგზე აღმოცენდა და გაიზარდა ინგლისის მუშა ხალხში ძლიერი უკმაყოფილება, რომელსაც პირველ ხანებში შეუგნე-ბელი სასიათი აქვს და რომელიც ძსოლოთ თანდათან იღებს ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ და გაერთიანებულ ხასიათს. მე-ორე მხრით არსებულ წესწყობილებით, ე. ი. უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, პოლიტიკური მართვა-გამგეობით, უკმაყოფილო ხდება აგრეთვე ინგლისის წვრილი და სამუალო ბურჟუაზია. ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ინგლი-სის ცხოვრებაში გაჩნდა საკმარისათ ძლიერი დემოკრატიული პარტია, რომელიც ინგლისის წესწყობილებაში დემოკრატიულ რეფორმების შეძოღებას ლაძობდა. ამ დემოკრატიულმა პარ-ტიამ მოკლე ხანში მოიპოვა დიდი თანაგრძნობა ყველა უკმა-ყოფილო ელემენტებში. ამ ძოძრაობის სელმძღვანელებში აქ უნდა მოვისსენიოთ ვილიამ კობეტი და გიონტი. ისინი აწარ-ძოებდენ აგიტაციას დემოკრატიულ რეფორმების სასარგებლოთ

პრესის და ბიტინგების სამუალებით. რა თქმა უნდა, მთავრობა სასტიკათ ებრძოდა ამ მოძრაობას. საგულისხმოა ის გარემოება, რომ რეფორმისტების უმთავრეს ძალას წარმოადგენდენ მუშები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ თავისი საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნის საჭიროება; მაგრამ სელმძღვანელობა რეფორმატორულ მოძრაობამი სულ მთლათ ბურჟუაზიის სელში იყო. 1832 წელს მოხდა პარლამენტარული რეფორმა, მაგრამ მუშებს უარი უთხრეს საარჩევნო უფლებაზე. მუშა ხალხმა გაიმარჯვა ბურჟუაზიის სასარგებლოთ. მუშების მოთხოვნები: საყოველთაო არჩევნები, ჯამაგირი ხალხის წარმოამადგენლებს, საიდუმლო არჩევნები—დავიწყებულ იქნა. მუშები დარჩენ, როგორც იტყვიან, პირში ჩალა-გამოვლებულნი. მაგრამ, სამაგიეროთ, 1832 წ. შემდეგ მუშათა კლასი უფრო ენერგიულად აყენებს თავის მოთხოვნებს. პოლიტიკურ მოთხოვნების გვერდით მუშები ახლა ამკარათ აყენებენ ეკონომიურ მოთხოვნებსაც.

თავის მხრით, ბურჟუაზიამაც, რომელმაც მოიკალათა პარლამენტში, ახლა გადაჭრით გაილამქრა მუშების მოთხოვნების წინააღმდეგ. ახალმა პარლამენტმა თავის უპირველეს მოვალეობათ ჩათვალა არა მარტო მუშების პოლიტიკური ორგანიზაციების, არამედ წმინდა პროფესიონალური ხასიათის კავშირების მოშლა; მაგრამ უმთავრესი ზომა, რომელიც ინგლისის ბურჟუაზიამ გამონახა მუშების წინააღმდეგ, იყო **ახალი კანონი** ღარიბების შესახებ. ძველი კანონი ვალდებულათ ხდიდა საზოგადოებას შემწეობა აღმოეჩინა თავის გაჭირვებულ წევრებისთვის საჭმელით, ტანსაცმელით, და ამავე დროს ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ეს არ არის მოწყალება, არამედ ეს არის მისი უფლება, როგორც საზოგადოების წევრის. სულ სხვანაირი იყო 1834 წელს გამოცემული კანონი, რომელსაც ბურჟუაზიამ დაასვა თავისი ბატონობის ბეჭედი. ეს კანონი გამოიცა მალტუსის შთაგონებით, რომლის მეხუდულებით ბუნების დიდებულ მეჯლისზე ღარიბთათვის ადგილი არ არის დამზადებული. ასეთ შეხედულებას არ შეეფერებოდა ძველი კანონი. რომელიც ღარიბთ რამდენიმე შედავათს აძლევდა. ახალი კანონის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ღარიბებისთვის შემწეობა კი არ არის საჭირო, არამედ იმათი თავიდან მოშორება. ახალმა კანონმა ამ მიზნით შექმნა ევრეთწოდებული «შრომის სახლები» (рабочіе дома). «შრომის სახ-

ლების» დანიშნულება მდგომარეობდა იმაში, რომ იქ ყოფნა აუტანელ სატანჯველად გაესადათ. სალსმა ჩქარა მოინათლა ეს „სასლები“ ღარიბების ნაოგასებათ, ბასტილიებათ. ვინც ერთსელ ასეთ «სასლში» მოსვდებოდა, მეორეჯერ იქ ყოფნას თავის ნებით იგი აღარ მოისურვებდა. ერთი მაშინდელი მწერლის სიტყვით, «შრომის სასლი წარმოადგენდა ნამდვილ ჯოჯოხეთს: ცოლ-ქმარს და შვილებს ერთმანეთს აშორებდენ, აბნყვდევდენ ცალ-ცალკე საკნებში და იქიდან გამოსვლის ნებას არ აძლევდენ. მხოლოთ სამუშაოთ უშვებდენ გარეთ; შრომა კი ნამდვილი საკატორღო იყო, ასე რომ იქ ჩავარდნილი საწყალი კაცი ათას წილათ ისევ წინანდელ სიღატაკეს რჩეობდა». ბურჟუაზიის განსრახვა მდგომარეობდა იმაში, რომ ესარგებლნა მუშაზელის სიჭარბით და, გარდა ამისა, ღარიბთა სასარგებლოთ არსებული გადასახადი შეემცირებიათ. აქედან აშკარაა, რომ ახალ კანონს დიდი უკმაყოფილება უნდა გამოეწვია სალხის ფართო მასამი. დაიწყო გაძლიერებული აგიტაცია ძველი კანონის დაბრუნების სასარგებლოთ. ამ აგიტაციამი სახელი გაითქვეს განსაკუთრებით რიჩარდ ოსტლერმა და მეტოდისტების (სექტაა) მქადაგებელმა სტეფენსმა. მაგრამ უდიდესი გავლენა მოიპოვა ირლანდიელმა ო'კონნორმა, რომელმაც იკისრა მუშების რადიკალურ მოთხოვნების გამოსატვა. თითქმის ყველა საბრეწველო ოლქებში მან დააარსა მუშაოა კავშირები. 1837 წლიდან მან იწყო თავისი საკუთარი გაზეთის გამოცემა (Northern star—საბრეთის მნათობი). თითქმის ამავე დროს ლონდონში დაარსდა „მუშათა ასოციაცია“, ანუ მუშების წარმომადგენელთა კავშირი, რომელმაც წამოაყენა მუშათა კლასის დამოუკიდებელი წარმომადგენლობის მოთხოვნა პარლამენტში. პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შეადგენდა «მუშათა ასოციაციისათვის» მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებელ სამუალებას. ამ კავშირის პროგრამას შეადგენდა ცნობილი ‹The People's Charter›-ის (სახალხო ხარტიის) 6 მუხლი. ეს პროგრამა თავდაპირველათ შეიმუშავა ვილიამ ლოვეტმა, მაგრამ იურიდიული ფორმა მას მისცა პარლამენტის დეპუტატმა ო'კონნელმა, რომელმაც შემდეგ იგი გადასცა ლოვეტს შემდეგი სიტყვებით: „აი, ხარტია (charte). მიაღებინეთ იგი სალხს და თქვენ არასოდეს არ იქნებით კმაყოფილი ცოტათი“. აქედან წარმოსდგა თვით მოძრაობის სახელწოდება. აი, ეს 6 მუხლი:

1) საყოველთაო საარჩევნო უფლება ყველა მოზრდილ მამაკაცისთვის, რომელსაც საღი გონება აქვს და დანაშაული არ ჩაუდენია;

2) ყოველწლიური არჩევა პარლამენტების;

3) ჯამაგირი პარლამენტის დეპუტატებს;

4) საიდუმლო არჩევნები;

5) საარჩევნო ოლქების თანასწორობა;

6) ცენზის მოსპობა იმათთვის, ვინც პარლამენტის დეპუტატებათ უნდა აირჩეს.

ამას ზედ დაერთო ათი საათის სამუშაო დღის მოთხოვა, ასე რომ თუ ხარტია შეადგენდა მუშა ხალხის პოლიტიკურ ლოზუნგს, ათი საათის სამუშაო დღის მოთხოვა იყო მისი ეკონომიური ლოზუნგი (მარქსი). ხარტიას შეუერთდენ აგრეთვე ბურჟუაზიის რადიკალური წრეები; საერთოთ, იმ დროს ჩარტისტები ინგლისში იყვენ მუშათა კლასის თითქმის ყველა მოთხოვნების გამომსატველნი, ისე როგორც შემდეგ ხანებში ასეთი როლი დაეკისრა სოციალ-დემოკრატებს სხვა ქვეყნებში.

6 აგვისტოს 1838 წ. ქ. ბირმინჰამში ჩარტისტების დიდ მიტინგზე გადაწყვიტეს გაიგზავნოს პარლამენტში ნაციონალური პეტიცია ხარტიის თაობაზე. ამასთანავე ლონდონში მოწვეულ იქნა „მუშა ხალხის დეპუტატების კონვენტი“ *), რომლის დანიშნულებას შეადგენდა კრების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. მოკლე ხნის განმავლობაში ინგლისის ტერიტორიაზე მოხდა ხუთასზე მეტი კრება, პეტიციაზე ხელის მომწერთა რიცხვი ავიდა 1.250,000-მდე. ჩარტისტების კრებებზე ხალხი ბლოდათ აწყდებოდა: ისეთი კრება არ მომხდარა, რომ 30,000 კაცზე ნაკლები დასწრებოდეს; იყო ისეთი შემოსვევები, როცა ჩარტისტების მიტინგებს დასწრებია 200,000 კაცი, ერთხელ—300 ათასიც. ესწრებოდენ მამაკაცები და დედაკაცები რევოლიციონური დროშებით. ერთ-ერთ ასეთ კრებაზე, ანსჩესტერში, სტეფენსმა, სხვათა შორის, შემდეგი საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა: «მეგობრებო, ჩარტიზმი პოლიტიკური საკითხი კი არ არის თქვენ-ძიერ საარჩევნო უფლების შესაძენათ. ჩარტიზმი — ეს არის დანა-ჩანგალი საჭმლისათვის; ხარტია კი—კარგი ბინა, კარგი საჭმელ-სასმელი, კარგი ხელფასი და მოკლე სამუშაო

*) ეს გვაგონებს რამდენიმეთ „მუშათა დეპუტატების საბჭოს“ რუსეთში 1905 წელს.

დრო».მიუხედავათ ამისა, სოციალისტური მოძრაობა პირველ ხანებში მაინც არ შეუერთდა ჩარტიზმს. სოციალისტებს მაშინ არა სწამდათ თავისი იდეალის განხორციელება პოლიტიკური გზით. სოციალისტები იმ დროს ფიქრობდენ კომუნისტურ საზოგადოებათა დაარსებით გამოეწვიათ მიბაძვა და პირველ ხანებში, როგორც ვიცით, სოციალისტურ მოძრაობას არც კი ქონებია პირდაპირ პროლეტარული სასიათი. მაგრამ შემდეგში ეს ორი მოძრაობა—ჩარტისტული და სოციალისტური—ერთდებიან, რადიკალური ბურჟუაზია თავს ანებებს ჩარტისტებს და ჩარტისტული მოძრაობა სულ უფრო და უფრო სოციალისტური სულით იყდინთება.

თავის მხრით, მთავრობა სასტიკათ სდევნიდა ჩარტისტულ მოძრაობას, განსაკუთრებით ამ მოძრაობის მეთაურებს, მაგრამ ეს ვერ ასუსტებდა ჩარტისტების აგიტაციას; პირიქით, ჩარტისტები სერიოზულათ ემზადებოდენ შეიარაღებულ წინააღმდეგობის გასაწევათ. ერთ კრებაზე ო'კონნორმა პირდაპირ განაცხადა, რომ «თუ მთავრობა მოინდომებს ძალადობით პასუხის გაცემას ბეტიციაზე, ჩარტისტებს მოუხდებათ ძალაზე ძალით გასცენ პასუხი. და ჩარტისტების კონვენტმა მართლაც მიიღო შესაფერი ზომები. ჩარტისტების კრებებზე თანდათან სულ უფრო და უფრო ცხარე სიტყვები გაისმოდა. ბევრი ფიქრობდა, რომ ინგლისი უკვე სამოქალაქო ომის წინ დგასო. რამდენსამე ადგილას უკვე დადიოდენ ჩარტისტების შეიარაღებული ბატალიონები და სდებოდა კერძო შეტაკებებიც. იმავე დროს ცნობილი სტეფენსი ასეთი სიტყვებით მიმართავდა კრებას: «თქვენ შიში არ უნდა გქონდეთ მთავრობის... თქვენ გაქვთ ისეთი იარაღი, რომლის წინაშე უძლურია მთავრობის ხიშტები და ზარბაზნები და რომლის მოსმარა ათი წლის ბავშვსაც კი შეუძლიან. თქვენ უნდა აიღოთ მსოლოთ გაზინთული ჩალა, წაუკიდოთ მას ცეცხლი, და საინტერესოა, რას იზამდა მაშინ მთავრობა თავისი სალდათებით და ზარბაზნებითო». ამ სიტყვისათვის სტეფენსი დასაჯეს 18 თვით სატუსაღოში ჯდომით; ასევე დასაჯეს ო'ბრიენი და ო'კონნორი.

რაც შეეხება ბეტიციას, იგი გაგზავნილ იქნა კონვენტის მიერ პარლამენტში 1839 წელს პარლამენტის წევრის ატვუდის საშუალებით. პარლამენტი შესვდა მას სიცილით, და, რა თქმა უნდა, უარყო იგი 235 ხმის უმეტესობით 46 ხმის წინააღმდეგ. მუშებში ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და

ისინი გაბედულათ დაუსვდენ მას. კონვენტმა განაგრძო თავის აგიტაცია და თითონ გადავიდა ბირმინჰამში, სამრეწველო პროლეტარების ცენტრში. ამავე დროს მოხდა რამდენიმე შეტაკება ჩარტისტებსა და პოლიციას შორის.

ამ დროს ბურჟუაზია ცვლის ხერხებით თავის ტაქტიკას ჩარტისტების მიმართ. იგი ხელასლა აძლევს მათ დაპირებებს იმ მიზნით, რომ ჩარტისტული მოძრაობა "გამოიყენოს ბურის კანონების გასაუქმებლათ. სამრეწველო ბურჟუაზიასა და მიწისმფლობელებს შორის თავის მხრით დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ბურჟუაზია დაინტერესებული იყო მიწათმფლობელების დასამარცხებლათ ჩარტისტებისთვის მიემართა. ძუშები ასლა კარგათ გრძნობდენ, თუ ვისთან ქონდათ საქმე. 1842 წელს ჩარტისტებმა ხელასლა წარუდგინეს პარლამენტს პეტიცია, რომელსაც ხელს აწერდა 3 მილიონი კაცი, და იგი, რა თქმა უნდა, ხელასლა იქნა უარყოფილი ლაციწვით. ხელასლა იბადება საყოველთაო გაფიცვის იდეა, მაგრამ ასლა ამ პროექტის ავტორებათ გამოდიან არა მუშები, არამედ ფაბრიკანტები. ეს იყო ჯონ ბრაიტის რჩევა—ფაბრიკების დაკეტვა და ძუშების სოფლათ დაგზავნა მიწისმფლობელთა წინააღმდეგ. ძაგრამ შეკავშირებული მუშების დატყვილება ასლა ისე ადვილი აღარ იყო ბურჟუაზიისათვის. ჩარტისტები წინააღუდგენ ასეთ წინადადებას. მეორე მხრით, მუშებმაც ჩქარა უარი განაცხადეს პურის კანონების წინააღმდეგ აგიტაციაზე. მაშინ ბურჟუაზიული პრესა ამხედრდა მუშების წინააღმდეგ მთავრობასთან ერთათ. მაგრამ ბურჟუაზიამ მიაჩნია ერთს, სახელდობ, იმას, რომ თავისი მოდალატური საქციელით მან გამოიწვია განსეთქილება ჩარტისტების პარტიაში. ბურჟუაზიული ელემენტები ჩქარა გამოეყვენ ჩარტისტების პარტიას და იქ დარჩენ მხოლოთ მუშები, რომლებიც იმეორებდენ: „ხარტია, ხარტია და არაფერი გარდა ხარტიისა". თუ რა ნაირი იყო ამ ხანებში ურთიერთობა ჩარტისტებსა და რადიკალურ ბურჟუაზიას შორის, ამას ამტკიცებენ, სხვათა შორის, ერნსტ ჯონსის და ო'კონნორის სიტყვები ლიბერალების წინააღმდეგ. ძოგვყავს აქ უკანასკნელი ორატორის სიტყვიდან რამდენიმე ფრაზა, რომლებიც წარმოსთქვა მან 1845 წელს. «ჩარტისტების ჯარი, დატანჯულთა ეს კეთილშობილური ჯარი, ყოველთვის უნდა მიდიოდეს თავისი საკუთარი გზით, თავისი საკუთარი დროშით და საკუთარი ლოზუნგით: «მეტი ლორები და ნაკლები პატრები»! «სა-

მართლიანი დღიური ხელფასი საბართლიანი დღიური მრომისთვის»! «სახალხო ხარტია და ძირს ყოველგვარი დათმობანი»!

დადგა 1848 წელიწადი. თებერვლის რევოლიუციას პარიზში ლონდონის მუშები ძიეგებენ უსარმაზარი დემონსტრაციით. ჩარტისტებისთვის თითქო დადგა ნაბი, როცა იმათ ანგარიში უნდა გაეწიათ ყველა იმ დანაშაულთათვის, რომელნიც ბურჟუაზიამ ჩაიდინა მუშების წინააღმდეგ. ხელახლა დაიბადა აზრი პეტიციის წარდგენის თაობაზე პარლამენტში. ამ მიზნით აპრილის დასაწყისში ძოწვეულ იქნა ლონდონში ჩარტისტების კონვენტი. კონვენტმა გადაწყვიტა პეტიციის წარდგენა 10 აპრილს. ამასთანავე ჩარტისტები ფიქრობდენ ყველა მუშების ფეხზე დაყენებას ამ დღეს, რათა მთავრობისთვის დაენახვებიათ, რომ პეტიციას მხარს უჭერს ხალხი. მთავრობამაც ფეხზე დააყენა ამ დღისთვის მთელი თავისი ძალა. საუბედუროთ, ამ დღეს ჩარტისტების მოლოდინი არ გამართლდა. 10 აპრილს მიტინგზე შეიკრიბა შედარებით ნაკლები ხალხი. მაგრამ კონვენტში განხეთქილება ჩამოვარდა კიდევ 9. აპრილს. ო' ბრიენმა ჯერ კიდევ 4 აპრილს განაცხადა, რომ თუ არეულობის გამოწვევა სურო, მიტინგზე შეიარაღებულები უნდა გამოცხადდენო. ო' კონნორი კი ამბობდა, რომ მიტინგს მხოლოთ მშვიდობიანი დემონსტრაციის სასიათი უნდა ქონდესო. მას დაეთანხმა კონვენტის უმრავლესობა; მაშინ ო' ბრიენი თავის მომხრეებით გამოვიდა კონვენტიდან. 10 აპრილის პროცესიის ხელმძღვანელობა შერჩა ო'კონნორს,' მაგრამ მან დაუთმო მთავრობის მუქარას და პროცესია აღარ მომხდარა. ამ გარემოებამ დასცა საზოგადოების თვალში არა მარტო ო'კონნორი, არამედ მასთან ერთათ თვით ჩარტიზმიც.

ჩარტიზმის დაცემას ხელი შეუწყვეს მრავალმა მიზეზებმა. უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ძოვიხსენიოთ აქ უთანხმოებანი და აყალმაყალი თვით ჩარტისტების ბანაკში. ამ უთანხმოების და აყალმაყალის გარეგან მიზეზს ანუ საბაბს შეადგენდა ის გარემოება, რომ ჩარტისტები ხშირათ მარცხდებოდენ მთავრობასთან ბრძოლის დროს. მაგრამ ამ უთანხმოების უფრო ღრმა მიზეზი ჩარტისტული მოძრაობის ხელმძღვანელების და ლიდერების შეხედულებათა სხვადასხვაობაში უნდა ვეძიოთ. თუ ზოგი ამათგანი, როგორც, მაგ., ო'კონნორი წვრილი ბურჟუაზიული იდეალებით იყო გაჟღენთილი და გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკანურ და სო-

ციალისტურ მიმართულებას, სამაგიეროთ სხვები, როგორც, მაგ., ო'ბრიენი და ჯონ გარნეი, პირდაპირ რესპუბლიკანურ—სოციალისტურ იდეებს ქადაგებდენ. თავის-თავათ იგულისხმება, რომ ეს ორი სულ სხვა და სხვა მიმართულება ერთ და იმავე პარტიაში ვერ მოთავსდებოდენ და ისინი უნდა დამორებოდენ ერთი-მეორეს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მარტო ამით არ აიხსნება ჩარტიზმის დაცემა. საქმე იმაშია, რომ ჩარტიზმი წარმოადგენდა ხალხის ფართო მასის მოძრაობას, რომლის საფუძველი ყოველთვის ეკონომიურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. მაშასადამე, ჩარტიზმის დაცემის, ე. ი. დამარცხების, უკანასკნელი მიზეზი მაინდელ ეკონომიურ ბირობებში უნდა იქნას მონახული. საქმე იმაშია, რომ 1846 წელს გაუქმდა ბუერის კანონები, 1847 წ. პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ათი საათის საშუმაო დღე, რასაც მუშები თხოულობდენ მთელი 20 წლის განმავლობაში. კრიზისი, რომელიც სულს უსუოავდა ინგლისის მრეწველობას, 1848 წლის დასაწყისიდან თანდათან ქრება და მრეწველობა უზარმაზარ ნაბიჯს აკეთებს წინ. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ბუნებრივათ გამოიწვია საშუმაო ხელფასის მაღლა აწევა, რამაც არა თუ მოხსნა ალაგ-ალაგ მუშების უკმაყოფილება, არამედ რამდენიმეთ თანხმობაც კი ჩამოაგდო მუშებსა და ბურჟუაზიას შორის; ასეთ პირობებში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ მუშა ხალხის შეუნებელ ნაწილში (და ასეთი იყო იმ დროს ინგლისის მუშების უმრავლესობა), ფეხს მოიკიდებდა ცრუ შეხედულებანი და ილიუზიები. და მართლაც, ის დროებითი „აყოილდღეობა", რომელიც ინგლისის მუშა ხალხმა განიცადა გასული საუკუნის მეორმეცე წლების უკანასკნელ წლებიდან დაწყებული, მუშები აწერდენ, ერთი მხრით, ბურჟუაზიის კეთილ განწყობას და, მეორე მხრით, მუშათა კავშირებს. რაც მეეხება ჩარტისტულ მოძრაობას, მუშებმა უკანასკნელ დროს ძალ ძლიერ ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. აქედან დაიბადა ის შეხედულება, რომ საერთო პოლიტიკურ ბრძოლას მუშებისთვის არავითარ მნიშვნელობა არა აქვს, რომ მუშათა ორგანიზაციის ნამდვილ ფორმას შეადგენს ძუშათა ეკონომიური ორგანიზაციები—მუშათა კავშირები, რომელთაც ძალიან აქვთ მსოფლიო ნივთიერი პირობების გაუმჯობესება პროლეტარიატისა. ეს ბრძოლის ნიადაგზე. ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ბანელი საუკუნის მეორმოცდაათე წლების დასაწყისში ინგლისის მუშების უდიდესი

პოლიტიკური მოძრაობა მარცხდება და ადგილს უთმობს მშვიდობიან ეკონომიური ხასიათის ორგანიზაციებს. ამასთანავე მუშათა კლასის საერთო მოთხოვნების ინტერესი ქრება და იმათ ადგილს იჭერენ წვრილმანი ინტერესები.

ამნაირათ, მუშათა მოძრაობა ინგლისში აცდა ერთათ-ერთ რევოლიუციონურ-პოლიტიკურ გზას, და რევოლიუციონურ ჩარტიზმის ალაგი დაიჭირეს ეგრეთ-წოდებულმა ტრედ-იუნიონებმა, ე. ი. მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა, რომლებშიაც თავი მოიყარა მუშათა არისტოკრატიამ. ეს კავშირები არსებითათ კონსერვატიული იყვენ. იმათი მოთხოვნები არ ეხებოდენ თანამედროვე ექსპლოატაციის ძირს; იმათ არ ქონდათ არავითარი ახალი საზოგადოებრივი იდეალი. ისინი არ ფიქრობდენ პოლიტიკური ძალა-უფლების ბრძოლით მოპოვებაზე. იმათ უარყვეს ჩარტისტებისაგან ნაანდერძევი ლოზუნგები მუშათა კლასისთვის საკუთარ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიის შექმნის საჭიროებაზე. ამიტომ ბურჟუაზიას შეეძლო იმათთან კარგი განწყობილება ქონოდა და თავის მაჩანჩალათ გაეხადა.

ჩარტიზმი, როგორც მუშათა კლასის მოძრაობა, ჩაქრა, მაგრამ ეს ჩაქრობა მხოლოთ დროებითი იყო. ჩარტისტულ მოძრაობის დედა-აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ პოლიტიკური ძალა-უფლების მოპოვებით მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებიათ. იგი არ იყო სავსებით სოციალისტური მოძრაობა, მაგრამ ბუნებრივი მსვლელობის ძალით იგი უთუოთ ასეთი უნდა გამხდარიყო. თუ ეს ასე არ მოხდა განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში, იგი უნდა განხორციელებულიყო შემდეგში. და, მართლაც, ამ უკანასკნელ ხანებში ტრედ-იუნიონიზმის ტაქტიკა სულ უფრო და უფრო კარგავს მნიშვნელობას. მეორე მხრით, ინგლისის მუშა ხალხში თანდათან ფესს იკიდებს მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის იდეა, ე. ი. პოლიტიკური ბრძოლის წარმოება მუშების მიერ. როგორც ერთი საშუალებათაგანი მუშათა კლასის ეკონომიურ და სოციალურ განთავისუფლებისათვის. არსებითათ უნდა ვთქვათ, რომ მუშათა კლასის თანამედროვე მოძრაობა ტაქტიკის მხრით ჩარტისტების მოძრაობის გაგრძელებაა, განსხვავება მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ დღეს მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანი სოციალიზმის განსორციელებაა. ჩარტიზმს ამ მხრით არ ქონდა გარკვეული იდეალი მომავლისთვის. მხოლოთ უკანასკნელ ხანებში და ისიც ჩარ-

ტიზმის ერთ მიმდინარეობას დაეტყო სოციალისტური ელ-ფერი.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ჩარტიზმი მეცხრამეტე საუკუნის ერთ უდიდეს მოვლენას წარმოადგენს. არა მარტო ინგლისის, არამედ ყველა ქვეყნის მუშა ხალხს სიამაყით შეუძლია მიუთითოს თავის ისტორიის ამ შესანიშნავ და სახელოვან ფაქტზე.

ჰეგელი*—გერმანიის ცნობილი ფილოსოფოსი (1770—1831). განავითარა დიალექტიური მეთოდი. იხ. დიალექტიკა.

ჰერკულესი (Heracles, Hercules)—ძველი საბერძნეთის ეროვნული გმირი. ბერძნების პოეტების (ჰომიროსის, გეზიოდის) გადმოცემით, იგი ზევესის (ღმერთის სახელია) და ტირინფის მეფის ამფიქტიონის ცოლის—ალკმენას შვილი იყო. ჰერკულესი განთქმული იყო თავისი არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალით. სხვათა შორის მას აწერენ 12 სხვა და სხვა საძნელო საქმის შესრულებას, როგორც, მაგ., 1) ბრძოლა ნემეიის ლომთან, რომელიც მან დაახრჩო, 2) ლერნეიის გველეშაპის მოკვლა, 3) კრიტოსის სარის დაჭერა, 4) ავგიოსის ბოსლების გაწმენდა და 5) ას-თავიანი ძაღლის მოთვინიერება—ყველაზე უძნელესი საქმე. შემდეგ ჰერკულესი დაეცა ქ. ტროიას, დაიბყრო იგი და მოკლა მეფე ლაომენდოტი ყველა თავის შვილებით, გარდა ერთისა. მერე ჰერკულესი დაბრუნდა საბერძნეთში, სადაც მან კიდევ მრავალი სხვა საკვირველი საქმეები შეასრულა. და ბოლოს იგი მოწამლა ლეანირამ, რის გამო მან საშინელი ტკივილი იგრძნო, თითონ გააკეთებინა კოცონი, ავიდა მაზე და უბრძანა ცეცხლის წაკიდება. საშინელ ქუხილში და ელვაში ფერგამოცვლილი გმირი ადის ზეცაზე. ასეთია მოკლეთ ხდაბრული გადმოცემა ჰერკულესის შესახებ.

ჰეფესტი (Hephaistos)—ძველი საბერძნეთისავე მითიური ღმერთი; იგი იყო ცეცხლის და ლითონის ნაწარმოებთა ღმერთი. ზოგი გარდმოცემით იგი ზევესის და გერას შვილი იყო, ზოგი გარდმოცემით კი მას მამა არ ყოლია, ამიტომ მისი სახელი კიდევ აპატორ—უმამო. ერთი გარდმოცემით დაბადებიდანვე უმნო და კოჭლი იყო, და ამიტომ ღმერთებმა იგი გადმოაგდეს ოლიმპიდან, მაგრამ ამ დროს მას ხელი სტაცეს ფეტიდამ და ევრიეონამ და გაუარდეს იგი. მეორე გადმოცემით ოლიმპიდან იგი გადმოაგდო თვით ზევესმა, რადგანაც ჰეფესტმა წინააღმდეგობა გაუწია ზევესს, და ამ გადმოვარდნის შემდეგ იგი და-

კოჭლდა. ჰეფესტი დაეცა კუნძულ ლემნოსზე, სადაც იგი სიცარულით მიიღეს. როგორც დახელოვნებულმა მჭედელმა, მან ჯერ კიდევ ოლიმპზე ყოფნის დროს ააშენა თავისთვის და სხვა ღმერთებისთვის სპილენძის სასახლეები. გაიკეთა აგრეთვე თავისთვის ოქროსაგან ორი მონა-ქალი, რომლებიც თითქოს ლაპარაკობდენ და მოძრაობდენ. მას უძველესი დროდან თაყვანს ცემდენ ათინაში. ჰეფესტის ქანდაკებანი წარმოადგენენ ძარღვიან მამაკაცს, რომელსაც ჩაქუჩი უჭირავს ხელში და ურტყამს გრდემლზე.

ჰომიროსი (Omyros)—ძველი საბერძნეთის უშესანიშნავესი პოეტი, შეუდარებელი მოთხრობი და გენიოსური მსატვარი, რომლის ბადალი არ ყოლია არც ერთ ხალხს. ჰომიროსის ცხოვრებას სხვა და სხვა დროს მიაწერენ, დაწყებული თითქმის მეთორმეტე საუკუნედან ვიდრე მეექვსე საუკუნემდე ქრ. შობამდე. მაგრამ სიმართლესთან უფრო ახლოა ის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ ჰომიროსი ცხოვრობდა მე-X და IX საუკ. ქრის. შობამდე. ჰომიროსის ნაწარმოებებათ ითვლება ორი უკვდავი ქმნილება: „ილიადა“ და „ოდისსეა“. არსებობს აუარებელი ლიტერატურა, რომელიც იხილავს და არჩევს ამ ორ ქმნილებას. არსებობს მთელი მიმდინარეობა, რომელიც უარყოფდა და უარყოფს ჰომიროსში ცალკე პიროვნებას და დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორებათ ცნობს პოეტების მთელ წყებას. დღეს ასეთი შეხედულება სამუდამოთ უარყოფილია. რა თქმა უნდა, ჰომიროსამდე საბერძნეთში უკვე იყვენ პოეტები ანუ მგოსნები და მრავალი ჰომიროსის მიერ გალექსილი მოთხრობები უკვე მის დრომდე არსებობდენ სალხში; ყოველ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მრავალი ადგილი როგორც „ილიადაში“, ისე „ოდისსეაში“ მერმინდელი ჩამატებულია, როგორც. მაგ., „ვეფხვის ტყაოსანშიაც“, მაგრამ არც ერთი ამ მოსაზრებით არ შეიძლება არც ჰომიროსის პიროვნების უარისყოფა და არც ის, რომ ეს ორი ზევით დასახელებული ქმნილება ამავე ჰომიროსს ეკუთვნის. „ილიადას“ და „ოდისსეას“ უდიდეს მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იმათი საშუალებით ჩვენ წინ იშლება ძველი საბერძნეთის მთელი სურათი, კლასიკური ბერძნების ყოფა-ცხოვრება, იმათი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ეკონომიური პირობები, ზნეჩვეულებანი და სხ.

სარჩევი.

	გვერდი.
კ. კაუცკის და კ. მარქსის მოკლე ბიოგრაფიები .	I—XXXVI
წინასიტყვაობა მთარგმნელისა	1—32

განყოფილება პირველი

საქონელი, ფული, კაპიტალი

თავი I

საქონელი

1. საქონლის წარმოების ხასიათი	33—46
2. ღირებულება	46—58
3. საცვლელი ღირებულება	58—63
4. საქონლის გაცვლა-გამოცვლა	63—68

თავი II

ფული

1. ფასი	68—74
2. ყიდვა და გაყიდვა	74—78
3. ფულის ტრიალი	78—80
4. ლითონის ფული (მონეტა)	80—83
5. ფულის შემდეგი ფუნქციები.	83—89

თავი III

ფულის კაპიტალად გარდაქცევა

1. რა არის კაპიტალი	89—94
2. ზედმეტი ღირებულების წყარო	94—98
3. სამუშაო ძალა, როგორც საქონელი . . .	98—104

განყოფილება მეორე

თავი I

წარმოების პროცესი	104—113

თავი II

კაპიტალის როლი ღირებულების შექმნის პროცესში	113—118

თავი III

სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხი . 118—125

თავი IV

ზედმეტი ღირებულება და მოგება. . . 125—146

თავი V

სამუშაო დღე . . . . . 146—162

თავი VI

«წვრილი ხელოსნის» ზედმეტი ღირებულება
და კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება . 162—166

თავი VII

შედარებითი ზედმეტი ღირებულება . . 166—171

თავი VIII

კოოპერაცია . . . . . 171—180

თავი IX

შრომის განაწილება მანუფაქტურა

1. მანუფაქტურის ორნაირი წარმოშობა; მისი ელემენტები: დეტალური მუშა და მისი იარაღები . 180—183
2. მანუფაქტურის ორი ძირითადი ფორმა . . 183—188

თავი X

მაშინა და ხვილი მრეწველობა

1. მაშინის განვითარება . . . . . 188—198
2. მაშინის ღირებულების გადატანა ნაწარმოებზე . 198—201
3. მაშინური წარმოების პირდაპირი გავლენა მუშებზე . . . . . 201—211
4. მაშინა, როგორც მუშის «აღმრზდელი» . . 211—217
5. მაშინა და სამუშაო ბაზარი. . . . . 217—225
6. მაშინა, როგორც ცვლილების ფაქტორი . . 225—235

განყოფილება მესამე

თავი I

საქირაო ხელფასი და შემოსავალი

1. სამუშაო ფასის სიდიდის და ზედმეტი ღირებულების ცვლილება . . . . . 235—240
2. სამუშაო ძალის ფასის სამუშაო ხელფასათ გარდაქცევა. . . . . 240—243
3. ვადიანი ხელფასი . . . . . 243—247
4. ნაპრობითი ხელფასი . . . . . 247—251
5. ნაციონალური განსხვავებანი სამუშაო ხელფასში. 251—253

თავი II

კაპიტალის შემოსავალი . . . . . 253—256

თავი III

წარმოების მარტივი განახლება . . . 256—261

თავი IV

ზედმეტი ღირებულების კაპიტალათ გარდაქცევა

1. რა ნაირათ ხდება ზედმეტი ღირებულება კაპიტალათ . . . . . 261—265
2 კაპიტალისტის მომპირნეობა . . . . . 265—268
3. მუშის მომპირნეობა და სხვა გარემოებანი, რომლებსაც გავლენა აქვთ შეგროვების სიდიდეზე . 268—272

თავი V

მოჭარბებულნი მცხოვრებნი

1. სამუშაო ხელფასის რკინის კანონი . . . . 272—278
2. სამრეწველო სათადარიგო ჯარი . . . . . 278—292

თავი VI

წარმოების კაპიტალისტური წესის განთიადი 292—302

თავი VII

წარმოების კაპიტალისტური წესის დასასრული . . . . . 302—309

დამატება

სიტყვების ახსნა განმარტება . . . . 311—386
შეცდომების გასწორება 390

შეცდომების გასწორება

გვერდი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
VI	გავრელება	გავრცელება
VII	ოპორტინისტული	ოპორტიუნისტული
IX	მატერიალური	მატერიალისტური
XII	ვიქნები	ვიქნებით
„	მოელოდდა	მოელოდა
XIV	მატერიალურ	მატერიალისტურ
9, 45	ნაწარმოებათა	ნაწარმოებთა
57	განონებს	კანონებს
58	ურთიერთრობას	ურთიერთობას
61	ქირვანქა	გირვანქა
118	რა თქმა	რა თქმა უნდა
192	თავმყორას	თავმოყრას
276	კაპიტალებს	კაპიტალისტებს
279	სხვა	სხვათა
„	საკუთრების	საკუთრებას
281	პროგრესით	პროგრესიით
282	შეგნება	შეგროვება
282	ამ გვერდზე მეორე აბზაცი ზედმეტია, იკითხება: «ნაყოფიერ ფორმათ გადაქცევის»... და სხვა	
291	საშუალებათ	საშუალებას
292	შეგროვებათ	შეგროვებას
312	ელიოსის	ელოსის
315	atos	atomos
316	მინალები	მონადები
323	«**კომუნა**»-ში უნდა იყოს: **პარიზის კ-ბ** 1) პირველი რევოლიუციის დროს 1789 წ. ქ. პარიზის საქალაქო საბჭო, 1792 წლის 10 აგვისტოდან რევოლიუციონურ მთავრობათ გამოცხადებული, რომელმაც მეფის სახლობა ტამპლუსს და სხ. ქვევიდან მეორე სტრიქონში სწერია: სარევოლიუციო მთავრობა... უნდა იყოს: 2) სარევოლიუციო მთავრობა...	
328	პროტექტიონიზმი	პროტექციონიზმი
343	სმკარის:ია	საკმარის:ია
344	თხულება	თხზულება
355	ლაშობენ	ლამობენ